ISSN 1512-0597

იბერია-კოლხეთი

საქართველოს ანტიკური პერიოდის
არქეოლოგიურ გამოკვლევათა
კრებული

Iberia-Colchis

ოთარ ლორთქიფანიძე

75

№ 2 2005

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ოთ. ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური
კვლევის ცენტრის ჟურნალის
ძიებანის - დამატებანი XIV
Dziebani - The Journal of the Centre for Archaeological Studies of the Georgian Academy of Sciences
Supplement XIV

იბერია - კოლხეთი

საქართველოს ანტიკური პერიოდის არქეოლოგიურ გამოკვლევათა კრებული

ეძღვნება აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის 75-ე წლისთავს

Iberia - Colchis

Researches on the Archaeology of Georgia in the Classical Period

Dedicated to the 75th Birth Anniversary of Otar Lortkipanidze

2

თბილისი 2005 Tbilisi

ISSN 1512-0597

რედაქტორი: ისტ. მეცნ. დოქტორი – **გელა გამყრელიძე**

Editor: Doctor of historical sciences – **Gela Gamkrelidze**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა: ისტ. მეცნ. დოქტორი **დ. კაჭარავა,**
ისტ. მეცნ. დოქტორი **გ. კვირკველია,**
ისტ. მეცნ. კანდიდატი **მ. ფირცხალავა,**

Editors of the Volume: **Dr. D. Kacharava,**
Dr. G. Kvirkvelia,
Dr. Ph M. Pirtskhalava

address: Centre for Archaeological Studies
14, D. Uznadze str.
Tbilisi, 0102,
GEORGIA

©საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 2005



უკვე მესამე წელია, რაც, სამწუხაროდ, ბატონი ოთარი ჩვენთან ერთად აღარ არის. წინამდებარე კრებული ამაგდარი მეცნიერის დაბადებიდან 75-ე წლისთავს ეძღვნება. ბატონი ოთარის კოლეგები და მოწაფეები მოკრძალებით და წრფელი გულით უძღვნიან ამ კრებულს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის ხსოვნას.

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე ღირსეული წარმომადგენელი იყო ქართული მეცნიერებისა. იგი ერთგულად ეწეოდა ეროვნული სამეცნიერო აზროვნების ჭაპანს და სახელი გაუთქვა მას მსოფლიო სამეცნიერო ასპარეზზე. დასანანია, რომ ჩვენ ქვეყანას სწორედ დღეს აკლია მუდამ ახალი ჩანაფიქრებითა და გეგმებით აღსავსე ასეთი ნიჭიერი პიროვნება, უაღრესად მრავალმხრივი და ნაყოფიერი ისტორიკოს-არქეოლოგი. გასაოცრად მრავლისმომცველია ბატონი ოთარის, როგორც მეცნიერის, საველე-არქეოლოგის, შეუდარებელი ორგანიზატორის და პედაგოგის მიერ გავლილი გზა.

ძველი საქართველოს და ანტიკური სამყაროს ისტორიისა და არქეოლოგიის თითქმის არცერთი კარდინალური საკითხი არ დარჩენილა, რომელსაც არ შეხებია

ბატონი ოთარი რამდენიმე ათეული წლის მოღვაწეობის მანძილზე. მის შთამბეჭდავ მეცნიერულ მემკვიდრეობაში ცალსახად ჩანს უდიდესი განსწავლულობა, არქეოლოგიური მასალისადმი და წერილობითი წყაროებისადმი სისტემური მიდგომა, საისტორიო პრობლემატიკის განზოგადოების გასაოცარი უნარი. ის შესანიშნავი მეცნიერ-ორატორი იყო. მისი ყოველი საჯარო გამოსვლა ორიგინალურობით გამოირჩეოდა და ცხოველ ინტერესს იწვევდა სპეციალისტებსა თუ ფართო საზოგადოებაში.

ბატონი ოთარი დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი შინაგანი ალღოთი გრძნობდა მსოფლიო მოწინავე სამეცნიერო სიახლე-მიმართულებებს და მათ უმალვე ჩვენში ნერგავდა. ის მეთავეობდა ქართულ არქეოლოგიაში კვლევის უახლესი მეთოდების შემოღებას.

საქართველოს ისტორია-არქეოლოგიის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილის გამო ბატონი ოთარი სიცოცხლეშივე საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა სამშობლოში და უცხოეთში.

ვფიქრობთ, სამეცნიერო წრეებს და საერთოდ, თანამედროვე ქართულ საზოგადოებას დიდად წაადგება ბატონი ოთარის შრომების მრავალტომეულის დროული გამოცემა, რაც ფრიად საშური სამომავლო საქმეა. ასეთი მეცნიერ-მკვლევარის ნაშრომ-ნაღვაწის მომდევნო თაობისათვის მიწოდება შესანიშნავი მაგალითი იქნება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერების მწვერვალებისაკენ მიმავალი რთული და ზოგჯერ ეკლიანი გზა.

ბატონი ოთარის ჭეშმარიტი პატრიოტიზმი, ღირსეული მამულიშვილობა, პიროვნული ხიბლი, მისთვის დამახასიათებელი იუმორი, საყვარელი საქმისადმი პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, მისი ნაღვაწი და ნაფიქრი, ბატონი ოთარის ხსოვნის არდავიწყების უდავო საწინდარია.

რედაქტორისაგან

შინაარსი

Contents

მარინე ფირცხალავა. შუბის ტიპოლოგიის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან 7

თინათინ ჭანიშვილი. ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით 19

სულხან ხარაბაძე. სამარხები სოფ. ქვედა ციხესულორის ტერიტორიიდან 30

მარიამ საგინაშვილი. მინის „დამღიანი" ოთხწახნაგა ჭურჭელი მცხეთიდან 39

ქეთევან რამიშვილი. მდ. არაგვის ხეობაში აღმოჩენილი ფრინველის ბრინჯაოს მინიატურული გამოსახულება 48

ელენე გიგოლაშვილი. ვერცხლის ჭურჭელი საირხედან 57

დიმიტრი ახვლედიანი. უცხოური ნაწარმის გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II სს-ში 65

თემურ თოდუა. რკინის ხერხი და ბარები დედოფლის გორის არქეოლოგიური მასალიდან 72

მაია ჩარკვიანი. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები 76

ნინო კიღურაძე. დაკრძალვის რიტუალი ბიჭვინტის სამაროვანზე (ორმოსამარხები) 85

ვახტანგ ნიკოლაიშვილი. დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით) 93

ზურაბ ბრაგვაძე. ყვირილის ხეობა გვიანანტიკურ ხანაში 109

ნანა მათიაშვილი. საკურთხევლები ვანის ნაქალაქარის სატაძრო კომპლექსიდან 117

ლაშა ძიძიგური. ნაცარგორას ძვ.წ. V-III სს. სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სამეურნეო იარაღის ფუნქციის გარკვევისათვის 124

ლაშა ჯიქია. სოფელ ორულუს ნამოსახლარი დიხაგუძუბები 133

ვერა ჩიხლაძე. ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები 142

დოდო ლეკაშვილი. ქარვის მძივები მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში 148

ნინო მირიანაშვილი. ახალი არქეოლოგიური მონაცემები ძალისას ნაქალაქარიდან .. 153

ვახტანგ ლიჩელი. მესხეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარები. 161

გიორგი დუნდუა. სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV ს.ს. (ზოგადი მიმოხილვა) 170

გელა გამყრელიძე. ნაოსნობის ისტორიისათვის ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში 181

გურამ კვირკველია. ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია)..... 187

ანა ჭყონია. ოქრო კოლხეთიდან 189

გიორგი დუნდუა. რეცენზია გელა გამყრელიძის წიგნზე „კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი)" გამომცემლობა „ლოგოსი", თბ., 2002, 264 გვ. 194

SUMMARIES 196

მარინე ფირცხალავა

შუბის ტიპოლოგიის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან

საქართველოში ძვ.წ. VI - ახ.წ. IV სს-ში განსხვავებული თანაფარდობით საომარი იარაღის სხვადასხვა სახეობები ვითარდება. აღნიშნულ ხანაში ადგილობრივი მოსახლეობა ფლობდა შეიარაღების როგორც შეტევით, ისე თავდაცვით კატეგორიებს. შეტევითი ხასიათის იარაღიდან მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე ძირითადია შუბი, რომლის მახასიათებლების გამოყოფამ საშუალება მოგვცა გაგვერჩია ძირითადი ტიპები და განგვესაზღვრა, რომელი ფორმაა დამახასიათებელი მოცემული ეპოქის ამა თუ იმ საფეხურისათვის.

შუბი შეტევითი შეიარაღების სატყორცნ-საძგერებელი იარაღის ერთ-ერთ სახეობას განეკუთვნება. ის შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. შუბის კლასიფიკაციისას ამოსავალია შუბისპირი, რომელიც თავის მხრივ შედგება მასრისაგან და ორლესული საძგერებლისაგან, რომელსაც აქვს წვერი და მხრები - მასრიდან საკუთრივ პირზე გარდამავალი მონაკვეთი. შუბის აღწერისათვის გამოყოფილია შემდეგი მახასიათებლები: პირის ფორმა (მასრის გარეშე) - მოყვანილობა და მასრაზე მისი გადასვლის კონტური. ამის მიხედვით ვღებულობთ შემდეგ სახესხვაობებს: 1. მასრა თანდათან გადადის ვიწრო პირზე, რომელსაც წვერისკენ თანაბრად დავიწროებული სწორი გვერდები აქვს. ესაა ე.წ. ვიწროპირიანი შუბისპირები (ტაბ. I_1). 2. პირს აქვს წაგრძელებული რომბის ფორმა (ტაბ. I_{4-7}). 3. მასრა თანდათან გადადის პირზე, რომელსაც მრუდი გვერდები აქვს და უდიდეს სიგანეს პირის შუა ნაწილში აღწევს, ვიწროვდება პირის სიგრძის ბოლო მესამედში. ესაა ე.წ. „ლანცეტური" ტიპის პირი (ტაბ. I_2). 4. პირს აქვს მომრგვალებული მხრები; სწორი, წვერისკენ თანდათან დავიწროებული გვერდები; უდიდეს სიგანეს მასრისკენ აღწევს (ტაბ. I_3). 5. პირს აქვს გვერდშეზნექილი სამკუთხედის მოყვანილობა (ტაბ. I_8).

განივკვეთის მიხედვით ნებისმიერი ზემოხსენებული მოყვანილობის შუბისპირი რომბულგანივკვეთიანია, ანუ ცენტრალურქედიანი (ტაბ. I_1) და ცენტრალურლილვიანი, ანუ როცა ქედი წარმოადგენს მასრის გაგრძელებას (ტაბ. I_4). იშვიათად გვხვდება ბრტყელი, თითქმის უქედო შუბისპირი. შუბის პირის მასრა ანტიკურ ხანაში უმეტესად ქვემოთ გაფართოებულია – კონუსური; გახსნილი ან შეკრული, მრგვალგანივკვეთიანი. გახსნილი მასრა უზრუნველყოფს შუბისპირის ტარზე მორგებას; ზოგჯერ მას ერთი ან რამდენიმე სამანჭვლე ნახვრეტი აქვს.

შუბისპირის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა მასრასა და პირს შორის, უდიდეს სიგანესა და სიგრძეს შორის. თუ მასრა შუბის პირის საერთო სიგრძის ნახევარზე მეტია, მაშინ შუბისპირი ე.წ. გრძელმასრიანია (ტაბ. I_7). ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოყვანილობის შუბის პირი. ხოლო, თუ პირის სიგრძე ორჯერ აღემატება მასრის სიგრძეს, ეს გვაძლევს გრძელპირიან შუბისპირს (ტაბ. I_6). ფართოპირიანია შუბისპირი, რომლის უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. $I_{3, 5}$), ხოლო ვიწროპირიანია იმ შემთხვევაში, როცა მისი უდიდესი სიგანე ტოლია ან ოდნავ აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. $I_{1, 7}$).

ერთერთ ჯგუფს ქმნის ე.წ. ვიწროპირიანი შუბისპირები. მათ აქვთ ვიწრო და გრძელი პირი, რომელსაც წვერისკენ თანაბრად დავიწროებული სწორი გვერდები აქვს; კონუსური, გახსნილი მასრა, რომელიც თანდათან გადადის ვიწრო პირზე და მისი სიგანე ცოტათი თუ აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. I_1).

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია: წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. VII-V, VI-V სს-ით თარიღდება (№№ 2, 4, 28, 88) [33, ტაბ. VI, 12_{12}; XXI_{11}-ის ტიპისა], ისინი მასრაგახსნილებია, რომბულ ან ცენტრალურლილვიან განივკვეთიანი. სიგრძე მერყეობს 25-36,5 სმ შორის. წითელ შუქურასვე უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს-თაა დათარიღებული მასში აღმოჩენილი ატიკური შავლაკიანი სკიფოსისა და ბრინჯაოს საწურის მიხედვით [33, გვ. 269, ტაბ. XXXVI_3); სამარხში აღმოჩენილი შვიდი შუბისპირიდან ექვსი ვიწროპირიანია, სიგრძე მერყეობს 26-40 სმ შორის. მეშვიდე შუბისპირი მკაფიოდ გამოხატული მხრებისა და მეტად გრძელი პირის გამო წაგრძელებულრომბისებრპირიანი ტიპის გრძელპირიან ვარიანტს მიეკუთვნება [33, ტაბ. XXXVI_{13}]. გუადიხუს სამაროვანზე, უმცროსი ჯგუფის №№ 1, 8, 38 სამარხებში [33, ტაბ. $XXXIII_{7-12, 8, 4}$], რომლებიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. სოხუმის მთაზე, შემდეგ

სამარხეულ კომპლექსებში - № 2-ში, 5 ზუსტად ერთნაირი ნიმუში, და № 6-ში [7, გვ. 29, ტაბ. VIII_{3-7}, ტაბ. IX_{19}), სიგრძე მერყეობს 24,5-34 სმ-ს შორის. ვანის ნაქალაქარზე, № 2 და № 9, ე.წ. მეომრის სამარხებში, რომელთაგან პირველი ძვ.წ. III ს-ით, ხოლო მეორე ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება [9, გვ.203, სურ. 175]. მათ აქვთ რომბული განივკვეთი და განსხვავებული სიგრძე (თუ სტანდარტი): 33 სმ, 37 სმ, 40 სმ, 47 სმ. ყველა შეკრულმასრიანია. კრამიტით გადახურულ დაბლაგომის სამარხში (2 განსხვავებული სიგრძე - 33, 37 სმ), რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [6, ტაბ. 117, გვ. 76]. ამ ტიპის შუბისპირები ანტიკურ ხანამდეც არის ცნობილი.

წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში აღმოჩენილი 35 შუბისპირიდან 18 ნიმუში მიეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო ხანას. ისინი ორ ძირითად სახეს განეკუთვნებიან: 1) მკაფიო კუთხოვანი მხრებიანი, ანუ ე.წ. წაგრძელებული რომბის ტიპისა (სამარხები №№ 4, 9, 14, 82, 83, 84, 85, 88) და 2) ვიწროპირიანი (სამ. №№ 2, 4, 14, 28, 88); ეს სამარხები ძვ.წ. VII-VI სს-ის ფარგლებში თავსდება [იხ. 28, გვ. 5]. ეს სამაროვანი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა იმის გამო, რომ როგორც ჩვენთვის საინტერესო ხანაში, ისე წინამორბედ ეპოქაში (ძვ.წ. VIII-VII სს.), გვხვდება ერთი ტიპის შუბისპირები, რითაც დგინდება, რომ ეს ფორმები წინა პერიოდიდან მოდის. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ძვ.წ. VIII-VII სს-ის კომპლექსები, სადაც რკინის შუბისპირები ბრინჯაოს შუბისპირებთან ერთად გვხვდება (№№ 43, 56, 63) [33, ტაბ. X; $XXI_{5, 11}$; XIII), საიდანაც ჩანს, რომ ვიწროპირიანი და წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები წინამორბედი ფორმაა და მათ ადგილობრივ ნიადაგზე განვითარების შესახებ შეიძლება საუბარი. ასე რომ, შეიძლება ვთქვათ, რომ წითელი შუქურას სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხების მონაცემების მიხედვით ძვ.წ. VI-V სს. ვიწროპირიანი და წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები თანაარსებობს და ამასთან, ორივე ფორმა წინა ეპოქიდან მოდის. № 4 სამარხში, რომელიც ძვ.წ. VI-V სს. მიეკუთვნება, ერთადაა ფართოპირიანი რომბულგანივკვეთიანი და ვიწროპირიანი შუბისპირები [33, ტაბ. $VI_{12, 13}$; 30, გვ. 54].

მაშასადამე, ზემოთ განხილული შუბისპირები განვითარების პირველ ეტაპს, ძვ.წ. VI-V სს. მიეკუთვნებიან.

შემდგომი ეტაპია ძვ.წ. IV-III სს.: სოხუმის მთის ის სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შუბს შეიცავს, ადრე დათარიღებული იყო ძვ.წ. V-IV (სამარხები №№ 2, 5, 6), V-III (სამარხები №№ 4, 8, 9) და III-II (სამარხი № 3) საუკუნეებით [7, გვ. 29], მოგვიანებით რკინის ცულების ევოლუციის საფუძველზე და ამ სამარხების სხვა ძეგლებთან სინქრონიზაციის გზით (ეშერის სამარხში ანალოგიურ ცულებთან ერთად ნაპოვნი ამფორისა და ამფორისკის მიხედვით) №№ 2, 3, 4, 6 და 8 სამარხეული კომპლექსები ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღდა [შდრ. 10, გვ. 53; 28, გვ. 7].

ვიწროპირიანი შუბისპირები სპეციალურ ლიტერატურაში „ამიერკავკასიურ ტიპად" მოიხსენიება [35, გვ. 48, ტაბ. $XXVII_{9, 10}$]; აქ იგულისხმება როგორც ჩვენს მიერ „ვიწროპირიანად" განსაზღვრული ნიმუშები, ისევე ჩვენი კლასიფიკაციის წაგრძელებულრომბისპირიანი ტიპის ვიწრო ვარიანტიც. საქმე ეხება ე.წ. სკვითურ-სარმატულ არქეოლოგიურ კულტურებში აღმოჩენილ შუბისპირთა ერთ ჯგუფს: ვიწროპირიანი, მეტ-ნაკლებად გამოკვეთილმხრებიანი ტიპის შუბისპირები, მასრაგახსნილები, ცნობილია დნეპრისპირეთიდან, ძვ.წ. IV-III სს. სამარხებიდან [31, გვ. 48, ტაბ. $36_{13, 14, 15}$], მათ შორის ჩერტომლიკის ცნობილი სამარხიდან [25, ტაბ. 31-37]. ასევე გვხვდება ეს ტიპი ე.წ. სარმატულ კულტურაში [35, გვ. 48, ტაბ. XXVVII_9], სადაც ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობს. ამ ტიპის შუბისპირები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც არის აღმოჩენილი [25, ტაბ. 99_{26}]. ასე რომ ე.წ. ამიერკავკასიური ტიპის შუბისპირი კავკასიაში უწყვეტად ჩანს საუკუნეთა მანძილზე. მართლაც, ვიწროპირიანი რკინის შუბისპირები, როგორც წითელი შუქურას მასალების მიხედვითაც ჩანს, ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში გვხვდება. ამას შეიძლება თლიას სამაროვნის სამი რკინის შუბისპირიც დაემატოს, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრით და ძვ.წ. VI ს-ით თარიღდება [32, გვ. 59, სურ. 5, 10, 14]. ასე რომ ანტიკურ ხანაში გავრცელებული ვიწროპირიანი შუბისპირები წინა პერიოდის ანალოგიური ტიპიდან შეიძლება განვითარებულიყო და გარკვეული ტრანსფორმაციით დიდი დროის მანძილზე ეარსება. ვიწროპირიანი შუბები გვხვდება მეოტურ სამარხებშიც, სადაც, დასავლეთ საქართველოს კომპლექსების ანალოგიურად, ერთ სამარხში რამდენიმე შუბია ფიქსირებული [25, ტაბ. $93_{48, 11}$]. დევე ჰუიუკის სამაროვანზე, ძვ.წ. V-IV სს. სამარხებში აღმოჩენილ შუბისპირებს შორის ვიწროპირიანი ნიმუშებიც არის [40, გვ. 60, ტაბ. 9-10, № 167, 168].

ცალკე დგას შუბისპირები, რომელთაც წაგრძელებული რომბის ფორმა აქვთ. მასრა ყოველთვის კონუსურია, მრგვალგანივკვეთიანი, გახსნილი, იშვიათად – შეკრული. წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირები განივკვეთისა და პროპორციების მიხედვით განსხვავებულ ვარიაციებს გვაძლევს. იმ შემთხვევაში, როცა პირის უდიდესი სიგანე ტოლია ან უმნიშვნელოდ აღემატება მასრის სიგანეს, გვაქვს წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირის ტიპის ვიწროპირიანი ვარიანტი. მასრა, ჩვეულებრივ, საერთო სიგრძის ნახევარია ან ნაკლები (ტაბ. I_4). ამავე დროს ამ შუბისპირებს შორის გვხვდება გრძელმასრიანი (ტაბ. I_7) და გრძელპირიანი (ტაბ. I_6) ნიმუშები.

წაგრძელებული რომბის ფორმის შუბისპირების ვიწროპირიან ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ერთი ნაწილი იმ შუბისპირებისა, რომლებიც აღმოჩენილია წითელ შუქურას სამაროვნის ე.წ. უფროსი ჯგუფის შემდეგ სამარხებში: №№ 4, 9, 14, 88, 82, 83, 84 [33, ტაბ. VI_{13}, XXI_{15}, გვ. 137]. მათ მხრებს აქვთ აშკარად გამოკვეთილი კუთხე, რომბული ან ცენტრალურლილვიანი განივკვეთი და გახსნილი კონუსური მასრა; სიგრძე მერყეობს 15, 25-36 სმ შორის. აღნიშნული სამარხები ძვ.წ. VII-V სს. ფარგლებში თავსდება (წითელი შუქურას უფროსი ჯგუფის ქრონოლოგიის შესახებ იხ. ქვემოთ).

წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის №1 სამარხში (ძვ.წ. V ს.) ნაპოვნი შუბისპირიც ამ ჯგუფთან უნდა ვახსენოთ; მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი მხრები და ძალზე გრძელი, ვიწრო პირი (საერთო სიგრძე 62 სმ), ცენტრალურლილვიანი განივკვეთი [33, გვ. 209, 271, ტაბ. XXXVI_{13}] და კონუსური მასრა (ტაბ. I_6). ამავე სამარხში იყო ექვსი ე.წ. „ვიწროპირიანი" შუბისპირი, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი. აქ საინტერესოა, რომ ერთ სამარხში შვიდი შუბისპირი იყო. ასეთივე გრძელპირიანია ეცოს № 72 სამარხის შუბისპირი. ამ ტიპის შუბისპირები ნაპოვნია სოხუმის მთაზე №№ 6, 8, 11, 12 სამარხეულ კომპლექსებში [7, გვ. 33, ტაბ. $IX_{16, 17, 18}$; გვ. 34, IX_3, X_4; გვ. 51, $IX_{2, 3}$]. ყველა ერთი ტიპისაა, ე.წ. წაგრძელებული რომბის ფორმის, ცენტრალურლილვიან განივკვეთიანი, მასრაგახსნილი. სხვაობას არ გვაძლევს პროპორციებში, სიგრძე მერყეობს 20-40 სმ შორის. აღნიშნული სამარხეული კომპლექსები ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [28, გვ. 5]. ამ ჯგუფის შუბისპირები ნაპოვნია ასევე ეშერის ნამოსახლარზე, ძვ.წ. IIIს. სამარხში [38, გვ. 48, ტაბ. XIV_1], რომბულგანივკვეთიანი, გახსნილ კონუსურმასრიანი, 30 სმ სიგრძისა. გუადიხუს სამაროვნის უფროსი ჯგუფის სამარხებში - №№ 2, 7, 8, 11, 13, 19, 23, 31 [33, გვ. 62; სურ. 3_3; სურ. $6_{4, 5, 6}$, ტაბ. II_4]. ე.წ. უმცროსი ჯგუფის სამარხებს შორის ამ ტიპის შუბისპირები ვერ მოვიძიეთ. ეს სამარხები ძვ.წ. VI-IV სს. თარიღდება [28, გვ. 7].

ასეთი შუბისპირები ნაპოვნია ვანის ნაქალაქარზე, № 9 სამარხში, რომელიც, როგორც ითქვა, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება. მათ წაგრძელებული რომბის ფორმა და ცენტრალურლილვიანი განივკვეთი აქვთ, ისინი ოთხი განსხვავებული სიგრძისაა: 21,5 სმ; 29 სმ; 33 სმ; 40 სმ (ტაბ. I_{14-17}). ამ სამარხში 53 შუბისპირი იყო. აქედან 30 ე.წ. ვიწროპირიანთა სახეობას მივაკუთვნეთ და მათშიაც დადგინდა ოთხი განსხვავებული სიგრძე: 33 სმ, 37 სმ, 40 სმ, 47 სმ (ტაბ. I_{10-13}); ორი განსხვავებული ტიპის შუბისპირის ოთხი განსხვავებული „სტანდარტის" არსებობა ერთ სამარხში მიგვანიშნებს მათ განსხვავებულ ფუნქციაზე. ამათგან ნაწილი მასრაგახსნილია, ნაწილი – მასრაშეკრული. დიდი ზომისანი, როგორც წესი, მასრაგახსნილებია. შუბისპირის მასრის სახეობა - მასრაგახსნილი, მასრაშეკრული - შუბისპირების გამოჭედვის ტექნოლოგიურ პროცესზეა დამოკიდებული: მასრაშეკრული შუბისპირების შემთხვევაში გახურებული ნამზადისაგან მასრის გამოჭედვა ხდებოდა სპეციალური სახვრეტი სამარჯვით. მასრაგახსნილი შუბისპირებისთვის კი სამასრე-სამარჯვზე შემოიჭედებოდა ლითონი [5, გვ. 217]. ამავე ტიპის შუბისპირები ნაპოვნია ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთი სასიმაგრო ზოლის გალავნის კედელთან, ძვ.წ. I ს-ის ალიზის კედლის ნანგრევების ქვეშ - მასრაშეკრული, ცენტრალურლილვიანგანივკვეთიანი და კარიბჭესთან, წრიული კოშკის ძვ.წ. I ს-ის ნანგრევების თავზე [10, გვ. 181, სურ. 137_7, 138_1, $155_{2, 3, 5, 6}$]. ყველა ერთი ზომისაა, 21-21,5 სმ სიგრძისა. აქვე იყო სამი მომრგვალებულპირისკიდიანი, განივკვეთში ცენტრალურლილვიანი შუბისპირი, იმავე ზომის, რაც ამ ფორმათა თანაარსებობაზე მიგვანიშნებს. დაბლაგომის ე.წ. კრამიტით დახურულ მდიდრულ სამარხში, რომელიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება, აღმოჩენილია შუბისპირი, მასრაგახსნილი, განივკვეთში ცენტრალურლილვიანი, 22 სმ სიგრძისა [6, გვ. 76, სურ. 117_3]. ამავე ჯგუფის შუბისპირებია აღმოჩენილი ითხვისის № 2 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და III ს-ის დასაწყისით თარიღდება ბოლოდროინდელი გამოკვლევებით [39,

გვ. 176], მათ აქვთ მკვეთრი კუთხეები მხრებთან, გახსნილი მასრა და ცენტრალურლილვიანი განივკვეთი; 20-24 სმ სიგრძისანია [30, ტაბ. IX_5, გვ. 84].

ბეშთაშენის სამაროვანზე, №№ 10, 6, 22, 15, 33, 32, 48, 41, 55 სამარხებში [11, ტაბ. XI_{353}, $XII_{401, 402, 3822}$, $XIII_{458, 459}$, $XIV_{477, 503}$, XV_{533}] აღმოჩენილ შუბისპირებს რომბული განივკვეთი და მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი მხრები აქვთ [4, ტაბ. $VI_{1, 4-6, 7-10}$]. ზოგი ნიმუშის მიკუთვნება მკაფიოდ გამოკვეთილმხრებიანი (ე.წ. წაგრძელებული რომბისებრი) ტიპისათვის პირობითია, რადგან ისეა დაზიანებული, რომ პირის კონტურის განსაზღვრა ჭირს. სიგრძე მერყეობს 20-26,7 სმ შორის. მათ შორის გვხვდება ერთი ე.წ. გრძელპირიანი ვარიანტი, ანალოგიური ეცოს № 72 სამარხის და წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხისა (სამარხი № 55) [11, გვ. 139, ტაბ. XV, № 533], 26,4 სმ-ის სიგრძისა. სამაროვანი ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. ამ ტიპის შუბისპირები ასევე აღმოჩენილია კუმისის სამაროვანზე, რომელიც ბეშთაშენის სამხრეთი უბნის სამაროვნის თანადროულია [4, გვ. 114-115, ტაბ. VI]. კიკეთის სამაროვანზე, რომელიც ბეშთაშენის სამაროვნის ანალოგიურად ძვ.წ. V ს-ით თარიღდება [4, გვ. 38-39, ტაბ. VI_3]. გომარეთის სამაროვანზე, ქვაყუთში, რომელიც, როგორც მთლიანად სამაროვანი, პარალელური მასალით ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [4, გვ. 139-140, 170, ტაბ. XVI_2], ქედი სუსტად აქვს გამოხატული, 35,3 სმ-ის სიგრძისაა.

ბეშთაშენის სამაროვნის სამხრეთ უბანზე გამოვლენილი შუბისპირების საერთო რაოდენობაა 14 ერთეული, აქედან ერთ სამარხში (№ 22) იყო ორი ერთნაირი შუბისპირი, დანარჩენში თითო-თითო, ე.ი. ცამეტ სამარხში იყო თოთხმეტი შუბისპირი (№№ 2, 6, 7, 10, 15, 22, 32, 33, 33, 35, 36, 41, 48, 55). ბეშთაშენის სამაროვნის სამხრეთი უბნის მასალა ანალოგიების მიხედვით ძვ.წ. V ს-ით უნდა დათარიღდეს [4, გვ. 114-1115].

ბეშთაშენის სამაროვნის მაგალითის მიხედვით ძვ.წ. V ს-ში შუბისპირების ორი სახეობა თანაარსებობს: I - ე.წ. წაგრძელებული რომბის ვიწროპირიანი (რომელსაც ქვედა მხარეს მეტ-ნაკლებად მკვეთრად გამოხატული კუთხეები აქვს. ტაბ. I_4) და II - პირფართო, მომრგვალებულმხრებიანი (ანუ ისეთი, რომლის განიერი ქვედა ნაწილი მომრგვალებულია) და განივკვეთში ცენტრალურლილვიანი (ტაბ. I_3).

ამავე ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია ეცოს სამაროვანზე, №№ 23, 41, 72 სამარხებში, ძვ.წ. IV-III სს. [18, ტაბ. 1, 5, 6]. ამათგან № 41 სამარხისა გრძელმასრიანია და მოკლე რომბულთავიანი (სიგრძე 19,5 სმ, მასრისა 11 სმ, თავისა 865 სმ), ხოლო № 72 სამარხისა გრძელპირიანია (31 სმ სიგრძისა, პირის სიგრძე 22 სმ, მასრისა - 9 სმ). შავსაყდარას სამაროვანზე, ორი წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირი, რომელთაგან ერთი მასრაშეკრულია, ცენტრალურლილვიანი განივკვეთით, 24 სმ სიგრძისა, მეორე კი გრძელმასრიანია, ცენტრალურლილვიანი განივკვეთით, 15 სმ სიგრძისა. სამაროვანი ძვ.წ. V- III სს. თარიღდება [34, გვ. 17-28, ტაბ. $XXVII_{5, 15}$]. ყანჩაეთის სამარხში, სადაც ექვსი შუბისპირიდან ერთი წაგრძელებულრომბისებრპირიანია [2, გვ. 52-53, ტაბ. XI_{36}], გრძელმასრიანი, ცენტრალურლილვიანი განივკვეთით, 21 სმ სიგრძისა. ეს სამარხი დღეს „ახალგორის განძის" ტიპის ნივთების შემცველი სამარხების რიგში დგება და უახლესი გამოკვლევებით მათთან ერთად ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [39, გვ. 180-182]. კამარახევის სამაროვანზე, № 131 სამარხში, რომელიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება, ერთი ნიმუშია, მასრაგახსნილი, მკაფიო კუთხეებით მხართან [22, სურ. 1385]. ციხედიდის სამაროვანზე, № 15 ქვაყუთში, ძვ.წ. IV-III სს. [24, გვ. 47-51, ტაბ. $XCIV_5$]. წაგრძელებულ რომბისებრი შუბისპირების გრძელმასრიანი სახესხვაობანი ნაპოვნია ნაცარგორას სამაროვანზე, №№ 78, 49, 93, 351, 479 სამარხებში (ტაბ-ზე № 268, 137, 320, 1258, 961), განივკვეთში ცენტრალურლილვიანები (ს. № 78, 479, 93, 351) და რომბულგანივკვეთიანი (ს. № 49).

ეცოს სამაროვანზე (თეთრიწყაროს რ-ნი) აღმოჩენილია თერთმეტი შუბისპირი. 120 გათხრილი კომპლექსიდან იარაღს შეიცავდა 37. შუბისპირები აღმოჩენილია №№ 23, 41, 55, 59, 72, 80, 86, 94, 96, 120 სამარხებში, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება [18]. საყურადღებოა, რომ ეცოს სამარხებში სატევარი და მახვილი არ არის ნაპოვნი.

ეცოს სამაროვანზე შუბისპირთა რამდენიმე ნაირსახეობაა წარმოდგენილი (№№ 86, 120, 96 სამარხების შუბისპირები დაშლილია და ფორმა არ ისაზღვრება): წაგრძელებული რომბისებრი თავისი გრძელმასრიანი და გრძელპირიანი ვარიანტებით (ტაბ. I_{6-7}) და ე.წ. მომრგვალებულმხრებიანი ფართოპირიანი (ს. № 80, ტაბ. I_3), რაც იმის მაუწყებელია, რომ ძვ.წ. IV-III სს. ეს ფორმები თანაარსებობს.

როგორც ზემოთ ითქვა, წაგრძელებულრომბისებრი მოყვანილობის შუბისპირებს

შორის არის ისეთები, რომელთა უდიდესი სიგანე ბევრად აღემატება მასრის სიგანეს (ტაბ. I,5), რაც წაგრძელებულრომბისებრ ფართოპირიან ნიმუშს გვაძლევს. მათ, როგორც წესი, ცენტრალურლილვიანი განივკვეთი აქვთ.

ამდაგვარი შუბისპირები აღმოჩენილია: ეცოს სამაროვანზე, ძვ.წ. IV-III სს. სამარხებში №№ 55, 59, 82, 94 (18, ტაბ. 3, 4), 20-22 სმ სიგრძისა. ვარსიმაანთკარის სამაროვანზე (ძვ.წ. V-IV სს.), №№ 3, 5, 9, 12 სამარხებში, ერთიც - შემთხვევითი აღმოჩენა [20, გვ. 52-64, ტაბ. XVIII_1, XIX_1, XXI_4, $XXIII_{3,4}$]. სიგრძე მერყეობს 10-35 სმ შორის. ვარსიმაანთკარის სამაროვანი თანადროულ სამარხებს მოიცავს და პარალელური მასალის საფუძველზე ძვ.წ. V-IV სს-ით არის დათარიღებული [20, გვ. 75-76]. ამ ტიპის შუბისპირი უფლისციხეშიც აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით დათარიღებულ კომპლექსში [17, გვ. 74-82]. ნაცარგორაზე ამგვარი შუბისპირი №№ 104, 84 სამარხებშია ნაპოვნი (№№ 353, 292), 35-38 სმ სიგრძისა (ტაბ. XXXII_5). ირკვევა, რომ წაგრძელებულრომბის მოყვანილობის ფართოპირიანი ნიმუშები ჯერჯერობით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოშია აღმოჩენილი და ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება. საყურადღებოა, რომ ამ ტიპის შუბისპირები კავკასიის ალბანიაში ძვ.წ. IV-III სს-ში გვხვდება - შემახაში, რუსტოვში [36, გვ. 94-95, 98, ტაბ. $I_{26, 27}$].

კიდევ ერთ ნაირსახეობას გვაძლევს შუბისპირები, რომელთა მასრა თანდათან გადადის პირზე. ამ უკანასკნელს მრუდხაზოვანი გვერდები აქვს და უდიდეს სიგანეს პირის შუა ნაწილში აღწევს, ვიწროვდება პირის სიგრძის ბოლო მესამედში, მასრა გახსნილია, კონუსური (ტაბ. I_2).

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია გუადიხუს სამაროვნის ძვ.წ. VI-IV სს. შემდეგ სამარხებში: №№ 2, 7, 23, 19 და 8 [33, გვ. 62, სურ. 3-ის 2, 6-ის 2 და 3, ტაბ. $II_{1, 2, 3, 10}$, XXXIII_5]; სოხუმის მთაზე, № 9 სამარხში, სადაც სამი, ზუსტად ერთნაირი, მაგრამ სამი განსხვავებული ზომის შუბისპირი აღმოჩნდა შესაბამისი სამი მუჯირით [7, ტაბ. IX_{7-12}]. ამ ტიპის შუბისპირები ნაპოვნია კამარახევის სამაროვანზე, ძვ.წ. IV-III სს-ის სამარხებში (სამარხები №№ 6, 11, 24) [22, გვ. 144, 148, სურ. 71, 951, 976] და ეშერაში [იხ. 25, ტაბ. 140_9].

მსგავსი შუბისპირები დნეპრისპირეთში ძვ.წ. V ს-ში ჩნდება და ძვ.წ. V-IV სს-თვისაა დამახასიათებელი: პირის კიდეებს მრუდი კონტური აქვთ, მოკლე მასრა [31, გვ. 48, 54; ტაბ. 36-ის 1, 2, 3]. ასევე, ამ ტიპისად შეიძლება მივიჩნიოთ ვოლგისპირეთის მრუდკონტურიანი პირის მქონე შუბისპირები [იხ. 35, ტაბ. $XXIV_{5, 7, 8}$, $XXV_{1, 3}$, XXVI_4]; ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ძვ.წ. დასასრულის საუკუნეებითა და ახ.წ. დასაწყისით თარიღდება [35, გვ. 46-47]. მათ მოკლე მასრა აქვთ, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, ირგვლივი ლილვი აქვს ბოლოზე შემოვლებული. ჩრდილოეთ კავკასიის სიძველეთა შორის ძვ.წ. III-I სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშიც გვხვდება მსგავსი შუბისპირები [25, ტაბ. 110_8].

ასე რომ, ზემოთ მოხსენებული შუბისპირები საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI-III სს-შია გავრცელებული.

აღსანიშნავია, რომ კამარახევის სამაროვანზე ნაპოვნია შუბისპირები, რომელთა დაცულობა არ იძლევა ტიპის განსაზღვრის საშუალებას. ასეთია ოცდაერთი ნიმუში. ვიცით მხოლოდ, რომ ყველა მასრაგახსნილია და თარიღდება ძვ.წ. V-III სს-ით [22, გვ. 169].

ცალკე ტიპშია გაერთიანებული შუბისპირები, რომელთაც აქვთ მომრგვალებული მხრები; სწორი, წვერისკენ თანდათან ან მკვეთრად დავიწროებული გვერდები; ამ ტიპის შუბისპირები უდიდეს სიგანეს მასრისკენ აღწევენ. მასრა ღრუა, კონუსური, გახსნილი (ტაბ. I_3); განივკვეთის მიხედვით გვხვდება ცენტრალურლილვიანი და რომბულგანივკვეთიანი; პროპორციების მიხედვით რამდენიმე ვარიანტს გვაძლევს – გრძელმასრიანი; ფართოპირიანი; ვიწროპირიანი.

ყველაზე ადრეული ნიმუშები ამ ტიპის შუბებისა აღმოჩენილია წითელი შუქურას და გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხებში; წითელი შუქურას სამაროვანზე ასეთი შუბისპირი აღმოჩენილია № 4 სამარხში, სადაც მასთან ერთად წაგრძელებული რომბის ფორმის ფართოპირიანი ნიმუშიცაა წარმოდგენილი [33, ტაბ. VI_{12-13}]. ეს სამარხი ძვ.წ. VI-V სს-ითაა დათარიღებული. გუადიხუს უფროსი ჯგუფის სამარხი № 7, სადაც ამ ტიპის შუბისპირია აღმოჩენილი, ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება [28, გვ. 7].

ბეშთაშენის სამაროვანზე 5 ასეთი შუბისპირი გვაქვს, №№ 2, 7, 6, 35 და 36 სამარხებიდან. აქედან № 7 სამარხის ნიმუში ფართოპირიან და გრძელმასრიან ვარიანტს მიეკუთვნება. ეს სამარხები, როგორც ითქვა, ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება. ასეთივე შუბისპირები გვხვდება ეცოს სამაროვანზე, № 80 და № 2 სამარხში; ფართოპირიანი ცენტრალურლილვიანი [18, ტაბ. 1, 5, 6] - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარის სამარხებში. ისინი მკაფიოდ ფართოპირიანებია, მომრგვალებუ-

ლი მხრებით (ტაბ. I_3). ამ ტიპისაა ვარსიმა-ანთკარში აღმოჩენილ შუბისპირთაგან ერთი, რომელიც V-IV სს-ით თარიღდება, როგორც მთელი სამაროვანი და აქ საყურადღებოა, რომ მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირი მკაფიოდ ფართოპირიან, წაგრძელებულრომ-ბული მოყვანილობის ნიმუშებთან თანაარსებობს [20, ტაბ. $XVIII_{8,\ 508}$]. ანალოგიური ფორმის შუბისპირებია ნაპოვნი ყანჩაეთის ძვ.წ. IV ს-ის დასასრულისა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სამარხში [2, გვ. 52, № 34, 35; იხ. 39, გვ. 182]. ყანჩაეთში სულ 4 შუ-ბისპირი იყო, აქედან სამის პირი სამარხში ჩადების წინ საგანგებოდ იყო მოხრილი. ამ ტიპის შუბისპირების სიგრძე მერყეობს 25-36,5 სმ შორის. მსგავსი შუბისპირებია ნა-პოვნი სანთას სამაროვანზე, №№ 1, 2 ქვაყუ-თებში, ორი № 1 სამარხში და ერთი - № 2 სამარხში. ეს სამარხები ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება [3, გვ. 41-43, ტაბ. IV, $I_{2,\ 3}$, V, II_3]. ასეთივე შუბისპირია ნაპოვნი თაშბაშის სამაროვნის № 3 სამარხში, ქვაყუთში, რო-მელიც ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება სანთის ქვაყუთების მსგავსად [3, გვ. 57, 59, ტაბ. VIII, III_1]. მომრგვალებულმხრებიანი ექვსი შუბისპირი აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარზე; აქედან სამი - ჩრდილო-დასავლეთი სასიმაგ-რო ნაგებობის გათხრებისას, ძვ.წ. I ს-ის ალიზის კედლის ნანგრევებში. ისინი შეკ-რულმასრიანებია, აქვთ ცენტრალურლილვია-ნი განივკვეთი [10, გვ. 182; 5, გვ. 215, ტაბ. 138_1, 155_{1-6}]; შემდეგი სამი შუბისპირი კი აღ-მოჩნდა თორმეტსაფეხურიან საკურთხეველ-თან „საგანძურში," რომელიც ძვ.წ. I ს-თაა დათარიღებული [14, გვ. 75, სურ. 55_{1-3}]. ზომით ექვსივე ერთნაირია 21-21,5 სმ სი-გრძისა. ამ ტიპის შუბისპირები გვიანანტი-კური ეპოქისთვისაც ჩანს დამახასიათებელი, ისინი უმეტეს შემთხვევაში შეკრულმასრია-ნებია და შედარებით დიდი ზომებით გა-მოირჩევიან - 35-45 სმ. ამ ხანის მომრგვა-ლებულმხრებიანი შუბისპირები ნაპოვნია როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე - არაგვის ხე-ობაში ჟინვალის, წიფრანისძირისა და ნეძი-ხის სამაროვნებზე ახ.წ. II-IV სს. [19, გვ. 70-71, ტაბ. XX_{352}, VI, VII], კლდეეთის სა-მაროვანზე, ახ.წ. II ს-ის სამარხებში [8, გვ. 149-153, ტაბ. XXI, 2ა-დ, სურ. 29], ფერე-თაში, გორაში, ჩხოროწყუში ახ.წ. II-I სს. კომპლექსებში [21, გვ. 165, ტაბ. I_{1-2}], ძევრ-ში ახ.წ. II ს-ის სამარხში (15, ტაბ. V_{10-11}], მოდინახეს სამაროვანზე, ახ.წ. IV ს-ის სა-მარხებში [13, გვ. 59, ტაბ. XX_{1-2}], ეს უკა-ნასკნელნი აღჭურვილია რკინისაგე ოთხკუთ-ხაგანივკვეთიანი ე.წ. სამხრეულით, რომე-ლიც შეკრულ მასრაზეა მიმაგრებული და განკუთვნილია შუბისპირის ტარზე მოსარგე-ბად. როგორც ვხედავთ, მომრგვალებულ-მხრებიანი და სწორპირისკიდიანი შუბისპი-რები დიდ ქრონოლოგიურ შუალედს მოი-ცავს - ძვ.წ. VI-I სს. ახ.წ. IV სს. და სხვა ტიპის - წაგრძელებულრომბისებრპირიან ნი-მუშებთან ერთად გვხვდება. ისინი მსგავსია ჩრდილოეთ კავკასიაში [26, ტაბ. $47_{1,\ 2}$], ვოლგისპირეთში [35, ტაბ. $XXIV_{1,\ 2,\ 5,\ 6,\ 7}$] ნაპოვნი შუბისპირებისა.

მომრგვალებულმხრებიანი და ცენტრა-ლურლილვიანგანივკვეთიანი შუბისპირები ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი დიდ ტერი-ტორიაზე და ტრანსკავკასია ამ მხრივ გამო-ნაკლისს არ წარმოადგენს. ისინი ხშირად გვხვდება ანტიკურის წინარე ხანაში და ჩანს, რომ ეს ფორმა შუბის არსებობის ყვე-ლა ეპოქაში იყო ცნობილი.

ზემოგანხილულ შუბისპირთაგან სრუ-ლიად განსხვავებულ ტიპს ჰქმნიან შუბის-პირები, რომელთაც გვერდშეზნექილი სამ-კუთხედის ფორმა აქვთ (ტაბ. I_8). მათ აქვთ გრძელი და ვიწრო, კონუსური, გახსნილი მასრა, რომელიც საკუთრივ პირს მრგვალ-განივკვეთიანი ღეროთი უერთდება. სამკუთხა პირის ქვედა გვერდის შეზნექილობით ორი წვეტიანი „ფრთა" მიიღება, რომელიც შუბის-პირს წაგრძელებული დიდი ისრის იერს აძლევს [10, გვ. 181]. ზოგჯერ სამკუთხედის ქვედა გვერდი მკვეთრად, კუთხითაა შეზ-ნექილი და ასეთ შემთხვევაში ვამბობთ, რომ შუბისპირს აქვს გვერდშეტეხილი სამკუთხე-დის ფორმა (ტაბ. I_9). მათზე შეიმჩნევა ქედი. ამ ტიპის შუბისპირების სიგრძე მერყეობს 21-27 სმ შორის, ფრთებსშორისი მანძილი საშუალოდ 5 სმ-ია, პირის სიგრძე 13-14 სმ; მასრის სიგრძე 13 სმ-სა და 17 სმ-ს შორის ვარირებს, რომელიც ხშირად ნაკლულია.

ამ ტიპის შუბისპირები აღმოჩენილია სოხუმის მთის №№ 2 და 5 სამარხეულ კომპლექსებში [7, ტაბ. $VIII_{8,\ 22}$]; ვანის № 2 სამარხში [37, გვ. 115-118; 10, გვ. 181, სურ. 137_{1-3}]; დაბლაგომის სამარხში [6, სურ. 117]. სოხუმის მთის № 2 კომპლექსი, როგორც ითქვა, ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნითა და ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. სო-ხუმის მთის № 5 კომპლექსი კი, რომლის რკინის ინვენტარი მსგავსია სოხუმის მთის № 2 კომპლექსის იარაღისა (იდენტური სა-ტევარი, ცული, სამკუთხაპირიანი შუბისპი-რი), მათ სინქრონულობაზე მიგვანიშნებს. ამავე დროს, სოხუმის მთის № 3 კომპლექ-სი, რომელიც № 5 სამარხის ანალოგიურ ცულს შეიცავს [7, ტაბ. VIII], ძვ.წ. IV-III

სს-ით თარიღდება შავლაკიანი კანთაროსის მიხედვით [41, გვ. 315, 319; სურ. 5. 29; 27, გვ. 196].

რაც შეეხება დაბლაგომის ე.წ. მდიდრულ სამარხს, რომელშიც სამკუთხაპირიანი შუბებია, ამ სამარხის შემადგენლობაში მყოფი ნივთები აკონკრეტებენ სამკუთხაპირიანი შუბების თარიღს: ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი [6, გვ. 76-77]. ძვ.წ. III ს-ით თარიღდება ასევე ვანის № 2 სამარხი [37, გვ. 115; 10, გვ. 181].

შეზნექილგვერდიანი სამკუთხედის ფორმის შუბისპირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. IV-III სს-ში დნეპრისპირეთის დიდ ყორღანებში [31, გვ. 49, ტაბ. 36-ის 16-22; 10, გვ. 181]. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის შუბისპირებს ხელშუბისპირებად მოიხსენიებენ [31, გვ. 49].

საყურადღებოა, რომ ვანის № 2 სამარხში სამკუთხაპირიანი შუბი აღმოჩენილია რკინის ბექთარის ფრაგმენტებთან ერთად, რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ სამარხი მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანს ეკუთვნოდა [10, გვ. 181]. გარდა ამ ტიპის შუბისპირებისა, ამავე სამარხში იყო ორი ე.წ. ვიწროპირიანი შუბისპირიც, ეს ფაქტი სოხუმის მთის № 2 და დაბლაგომის მდიდრულ სამარხშიც ფიქსირდება - ერთდროულად ერთ სამარხში რამდენიმე შუბისპირია – ვიწროპირიანი, სამკუთხაპირიანი და წაგრძელებულრომბული.

სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც ითქვა, სამკუთხათავიან შუბისპირებს ხელშუბისპირებად მიიჩნევენ. რთული განსასაზღვრია, თუ რომელია „მძიმე საძგერებელი" ან „მსუბუქი სატყორცნი" შუბი. ერთი რამ კი ცხადია, რომ ერთსა და იმავე კომპლექსში განსხვავებული ტიპის შუბისპირების აღმოჩენა მათ გარკვეულ ფუნქციონალურ დატვირთვაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე სამკუთხაპირიანი შუბები დასავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი ძვ.წ. IV-III საუკუნეებში და ვიწროპირიანი და წაგრძელებული რომბისებრი შუბების პარალელურადაა ხმარებაში.

როგორც არქეოლოგიური მასალიდან ჩანს, შუბი ძირითადი საბრძოლო იარაღია საქართველოში ანტიკური პერიოდის განმავლობაში. სხვა სახის იარაღთან შედარებით შუბისპირები რიცხობრივად პირველ აღგილზეა, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე თითოეულ კომპლექსში. ამასვე გვიდასტურებს წერილობითი წყაროები – ანტიკური ეპოქის სხვადასხვა ეტაპზე, სადაც კი ქართველური მოსახლეობის შეიარაღების ხსენებაა, ყველგან ფიგურირებს შუბი. ძვ.წ. V საუკუნეში, ჰეროდოტესა და ქსენოფონტის ცნობების თანახმად, შუბები აქვთ კოლხებს, სასპერებს, მოსხებს, მოსინიკებს, ხალიბებს, [23, VII, 76, 78, 79, გვ. 435; 12, IV, 3-4, გვ. 75, IV, 7, 15-16, გვ. 81-82, IV, 8-7, გვ. 87, V, 2, 22, გვ. 95, V, 4, 12-14, გვ. 100, V, 4, 25, გვ. 103]. ძვ.წ. I ს-ში შუბოსნები არიან იბერები სტრაბონის ცნობით [16, XI, 4-5, გვ. 133]. შუბოსან იბერებს, როგორც განსაკუთრებით ძლიერ მებრძოლებს, ახსენებს პლუტარქე ძვ.წ. I საუკუნის მოვლენებთან კავშირში [23, 31, გვ. 263].

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში რამდენიმე შუბი იდება ერთად, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან, სადაც თითო სამარხში თითო შუბია წარმოდგენილი, ან, იშვიათად, ორი. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ კომპლექსში შუბის სამარხში ჩატანების გარკვეული წესი შეინიშნება. მაგალითად, ვანის № 9 სამარხში მეომარს სამი მხრიდან ჰქონდა შემოწყობილი 53 შუბი, ხოლო № 2 სამარხში შუბები წვერებით ერთ მხარეს – დასავლეთისაკენ იყო მიმართული [9, გვ. 202; 37, გვ. 116-117]. ვარსიმაანთკარის № 3 სამარხში შუბი ვერტიკალურად იყო ჩარჭობილი [20, გვ. 54], ხოლო გუადიხუს უფროსი ჯგუფის № 19 და ყანჩაეთის სამარხებში საგანგებოდ მოღუნული შუბისპირები დაფიქსირდა, რაც დაკრძალვის თავისებური რიტუალითაა ახსნილი [33, გვ. 63; 2, გვ. 52]. ეს ფაქტი თრიალეთში გვიანი ბრინჯაოს ხანაშიცაა ცნობილი [29, გვ. 66], სამთავროს სამაროვანზე კი ძვ.წ. VIII-VII სს. კომპლექსებში გვხვდება [1, გვ. 140]. შუბები დამტვრეული სახით თავსდებოდა ყუბანისპირეთში გათხრილ სამარხებშიც [35, გვ. 45].

როგორც ზემოთაც ითქვა, ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტიპის შუბისპირის თანაარსებობა ერთსა და იმავე ხანაში, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ერთ სამარხში ერთი ტიპის, მაგრამ მკაფიოდ განსხვავებული ზომის შუბისპირების არსებობა. მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ვანის № 9 სამარხი (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი), სადაც სახეზეა ვიწროპირიანი და წაგრძელებულრომბისებრი შუბისპირები ოთხი განსხვავებული ზომისა. მსგავს მოვლენას ვხვდებით სოხუმის მთის № 6 სამარხშიც (ძვ.წ. IV-III სს.), წითელი შუქურას უმცროსი ჯგუფის № 1 სამარხში (ძვ.წ. V ს.), დაბლაგომში (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი). ის, რომ ერთ მეომარს რამდენიმე სახის შუბს

ატანდნენ სამარხში, გვკარნახობს აზრს შუბების განსხვავებულ ფუნქციაზე. შედარებით მსუბუქი შუბები სატყორცნი შეიძლებოდა ყოფილიყო, სხვა – საძგერებელი. არის აზრი, რომ ვიწროპირიანი შუბები გამიზნული იყო აბჯრის გასარღვევად და ქვეითი ლაშქრისთვის მოსახერხებელი იქნებოდა შეჯავშნულ ცხენოსანთან შესაბმელად [35, გვ. 48]. საყურადღებოა, რომ საქართველოში ჭარბობს სწორედ ვიწროპირიანი შუბები.

ქართველური მოსახლეობის შუბების მრავალფეროვნებაზე მოგვითხრობენ წერილობითი წყაროებიც. ჰეროდოტე და ქსენოფონტი არა მხოლოდ ასახელებენ ქართველური მოსახლეობის შეიარაღების კატეგორიებს, არამედ ხშირ შემთხვევაში მათ აღწერას გვთავაზობენ. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხებს ჰქონდათ „მოკლე შუბები," ხოლო მოსხების „შუბის წვერები გრძელი იყო" (VII, 78-79), ხალიბებში კი „თითოეულს ორი შუბი ეპყრა" (VII, 76). იგივე ხალიბებს, ქსენოფონტის მიხედვით, „ეკავათ ხუთი წყრთის სიგრძის შუბები, რომელთაც მხოლოდ თითო შუბისპირი ჰქონდათ" (IV, 7, 15-16). ამ ცნობაში ხაზგასმულია განსხვავება ბუნიკიანი შუბისაგან, რომელიც ქსენოფონტს ხვდება პირიქითელ მოსინიკებთან – მათ ეკავათ „მარჯვენა ხელში ექვსწყრთიანი შუბი, რომელსაც თავში წვეტი ჰქონდა, ბოლოში კი სფერო" (V, 4-12). თუ გავითვალისწინებთ, რომ წყრთა 45 სმ ტოლია [12, გვ. 28], ეს ყოფილა 2,70 მ სიგრძის შუბი, რომელსაც თავში აქვს შუბისპირი, მეორე ბოლოზე კი სფერული ბუნიკი.

მოსინიკების შეიარაღებაში ქსენოფონტი, თვითმხილველი ამ მოვლენებისა, მკვეთრად მიჯნავს სატყორცნ შუბს საძგერებლისაგან და ასე ახასიათებს მას – მოწინააღმდეგემ მათ „დაუშინა შუბები. სხვებსაც ჰქონდათ შუბები, მაგრამ იმდენად მსხვილი და გრძელი, რომ კაცი ძნელად თუ შეძლებდა მის ტარებას. ამ შუბებით ცდილობდნენ ისინი ელინების მოგერიებას ხელჩართულ ბრძოლაში" (V, 4-25). არქეოლოგიურ მონაპოვარში ჩვენ ვერ ვარჩევთ შუბისპირებს შორის სატყორცნ და საძგერებელ ნიმუშებს, მაგრამ ასეთი უთუოდ იქნებოდა. ძვ.წ. V საუკუნისათვის, წყაროების ზემომოტანილი ცნობების დროისათვის, ჩვენ გვაქვს შემდეგი ტიპის შუბისპირები – ვიწროპირიანი, წაგრძელებულრომბისებრი, მომრგვალებულმხრებიანი ნიმუშები თავისი გრძელპირიანი და მოკლეპირიანი ვარიანტებით. ასეთივე სურათია მომდევნო საუკუნეებში. აქედან პირველი ჯგუფის შუბისპირები, როგორც ზემოთაც ითქვა, ძვ.წ. III ს-ის ჩათვლითაა მხოლოდ გავრცელებული და ისიც ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოში. წაგრძელებულრომბული და მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები მთელი ანტიკური ეპოქის მანძილზე გვხვდება პირის მოკლე და გრძელი, ვიწრო და ფართო ვარიანტებით. მრუდგვერდებიანი ნიმუშები ძვ.წ. VI-III სს. გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შეზნექილგვერდიანი სამკუთხედისებრპირიანი შუბისპირები საქართველოში ჩნდება ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს და გვხვდება ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. III ს-ით დათარიღებულ კომპლექსებში. უკანასკნელი ტიპის შუბები მხედრის შეიარაღებადაა მიჩნეული [25, გვ. 93, ტაბ. 31, 38].

შუბის დანიშნულებაზე წარმოდგენას შეგვიქმნიდა შუბის სიგრძე, რასაც მოკლებული ვართ შუბის ტარების შემოუნახაობის გამო. გრძელი შუბები უპყრიათ ხელთ ბოსფორის აკლდამების კედლებზე გამოსახულ მხედრებს, ასევე ფრესკებსა და რელიეფებზე წარმოდგენილ ირანელ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსნებს [35, გვ. 49]. საქართველოში, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, არ ჩანს მასშტაბურად მძიმედ შეიარაღებული მხედრობა. ვგულისხმობთ ცხენის ჩონჩხისა და ცხენის აკაზმულობის სიმცირეს საქართველოს კომპლექსებში სხვა კულტურებთან შედარებით.

შუბი საქართველოში მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში ძირითადი საბრძოლო იარაღია და შუბისპირის ფორმისა და პროპორციების მიხედვით ხუთ განსხვავებულ ტიპს გვთავაზობს თავისი ვარიანტებით.

ლიტერატურა

1. **აბრამიშვილი რ.** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX-A, XXI-B, თბ., 1957.

2. **გაგოშიძე ი.** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

3. **გაგოშიძე ი.** თრიალეთის სამაროვნები, III, თბ., 1982.

4. **დავლიანიძე ც.** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.

5. **თავაძე ვ., საყვარელიძე თ., ინანიშვილი გ.** ვანში აღმოჩენილი რკინის ნივთების კვლევის შედეგები, ვანი II, თბ., 1976, გვ. 215-220.

6. თოლორდავა ვ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან, ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.

7. კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1953.

8. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

9. ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972, გვ. 198-242.

10. ლორთქიფანიძე გ. საბრძოლო და საშეურნეო იარაღი, ვანი II, თბ., 1976, გვ. 167-190.

11. მენაბდე მ., დავლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები, I, თბ., 1968.

12. მიქელაძე თ. ქსენოფონტის „ანაბაზისი" (ცნობები ქართველი ტომების შესახებ), თბ., 1967.

13. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

14. ფირცხალავა მ., ყიფიანი გ. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში 1978-1981 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები (თორმეტსაფეხურიანი საკურთხევლის არე), ვანი VIII, თბ., 1986, გვ. 52-78.

15. ფუთურიძე რ. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მსკა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 54-94.

16. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1957.

17. ყიფიანი გ. უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი (კატალოგი და შენიშვნები), არქეოლოგიური ჟურნალი, ტ. I. თბ., 2000, გვ. 74-95.

18. შატბერაშვილი ვ. ეცოს სამაროვნის ქრონოლოგიის საკითხი, ძიებანი, № 3, თბ., 1999, გვ. 57-67.

19. ჩიხლაძე ვ. არაგვის ხეობა ახ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში (ჟინვალის სამაროვნის მიხედვით). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

20. წითლანაძე ლ. ვარსიმაანთკარის სამაროვანი, კრ. „ჟინვალი", I, 1983, გვ. 52-76.

21. ხარაბაძე ს. ახ.წ. I-II სს-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რ-ნი). კრ. „იბერია-კოლხეთი," №1, ძიებანის დამატებანი IX, თბ., 2003, გვ. 164-169.

22. ჯღარკავა თ. კამარახევის სამაროვანი, მცხეთა VI, თბ., 1983, გვ. 139-190.

23. ჰეროდოტე. ისტორია (ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა), ტ. 1, 2, თბ., 1975-1976.

24. Апакидзе А.М., Николаишвили В.В. и др. Археологические раскопки в Мцхета и ее округе, ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 1987, с. 47-51.

25. Археология СССР, Степи европейской части СССР в скифо-сарматское время, М., 1989.

26. Виноградов В.Б. Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время (VII-IV вв. до н.э.), Грозный, 1972.

27. Иванов Т. Античная керамика от некропола на Аполония. Аполония. Разкопките в некропола на Аполония през 1947-1949, София, 1963.

28. Квирквелия Г.Т. Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. Автореферат диссертации на соискание степени кандидата исторических наук, Тб., 1981.

29. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.

30. Лордкипанидзе Г. Колхида в VI-II вв. до н.э., Тб., 1978.

31. Петренко В.Г. Правобережье среднего приднепровья в V-III вв. до н.э., САИ, D1-4, М., 1967.

32. Техов Б.В. Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э., М., 1980.

33. Трапш М.М. Труды, 2, Сухуми, 1969.

34. Тушишвили Н.Н., Амиранашвили Д.Ш., Маргишвили С.Г. Археологическая экспедиция Алгетского ущелья, ПАИ 1984-85, Тб., 1987, с. 17-28.

35. Хазанов А.М. Очерки военного дела Сарматов, М., 1971.

36. Халилов Д.А. Кавказская Албания, Археология СССР, Древнейшие государства Кавказа и Средней Азии, М., 1985, с. 93-105.

37. Хоштариа Н.В. О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг., ванн IV, тб., 1979, гг. 115-134.

38. Шамба Г.К. Эшерское Городище, Сухуми, 1980.

39. Lordkipanidze O. The "Akhalgori Hoard", An attempt at dating and Historical Interpretation, "Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan", B. 33, 2001, Berlin, S. 143-190.

40. Moorey P.R.S. Cemeteries of the first mill. B.C. at Dave Hüyük, near Carchemish, salvaged by T.E. Lawrence and C.L., Wooley in 1913, BAR International Series 87, 1980.

41. Thompson H.A. Two centuries of Hellenistic Pottery, Hesperia, t. III, 1934.

შუბის ტიპი	აღმოჩენის ადგილი	თარიღი	რაოდენობა	საერთო რაოდენობა
I. ე.წ. ვიწროპირიანი	წითელი შუქურას უფრ.ჯგ. სამარხები №№ 2, 4, 28, 88.	ძვ.წ. VI-V სს.	6 ც.	
	წითელი შუქურას უმცრ.ჯგ. სამარხი № 1.	ძვ.წ. V ს.	6 ც.	
	გუადიხუს უმცრ.ჯგ. სამარხები №№ 1, 8, 38.	ძვ.წ. IV-III სს.	9 ც.	81 ც.
	სოხუმის მთა, სამარხები №№ 2, 6.	ძვ.წ. IV-III სს.	6 ც.	
	ახულ აბაა, დანგრეული სამარხი.	ძვ.წ. IV ს.		
	ვანის ნაქალაქარი, სამარხი № 2 და № 9.	ძვ.წ. III სს. ძვ.წ. IV ს-ის III მეოთხედი.	8 ც. 8 ც.	
	დაბლაგომის სამარხი.	ძვ.წ. III ს. დასაწყ.	30 ც. 8 ც.	
II. წაგრძელებულ რომბისებრპირიანი ა. ვიწროპირიანი ვარიანტი.	წითელი შუქურას უფრ.ჯგ. სამარხები №№ 4, 9, 14, 82-84, 88.	ძვ.წ. VII-V სს.	10 ც.	
	წითელი შუქურას უმცრ. ჯგ. სამ. № 1	ძვ.წ. V ს.	1 ც.	
	გუადიხუს უფრ.ჯგ. სამარხები №№ 2, 7, 8, 11, 13, 19, 23, 31.	ძვ.წ. VI-V სს.	10 ც.	
	ბეშთაშენის სამაროვანი, სამარხები №№ 6, 10, 15, 32, 33, 41, 48, 55.	ძვ.წ. V-IV სს.	10 ც. 1 ც.	
	კუმისის სამაროვანი.	ძვ.წ. V ს.	1 ც.	
	კიკეთის სამაროვანი.	ძვ.წ. V-IV სს.		
	სოხუმის მთა, სამარხები №№ 6, 8, 11, 12.		7 ც.	
	ახულ აბაა, სამარხი.	ძვ.წ. IV-III სს.	2 ც.	
	ეშერის ნამოსახლარი, სამარხი № 5.	ძვ.წ. IV ს.	1 ც.	112 ც.
	დაბლაგომის სამარხი.	ძვ.წ. III ს. ძვ.წ. III სს. დასაწყისი.	2 ც. 23 ც.	
	ვანის ნაქალაქარი, სამარხი № 9.	ძვ.წ. IV ს-ის III მეოთხედი.	3 ც.	
	ითხვისი, სამარხი № 2.	ძვ.წ. IV ს-ის დასას.- III ს-ის დასაწყისი.	1 ც. 1 ც.	
	ყანჩაეთის სამარხი.	ძვ.წ. IV-III სს.	1 ც.	
	გომარეთის სამაროვანი, ქვაყუთი.		1 ც.	
	ეცოს სამაროვანი, სამარხი № 23.	ძვ.წ. V-IV სს.	1 ც.	
	შავსაყდარას სამაროვანი.			
	კამარახევის სამაროვანი, სამარხი № 131.		1 ც.	
	ციხედიდის სამაროვანი, ქვაყუთი № 15	ძვ.წ. IV-III სს.	5 ც.	
	ვანის ნაქალაქარი, კულტ. ფენა.	ძვ.წ. I ს.		
	ეცოს სამაროვანი სამარხი № 41.		1 ც.	
	შავსაყდარას სამაროვანი.	ძვ.წ. IV-III სს.	1 ც.	
გრძელმასრიანი სახესხვაობანი	ნაცარგორას სამაროვანი, სამარხები №№ 49, 78, 93, 351, 479.	ძვ.წ. V-III სს.	5 ც.	
	ეცოს სამაროვანი, სამარხი № 72.		1 ც.	
გრძელპირიანი სახესხვაობა	ეცოს სამაროვანი, სამარხები №№ 55, 59, 82, 94.	ძვ.წ. IV-III სს.	4 ც.	
ბ.ფართოპირიანი ვარიანტი	ვარსიმაანთკარის სამაროვანი, სამარხები №№ 3, 5, 9, 12.	ძვ.წ. IV-III სს.	5 ც.	
	უფლისციხე, ე.წ.კლდოვანი სამარხის ინვენტარი.	ძვ.წ. V-IV სს.	1 ც.	
	ნაცარგორას სამაროვანი, სამარხები №№ 84, 104.	ძვ.წ. IV ს. დასასრ.	2 ც.	

III. მრუდხაზოვან პირისკიდიანი	გუადიხუს უფრ.ჯგ. სამარხები №№ 2, 7, 19, 23. გუადიხუს უმცრ.ჯგ. სამარხი № 8. სოხუმის მთა, სამარხი № 9. ეშერის ნამოსახლარი. კამარახევის სამაროვანი, სამარხები №№ 6, 11, 24.	ძვ.წ. VI-V სს. ძვ.წ. IV ს. ძვ.წ. V-IV სს. ძვ.წ. III ს. ძვ.წ. IV-III სს.	12 ც. 1 ც. 3 ც. 1 ც. 3 ც.	20 ც.
IV. მომრგვალებულ მხრებიანი ფართოპირიანი სახეობა	წითელი შუქურას უფრ. ჯგ. სამარხი № 4. გუადიხუს უფრ.ჯგ. სამარხი № 7. ბეშთაშენის სამაროვანი, სამარხები №№ 2, 6, 35, 36. ყანჩაეთის სამარხი. ვარსიმაანთკარის სამაროვანი. სანთას სამაროვანი, ქვაყუთები №№ 1, 2.. თაშბაში, ქვაყუთი № 3. ვანის ნაქალაქარი, საგანძური; გალავნის კედელთან. ჟინვალის სამაროვანი, სამარხები №№ 277, 282. კლდეეთის სამაროვანი. ჩხოროწყუ, სამარხები. გორა, სამარხი. მოდინახეს სამაროვანი. ძევრი და მისი მიდამოები. ეცოს სამაროვანი, სამარხები №№ 2, 80. ბეშთაშენის სამაროვანი, სამარხი № 7.	ძვ.წ. VI-V სს. ძვ.წ. IV ს. ძვ.წ. V-IV სს. ძვ.წ. IV ს. დასასრ.-III ს. დასაწყ. ძვ.წ. V-IV სს. ძვ.წ. V-IV სს. ძვ.წ. I ს. ახ.წ. II სს. ახ.წ. II-III სს. ახ.წ. I-II ს. ახ.წ. IV ს. ძვ.წ. III ს. ძვ.წ. V-IVსს.	1 ც. 1 ც. 4 ც. 4 ც. 1 ც. 3 ც. 3 ც. 6 ც. 8 ც. 4 ც. 2 ც. 2 ც. 5 ც. 2 ც. 2 ც. 1 ც.	49 ც.
V. სამკუთახაპირიანი	სოხუმის მთა, სამარხები №№ 2, 5. ვანის ნაქალაქარი, სამარხი № 2. დაბლაგომის სამარხი.	ძვ.წ. IV-III სს. ძვ.წ. III ს. ძვ.წ. III ს. დასაწყ.	2 ც. 4 ც. 8 ც.	14 ც.

I



თინათინ ჭანიშვილი

ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით

აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური კომპლექსების ერთ-ერთი გავრცელებული სამარხეული ნივთი ბრინჯაოს ზარაკებია, რომლებიც, როგორც ჩანს, ამ ხანის სამკაულსა თუ, ამასთანავე, საკულტო-საკრალურ დანიშნულების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა. ზარაკები, ისევე როგორც არქეოლოგიურ კომპლექსებში შემავალი ყველა ნივთი, მრავალ მეცნიერთა კვლევის საგანს წარმოადგენდა; შესაბამისად მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა თუ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შესახებ გარკვეული მოსაზრებები გამოითქვა (იხ. ი. სმირნოვი, დ. ქორიძე, ი. გაგოშიძე, ლ. წითლანაძე და სხვ.). მაგრამ, ცალკე ზარაკი, როგორც ძეგლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტი, სპეციალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა. თუმცა, ადრევე გამოითქვა აზრი მისი შესწავლის აუცილებლობის შესახებ (იხ. ბ. პიოტროვსკი). ეს ნაშრომი ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორების ცდას წარმოადგენს.

ზარაკების უმეტესობა სამარხეულ კომპლექსებიდან მომდინარეობს, ნაწილი კი ან შემთხვევით მონაპოვარია, ან განძებს ეკუთვნის. კვლევისას გამოვიყენეთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი თითქმის ყველა არქეოლოგიური ძეგლიდან მომდინარე ზარაკები. თუ აქამდე, მკვლევარები ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შემუშავებისას ზარაკების ცალკეულ დამახასიათებელ ნიშნებს ითვალისწინებდნენ: შემკულობას (დ. ქორიძე), ზომებს (ლ. წითლანაძე, ც. დავლიანიძე და სხვ.), ფორმებს (ვ. თოლორდავა, გ. ჯინჯიხაშვილი და სხვ.) და სხვ., არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ზარაკების ახლებური გააზრებისა და ანალიზის საფუძველზე, მათი ძირითადი მახასიათებელი ნიშნებისა და ცალკეული ელემენტების ინოვაციების გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა გარკვეული ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური სისტემატიზაცია. სანამ უშუალოდ ზარაკების განხილვაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით, საჭიროდ მივიჩნიეთ ზარაკების ატრიბუციის დაზუსტება. ხშირად მკვლევარები ზარაკებს, ეჟვნებს და ეჟვნების მსგავს საკიდებს სამკაულის ერთ ჯგუფში ათავსებენ და ერთად განიხილავენ. გარდა იმისა, რომ ზარაკების ფუნქციონალური დატვირთვა ეჟვნებთან შედარებით, უფრო ფართოა, ისინი ფორმითაც განსხვავებულია. ეჟვნები მთლიანად შეკრულია (ძირშიც). ასევე ეჟვნებისმაგვარ საკიდებს ენა (ხმაურის გამომცემი) არ გააჩნიათ. ზარაკები კი ძირში ყველა გახსნილია და მათი აუცილებელი ელემენტია - ენა. ამასთანავე, ეჟვნები და ეჟვნებისმაგვარი საკიდები ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელი პერიოდის (გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხური), ხოლო ზარაკები - შედარებით გვიანი პერიოდის მოვლენაა. მსგავსება ზოგჯერ მათ შორის მხოლოდ შემკულობაშია (ე.წ. ჭვირული ზარაკები).

ზარაკების მორფოლოგია საკმაოდ მარტივია. ის სამი ნაწილისაგან შედგება: ყუნწი, კორპუსი (ტანი) და ენა. ზარაკების მასალა ძირითადად ბრინჯაოა. ერთეულ შემთხვევებში გვხვდება ოქროსაგან და ვერცხლისაგან დამზადებული ზარაკები (მაგ. ახალგორის განძი, ჭერემი). ბრინჯაოს ზარაკების ენა კი უმთავრესად რკინისაა (მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა ბრინჯაოს ენის). რკინის ენა ადვილად იჟანგებოდა, ამიტომ ხშირად მხოლოდ დადებული ჟანგის სახით არის შემორჩენილი. ზარაკის ყუნწი მრგვალი ან სამკუთხა მოყვანილობისაა. ყუნწის ეს ცვლილება გარკვეულ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასთან არის დაკავშირებული. ზარაკების დამზადების ტექნოლოგია მარტივია; ისინი ყუნწიანადაა ჩამოსხმული. რაც შეეხება ენას, მისი დამაგრების რამდენიმე ვარიანტია: 1. ენა დაკიდულია კორპუსის თავში (ყუნწის ქვეშ) მდებარე ნახვრეტში გადებულ მავთულზე; 2. ენა დამაგრებულია კორპუსზე გაკეთებულ ნახვრეტებში გადებულ მავთულზე (ღეროზე) (მაგ. თრელი, ბაზალეთი და სხვ.) ზარაკების კორპუსზე არსებული 2 ნახვრეტის (განსაკუთრებით ხშირად დასავლეთ საქართველოს ზარაკებზე გვხვდება) დანიშნულება ეტყობა ასევე ენის დამაგრების თავისებურებასთან იყო დაკავშირებული. ამრიგად, აღარ შევჩერდებით ზარაკების აგებულებაზე და კლასიფიკაციისათვის მასალისაგან დამოუკიდებლად მის მთავარ, დამახასიათებელ ელემენტად ზარაკის კორპუსის ფორმას ავიღებთ. ხოლო მათი ტიპებად დაყოფას სხვადასხვა სპეციფიკური ელემენტებით განვსაზღვრავთ. ამ ნიშნის მიხედვით ზარაკებში გამოიყო ოთხი ძირითადი სახეობა ანუ ჯგუფი: კონუსური, ცილინდრული, ნახევარელიფსური და ნახევარსფერული. ზარაკების განმსაზღვრელ ტიპოლოგიურ ნიშნებს სამნიშნა რიცხვის კოდით აღვნიშნავთ, სადაც ძირითადი ჯგუფი გამოსახულია რომაული ციფრით, ხოლო ტიპები და ქვეტიპები - არაბული ციფრით, რომლებიც წერტილებით არის ერთმანეთისაგან გამოყოფილი. განვიხილოთ ზარაკების ეს სახეობები და მათი ვარიანტები ცალ-ცალკე.

I ჯგუფი (ტაბ. I_{1-14}). ზარაკების კორპუსი კონუსური ფორმისაა; ენა რკინისაა; ყუნწი მრგვალია. კონუსური ზარაკები საკმაოდ ხშირად გვხვდება ანტიკური ხანის განმავლობაში. ამ ტიპის ზარაკები სხვა ტიპებისაგან გამოირჩევა დეტალების მრავალფეროვნებით (გვერდშეჭრილი, დაფანჯრული და სხვ.), სხვადასხვა ზომებით (სიმაღლე 1,7-8,10 სმ მერყეობს), განსხვავებული შემკულობით (სადა, დაწახნაგებული). I ჯგუფში გამოიყო ოთხი ტიპი.

I-1 (ტაბ. I, I_{1-4}). დამახასიათებელი ელემენტი: ზარაკის მთლიანი კორპუსი; სადა ან დაწახნაგებული. ზომები: სიმაღლე 7,70; 3-4,8 სმ. კონუსური ზარაკების ეს ტიპი აღმოჩნდა თრელის სამაროვანზე (თბილისი, დიღომი) №16 სამარხში. ზარაკების ნაწილი ვერტიკალური ხაზებითაა დაწახნაგებული, ნაწილი - სადაა (ზომები: სიმაღლე 8-10 სმ) სამარხეული კომპლექსი (გრძელყუნწიანი ისრისპირები, ბრინჯაოსტარიანი რკინის გრძელი მახვილი, რკინის ლაგმები და სხვ.) თარიღდება ძვ.წ. VIII-VII სს. [41, გვ. 28, ტაბ. IX; 4, გვ. 40-43, ტაბ. LXXXI-LXXXII, LXXXVIII]. ზარაკები სამარხში წარმოდგენილია როგორც ცხენის აკაზმულობის - საკისრე რგოლების ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ეს ზარაკები აღმოჩნდა სამარხში (№ 16), რომელიც ითვლება თრელის ადგილობრივ სინქრონულ ძეგლებისაგან განსხვავებულად და რომელსაც პარალელები ეძებნება აზერბაიჯანისა და ჩრდილო-დასავლეთ ირანის ძეგლებთან [4, გვ. 51]. ამასთანავე, თრელის ეს სამარხი საკულტო-სარიტუალო ხასიათისაა. ამრიგად, უადრესი კონუსური ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოში ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს. როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი საკულტო-სარიტუალო ხასიათის სამარხში. მსგავსი კონუსური ფორმის ბრინჯაოს ზარაკი, ამჯერად, ბრინჯაოსენიანი, სადა, მცირე ზომის (სიმაღლე 4,8 სმ, დმ 3 სმ) აღმოჩნდა მცხეთი-ჯვარში, ადგილ „ნაურიალის" № 82 სამარხში, რომელიც წარჩინებულ, შესაძლოა, კულტმსახურებასთან დაკავშირებულ პირს ეკუთვნოდა [11, სურ. III]. ზარაკი აღმოჩნდა სხვა საკულტო საგნებს შორის, როგორც ცალკე საკულტო ნივთი. ნაურიალის სამარხი ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითაა დათარიღებული.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი კონუსური ფორმის, ბრინჯაოსენიანი ზარაკი (სიმაღლე 2,5 სმ) შემთხვევით აღმოჩნდა ს. კურზუში (მარტვილის რ-ნი). ზარაკი ძვ.წ. VIII ს-ით არის დათარიღებული [32, ტაბ. II]. კონუსური ფორმის ზარაკები (სიმაღლე 2,9 სმ, დმ 1,3 სმ) გვხვდება აგრეთვე წითელი შუქურის სამაროვანზე (სამარხები №№ 8, 21), მაგრამ განსხვავებული დეტალებით (კორპუსზე ენის დასამაგრებელი ნახვრეტებით; ერთი – სამკუთხა ყუნწით). სამარხები ძვ.წ. VIII-VI სს-ით იყო დათარიღებული [69, გვ. 205]. შემდგომში, სამარხები ძვ.წ. VI-V სს. გადათარიღდა [52, გვ. 6-7]. ასეთივე მცირე ზომის ზარაკები ჩანს ძვ.წ. VI ს. ურეკის სამაროვანზე [59, გვ. 39, ტაბ. LIII]. სომხეთის ტერიტორიაზე ის გამოვლენილია ს. ოშაკანში ურარტულ ხანაში [50, ტაბ. LX_{11}]; ჩრდილო კავკასიაში მსგავსი კონუსური ზარაკები გვხვდება ყობანური კულტურის ძეგლებზე: სერჟენ-იურტში (სამარხი № 76), რომლის კომპლექსი ძვ.წ. VII ს. აღრეული არ ჩანს და ყაბარდო-ჩერქეზეთის ძვ.წ. VII-VI სს. კომპლექსებში [56, გვ. 43, ტაბ. XXIV_{50}; 57, გვ. 42, ტაბ. XII_7].

I-2 (ტაბ. I, I_{5-6}). დამახასიათებელი ელემენტი: ზარაკის კორპუსი გვერდშეჭრილია. ზომები: სიმაღლე 2,5 სმ, დმ 1,5 სმ. ამ ტიპის ზარაკებისთვის დამახასიათებელია მასიური ყუნწი და კორპუსზე ორი ნახვრეტი, რომლებიც ალბათ ენის ჩამოსაკიდად კეთდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში მსგავსი ზარაკები იშვიათია და მხოლოდ ორი სამაროვნიდან არის ცნობილი: პაპიგორას № 49 ქვევრსამარხიდან და ბაზალეთის სამაროვნიდან. პაპიგორას სამარხში (№ 49) ამ ტიპის ზარაკთან ერთად ზარაკის სხვა ტიპებიც (ნახევარელიფსური და ცილინდრული, გვერდშეჭრილი) აღმოჩნდა, რაც ამ ზარაკების სინქრონულობაზე მეტყველებს. პაპიგორას № 49 ქვევრსამარხეული კომპლექსი პარალელური მასალის მიხედვით თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მიწურულითა და III ს-ის პირველი ნახევრით [21, გვ. 16, ტაბ. XXXIX_{10-13}]. ბაზალეთის სამაროვანი ზოგადად ძვ.წ. VII-IV სს. ქრონოლოგიურ საზღვრებში თავსდება. ზარაკიანი კომპლექსები ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ამიტომ კონკრეტულ თარიღზე მსჯელობა ვერ ხერხდება [25, ტაბ. CLXVIII].

მსგავსი ზარაკები, მცირეოდენი განსხვავებული ნიუანსებით (ძირთან ტალღისებური ხაზები) დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს სამარხებისთვის (იაშთხვა, წითელი შუქურა და სხვ.) ჯერ კიდევ ძვ.წ. V ს. [15, გვ. 74, ტაბ. $28_{3,4}$; 69, ტაბ. XXII_1]. იგი არ ჩანს არც სომხეთისა და არც აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, არც ჩრდილო კავკასიაში.

I-3 (ტაბ. I_{7-8}). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსზე გამჭოლი სამკუთხა ჭრილი აქვს. ზომები: სიმაღლე 2,5 სმ, დმ 1,0 სმ. ამ ტიპის ზარაკები მხოლოდ გარკვეულ ხანაში ჩანს, ჯერჯერობით, აღმოსავლეთ საქართველოს სამ პუნქტში: ახალგორის, ციხიაგორის და ტახტიძირის სამარხებში. სამივე სამარხი ინვენტარის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ახალგორის განძი, რომე-

ლიც ძვ.წ. VI-IV სს. თარიღდება [67, გვ. 57, № 90]. არქეოლოგიური მასალის შემდგომი კვლევის შედეგად ძვ.წ. IV ს. დასასრულით ან III ს. დასაწყისით გადათარიღდა [17, გვ. 40; 48, გვ. 79]. ამ ქრონოლოგიაში თავსდება ახალგორის შტანდარტი და ზარაკები, რომელთა შორის ჩანს სამკუთხაჭრილიანი კონუსური ზარაკიც. ასეთივე ორი ზარაკი დადასტურდა ციხიაგორის მდიდრულინვენტარიან ორმოსამარხში, რომელიც თანმხლები მასალის მიხედვით ძვ.წ. III ს. დათარიღდა [34, გვ. 44, ტაბ. II_5]. მსგავსი ზარაკები (4 ც.) აღმოჩნდა ტახტიძირის № 8 სამარხში, რომელიც დაზიანებული და არეული იყო (შეისწავლა იულონ გაგოშიძემ). სამარხში ძირითადად ძვ.წ. IV-III სს. ნივთები დაადასტურდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია სამკუთხაჭრილიანი კონუსური ზარაკის (ტიპი I_3) თარიღად ძვ.წ. III ს. ვივარაუდოთ.

მსგავსი ზარაკები დასავლეთ საქართველოში ცხეთის სამაროვანზე (ცაგერის რ-ნი) ჩანს (2 ც.), მხოლოდ სამკუთხა ყუნწით. ზარაკები ელინისტური ხანით თარიღდება [28, გვ. 54-55]. სამკუთხა ჭრილიანი ზარაკები ცნობილია სომხეთისა და აზერბაიჯანის რეგიონებიდან. თუმცა განსხვავებული ფორმით. ეს ზარაკები ოთხწახნაგაა. ოთხწახნაგა ზარაკები საქართველოს ტერიტორიისთვის გვიანდელი მოვლენაა (ახ.წ.-დან). ასევე თარიღდება გარნის კომპლექსი (ახ.წ. I-II სს.), სადაც ოთხწახნაგა მსგავსი ზარაკი აღმოჩნდა [45, გვ. 78, სურ. 51].

I-4 (ტაბ. $I_{9, 10}$). დამახასიათებელი ელემენტი: სამკუთხა ფორმის ყუნწი. შემკულია ორ რიგად განლაგებული გამჭოლი სოლისებური, წაგრძელებული სამკუთხედებით. ზომები: 5,9-6,5 სმ, დმ 2-2,6 სმ. ამ ტიპის ზარაკებში გამჭოლ სამკუთხედებს რელიეფური ნაჭდევი სარტყელი ყოფს. ზემო ფრიზში სამკუთხედები განლაგებულია წვერით ზემოთ, ქვემო ფრიზში - წვერით ქვემოთ. მსგავსი ზარაკები ცნობილია ახალგორისა და ყანჩაეთის სამარხებიდან. ისევე როგორც ამ სამარხების სხვა თანმხლები ნივთები (ე.წ. მთვარისებური საკიდები, ბრინჯაოს ლაგამი, კონუსისებური ვერცხლის ბალთები, ვერცხლის ფიალა და სხვ.), ზარაკები ფორმით, ზომებით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ერთმანეთთან და „... ერთ სახელოსნოდან გამოსულის შთაბეჭდილებას ტოვებს“ [7, გვ. 69]. ახალგორისა და ყანჩაეთის სამარხები სინქრონულ ძეგლებად ითვლება და ერთ კულტურულ წრეს განეკუთვნება. ახალგორის განძი ძვ.წ. IV ს. დასასრულითა და III ს. დასაწყისით დათარიღდა [17, გვ. 40]. ამრიგად, ამ ორ რიგად დაფანჯრული კონუსური ზარაკები თარიღად შეიძლება ძვ.წ. IV ს. დასასრული ვივარაუდოთ. ამ ტიპის ზარაკები სხვა ძეგლებიდან ცნობილი არ არის.

I-4.1 (ტაბ. I_{11-14}). დამახასიათებელი ელემენტი: ორ რიგად განლაგებული გამჭოლი ტოლფერდა სამკუთხედები. ზომები: სიმაღლე 3,5-2,1 სმ, დმ 1,7-1,5 სმ. ამ ტიპის ზარაკები მცირეოდენი დეტალებით (თავშექცეული სამკუთხედები, მცირე ზომები და სხვ.) განსხვავდება I-4 ვარიანტისაგან. თუმცა ამ ცვლილებებით ქრონოლოგიური სხვაობა მათ შორის დიდია და ისინი გვხვდება ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. დათარიღებულ ძეგლებზე: „საყარაულო სერზე“ (კავთისხევი, კასპის რ-ნი) [39, გვ. 55], „რიყიანების ველზე“ (აღაიანი) [22, გვ. 24]. ასეთივე ზარაკი (2 ც.) აღმოჩნდა დიდუბეში (თბილისი), რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. VI-IV სს. [31, გვ. 73, სურ. $15_{3,4}$]. დიდუბის არქეოლოგიური მასალა, როგორც დ. ქორიძე აღნიშნავს, არ ჩანს ერთდროული, ერთი განსაზღვრული პერიოდის. კომპლექსი არეულია და გაურკვეველი. ჭვირული ზარაკების შესახებ დ. ქორიძე აღნიშნავს, რომ იგი ძვ.წ. I ათასწლეულის საწყის პერიოდიდან ჩანს და „... არსებობს თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე“ [31, გვ. 72]. დიდუბეში აღმოჩენილ ზარაკებს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებს უკავშირებს თავებგახსნილ სასაფეთქლე რგოლებსა და მოხატულ ხელადებთან ერთად. ამ ტიპის ზარაკების პირდაპირ და აღრეულ პარალელებს მკვლევარი არ უთითებს. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში (და მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე) ამ ტიპის ზარაკების ადრეული პარალელები არ ჩანს. მიგვაჩნია, რომ ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. ზარაკები წარმოადგენენ მათ ყველაზე ახლო და ზუსტ ანალოგებს, რაც, ვფიქრობთ, შესაძლებლობას გვაძლევს დიდუბის ზარაკებიც იგივე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვათავსოთ.

ამგვარი ზარაკები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩანს. მსგავსი ზარაკები ცნობილია ძვ.წ. II - ახ.წ. III სს. დათარიღებულ კომპლექსებში ცენტრალური კავკასიის გვიანყობანურ კულტურის ძეგლებზე [42, ტაბ. XI_{53}]. ანალოგიური ზარაკები ცნობილია გარნიდან ძვ.წ. I - ახ.წ. I სს [44, გვ. 48, სურ. 38].

ამრიგად, თუ თვალს გავადევნებთ და შევაჯამებთ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კონუსური ფორმის ზარაკების გავრცელების არეალს და ქრონლოგიურ დიაპაზონს შემდეგი დასკვნების გამოთქმის უფლება გვეძლევა:

1. კონუსური ფორმის ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოში ფუნქციონირებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ძვ.წ. VIII-VII სს. - ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) მათი ცალკეული ელემენტების ცვლილებები ქრონოლოგიური დიფერენციაციის საშუალებას იძლევა. აქედან

გამომდინარე გამოიყო კონუსური ზარაკების 4 ტიპი და 1 ქვეტიპი.

2. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული კონუსური ფორმის ზარაკები ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს. (თრელი, ნაურიალი). ამ ხანის სხვა სამაროვნებზე ამ ტიპის ზარაკები არ ჩანს.

3. კონუსური ზარაკები აღმოჩნდა მდიდრულ სამარხებში. პირველად ის ჩანს როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი (თრელის № 16 რიტუალური საკრძალავი); ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარში ის ჩანს როგორც საკულტო ნივთი ასევე კულტმსახურებასთან დაკავშირებულ სამარხში (ნაურიალი-მცხეთი-ჯვარი).

4. კონუსური ფორმის გვერდშეჭრილი ზარაკი მხოლოდ ორ პუნქტში დადასტურდა აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. IV-III სს. (პაპიგორა, ბაზალეთი). ის დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე გვხვდება ძვ.წ. V ს-დან.

5. კონუსური ზარაკი სამკუთხა ჭრილით აღმოსავლეთ საქართველოში ჩანს ძვ.წ. IIIს.

6. კონუსური ტიპის დაფანჯრული ზარაკების 2 ვარიანტია გავრცელებული: ძვ.წ. IV-III სს. და ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.

II ჯგუფი (ტაბ. II_{1-11}). ზარაკის კორპუსი ცილინდრული ფორმისაა; გვერდი – შეჭრილი. ამ ჯგუფის ზარაკების არსებობის ქრონოლოგიური დიაპაზონი დიდია - ძვ.წ. VIII-VII სს. - ძვ.წ. I ს. ზარაკის ეს ფორმა ცვლილებას არ განიცდის მთელი ათასწლეულის მანძილზე და კონუსური ზარაკებისგან განსხვავებით მათი ეს ფორმა სტაბილურია. თუმცა შესაძლებელი გახდა ამ ძირითადი ფორმიდან (ტიპიდან) სხვადასხვა ელემენტების გამოყოფა (ყუნწის ფორმა, ზომები, შემკულობა), რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, ქრონოლოგიური დიფერენციაციის შესაძლებლობას იძლევა. კლასიფიკაციისათვის ამ ჯგუფის ზარაკებში გამოიყო 4 ტიპი სხვადასხვა დამახასიათებელი ელემენტების გათვალისწინებით.

II-1 (ტაბ. II_{1-5}). დამახასიათებელი ელემენტი: მრგვალი ან მორკალული ყუნწი; სადა ან ვერტიკალური რელიეფური ხაზებით შემკული კორპუსი. ზომები: სიმაღლე 14-5,5 სმ. ეს ზარაკები კონუსურ ზარაკებთან ერთად ყველაზე ადრეულია და გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VIII-VII სს-დან. მომრგვალებული ყუნწი დამახასიათებელია ამ ტიპის ზარაკებისათვის ძვ.წ. V ს-მდე. რაც შეეხება შემკულობას, ისინი გვხვდება როგორც სადა, ასევე ორნამენტირებული. აღსანიშნავია, რომ ცილინდრული ზარაკები არ გვხვდება ძვ.წ. VIII-VII სს. სამაროვნებზე, სადაც კონუსური ზარაკები დადასტურდა. II-1 ტიპის ზარაკების ყველაზე ადრეული ცალები გვხვდება რკინის კალოსა (თიანეთის რ-ნი) და ნაცარგორას (ხაშურის რ-ნი) ძვ.წ. VIII-VI სს. სამაროვნებზე. რკინის კალოს № 27 სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. ამავე სამარხში აღმოჩნდა მოგვიანოდ დაკრძალული მიცვალებულის ნივთები, ცხენი და ძაღლი. სამარხი ნივთების სიუხვით გამოირჩეოდა. სამარხეული ინვენტარი (ბრინჯაოსტარიანი რკინის მახვილი, ბრინჯაოს სამფრთიანი ისრისპირები და სხვ.) ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღდა [16, გვ. 55-60, ტაბ. XLVI_{417}]. შესაბამისად ამ სამარხში აღმოჩენილი ორი ცილინდრული ზარაკიც (სიმაღლე 4:5 სმ) ამ ქრონლოგიურ ჩარჩოებში ჯდება. ასევე ადრეულია ნაცარგორას ქვაყრილიან ორმოსამარხში (№ 126) აღმოჩენილი იგივე ტიპის 2 ზარაკი (მრგვალი ყუნწით), რომელთაგან ერთი ვერტიკალური რელიეფური ხაზებით არის შემკული. ე.ი. თავიდანვე შემკული და სადა ამ ტიპის ზარაკები თანაარსებობენ ერთ სამარხში (შდრ. I-1 ტიპის ზარაკები). სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ ცხენთან ერთად, რომელსაც კისერზე ეკიდათ ეს ზარაკები. სამარხი ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება [60, გვ. 75, სურ. 120]. ამ ტიპის ზარაკი (სადა, მრგვალყუნწიანი) აღმოჩნდა ნარეკვავის № 43 ორმოსამარხშიც, რომელიც გამთხრელების მიერ ძვ.წ. VI ს. დასასრულითა და V ს. დასაწყისით არის დათარიღებული [19, გვ. 67, ტაბ. LVI_6]. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ქოთანი, რომლის ანალოგები თვით ნარეკვავის II და III სამშენებლო ჰორიზონტებში (ძვ.წ. VIII ს. დასასრული - VII ს. პირველი ნახევარი) აღმოჩნდა; ცულწერაქვი, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება და ცხენის უნაგირთან დაკავშირებული ბალთა-გარსაკრავი, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს. ჯდება [1, ტაბ. I_{10}; 30, გვ. 39-41; 12, გვ. 73]. ვფიქრობთ, ნარეკვავის ეს სამარხი შესაძლებელია ძვ.წ. VII-VI სს. ეკუთვნოდეს ან ძვ.წ. VI ს. გვიანდელი არ უნდა იყოს. ამრიგად, მრგვალყუნწიანი, ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძირითადად ძვ.წ. VIII-VI სს-ია.

II-2 (ტაბ. II_{6-10}). დამახასიათებელი ელემენტი: მორკალული ან სამკუთხა ყუნწი; წიწვისებური ან გრეხილი ვერტიკალური რელიეფური ხაზებით შემკული კორპუსი.

ძვ.წ. VI ს-დან ამ ტიპის ზარაკებზე ჩნდება ორნამენტის ახალ სახეობა: წიწვოვანი ხაზებით შემკული კორპუსი. ეს ორნამენტი ამკობს კაზრეთის, შორის და ციხიანას (ს. აბანო) ზარაკებს. აქედან ს. აბანოს მახლობლად მდებარე ციხიანას სამარხი (№ 6) (ქარელის რ-ნი) დათარიღებულია ძვ.წ. I ათასწეულის შუა ხანებით [62, გვ. 70, ტაბ. 24_7]. ციხიანას სამარხის თარიღი სკვითური სამწახნაგა, მოკლემასრიანი ისრისპირისა და რკინის ლაგამის მიხედვით [30, გვ. 41, ტაბ. I_{63}; 1, ტაბ. $I_{63, 64}$] შეიძლება ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით განისაზღვროს. ციხიანას ზარაკზე

წიწვოვანი ორნამენტია - ამ ორნამენტის პირველი შემთხვევაა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ძვ.წ. VI-V სს. აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე ზარაკების რიცხვი მატულობს. ასევე ზარაკების ზომა იზრდება და თითქმის სტანდარტული ხდება (სიმაღლე 10-10,8 სმ). ასეთებია ს. შორის (ბოლნისის რ-ნი) ზარაკი, რომელიც „წარჩინებული პირის" მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა [29, გვ. 42, ტაბ. XI]; კაზრეთის ზარაკი (სიმაღლე 10 სმ), რომელსაც შტანდარტის ნაწილად მიიჩნევენ [27, გვ. 30, ტაბ. XX; 66, გვ. 16, ტაბ. VI]; ყაზბეგის განძის ზარაკები (რელიეფური გრეხილი ხაზებით შემკული და სადა), რომლებიც სარიტუალო-საპარადო ნივთებად ითვლება [35, გვ. 107]. ძვ.წ. V ს-ით თარიღდება კიკეთის სამარხი № 2, სადაც ამ ტიპის წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარაკი (სიმაღლე 10, 8 სმ) აღმოჩნდა [13, გვ. 107-108, ტაბ. XI_{28}]. ამ ზარაკზე უკვე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიმჩნევა: აქამდე ზარაკებზე არსებული მრგვალი ყუნწი სამკუთხა ფორმას იღებს. ამიერიდან ყუნწის ეს ცვლილება ზარაკების დამახასიათებელი ელემენტი ხდება.

ამრიგად: 1. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამაროვნებზე (რკინის კალო, ნაცარგორა) აღმოჩნდა ყველაზე ადრეული ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკები, რომლებიც ცხენის აკაზმულობის ნაწილებს წარმოადგენს; ამასთანავე ეს სამარხები რიტუალურია და საკულტო დატვირთვაც აქვს (შდრ. კონუსური ზარაკები). ძვ.წ. VI-V სს-ის ზარაკები უკვე საპარადო ან საკულტო-რიტუალური მნიშვნელობის ხდება. დიდი ზომის ზარაკები ბუნიკის თავებზე მაგრდებოდა ან შტანდარტების ნაწილს წარმოადგენდა; საშუალო ზომის - სხვადასხვა ნივთებს (მაგ. მშვილსაკინძს) ამკობდა; ხოლო მცირე ზომის ზარაკები - სამკაულად ან თილისმად გამოიყენებოდა [67, გვ. 53; 35, გვ. 31-32; 36, გვ. 43].

2. ძვ.წ. VIII-VII სს-ის ამ ზარაკების ყუნწი მომრგვალებულია (მორკალული); ძვ.წ. V ს-დან ამ ტიპის ზარაკებზე ჩნდება სამკუთხა ყუნწი (კიკეთი).

3. ძვ.წ. VI-V სს-ის ზარაკები ძირითადად წიწვოვანი ორნამენტითაა შემკული; ზარაკების ზომები თითქმის ერთნაირია – სტანდარტული (სიმაღლე 10-10,5 სმ) (შორი, კაზრეთი, კიკეთი, ნარეკვავი). ძვ.წ. V ს-ის შემდეგ დიდი ზომის ამ ტიპის ზარაკები თითქმის არ გვხვდება.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის ზარაკები ცნობილია ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხებიდან (მუხურჩა, იაშთხვა, წიფელი შუქურა და სხვ.) [47, გვ. 36; 15, გვ. 74-75, სურ. 28_2; 69, გვ. 205, ტაბ. XXII_5]. ამის მსგავსი უნდა იყოს ზარაკი (ძლიერ დაზიანებული), რომელიც აღმოჩნდა მთისძირის ნამოსახლარზე (ვანის რ-ნი) ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ ნაგებობაში [10, გვ. 68, სურ. 24_1]. ეს არის ნამოსახლარზე ზარაკის აღმოჩენის იშვიათი შემთხვევა. სომხეთის ტერიტორიაზე მსგავსი, წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარაკი (სიმაღლე 11 სმ) გვხვდება კარმირ-ბლურში [64, გვ. 44, სურ. 35]; ჯრარატის ძვ.წ. V-IV სს. ქვაყუთში [68, სურ. 2_4]. ასეთივე ზარაკი ჩანს ლორი-ბერდის ძვ.წ. XIV-XIII სს. დათარიღებულ სამარხში (№ 2), სადაც 30 ეჟვანთან ერთად ერთადერთი ცალი აღმოჩნდა [49, გვ. 33, 40]. ეს არის ალბათ, ერთადერთი შემთხვევა ამ ტიპის ზარაკის ასე ადრეულ ხანაში აღმოჩენისა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარხი (№ 2) დანგრეული და გაძარცული იყო. ამასთან, ამ სამარხზე ძვ.წ. VII-VI სს-ის ჩაშვებული სამარხი იდო. მსგავსი წიწვოვანი ორნამენტით შემკული ზარაკი აღმოჩნდა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე – რუთხაში (სოფ. კუმბულთა) აღმოჩენილ კომპლექსში, რომელიც ძვ.წ. VII ს-ზე გვიანდელად არ მიაჩნიათ [55, გვ. 18] და ძვ.წ. VI-III სს. თარიღდება [42, ტაბ. $XI_{5, 35}$].

II-3 (ტაბ. II_{11}). დამახასიათებელი დეტალი: სამკუთხა ყუნწი; მცირე ზომები (სიმაღლე 2,1-3,5 სმ, დმ 0,8-1,5 სმ); სადა ან გოფრირებული. ეს ზარაკები ტიპოლოგიურად მიმდინარეობს II-2 ტიპის ზარაკებისგან. ძირითადი განსხვავება ზომებშია და შემკულობაში. მსგავსი ზარაკები ჩანს მთელ ელინისტურ ხანაში და ახ.წ.-დან ქრება. ზარაკების ეს ტიპი ელინისტური ხანის ყველაზე გავრცელებული ვარიანტია და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზე გვხვდება. თუმცა, ხშირად სამაროვნის ერთეულ სამარხებში, ასევე ერთეული ცალობით (მაგ. კამარახევის 130 სამარხიდან მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა; „ნაურიალის" 16 სამარხიდან ორ სამარხში და სხვ.).

შესაძლოა, კამარახევის სამაროვანი იყოს ყველაზე ადრეული, სადაც მსგავსი ზარაკები აღმოჩნდა. კამარახევის სამარხები ძირითადად ძვ.წ. IV-III სს. თარიღდება [40, გვ. 141], ხოლო სამაროვნის ბევრი სამარხი და მათ შორის სამაჯურიანი სამარხები - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით ან შუა ხანებით დათარიღდა [48, გვ. 79]. სამარხში (№ 71), სადაც ამ ტიპის ზარაკები (4 ც.) აღმოჩნდა (სიმაღლე 2, დმ 1 სმ), მხოლოდ ერთი, საკმაოდ არქაული ფორმის ფინჯნისებური ტოლჩა დადასტურდა [40, გვ. 164, სურ. 1203]. სამარხი სავარაუდოდ ძვ.წ. IV ს. გვიანდელი არ უნდა იყოს. ამ ტიპის სადა ან გოფრირებული ზარაკები ჩანს ძვ.წ. IV-III სს-ით დათა-

რიღებულ სამარხებში: პაპიგორას სამაროვნის № 49 ქვევრსამარხში, შავსაყდარა I სამაროვნის № 45 ქვაყუთში [21, გვ. 54, ტაბ. $XXXIX_{11, 12}$, გვ. 102, ტაბ. $CXXV_3$], მუხათგვერდის სამაროვანზე [3, სურ. 1608], „ნაურიალის“ (მცხეთი-ჯვარი) ორ სამარხში [6, ტაბ. V, სურ. IV, ტაბ. XIV, სურ. XXVII], „დაჭრილების“ (კავთისხევი) სამაროვანზე [23, გვ. 35, ტაბ. XXXIV-1], ახალგორის განძში [17, სურ. 12], ნატახტრის № 31 სამარხში [43, გვ. 87, ტაბ. 164] და სხვ.

ასეთივე ზარაკები ჩანს ძვ.წ. III ს. დათარიღებულ ძეგლებზე: სამადლოში [8, გვ. 69; 46, გვ. 46], ტახტიძირში (შეისწავლა იულონ გაგოშიძემ), სადაც ერთ სამარხში (№ 8) 14 ცალი სადა და გოფრირებული ამ ტიპის ზარაკი აღმოჩნდა (ვინაიდან ეს სამარხი დანგრეული და არეული იყო სხვა სამარხთან ერთად, ძნელი ხდება მისი დათარიღება. თუმცა სამარხი ძვ.წ. III ს. ადრეული არ უნდა იყოს). ზოგადად, ძვ.წ. III-II სს. თარიღდება დიდუბეში აღმოჩენილი ასეთივე ზარაკი [31, გვ. 50-51, სურ. 15_6].

საგრძნობლად მცირდება ამ ტიპის ზარაკების რიცხვი ძვ.წ. III ს-დან. ძვ.წ. IV-II სს. არის დათარიღებული თელების ველის სამარხეული კომპლექსი (№ 14), სადაც ასეთი ზარაკი ჩანს [27, გვ. 35-36, ტაბ. XVIII]; მაგრამ თიხის ჭურჭლის, ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავების მიხედვით, სამარხი ძვ.წ. II-I სს-ზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ასევე თარიღდება ეს სამარხი სამაჯურების მიხედვით [48, გვ. 69]. ასეთივე ზარაკები ჩანს სამთავროს № 82 ქვევრსამარხში, რომელიც ჯერ ძვ.წ. II-I სს-ით იყო დათარიღებული [14, გვ. 55], შემდგომში კი ძვ.წ. I ს. გადათარიღდა [19, გვ. 96, ტაბ. I; 9, გვ. 13_{17}]. ძვ.წ. I ს-ით თარიღდება რიყიანების ველის (აღაიანი) საკულტო ნივთების შემცველი (მათ შორის მსგავსი ზარაკების) ბავშვის მდიდრული სამარხი (№ 28) [5, გვ. 24, ტაბ. XXXVII_2].

ასეთია, ძირითადად, ამ ტიპის ზარაკების გავრცელება აღმოსავლეთ საქართველოში. რაც შეეხება პარალელებს, მსგავსი ზარაკები დასავლეთ საქართველოში ძირითადად ქვევრსამარხებისთვის არის დამახასიათებელი. იგი ყველაზე ინტენსიურად ჩანს ძვ.წ. IV-III სს-ის ძეგლებზე (ვანი, დაბლაგომი, ოჩამჩირე, ფარცხანაყანევი, დაფნარი და სხვ.) [72, გვ. 120-122; 13, გვ. 57; 51, გვ. 321; 54, გვ. 34, 54, ტაბ. XLI, LXVIII]. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართვველოში ამ ტიპის ზარაკები ძირითადად სადაა. ერთეული სახით შემორჩენილია მსგავსი ზარაკი ახ.წ. I ს. ბორში [65, გვ. 94-110, ტაბ. VI].

ჩრდილო კავკასიაში იგი გვხვდება დომბაის ქვაყუთში - 35 ც; ერთი ცალი აღმოჩნდა კარასის VII ყორღანში (სკვითური ხანა), 3 - გ. სვინაძის კოლექციაში [57, გვ. 42, ტაბ. XII_6]. მსგავსი, მხოლოდ მრგვალყუნწიანი მცირე ზომის ზარაკი აღმოჩნდა ჯრარატის (სომხეთი) ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ ქვაყუთში [68, სურ. 2_4].

II-4 (ტაბ. II_{12}). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი - წაგრძელებული ცილინდრული ფორმის; სამკუთხა ყუნწი. ზომები: სიმაღლე 5-7 სმ, დმ 1,2-2 სმ. ამ ტიპის ზარაკები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება მხოლოდ სამ ძეგლზე: ახალგორის, ყანჩაეთის და ყაზბეგის განძში. ყველა აღნიშნული ძეგლი, სადაც ასეთი ზარაკები აღმოჩნდა, თავდაპირველად განძის სახელით იყო ცნობილი. ყველა იქ აღმოჩენილი ეს ზარაკი განძის შტანდარტებს ეკუთვნოდათ. რაც შეეხება თარიღს, ახალგორის და ყანჩაეთის ძეგლები ახალი გამოკვლევების მიხედვით ძვ.წ. IV-III სს. გადათარიღდა (იხ. ზემოთ) [17, გვ. 40; 7, გვ. 69; 48, გვ. 79]. ამათგან ყველაზე ადრეული ჩანს ყაზბეგის განძის ზარაკები (ძვ.წ. V ს.), თუმცა გამორიცხული არ არის, ისიც ძვ.წ. IV ს-მდე ჩამოდიოდეს. ყაზბეგის განძში ძირითადად მასიური ცილინდრული ზარაკები აღმოჩნდა. მხოლოდ 2 ცალი ჩანს ამ ტიპის ზარაკი [35, გვ. 29, ტაბ. XIII]. ამგვარივე ზარაკი შემთხვევით აღმოჩნდა ახალგორის რაიონში [2, ტაბ. XXXI_5].

ჩრდილო კავკასიაში მსგავსი ზარაკი გვხვდება ძვ.წ. V-III სს. დათარიღებულ არხონის კომპლექსში [42, ტაბ. XI_{25}]. მსგავსი ზარაკები (მაგრამ მრგვალყუნწიანი, არაშეჭრილი გვერდით) ჩანს გარნში ძვ.წ. II-I სს. კომპლექსში [71, გვ. 90].

III ჯგუფი (ტაბ. I_{4-7}). ამ ჯგუფში გაერთიანებულია ზარაკების ის სახეობა, რომელიც მოიხსენებოდა გუმბათისებურ, ნახევარსფერულ ან ოვოიდურ ზარაკებად. ამგვარი ზარაკები ნახევარელიფსური ფორმისაა და აშკარად განსხვავებული ნახევარსფერულ ზარაკებისგან – უფრო წაგრძელებული და მომრგვალებული ფორმები აქვთ. ამ ტიპის ზარაკების ძირითადი განსხვავება შემკულობაშია. ვინაიდან ეს ელემენტი ქრონოლოგიურ ცვლილებას გვაძლევს, ამ ჯგუფში ამ ნიშნით გამოიყო ტიპები.

ამრიგად, ამ ჯგუფის ზარაკები ნახევარელიფსური ფორმისაა; აქვს მრგვალი ყუნწი, სადა ან შემკული კორპუსი.

III-1 (ტაბ. III_{1-7}). დამახასიათებელი ელემენტი: სადა კორპუსი. ზომები: სიმაღლე 2,3-2,8 სმ; დმ 2,3-2,6 სმ. ამ ტიპის ზარაკი III ჯგუფის ყველაზე ადრეული ვარიანტია და ძვ.წ. IV-III სს. გვხვდება (ყანჩაეთი, პაპი-

გორა, კამარახევი). შემდგომში ამგვარი ზარაკი ქრება ან მცირეოდენი ცვლილებებით გვხვდება ახ.წ-დან.

ამ ტიპის ზარაკის ყველაზე ადრეული ცალი ჩანს კამარახევის № 65 სამარხში, რომელიც სამაჯურების მიხედვით ძვ.წ. IV ს. შუახანებით თარიღდება [48, გვ. 79]. ამ თარიღს ამაგრებს სამარხში აღმოჩენილი ტუჩიანი ჯამი, რომელიც ძვ.წ. V ს. და IV ს-ის პირველი ნახევრის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ჯდება [61, სურ. 889]. ოდნავ გვიანდელი ჩანს პაპიგორას №№44 და 49 სამარხების ზარაკები, რომლებიც თითქმის ზუსტ ანალოგებს წარმოადგენდნენ კამარახევის ზარაკისა. ორივე კომპლექსი ძვ.წ. IV ს-ის მიწურულითა და III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდა [21, ტაბ. XXXVIII_1, გვ. 14-16, ტაბ. XXXIX_{10}]. ასეთივე ზარაკი აღმოჩნდა ვანჩაეთის სამარხში [7, გვ. 49-50, ტაბ. VII_{14}], რომელიც ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედით დათარიღდა [48, გვ. 79].

დასავლეთ საქართველოში ამგვარი ზარაკები არ ჩანს. აზერბაიჯანის რეგიონში, მინგეჩაურის ქვევრსამარხში ამ ტიპის ზარაკის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა. კომპლექსი ძვ.წ. II-I - ახ.წ. I-II სს. თარიღდება [52, ტაბ. XV_7].

III-2 (ტაბ. I_{5-6}). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი შემკულია ნაწილობრივ ან მთლიანად რომბული ბადით. ზომები: სიმაღლე 3,2-4,5 სმ, დმ 2,3-3,6 სმ. ამ ტიპის ზარაკები შესაძლოა, ძვ.წ. II ს. ჩანს და ძირითადად ძვ.წ. I ს. გავრცელებული. რომბული ბადე ზოგჯერ მთლიანად ფარავს კორპუსს, ზოგჯერ ნაწილობრივ. ამგვარი ზარაკები აღმოჩნდა სამთავროს ძვ.წ. I ს-ით დათარიღებულ № 59 ქვევრსამარხში [14, გვ. 53], ბამბების (უფლისციხე) № 8 სამარხში [37, ტაბ. $XLVIII_{1,4}$]; ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ რიყიანების ველის № 13 სამარხში [22, გვ. 37-38] და ძვ.წ. I ს-ით დათარიღებულ საყარაულო სერის (კასპის რ-ნი) № 9 ქვევრსამარხში [39, გვ. 49, 57, ტაბ. XLVI_6]. ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება ყათნალიხევის № 3 ორმოსამარხის კომპლექსი (ზარაკი, ქვის მძივი, ქვის იარაღი), სადაც ამ ტიპის ზარაკი აღმოჩნდა [37, გვ. 86]. ეს სამარხი დათარიღებულია ყათლანიხევის № 1 სამარხზე (ერთი დონე) დაყრდნობით. მაგრამ № 1 სამარხში აღმოჩენილი თიხის ფიალა და ხელადა ძვ.წ. I -ახ.წ. I სს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოში ჯდება [61, სურ. 460, 708]; ასევე ამ სამარხის (№ 1) სამაჯურები წელთაღრიცხვის მიჯნაზე გვხვდება [48, გვ. 53, სურ. 104]. აქედან გამომდინარე, თუ ყათლანახევის № 3 სამარხს ძვ.წ. I ს. აღრეულად არ მივიჩნევთ, შეცდომა არ იქნება. ზოგადად, ძვ.წ. III-I სს. თარიღდება დიდუბისა და ალვანის ამ ტიპის ზარაკები [31, გვ. 63]. ვინაიდან ეს ზარაკები შემთხვევით მონაპოვარია, მსგავსი ზარაკების მიხედვით ძვ.წ. I ს-ით დათარიღება, ვფიქრობთ, შესაძლებელია. მსგავსი ფორმის ბადური ორნამენტით შემკული ზარაკის ერთადერთი ანალოგი ჩანს პ. უვაროვას კოლექციაში [70, ტაბ. XXXVI_6].

III-3 (ტაბ. III_7). დამახასიათებელი ელემენტი: კორპუსი შემკულია გამჭოლი სამკუთხედებით ერთ ან ორ რიგად, უწესრიგოდ. ზომები: სიმაღლე 2,3-5,5 სმ, დმ 1,4-1,5 სმ. ამ ტიპის ზარაკები თანაარსებობენ III-2 ტიპის ზარაკებთან ერთად და ძირითადად ძვ.წ. I ს-ში ხდება ცნობილი. განსაკუთრებით გავრცელებულია იგი გარკვეული ცვლილებებით (ოთხწახნაგა კორპუსი და სხვ.) ახ.წ.-დან საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ახ.წ. IV ს.). ამგვარი ზარაკები აღმოჩენილია ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამთავროს № 227 ქვევრსამარხში [48, გვ. 79]; ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. დათარიღებულ საყარაულო სერის № 9 ქვევრსამარხში [39, გვ. 55, ტაბ. XLV_{10}]; ძვ.წ. III-I სს. არის დათარიღებული ამგვარი ზარაკები დიდუბიდან და მანგლისიდან (შემთხვევითი აღმოჩენა) [36, გვ. 66, სურ. 15_6, ტაბ. $XXI_{1,2}$]. ასევე ჩანს მსგავსი ზარაკი საყარაულო სერის (კავთისხევი) ძვ.წ. III და ახ.წ. I სს. დათარიღებული ორმოსამარხში [33, გვ. 62, ტაბ. LII_2]. ვფიქრობთ, იგი ახ.წ. I ს. ეკუთვნის, ვინაიდან სამარხის კომპლექსში აღმოჩნდა ყელწიბოიანი ხელადა და ოქროფენიანი მძივები. ამ ტიპის ზარაკი გვხვდება აგრეთვე ახ.წ. I ს-ით დათარიღებულ ავჭალის სამარხში [18, გვ. 137, ტაბ. VIII_9].

IV ჯგუფი (ტაბ. IV_{1-3}). ზარაკი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული ფორმის: ენა რკინისაა. ზომები: სიმაღლე 1,7-1,2 სმ; დმ 2,8-2,3 სმ. ზარაკის ამ ჯგუფში ტიპები არ გამოიყოფა. დროთა განმავლობაში მისი ფორმა არ იცვლება. მხოლოდ ახ.წ-დან ზოგჯერ გვხვდება შემკული (კორპუსზე ტალღური ხაზები – ჭერემი და სხვ.) ცალები. ამ ზარაკების ყუნწისა და ენის მიმაგრების სხვადასხვა ტექნოლოგიური თავისებურებები ჩანს: 1. თავში ორი ნახვრეტი აქვს, რომელშიც გაყრილია ბრინჯაოს რგოლი, რაზედაც ჩამოკიდებულია ენა, გარეთა მხარე კი ყუნწად იხმარებოდა (ი. გაგოშიძე); 2. ზარაკის კორპუსი გვერდებში გახვრეტილია, რაშიც გაყრილია ღერო, რომელზეც ჩამოკიდებულია ყუნწი (რიყიანების ველი, ს. 13) და სხვ. ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ყუნწის ხასიათის დადგენა, ვინაიდან ყუნწი ან ენა დაზიანებული ან დაკარგულია.

ამ ტიპის ზარაკების გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ფართოა. იგი ჩანს ძვ.წ. III ს. ინტენსიურად გვხვდება ძვ.წ. I ს.,

ფართოდ გავრცელებულია ახ.წ. I-IV სს. ამგვარი ზარაკის ყველაზე ადრეული შემთხვევა გომარეთის სამაროვნის № 12 ქვაყუთში დადასტურდა. სამარხი ძვ.წ. IV-III სს. დათარიღდა [13, გვ. 18-19]. თუმცა ამ სამარხის სხვა თარიღიც არსებობს: ძვ.წ. I ს. [9, გვ. 14 სქ.] და ძვ.წ. II-I სს. [48, გვ. 69]. ამ ტიპის ზარაკები ხშირად გვხვდება ძვ.წ. III ს. შემდეგ ძეგლებზე: სანთა, სამადლო, თოხლიაური, ნახჭევანი [13, გვ. 164-167]. მსგავსი ზარაკები ჩანს ძვ.წ. II-I და ძვ.წ. I ს. სამაროვნებზე: თელების ველის № 5 სამარხში [23, ტაბ. XVIII], თრელის სამ. № 18 [24, ტაბ. 54_{51}], არკნეთის № 2 ორმოსამარხში [38, გვ. 190, 198-204], ნერონ-დერესის № 3 სამარხში [9, გვ. 28, ტაბ. II_9], რიყიანების ველზე [22, გვ. 66-67], საყარაულო სერის № 9 სამარხში (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს.) [39, ტაბ. XLV_7] და სხვ.

დასავლეთ საქართველოში მსგავსი ზარაკები ჩანს ბრილში [26, გვ. 195]; სომხეთში იგი გვხვდება გარნის № 105 სამარხში, რომელიც ძვ.წ. II-I სს. თარიღდება [71, გვ. 90-93]; ჩრდილო კავკასიაში იგი გვხვდება როგორც ცხენის სკვითური აკაზმულობის ნაწილი [58, გვ. 341-342, ტაბ. 36_{16}]. სამი მსგავსი ზარაკი ჩანს დურა-ევროპოსის სამარხებში (მაგ. სამარხი № 24), რომელიც თარიღდება ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. ან ახ.წ. I ს. [73, ტაბ. XLV, L].

ამრიგად, ეს არის აღმოსავლეთ საქართველოში ამ არტეფაქტის (ზარაკის) შესწავლისა და კვლევის პირველი ცდა, რომელიც, ბუნებრივია, დაზღვეული ვერ იქნება გარკვეული უზუსტობისაგან. ზარაკების გენეზისის, მისი ფუნქციის საკულტო-სარიტუალო დანიშნულების და სხვ. ამასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, ჩვენი შემდგომი კვლევის მიზანს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სმმ, XIX-A და XX-B, 1957, გვ. 115-139.

2. არქეოლოგიური მასალის კატალოგი. II, თბ., 1955.

3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ღლონტი ნ. დიდი მცხეთა, 1979, მცხეთა, VI, თბ., 1982, გვ. 191-218.

4. ახვლედიანი ნ. რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლები თბილისიდან (თრელის ნასახლარი და სამაროვანი), ი.მ.კ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 1999.

5. ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისაში, თბ., 1981.

6. ბრაგვაძე ზ., დავითაშვილი ა. მცხეთიჯვრის ელინისტური ხანის სამარხები, თბ., 1993.

7. გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

8. გაგოშიძე ი. ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, სსმმ, ტ. XXVII-B, 1967, გვ. 53-93.

9. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები, თბ., 1982.

10. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

11. დავითაშვილი ქ. მცხეთიჯვრის „ნაურიალის" სამაროვნის № 82 სამარხი, ნარკვევები, V, თბ., 1999, გვ. 19-29.

12. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბ., 1993.

13. დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983.

14. თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

15. კვირკველია გ. იაშთხვას ადრეანტიკური ხანის სამარხები, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 74-80.

16. კობაიძე ლ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, II, რკინის კალოს სამაროვანი, თბ., 1978.

17. ლორთქიფანიძე ოთ. ახალგორის განძი, ძიებანი, № 11, 2003, გვ. 28-71.

18. მაკალათია ს. 1920-1921 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისთვის, სმმ, № 4, 1928, გვ. 161-188.

19. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის ქრონოლოგიისათვის ძვ.წ. I - ახ.წ. II სს. (1938-1986 წლებში გამოვლენილი კომპლექსების მიხედვით). დისერტაცია ისტორიის მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 1989.

20. მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან, თბ., 1992.

21. მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. ალგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2004.

22. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები), თბ., 1983.

23. **ნაკაიძე ნ.** ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების" სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28-41.

24. **ნიკოლაიშვილი ვ.** ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 91-104.

25. **რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., ჩიქოვანი გ., ღლონტი მ., წითლანაძე ლ., ბუჩუკური ა., რობაქიძე ც., მინდორაშვილი დ., რჩეულიშვილი გ., ლომიძე ც., ჩიხლაძე ვ., მარგველაშვილი მ., წიკლაური ივ., წიკლაური ჯ., გამეხარდაშვილი მ.** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში, თბ., 2004, გვ. 95-104.

26. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

27. **სინაურიძე მ.** კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1985.

28. **სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი), თბ., 1996.

29. **ტყეშელაშვილი ოთ.** ფოლადაურის ხეობა, თბ., 1969.

30. **ფირცხალავა მ.** სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 31-52.

31. **ქორიძე დ.** თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1958.

32. **ქორიძე დ.** შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში, სსმმ, ტ. XXII-B, 1961, გვ. 55-70.

33. **ყაზახიშვილი ლ.** ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები „საყარაულო სერის" სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 60-67.

34. **ცქიტიშვილი გ.** მდიდრული სამარხი ციხიაგორის სამაროვნიდან, „ძიებანი", № 7, 2001, გვ. 41-46.

35. **წითლანაძე ლ.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის განძი), თბ., 1976.

36. **წითლანაძე ლ.** ხევის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 2004.

37. **ხახუტაიშვილი დ.** უფლისციხე, I, თბ., 1964.

38. **ჯაფარიძე ო.** არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, თსუ შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 183-206.

39. **ჯინჯიხაშვილი გ.** ძვ.წ. I და ახ.წ. I სს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნებიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 42-59.

40. **ჯღარკავა თ.** კამარახევის სამაროვანი, კატალოგი, მცხეთა VI, თბ., 1982, გვ. 139-190.

41. **Абрамишвили Р.М.** Археологические исследования на новостройках Большого Тбилиси. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, с. 23-29.

42. **Алексеева Е.П.** Поздно-кобанская культура Центрального Кавказа. Ученые записки Ленинградского государственного университета, вып. 13, серия исторических наук, № 85, Л., 1949, с. 191-243.

43. **Апакидзе А.М., Николайшвили В.В., Нариманишвили Г.К., Давлианидзе Р.В., Садрадзе В.Г., Хецуриани Л.Г., Иремашвили Ш.А., Нонешвили А.И.** Мцхетская экспедиция, ПАИ в 1987 году, Тб., 1995, с. 83-89.

44. **Аракелян Б.Н.** Результаты работ Гарнийской археологической экспедиции, 1951-1955 гг., Ереван, 1957.

45. **Аракелян Б.** Результаты работ археологической экспедиции института истории АН Армянской ССР. 1949-1950 гг. Гарни I. Ереван, 1958.

46. **Гагошидзе Ю.М.** Самадло, каталог, Тб., 1981.

47. **Гогадзе Э.М.** К вопросу о хронологии и периодизации памятников Колхидской культуры, ССММ, т. XXXVII-B, Тб., 1984, гв. 28-54.

48. **Гогиберидзе Н.** Браслеты и гривны. V-I вв. до н.э., Тб., 2003.

49. **Деведжян С.Г.** Лори-Берд I, Ереван, 1981.

50. **Есаян С., Калантарян А.** Ошакан I. Археологические раскопки в Армении, № 8, Ереван, 1988.

51. **Иващенко М.М.** Кувшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII, 1950, с. 320-330.

52. **Казиев С.М.** Археологические раскопки в Мингечауре. Альбом кувшинных погребений, Баку, 1960.

53. **Квирквелия Г.Т.** Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв. до н.э. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тб., 1981.

54. **Кигурадзе Н.** Дапнарский могильник, Тб., 1976.

55. Козенкова В.И. Обряд кремации в Кобанском культуре Кавказа, СА, № 13, 1982, с. 14-34.

56. Козенкова В.И. Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. Восточный вариант. Археология СССР, САИ, вып. В2-5, М., 1982.

57. Козенкова В.И. Материальная основа быта Кобанских племен. Западный вариант. Археология России, САИ, М., 1998.

58. Мелюкова А.И. Оружие, конское снаряжения, повозки, навершие. Археология СССР. Степы Европейской части СССР в скифо-сарматское время, М., 1989, с. 92-100.

59. Микеладзе Т.К., Мигдисова Н.П., Папуашвили Р.И. Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции. ПАИ в 1982 году, Тб., 1985, с. 37-40.

60. Наридзе Г.Ш. Итоги исследования могильника в с. Нацаргора. ПАИ в 1987 году, Тб., 1955, с. 74-75.

61. Нариманишвили Г.К. Керамика Картли V-I вв. до н.э., Тб., 1991.

62. Нуцубидзе А.А. Археологические раскопки в сел. Абано. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978, გვ. 61-73.

63. Пассек Т.С. Джафарханский могильник, ВДИ, № 2, 1946, с. 169-188.

64. Пиотровский Б.Б. Кармир-Блур, III, Ереван, 1955.

65. Придик Е.М. Новые Кавказские Клады. Материалы по археологии России, Петроград, 1914, с. 94-110.

66. Синауридзе М.М. Результаты археологического изучения Болнисского района, Тб., 1977.

67. Смирнов Я.И. Ахалгорский клад, Тифлис, 1934.

68. Тирацян Г.А. Некоторые черты материальной культуры Армении и Закавказья V-IV вв. до н.э., СА, № 3, 1964, с. 64-78.

69. Трапш М.М. Труды, т. 2, Сухуми, 1969.

70. Уварова П.С. Могильники Северного Кавказа, МАК, 1900.

71. Хачатрян Ж.Д. Античный некрополь. Гарни V, Ереван, 1976.

72. Хоштария Н.В. О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг. ვანი IV, თბ., 1979, გვ. 115-134.

73. Toll N.P. The Excavations at Dura-Europos, Part II, The Necropols, London, 1946.


I
კონუსური
II
ცილინდრული
III
ნახევარელიფსური
IV
ნახევარსფერული
ძვ. წ. VIII
ძვ. წ. VII
ძვ. წ. VI
ძვ. წ. V
ძვ. წ. IV
ძვ. წ. III
ძვ. წ. II
ძვ. წ. I
ახ. წ. I

სულხან ხარაბაძე

სამარხები სოფ. ქვედა ციხესულორის ტერიტორიიდან

ვანის რ-ში, ვანის ნაქალაქარიდან 150-200 მ-ის დაშორებით, სოფ. ქვედა ციხესულორის ტერიტორიაზე, ადგილ „კეჭინარაზე", „ნაპურალას" ბორცვზე, ბოლო წლებში ნაპოვნი იქნა ქვევრსამარხი და დერგსამარხი.

„კეჭინარა" ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება ახვლედიანების გორას. მათ ერთმანეთისაგან გამოყოფს ხევი, სადაც „სამღელე" ჩამოედინება (იხ. სიტუაციური გეგმა, ტაბ. I). არქეოლოგიური დაზვერვებითა და შემთხვევითი მონაპოვრებით ცნობილია, რომ ეს ადგილი წარმოადგენს ვანის ძველი ნაქალაქარის გარეუბანს მთელი მისი არსებობის მანძილზე [5, გვ. 131, 135; 17, გვ. 101; 18, გვ. 45; 19; 20, გვ. 11; 24; 37, გვ. 149-150], შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვრებით დადასტურებულია ქვევრსამარხების არსებობაც [5, გვ. 130; 13, გვ. 6; 25].

ნაშრომის მიზანია, გამოვლენილი ახალი არქეოლოგიური მასალა ჩაერთოს სამეცნიერო მიმოქცევაში და განისაზღვროს მისი თარიღი.

სამარხეული კომპლექსები:

ქვევრსამარხი. „ნაპურალას" ბორცვზე, თემურ ჩუბინიძის ნაკვეთში, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით ქვევრსამარხი იპოვეს (ტაბ. I, №1). სამარხი ქვევრი ჩაფლული ყოფილა ჰორიზონტალურად, ყელით დასავლეთისაკენ (ადგილობრივი მცხოვრებლების ცნობა, რომლებმაც იპოვეს ეს სამარხი და მთელი სამარხეული ინვენტარი უკლებლივ ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს ჩააბარეს).

სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია მონეტით; ვერცხლის, ბრინჯაოს და მინის სამკაულით; უცხოური და ადგილობრივი კერამიკით.

სამარხის ინვენტარი:

1. ქვევრი (ტაბ. II_3), ნაცრისფერკეციანი, შავზედაპირიანი, შიდა ზედაპირი ყავისფერი; გვირგვინი სამკუთხაგანივკვეთიანია, გარეთა გვერდი გამობერილპროფილიანია, შემკულია ოთხი ირგვლივი ქედით, პირდაპირ უერთდება ყელს; ყელი სწორხაზოვანპროფილიანია, თანდათანობით უერთდება ტანს; ქვედა ნაწილი შემკულია ირგვლივი წიწვისებურად განლაგებული ირიბი ნაჭდევებით და ღარებით; ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილას ამოკაწრულია სვასტიკა, მის ქვემოთ განლაგებულია ირიბი ნაჭდევების ორი რიგი; ტანი სფერულია, ქვემოთ დავიწროვებული, შემკულია გამოწვამდე გამოყვანილი ფართო ზოლებით, მაქსიმალური დიამეტრის ადგილზე გარშემოუყვება ერთი ასეთი ზოლი; ზედა ნაწილში ზოლები ირიბია და ბოლოვდება ნათითურით, ქვედა ნაწილში კი - ვერტიკალური; ზოლებს შორის ზედაპირზე დატანილია ჰორიზონტალური ვიწრო ღარები; შიდა ზედაპირზე დატანილია ჰორიზონტალური ვიწრო ღარები (მოსწორების კვალი). სიმაღლე 150 სმ, პირის დმ 39 სმ, კეცის სისქე 2,2 სმ.

2. შავლაკიანი კანთაროსი (ტაბ. II_2), ლაკი ცუდი ხარისხისაა, თხელი, მოყავისფრო ელფერის. ზედა ნაწილი თითქმის ცილინდრულია, ქვედა ნაწილი კანელურებიანია. ქუსლი კონუსურია, საფეხურიანი. ოვალურგანივკვეთიან ყურებს პირის კიდის დონეზე მაღლა აზიდული შვერილები აქვს. სიმაღლე - 15 სმ, პირის დმ - 9 სმ, ქუსლის სიმაღლე - 2,5 სმ, ძირის დმ - 4,5 სმ.

3. დოქი (ტაბ. II_1), თიხისა, ყავისფერკეციანი, ტუჩი მომტვრეული აქვს; ყელი დაბალია, მუცელი თანაბრად გამობერილი, ძირი ბრტყელია. მრგვალგანივკვეთიანი ყური ტუჩიდან იწყება და მხარს უერთდება, ყურის ზედა ნაწილზე დასმულია კონუსური კოპი, სიგრძეზე კი წიწვისებური ორნამენტი ჩამოსდევს. ყელის ქვედა ნაწილის და მხრის დასაწყისის გარშემო, მოკლე, სოლისებური ნაჭდევების ხუთი რიგისაგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება. სიმაღლე - 13,8 სმ, ძირის დმ - 8 სმ.

4. სამაჯური (ტაბ. II_{17}), ბრინჯაოსი; რკალგახსნილი, ზურგსწორი, მომრგვალოოვალურგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. რკალს მთელ სიგრძეზე გასდევს ღარი და მოკლე ირიბი ნაჭდევები, ბოლოებში სტილიზებული ცხოველის თავებია გრავირებული. უდ. დმ - 6 სმ, ღეროს დმ - 0,2 სმ.

5. სამაჯური (ტაბ. II_{18}), ბრინჯაოსი; რკალგახსნილი, ზურგსწორი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან დამზადებული. რკალი სადაა, ბოლოები ოვალური ბურცობებით აქვს შემკული და რკალისაგან ირგვლივი ჭდეებითაა გამოყოფილი. უდ. დმ - 6,3 სმ, ღეროს დმ - 0,2 სმ.

6. საყურე რგოლები (ტაბ. $II_{14, 15}$), ვერცხლისა; თავგახსნილი, წრიული, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან; ბოლოები ხუთი ირგვლივი ღარითაა შემკული. 2 ცალი. დმ - 1,9 სმ, ღეროს დმ - 0,1 სმ.

7. საყურე რგოლი (ტაბ. II_{16}), ვერცხლის, თავგახსნილი, წრიული, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან; ბოლოები ოთხი ირგვლივი ღარითაა შემკული. დმ - 2,1 სმ, ღეროს დმ -0,2 სმ.

8. საკიდი (ტაბ. II_4), ნახევრადგამჭირვალე თაფლისფერი მინისა, ამფორისკოსის ფორმის; ზედა ნაწილში ცილინდრული არხი აქვს, თავი ნაწილობრივ მომტვრეული აქვს. შენორჩენილი სიმაღლე - 1,4 სმ.

9. მძივი (ტაბ. II_5), ნახევრადგამჭირვალე ლურჯი მინისა, ბიკონუსური, ცილინდრულარხიანი. სიგრძე არხზე 0,6 სმ, სიგანე 0,8 სმ, არხის დმ 0,15 სმ.

10. მძივები (ტაბ. $II_{6,\ 7}$), ნახევრადგამჭირვალე ლურჯი მინისა, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი, 32 ცალი. სიგრძე არხზე: max. 0,2 სმ - min. 0,1 სმ, სიგანე: max. 0,35 სმ - min. 0,2 სმ.

11. მძივები (ტაბ. $II_{6,\ 7}$), გაუმჭირვალე ყვითელი მინისა, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი, 15 ცალი. სიგრძე არხზე: max. 0,2 სმ - min. 0,1 სმ, სიგანე: max. 0,4 სმ - min. 0,2 სმ.

12. მძივები (ტაბ. $II_{8,\ 9}$), გამჭირვალე თაფლისფერი მინისა, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი, 2 ცალი. სიგრძე არხზე 0,2 - 0,1 სმ, სიგანე 0,3 სმ - 0,2 სმ.

13. მძივები (ტაბ. $II_{8,\ 9}$), გამჭირვალე ცისფერი მინისა, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი, 2 ცალი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,2 სმ.

14. მძივები (ტაბ. $II_{8,\ 9}$), გამჭირვალე ღია მწვანე მინისა, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი, 2 ცალი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,2 სმ.

15. მძივები (ტაბ. $II_{10\text{-}13}$), გაუმჭირვალე ლურჯი მინისა, წაგრძელებული თითისტარისებრი, შემკულია თეთრი მინის ძაფით გამოყვანილი სხვადასხვა კომბინაციის ზოლებით, 4 ცალი. სიგრძე არხზე - 1,1 - 1 სმ, სიგანე - 0,4 სმ.

16. მონეტა (ტაბ. II_{19}), ვერცხლისა; შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ქალის თავი, ზურგზე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი (ზურგის მხარე კარგად ვერ იკითხება), კოლხური ნახევარდრაქმა. დმ - 1,1 სმ.

როგორც ცნობილია, ქვევრში მიცვალებულის დამარხვის წესი თითქმის ერთადერთი წესია დაკრძალვისა ელინისტურ ხანაში შიდა კოლხეთში [13, გვ. 6]. „ვანის ქვეყანაში" ქვევსამარხები ჩნდება ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან. სამარხი ქვევრი მიწაში იდგმებოდა ვერტიკალურად, თავდაყირა. ძვ. წ. III ს-დან დაიწყეს ქვევრსამარხების ჰორიზონტალურად გამართვა, დაკრძალვის ეს ორი წესი თანაარსებობს მომდევნო პერიოდშიც [1, გვ. 91-93; 12; 13, გვ. 56; 34; 35, გვ. 1-148; 36, გვ. 73-74].

რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, მონეტა - ე. წ. II ტიპის კოლხური ტრიობოლი, რომელიც ძირითადად ძვ. წ. V-IV სს-ით თარიღდება [21, გვ. 205-206; 33, გვ. 31-35; 29; 31, გვ. 9-32]. კოლხური თეთრის წვრილი ნომინალები (ტრიობოლი), ქვევრსამარხის ინვენტარის თითქმის აუცილებელი ატრიბუტია [13, გვ. 14, 19, 25, 29]. იგი გვხვდება ძვ.წ. IV ს-ის დასასრულით - ძვ. წ. III ს-ის დასაწყისით (დგ I, 25-27; დგ II, 1; დაფნარი №13; ზემო ფარცხმა № 21, 23-25, 31-33) [11, გვ. 47-54, 58-61, 103; 12, გვ. 50-51; 13, გვ. 14, 22; 34, 24-25; 35, გვ. 32-34], ძვ. წ. III ს-ით (დგ I, 4; დგ II, 4; დაფნერი № 4, 5, 11, 19, 24, 28; ზემო ფარცხმა № 16; წიფნარი; ნოქალაქევი № 3(5)) [2, გვ. 44-47; 6, გვ. 74-79; 11, გვ. 39-41, 105; 12, გვ. 52-55; 13, გვ. 14-16, 28-29; 34, 17-19, 22-24, 27, 30-31, 32-33; 35, გვ. 21-23] დათარიღებულ ქვევრსამარხებში და ძვ.წ. II ს-ის შუა ხნებით დათარიღებულ ქვევრსამარხშიც [2, გვ. 29-42].

ბრინჯაოს სამაჯურს სტილიზებული ცხოველის თავებით (ტაბ. II_{17}), ანალოგები ეძებნება ფარცხანაყანევში (გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხი) [22, გვ. 85-90, ტაბ. $XLIII_{1\text{-}2}$], მუხიანში (გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხში) [13, გვ. 32-33, ტაბ. XXXI_1], ნოქალაქევში (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის № 10 ორმოსამარხში) [2, გვ. 54-58, სურ. 693].

მეორე სამაჯური მიეკუთვნება ოვალურ ბურცობებიან ტიპს, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარით - III ს-ის პირველი ნახევრითაა დათარიღებული (იხ. ტიპი II.2.2.01 [30, გვ. 41, 77, სურ. 125, ტაბ. 2]).

საყურე რგოლები (ტაბ. $II_{14\text{-}16}$) მიეკუთვნება კარგად ცნობილ - ე. წ. ბოლოებდაკეჭნილი საყურეების ტიპს. იგი გვხვდება დაბლაგომში (ქვევრსამარხი დგ II, №2) [12, გვ. 51-52], დაფნარში (ძვ. წ. III ს-ის № 4, 5, 9, 19, 21 ქვევრსამარხებში) [34, გვ. 17-19, 21-22, 27-29, 54, ტაბ. XXIII_4, XXX_4, XXXI_2], ფარცხანაყანევში (ძვ.წ. III ს) [32, გვ. 326, სურ. 8], ზემო ფარცხმაში (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის № 21, 25, 26, 32 და ძვ.წ. III ს-ის შუა ხანების № 16 ქვევრსამარხში) [11, გვ. 39-41, 47-49, 52-56, 58-60, 103-105, სურ. XIV_7, XVI_8, XIX_4], ფიჭვნარში (ელინისტური ხანის № 1, 3-6, 13-15, 26, 30, 34, 40, 42, 42ა, 47, 64, 87 სამარხებში) [16, გვ. 40-41, ტაბ. III_3, $VII_{6\text{-}7}$, $VIII_{5\text{-}6}$, X_{15}; 15, გვ. 27-30, 44, ტაბ. X_8, XIV_2, XVI_3, $XVII_{7,9}$, XVIII_4, $XXII_{2\text{-}3}$; 8, გვ. 54, ტაბ. XI_7, XIV_6; 9, გვ. 70, ტაბ. XXIV_6; 10, გვ. 69. ტაბ. IV_5], ნოქალაქევში (ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის № 2, 10 ორმოსამარხებში) [2, გვ. 52-58, 80, სურ. 61, 70], აღაიანში (რიყიანების ველის სამაროვნის, ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრის №1, 9, 11, 13 სამარხებში) [23, გვ. 18-21, 27-30, 33-38, სურ. 84].

ქვევრი - დაფნარის, ვანის, დაბლაგომის, ზემო ფარცხმის ანალოგიური ქვევრები მიეკუთვნება ძვ.წ. III-II სს. [7, გვ. 100-101, ტაბ. XXV_3, XXVI_2, XXXI_1; 11, გვ. 68, ტაბ. VIII_1, IX_8, X_1, XIII_1]. ქვევრზე გამოსახული ნიშანი სვასტიკა, გვხვდება დაბლაგომში (დგ. I, № 26), დაფნარში (№ 33), ზემო ფარცხმაში (№ 24), ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის ქვევრსამარხის ქვევრზე [35, გვ. 33-34, ტაბ. 273; 13, გვ. 14; 34, გვ. 37-38, ტაბ. $XLIV_{1,\ 4}$; 11, გვ. 50-52, ტაბ. XVI_1, XXIII_3].

კანთაროსი ათენის აგორის ანალოგების მიხედვით ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარს განეკუთვნება [39, გვ. 83-86, ტაბ. 528, სურ. 328], ამ ტიპის კანთაროსები ნაპოვნია დაფნარში (ძვ.წ. III ს-ის № 35 ქვევრსამარხში) [13, გვ. 22; 34, გვ. 38-39, ტაბ. XLV_3], წიფნარში (ძვ.წ. III ს-ის ქვევრსამარხში) [13, გვ. 28-29, ტაბ. XXIII_1; 6, გვ. 74-78, ტაბ. VIII_2], ფიჭვნარში (ელინისტური ხანის № 5 სამარხში) [16, გვ. 35-37, ტაბ. VII_3].

დოქი - ამ ტიპის დოქები ფართოდ არის გავრცელებული ძვ.წ. III-II სს-ში დაბლაგომში, დაფნარში, ფარცხანაყანევში, ზემო ფარცხმაში, ფიჭვნარში [13, გვ. 9-10, ტაბ. V_4, XI_3; 34, გვ. 49-50, ტაბ. XX_1; 11, გვ. 77-78, სურ. XI_{2-3}, XII_2, XIV_2, XIX_2, XX_2, XXII_9; 15, ტაბ. X_9].

საკიდი ამფორისკოსის ფორმის - გვხვდება დაბლაგომში, დაფნარში, ფარცხანაყანევში, ზემო ფარცხმაში, ზენობანში, ფიჭვნარში და ა.შ. ამ ტიპის მძივსაკიდები ძვ.წ. III-II სს. თარიღდება [35, ტაბ. 1510-11; 34, გვ. 24, ტაბ. XLV; 32, სურ. 10; 11, გვ. 100-101, სურ. XII_8; XIV_8, XVI_5, XVII_8; 6, გვ. 79-80, ტაბ. X_4; 9, გვ. 79, ტაბ. XXXIII_{22}].

მძივები (ტაბ. II_{10-13}) - გვხვდება დაბლაგომში [35, ტაბ. 16] დაფნარში (ძვ.წ. III ს-ის №19 ქვევრსამარხში, ინვ. № 5-979:70) [34, გვ. 27, IV_6], ზემო ფარცხმაში (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის №22, ძვ.წ. III ს-ის შუა ხანების № 16 ქვევრსამარხში და ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის №3 ქვევრსამარხში) [11, გვ. 34, 39-41, 49, 105, სურ. XI_9], ფარცხანაყანევში (ძვ.წ. III ს-ის № 1 ქვევრსამარხში) [32, გვ. 326, სურ. 8], ფიჭვნარში [8, გვ. 54-56, ტაბ. XIX_7; 9, გვ. 78-81, ტაბ. XXXIII_4; 16, გვ. 50, ტაბ. VII_{10}, XIII_{10}, XVI_7], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ელინისტური ხანის კომპლექსებში, ტიპი 174) [27, გვ. 42, ტაბ. 2748].

ლურჯი მინის ბიკონუსურ მძივს (ტაბ. II_5), პარალელები ეძებნება დაბლაგომიდან [35, გვ. 51-54, ტაბ. 16], დაფნარში (ინვ. № 5-979:70), ზემო ფარცხმაში [11, გვ. 96-101, სურ. VII_{10}, XX_4], ფიჭვნარიდან [14, გვ. 65-68, ტაბ. VI_8; 15, გვ. 29, ტაბ. XVI_7, XX_{63}; 8, გვ. 54-56, ტაბ. XIX_5; 16, გვ. 50, ტაბ. XIII_{10}, XV_5; 10, IV_6, VI_{10}], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ძვ.წ. IV- ახ.წ. IV სს.) [27, გვ. 68-69, ტაბ. 3327].

ზემოთ წარმოდგენილი პარალელური მასალები საფუძველს გვაძლევს, რომ სამარხი მივაკუთვნოთ ქვევრსამარხების იმ ჯგუფს რომლებიც ძვ.წ. III ს-ით თარიღდება.

დერგსამარხი. „ნაპურალას“ ბორცვის ჩრდილოეთ ფერდობზე, გივი დვალიშვილის სავენახე ნაკვეთისა და სამანქანო გზის საზღვარზე, ლევან რობაქიძის სახლის წინ, არქეოლოგიური დაზვერვებისას მიკვლეულ იქნა დერგსამარხი (ტაბ. I, №2). დერგსამარხი აღმოჩნდა გზის ჭრილში, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0,1 მ სიღრმეზე, ღორღიან დედაქანში, ჩრდილოეთი მხარე ნაწილობრივ ჩამორეცხილი იყო.

სამარხად გამოყენებულია დერგი, მიწაში ჩადგმული ვერტიკალურად, პირით მაღლა. პირზე დაფარებულია ქვევრის კედლის ფრაგმენტი. სამარხი ინჰუმაციურია, მიცვალებულის მდებარეობის და ორიენტაციის დადგენა ვერ მოხერხდა ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო. ძვლოვანი ნაშთებიდან შემორჩენილია მხოლოდ 10 კბილი, რომელიც 1 წლის ბავშვს ეკუთვნის (იხ. ანთროპოლოგ თეა ჯაშაშვილის დასკვნა). სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია ბრინჯაოს და მინის სამკაულით.

სამარხის ინვენტარი:

1. სამაჯური (ტაბ. III_{16}), ბრინჯაოსი; რკალგახსნილი, ზურგშედრეკილი, ბრტყელგანივკვეთიანი. გვერდებზე შემოუყვება სამ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული ირიბი ჭდეები, შიდა ზედაპირი ზენური ორნამენტის ორი ზოლითაა შემკული, რომლებიც ორ პარალელურ ხაზს შორის მოქცეული ჭდეებით შემკული ზოლითაა გამოყოფილი ერთმანეთისგან. ბოლოები ფანტასტიკური ცხოველის თავის გამოსახულებას წარმოადგენს. უდ. დმ - 5,7 სმ, სიგანე - 1,2 სმ, სისქე - 0,2 სმ.

2. საყურე რგოლი (ტაბ. III_{15}), ბრინჯაოსი; თავგახსნილი, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი ღეროსაგან. დმ - 1,6 სმ, ღეროს დმ - 0,1 სმ.

3. დერგი (სამარხი) (ტაბ. III_{19}), მოწითალო-ყავისფერკეციანი; პირი სწორია; ყელი შეზნექილპროფილიანია, ქვემოთ დავიწროებული, ტანს თანდათანობით უერთდება; ტანი სფერული, ქვემოთ დავიწროებული; ძირი ბრტყელია. სიმაღლე - 52 სმ, ძირის დმ - 16 სმ, კეცის სისქე - 0,7 სმ.

4. ქვევრის კედლის ფრაგმენტი (სამარხის სახურავი) (ტაბ. III_{18}), ყავისფერკეციანი, შავზედაპირიანი; შემკულია მერიდიანული ქედე-

ით, რომელთა შორის ზედაპირზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი ჰორიზონტალური ღარებია. შიდა ზედაპირზე ირიბი ღარებია (ბოსწორების კვალი). დამტვრეულია 8 ფრაგმენტად. კეცის სისქე - 1,6 სმ.

5. მძივები (ტაბ. III_{1-3}), მინის, სფერული; მუქი ლურჯი ფერის ბირთვზე დატანილია სამი სარტყელი, შედგენილი ირიბად დახრილი ერთმანეთს მირჩილული ლურჯი, ყვითელი, თეთრი, შინდისფერი, მწვანე ძაფებისაგან, სარტყლების შეერთების ადგილზე ორნამენტი დარღვეულია. ცილინდრულარხიანი; 5 ცალი. სიგრძე არხზე: max. 1,2 სმ - min. 1 სმ, სიგანე: max. 1,4 სმ - min. 1,2 სმ, არხის დმ: max. - 0,5 სმ - min. 0,3 სმ.

6. მძივები (ტაბ. $III_{5, 6, 8}$), თვალებიანი, მუქი ლურჯი მინის; სფერული, შემკულია მარტივი ზედნადები თეთრი რგოლისებური სამი თვალით, 8 ცალი. სიგრძე არხზე: max. 0,7 სმ - min. 0,5 სმ, სიგანე: max. 0,9 სმ - min. 0,6 სმ, არხის დმ: max. - 0,5 სმ - min. 0,2 სმ.

7. მძივები (ტაბ. III_{10-13}), იოტები, მუქი ლურჯი, ნახევრად გამჭირვალე მინისა; ცილინდრული და არხის მხრიდან მომრგვალებული (მიღებულია მინის მილის დაჭრით, დაჭრილია როგორც მართი კუთხით, ისე ირიბად) ცილინდრულარხიანი. 225 ცალი. სიგრძე არხზე - 0,2-0,1 სმ, სიგანე - 0,3-0,1 სმ, არხის დმ - 0,05 სმ.

8. მძივები (ტაბ. III_{10-13}), იოტები, ყვითელი მინის, ცილინდრული და არხის მხრიდან მომრგვალებული (მიღებულია მინის მილის დაჭრით, დაჭრილია როგორც მართი კუთხით, ისე ირიბად), ცილინდრულარხიანი. 62 ცალი. სიგრძე არხზე - 0,3-0,1 სმ, სიგანე - 0,3-0,2 სმ, არხის დმ - 0,05 სმ.

9. მძივი (ტაბ. III_{12}), იოტი, შავი მინის; არხის მხრიდან მომრგვალებული, ცილინდრულარხიანი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,3 სმ, არხის დმ - 0,1 სმ.

10. მძივი (ტაბ. III_{14}), იოტი, მწვანე, მინისებრი პასტის; ცილინდრული, ცილინდრულარხიანი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,5 სმ, არხის დმ - 0,2 სმ.

11. მძივი (ტაბ. III_{20}), ნახევრად გამჭვირვალე მუქი ლურჯი მინის, ორმაგი, ცილინდრულარხიანი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,2 სმ, არხის დმ - 0,05 სმ.

12. მძივები (ტაბ. III_{20}), ყვითელი მინის, ორმაგი, ცილინდრულარხიანი, 2 ცალი. სიგრძე არხზე - 0,2 სმ, სიგანე - 0,3 სმ, არხის დმ - 0,05 სმ.

13. მძივი (ტაბ. III_7), გაუმჭირვალე მუქი ლურჯი მინის, ბრტყელი, ცილინდრულარხიანი, შემკულია თეთრი მინის ძაფით გამოყვანილი ტალღოვანი ზოლებით. სიგრძე არხზე - 0,8 სმ, სიგანე - 0,7 სმ, სიმაღლე - 0,4 სმ, არხის დმ - 0,15 სმ.

14. მძივი (ტაბ. III_9), ლურჯი მინისებრი პასტის, სფერული; შემკულია ყვითელი, თეთრი, წითელი, ცისფერი და ლურჯი მინისებრი პასტის ვერტიკალური ზოლებით. სიგრძე არხზე - 0,6 სმ, სიგანე - 0,6 სმ, არხის დმ - 0,1 სმ.

15. მილაკი (ტაბ. III_4), მწვანე გამჭირვალე მინის, ცილინდრული, ცილინდრულარხიანი. სიგრძე არხზე - 2,2 სმ, სიგანე - 0,7 სმ, არხის დმ - 0,3 სმ.

16. რკინის გაურკვეველი დანიშნულების ნივთი (ტაბ. III_{17}), სფერული. დმ - 1,7 სმ.

სამარხში ნაპოვნ სამაჯურს ანალოგი არ ეძებნება, თუმცა ფორმითა და შემკობით გარკვეულ მსგავსებას ავლენს მოგვიანო ტიპის სამაჯურებთან, რომლებიც ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება [30, გვ. 6-14, სურ. 61; 16, გვ. 37-57, ტაბ. $III_{4, 6}$; IV_{4-5}].

ბრინჯაოს საყურე რგოლს (ტაბ. III_{15}), ანალოგები მოეპოვება ვანში, დაბლაგომში, დაფნარში, ფარცხანაყანევში, ზემო ფარცხმაში, ნოქალაქევში და სხვ. [3, გვ. 77, სურ. 105459-461; 35, გვ. 20-46; 34, გვ. 54; 11, გვ. 91-93; 2, გვ. 69, 80]. დერგი - ამ ტიპის დერგები ცნობილია ვანიდან (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის სამარხი დერგი) [38, გვ. 118-127], დაბლაგომიდან (ძვ.წ. III ს (დგ. II) №19 სამარხი დერგი) [35, გვ. 30, 68, ტაბ. 22], დაფნარიდან (ძვ. წ. III ს № 24 სამარხი დერგი) [34, გვ. 30-31, ტაბ. 352], ზემო ფარცხმიდან [11, გვ. 73-74].

მოზაიკურ მძივებს (ტაბ. III_{1-3}), პარალელები ეძებნება დაფნარში (ძვ. წ. III ს-ის №11 ქვევრსამარხში) [34, გვ. 22-24], ფიჭვნარში (ელინისტური ხანის №64 და №65 სამარხში) [9, გვ. 70, XXXVI, XXXVIII], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ძვ.წ. II-I სს.) [28, გვ. 39, ტაბ. 4960-61].

თვალადი მძივები ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული მძივის სახეობაა ანტიკურ ხანაში, ანალოგები ეძებნება ვანში [4, გვ. 99-100, სურ. 49453], დაბლაგომში [35, გვ. 52, ტაბ. 16], დაფნარიდან [34, გვ. 55, ტაბ. XXIV_6], ფიჭვნარში [14, ტაბ. III_6, VI_8; 15, გვ. 29, ტაბ. XXII_{12}; 8, გვ. 29, ტაბ. XXII_{12}; 9, გვ. 79; 10, ტაბ. II_2], ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ძვ.წ. IV-III სს.) [26, გვ. 61, ტაბ. 151-3]. მძივს (ტაბ. III_7), პარალელები ეძებნება დაბლაგომში [35, გვ. 51-54, ტაბ. 16], ფიჭვნარში [16, გვ. 50, ტაბ. VII_{10}, XIII_{10}]. მინის ორმაგ მძივებს (ტაბ. III_{20}), ანალოგი ეძებნება დაბლაგომიდან (დგ I, № 14 ქვევრსამარხი, ინვ. № ბ-38).

სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები სამარხის თარიღის დაზუსტების საშუალებას არ გვაძლევს, ზოგადად კი შეიძლება ის ძვ.წ. III ს-ით დათარიღდეს.

ლიტერატურა

1. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

2. **გვინჩიძე გ.** ელინისტური ხანის კოლხეთის მოსახლეობის ისტორიისათვის. თბ., 1988.

3. **გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფირცხალავა მ., ფუთურიძე რ., ჭყონია ა.** ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970-1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი. - ვანი IV, თბ., 1979, გვ. 41-114.

4. **გიგოლაშვილი ელ.** მძივ-სამკაული. - ვანი VII, თბ., 1983, გვ. 96-112.

5. **დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ.** მონეტები ვანიდან. - ვანი III, თბ., 1977, გვ. 119-152.

6. **ვაშაკიძე ნ.** სუფსის აუზში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები. - სდსძ III, თბ., 1973, გვ. 74-87.

7. **ვაშაკიძე ნ., ლორთქიფანიძე გ.** კოლხური ქვევრი. - სდსძ V, თბ., 1975, გვ. 93-106.

8. **ვაშაკიძე ნ., კახიძე ა.** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1975 წ. ჩატარებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ VII, თბ., 1978, გვ. 42-58.

9. **ვაშაკიძე ნ., კახიძე ა.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორიაზე. - სდსძ VIII, თბ., 1979, გვ. 68-84.

10. **ვაშაკიძე ნ.** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1980 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების კვლევა-ძიების შედეგები. - სდსძ XII, თბ., 1983, გვ. 64-86.

11. **ვაშაკიძე ნ.** ზემო ფარცხმის სამაროვანი. - სდსძ XIII, თბ., 1985, გვ. 23-116.

12. **თოლორდავა ვ.** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წწ. - ვანი II, თბ., 1976, გვ. 48-67.

13. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.

14. **კახიძე ა.** ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს-ის ელინისტური სამაროვანის არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ IV, თბ., 1974, გვ. 49-101.

15. **კახიძე ა. ვაშაკიძე ნ.** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1974 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები. - სდსძ VI, თბ., 1977, გვ. 25-53.

16. **კახიძე ა.** არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 1965 წელს. - სდსძ X, თბ., 1981, გვ. 37-57.

17. **ლორთქიფანიძე გ.** ვანის 1962 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ I საძიებო თხრილსა და I უბანზე ჩატარებული არქეოლოგიური თხრის ანგარიში. სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1973, გვ. 97-101.

18. **ლორთქიფანიძე ო.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ., 1973.

19. **ლორთქიფანიძე ო.** ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი, სამეცნიერო სესიის თეზისები და ბიბლიოგრაფია. თბ., 1973, გვ. 3.

20. **ლორთქიფანიძე ო.** ვანის ნაქალაქარი. თბ., 1973.

21. **ლორთქიფანიძე ო.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

22. **მამულაძე შ.** ფარცხანაყანევში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები. - სდსძ VIII, თბ., 1979, გვ. 85-90.

23. **მირიანაშვილი ნ.** შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II, თბ., 1983.

24. **რამიშვილი ა., ლანჩავა ო.** ვანის ქვეყანა. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი, სამეცნიერო სესიის თეზისები და ბიბლიოგრაფია. თბ., 1973, გვ. 20.

25. **ღამბაშიძე გ.** არქეოლოგიური დაზვერვები კეჭინარაში (სოფ. ციხესულორი, ვანის რ.). - თსუ სტუდენტთა XXV სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1963, გვ. 21-23.

26. **Алексеева Е. М.** Античные бусы Северного Причерноморья. САИ, вып. Г1-12, Москва, 1975.

27. **Алексеева Е. М.** Античные бусы Северного Причерноморья. САИ, вып. Г1-12, Москва, 1978.

28. **Алексеева Е. М.** Античные бусы Северного причерноморья, САИ., вып. Г1-12, Москва, 1982.

29. **Болтунова А. И.** Колхидки. – Вестник древней истории, Москва, 1973, №4, с. 92-109.

30. **Гогиберидзе Н.** Браслеты и гривны Грузии V-I вв. до н. э. Тб., 2003.

31. **Дундуа Г. Ф.** Нумизматика античной грузии. Тб., 1987.

32. **Иващенко М. М.** Кувшинный могильник в Западной Грузии. – СА, XIII, Москва, 1950, с. 90-330.

33. **Капанадзе Д. Г.** Грузинская нумизматика. Москва, 1955.

34. **Кигурадзе Н.** Дапнарский могильник. Тб., 1976.

35. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

36. **Лордкипанидзе О. Д., Путуридзе Р. В., Матиашвили Н. Н., Толордава В. А., Пирцхалава М. Н., Чкониа А. М., Квиркзелиа Г. Т., Инаури Г. А.** Ванская Археологическая экспедиция. – ПАИ в 1986 г., Тб., 1991, с. 70-74.

37. **Хощтариа Н.** Археологические исследования в Вани и ванском районе в 1952 году. – მსკა, ტ. II,თბ., 1959, გვ. 149-162.

38. **Хоштариа Н. В.** Из архива Н. В. Хоштариа. - ვანი IV, თბ., 1979, გვ. 115-134.

39. **Rotroff S.** The Athenian Agora, Hellenistic pottery, volume XXIX, Princeton, 1997.

I


ზედა ბაჭინარა
ქვედა ბაჭინარა
ნაშრალი
№1
№2
ანდლიანისამაგალი
გზა
ქვევრსამარხი
სახლი
მუზეუმი

II



III



მარიამ საგინაშვილი

მინის „დამღიანი“ ოთხწახნაგა ჭურჭელი მცხეთიდან

მცხეთაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან მინის ჭურჭელს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ოთხწახნაგა ბოთლებს - „აბუბიკოსებს,“ როგორც მათ ამ ბოლო ხანებში უწოდებს ზოგიერთი მკვლევარი. მათი რიცხვი თანდათან გაიზარდა; განსაკუთრებით გაიზარდა „დამღიანი“ ოთხწახნაგა ბოთლების რიცხვი, ანუ ისეთი ბოთლებისა, რომელთა ძირები შემკულია სხვადასხვა სახის რელიეფური ორნამენტით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სწორედ, „დამღიანი“ ბოთლების შესწავლა.

მცხეთაში აღმოჩენილია ერთი ტიპის რამდენიმე სახის რელიეფური ორნამენტით შემკული ათი ოთხწახნაგა ბოთლი.

1 (ტაბ. I_1). პირველი ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე, S უბანზე № 2 ქვის სამარხში. იგი მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, გვერდებისკენ დაქანებული პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით, რომელიც ტანისკენ შეუმჩნევლად ფართოვდება და მკვეთრად გამოიყოფა მისგან. აქვს მაღალი, ოთხწახნაგა ტანი; ბრტყელი, ოთხკუთხა ძირი და სამი თანაბარი ნაწილისაგან შედგენილი მასიური ყური. ძირი შემკულია ხუთი რელიეფური წრით, რომელთაგან ოთხი, შედარებით მომცრო (დმ-1,0 სმ) კუთხეებშია გამოსახული, ერთი კი, უფრო მოზრდილი (დმ-1,3 სმ), ძირის ცენტრში. ხუთივე წრეს შუაში „წერტილები“ აქვს. მინა მდარე ხარისხისაა, მსუბუქად ირიზებული. სიმაღლე - 19,5 სმ, პირის დმ - 4,5 სმ, ძირის ზომა - 6,0x6,0 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების სამთავროს ფონდში; ინვ. № 12-54:9191) [14, გვ. 183, ტაბ. 27, № 10, სურ. 148].

2 (ტაბ. I_2). მეორე ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის S უბანზე № A სამარხში. იგი მოცისფრო-მომწვანო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, გვერდებისკენ დაქანებულტუჩიანი პირით; ცილინდრული ყელით; მაღალი ოთხწახნაგა ტანით, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება და ბრტყელი, ოთხკუთხა ძირით თავდება. აქვს სამი არათანაბარი ნაწილისაგან შედგენილი ყური, რომლის გვერდითი ნაწილები ფართეა და შესქელებული. ძირზე, გარდა ხუთი რელიეფური წრისა, რომელთაგან, მსგავსად პირველი ჭურჭლისა, ოთხი კუთხეებშია გამოფენილი (დმ-1,1 სმ), ერთი კი - ცენტრის შუა ნაწილში (დმ-1,3 სმ), მოცემულია კიდევ ორი მოზრდილი რელიეფური კონცენტრული წრე (დმ-6,0 სმ; 4,4 სმ). მინა მდარე ხარისხისაა, მსუბუქად ირიზებული; სიმაღლე - 32,6 სმ; პირის დმ - 5,6 სმ; ძირის ზომებია: 7,0x7,0 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების სამთავროს ფონდში; ინვ. № 12-54:10817. ამჟამად გამოფენილია მუზეუმის არქეოლოგიური მასალის საექსპოზიციო დარბაზში, ვიტრინა XLII) [14, გვ. 185, ტაბ. 27, № 29].

3 (ტაბ. I_3). მესამე ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე № 905 სამარხში. იგი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, სქელტუჩიანი პირით; დაბალი, მხრებში ჩამჯდარი ცილინდრული ყელით; მაღალი, ოთხწახნაგა ტანით, რომელიც ძირისკენ შეუმჩნევლად ვიწროვდება და ოთხკუთხა ძირით თავდება; ყური ბრტყელი აქვს და დაღარული. ძირზე, ხუთ მომცრო წრესთან ერთად, მოცემულია სამი მოზრდილი რელიეფური კონცენტრული წრე (კუთხეების წრეების დმ-ია 1,1 სმ; დანარჩენი წრეებისა კი 1,3 სმ, 2,9 სმ, 4,8 სმ და 6,6 სმ). მინა მდარე ხარისხისაა - შეიცავს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბუშტებსა და შავი ფერის მინარევებს; მსუბუქადაა ირიზებული. სიმაღლე - 27,0 სმ; პირის დმ - 5,2 სმ; ძირის ზომებია 6,5x6,5 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში - ინვ. № 01/1-2670) [1, გვ. 33, № 46, ტაბ. $XXXVII_{1,3}$; LIV_5; 23, გვ. 46, № 46, გვ. 47, სურ. № 30, 46].

4 (ტაბ. I_4). მეოთხე ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე № 164 სამარხში. იგი მომწვანო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი სქელტუჩიანი პირით; მაღალი, ცილინდრული ყელით; მაღალი, ოთხწახნაგა ტანითა და ბრტყელი, ოთხკუთხა, ოდნავ შეზნექილი ძირით; ყური ბრტყელი აქვს და დაღარული (ყურის შიდა-პირი გლუვია). ძირზე, ნაცვლად წრეებისა, მოცემულია ხუთი კოპი, რომელთა დმ-ია 0,9 სმ; ძირის ცენტრში მოთავსებულ მომცრო კოპს გარშემოუყვება ორი მოზრდილი რელიეფური კონცენტრული წრე (დმ-2,9 სმ; 5,5 სმ); მინა მდარე ხარისხისაა, ირიზებული; სიმაღლე - 22,9 სმ; პირის დმ - 5,7 სმ; ძირის ზომებია: 7,5x7,5 სმ (ინახება მცხეთის მუზეუმის საცავში, ინვ. № 01/1-326) [4, გვ. 77, № 229, სურ. 437].

5 (ტაბ. II_1). მეხუთე ბოთლი აღმოჩნდა მცხეთაში, თბილისის ქ. № 102 სახლთან გათხრილ №1 კრამიტსამარხში (შემთხვევითი

აღმოჩენა). იგი მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, სქელტუჩიანი პირით; ფართო, ცილინდრული ყელითა და მაღალი, ოთხწახნაგა ტანით, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება და გადადის ოთხკუთხა ძირში (ძირის შუა ნაწილი და გვერდები შეზნექილია); ყური ბრტყელი აქვს და დაღარული. ძირზე კუთხეებში მომცრო რელიეფური წრეების (დმ-0,1 სმ) გარდა, მოცემულია, აგრეთვე, ორი მოზრდილი რელიეფური კონცენტრული წრე (დმ-5,6 სმ, 3,8 სმ); ძირის ცენტრში კი შემოხაზულია წრე (?), რომელიც, ჩვენი აზრით, ჩასაბერი მილის კვალი უნდა იყოს; კარგადაა დაცული - მსუბუქადაა ირიზებული; სიმაღლე - 18,9 სმ; პრის დმ - 4,8 სმ; ძირის ზომებია: 5,8x5,8 სმ (ინახება მცხეთის მუზეუმში, ინვ. № 3692).

6 (ტაბ. II_2). მეექვსე ბოთლიც აღმოჩნდა მცხეთაში, თბილისის ქ. № 102 სახლთან გათხრილ №1 კრამიტსამარხში მეხუთე ჭურჭელთან ერთად. იგი, აგრეთვე, მოთეთრო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა – ანალოგიურია მეხუთე ჭურჭლისა (პირის დმ და ძირის ზომა ემთხვევა, ძირის შემკულობაც ერთნაირია, განსხვავება იმაშია მხოლოდ, რომ მეექვსე ბოთლის მოზრდილი კონცენტრული წრეები ერთმანეთისგან უფრო პატარა მანძილით არიან დაშორებული; განსხვავება სიმაღლეშიც არის - მისი სიმაღლე 19,3 სმ-ია. განსხვავება სიმაღლეში გამოწვეულია იმით, რომ მეექვსე ბოთლს უფრო მაღალი ყელი აქვს (უფრო ვიწროც); ძირი უფრო მეტადაა დეფორმირებული; მის შუა ნაწილზეც შემოხაზულია ცოტა განსხვავებული მომცრო წრე(?), რომელიც ჩვენი აზრით, აგრეთვე, ჩასაბერი მილის კვალი უნდა იყოს (ინახება მცხეთის მუზეუმში, ინვ. № 3693).

7 (ტაბ. II_3). მეშვიდე ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის S უბანზე № 212 ქვის სამარხში. იგი მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი. მას აქვს ბრტყლად დაკეცილი, გვერდებისკენ დაქანებული მრგვალტუჩიანი პირი; ფართო, ცილინდრული ყელი და დაბალი, ოთხწახნაგა ტანი, რომელიც ბრტყელი ოთხკუთხა ძირით თავდება; ყური სამი არათანაბარი ნაწილისაგან არის შედგენილი (განაპირა ნაწილები, მსგავსად მეორე ჭურჭლისა, ბევრად უფრო განიერია და შესქელებული). ძირზე აქვს ოთხი სხვადასხვა ზომის რელიეფური წრე (დმ-ია 9,6 სმ; 6,9 სმ; 4,0 სმ; 1,5 სმ); მდარე ხარისხის მინისაა, მსუბუქად ირიზებული; სიმაღლე - 19,3 სმ; პირის დმ-8,5 სმ; ძირის ზომებია: 10,5x10,5 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების სამთავროს ფონდში; ინვ. № 12-54:11970. ამჟამად გამოფენილია მუზეუმის არქეოლოგიური მასალის საექსპოზიციო დარბაზში, ვიტრინა XLII) [14, გვ. 187, ტაბ. 27, № 73; 11, ტაბ. 10].

8 (ტაბ. II_4). მერვე ბოთლი აღმოჩნდა სამთავროს სამაროვნის S უბანზე № A ქვის სამარხში. იგი მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, ფართო, სქელტუჩიანი პირით; ცილინდრული ყელით; მაღალი, ოთხწახნაგა ტანით, რომელიც ძირისკენ ვიწროვდება და შეზნექილი ოთხკუთხა ძირით თავდება. ყური ბრტყელი აქვს და დაღარული. ძირის ცენტრში გამოსახულია ჯვრის მსგავსი რელიეფური გამოსახულება, რომელსაც გარს უვლის ორი რელიეფური კონცენტრული წრე (დმ-7,8 სმ, 6,2 სმ); ძირის კუთხეებში კი გამოყვანილია ურთიერთგადამკვეთი ორ-ორი პატარა რელიეფური ხაზები - ნიშანი, რომელსაც „გვერდებგახსნილ კვადრატს," ან „გონიოს" მსგავს გამოსახულებას უწოდებენ. მინა მდარე ხარისხისაა, ირიზებული; სიმაღლე - 29,5 სმ; პირის დმ - 5,8 სმ; ძირის ზომაა: 8,7x8,7 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების სამთავროს ფონდში; ინვ. №12-54:10819. ამჟამად გამოფენილია ზემოთ აღწერილ (7) ჭურჭელთან ერთად) [14, გვ. 184, ტაბ. 27, № 28].

9 (ტაბ. II_5). მეცხრე ბოთლი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე № 905 სამარხში. იგი მწვანე ფერის გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი; ბრტყლად დაკეცილი, გვერდებისკენ დაქანებულტუჩიანი პირით; ტანში ჩამჯდარი ცილინდრული ყელითა და მაღალი, ოთხწახნაგა ტანით, რომელიც ძირისკენ თანდათან ვიწროვდება და ბრტყელი, უსწოროდ შეზნექილი ძირით თავდება; ყური ბრტყელი და დაღარული აქვს. ძირზე გამოსახულია რელიეფური ექვსფურცლიანი ვარდული, რომელსაც გარს უვლის ერთი კონცენტრული წრე (დმ-6,0 სმ); ვარდულის ფურცლები სხვადასხვა ზომისაა; სამი მათგანის ბოლო შეუკვრელია და წრეზე გადადის. მინა მდარე ხარისხისაა - შეიცავს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ბუშტებს; მსუბუქადაა ირიზებული; სიმაღლე - 24,5 სმ; პირის დმ - 5,3 სმ; ძირის ზომაა: 6,8x6,8 სმ (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში - ინვ. № 2671) [1, გვ. 33-34, № 47, ტაბ. $XXXVII_{2,4}$; LIV_6; 23, გვ. 46, №47, სურ. 30, 47].

10 (ტაბ. II_6). მცხეთაში, ბაიათხევის სამაროვანზე № 24 სამარხში აღმოჩენილია კიდევ ერთი ოთხწახნაგა ბოთლი, რომელიც ზემოთ აღწერილი ბოთლებისაგან განსხვავებით, ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი - ყელ-პირი და ძირი. იგი მომწვანო ფერის გამჭვირვალე მინისაა; აქვს გადაშლილი და დაბრტყელებული პირი; ოთხკუთხა ძირი. ძირის

ზომებია: 4,0x4,0 სმ. ძირზე, მსგავსად პირველი (I) ჭურჭლისა, მოცემულია ხუთი რელიეფური კონცენტრული წრე - ერთი მოზრდილი წრე ცენტრში და ოთხი, შედარებით მომცრო წრეები, კუთხეებში (წრეების დმ-0,5 სმ; 0,9 სმ). მოზრდილი წრე, განსხვავებით პირველი ჭურჭლისაგან, ეხება მომცრო წრეებს (ფრაგმენტები ინახება მცხეთის მუზეუმში, ინვ. № 01-35-122) [6, გვ. 123, № 113, სურ. 1010, 1234].

ზემოთ აღწერილი ბოთლები ფორმაშია გამობერილი. ისინი, როგორც დავინახეთ, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მინის ხარისხითა და ფერით, პროპორციებითა და ზომებით, ყურებითა და რაც მთავარია, ძირზე გამოსახული რელიეფური ორნამენტით. მათ შორის განსხვავება შემთხვევითი არ არის. ეს უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ გამოსაბერად სხვადასხვა ფორმებია გამოყენებული და რომ ისინი სხვადასხვა საწარმოს პროდუქციას უნდა წარმოადგენდნენ. გამონაკლისს შეადგენენ მეხუთე (5) და მეექვსე (6) ბოთლები, რომელთა შორის მსგავსება იმდენად დიდია (მინის ფერი, ხარისხი, გეომეტრიული სახეები და სხვა), რომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ისინი ერთ ფორმაში არიან გამობერილი, რომ არა ის ფაქტი, რომ მეექვსე (6) ბოთლის ძირზე გამოსახულ კონცენტრულ წრეებს შორის მანძილი უფრო მცირეა, ვიდრე მეხუთე ბოთლის კონცენტრულ წრეებს შორის, რაც ეფუძრობთ უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ისინი სხვადასხვა ფორმებშია გამობერილი. ხოლო ის, რომ მეექვსე ჭურჭელს ყელი უფრო მაღალი აქვს და ვიწრო, რაზედაც ზემოთ უკვე ითქვა, შემდეგი გარემოებით უნდა აიხსნას - ფორმიდან ამოღების შემდეგ მას განსხვავებული ყელი გაუკეთეს (ცნობილია, რომ ყელს, პირსა და ყურებს ჭურჭელს ფორმიდან ამოღების შემდეგ უკეთებდნენ). რაც შეეხება ტანისა და შესაბამისად, ძირის დეფორმაციას, რაზედაც აგრეთვე ითქვა, გამოწვეული უნდა იყოს ფორმიდან ამოღების დროს ხელოსნის დაუდევრობით, რასაც არც თუ იშვიათად ვხვდებით ნებისმიერ ჭურჭელზე.

მნიშვნელობა გეომეტრიული სახეებისა, რასაც „დამღა" ვუწოდეთ, ჯერჯერობით მიღებულ ნათელი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მინის ჭურჭლის ამ საინტერესო ტიპს არა ერთი მკვლევარი შეხებია - ა. კიზა [28, გვ. 947 და შემდ.], მორინ ჟანი [29, გვ. 64, 14, სურ. 45], ო. ვესბერგი [30, გვ. 126], კ. აისინგსი [27, გვ. 64], დ. ჩარლზვორტი [25, გვ. 26-40], ნ. სოროკინა [19, გვ. 228-231], ნ. ბუნინა [15, გვ. 103, ნახ. 1; 16, გვ. 120-122] და სხვა, აქამდე დადგენილი არ არის, თუ რას წარმოადგენენ ბოთლების ძირებზე გამოყვანილი გეომეტრიული სახეები; ერთნი ვარაუდობენ, რომ ისინი ხელოსნის ან სახელოსნოს შესატრონის „დამღებია," მეორენი კი მათში სავაჭრო ნიშნებს ხედავენ. როდესაც გეომეტრიულ სახესთან ერთად, რელიეფური წარწერა ან ინიციალები გვხვდება, ისინი, უდაოდ, დამღებია. მაგრამ როდესაც ძირებზე წარწერა ან ინიციალები არა გვაქვს, ასეთი ბოთლები კი უამრავია, რაიმე გარკვეულის თქმა ძნელი ხდება. თუმცა ჩვენ მაინც იმ აზრისა ვართ, რომ გეომეტრიული სახეები უფრო დამღებია. იგივე აზრი გვაქვს გამოთქმული ურბნისის ოთხწახნაგა ბოთლის შესწავლის დროს [9, გვ. 87]. ვფიქრობთ, საწარმოს დამღა უნდა იყოს პანტიკაპეიონში აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის ოთხწახნაგა ბოთლების ძირებზე გამოსახული ხუთი მომცრო რელიეფური წრე, რაც ერთ საწარმოში სხვადასხვა ზომის ბოთლების დამზადებაზე უნდა მიუთითებდეს [19, ნახ. 12, № 16-20].

ზემოთ აღწერილი მინის ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში ახ.წ. I-III სს.; ისინი ჩნდებიან ახ.წ. I საუკუნის დასაწყისში, მაგრამ განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ I ს-ის მეორე ნახევარსა და II ს-ში, ახ.წ. III საუკუნეშიც აგრძელებენ არსებობას, IV საუკუნეში კი ისინი აღარ იხმარება. აღნიშნული ჭურჭლის ქრონოლოგია შემუშავებულია მორინ ჟანისა და კ. აისინგსის მიერ [29, გვ. 61; 27, გვ. 64].

ცნობილია, რომ ოთხწახნაგა ბოთლები მზადდებოდა როგორც ტარა და იხმარებოდა სხვადასხვა თხევადი ნივთიერების შესანახად და გადასატანად. ისინი ფორმის გამო მოსახერხებელი იყო კალათებსა და ყუთებში კომპაქტურად ჩასაწყობად. ამას ადასტურებს პომპეიში, მენანდრის სახლში აღმოჩენილი ბოთლები, რომლებიც ხის ორ ყუთში ეწყო [27, გვ. 63]. ბოთლებს იყენებდნენ როგორც სასადილო ჭურჭელსაც; ისინი დაკავშირებული იყო სამგლოვიარო რიტუალთანაც.

ოთხწახნაგა ბოთლებს ამზადებდნენ ორი ხერხით: ფორმაში გამობერვითა და თავისუფალი გამობერვით. თავისუფალი გამობერვით მიღებულ ჭურჭელს ძირი და გვერდები დაბრტყელებული აქვთ დაწოლის საშუალებით; შედარებით, თხელკედლიანებია. ფორმაში გამობერილი ბოთლები კი უფრო სქელკედლიანებია. ორივე ხერხი ხშირად იხმარებოდა და მრავლად მოიპოვება როგორც ერთი, ისე მეორე სახის ჭურჭელი. მაგრამ ჭარბობს ფორმაში გამობერილი ბოთლები [27, გვ. 63, სურ. 50].

დამზადების ადგილის მიხედვით მათ ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: ხმელთაშუაზღვისპირა ჯგუფად, რომელსაც სირიაში, ეგვიპტესა და კვიპროსზე გამობერილი ბოთლები განეკუთვნებიან და დასავლურ-რომაულ ჯგუფად, რომელშიც ევროპულ პროვინციებში (გალია, რეინის ოლქი და სხვა) დამზადებული ბოთ-

ლები ერთიანდებიან [16, გვ. 119]. ოთხწახნაგა ბოთლების რომელიმე ჯგუფისადმი მიკუთვნება დიდ სირთულეს წარმოადგენს. როდესაც ძირებზე მოცემულია ასოები, ადვილია იმის დადგენა, თუ რომელ ჯგუფს ეკუთვნის ჭურჭელი: ლათინური შრიფტი დასავლურ პროვინციებზე მიუთითებს, ბერძნული კი – აღმოსავლურზე. მაგრამ როდესაც ამის შესაძლებლობა არა გვაქვს, ერთმანეთთან დიდი მსგავსების გამო, ძნელდება მათი წარმომავლობის განსაზღვრა, მითუმეტეს, რომ ანალოგიური გეომეტრიული სახეები გვხვდება როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფის ბოთლებზე. ასეთ შემთხვევაში გვეხმარება ჭურჭლისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები: ხმელთაშუაზღვისპირა ჯგუფის ბოთლები, როგორც წესი, შედარებით თხელკედლიანებია, შესაბამისად მსუბუქი; ღია ცისფერი მინისა. მათი ზომა 20 სმ-ს არ აღემატება. პირი ან ბრტყლად დაკეცილი აქვთ, ან ტალღისებურად დაკეცილი; ყურები ბრტყელი, ზოგჯერ შესქელებული გვერდებით. დასავლეთევროპული ჯგუფის ბოთლები ზომებისა და პროპორციების მიხედვით ბევრად უფრო მრავალფეროვანია. ჭარბობს მასიური, სქელკედლიანი ინტენსიური ცისფერი ან მოცისფრო-მომწვანო ფერის ჭურჭელი; მათი ზომა 20-დან 32 სმ-მდეა, ზოგჯერ მეტიც. პირი ფართო აქვთ და მასიური; ყურები - დაღარული. მათი ტანი ან ძალზე ფართოა და დაბალი, ან მეტისმეტად მაღალი, რის გამოც ვიწრო ჭურჭლის შთაბეჭდილებას ტოვებენ [19, გვ. 228; 16, გვ. 120-121].

როგორც ვარაუდობენ, ოთხწახნაგა ბოთლების გამობერვა, თავდაპირველად, ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებში დაიწყეს, მაგრამ ეს ხერხი მალე აითვისეს იტალიასა და რომის იმპერიის დასავლეთის პროვინციებშიც. ამ საწარმოებიდან ისინი გავრცელდა მთელ ანტიკურ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოში გარდა მცხეთისა, ოთხწახნაგა ბოთლები აღმოჩენილია ურბნისში [8, გვ. 19, სურ. 4, ტაბ. 16; 9, გვ. 85-88, ტაბ. XII_3], ზღუდერში [5, გვ. 52-53; 10, გვ. 68], ჟინვალში [7, გვ. 94, 118, ტაბ. XXXVIII], გონიო-აფსაროსში [12, გვ. 27, სურ. 19], ბიჭვინტაში [3, გვ. 194, ტაბ. LXIX_1]. (ბიჭვინტაში აღმოჩენილი ოთხწახნაგა ბოთლებიდან მხოლოდ ერთია ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ბოთლების მსგავსი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მის ოთხკუთხა ძირზე გარდა ექვსფურცლიანი ვარდულისა, კუთხეებში რელიეფურად გამოსახულია ასო-ნიშნები. იგი დღეისათვის უნიკალური მონაპოვარია). უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთის ოთხწახნაგა ბოთლები, ჯერჯერობით, მინის ჭურჭლის ამ საინტერესო ტიპის ყველაზე მრავალრიცხოვან კოლექციას წარმოადგენს; იგი ყურადღებას იქცევს გეომეტრიული სახეების მრავალფეროვნებითაც.

ოთხწახნაგა ბოთლების შემკობა ხუთი რელიეფური წრით, რასაც მცხეთის პირველ (1) ჭურჭელზე ვხვდებით, აღმოსავლური საწარმოთათვის არის დამახასიათებელი - კერძოდ, სირიის ცენტრებისათვის. მცხეთის ცალი დიდ სიახლოვეს იჩენს, სწორედ, სირიულ ნაწარმად მიჩნეულ ურბნულ ბოთლთან როგორც ზომებითა და პროპორციებით, ისე მინის ხარისხითა და ფერით, და რაც მთავარია, ორნამენტით [9, გვ. 85-86]. მის ახლო ანალოგიებად უნდა ჩაითვალოს სირიული წარმოშობის ჩრდილოშავიზღვისპირეთის ბოთლებიც (მცხეთური ჭურჭლის ზუსტი ანალოგიაა სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური ხანის განყოფილებაში, პანტიკაპეიონის ფონდში დაცული ჭურჭელი - ინვ. № П-1909-20). მცხეთის ჭურჭელთან დიდ სიახლოვეს იჩენს ხუთი თანაბარი ზომის მომცრო წრეებით შემკული ცალებიც - ეს სახე წამყვანია პანტიკაპეიონის ოთხწახნაგა ბოთლებში [19, გვ. 230, სურ. 12, № 16-20]. რაკი მცხეთის ოთხწახნაგა ბოთლი სირიული პროდუქციის მსგავსია, ბუნებრივია, იგი სირიული ნაწარმი უნდა იყოს. ვფიქრობთ, სირიულია მეათე ბოთლიც, რომლის ძირიც შემკულია ხუთი წრით.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხუთი რელიეფური წრით შემკულ ბოთლებს პირი ხანრთული, ტალღისებურად დაკეცილი აქვთ, ხან კი - უფრო მარტივი, მცხეთის ჭურჭლის მსგავსად, ბრტყლად დაკეცილი. ამ დეტალზე ყურადღება გაამახვილა მკვლევართა ერთმა ჯგუფმა, რომელიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ტალღისებურად დაკეცილი პირი დამახასიათებელია ხმელთაშუაზღვისპირეთის ჯგუფისათვის, ბრტყლად დაკეცილი კი დასავლეთის ჯგუფისათვის [27, გვ. 67; 25, გვ. 26]. მაგრამ შეისწავლეს რა ოთხწახნაგა ბოთლების დიდი ჯგუფი, ნ. სოროკინა ი. გუშჩინასთან ერთად სამართლიანად შენიშნავს, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ჯგუფში ვხვდებით რგორც ბრტყლად დაკეცილ, ისე ტალღისებურად დაკეცილპირიან ბოთლებს [21, გვ. 94]. ამიტომ წარმომავლობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ბოთლებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: მინის ხარისხი, ყურის მოყვანილობა და ა.შ. [20, გვ. 120 და შემდ.].

სამარხები, რომელთაც ურბნისისა და ჩრდილოშავიზღვისპირეთის ჭურჭელი ეკუთვნის, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება [9, გვ. 88]. სახელმწიფო ერმიტაჟის ცალი - ინვ. № П-1909-20 - აღმოჩნდა ისეთ სანელსაცხებლეებთან, რომლებიც ახ.წ. I საის მეორე ნახევარს განეკუთვნებიან [18, გვ. 149, სურ. I; 16, გვ. 121]. სამარხი № 2, რო-

შულშიც მცხეთის პირველი ბოთლი აღმოჩნდა, შეიცავს ახ.წ. I ს-ის მუქი იისფერი მინის ორყურა სანელსაცხებლეს და მინის გვერდებშედრეკილ სასმისს, რომელიც ახ.წ. II ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ვფიქრობთ არ შევცდებით, თუ პირველ ბოთლს ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი - II ს-ის პირველი ნახევრით დავათარიღებთ. ასევე უნდა დათარიღდეს ბაიათხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ბოთლიც (მასთან ერთად აღმოჩენილია ახ.წ. I-II საუკუნისათვის დამახასიათებელი ჰორიზონტული კანელურებით შემკული მინის ორყურა სანელსაცხებლე). ასევე ათარიღებს მსგავს ჭურჭელს ნ. კუნინაც [17, გვ. 287, № 167].

შემკულობის მეორე სახე (ხუთ მომცრო წრესთან ერთად ორი და სამი მოზრდილი წრე), რომელიც მცხეთის მეორე და მესამე ბოთლების ძირებს ამკობს, დამახასიათებელი ჩანს დასავლეთის ჯგუფისათვის, თუმცა მას ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმზეც ვხვდებით [16, გვ. 120, სურ. 1]. აღნიშნული ბოთლები ძირზე გამოსახულ გეომეტრიულ სახეებთან ერთად, ყველა სხვა ნიშნის მიხედვითაც დასავლურ ნაწარმს უნდა ეკუთვნოდეს მიუხედავად იმისა, რომ მეორე ჭურჭელს ყური არა აქვს დაღარული, რაც როგორც ვიცით, დასავლური პროდუქციისათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, უნდა ვფიქროთ, რომ დასავლურ ცენტრებში ოთხწახნაგა ბოთლებს ბრტყელ ყურებსაც უკეთებდნენ.

რაც შეეხება მეოთხე ბოთლს (ტაბ. I_4), რომლის ძირზეც ორ მოზრდილ წრესთან ერთად, ხუთი მომცრო წრის ნაცვლად, ხუთი ბრგვალთავიანი კოპია გამოყვანილი, ორნამენტის ცალკეული დეტალებითა და ყველა სხვა ნიშნის მიხედვით, დასავლურ ნაწარმს უახლოვდება; ამიტომ მასაც დასავლურ ცენტრებში დამზადებულ პროდუქციად მივიჩნევთ. საინტერესოა, რომ მსგავსი ორნამენტი ჩანს დურა-ევროპოსში აღმოჩენილ ოთხწახნაგა ბოთლის ძირზეც. შეისწავლა რა დურ-ევროპოსის ბოთლები, ს. კლაირმონტმა იმდენად დიდი მსგავსება დაინახა დასავლეთის პროდუქციასთან, რომ ეჭვი გამოთქვა ზოგიერთი მათგანის ადგილობრივ წარმოშობაზე [24, გვ. 68].

ამავე ცენტრებში უნდა იყოს დამზადებული მეხუთე (ტაბ. II_1) და მეექვსე (ტაბ. II_2) ბოთლებიც, რომლებსაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიმაღლეს (18,9 სმ; 19,3 სმ), ეანჩნიათ დასავლური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მინის ფერს - ისინი დამზადებულია ინტენსიური ცისფერი მინისგან. როგორც ჩანს, მომცრო ოთხწახნაგა ბოთლებს ამზადებდნენ არა მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირეთის, არამედ დასავლეთის საწარმოებშიც. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ რომელიმე ერთი ნიშნის მიხედვით აღნიშნული ტიპის ჭურჭლის წარმომავლობის დადგენა არ იქნებოდა სწორი.

დასავლეთის ცენტრებიდან უნდა მომდინარეობდეს დანარჩენი სამი ჭურჭელიც. მეშვიდე ბოთლი (ტაბ. II_3) ძალიან ახლოს დგას ფ. ფრემერსდორფის მიერ გამოქვეყნებულ კელნის გარეუბანში აღმოჩენილ ჭურჭელთან [26, ტაბ. 23, სურ. 1]; ასევე ნ. სოროკინას მიერ რომის პროვინციებიდან მომდინარე მინის ჭურჭლად მიჩნეულ ცალებთან [19, სურ. 12; 2, 3]. რაც შეეხება მე-8, 9 (ტაბ. $II_{4,5}$) ჭურჭელს, იგი ახლოს დგას მორინ-ჟანის მიერ გამოცემულ გალიის ჭურჭელთან [29, გვ. 64, სურ. 45]. მერვე ბოთლი, თავის მხრივ, სიახლოვეს იჩენს, აგრეთვე, კელნის პროდუქციასთან, რაზედაც მიუთითებს შემკულობის ზოგიერთი დეტალი; მაგალითად, რელიეფური ნიშნები, რომლებიც ძირის კუთხეებშია მოცემული, გვხვდება კელნში აღმოჩენილ ოთხწახნაგა ბოთლების გამოსაბერი ფორმის ძირის კუთხეებშიც (გამოსაბერი ფორმა, რომელიც მარმარილოსი ყოფილა, გამოფენილი იყო სახელმწიფო ერმიტაჟში [13, გვ. 156, №288, სურ. 122]). მსგავსი ნიშნები გვხვდება დასავლურ პროდუქციად მიჩნეულ სხვა ოთხწახნაგა ჭურჭლის ძირის კუთხეებშიც [22, № 22, № 40; 25, გვ. 27, სურ. 3]. რაც შეეხება ექვსფურცლიან ვარდულს, რომელიც ამკობს მეცხრე ბოთლის ძირს (ტაბ. II_5), გვხვდება დასავლურ პროდუქციად მიჩნეულ ჭურჭლის ძირებზე [19, სურ. 12-1,5; 22, გვ. 48, №№ 29, 31].

ახლა რაც შეეხება დათარიღებას. ჩვენს მიერ დასავლურ ნაწარმად მიჩნეული ჭურჭლიდან მეხუთე და მეექვსე ბოთლები ახ.წ. II საუკუნით უნდა დათარიღდეს. გარდა ანალოგიური მასალისა, დათარიღების საშუალებას გვაძლევს მათთან ერთად აღმოჩენილი მასიური კონუსურტანიანი სანელსაცხებლეები, რომლებიც ჩვენთვის ცნობილ მასალასა და პუბლიკაციებში ახ.წ. II ს-ის შემდეგ აღარა ჩანს. ხოლო დანარჩენი ბოთლები კი (2-4, 7-9), ანალოგიურ ჭურჭელთან შედარებისა და სამარხეული კომპლექსების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ახ.წ. II-III ს-ის პირველ ნახევარს უნდა მივაკუთვნოთ (ახ.წ. III ს-ით ათარიღებენ მეოთხე ბოთლთან აღმოჩენილ სურპანტინის ტექნიკით დამზადებულ სანელსაცხებლეს [2, გვ. 218]; ახ.წ. III ს-ის დასაწყისით არის დათარიღებული ზღუდერში აღმოჩენილი ოთხწახნაგა ბოთლი [5, გვ. 53]; ახ.წ. II-III საუკუნით ათარიღებს მეშვიდე ბოთლს ნ. უგრელიძე [11, ტაბ. 10]).

როგორც დავინახეთ, მხოლოდ პირველი (1) ოთხწახნაგა ბოთლი აღმოჩნდა სირიული

წარმოშობისა. იგი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი სახით მცხეთაში აღმოჩენილ სირიული მინის საკმაოდ დიდ ჯგუფს დაემატა მინის ჭურჭლის კიდევ ერთი საინტერესო ტიპი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში აღმოჩენილ სირიულ ნაწარმთან ერთად გვიჩვენებს, თუ რაოდენ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი არსებობდა სირიასა და იბერიას შორის ახ.წ. I-II სს-ში.

ხოლო, რაც შეეხება დანარჩენ ბოთლებს, მათ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის მინის საწარმოების პროდუქტს შედარებით ნაკლებად გავრცელებულს ჩვენში. მათი ახ.წ. II-III სს-ით დათარიღება მიგვანიშნებს იმაზე, რომ მცხეთას აღნიშნულ ხანაში სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი უნდა ჰქონოდა დასავლეთის, კერძოდ კი გალიასა და რეინის ცენტრებთანაც (რომაულ ხანაში რეინის პროვინცია გალიასთან ერთად ოთხწახნაგა ბოთლების წარმოების ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი იყო, რაზედაც მეტყველებს აღნიშნულ ტერიტორიაზე მათი დიდი რაოდენობით აღმოჩენა). მაგრამ იყო თუ არა ეს კავშირი პირდაპირი? ჰქონდა თუ არა მას რეგულარული ხასიათი? ძნელი სათქმელია. ვფიქრობთ, ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა უფრო მეტი მასალის მოძიება და შესწავლა.

დასარულ, ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ ოთხწახნაგა ბოთლების სახელწოდებას - „კუბოკსი," რაც ჩვენ უკვე ვიხმარეთ სტატიის დასაწყისში. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ა. კიზას მიერ შემოთავაზებული სახელწოდება „ლაგონი", რაც ნიშნავს ბოთლს, მთლად მოხერხებული არ არის აღნიშნული ბოთლებისათვის. მათი აზრით, უფრო შესაფერისი იქნებოდა ბერძნული ტერმინი „კუბიკოსი", რაც ჭურჭლლის კუბურ ფორმაზე მიგვანიშნებს [21, გვ. 94]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სწორედ „ლაგონი" („ბოთლი") უფრო შეესაბამება ოთხწახნაგა ბოთლების ფორმას; მაგრამ, რადგანაც ბოთლებს ჩვენ ვუწოდებთ ცილინდრული ფორმის ჭურჭელს, ასევე დიდი ზომის სფერულმუცლიან ჭურჭელსაც და სხვა, იქნებ მართლაც ჯობდეს ოთხწახნაგა ბოთლებისათვის ვიხმაროთ სახელწოდება „კუბოკოსი."

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ.** მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა - აკლდამა 905. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევაა-ძიების შედეგები, ტ. XI, თბ., 1996, გვ. 7-79.

2. **ბიბილური თ.** ყელსაწურიანი მინის ჭურჭლის ახალი თარიღი. სმამ, ტ. 99, თბ., 1990, გვ. 217-220.

3. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბ., 1991.

4. **მანჯგალაძე გ.** სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. მცხეთა, ტ. VII, თბ., 1985, გვ. 43-108.

5. **ნემსაძე გ.** ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების 1965-1967 წლების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 45-56.

6. **ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ.** ბაიათხევი. მცხეთა, ტ. X, თბ., 1995, გვ. 97-136.

7. **რამიშვილი რ.** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წწ. განთხარის მიხედვით. ჟინვალი I, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში, თბ., 1983, გვ. 81-181.

8. **საგინაშვილი მ.** ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970.

9. **საგინაშვილი მ.** რელიეფურორნამენტიანი მინის ჭურჭელი ურბნისის სამაროვნიდან. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, თბ., 1985, გვ. 85-88.

10. **საგინაშვილი მ.** მინა გვიანანტიკური ხანის იბერიაში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1972.

11. **უგრელიძე ნ.** მინა ძველ საქართველოში, თბ., 1961.

12. **შალიკაძე თ.** გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი, 2004.

13. Выставка Римско-Германского Музея города "Кельна". Римское искусство и культура, Каталог, Л., 1987.

14. **Иващенко М.М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э. მცხეთა, ტ. III, თბ., 1980.

15. **Кунина Н.З.** Новое поступление античного стекла из коллекции Горшиных. СГЭ, 1975, вып. XI, с. 102-104.

16. **Кунина Н.З.** Два стеклянных кувшина из некрополя Нимфея. Художественные изделия античных мастеров, Л., 1982, с. 119-124.

17. **Кунина Н.З.** Античное Стекло в собрании Эрмитажа. Каталог, ГЭ, 1997.

18. **Кунина Н.З., Сорокина Н.П.** Стеклянные бальзамарии Боспора. ТГЭ, т. XIII, 1972, с. 146-177.

19. **Сорокина Н.П.** Стеклянные сосуды из Танаиса. Древности Нижнего Дона, М., 1965, с. 202-248.

20. **Сорокина Н.П.** Античные стеклянные сосуды из раскопок некрополя боспорского города Кепы на Таманском полуострове. Античный мир и археология, Саратов, 1977, вып. 3, с. 115-144.

21. **Сорокина Н.П., Гущина И.И.** Стеклянные изделия из могильников первых веков н.э. Юго-Западного Крыма. История и культура Евразии по археологическим данным, М., 1980, с. 89-100.

22. **Alarcâo J.** Bouteilles carrées à fond décoré du Portugal Romain. Journal of glass studies, XVII, 1975, p. 47-53.

23. **Apakidze A., Nikolaishvili V.** An aristocratik tomb of the roman period from Mtskheta, Georgia. Being the Journal of the Society of Antiquaries of London, 1994, vol. LXXIV, p. 16-54.

24. **Clairrmont Ch. W.** The Glass vessels, The excavations at Dura-Europos, Final Report IV, Part V, New Haven, 1963.

25. **Charlesworth D.** Roman square bottles. Journal of Glass studies, vol. VIII, Corning (New York), 1966, p. 26-40.

26. **Fremersdorf Fr.** Römische Brandgrab mit Bronzegefässen von Köln-Lindental-"Germania," Anzeiger, Jahrgang 17, 1933.

27. **Isings C.** Roman Glass from dated finds. Groningen-Djakarta, 1957.

28. **Kisa A.** Das Glas im Altertume. Bd, III, Leipzig, 1908.

29. **Morin-Jean.** La verrerie en Gaule sous L'Empire Romain, Paris, 1913.

30. **Vessberg O.** Roman Glass in Cyprus. Opuscula Archaeologica, Lund, VII, 1952, p. 109-165.

I



II



ქეთევან რამიშვილი

მდ. არაგვის ხეობაში აღმოჩენილი ფრინველის ბრინჯაოს მინიატურული გამოსახულება

არაგვის ხეობაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ვერცხლისა და ბრინჯაოს ზოომორფულ ფიგურებს შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ფრინველის ერთმა მცირე ქანდაკებამ, რომელიც ნეძიხის სამაროვნის 57-ე ორმოსამარხში აღმოჩნდა. ფრინველის გამოსახულება ჩამოსხმის წესით, ბრინჯაოსაგანაა დამზადებული და ახ.წ. III ს-ის მიწურულით თარიღდება [12, გვ. 67-71]. მას ზურგზე მოზრდილი საკიდი რგოლი აქვს, რაც ფიგურის რიტუალურ დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, მითუმეტეს, რომ ამავე ორმოსამარხში, სხვა ნივთებთან ერთად, ბრინჯაოს ძეწკვიც აღმოჩნდა, რომელიც, ვფიქრობთ, ამავე საკიდ-ფიგურას უნდა ეკუთვნოდეს. ფრინველი მჯდომარე პოზაშია წარმოდგენილი, რაზეც წინ გართხმული ბრჭყალებიანი ფეხები და სიბრტყეზე დადებული კორპუსი მიუთითებს. დაღარული ფრთები ჰორიზონტალურად იმგვარად აქვს გაშლილი, რომ ზურგზე იქმნება მომცრო ოვალური სიბრტყე, რომელზეც საკიდი რგოლია დარჩილული, ბრტყელი კუდი კი უჩვეულოდ ვერტიკალურად აქვს განფენილი. სხეულის ცალკეული სტილიზებული ნაწილები (კუდი, ფრთები, ფეხები) მეტად პირობითადაა მოდელირებული, თუმცა წინმაცქერალი თავი შედარებით რეალისტურადაა წარმოდგენილი. მოღერებული კისერი და მოკლე ნისკარტიანი თავი, რელიეფური მრგვალი თვალებით, ერთგვარ ექსპრესიულობას ანიჭებს, აცოცხლებს და მეტად გამომსახველს ხდის ფრინველის სტატიკურ ფიგურას (ტაბ. I_1).

კავკასიაში ფრინველის მხატვრული სახე, სხვა ზოომორფულ გამოსახულებებთან ერთად, უძველესი დროიდანვე მეტად ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს. ამ მხრივ აღსანიშნავია ადრებრინჯაოს ხანის ქვაცხელას სამაროვანზე აღმოჩენილი სპილენძის ფირფიტოვანი დიადემა [8, გვ. 78, სურ. 51], რომელზეც ასტრალური ნიშნები, წყლის ფრინველები და ირმებია გრავირებული. ასევე საყურადღებოა III-II ათასწლეულების მიჯნით დათარიღებული მაიკოპის ვერცხლის თასი, რომელზეც სხვადასხვა ცხოველებთან ერთად ფრინველის ორი გრაფიკული გამოსახულებაა წარმოდგენილი. ფრინველები პროფილში არიან გამოსახული ნატურალისტურად, რომელთანაც შერწყმულია განზოგადოებული ფორმა და სქემატიზმი [2, გვ. 30, ტაბ. I].

ფრინველთა სკულპტურული გამოსახულებებია აღმოჩენილი დმანისის რაიონის სოფ. ირგანჩაიში, რომელიც ძვ.წ. XV საუკუნითაა დათარიღებული (გამთხრელები კ. კახიანი, ე. ღლიღვაშვილი). მათ მთლიანადსხმულ ფიგურებს მასიურკორპუსიანი სხეული, წაგრძელებული ნისკარტი, რელიეფური თვალი და ბრტყელი, ბოლოგაშლილი კუდი აქვთ [34, გვ. 27], სურ. 82] (ტაბ. III_5). მესხეთში (ბორნიღელე, ზველი, ჩითახევი, ახალციხე) აღმოჩენილ ფრინველთა ფიგურებს პროფილში ნახევარმთვარისებრი ფორმა აქვთ, ხოლო საკიდი რგოლები ზურგის შუა ნაწილზეა გამოყვანილი. ამასთან, ზოგ გამოსახულებას კუდი ორად აქვს გაყოფილი [27, გვ. 4; 34, გვ. 296, სურ. 32, 35] (ტაბ. III_2). ოთარ ფირინე ღამბაშიძეების მიერ გათხრილი ეს ფიგურები, ძირითადად, ძვ.წ. XV-XIV სს-ითაა დათარიღებული [16, გვ. 36-43; 24, გვ. 57-64; 25, გვ. 29-31; 26, გვ. 18-21]. აღსანიშნავია აგრეთვე მესხეთის სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი, ზემოთგანხილული ფიგურების თანადროული ბრინჯაოს საკინძები, რომლებიც ფრინველთა მცირე (მათ შორის ორთავიანი) ქანდაკებებით არიან შემკული [34, გვ. 301, 302, 304] (ტაბ. III_{13}).

კახეთში (შილდა, გულგულა, გადრეკილი, მელიღელე და სხვა) ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ძვ.წ. XIV-XII სს-ით დათარიღებული შილდის სამლოცველოს მასალები [9, ტაბ. XXVI, LXX]. კახეთის ფიგურები, მსგავსად მესხეთისა, ხასიათდება ფუჟე კორპუსითა და დაფანჯრული სამკუთხა ჭრილებით, მაგრამ მოცულობითი ფორმის მქონე მესხეთში აღმოჩენილი ფიგურებისაგან მკვეთრად განსხვავდება გეომეტრიული პროპორციებით. ამასთან, შილდის ფიგურებს, გარდა ერთი შემთხვევისა, საკიდი რგოლი კისრის დასაწყისში, თავთან ახლოს აქვთ მოწყობილი [9, ტაბ. LXX, სურ. 12]. შილდის ფრინველებისთვის დამახასიათებელია სამკუთხა მოყვანილობის პროფილი, უმეტესად უფრთო სხეული, მაღალი კისერი, სამკუთხედებით შემკული ფუჟე კორპუსი, ფიგურასთან ერთად ჩამოსხმული საკიდი რგოლი და „ყოთეტების“ შეერთების ადგილას მცირე შვერილები, რომლებიც ფრინველის ფეხების მიმანიშნებელია [9, ტაბ. $XXVI_{7,8,9,10,17,18,19,20,2}$ (ტაბ. III_4).

ყველა აქ ჩამოთვლილ ფრინველთა მცირე ქანდაკებები ჩამოსხმის წესითაა დამზადებული და მათ სრულიად ჩამოყალიბებული იკ-

[illegible]ურაფია აქვთ, რაც ამ სფეროში უკვე [illegible]ული ტრადიციის არსებობაზე მიუთი[illegible] [27].

[illegible]ალდის სამლოცველოს ფრინველების ფი[illegible]ებთან გარკვეულ სიახლოვეს ავლენს [illegible] გადრეკილის ფარგლებში, ადგილ „ნა[illegible]ომარზე," გვიანი ბრინჯაოს ხანის სა[illegible]ებში აღმოჩენილი ფრინველის მცირე [illegible]ანდაკებები [15, გვ. 15, ტაბ. VIII, ტაბ. XI_{98}, [illegible] 37-110, ტაბ. $XV_{204-, 205, 206}$].

[illegible]ანსხვავებული მანერითაა შესრულებული [illegible] აჩაბეთში ნაპოვნი ფრინველის ქანდაკე[illegible], რომელსაც საკიდი რგოლი აგრეთვე კი[illegible]ზე აქვს მიმაგრებული. ამ შემთხვევაში ფრინველის კისერი საშუალო სიმაღლისაა, [illegible] გრძელი და დაბრტყელებული ნისკარტი, [illegible]ელიეფური თვალები, გაშლილი კუდი და [illegible]ელი ფეხები [3, გვ. 47, ტაბ. XXVIII_3].

ფრინველის სტილიზებული ფიგურები [illegible]ნილია თლიას სამაროვნიდანაც, რომლებ[illegible] სხეულზე გამჭოლი ხვრელი აქვთ, საკი[illegible] რგოლი კი თავზე, კუდი მარაოსებრად [illegible] გაშლილი [33, ტაბ. 41-6, 45-5, 67-7, [illegible]5-5]. ავტორი ამ ფიგურათა შემცველი სა[illegible]ების ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად ძვ.წ. X საუკუნეს მიიჩნევს, თუმცა თანმხლები [illegible]ალების მიხედვით (გრავირებული კოლხუ[illegible] ცულები, ფიბულები, აბზინდები და სხვა), [illegible] ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.წ. VIII საუკუნით უნდა განისაზღვროს [14].

ფრინველთა გრაფიკული გამოსახულებე[illegible] წარმოდგენილი გვიანბრინჯაოს ხანის [illegible]ენტრალურ-სამხრეთკავკასიურ ბრინჯაოს [illegible]ტყლებზე, რომლებიც, ძირითადად, ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. მაგ. სამთავროს [illegible]ერთ-ერთ სარტყელზე გამოსახულია ირმები, [illegible]ანტასტიკური ცხოველები, ტახები, ფრინ[illegible]ელი, თევზი, თხა, პურობის სცენა და გმირ[illegible] სამეული. ამ სარტყელზე, ჩვენი აზრით, [illegible]ლის ფრინველებია წარმოდგენილი, რო[illegible]ლთაგან ზოგიერთის გვერდით მზის სიმ[illegible]ოლური გამოსახულებაა დატანილი (ტაბ. [illegible]). ფრინველთა გრაფიკული გამოსახულებე[illegible] სხვა სარტყლებზეც გვხვდება [20, ტაბ. [illegible], IX_9, X_{10}] და სხვა. მეტად საინტერესოა [illegible]ალრევის სამაროვანზე მოპოვებული № 19 [illegible]ტყელი. ამ ნიმუშზე ცხოველთა მფარველი [illegible]ღვთაების ყველა ზოომორფული სახეა წარ[illegible]ოდგენილი. საქართველოში ამ ღვთაებისადმი [illegible]ძღვნილი რიტუალები ნაყოფიერების კულ[illegible]ან დაკავშირებული დღეობების ერთ-ერთ [illegible]ნელოვან ციკლს შეადგენდა. ამასთან [illegible]კავშირებით საყურადღებოა სარტყლის [illegible]ენა ნაწილში გამოსახული ორი სცენა. [illegible] აშკარად რიტუალურ ცეკვას გადმოგვ[illegible], ხოლო მეორე - ღვთაებისკენ მიმავალ [illegible]ესიას. კომპოზიციაში თვით ღვთაებას [illegible]ასახიერებს ირემი და სიცოცხლის ხის სა[illegible] წარმოდგენილი მისი რქები. ირმის ფეხებთან ორ შემთხვევაში წეროა, რომელიც იმავე ღვთაების ერთ-ერთ ინკარნაციას უნდა განასახიერებდეს. ფრინველთა დამოუკიდებელი გამოსახულებებია სარტყლის კუთხეებშიც [20, ტაბ. XVIII_{19}]. ამ კონტექსტში საყურადღებოა ასტყიბლურში (სომხეთი) აღმოჩენილი ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი, რომელზეც ირმებზე ღვთაებრივი ნადირობის სცენებია წარმოდგენილი [20, ტაბ. XXI_{22}]. ეტლში შებმულ ცხენებს, მხედრებს, მშვილდოსან „ღვთაებებსა" და ირმებს შორის გამოსახულია გრძელკისერა ფრინველი, რომელსაც გაშლილი კუდი აქვს. ამ ფრინველის ზურგს ამშვენებს ბუნი, რომელიც სოლარული ნიშნით შემკული რგოლითაა დასრულებული (ტაბ. II_3). მსგავსი გამოსახულება შემონახულია სვანეთში (ჭუბერში) აღმოჩენილი ყალიბის ნახევარზე, სადაც საკიდი ავგაროზის ჩამოსასხმელად ამოკვეთილ ფრინველს ზურგზე ადგას მოგრძობუნიკიანი რგოლი, რომელიც, ყველა ნიშნით, მზის სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. II_2), [34, გვ. 397].

ფრინველთა გრაფიკული გამოსახულებებია წარმოდგენილი აგრეთვე კოლხურ-ყობანური ტიპის ცულებზე. გვხვდება ცულები, რომელთა ორივე მხარეს გეომეტრიული ორნამენტის გარდა, გამოსახულია ირემი, ძაღლი, ფრინველი, გველი, თევზი, ფანტასტიკური ცხოველი. ხშირად ცხოველთა და ფრინველთა გვერდით მოთავსებულია სტილიზებული მზე, მთვარე, ვარსკვლავი. ცულები ამგვარი ნახატებით აღმოჩენილია აფხაზეთის ტერიტორიაზე. იდენტური ძეგლები ცნობილია ყობანის გათხრებიდანაც [2, გვ. 42-43].

აღსანიშნავია ფრინველთა სკულპტურული მცირე ქანდაკებები ჩრდილოეთ ოსეთიდან (ყობანი). ისინი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება და ერმიტაჟის კოლექციაში ინახება. ეს არის ბრინჯაოს მინიატურული ქანდაკებები მონოლითური, განზოგადებული ფორმით. წერტილოვანი, ზოგჯერ რელიეფური თვალებით, ზურგზე ან ფეხებზე საკიდი რგოლით, ან იშვიათად გახვრეტილი სხეულით [28, სურ. 112-116].

გედების წყვილი სტილიზებული გამოსახულებით არის შემკული ძვ.წ. VI ს-ის ვერცხლის თასი სტეფანწმინდადან, რომელიც მოსკოვის საისტორიო მუზეუმში ინახება და რომელიც ყაზბეგის განძის სახელწოდებითაა ცნობილი. რთული ორნამენტით მორთული თასის შუაგულში შიგნიდან მრგვალი ჩაღრმავებული ადგილია, რომლისკენაც წვეტიანი ბოლოებით ექვსი რელიეფური თვალია მიმართული. ბირთვებს შორის მოთავსებულია ორ-ორი წყვილი გედის ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების თავი. თავების ყოველი წყვილის ზემოთ შიდა მხრიდან შვიდფურცლოვანი პალმეტია მოთავსებული. მის ზემოთ

სქემატური ლოტოსის ყვავილია გამოსახული [2, გვ. 79-80, ტაბ. 10].

აღსანიშნავია, აგრეთვე ცხენის რახტის ოქროს სამკაული ახალგორის განძიდან (ძვ.წ. V ს.). მას როზეტის ფორმა აქვს და მისი ასევე როზეტის ფორმის შუა ნაწილი წრიულად შემკულია ფრინველთა რელიეფური გამოსახულებებითა და სხვადასხვანაირი ორნამენტით [2, გვ. 81, ტაბ. 15].

მეტად მნიშვნელოვანია ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სხივანა საყურეები. საყურე რგოლი მრგვალი მავთულისგანაა დამზადებული, ბოლოები ჩიტის თავებით არის გაფორმებული და შესაკრავად გახვრეტილი. რგოლის წინა მხარე თექვსმეტფურცლიანი ვარდულითაა შემკული, სიგრძივ დაცვარულია. რგოლის ქვემოთ რადიალურად გაშლილი 6 სხივი დაგვირგვინებულია ცვარათი შედგენილი პირამიდებითა და ფრინველის მინიატურული სკულპტურული გამოსახულებებით. ჩიტი გამოსახულია საყურე რგოლის თავზეც. სამივე ფრინველის გამოსახულება თავზე, მკერდსა და ფრთებზე უხვადაა დაცვარული [7, გვ. 13, ტაბ. I_6].

ასევე საყურადღებოა ვანში აღმოჩენილი ოქროს ყელსაბამი, რომელიც წრიულად განლაგებული ჩიტების მინიატურული ფიგურებისა და მძივების მონაცვლეობითაა შედგენილი (ძვ.წ. V ს-ის მიწურული და IV ს-ის დამდეგი). ფრინველის ყველა ფიგურა ერთგვაროვანია. თავი, ფრთები და კუდი შემკულია ცვარათი, სხეული სადაა. აქვს მრგვალი რელიეფური თვალი, რომელსაც წრიულად რელიეფურივე კანტი შემოუყვება. ვანის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილია ყელსაბამის თანადროული ჰერალდიკური დანიშნულების ოქროს არწივის გამოსახულებანი. ფიგურები შესრულებულია ბრტყელ რელიეფში, თავით პროფილში, გაშლილი ფრთებითა და კუდით ფასში. სხეული შემკულია თევზისქერცლისებრი და ხაზოვანი ორნამენტით. აქვთ მრგვალი რელიეფური თვალები და მასიური, მოკაუჭებული ნისკარტი [7, გვ. 15, ტაბ. $IV_{3,4,6}$].

ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრითაა დათარიღებული ვანში, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ოქროს უძრავსაკიდიანი საყურეები. საყურის რგოლი ვარდულით არის მორთული. ცვარათი გამოყვანილია პირამიდები და ჩიტის მინიატურული გამოსახულებანი, რომლებიც მეტად წააგავს ოქროს ყელსაბამზე არსებულ ფრინველთა ასევე ცვარათი მორთულ ფიგურებსა და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრის საყურის ჩიტებს [7, გვ. 22, ტაბ. $VI_{4,5}$]. ამავე საყურის თანადროულია „წარჩინებული კოლხი მეომრის" თავსაბურავის შემადგენელი ნაწილები, რომელიც წარმოდგენილია ფრინველისა და ცხენის დაცვარული საკიდებით [7, ტაბ. VII_3].

ფრინველთა მეტად საყურადღებო ნიმუშებია წარმოდგენილი გვიანელინისტური ხანის ქართულ ჭვირულ აბზინდებზე, სადაც ცენტრალური ფიგურის (ირემი, ჯიხვი, ცხენი) გვერდით ხშირად გამოსახულია სტილიზებული ჩიტების რელიეფური ფიგურები. კომპოზიცია ყველა შემთხვევაში ჩასმულია ორნამენტულ ჩარჩოში, სასურათე სიბრტყე შეესებულია ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებებით (ტაბ. I_5) [21, ტაბ. 84, 65, 74, 87, 124, 147, 148 და სხვ.]. ფრინველთა მცირე ქანდაკებები ცნობილია რაჭიდან [5], ლეჩხუმიდან [13] და სხვ.

ჩვენი ფრინველის ფიგურას უაღრესად საინტერესო შესატყვისები მოეპოვება ახ.წ. პირველი საუკუნეების ძეგლებზეც. მაგ. კლდეეთში [6, ტაბ. VIII_9] (ტაბ. I_2), მცხეთაში [29, სურ. 250, 263], მონასტერის სამაროვანზე ლიახვის ხეობაში [22; 23] და სხვა. ზოგიერთი მკვლევარი ამ საკიდებიან მომცრო ფიგურებში მტრედისა ან ხოხბის გამოსახულებას ხედავს, თუმცა სტილიზაცია და ფიგურათა ერთგვაროვნება ფრინველთა საეხეობის დაბეჯითებით გარკვევის საშუალებას არ იძლევა. ახ.წ. III ს-ს განეკუთვნება აგრეთვე, არაგვისპირში აღმოჩენილი ვერცხლის თასი, რომლის ფსკერზეც წარმოდგენილია ტახტზე აღმართული ფრთაგაშლილი არწივის საკმაოდ რეალისტური გამოსაუხლება, რომელსაც ნისკარტით ძალაუფლების სიმბოლო - გვირგვინი უპყრია (ტაბ. I_4).

არქეოლოგიური კომპლექსები, სადაც ფრინველის გამოსახულებებია მიკვლეული, მოტანილი მაგალითებით არ ამოიწურება, მაგრამ რაც დავასახელეთ, ვფიქრობთ, ნათლად გვიჩვენებს ფრინველის კულტისადმი კავკასიელ ხალხთა დამოკიდებულებას და იმას, რომ ამ სიმბოლომ მცირე პლასტიკის სახით თითქმის გვიანანტიკური ხანის მიწურულამდე შემოინახა თავი, თუმცა ფრინველის კულტმა ფარშევანგის, მტრედისა და არწივის სახით, ქრისტიანულ ხანაშიც გაგრძელა არსებობა, რაზეც ბიჭვინთის კათედრალური ტაძრის მოზაიკური გამოსახულებები და ადრე თუ შუასაუკუნეთა ხანის ქართული ქრისტიანული ტაძრების კედლებზე წარმოდგენილი ჰორელიეფური გამოსახულებები მეტყველებს.

წინარექრისტიანული ხანის სიმბოლოთა კვლევის სფეროში მეტად მნიშვნელოვანია ფრინველთა გამოსახულებების სემანტიკის გარკვევა, რადგან, მსოფლიო მასშტაბით, მათ უადრეს გამოსახულებებს უკვე პალეოლითის ხანიდან საკრალური ხასიათი აქვთ. ნეოლითისათვის კი ფრინველთა გამოსახულებებს სოლარულ ნიშნებთან ერთად არიან წარმოდგენილნი. სხვადასხვა მითოლოგიურ ტრა-

ციებში ფრინველი გამოდის როგორც რელიგიურ-მითოლოგიური სისტემისა და რიტუალის აუცილებელი ელემენტი და მას მრავალფეროვანი ფუნქცია აკისრია. ფრინველები შეიძლება იყვნენ ღვთაებები, დემიურგები, გმირები, ფრინველადქცეული ადამიანები, ღმერთების გადასაადგილებელი საშუალებები და სხვა. ისინი წარმოადგენენ ღვთაებრივი არსის, ზესკნელის, ცის, მზის, ქარის, თავისუფლების, ნაყოფიერების, ბარაქის, აღმავლობის, ზრდის, ამაღლების, სულისა და სხვა სიმბოლოებს. მითებში ფრინველთა ტიპოლოგია მოიცავს არამხოლოდ რეალურად არსებულ სახეობებს, არამედ ფანტასტიკურსაც. მაგ. ანზუდი მესოპოტამიაში, გარუდა ინდოელთათვის, სიმურგი და ვარაგნა ირანელთათვის, რუხა არაბთათვის, ფასკუნჯი ქართველთათვის და სხვა. უძველეს ხალხთა მითოლოგიაში ფანტასტიკური ფრინველები შეიძლება ჰიბრიდული ბუნებისაც იყვნენ. მაგ. სფინქსი, ქიმერა, პეგასი, გრიფონი, სენმურვი და სხვა [30, გვ. 346]. მსოფლიოს ხალხთა წარმოსახვაში, რაც დადასტურებულია ძველ ალთქმაშიც (ლევ. 11; 13-19), ფრინველთა კლასი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: წმინდად და უწმინდურად. წმინდა ფრინველებად მგალობელი ჩიტები, ფარშევანგები, მტრედები, ბოხბები და მისთანანი ითვლებიან. მათ შორის გამორჩეული იყო და არის მტრედი. რაც შეეხება უწმინდურებს, ისინი ხორცით იკვებებიან და მათი ნაწილი ჭაობში ცხოვრობს [10, გვ. 41-56].

სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიაში, ზღაპრებსა და გამომსახველობითი ხელოვნების ობიექტებში მეტად პოპულარულია ფრინველის (არწივის) და გველის შერკინების სცენა, სადაც არწივი გამოდის როგორც ზესკნელის, ღმერთის, გმირის ან მათი დამხმარე არსების სიმბოლო, ხოლო გველი, როგორც ქთონური სამყაროს, ქვესკნელის ცხოველი. მსგავსი მეტად საინტერესო და არქაული მოტივია დამახასიათებელი ერთი ქართული ზღაპრისთვის. გმირი დაინახავს ბუდეს, რომელშიც ფასკუნჯის (ან არწივის) მართვენი სხედან. მათ გველი ეპარება. ფასკუნჯი (არწივი) ებრძვის გველს. გმირი გველს მოკლავს და ფასკუნჯის შვილებს გადაარჩენს. მადლიერი ფასკუნჯი გმირს ყოვლისშემძლე ყუთით ასაჩუქრებს. ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, გველის, ადამიანისა და ფასკუნჯის შეხვედრა ზესკნელში ხდება. მადლობის ნიშნად ფასკუნჯი გმირს დედამიწაზე ამოიყვანს. აქ ფრინველი (ზესკნელი) თან უპირისპირდება გველს (ქვესკნელს), ამავე დროს სამივე სკნელის დამაკავშირებლად და მონადირის დამასაჩუქრებლად გვევლინება. საინტერესოა, რომ ეს მოტივი ფართოდ იყო გავრცელებული შუმერულ ეპოსში, რომელიც გმირ ეტნას სამეფოსთან არის დაკავშირებული [20, გვ. 65]. საყურადღებოა, რომ სამთავროს № 4 სარტყელზე [20, ტაბ. IV] გამოსახულია გველისა და ფრინველის ბრძოლის ამსახველი სცენა.

ნიშანდობლივია, რომ „ტყაში-მაფა" ტყის ცხოველებთან ერთად ფრინველთა გამგებელიცაა. იგი ტანშიშველი მზეთუნახავია, გრძელი ჩამოშვებული დალალებით, ტყეში დახეტიალობს როგორც სული და მას ფრინველთა მთელი სამყარო ემორჩილება. მას შეუძლია ბედნიერად წარმართოს მონადირე, მრავლად შეახვედროს ფრინველი და ასევე ხელი შეუშალოს ნადირობაში [20, გვ. 61-62].

ფრინველის გამოსახულებები მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის ხესთან, რომელზეც ისინი კენწეროზე სხედან ან ხის ორივე მხარეს, ზედა ტოტებზე არიან წარმოდგენილნი. ეს წყვილი ფრინველი მზესა და მთვარეს უკავშირდება, ამასთან ერთად ნაყოფიერების, სიმდიდრის, კეთილდღეობის სიმბოლოდაც გვევლინება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა კლდეეთში ახ.წ. II-III საუკუნეების სამაროვანზე აღმოჩენილი ოქროს ბალთები, რომლებზეც ფრინველთა ფიგურები ბალთის ცენტრში აღმართული ღერძის ორივე მხარეს ერთმანეთის მოპირდაპირედ არიან წარმოდგენილნი. ჩვენი აზრით, ღერძი სიმბოლურად სიცოცხლის ხის იმიტაცია უნდა იყოს, ხოლო ფრინველები კი ამ სიცოცხლის ხესთან და ტყუპების მითებთან დაკავშირებული ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოები (ტაბ. I_3).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფრინველი და მისი გამოსახულებები, თავისი არსით, თავდაპირველად დაკავშირებული იყო მთვარესა და მთვარის კულტთან [21, გვ. 74]. გამორიცხული არ არის, რომ განვითარების სწორედ ამ საფეხურზე ფრინველი გაეაზრებინათ, როგორც გარდაცვლილთა სულების მეგზურები ზეცისკენ (მთვარისკენ) მიმავალ გზაზე. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მიცვალებულის სულის გამოსახვა ფრინველით არის ერთ-ერთი უძველესი და სრული შინაარსის მქონე სიმბოლო, რომელიც უნივერსალური და საყოველთაოა თითქმის ყველა ხალხისათვის [10, გვ. 43]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ შილდასა და მის სინქრონულ ძეგლებზე აღმოჩენილი ფრინველების საკიდიანი ფიგურები ამგვარ სიმბოლოებს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, ზეციურ სამყაროსთან (სულეთთან) გარდაცვლილთა სულების მეგზურები წმინდა ფრინველთა წრიდან ივარაუდება, აქ კი უძველესი დროიდან უპირატესობა მტრედს ეკუთვნოდა, რომელმაც ფარშევანგთან ერთად ადრექრისტიანულ ხანაშიც მყარად შემოინახა თავი.

როგორც ჩანს, მოგვიანებით, ფრინველი მზეს უკავშირდება და მის ერთ-ერთ ატრიბუტად მოიაზრება. სვანეთში შეკრებილი ეთნო-

გრაფიული მასალების მიხედვით, მზეს მსხვილფეხა საქონლისა და ფრინველთა უზენაესი ღვთაება ბარბალ-ბარბოლი განასახიერებდა, რომელიც უდიდესი აგრარული ქალღვთაება ლამარიას ფუნქციის თანაზიარი იყო [4, გვ. 43]. მზის ღვთაება ბარბალეს მჭიდროდ უკავშირდება მამლის კულტი, როგორც უნივერსალური და უძველესი დროიდან მომდინარე მოვლენა. მამალი, ვითარცა განთიადის მაუწყებელი ფრინველი, მზესთან, სინათლის გამარჯვებასთან იყო ასოცირებული [4, გვ. 72; 11]. ფრინველის კულტი სვანეთში ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. მრავალი გამოსახულებაა მიკვლეული ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღებულ ლარილარის სამაროვანზე (ტაბ. II_1). შ. ჩართოლანის განსაზღვრით, ფრინველის გამოსახულებები გამოიყენებოდა როგორც სამკაული და გულსაკიდი ავგაროზები [17, გვ. 316, ტაბ. III_5]. ფრინველის კულტისადმი თაყვანისცემა სვანეთში ამ ბოლო დრომდე იყო შემონახული. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მკვლევარის სტოიანოვის ცნობით, სვანეთში ეკლესიებს სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ფრინველთა გამოსახულებებს წირავდნენ [32, გვ. 314]. სვანეთში გავრცელებული იყო ფრინველთა მფარველი ღვთაების „აფსასდ"-ის კულტი, რომელიც მოსახლეობის რწმენით, ფრინველთა მფარველ კეთილ სულს წარმოადგენდა [19, გვ. 94]. ეთნოგრაფიულ ყოფაში ფრინველთა ღვთაებისადმი შემორჩენილი თაყვანისცემა ამ კულტის სიძლიერესა და მდგრადობაზე მიუთითებს.

საყურადღებოა, რომ გარდა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ფიგურებისა, ფრინველთა გამოსახულებები კერამიკული ჭურჭლების სახითაც მზადდებოდა. ასეთი მასალა მოპოვებულია ძვ.წ. V-III საუკუნეებით დათარიღებულ კამარახევის სამაროვანზე. უფრო გვიანდელ სამაროვნებზე - ჟინვალში, ნეძიხში და სხვა, ამგვარი ჭურჭლის ნაწილს მამლის, ზოგს კი ქათმის ან იხვის ფორმა აქვს და ეჭვგარეშეა, რომ ისინი რიტუალური მიზნითაა დამზადებული.

ფრინველთა ე.წ. უწმინდური ჯგუფის წევრთაგან ყურადღებას იქცევს დუალისტური ბუნების ფანტასტიკური არსება ფასკუნჯი, რომლის ბუდეში, მითოლოგიური თქმულებების მიხედვით, იბადება ფრთოსანი ლეკვი ყურშა, მრისხანე ძაღლი, რომელსაც უჩვეულო გარეგნობის გამო, ბუდიდან აგდებენ. მას მონადირე პოულობს და მიჰყავს გასაზრდელად. ზოგი გადმოცემით, ყურშა ორბის, ყორნის ან ქორის შვილია [1, გვ. 60]. ხორცისმჭამელ ფრინველთაგან ყურშას მომდინარეობა მის დუალისტურ ბუნებას უნდა განაპირობებდეს.

ფრინველი, როგორც წარსულში მზის ღვთაების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმბოლო, ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, აღდგომის დოგმატს დაუკავშირდა და წარმართული გამოცდილებიდან გადავიდა ქრისტიანულში, როგორც ცათა სასუფეველთან დაკავშირებული არსება (მტრედი), როგორც უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლო (ფარშევანგი) [31, გვ. 199-204], აგრეთვე, როგორც ცხონებული სულების ზეცაში მეგზური (სხვადასხვა ჩიტების სახით).

ამრიგად, ნეძიხის სამაროვანზე ახ.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ ფრინველის გამოსახულებას არაერთი შესატყვისი მოეპოვება არა მარტო საქართველოს მრავალ კუთხეში აღმოჩენილ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების მსგავს ფიგურებთან, არამედ გაცილებით უფრო ძველ არქეოლოგიურ კომპლექსებშიც. კერძოდ, ფრინველთა ბრინჯაოს უძველესი ქანდაკებები ჯერჯერობით შუაბრინჯაოს ხანის დასასრულს განეკუთვნება, თუმცა მათი გრაფიკული გამოსახულებები ცნობილია უძველეს პეტროგლიფებზე და ადრებრინჯაოს ხანის სხვადასხვა საგნებზე.

ფრინველთა საკიდიანი ფიგურების (ისევე, როგორც ზოომორფული პლასტიკის სხვა ნიმუშების) სემანტიკურმა და მხატვრულ-სტილურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩვენი ფიგურა წარმოადგენს სიმბოლოს, მისი შემქმნელი საზოგადოების რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებულ საგანს, რომელიც ბრინჯაოსავე ძეწკვზე ჩამობმული რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობდა. აშკარაა, რომ არაგვის აუზი ნაწილი იყო იმ ერთიანი იდეოლოგიური სივრცისა, სადაც უძველესი დროიდან არსებობდა ფრინველის კულტიც. თავისი გენეზისით იგი მომდინარეობდა იმ მითო-რიტუალური წიაღიდან, რომელიც კავკასიასა და საქართველოში თითქმის ქრისტიანობის ოფიციალურ აღიარებამდე დომინირებდა.

ლიტერატურა

1. **აბაკელია ნ.** სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ., 1997.

2. **ამირანაშვილი შ.** ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971.

3. **ა.მ.ძ.** II, ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში 1904-1940 წლებში შესული საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების აღწერილობა. შეადგინეს და სასტამბოდ მოამზადეს მ. ბადრიაშვილმა, დ. ქორიძემ, ლ. ღლონტმა, ტ. ჩუბინაშვილმა, თბ., 1955.

4. **ბარდაველიძე ვ.** ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბალ-ბარბარ), თბ., 1941.

5. **გობეჯიშვილი გ.** არქეოლოგიური ძეგლები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952.

6. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

7. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანი „ოქრომრავალი" კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, თბ., 1996.

8. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ურბანიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

9. **მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ.** შილდის სამლოცველო, თბ., 1984.

10. **ნადირაძე ე.** მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998.

11. **რამიშვილი რ.** კამარახევის სამაროვანი, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. II, თბ., 1959.

12. **რობაქიძე ც.** ნეძიხის სამაროვანზე აღმოჩენილი მცირე პლასტიკის ნიმუშები, ძეგლის მეგობარი, № 1, თბ., 1990, გვ. 67-71.

13. **სულავა ნ.** მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში (ლეჩხუმი), თბ., 1996.

14. **ფანცხავა ლ.** კოლხური კულტურის ბრონზული ხელოვნების ძეგლები, თბ., 1988.

15. **ფიცხელაური კ., მენაბდე ც.** გადრეულის არქეოლოგიური ძეგლები, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები V, თბ., 1982.

16. **ღამბაშიძე ოთ., ღამბაშიძე ი.** ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან, ძეგლის მეგობარი, № 4, 1987, გვ. 36-42.

17. **ჩართოლანი შ.** ლარილარის სამაროვანი, საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968.

18. **ჩართოლანი შ.** მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976.

19. **ჩართოლანი შ.** სვანთა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არქეოლოგიური მასალების შუქზე, სვანეთი I, თბ., 1977.

20. **ხიდაშელი მ.** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში, თბ., 1982.

21. **ხიდაშელი მ.** ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულ-გამოსახულებიანი ბალთები), თბ., 1972.

22. **Гаглоев Р.** Раскопки Монастерского могильника позднеантичного времени, ПАИ в 1976 г., Тб., 1979, с. 177-178.

23. **Гаглоев Р.** Археологические изыскания на Монастерском могильнике, ПАИ в 1977 г., 1980, с. 227-228, таб. XCVIII-C.

24. **Гамбашидзе От., Квижинадзе К.** Работы Месхет-Джавахетской экспедиции, ПАИ в 1978, Тб., 1981, с. 57-64.

25. **Гамбашидзе От., Квижинадзе К.** Месхет-Джавахетская экспедиция, ПАИ в 1980, Тб., 1982, с. 29-31.

26. **Гамбашидзе От., Квижинадзе К.** Месхет-Джавахетской экспедиция, ПАИ в 1981, Тб., 1984, с. 16-19.

27. **Гомелаури Н.** Бронзовые образцы малой пластики эпохи поздней бронзы-раннего железа, обнаруженные на территории Восточной Грузии, IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

28. **Доманский Я.** Древняя художественная бронза Кавказа в собрании Государственного Эрмитажа, М., 1984.

29. **Иващенко М.** Самтаврские погребения первых трех веков н.э., Мцхета, Результаты археологических исследовании, т. III, Тб., 1980.

30. Мифы народов мира, т. I, т. II, М., 2000.

31. **Уварова П.** Христианская Символика, часть первая, Символика древнехристианского периода, М., 1908.

32. **Стоянов А.** Путешествие по Сванетий, Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, кн. X, вып. II, 1876.

33. **Техов Б.** Тлийский могильник (Комплексы XVI-X вв. до н.э.), Тб., 1980.

34. Georgien. Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001.

I



1

2



3

0 2



0 2

4

5

II

1



2



3



4

III

1

2



3



4



5

ელენე გიგოლაშვილი

ვერცხლის ჭურჭელი საირხედან

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ჯურხა ნადირაძის ხელმძღვანელობით, საჩხერის რაიონში, საირხის ნაქალაქარის ერთერთ უბანზე, კერძოდ, კი საბუდარის გორის დასავლეთ ფერდობზე ჩატარებული გათხრების დროს აღმოაჩინა სამარხი (№ 13), რომელიც ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდა [5, გვ. 25]. სამარხი ორად იყო დაყოფილი, მის ჩრდილოეთ ნაწილში ორი მიცვალებული ესვენა ოდნავ მოხრილ პოზაში, თავით აღმოსავლეთისკენ, სამარხის სამხრეთ ნაწილში კი - ორი ცხენი.

სამარხი მდიდრული იყო. მისი ინვენტარი მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან ოქროსა და ვერცხლის სამკაულთან ერთად (დიადემები, საყურეები, ყელსაბამები, სამაჯურები) დიდი რაოდენობით შეიცავდა ლითონისგან დამზადებულ სხვადასხვაგვარ ჭურჭელს: ვერცხლის თასებს, ფიალებს, კილიკს, კოუზებს, ბრინჯაოს ოინოხოიას და სხვ. [5, გვ. 21, 22], რომელთა შორის გამოვყოფდი, ჩემი აზრით მეტად საინტერესო ერთ-ერთ ვერცხლის თასს.

თასი მაღალყელიანია, პირგადაშლილი, ტანი კვერცხისებური მოყვანილობის აქვს, ძირი მომრგვალებულია. თასის ტანი შემკულია ვერტიკალურად განლაგებული ე.წ. „ენებისგან" შემდგარი ორნამენტით. „ენების" ზემოთ, მომრგვალებულ ბოლოებს შორის შედეგურცლიანი პალმეტებია ჩასმული, ხოლო მათ ზემოთ, დაახლოებით იქ, სადაც ჭურჭლის ყელი ტანს უერთდება – ნუშისებური ფორმის ბურცობებია - წვერით ძირისკენ მიმართული, რომელთა შორის გაორმაგებული ლოტოსის ყვავილებია დატანილი. თასის ყელზე გრავირებით შესრულებული ნახატი: ხარისა და ლომის გამოსახულებები [3, გვ. 82-83]. ორივე ცხოველის ბეწვი ხერილი, პარალელური შტრიხებისგან შედგენილი ზოლებით არის აღნიშნული. ლომს ზანი დაღებული აქვს და ენა ეშვებს შორის გამოყოფილი. ცხოველთა გამოსახულებებს ზემოდან საზღვრავს წვრილი, მოკლე ფურცლებისგან შემდგარი ზოლი, ზემოდან კი ბრტყელიტების ორ რიგს შორის მოთავსებული ასეთივე მოკლე ფურცლები. ჭურჭლის ძირს ამკობს მორკალული, მარცხნივ მიმართული ფურცლებით შედგენილი ვარდული. თასის სიმაღლე - 13 სმ, პირის დიამეტრი დაახლოებით 7,6 სმ. თასი დაზიანებულია, ძირთან ცალ მხარეს ჩაჭყლეტილია, ჭურჭლის ყელიც ჩაჭყლეტილი მხრისკენ არის გადმოწეული, პირის კიდის ნაწილიც ჩამოტეხილია (ტაბ. I).

მსგავსი ფორმის ჭურჭელი უძველესი დროიდან არის ცნობილი აღმოსავლურ სამყაროში. მაგალითად, დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე გათხრების დროს მოპოვებული იყო ასეთივე ფორმის თიხის ჭურჭელი. ამ ნიმუშებს კვერცხისებური ტანი და ძაბრისებურად გაფართოებული პირი აქვთ. ძირი მომრგვალებულია. ერთი თასი ვერცხლისაა, მოოქრული. ეს თასები ცნობილია, როგორც ერთ-ერთი იშვიათი და საინტერესო ჯგუფი ასირიულ ჭურჭელში - საკმაოდ მოხდენილი და ელეგანტური. გამთხრელების აზრით, მათი თავდაპირველი ფორმა ძვ.წ. VII საუკუნიდან არის ცნობილი [21, გვ. 133-134].

საირხის თასის მსგავსია ფორმით ვერცხლის თასები, აღმოჩენილი ძველი ლიდიის ტერიტორიაზე, იქიზთეფეში. მათი ტანი კვერცხისებური ფორმისაა, ყელი მაღალია, პირი გადაშლილი, ტანი ვერტიკალური ენებითაა დაფარული, ერთ-ერთს კი ქვემოდან ძირზე ვარდული აქვს გამოსახული. ჭურჭლები ყელისა და მხრების შეერთების ადგილზე შემკულია სხვადასხვაგვარი რელიეფური ორნამენტისგან შედგენილი სარტყლით [23, გვ. 110-111]. მათი თარიღია დაახლოებით ძვ.წ. VII საუკუნის ბოლო, VI საუკუნის პირველი ნახევარი.

ნიუ-იორკის კორნინგ-მუზეუმში დაცულია მინის ჭურჭელი, რომელიც ფორმით იქიზთეფეს ვერცხლის თასების იდენტურია, შესაბამისად საირხის თასისაც. მისი ტანი დაბალი რელიეფური „ენებითაა" დაფარული, ძირზე ვარდული აქვს დატანილი, მხრებზე ფართო ქედი შემოუყვება, პირის კიდის ქვეშ კი ორი წვრილი ღარი. ა. ოლივერი ამ მინის ჭურჭელს აქემენიდური ირანის ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს და ადარებს მას ლითონისგან დამზადებულ ჭურჭლის ჯგუფს, რომელსაც ამფორას უწოდებს და მოაქვს ამ ე.წ. ამფორის ერთი ნიმუში კერძო კოლექციიდან, რომელიც ისეთივე ფორმისაა, როგორც მინის თასი, შემკულობაც მსგავსია - „ენები" ტანზე და ორნამენტის ორი ზოლი - ყელზე. განსხვავებული ნიშანია - ცხოველისგამოსახულებიანი ყურები, რომლებიც ყველა ამ ამფორას აქვს [22, გვ. 14]. ამ ტიპის ამფორები წარმოდგენილია პერსეპოლისის აპადანას კიბის რელიეფებზე, სადაც სხვადასხვა ჭურჭელი უცხოელ ხარკის გადამხდელებს მოაქვთ [17, ტაბ. $20_{1,2}$], იქ წარმოდგენილი 23 ეროვნებიდან, 12-ის ძღვენი ჭურჭელია ძვირფასი ლითონისგან დამზადებული, რომლითაც ივსებოდა სასახლის საგანძური. ამფორები უჭირავთ სირიელებს, არმენიელებსა და მიდიელებს

[26, გვ. 94-95]. ასეთივე ფორმის ჭურჭელი ნაპოვნია დიუვანლიში და ამჟამად, სოფიის მუზეუმში ინახება [17, გვ. 39, 44, 46, 52-53, ტაბ. 20_3, 22_1, 23_1, 24]. ყველა ჩამოთვლილი ჭურჭლის თარიღია ძვ.წ. VI საუკუნის ბოლო - V საუკუნის დასაწყისი. იგივე პერიოდს ეკუთვნის მინის ჭურჭელიც. თუმცა, როგორც ა. ოლივერი აღნიშნავს, ამ ფორმას ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდა, რასაც მისი აზრით, ადასტურებს მსგავსი ოქროს ამფორა, რომელიც ბულგარეთში, პანაგიურიშტის განძში აღმოჩნდა 1949 წელს და მისი თარიღი ძვ.წ. გვიანი IV ან ადრეული III საუკუნეებია [22, გვ. 14].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საირხის თასის ყელზე გრავირებით შესრულებულია ხარისა და ლომის გამოსახულებები. ხარი მოძრაობაშია მოცემული, მარჯვენა ფეხები - წინა და უკანა ფეხიც გადადგმული აქვს წინ, თავი დახრილი აქვს, დიდი რქა თავზე ოდნავ წინ არის გაშვერილი და ზეაწეული. ყური ფოთლისებური ფორმისაა; ყურს ქვემოთ, ყბასთან ორმაგი კონტურით ბეწვის ნაოჭია აღნიშნული. ტანი დაფარულია წვრილი, პარალელური შტრიხებისგან შედგენილი ვერტიკალური ზოლებით, რომლებიც ბეწვს გამოსახავენ. კისერს ქვემოდან ბეწვის უფრო სქელი ზოლი გასდევს - ჯაგარი. კუდი განზე ჰორიზონტალურად აქვს გაწეული, კუთხეს ქმნის და ძირს ეშვება. თავისუფლად გაშვებული თმა კუდის ბოლოს თითქოს ორადაა გაყოფილი და გადაგრეხილი. რქის ქვედა ნაწილი - ძირი და მის ზემოთ არე დაფარულია სამ-სამი ირგვლივი ზოლით. ასევე სამ-სამი ირგვლივი ზოლი დატანილია ხარის მთელი კუდის სიგრძეზე. ფეხებს შორის სქესის აღმნიშვნელი მოზრდილი გამონაშვერი აქვს. ხელოსანს არ დავიწყებია წვრილი დეტალების გულდასმით აღნიშვნაც - როგორიცაა თვალი, შუბლის ნაოჭი, პირი, ცხვირი და ჩლიქები.

ლომი, როგორც აშკარად ჩანს ჭურჭელზე დატანილი გამოსახულებიდან, ხარს მისდევს. მარჯვენა, წინა თათი აწეული აქვს. ხახა დაღებული და ენა ეშვებს შორის გამოყოფილი. ფაფარი და ბეწვი მასაც ხარის მსგავსად წვრილი, პარალელური შტრიხებისგან შედგენილი ვერტიკალური ზოლებით აქვს გამოსახული. გარდა ამისა ფაფარი, ზემოდან დაკბილული ხაზით არის დამატებით აღნიშნული, იგი ყურიდან იწყება და ბეჭს ქვემოთ თავდება. დაკბილული ხაზი გასდევს აგრეთვე ზემოდან ლომის გავას, რაც აგრეთვე ბეწვის მანიშნებელია. კუდი ჰორიზონტალურად გაშვერილია, შემდეგ ქვემოთ დაშვებული და ოდნავ შიგნით ჩახვეული. კუდის ბოლო მომრგვალებულია. კუდი დაფარულია განივი პარალელური ზოლებით. ენაზეც პარალელური ხაზებია დატანილი. ლომს ფეხებზე გამოყოფილი აქვს სახსრები (განსაკუთრებით უკანა ფეხებზე). მინიშნებულია აგრეთვე ბრჭყალებიც. ყური მრგვალი აქვს, ზემოთ წაწვეტებული, თვალი ნუშისებური მოყვანილობისაა, ცხვირი წაგრძელებული. ლომი ნახატის მიხედვით აშკარად თავდასასხმელად არის შემართული. ჭურჭელზე ოსტატის მიერ შესრულებულია იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ძალზე გავრცელებული სიუჟეტი, რომელსაც უეჭველად სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. ძველ ნივთებზე თითქმის არასოდეს გამოსახავდნენ ჩვეულებრივ ყოფით ან რაიმე კონკრეტულ ეპიზოდურ ამბებს. ითვლება, რომ სიმბოლოები წარმოადგენდნენ „ისტორიულ წყაროს", რომელშიც შემონახულია ხალხთა ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის საფუძველზე შემუშავებული კოსმოგონიის, მითისა და რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ანარეკლი. სიმბოლო არის საზოგადოების შეხედულებების გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც თავისებური წესით არის ჩადებული და დაცული მრავალმხრივი ინფორმაცია" [6, გვ. 3, 5].

საირხის ვერცხლის თასზე გამოსახული სიუჟეტის სემანტიკური მნიშვნელობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული აზრი არსებობს [იხ. 7, გვ. 11-12]. ზოგი ლომისა და ხარის ან ლომისა და სხვა რომელიმე ჩლიქოსნის დაპირისპირებაში ხედავს ორი ტოტემის ბრძოლის იდეის განსახიერებას და ამ ბრძოლით მიღწეული გამარჯვების განდიდებას და ძლიერებისა და სისასტიკის დამკვიდრებას. სხვების აზრით, ამ სიუჟეტში ასახულია ძველი ირანელებისათვის დამახასიათებელი კეთილი და ბოროტი საწყისების ბრძოლის დუალისტური კონცეფცია [15, გვ. 151]. ითვლება აგრეთვე, რომ ქვეყნის მოწყობის საფუძველს ბუნების საპირისპირო მოვლენების - დღისა და ღამის, ზაფხულისა და ზამთრის, სიცოცხლისა და სიკვდილის ციკლური ცვლა წარმოადგენდა და შესაბამისად, ცხოველთა დაპირისპირების სცენა იყო კოსმოგონიური აქტი, აღორძინება-სიკვდილის გავლით [11, გვ. 69].

ცხოველთა ბრძოლის თემის საინტერესო ახსნა მოგვცა ვ. ჰარტნერმა. მისი აზრით, ლომის ბრძოლას ხართან ასტრალური მნიშვნელობა აქვს და ასახავს დადგენილ კალენდარულ მოვლენას [18, გვ. 3]. ჰარტნერი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ შუმერში სამიწათმოქმედო სამუშაოსთვის კალენდრის შედგენისას წლიურ ციკლს ყოფდნენ ზოგიერთი ვარსკვლავის ცაზე მდებარეობის მიხედვით. საგაზაფხულო მიწის სამუშაო დაახლოებით თებერვალზე მოდიოდა, როდესაც უკანასკნელად ჩანდა ცაზე ხარის თანავარსკვლავედი, რომელსაც იმავე ღამეს ლომის თანავარსკვლავედი ცვლიდა. სწორედ ეს მნიშვნელოვანი მომენტი გამოისახებოდა ხელოვნების სხვა-

დასხვა ძეგლებზე - ლომის გამარჯვება ხარზე. ეს ასტრალური სიუჟეტი შუმერული ხელოვნებიდან გადაიღეს ასირიელებმა, მიდიელებმა, საიდანაც იგი აქემენიდური ირანის ხელოვნებაში მოხვდა. აქ ხარის - ლომის თანავარსკვლავედით შეცვლა უკვე მარტში, გაზაფხულის ბუნიობას ემთხვეოდა, რომლიდანაც ირანში სოლარული ახალი წელი, ნავრუზი იწყებოდა - მნიშვნელოვანი კალენდარული დღესასწაული [11, გვ. 68-69]. ჰარტნერის აზრით, ყველა ლომი თუ ხარი, რა თქმა უნდა, არ იძლევა ასტრონომიული ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ იქ, სადაც ეს ცხოველები გამოსახული არიან ორნი ან სამი, ან მათ გარშემო სიმბოლოებია დატანილი (ვარსკვლავი, წერტილი, წრე ...) სხვაგვარი განსაზღვრა გამორიცხულია [18, გვ. 3]. ხარის თანავარსკვლავედის გაქრობასთან ერთად ჩადიოდა კასიოპეას თანავარსკვლავეიც, რომელსაც „ირმის ვარსკვლავი" ეწოდებოდა, ამიტომ ლომისა და ხარის ბრძოლა ეკვივალენტური იყო ლომისა და ირმის, მოგვიანებით კი ლომისა და სხვა ჩლიქოსნის ბრძოლისა, ანუ ამ ცხოველთა დაპირისპირება წარმოადგენდა თანაბარი მნიშვნელობის სიმბოლოებს სამიწათმოქმედო სამუშაოს დასაწყებად ზამთრის ნაბუნიაობის შემდეგ [18, გვ. 6; 19, გვ. 164].

ლომისა და ხარის ბრძოლის თემამ ასტრალურთან ერთად, მოგვიანებით, პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა და გადაიქცა მეფეთა-მეფის სიმბოლურ გამოსახულებად, რომელიც ზეციური ღვთაების სახით ევლინებოდა ხალხს და ნავრუზის დღეს გაზაფხული ეჰქონდა. სწორედ ეს ცერემონია არის ასახული, როგორც ფიქრობენ, პერსეპოლისის აპადანის კიბეზე [11, გვ. 69].

ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, ე.წ. ორიენტალიზებული სტილის ხანაში, ცხოველთა ბრძოლის თემა ფართოდ ვრცელდება ბერძნულ სამყაროში - როგორც აღმოსავლურ-ბერძნული, ისე კონტინენტური საბერძნეთის ხელოვნებაში, სადაც უკვე კომპოზიციის გართულება ჩანს. აქ უკვე ორი ლომი გლეჯს ხარს ან სხვა რომელიმე ჩლიქოსანს [4, გვ. 11-12].

საირხის ვერცხლის თასზე მოცემული გამოსახულება იმის მაჩვენებელია, რომ ძველ აღმოსავლეთსა თუ ანტიკურ სამყაროში გავრცელებული სიუჟეტი, რომელშიც გარკვეული შინაარსი არის ნაგულისხმევი, იგივე შინაარსით არის გადაღებული და აღქმული კავკასიაში, კერძოდ კი, ამ შემთხვევაში – კოლხეთში [6, გვ. 6].

საირხის თასზე ხარისა და ლომის დაპირისპირების სცენაში ხარის დაუდევრად შესრულებული გამოსახულების ზოგიერთი დეტალის დამუშავებაში, ჩემი აზრით, აქემენიდური ხელოვნების გავლენა იგრძნობა. განსაკუთრებით ეს შეეხება დახრილი თავის ფორმას, წინ წაწეულ და ზეაშვერილ რქას, ყბის მოხაზულობას; მაგრამ ზოგი ნიშნით აქემენიდური ხელოვნების ნიმუშებისგან განსხვავებაც შეიმჩნევა: რქა არ არის დაფარული მთელ სიგრძეზე განივი ზოლებით, არც თვალია ამობურცული, ხოლო თვით ცხოველს მშვიდი იერი არა აქვს, როგორც ეს აქემენიდების მიერ შექმნილი გამოსახულებებისთვის არის დამახასიათებელი. აშკარად ჩანს, რომ ხარი ლომის კლანჭებისგან დასხლტომას ცდილობს და მის გამომეტყველებას მშვიდს ვერ ვუწოდებდი. ხარის გამოსახულება თითქოს უფრო აღმოსავლურ-ბერძნული ხელოვნების ძეგლების ზეგავლენით არის შექმნილი, რისი ნიშნებიცაა - წაგრძელებული ყური, ნუშისებური ფორმის თვალი, ბეწვის ნაოჭები, რომლებიც ცხოველის თავს კისრისაგან გამოყოფენ, კუდის გადაგრეხილი ბოლო [10, გვ. 121], თუმცა უნდა აქვე აღინიშნოს, რომ ცხოველის პოზა, კუდის ფორმა და სქესის მაჩვენებელი მოზრდილი ნიშნის არსებობა ირანული ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი [10, გვ. 123; 20, გვ. 34-35].

რაც შეეხება ლომს, მისი გამოსახულება ჭურჭელზე, ხართან შედარებით, კიდევ უფრო მოკლებულია რეალობას და ძალზე პრიმიტიულად არის შესრულებული. მხატვარი, მართალია შეეცადა გადმოეცა თავდასასხმელად გამზადებული ცხოველის მრისხანება, მაგრამ ეს მხოლოდ ფართოდ დაღებული ხახითა და ეშვებს შორის გადმოგდებული ენით გამოიხატა. თვით ლომის ტანი ძლიერებას მოკლებულია, ცხვირი კი ისეა წაგრძელებული, რომ ძაღლის დრუნჩს უფრო მოგვაგონებს. ლომის გამოსახულება შესრულების მანერით კელერმესის რიტონზე გამოსახულ ლომს ჰგავს, რომელსაც ასეთივე ნუშისებური ფორმის თვალი აქვს და ასევე დაკბილული ხაზით აღნიშნული ფაფარი, ხოლო კელერმესის რიტონი, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად, იონიელი ოსტატის მიერ არის მოხატული [13, გვ. 225-226, 235]. მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც საირხის ჭურჭელზე გამოსახულ ლომს აქვს - ეს არის ბეწვი მისი ზურგის გაყოლებაზე - გავაზე. იგი დამატებითი დაკბილული ხაზით არის ნაჩვენები ტანის კონტურის ზემოთ და კუდამდე გრძელდება. ასევე ბეწვის ზოლით აქვთ დაფარული, მაგრამ მთელი ზურგი, ვანის ოქროს დიადემებზე გამოსახულ ლომებს. ერთი დიადემა ძვ.წ. V საუკუნის შუა წლების № 11 სამარხიდანაა, მეორე - ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისის № 6 სამარხიდან. ბეწვის ზოლი გასდევს ზურგზე ყუბანში, ანაპის რაიონის სოფ. უტაშის ერთერთ სამარხში აღმოჩენილ სპილოს ძვლის ფირფიტაზე გამოსახულ ლომს. ფირფიტა გამთხრელის მიერ ძვ.წ. V-IV საუკუნეებით

თარიღდება და მისივე აზრით მცირეაზიული წარმოშობისაა [16, გვ. 16, 38, 89]. დავასახელებ კიდევ ერთ ნიმუშს - ისევ ყუბანში, ულიაპის № 4 ყორღანის გათხრისას აღმოჩნდა ცხენის გამოსახულებიანი ვერცხლის რიტონი - მოოქრული. მასზე, მაღალ რელიეფში გამოსახულია ღმერთებისა და გიგანტების ბრძოლის ამსახველი სცენები, რომელთაგან ერთში ლომიც მონაწილეობს. აქაც ლომს ზურგი ბეწვის ზოლით აქვს დაფარული, იგი კუდამდე გრძელდება, კუდთან ორად იყოფა და უკანა ფეხებს ბოლომდე ჩასდევს [16, გვ. 40-44]. ყველა მოყვანილი ნიმუში სხვადასხვა წარმომავლობის ოსტატის ნახელავს წარმოადგენს. ოთ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ ლომის ზურგზე ბეწვის აღნიშვნა სრულიად უჩვეულოა ძვ.წ. V-IV საუკუნეების ანტიკური და აქემენიდური ხელოვნების ძეგლებზე, სამაგიეროდ დამახასიათებელია მანა-მიდიური ხელოვნების ნიმუშებისთვის. მისი აზრით, ვანის № 11 სამარხის დიადემა ფორმით მართალია კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობა აერთიანებს ძველ აღმოსავლურსა და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ წინა აზიის (ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის) ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს. რაც შეეხება ვანის № 6 სამარხის ოქროს დიადემას, ოთ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ მასზე დატანილი გამოსახულების სიუჟეტსა და კომპოზიციაში, აგრეთვე სტილში უფრო მეტად იონიურ-ბერძნული ხელოვნების გავლენა იგრძნობა [4, გვ. 14, სქოლ. 39]. ყუბანის სპილოს ძვლის ფირფიტაზე შესრულებული ლომის გამოსახულება, როგორც უკვე აღვნიშნე, მცირეაზიელ ხელოსანს ეკუთვნის, ხოლო ცხენის პროტომიანი ვერცხლის რიტონის წარმოების ადგილად სავარაუდოდ ათენია მიჩნეული [8, გვ. 67]. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ძეგლების შემკულობაში (რიტონის გამოკლებით) ძირითადად აღმოსავლურ-ბერძნული და წინააზიური წარმომავლობის ოსტატთა ხელწერა იკვეთება.

ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშების გვერდით განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ძველი ლიდიის ტერიტორიაზე, იქიზთეფეში ნაპოვნი ვერცხლის ალაბასტრონი. მასზე გრავირებით შესრულებულია სხვადასხვა ცხოველთა გამოსახულებები, რომლებიც სამ ფრიზს ქმნიან. შუა ფრიზზე მოთავსებულია ხარის ფიგურა, ხვადსა და ძუ ლომებს შორის მოქცეული. ლომებს იგი წაუქცევიათ და გლეჯენ. ძუ ლომს ზუსტად ასევე აქვს გავა ბეწვით დაფარული, როგორც საირხის ლომს [23, გვ. 124-125], ბეწვი აქვთ გავაზე კელერმესის სარკეზე გამოსახულ ლომებს. ეს სარკეც, ისევე როგორც კელერმესის რიტონი ითვლება რომ იონიური წარმოშობის ხელოსნის მოხატულია [9, ტაბ. 1; 12, გვ. 291, 304]. ცხოველების ტანი კი იქიზთეფეში ნაპოვნ ალაბასტრონზე და კელერმესის სარკეზ ისევე წვრილი შტრიხებითაა დაფარული, როგორც საირხის ჭურჭელზე. ლომის კუდის ფორმა და დაბოლოება საირხის თასზე და ვანის № 6 სამარხის ოქროს დიადემაზ ერთმანეთის მსგავსია. კუდის ბოლო მომრგვალებულია და უკან ჩახვეული. ამის მსგავსად აქვს გამოსახული კუდი იქიზთეფეს ალაბასტრონის ლომს, ხოლო ვანის № 11 სამარხის დიადემის და ცხენის პროტომიანი რიტონის ლომების კუდი მოგრძო, გირჩისებური დაბოლოებით თავდება.

საირხის თასის ყელზე გრავირებით შესრულებულ ნახატთან ერთად ძალზე საინტერესოდ არის ორნამენტირებული ჭურჭლის ტანიც. ძირზე, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მორკალული ფურცლებისგან შემდგარი ვარდულია დატანილი, ფურცლები მარცხნივ მიმართული და თითო ფურცლის გამოტოვებით წერტილებითაა დაფარული. ასეთი კონტრასტული ნახატი უფრო ძლიერი დეკორატიული ეფექტის მოსახდენად არის გამოყენებული. ითვლება, რომ ვარდული ერთ-ერთი ძირითადი მოტივია ასირიულ ორნამენტში. ასირიის გავლენით იგი ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებისა და ბერძნულ ხელოვნებაშიც [24, გვ. 53]. ზოგი მკვლევარის ვარაუდით მრავალფურცლიანი ვარდული თავისი წარმომავლობით ლოტოსის გახსნილი ყვავილის ფურცლებს წარმოსახავს, და ორივეს ერთი მნიშვნელობა აქვს, ორივესთვის მზე არის ძირითადი იდეა [25, გვ. 370]. იგივე შეიძლება ითქვას ჭურჭლის ტანისა და მხრების შემკულობაზეც. ტანზე დატანილი ე.წ. „ენები" - ლოტოსის ყვავილის ფურცლებია, ხოლო მხრის ორნამენტი - ნუშისგულისებური ბურცობები - ლოტოსის ნაყოფი. ნუშისგულისებურ ბურცობებს შორის მოთავსებულია გაორმაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულება [იხ. 24, გვ. 145]. მისი წვრილი ფურცლები ზედა ნაწილში უფრო მოკლეა, ქვემოთ კი ბურცობის წვრილის მიმართულებით - წაგრძელებული. ორნამენტის ასეთი სახით გამოსახვა მოგვაგონებს ზოგიერთი ფიალის შემკულობას. მაგალითად, ვანის ოქროს ფიალას № 6 სამარხიდან, ან ფიჭვნარის ვერცხლის ფიალას ბერძენთა სამაროვნიდან. ამ ფიალების ტანზე გამოყოფილია ფრიზი, რომლის ორნამენტი შედგება ნუშისგულის ფორმის ბურცობებისა და მათ შორის დატანილი ლოტოსის გაშლილი ყვავილის ფურცლებისგან. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრის თანახმად ასეთი ორნამენტი ძალიან ხშირად იხმარებოდა სხვადასხვა ფიალების - ლითონისაც და თიხის ფიალების მოსართავად და იგი იონიური წარმოშობისაა [2, გვ. 34].

დაბოლოს, მინდა დავასახელო კიდევ ერთი ჭურჭელი, რომელიც ვფიქრობ საირხის თასს შეიძლება შევადაროთ. იგი აღმოჩნდა ყუბანში ულიაპის № 1 ყორღანში, რომელიც ზოგადად ძ.წ. IV საუკუნით არის დათარიღებული. მისი ტანი შემკულია ორმაგი კონტურით გამოყვანილი „ენებით" და პალმეტებით, რომელთა შორის მოქცეულია ერთი რიგი შემდგარი მონაცვლეობით ნუშის ფორმის ბურცობებისა და ლოტოსის გაშლილი ყვავილებისგან. ყელი მხრებს ზემოთ მორთულია ქერცლისებური ორნამენტით, ოვებითა და პალმეტებით. ძირი ბრტყელია და მასზე გაითხზაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებაა, ჭურჭლის ყელზე კი დატანილია ლომი და რომელიღაც ჩლიქოსანი. ნახატი დაზიანებულია, რის გამოც ცხოველის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია. ჭურჭლის მთელი ორნამენტი - მცენარეულიც და ფიგურებიც ერავირებით არის შესრულებული (ტაბ. II).

ძეგლის გამთხრელი ა. ლესკოვი ამ ჭურჭელს აკავშირებს აქემენიდური ირანის ხელოვნების ძეგლებთან და თვლის, რომ იგი დამზადებულია აქემენიდების ვრცელი იმპერიის კავკასიური პროვინციის რომელიღაც სახელოსნოში, ვინაიდან ხედავს ჭურჭლის ორნამენტში, კერძოდ კი ცხოველების ბეწვის გამოსახვის ხერხში კავკასიური ბრინჯაოს სარტყლების შემკულობის ტრადიციის გაგრძელებას [16, გვ. 48].

მე კი ვფიქრობ, რომ ორნამენტი, რომელიც ულიაპის ყორღანის ჭურჭელს ამკობს იონიურ-ბერძნული წარმოშობისაა. ასეთი სახის ორნამენტი ძალზე ხშირად გვხვდება როდოსულ-იონიურ კერამიკაზე, ლითონის ჭურჭელზეც: ასეთია ორმაგი კონტურით გამოყვანილი „ენები", „ენებს" შორის დატანილი პალმეტები, რომელთა ფურცლებს სამკუთხედი ფორმა აქვთ. ლოტოსის ყვავილები, რომელთა შორის შექმნილი არე შევსებულია ორნამენტით, ნუშისგულისებური ფორმის ბურცობებს რომ გამოსახავენ. ულიაპის ჭურჭელს ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე რელიეფური ქედი შემოუყვება, რომელზედაც სამ-სამი ვერტიკალური ნაჭდევია დატანილი. ასეთივე ქედი შემოუყვება იქიზთეფეში აღმოჩენილ ვერცხლის ჭურჭელსაც [23, გვ. 110]. იგივე ითქმის ძირის მორთულობაზეც. ზუსტად ასეთივე გამოსახულება - გაითხზაგებული ლოტოსისა - ამკობს ვანის № 11 სამარხში მოპოვებულ ვერცხლის არიბალოსის ძირსაც, რომლის შექმნაში, ჩემი აზრით, იონიელი ოსტატი მონაწილეობდა [4, გვ. 24; შდრ. 1, გვ. 49]. იგივე ორნამენტი ხშირად გვხვდება როდოსულ-იონიური ჭურჭლის ძირებზეც [1, გვ. 50 და დასახ. ლიტ.].

რაც შეეხება საირხის ვერცხლის თასს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ფორმის ჭურჭელი ფართოდ არის გავრცელებული და აქემენიდური ირანის ხელოვნებისთვისაც ცნობილი, მის შესასწავლად ჩატარებული ანალიზი საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ ეს თასი მცირეაზიული ნაკეთობაა. შესაძლოა იგი დამზადებულია მცირე აზიის დასავლეთ ან სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, რომლებშიც შედიოდნენ ფრიგია, ლიდია, კარია, ლიკია, კილიკია და სადაც იქმნებოდა ხელოვნების ის შესანიშნავი ნიმუშები, რომლებიც „ბერძნულ-სპარსული" წრის ხელოვნების ძეგლების სახელით არის ცნობილი [14, გვ. 116]. ტორევტიკის ნაწარმის სიმრავლით ლიდია გამოირჩეოდა და თუ გავითვალისწინებთ საირხის ჭურჭლის ფორმისა და მისი შემკულობის გარკვეული დეტალების მსგავსებას ლიდიაში აღმოჩენილ ჭურჭელთან, მისი ლიდიური წარმომავლობა სავსებით დასაშვებად მიმაჩნია. ამაზე მიუთითებს აგრეთვე ისიც, რომ ცხოველთა ფიგურები სქემატურადაა გამოსახული, მათი მოძრაობა თითქოს შეზღუდულია, სიცოცხლეს მოკლებული, მექანიკური, რაც „ბერძნულ-სპარსული" წრის ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი [14, გვ. 117]. თუმც ისიც შესაძლებელია, რომ კოლხეთში მოხვედრილი ეს ჭურჭელი ადგილობრივი ოსტატ-დეკორატორის მიერ არის ორნამენტირებული. იგი აღზრდილი იყო ან იცნობდა აღმოსავლურ-ბერძნული და აქემენიდური ირანის ხელოვნებას და მის ძლიერ გავლენას განიცდიდა. კოლხეთში ვერცხლის თასი, ვფიქრობ, სავაჭრო ურთიერთობათა შედეგად მოხვდა; გამორიცხული არ არის, რომ იგი პოლიტიკურ ძღვენსაც წარმოადგენდა ანდა დაკვეთით შესრულებულ ნაკეთობას.

ლიტერატურა

1. **გიგოლაშვილი ელ.** ვერცხლის არიბალოსი ვანიდან, აკც-ს ჟურნალი ძიებანი, № 8, თბ., 2001, გვ. 49-52.

2. **გიგოლაშვილი ელ.** ომფალოსიანი ფიალები ვანის ძ.წ. IV ს-ის მდიდრული სამარხიდან, აკც-ს ჟურნალი ძიებანი, დამატებანი, IV, თბ., 2001, გვ. 33-36.

3. **გოგინაშვილი ნ.** არქეოლოგიური ვერცხლის ნივთების რესტავრაცია-კონსერვაცია, ნარკვევები, III, შ. ამირანაშვილის სახ. საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომების კრებული, თბ., 1997, გვ. 79-83.

4. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). ვანი I, თბ., 1972, გვ. 7-42.

5. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1988 წელს ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში. XII სამეცნიერო სესია (საქ. ხელოვნების სახელმ-

წიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ 1988 წელს ჩატარებული მუშაობის სამეცნიერო ანგარიში), თბ., 1989, გვ. 21-25.

6. **სურგულაძე ირ.** ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986.

7. **ყიფიანი გ.** ანტითეზური გამოსახულებანი, ნარკვევები I, შ. ამირანაშვილის სახ. საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შრომების კრებული, თბ., 1995, გვ. 10-21.

8. **Власова Ел.В.** Сосуды в форме рога из Семибратних и Уляпских курганов, აკც-ს ჟურნალი ძიებანი, დამატებანი I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1999, გვ. 65-67.

9. **Галанина Л.К.** Келермесские курганы, М., 1997.

10. **Кисель В.А.** Стилистическая и технологическая атрибуция серебряного зеркала из Келермеса, ВДИ, № 1, 1993, с. 111-125.

11. **Кузьмина Е.Е.** О семантике изображений на Чертомлыцкой вазе, СА, № 3, 1976, с. 68-75.

12. **Максимова М.И.** Серебряное зеркало из Келермеса, СА, XXI, 1954, с. 281-305.

13. **Максимова М.И.** Ритон из Келермеса, СА, XXV, 1956, с. 215-235.

14. **Никулина Н.М.** К вопросу о "восточногреческом" и "греко-персидском" искусстве, ВДИ, № 3, 1969, с. 107-120.

15. **Раевский Д.С.** Модель мира скифской культуры, М., 1985.

16. Шедевры древнего искусства Кубани (каталог выставки), М., 1987.

17. **Amandry P.** Toreutique Achéménide, Antike Kunst, 2, Heft I, 1959, S. 38-55.

18. **Hartner W.** The earliest history of the constellations in the Near East and the motif of the Lion-Bull combat, JNES, vol. XXIV, N 1-2, 1965, p. 1-16, 16 fig.

19. **Hartner W., Ettinghausen R.** The conquering Lion, The life cycle of a symbol, Oriens XVII, 1964, p. 161-171.

20. **Muscarella O.** A Bronze Vase from Iran and its Greek Connections, MMA, Journal 5, 1972, p. 25-50.

21. **Oates I.** Late Assyrian pottery from fort Shalmaneser, IRAQ, vol. XXI, part 2, 1959, p. 130-146.

22. **Oliver And. Jr.** Persian Export Glass, JGS, vol. XII, 1970, p. 9-16.

23. **Özgen I., Öztürk J.** Heritage Recovered. The Lydian Treasure, Istanbul, 1996.

24. **Payne H.** Necrocorinthia, Oxford, 1931.

25. **Pope A.U.** A surwey of Persian art, vol. I, London-New-York, 1938.

26. **Schmidt E. F.** Metal Vessels, Persepolis II, Chicago, 1957, p. 94-96.

I









II



დიმიტრი ახვლედიანი

უცხოური ნაწარმის გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II სს-ში

ბოლო დროის გამოკვლევებმა მნიშვნელოვნად დააზუსტეს ბერძნული კერამიკული დამღების ქრონოლოგია, რამაც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჰპოვა ასახვა. ამ გამოკვლევებზე დაყრდნობით მოხერხდა საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ფეგლების თარიღების კორექტირება [1; 3-5]. ჩვენი სტატიის მიზანია, ახალი მონაცემების გათვალისწინებით განვიხილოთ უცხოური ნაწარმის გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II სს-ში. ამ საკითხს ჩვენ მივუძღვენით ჩვენი დისერტაციის გარკვეული ნაწილი [2]. ამჯერად შევეცდებით მიღებული მონაცემები შემოვიტანოთ ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში. ერთი სტატიის ფარგლებში ვერ მოხერხდა კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მთელი უცხოური მასალის თავმოყრა. ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ კერამიკული დამღებით, კერამიკული ტარითა და უცხოური მონეტებით.

კოლხეთის ტერიტორიაზე იმპორტის გავრცელებას ბევრი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა [მაგ. 6-20 და სხვ.]. ჩვენი სტატიის მიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ეს საკითხი ორი ასპექტით გვექნება განხილული:

პირველი, ესაა კოლხეთში უცხოური ნაწარმის გავრცელების პერიოდიზაცია სავაჭრო კონტრაგენტებთან ურთიერთობის კონტექსტში, ანუ რომელ პერიოდში, რომელი საწარმოო ცენტრების პროდუქცია შემოდის, რომელი დომინირებს და სხვა; მეორე – შეეხება იმპორტის გავრცელების ხასიათს კოლხეთის ტერიტორიაზე. აქ განხილული გვექნება, თუ რომელ ისტორიულ ეპოქაში კოლხეთის რომელ რეგიონს მოიცავს უცხოური საწარმი და რა რაოდენობით.

კერამიკული დამღები. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული დამღები ოთხ სტატიაში გვაქვს თავმოყრილი. ამდენად ჩვენ აქ ამ დამღების ხელახლა განხილვას არ შევუდგებით. მოვიყვანთ მხოლოდ მათი შესწავლის შედეგად მიღებულ დასკვნებს:

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი იმპორტული კერამიკული დამღები თავისი წარმოშობის მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სამხრეთ შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების ნაწარმის დამღებად. სამხრეთ შავიზღვისპირეთის დამღებიდან აღმოჩენილია – სინოპესა და ჰერაკლეას დამღები, ხმელთაშუაზღვისპირეთის დამღებიდან - როდოსის, თასოსის, ქიოსისა და კნიდის. აქედან მხოლოდ სინოპური დამღებია დატანილი, როგორც კრამიტებზე, ასევე ამფორებზე, დანარჩენი - მხოლოდ ამფორებზე.

სინოპური დამღები. სადღეისოდ გამოვლენილია 52 სინოპური დამღა. 43 დამღა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე. კიდევ 5 - ვანის მიდამოებში: საყანჩიაზე - 1, დაბლაგომში - 4; ფიჭვნარში - 2, ეშერაზე – 1; ნოქალაქევში -1. 28 დამღა დატანილია კრამიტზე, 24 - ამფორის ყურზე.

ჰერაკლეური დამღები. ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილია ხუთი ჰერაკლეური ამფორის დამღა. ამათგან 2 აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე, 2 – ფიჭვნარში, 1 - ბათუმთან.

დანარჩენი დამღები აღმოჩნდა მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე: თასოსური დამღა - 1 ც.; ქიოსური დამღები - 4 ც.; კნიდური დამღა – 1 ც.

კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია **როდოსულ** ამფორათა 89 დამღაზე მეტი, აქედან - 58 ვანის ნაქალაქარზე; 30 – საყანჩიაზე; 1 - დაფნარში.

კოლხეთში დამღებით აღჭურვილი კერამიკული იმპორტის შემოსვლა ძვ.წ. IV ს-ის 70-იან წლებში იწყება, თავდაპირველად შემოდიან ჰერაკლეური ამფორები. ისინი ვრცელდებიან კოლხეთის, როგორც სანაპირო ზოლში (ბათუმი, ფიჭვნარი), ასევე შიდა რაიონებში (ვანის ნაქალაქარი). კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში ისინი ჯერჯერობით არ არიან გამოვლენილნი, მაგრამ შესაძლებელია მომავალში აქაც აღმოჩნდნენ, ვინაიდან ჰერაკლეური ამფორების უდამღო ფრაგმენტები აქ საკმაოდ ხშირად გვხვდება. ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან იწყება სინოპური კრამიტისა და ამფორების შემოზიდვა. ისიც ასევე, როგორც კოლხეთის სანაპირო ზოლში, ისე შიდა რაიონებში. დამღების მიხედვით სინოპური იმპორტის პიკი ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე აღწევს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ჰერაკლეური - სამი და თაზოსური ერთი დამღა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში აღწევს კოლხეთის ვაჭრობა თავისი განვითარების უმაღლეს დონეს.

ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში ხდება კოლხეთის ტერიტორიაზე დამღებით აღჭურვილი კერამიკული იმპორტის სრული შეწყვეტა. ეს ქრონოლოგიური ლაკუნა დაახლოებით 25-35 წელი გრძელდება.

ძვ.წ. III ს-ის შუა წლებიდან იწყება ამ სახის იმპორტის აღდგენა ოღონდ, ამჯერად კერამიკული დამღები გვხვდება მხოლოდ

ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, თანაც მათი რაოდენობა გაცილებით მცირეა წინამორბედ პეიროდთან შედარებით. სინოპურ დამღებთან ერთად მოიპოვება ქიოსის დამღები. ძვ.წ. III ს-ის 30-იანი წლებიდან სინოპური იმპორტი საერთოდ წყდება და მის ადგილს როდოსული იმპორტი იკავებს. ადრე მიჩნეული იყო, რომ სინოპური და როდოსული კერამიკული იმპორტი ერთ პერიოდში ერთად ხდებოდა. ახალ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში გამოვლენილი სინოპური და როდოსული კერამიკული დამღები დროის თვალსაზრისით ერთმანეთს არ ემთხვევიან. ძვ.წ. III ს-ის ბოლოდან იწყება როდოსული ამფორების შემოსვლა, რაც ძვ.წ. II ს-ის ბოლომდე მიმდინარეობდა სპორადულად. შედარებით ინტენსიურ ხასიათს იგი ძვ.წ. II ს-ის 80-იან წლებში იღებს. ამავე პერიოდში შემოდის კნიდური იმპორტი მცირე რაოდენობით. ამ ცენტრის ერთი დამღაა აღმოჩენილი ვანის ნაქალაქარზე. ეს დამღა ძვ.წ. II ს-ის მესამე მეოთხედს ეკუთვნის.

კერამიკული ტარა. მხოლოდ კერამიკული დამღების აღნუსხვა არ იძლევა სავაჭრო ურთიერთობათა მთლიან სურათს. ამდენად, ჩვენ ასევე განვიხილეთ ამფორები, რომლებიც საერთოდ არ იდამღებოდნენ, ან იდამღებოდნენ, მაგრამ კოლხეთის ამა თუ იმ პუნქტში. მათი დამღები ჯერჯერობით მიკვლეულნი არ არიან (მაგ. სინოპე, ჰერაკლეა და სხვ.). ეს მასალა მთლიანად შეგროვილი გვაქვს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში [2].

ლესბოსური ამფორები - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი. აღმოჩენილია: 1) ბათუმის ციხეზე, 2) ციხისძირში, 3) ფიჭვნარში, 4) გურიანთაში, 5) საქორქიოში, 6) დაბლაგომში, 7) ვანის ნაქალაქარზე.

სამოსური ამფორები - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს. აღმოჩენილია: 1) ბათუმში, „თამარის ციხეზე", 2) ფიჭვნარში, 3) საქორქიოში, 4) ოჩამჩირეში.

ქიოსური ამფორები - ძვ.წ. VI-V სს. აღმოჩენილია: 1) ბათუმში, „თამარის ციხეზე", 2) ფიჭვნარში, 3) საქორქიოში, 4) ერგეტაში, 5) ქარიეტაში, 6) ოჩამჩირეში, 7) სოხუმის ციხეზე, 8) ეშერაზე, 9) სიმაგრეზე, 10) დაფნარში, 11) მთისძირში, 12) ვანის ნაქალაქარზე.

ძვ.წ. III ს-ის ქიოსური ამფორები აღმოჩენილია: 1) ვანის ნაქალაქარზე.

ძვ.წ. II ს-ის ქიოსური ამფორები აღმოჩენილია: 1) საყანჩიასა და 2) ვანის ნაქალაქარზე.

თასოსის და მისი წრის ამფორები - ძვ.წ. V-IV სს. აღმოჩენილია 1) ბათუმის მიდამოებში, 2) ქობულეთ-ფიჭვნარში, 3) კოხში, 4) ფოთის მიდამოებში, 5) ყულევში, 6) ოჩამჩირეში, 7) გუადიხუზე, 8) დაფნარში, 9) დაბლაგომში.

ჰერაკლეური ამფორები - ძვ.წ. IV ს. - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი. აღმოჩენილია: 1) ბათუმში, 2) ფიჭვნარში, 3) ფოთის მახლობლად, მალთაყვაში, 4) საქორქიოში, 5) ოჩამჩირეში; 6) სოხუმში, 7) ეშერაზე, 8) დაფნარში, 9) ვანის ნაქალაქარზე.

სოლოხა I ტიპის ამფორები - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები და მეორე ნახევარი. აღმოჩენილია: 1) ბათუმის ციხეზე, 2) ქობულეთ-ფიჭვნარში, 3) ეშერაზე, 4) დაბლაგომში, 5) საყანჩიაზე, 6) ვანის ნაქალაქარზე.

სოლოხა II ტიპის ამფორები (პეპარეტი) - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები და მეორე ნახევარი. აღმოჩენილია: 1) ქობულეთ-ფიჭვნარში, 2) ეშერაზე, 3) მთისძირში.

სინოპური ამფორები - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. III ს-ის 30-იან წლებამდე (უფრო ზუსტად ეს საკითხი სინოპური დამღების განხილვის დროს არის წარმოჩენილი). აღმოჩენილია: 1) გონიოში, 2) ბათუმის ციხეზე, 3) ფიჭვნარის მახლობლად, 4) ნაჭედურზე, 5) ფოთის მახლობლად, მალთაყვაში, 6) სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით, 7) ქვემო ჭალადიდში, 8) რიონის მარცხენა ნაპირი, სოფ. საქორქიოს დასავლეთ ნაწილში, 9) ქარიეტაში, 10) ოჩამჩირეში; სოხუმის მიდამოებში: 11) სოხუმის ძველ ციხეზე, 12) ბაგრატის ციხეზე, 13) წითელ შუქურაზე, 14) გუადიხუზე, 15) ეშერაზე, 16) ნოქალაქევში, 17) ლეხაინდრაოზე, 18) საგვეჩიოში, 19) გულეიკარში, 20) ნოსირში, 21) დაფნარში, 22) დაბლაგომში, 23) მთისძირში, 24) საყანჩიაზე, 25) ციხესულორში, 26) ვანის ნაქალაქარზე, 27) ჭოგნარში.

მენდეს ამფორები - ძვ.წ. IV ს. აღმოჩენილია: 1) სოხუმში, 2) მთისძირში, 3) ვანის ნაქალაქარზე.

კოსის ამფორები - ძვ.წ. III-II სს. აღმოჩენილია: 1) ეშერაზე, 2) ოჩამჩირეში, 3) ანურეზაზე, 4) საყანჩიაზე, 5) ვანის ნაქალაქარზე.

კორინთული ამფორები - ძვ.წ. III-II სს. (ამ ამფორათა შემოსვლა კოლხეთში ძვ.წ. II ს-ის შუა წლებში უნდა შემწყდარიყო, ვინაიდან ძვ.წ. 146 წელს რომაელებმა კორინთი დაანგრიეს). აღმოჩენილია: 1) საყანჩიაზე.

როდოსული ამფორები - ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს. აღმოჩენილია: 1) ეშერაზე, 2) სოხუმში, 3) სოხუმის მთაზე, 4) ახულ-აბაზეზე, 5) ოჩამჩირეში, 6) პალიასტომის ტბის დასავლეთ ნაწილში, 7) დაფნარში, 8) საყანჩიაზე, 9) ვანის ნაქალაქარზე.

კნიდის ამფორები - ძვ.წ. II ს. აღმოჩენილია: 1) საყანჩიაზე, 2) ვანის ნაქალაქარზე.

პანტიკაპეური (?) ამფორები - ძვ.წ. IV-IIIსს. აღმოჩენილია: 1) ეშერაზე, 2) ფიჭვნარში, 3) ვანის ნაქალაქარზე.

ქერსონესის ამფორათა ფრაგმენტები - ძვ.წ. III ს. აღმოჩენილია: 1) ვანის ნაქალაქარზე.

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

სამოსური ამფორები, ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს. აღმოჩენილია 4 პუნქტში;

ქიოსური ამფორები, ძვ.წ. VI-V სს. - 12 პუნქტში, ძვ.წ. III ს. - 1 პუნქტში, ძვ.წ. II ს. - 2 პუნქტში;

თასოსისა და მისი წრის ამფორები, ძვ.წ. V-IV სს. - 9 პუნქტში;

ჰერაკლეური ამფორები, ძვ.წ. V-IV სს. - 9 პუნქტში;

სოლოხა I ამფორები, ძვ.წ. IV ს-ის შუაწლები-მეორე ნახევარი - 6 პუნქტში;

სოლოხა II ამფორები, ძვ.წ. IV ს-ის შუაწლები-მეორე ნახევარი - 3 პუნქტში;

სინოპური ამფორები, ძვ.წ. IV ს-ის შუა - III ს-ის 30-იანი წლები - 27 პუნქტში;

მენდეს ამფორები, ძვ.წ. IV ს. - 3 პუნქტში;

პანტიკაპეური (?) ამფორები, ძვ.წ. IV-III სს. - 3 პუნქტში;

ქერსონესის ამფორები, ძვ.წ. III ს. - 1 პუნქტში;

როდოსული ამფორები, ძვ.წ. III ს-ის ბოლო-II ს. - 9 პუნქტში;

კოსის ამფორები, ძვ.წ. III ს-ის ბოლო-II ს. - 5 პუნქტში;

კორინთული ამფორები, ძვ.წ. III ს-ის ბოლო-II ს. - 1 პუნქტში;

კნიდის ამფორები, ძვ.წ. III ს-ის ბოლო-II ს. - 2 პუნქტში;

კერამიკული დამღების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ მათი შემოსვლა კოლხეთში იწყება ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წლებიდან და გრძელდება II ს-ის ბოლომდე და მათი გავრცელება კოლხეთის ტერიტორიაზე ორ პერიოდად შეიძლება დავყოთ: პირველი - ძვ.წ. IV-III ს-ის დასაწყისი; მეორე - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი-ძვ.წ. II ს. პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელია დამღათა გავრცელება კოლხეთის როგორც სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რაიონებში; მეორე პერიოდისათვის დამღათა არეალი მცირდება და შემოიფარგლება მხოლოდ ვანის ნაქალაქარითა და მისი მიმდებარე ტერიტორიით (საყანჩია, დაფნარი). თუ ამ მონაცემებით ვიხელმძღვანელებთ და მათ დაუდამღავი ამფორების მონაცემებს შეადარებთ, მივიღებთ, რომ პირველ ეტაპზე - ძვ.წ. V-III სს. - ეს მასალა 32 პუნქტშია აღმოჩენილი, მეორე ეტაპზე - ძვ.წ. III-II სს. - მხოლოდ 9 პუნქტში. ამ ორ ეტაპს შორის ზღვარი ისევე, როგორც კერამიკული დამღებით აღჭურვილი მასალის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ძვ.წ. III ს-ის 70-50-იან წლებზე გადის. უცხოური ნაწარმის გავრცელების არეალი პიკს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში აღწევს.

კოლხეთის იმპორტის პერიოდიზაცია საგაჭრო კონტრაგენტების ცვალებადობისა და მათი იმპორტის ინტენსივობის მიხედვით ასახავს უფრო არა იმდენად კოლხეთის განვითარების შიდა პროცესებს, როგორც იმ საერთაშორისო სიტუაციას, რომელიც იქმნებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ქვეყნებში. ამ ასპექტით კოლხეთში შემოსული უცხოური ამფორისა და კერამიტის იმპორტი ძვ.წ. V-II სს-ში ხუთ პერიოდად შეიძლება დავყოთ:

I პერიოდი - მოიცავს ძვ.წ. V ს. - ამ პერიოდში დომინირებენ ქიოსური ამფორები, გარდა ამისა შემოდის თასოსური და სამოსური ნაწარმი.

II პერიოდი - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი - ამ პერიოდში დომინირებას იწყებენ ჰერაკლეას ამფორები. მასთან ერთად გვხვდება ქიოსური და თასოსური.

III პერიოდი - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე - ამ პერიოდში კოლხეთის საგაჭრო კონტრაგენტების რიცხვი მაქსიმუმს აღწევს: დომინირებს სინოპური იმპორტი (კრამიტი და ამფორა). გარდა ამისა გვხვდებიან ჰერაკლეას, თასოსის, ქიოსის, მენდეს, სოლოხა I, სოლოხა II (პეპარეტი), პანტიკაპეონის (?) და შესაძლებელია ქერსონესის ამფორები.

IV პერიოდი - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი. ამ პერიოდში გვხვდება მხოლოდ სინოპესა და ქიოსის ნაწარმი.

V პერიოდი - ძვ.წ. III ს-ის ბოლო-ძვ.წ. II ს-ის ბოლო - დომინირებს როდოსული იმპორტი. მისი სინქრონულია კოსის, კნიდის, ქიოსისა და კორინთოს ნაწარმი.

ანუ ძვ.წ. V ს-ში კოლხეთში მხოლოდ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწარმი შემოდის, ძვ.წ. IV-III სს-ში დომინირებს სამხრეთ შავიზღვისპირეთის იმპორტი (ჯერ ჰერაკლეას, შემდეგ სინოპეს), თუმცა ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპორტის ხვედრითი წონაც საგრძნობია. ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. II ს-ში ისევ გადამწყვეტ უმრავლესობას ხმელთაშუაზღვისპირეთის ამფორები შეადგენენ.

იმპორტული ამფორებისა და კრამიტის კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელების მიხედვით ძვ.წ. V-II სს. სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს:

I პერიოდი - ძვ.წ. V-III ს-ის დასაწყისამდე. ამ პერიოდში იმპორტი ვრცელდება კოლხეთის როგორც სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რაიონებში, განსაკუთრებით დიდ ფართობს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში მოიცავს.

II პერიოდი - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი. იმპორტის არეალი ძალზე იკვეცება. საღღეისოდ არსებული მონაცემების მიხედვით, იგი მხოლოდ ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საყანჩიაში) ფიქსირდება. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პირველ და მეორე პერიოდებს შორის 25-35 წლის ქრონოლოგიური ლაკუნა არსებობს. ეს

ვითარება ცალსახად ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში კოლხეთში შექმნილი სიტუაციის გაუარესებით არის გამოწვეული, ვინაიდან მისი უმთავრესი სავაჭრო კონტრაგენტი სინოპე აქტიურად აწარმოებს თავისი საქონლის ექსპორტს, როგორც დასავლეთ, ისე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

III პერიოდი - ძვ.წ. III ს-ის ბოლო - ძვ.წ. II ს-ის ბოლო. ამ პერიოდის იმპორტული ამფორები, რომელთა შორის დომინირებს როდოსული ნაწარმი, ვრცელდებიან კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა, და ვანის ნაქალაქარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (საყანჩიასა და დაფნარში).

უცხოური მონეტები. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. V-II სს-ის უცხოური მონეტები სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1) სამხრეთ შავიზღვისპირეთის მონეტები; 2) ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მონეტები; 3) ხმელთაშუაზღვისპირეთის მონეტები. ეს უკანასკნელი მხოლოდ წინამორბედი ორი რეგიონის გავლით შეიძლება მოხვედრილიყო კოლხეთში. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია თუ რა ხასიათის კონტაქტები ჰქონდა კოლხეთს სამხრეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი უცხოური მონეტები განხილული გვექნება ძირითადად გ. დუნდუასა და ს. შამბას შრომებზე დაყრდნობით [19; 20]. ეს მასალაც ისე გვექნება წარმოდგენილი, როგორც სადისერტაციო ნაშრომში გვქონდა გაკეთებული [2].

განვიხილოთ თითოეული ჯგუფი ცალ-ცალკე:

სამხრეთ შავიზღვისპირეთი - სინოპე, ამისოსი.

სინოპური მონეტების ცირკულაცია კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VI-V მიჯნიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე ხორციელდება. ესენია:

დიდრაქმა - ძვ.წ. VI-V სს-ის მიჯნა - ფიჭვნარი.

დრაქმა - ძვ.წ. 500-453 წწ. - ფიჭვნარი, სამაროვანი (სამარხი № 104); ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი - ძვ.წ. 370 წ. - ურეკი - 2 ც.; ძვ.წ. 360-320 წწ. - ბათუმი - 4 ც.; ფიჭვნარი - 102 ც. (განძის შემადგენლობაში); ელინისტური ხანის სამაროვანი - სამარხი № 14; სამარხი № 24; სამარხები №№ 77-78; სამარხი № 93; სოხუმი.

ტრიობოლი - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი – ეშერა - 2 ც.; დაფნარი (სამარხი XXI); ვანის ნაქალაქარი.

ამისური მონეტები - სულ აღმოჩნდა 3 ცალი:

დრაქმა - ძვ.წ. IV ს. - ქობულეთი; სოხუმი.

სიკლი - ძვ.წ. III-II სს-ის მიჯნა – სოხუმი.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი – პანტიკაპეონი, ნიმფეონი, თეოდოსია, ქერსონესი, ოლბია. ამ ცენტრების მონეტები ძვ.წ. V-II სს-ში კოლხეთში მიმოიქცეოდნენ თითქმის უწყვეტად. ესენია:

პანტიკაპეონი: აპოლონის ტაძრის მონეტა - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი - ფიჭვნარი (ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამარხი № 161); ვერცხლის მონეტა - ძვ.წ. 475-450 წწ. - ფიჭვნარი (სამარხი № 5); სპილენძის მონეტა - ძვ.წ. 370-340 წწ. - ციხისძირი; სტატერი - ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი – სამეგრელო, ქუთაისი.

თეოდოსია: ძვ.წ. V ს-ის ბოლო მეოთხედი - ფიჭვნარი (ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამარხი № 161).

ნიმფეონი: დიობოლი - ძვ.წ. V ს. - ფიჭვნარი.

ქერსონესი: დიხალკი - ძვ.წ. 364-350 წწ. - სოხუმი; ძვ.წ. II ს. - ბიჭვინტა.

ოლბია: ჰემიდრაქმა - ძვ.წ. III ს-ის მეორე მეოთხედი - სოხუმი.

ხმელთაშუაზღვისპირეთი:

მილეთის ვერცხლის მონეტა - ძვ.წ. V ს. - სულორი (ვანის რ-ნი).

ქიზიკინები - ძვ.წ. 500-460 წწ. - ფიჭვნარი (განძის შემადგენლობაში); ძვ.წ. V ს-ის შუა წლები (სამარხი № 15); ძვ.წ. V ს-ის შუა წლები (სამარხი № 15); ძვ.წ. 460-440/430 წწ. (სამარხი № 6); ქიზიკინი შეიძლება ყოფილიყო ვანშიც.

ათენური მონეტები:

ტეტრადრაქმა - ძვ.წ. V-IV სს. - მწვანე კონცხი (ქობულეთის რ-ნი); დრაქმა - ძვ.წ. 146/5 წწ. - სოხუმი და ვანის ნაქალაქარი; ტეტრადრაქმა - ძვ.წ. 125/4 წწ. - ვანის ნაქალაქარი.

მაკედონელი მეფეების მონეტები:

ფილიპე II-ის (ძვ.წ. 359-336) სტატერი - ვანის ნაქალაქარი (სამარხი № 9).

ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) სტატერი - ფიჭვნარი; რეყე (ზუგდიდის რ-ნი); ბაბუშერა (გულრიფშის რ-ნი); ვანის ნაქალაქარი (სამარხი № 15); ჭიორა (ონის რ-ნი).

ვერცხლის მონეტები - ქუთაისი; მდ. ყვირილას ნაპირას.

ფილიპე III-ის (ძვ.წ. 323-316 წწ.) სტატერი - აგუძერა; ვანის ნაქალაქარი (სამარხი № 15).

ლისიმაქე (ძვ.წ. 306-282 წწ.) ბიზანტიონში მოჭრილი - ძვ.წ. III ს-ის ბოლო – გულრიფში; ძვ.წ. II ს. - ეკი (სენაკის რ-ნი) და ვანის ნაქალაქარი.

ჰიერონ II (ძვ.წ. 275/4-216 წწ.), სირაკუზი, ნახევარსტატერი - ვანის ნაქალაქარი.

როდოსული სპილენძის მონეტა - ძვ.წ. 166-88 - აფხაზეთი.

რომაული რესპუბლიკური დენარი - ძვ.წ. 71-151 - სოხუმი.

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V-II სს-ში უცხოური მონეტები ძირითადად კონცენტრირდება სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში - ცენტრი ფიჭვნარი; დიოსკურიის მიმდებარე ტერიტორიაზე და ძველ ვანსა და მის შემოგარენში. ჩვენ განზრახ არ განვიხილავთ ვანეთს ვინაიდან აქ მონეტების ასეთი დიდი რაოდენობით თავმოყრა ჩემთვის გაუგებარია (ისინი აქ შეიძლება გვიან მოხვედრილიყვნენ).

სამხრეთ შავიზღვისპირეთის მონეტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სინოპური მონეტები (ეს ცენტრი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული კოლხეთის ერთ-ერთი დიდი სავაჭრო კონტრაგენტი იყო). კოლხეთში მათი შემოსვლა ძვ.წ. VI-V სს-ის მიჯნიდან იწყება და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში სრულდება. მათი ცირკულაცია ორ პერიოდად შეიძლება დაიყოს: პირველი - ძვ.წ. VI-V სს-ის მიჯნიდან - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებამდე. ამ პერიოდის მონეტები ძირითადად სამხრეთ-დასავლეთ კოლხეთის სანაპირო ზოლში არიან გამოვლენილნი: ბათუმი, ფიჭვნარი, ურეკი; მეორე - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები - III ს-ის დასაწყისი - სინოპური მონეტები ვრცელდებიან, როგორც კოლხეთის მთელ სანაპირო ზოლში: ფიჭვნარი, სოხუმი, ეშერა, ასევე შიდა რაიონებშიც - დაფნარი, ვანის ნაქალაქარი. ამის შემდეგ მათი შემოსვლა სრულიად წყდება.

ამისური მონეტები (მართალია ისინი მცირე რაოდენობით არიან მოპოვებულნი) მხოლოდ სანაპირო ზოლშია გამოვლენილი - ძვ.წ. IV ს-ში ისინი მიმოიქცეოდნენ ქობულეთსა და დიოსკურიაში, ძვ.წ. III-II სს-ის მიჯნაზე - მხოლოდ დიოსკურიაში.

ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთს კოლხეთთან ძვ.წ. V-II სს-ში შედარებით სტაბილური, უწყვეტი ურთიერთობა ჰქონდა. სამი სახელმწიფოდან - ბოსფორის სამეფო, ქერსონესი, ოლბია - ყველაზე უფრო მჭიდრო კავშირი ბოსფორის სამეფოსთან ჰქონდა და შესაძლებელია მისი მეშვეობით ხდებოდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვა ცენტრების მონეტების შემოსვლა კოლხეთში. ამ სახელმწიფოების ფულის კოლხეთში მოხვედრა ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს: პირველი - ძვ.წ. V-IV ს-ის შუა წლები; ამ პერიოდში პანტიკაპეონისა და ნიმფეონის მონეტები მიმოქცევაში კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში - ფიჭვნარში იყო; მეორე - ძვ.წ. IV ს-ის შუა წლები - II ს. - პანტიკაპეონის, ქერსონესის და ოლბიის მონეტები ძირითადად კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში არის აღმოჩენილი. თუმცა ქვეყნის შიდა რაიონშიც გვხვდება (ქუთაისი).

ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრები, რომელთა ნუმიზმატიკური მასალა კოლხეთში არის აღმოჩენილი, საკმაოდ ჭრელია. მათი გავრცელება კოლხეთში სამ ეტაპად შეიძლება დავყოთ: პირველი ძვ.წ. V-IV სს-ის შუა წლები. ამ პერიოდში საერთაშორისო ვალუტის ფუნქციას ქიზიკინები ასრულებდნენ. მათი უმეტესობა ფიჭვნარის ტერიტორიაზე არის აღმოჩენილი და შესაძლებელია კოლხეთის შიდა რაიონებშიც (ვანი) აღწევდნენ. ფიჭვნარშივეა აგრეთვე აღმოჩენილი ათენის მონეტა, ხოლო სულორში (ვანის რ-ნი) მილეტური მონეტა.

მეორე - ძვ.წ. IV სს-ის შუა წლები - III ს-ის დასაწყისი. საერთაშორისო ვალუტის ფუნქციას მაკედონური ფული ასრულებდა. ეს მონეტები გავრცელებულია, როგორც მთელ სანაპირო ზოლში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებში.

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან საუკუნის ბოლომდე კოლხეთის ტერიტორიაზე ხმელთაშუაზღვისპირეთის მონეტების გავრცელებაში შეინიშნება ლაკუნა, თუ არ ჩავთვლით ჰიერონ II-ის (ძვ.წ. 275/4-216 წწ.) სირაკუზურ ნახევარსტატერს, რომელიც შეიძლება კოლხეთში შემთხვევით მოხვედრილიყო.

მესამე პერიოდი მოიცავს ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II ს-ს. ამ პერიოდში შავიზღვისპირეთში საერთაშორისო ვალუტის როლს ბიზანტიური, ლისიმაქეს ტიპის სტატერები თამაშობდნენ. ისინი აღმოჩენილია კოლხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილსა და ქვეყნის შიდა რაიონებში, ასევე გავრცელება აქვთ ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრის ათენურ „ახალი სტილის" მონეტებს (სოხუმი, ვანი). ასევე ძვ.წ. II ს-ს მიეკუთვნებიან სოხუმის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსული და რომაული მონეტები.

მოყვანილი მონაცემებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. V-II ს-ის დასაწყისში, კოლხეთში ხმელთაშუაზღვისპირეთის მონეტები (მილეთის, ათენის, ქიზიკის) სამხრეთ შავიზღვისპირეთის გზით შემოდიოდა სინოპეს მონეტებთან ერთად, ვინაიდან ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ ათენის პოზიციები სწორედ სამხრეთ შავიზღვისპირეთში ძლიერდება. ამავე დროს მაკედონელი მეფეების მონეტების შემოსვლის შეწყვეტა სინოპური მონეტების შემოსვლასთან ერთად წყდება. მათი შეღწევა კოლხეთის შიდა რაიონებში ფიჭვნარისა და ფასისის გავლით ხდებოდა. ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II ს-ში ხმელთაშუაზღვისპირეთის მონეტები კოლხეთში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გავლით უნდა მოხვედრილიყვნენ. ვინაიდან ამ პერიოდში შავიზღვისპირეთის ქვეყნების მონეტებიდან კოლხეთში მხოლოდ პანტიკაპეონის, ქერსონესისა და ოლბიის მონეტები არის მიმოქცევაში. ათენისა და ბიზანტიონის

მონეტები ვანში დიოსკურიის გავლით უნდა მოხვედრილიყვნენ.

ამდენად, კოლხეთის ტერიტორიაზე უცხოური მონეტების მიმოქცევაც იმ ტენდენციების ამსახველია, რომელიც გამოვლინდა კერამიკული ეპიგრაფიკის ძეგლებისა და ამფორების შესწავლის შედეგად, ანუ თავდაპირველად ძვ.წ. V-IV სს-ის შუა წლებამდე უცხოური მონეტების გავრცელება ხორციელდება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლსა და ძველ ვანსა და მის შემოგარენში - 7 პუნქტში. ძვ.წ. IV ს-ის შუა წლებიდან ძვ.წ. III ს-ის დასაწყისამდე უცხოური მონეტების გავრცელება მაქსიმუმს აღწევს: მთელ სანაპირო ზოლსა და ქვეყნის შიდა რაიონებში, განსაკუთრებით რიონის ხეობაში. ამ პერიოდის მასალა გამოვლენილია 14 პუნქტში. ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან საუკუნის ბოლომდე უცხოური მონეტები მხოლოდ დიოსკურიის მიდამოებშია გავრცელებული - სულ ორ პუნქტში (სოხუმი, კელასურის სათავეები). ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. II ს-ში კოლხეთის ტერიტორიაზე უცხოური მონეტების მიმოქცევა ისევ გაფართოვდა (ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი და შიდა რაიონები). სადღეისოდ ისინი ქვეყნის 4 პუნქტში არიან დაფიქსირებულნი: სოხუმი, გულრიფში, ბიჭვინთა, ვანის ნაქალაქარი.

ძვ.წ. V-II სს-ის კოლხეთის ტერიტორიაზე უცხოური ნაწარმის გავრცელება სამ ძირითად ფაზად შეიძლება დაიყოს; თითოეული ფაზა თავის მხრივ კიდევ ეტაპებად. პირველი ფაზა მოიცავს ძვ.წ. V-IV ს-ის პირველ ნახევარს; მეორე ფაზა - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისს; მესამე ფაზა - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. II ს-ს.

პირველ ფაზაში - ძვ.წ. V ს. - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, უცხოური მონეტები გავრცელებულია კოლხეთის მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილსა და შეზღუდული რაოდენობით ცენტრალურ რაიონებში, რიონის მარცხენა სანაპიროზე, ვანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ დროის უცხოური ამფორები აღმოჩენილია ძირითადად კოლხეთის მთელ სანაპირო ზოლსა და რიონის ხეობაში, განსაკუთრებით ვანში.

მეორე ფაზა - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი. უცხოური მონეტებისა და კერამიკული ეპიგრაფიკის ძეგლების განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი არის ის პერიოდი, როდესაც უცხოური ნაწარმის შემოსვლის მასშტაბები კოლხეთში თავის ზენიტს აღწევს. ამ პერიოდში შავი ზღვის ბაზარზე ინტერლოკალური მონეტის ფუნქციას მაკედონური ოქრო წარმოადგენს. ეს მონეტები გავრცელებულია კოლხეთის, როგორც სანაპირო ზოლში, ასევე შიდა რაიონებში. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მიმოქცევაშია სინოპური მონეტები მთელს სანაპირო ზოლში, ქვეყნის შიდა რაიონებში შედარებით მოკრძალებით. ამავე პერიოდში აღწევს თავის კულმინაციას სინოპური კრამიტისა და ამფორების იმპორტი.

წინა ფაზისგან განსხვავებით, მეორე ფაზაში უცხოური ნაწარმი განსაკუთრებით ინტენსიურად რიონის ხეობაში არის გავრცელებული. რაც ფასისის, როგორც ბერძნული იმპორტის გამავრცელებლის გააქტიურებასთან არის დაკავშირებული.

მესამე ფაზა - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი - II ს.

კერამიკული ეპიგრაფიკის ძეგლების განხილვისას აღვნიშნეთ, რომ ძვ.წ. III ს-ის 70-50-იან წლებში მათი კოლხეთის ტერიტორიაზე გავრცელებაში შეიმჩნევა ლაკუნა. ეს ლაკუნა კოლხეთში შექმნილი ვითარებით არის გამოწვეული და ამავე დროს ის უნდა დაედოს საზღვრად მეორე და მესამე ფაზას.

ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარში, ისევ განახლდა იმპორტი. ამ დროის კერამიკული დამღები მხოლოდ ვანის ნაქალაქარზე არის დაფიქსირებული. წყდება უცხოური მონეტების შემოსვლაც, გარდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთულისა, ისიც მცირე რაოდენობით და მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც აღდგა ურთიერთობა სინოპესთან.

უცხოური ნაწარმის შემოსვლის ერთგვარი გააქტიურება ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II ს-ის დასაწყისიდან იწყება. მართალია, მისი რაოდენობა და გავრცელების არეალი გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის, მაგრამ ერთგვარი გამოცოცხლება მაინც შეინიშნება. ამ პერიოდში შავი ზღვის ქვეყნების მიმართ ინტერესს როდოსი იჩენს. ამდენად, როდოსისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ცენტრების ნახელავის შემოსვლა კოლხეთში ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან უნდა მომხდარიყო, შესაძლებელია როდოსელი ვაჭრების მეშვეობით. გარდა ამისა, ამ პერიოდში განსაკუთრებულ სავაჭრო აქტივობას დიოსკურია იჩენს. როგორც ჩანს ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში, ფასისი, როგორც სავაჭრო ცენტრი თმობს თავის პოზიციებს და მის ადგილს დიოსკურია იკავებს, ოღონდ არა ის მასშტაბით. საგულისხმოა, რომ მითრიდატე პონტოელი კოლხეთის ანექსიის შემდეგ არ ფასისში ჭრის ავტონომიურ მონეტას, არამედ დიოსკურიაში, როგორც უფრო დაწინაურებულ ქალაქში. სტრაბონის მიხედვით დიოსკურიაში თავს იყრის 70 ან 300 სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი, რომელთაგან ყველაზე მეტი სარმატია. იგი წარმოადგენს მათთვის საერთო სავაჭრო ადგილს [Strabo XI,2,16].

ამდენად, პირველ ფაზაში მთავარ სავაჭრო ცენტრად ფიჭვნარი გვევლინება, მეორე

ფაზაში - ფასისი, მესამე ფაზაში – დიოსკურია.

ლიტერატურა

1. **ახვლედიანი დ.** ძვ.წ. IV-III სს-ის კოლხეთის ისტორია კერამიკული დამღების მიხედვით, ძიებანი № 11, 2003, გვ. 72-79.

2. **ახვლედიანი დ.** კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ.წ. V-II სს-ში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004 (ხელნაწერი ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში).

3. **ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ.** კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპური კერამიკული დამღები, ძიებანი № 3, 1999, გვ. 50-56.

4. **ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ.** კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი როდოსული კერამიკული დამღები, ძიებანი № 4, 1999, გვ. .

5. **ახვლედიანი დ., ფუთურიძე რ.** კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჰერაკლეურ, თასოსურ, ქისოსურ და კნიდურ ამფორათა დამღები, ძიებანი № 10, 2002, გვ. 50-51.

6. **გამყრელიძე გ.** მთისძირი, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 127-128.

7. **თოლორდავა ვ.** დაფნარი, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 136-168.

8. **თოლორდავა ვ.** დაბლაგომი, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 129-135.

9. **ინაძე მ.** სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ - ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 81-126.

10. **კაჭარავა დ.** ძვ.წ. VI-IV საუკუნეების მხატვრული და შავლაკიანი კერამიკა, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 25-51.

11. **კახიძე ა.** საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.

12. **ლიჩელი ვ.** საყანჩიას ნამოსახლარი. ვანი VII, თბ., 1983, გვ. 113-125.

13. **ლომიტაშვილი დ.** საერთაშორისო ვაჭრობა ძვ.წ. III ს-ის კოლხეთში, წელიწდეული, თბ., 1997-1998, გვ. 44-45.

14. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

15. **მათიაშვილი ნ.** ძვ.წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიური ისტორიიდან, თბ., 1977.

16. **მათიაშვილი ნ.** ძვ.წ. III-I სს. მხატვრული კერამიკა, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 51-60.

17. **მათიაშვილი ნ.** ძვ.წ. III-I საუკუნეების შავლაკიანი კერამიკა, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 60-75.

18. **ფუთურიძე რ.** კერამიკული ტარა, ვანი VII, თბ., 1983, გვ. 9-26.

19. **Дундуа Г.Ф.** Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

20. **Шамба С.М.** Монетное обращение на территории Абхазии, Тб., 1987.

თემურ თოდუა

რკინის ხერხი და ბარები დედოფლის გორის არქეოლოგიური მასალიდან

დედოფლის გორა მდებარეობს ქარელის რ-ნში, მდ. მტკვრის მარცხენა შენაკადის მდ. ფრონის შესართავთან. დედოფლის გორაზე არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღ. იულ. გაგოშიძე).

დედოფლის გორა მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლია. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნამოსახლარის მეორე კულტურული ფენა, სადაც დაფიქსირდა სასახლის ნანგრევები. სასახლე ძვ.წ. I - ახ.წ. Iსს. ფუნქციონირებდა. სასახლის გათხრებისას მოპოვებულ მრავალფეროვან ნივთიერ მასალათა შორის ინტერესს იწვევს რკინის ხერხი და ბარები.

რკინის ხერხი აღნიშნული ნაგებობის №12-13 ოთახების კარის ღიობის ნანგრევში აღმოჩნდა. ხერხი კოროზირებულია, ცეცხლში ნამყოფი, ნაკლული, ბრტყელი და სწორტანიანია. სამუშაო პირზე შერჩენილია 28 კბილი. კბილები თანაბრადაა განლაგებული, სწორად ჩამოშვებული და სამკუთხა მოყვანილობისაა (ტაბ. I, სურ. 1). ხერხის ფრაგმენტის საერთო სიგრძე 21 სმ, უდიდესი სიგანე 5 სმ, სისქე 2 მმ, კბილების სიმაღლე 2,5 მმ.

ამგვარი იარაღი სრულიად უჩვეულოა საქართველოს არქეოლოგიური სინამდვილისათვის. სამაგიეროდ, მის ფარგლებს გარეთ, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში ხერხი ფართოდ ჩანს გავრცელებული ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში [13, გვ. 1225]. კიდევ უფრო გახშირდა მათი გამოყენება რკინის ხანიდან. რკინის ხერხის (πρίων, serra) დახვეწა გრძელდებოდა მთელი რკინის ეპოქის მანძილზე, განსაკუთრებით კი ანტიკურ ხანაში. ბერძნულ-რომაულ სამყაროში სხვადასხვა ტიპისა და ფორმის ხერხი იყო ცნობილი: ცალსახელურიანი, მოკლე ხერხი, ორსახელურიანი, შედარებით გრძელი და დასაჭიმ-ჩარჩოიანი, სისო ხერხი [16, გვ. 116-118]. სწორედ ამ უკანასკნელთა კატეგორიას განეკუთვნება დედოფლისგორისეული ხერხი.

ასეთი ტიპის იარაღის სახერხი სარტყელი დამაგრებული იყო სწორკუთხა ჩარჩოზე, მსგავსად იმ ხერხებისა, რომლებიც გამოსახულია ეტრუსკულ სამარხის ურნაზე [11, სურ. 56] ან პომპეუმის ერთ-ერთ მოხატულ კედელზე [11, სურ. 60]. ამგვარი ხერხები შეიძლებოდა ყოფილიყო ცალსახელურიანი და ორსახელურიანიც. დედოფლის გორის ხერხის მსგავსია სემიბრატნის ნაქალაქარზე აღმოჩენილი რკინის ხერხი, რომელიც ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. თარიღდება [7, გვ. 265, სურ. 8]. მაგრამ დედოფლის გორის ხერხისაგან განსხვავებით, მისი კბილები ირიბია, მაშინ როცა ჩვენს მიერ აღწერილი ხერხის კბილები სწორადაა ჩამოშვებული, თანამედროვე კბილების სახით. ამ მხრივ, დედოფლის გორის ხერხი ძალზე ახლოს დგას კეპის ძვ.წ. Iს. ორმოსამარხში [10, გვ. 181-182] და ბატარეიკის ნაქალაქარის ახ.წ. I ს. ფენაში დადასტურებულ ხერხებთან [10, გვ. 182].

ანალოგიურ კბილებიანი ხერხი აღმოჩენილია, ასევე გორგიპიაში, ახ.წ. II-III სს. ფენაში [8, გვ. 113]. საერთოდ კი, სისოხერხები, რომლებიც ანტიკური ხანიდან ჩნდება, საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული რომაულ სამყაროს სხვა ცენტრებშიც. დედოფლის გორის იდენტური ხერხები აღმოჩენილია პომპეუმში [16, გვ. 118], მოზელში [13, სურ. 6377], ნიუსტედში [14, გვ. 112]. მაგრამ ისინი ზომითა და კბილების რაოდენობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, კაპიტოლიუმის მუზეუმში დაცულ რომაულ საკურთხეველზე [12, ტაბ. 31,4] და დენვერის რომაული ხანის ბარელიეფზე [13, სურ. 6377] გამოსახული ხერხები შედარებით უფრო დიდი ზომისაა და კბილების რაოდენობითაც საკმაოდ აღემატება დედოფლისგორისეულ ხერხს. ეს ხერხები გრძელი და ორსახელურიანია. ისინი განკუთვნილი იყო უპირატესად ფართო ფიცრებისა და მასიური ძელების დასახერხად [16, გვ. 117]. რაც შეეხება დედოფლის გორის ხერხს, ის შედარებით მოკლე და ცალსახელურიანი სისო ხერხი ჩანს. მისი ჩარჩო ხისა უნდა ყოფილიყო, თუმცა არც რკინაა გამორიცხული.

დაკიის ციხესიმაგრე გრედიშტა მუნჩულულუში აღმოჩენილ ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. დათარიღებულ რკინის ხერხს, რომელიც ახლოს დგას დედოფლისგორისეულ ხერხთან, რკინის ჩარჩო ჰქონდა [2, გვ. 16, სურ. 4,3]. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ამგვარი ფორმისა და ზომის ხერხები გამოიყენებოდა შედარებით თხელი ფიცრების დასახერხად. ფიცრებისა და ძელების დახერხვა დასაჭიმ-ჩარჩოიანი ხერხით ხდებოდა არა მარტო განივად, არამედ სიგრძეზეც. სიგრძივი ხერხვის ტექნიკას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტელები ფლობდნენ ამგვარ ტექნიკას.

საკმაოდ ფართოდ იყენებდნენ მას ძველი ბერძნებიც [10, გვ. 183]. სიგრძივად ხერხვის როლი და მასშტაბები ადრერომაული ხანიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ბერძნულ-რომაულ ეპოქაში ჩარჩოიანი და

საერთოდ, ყველა სახეობის ხერხი გაცილებით უფრო დაბალი ხარისხისა იყო, ვიდრე თანამედროვე ხერხები. ეს უპირატესად განპირობებული იყო ლითონის ხარისხობრივი მაჩვენებლით. მართალია, ძველმა ბერძნებმა იცოდნენ რკინის გამოდნობა, მაგრამ ის დახვეწილი არ იყო. ჯერ კიდევ თეოფრასტე მიანიშნებდა, რომ „რკინის ინსტრუმენტები ადვილად ბლაგვდებოდა თუნდაც მსუბუქი ხის ჭრების დამუშავებისას (Theophr., V, 5,1).

ლითონის ხარისხი და მისი გამოწრთობა რომაულ ხანაში გაუმჯობესდა, თუმცაღა სიცრცივ დასახერხად განკუთვნილ ხერხებს არ ეცვლებოდათ კუთხეებზე მკვეთრად გამოყოფილი, ბრტყელი კბილები, რომლებიც გაადვილებდა ხის ბოჭკოს განივ, სუფთა და თანაბრად ჭრვას. ადრერომაული ეპოქიდან კბილების ხარისხი შესამჩნევად ჩანს გაუმჯობესებული. ამურიდან კბილები შედარებით მკვეთრადაა განცალკავებული ერთმანეთისაგან და უფრო ბასრი ხდება [14, გვ. 113]. დედოფლის გორის ხერხიც დახვეწილია და თითქმის ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულ ე.წ. სისო ხერხებს მოგვაგონებს. ამგვარი ტიპის ხერხები დადასტურებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში [1, გვ. 116, 228]. ამ რეგიონებში ისინი გაბმული ხერხების სახელითაცაა ცნობილი [1, გვ. 228].

აღსანიშნავია, რომ სისო ხერხების გარდა, საქართველოში სხვადასხვა ფორმისა და კონსტრუქციის ხერხებიც არსებობდა. ასე მაგალითად, ეთნოგრაფიული მონაცემებით, ქვემო ქართლში ოთხი სახეობის ხერხი გამოიყენებოდა: გაბმული ხერხი, რომელიც გრძელი ფიცრების ჩასახერხად იხმარებოდა; ცალხელა ხერხი - მოკლე ფიცრების ჩასახერხად; ბარდაბირი - ხის გადასახერხად; გველისუდა ხერხი კი დასაჭრელებლად და ჩურთმების გასაკეთებლად [1, გვ. 280]. თითქმის ანალოგიური სახეობის ხერხებს იყენებდნენ, ასევე გურიაშიც [1, გვ. 409]. რაჭაში კი ძირითადად გრძელ და ჰატარა ე.წ. „დანახერხებს“ იყენებდნენ [1, გვ. 329, 404]. შერხავობა აქ ცალკე ხელობად ითვლებოდა და შრომატევადიც იყო.

ასე რომ, საქართველოში ხერხის გამოყენების ტრადიციას დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც დამატებით „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობებიც მოწმობენ: „განხერხნეს ესია შეშის ხერხითა“ [3, 825_5]; ანდა „ნუ ადიდოს ცული თვინიერ მკუცთელლისა მის ხერ, ანუ აღმაღლდეს ხერხი თვინიერ მზიდველისა მისისა“ [1, 618_{B-15}].

რაც შეეხება დედოფლის გორაზე აღმოჩენილ ხერხის თარიღს, იგი ანალოგიებით, ე.წ. I ს. უნდა განისაზღვროს.

საქართველოს არქეოლოგიური სინამდვილისათვის უნიკალურ სამიწათმოქმედო იარაღს წარმოადგენს დედოფლის გორაზე აღმოჩენილი რკინის ბარები. თუმცაღა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ძველ საქართველოში ბარის ტიპის იარაღი უცხო იყო. ამას თვით ბარის ეტიმოლოგია მიანიშნებს. ბარი უკავშირდება შუმერულ ტერმინს [6, გვ. 97] და შესატყვისებები აქვს სამივე ქართველურ ენაში [4, გვ. 373]. შესაძლოა ძველ ქართულში ბარი ტერმინის პარალელურად არსებობდა სახელი „სათიხარი.“ სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც ხომ ბარი „სათხროლი“ იარაღი ყოფილა [2, გვ. 96].

საქართველოში ბარის გამოსახულებას პირველად IX ს-ის დავით გარეჯის კედლის მხატვრობაში ვხედავთ [5, გვ. 15]. ერთ-ერთ საინტერესო წყაროდ, ამ მხრივ მაინც ჯრუჭის ოთხთავში წარმოდგენილი ვენახის ბარვის მინიატურაა, რომელიც XII ს-ით თარიღდება [5, გვ. 15].

დედოფლის გორაზე ორი სახეობის ბარია წარმოდგენილი. ორივე მათგანი ძვ.წ. I -ახ.წ. I სს. სასახლის № 12-13 ოთახების კარის ნანგრევში აღმოჩნდა. პირველი სახეობის ბარი მასიურია, სამუშაო პირი სამკუთხოვანი აქვს, ფრთები სწორი და განიერი, ყუა გახსნილი, სატარე ხვრელი მრგვალი (სურ. 2), საერთო სიგრძე - 33,7 სმ, სამუშაო პირის სიგრძე - 20,2 სმ, სიგანე - 18 სმ, ფრთების სიგანე - 5,5 სმ, ყუის სიგრძე - 12,7 სმ, სატარე ხვრელის დმ - 5,6 სმ (დგ.27. 977:6603). ამ სახეობის იარაღი ე.წ. „Pala“-ს ტიპის ბარებს განეკუთვნება. "Pala" გრძელსახელურიანი ბარია, რომელიც ამჟამადაც კი ფართოდ გამოიყენება სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში [16, გვ. 18]. ჩვეულებრივი ბარისაგან განსხვავებით, ის უფრო მსუბუქია, სამუშაო პირი სამკუთხა ან ფარისებრი მოყვანილობისაა. ბარის პირი სახელურთან მიმართებაში გარკვეულ კუთხეს ქმნის, რაც სხვა სახის ბარებისათვის არ არის დამახასიათებელი. მას სახელურზე რაიმე დამატებითი ხელის ჩასაჭიდი არ გააჩნია.

დასავლეთ ევროპაში ტერმინი "Pala" ზოგჯერ ნიჩაბსაც ნიშნავდა, მაგრამ ხშირად ამ ტერმინით მარტივი, გრძელსახელურიანი ბარი აღინიშნებოდა. ხსენებული ტიპის ბარები მსუბუქი ან კარგად დამუშავებული ნიადაგის ამოსაბრუნებლად გამოიყენებოდა. როგორც სამკუთხა, ასევე ფარისებრი ფორმის ბარები გამოიყენებოდა, ასევე სადრენაჟე ღარის გასაჭრელად. ღრმა ღარების გასაჭრელად კი უფრო მძიმე სახეობის "Pala"-ს იყენებდნენ. ქვიანი ნიადაგის დასამუშავებლად სამკუთხა-პირიანი "Pala" უფრო ოპტიმალური იყო, ვიდრე ფარისებრპირიანი ბარები. სამკუთხაპირიანი ბარები მიწის ზედაპირის დასანაწევრებლადაც გამოიყენებოდა. "Pala"-ს ტიპის ბარები დადასტურებულია რომაული სამყაროს

სხვადასხვა რეგიონში. კერძოდ, სამხრეთ ბელგიაში, არლონში [16, გვ. 19]. გვხვდება, აგრეთვე პომპეუმში [16, გვ. 20, სურ. 2]. სწორედ პომპეუმში აღმოჩენილი ბარების იდენტურია დედოფლის გორის ზემოთ აღწერილი ბარი, რომელიც ანალოგებით ძვ.წ. I-ახ.წ. I სს. უნდა დათარიღდეს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ბარები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაშია დაცული [5, გვ. 14]. აქ წარმოდგენილი ბარები სამკუთხა სამუშაო პირითა და ვერტიკალურად მოწყობილი ტარსაგებით ხასიათდება. როგორც ეთნოგრაფიული მონაცემები ცხადყოფენ, აღმოსავლეთ საქართველოში ბარს ცხელი ჭედვით ამზადებდნენ. ამგვარად გამოჭედილ ბარს „ქართულ ბარს" უწოდებდნენ. ქართული ბარი ერთიანი რკინის ნაჭრით მზადდებოდა და ყუა გადადუღებული ან გადაკერილი ჰქონდა. ის მახვილი და მძიმე იყო.

დედოფლის გორის მეორე სახეობის ბარიც მასიურია, სამუშაო პირი მომრგვალებულია, ცალი ფრთა განიერი, სწორი; მეორე – შედარებით ვიწრო და ოდნავ ჩამოშვებული, ყუა გადაკერილი, სატარე ხვრელი მრგვალი (სურ. 3). საერთო სიგრძე - 25,2 სმ, სამუშაო პირის სიგრძე - 14 სმ, სიგანე - 13 სმ, ყუის სიგრძე - 10 სმ, ყუის დმ - 7 სმ (დგ.27-977:6574). ეს სახეობა ე.წ. "Bipalium"-ის კატეგორიის ბარებს განეკუთვნება. ამგვარი ტიპის ბარებს დამატებით ფეხის დასადგმელიც ჰქონდა, რაც მათ ტექნიკურ სრულყოფილებაზე მიანიშნებს. ძველი რომაელი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის კატონ უფროსის ცნობით, "Bipaliumi" ორმაგი ამოცანის შესასრულებლად გამოიყენებოდა: მიწის ამოსათხრელად და ნაკელის მოსაქუჩებლად (Cato, 151,2). ისინი ზოგჯერ არხების გასაყვანად და ვაკე ადგილების დასამუშავებლადაც გამოიყენებოდა. მართალია, რომაულ ხანაში ასეთი სამუშაო ოპერაციებისათვის "Bidens"-ის ტიპის ბარებსაც იყენებდნენ [16, გვ. 23], მაგრამ უპირატეს მნიშვნელობას "Bipalium"-ს ანიჭებდნენ, რადგან იგი უფრო მოხერხებული იყო.

აღწერილი ტიპის ბარი ფართოდ ჩანს გავრცელებული რომაული სამყაროს მთელ რიგ რეგიონებში. დედოფლისგორული ბარის ანალოგიური ეგზემპლარები აღმოჩენილია უნგრეთსა [14, გვ. 55: ტაბ. LXVII,7] და ზალცბურგში [16, გვ. 23, სურ. 5], სადაც ისინი ახ.წ. I-II სს. თარიღდება. დედოფლისგორული ბარი კი ძვ.წ. I - ახ.წ. I სს. უნდა დათარიღდეს. დედოფლისგორული ტიპის ბარი დადასტურებულია, აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. მსგავსი ფორმის ბარებს ვხვდებით როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში [5, გვ. 15].

ამრიგად, დედოფლის გორის სასახლის კომპლექსში აღმოჩენილი რკინის ხერხი და ბარები, გარდა მათი უნიკალობისა ანტიკური ხანის საქართველოსათვის, დედოფლისგორელთა ხელოსნობისა და სამიწათმოქმედო კულტურის საკმაოდ მაღალ დონეს მოწმობენ.

ლიტერატურა

1. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1975.

2. **სულხან-საბა ორბელიანი.** ქართული ლექსიკონი, I, თბ., 1991.

3. ქართლის ცხოვრება. მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ექ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ., 1906.

4. **ჩიტაია გ.** რაჭული სახვნელის ფარფლიანი ქუსლი. თსუ-ს შრომები, XVIII, 1941.

5. **ჯალაბაძე გ.** აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960.

6. **Андрианов Б.В.** Земледелие наших предков, М., 1978.

7. **Анфимов Н.В.** Новые данные к истории Азиатского Боспора, СА, VII, 1941.

8. **Кругликова И.Т.** Раскопки на Керченском полуострове, АО 1965, М., 1966.

9. **Кругликова И.Т.** Дакия в эпоху римской оккупации, М., 1955.

10. **Сокольский Н.И.** Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья, М., 1971.

11. **Blümner H.** Technologie und terminologie der gewerbe und künste bei Griechen und Romen, Leipzig, 1879.

12. Catalogue of the ancient sculptures of the museo Capitolino, Oxford, 1912.

13. **Heron de Villefosse A.** Serra. – DAGR, v. IV, London, 1917.

14. **Petrie F.** Tools and Weapons, London, 1917.

15. **Steensberg A.A.** Bronze age and type from Hama in Syria intended for rope Araction. Beryaus, XV, 1964.

16. **White K.D.** Agricultural implements of the Roman world, Cambridge, 1967.

I



1

0 4



2



3

0 8

მაია ჩარკვიანი

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები

სტატიის მიზანია კიდევ ერთხელ წარმოვაჩინოთ აკად. ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში. როგორც ექ. თაყაიშვილი არაერთგზის აღნიშნავდა, მისი და მისი თაობის მკვლევართა ამოცანა იყო, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ძეგლების გამოვლენა და ფიქსაცია, იმ იმედით, რომ მომავალში გაგრძელდებოდა მათი შესწავლა-გამოკვლევა. ანტიკური ხანის ძეგლები, რომელიც მეცნიერმა დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგია: მცხეთა - ბაგინეთი, არმაზისხევი და სანჟისხევი, საჯავახო, ვანი, ბორი, ახალგორი, სამადლო (იხ. რუკა).

1889 წელს არქეოლოგიური გათხრები ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა **მცხეთაში, ბაგინეთზე.** ამ წელს ილია ჭავჭავაძესთან „ივერიის" რედაქციაში მისულა ვინმე განძისმაძიებელი, რომელსაც უთქვამს რომ ბაგინეთში შემორჩენილი „კოშკის" ნანგრევებში ეგულებოდა საუნჯე. ილია ჭავჭავაძემ ეს ამბავი აცნობა დიმიტრი ბაქრაძეს, რომელსაც, როგორც სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ჰქონდა გათხრების ჩატარების ნებართვა (ე.წ. „ღია ფურცელი"). დ. ბაქრაძეს, უკვე ასაკოვანს ველზე მუშაობა გაუძნელდებოდა და ამიტომ, ეს საქმე თავის თანაშემწეს ექ. თაყაიშვილს მიანდო. სამწუხაროდ ისიც, გიმნაზიაში მასწავლებლობის გამო, მხოლოდ დღეგამოშვებით ახერხებდა ველზე სიარულს, ხოლო გათხრა-გაწმენდის უშუალო მეთვალყურეობა დაეკისრა დავით ქუთათელაძეს. მას ქ. ს.პეტერბურგის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და თან იქვე სტუდენტობისას, ნიკო მარისგან კარგი ქართველოლოგიური განათლებაც ჰქონდა მიღებული [7, გვ. 371; 9, გვ. 101; 12, გვ. 126; 5, გვ. 19]. გათხრები დააფინანსა (100 მანეთი) პროფესორმა ილია ოქრომჭედლიშვილმა (არის ვერსია, რომ ფული რამდენიმე კაცმა მოაგროვა). არქეოლოგიური გათხრები სამი კვირა გაგრძელდა. საღღეისოდ, ამ გათხრების შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება დ. ქუთათელაძის მიერ შედგენილი მოხსენებების მეშვეობით, რომლის დედანი ინახება აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ექ. თაყაიშვილის ფონდში (საფონდო № 2285), ხოლო გამოქვეყნებულია კრებულში „აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა)." ამ არქეოლოგიური ძეგლის ანალიზი ექ. თაყაიშვილს გამოქვეყნებული აქვს „რჩეული ნაშრომების" I ტომში.

მცირე არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით გაირკვა, რომ ბაგინეთის სიმაგრე-კოშკი ორსართულიანი ნაგებობა ყოფილა, ქვედა სართული ორად იყო გაყოფილი. იატაკი „ლიგატურის" ქვებით იყო შედგენილი; აღმოჩნდა გადაბმული ქვათლილები, ალიზი, მარმარილოს ნატეხები; ნაპოვნი იქნა შემდეგი ნივთები: რკინის ისრისპირები, მძივები, სხვადასხვა ფერის მინის ნატეხები, მინის პატარა „საცრემლე", თიხის პატარა კოჭობში შენახული ქათმის ძვლები, ვერცხლის ფული, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, სპილენძის ცული. კედლები შელესილი და მოხატული ყოფილა „რომაული ტიპის" ფრესკებით. აღსანიშნავია, კარგად შემონახული ქალღმერთის თავის მინიატურული გამოსახულება, რომელიც დ. ქუთათელაძემ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში ჩააბარა. გათხრების შედეგებით ილია ჭავჭავაძე ფრიად კმაყოფილი დარჩენილა: „გამორკვეულა, რომ კოშკი რომაული დროისა ყოფილა, რამდენსამე სართულს შეიცავდა და თან კედლებიც მოხატული ჰქონიაო...". ექ. თაყაიშვილი იხსენებს: „სამწუხაროდ, მაშინ არც მოცალეობა და არც ფული აღარ გვეყო და თანაც პირადად მე ჯერ ძალიან გამოუცდელი და „გემოგაუხსნელი" ვიყავი არქეოლოგიურ თხრაში, თორემ ცოტა მეტი რომ მოგვენდომებინა და 100 მანეთსა და სამი კვირის განმავლობაში მცირე მუშაობას არ დავჯერებოდით ..." [იხ. 7, გვ. 371-372; 9, გვ. 117-119; 12, გვ. 127; 5, გვ. 19].

ექ. თაყაიშვილმა ეს ნაგებობა მოხატულობის მიხედვით, კერძოდ, ქალღმერთის მინიატურული თავის გამოსახულებითა და აქვე ნაპოვნი მინის „საცრემლის" მიხედვით, რომაული ხანით დაათარიღა. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ „ბაგინეთის კოშკს უნდა კუთვნებოდა ის ქვა, რომელიც ადრე იპოვნეს (1876 წელს) მცხეთის მიდამოებში და რომელზედაც წერია, რომ რომის იმპერატორმა ვესპასიანემ იბერიის მეფე მითრიდატეს ციხე აუშენა" [7, გვ. 371].

საღღეისოდ ექ. თაყაიშვილის მიერ მიჩნეული თარიღი კედლის მოხატულობისა, ზოგადად გაზიარებულია, ოღონდ ვესპასიანეს ხანის (ახ.წ. 69-79 წწ.) ნაცვლად მას ფარსმან I-ის ზეობის ხანას (ახ.წ. 30-60 წწ.) უკავშირებენ [8, გვ. 143, 146-147].

კედლის მხატვრობის ფრაგმენტები ბაგინეთიდან ინახება საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ფონდში (საინვენტარო № დ.მ. 362).

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1943-1948 წლებში ჩატარებულმა

[illegible]ებმა ბაგინეთზე გამოავლინა დიდი აკ-[illegible]ოპოლისი, შიდაციხის ზღუდე, მის შიგნით - [illegible]ული ქვის შენობათა ნანგრევები, ტაძარი, [illegible], მარანი, მდიდრული სამარხები. ამჟამად დადგენილია, რომ სწორედ აქაა არმაზ-[illegible]ზე [2, გვ. 1, 5; 1, გვ. 179-182].

საჯავახო (სამტრედიის რ-ნი, მდ. დრანდელის ნაპირას) (იხ. რუკა). ქუთაისის გუბერნიაში, რკინიგზის სადგურ საჯავახოსთან 7 ვერსტში (7,42 კმ), 1894 წელს რკინიგზის მშენებლობის დროს ნაპოვნი იქნა კოლხური მონეტების განძი. იმავე წელს ექ. თაყაიშვილმა იქ დაზვერა მიწისქვეშა გვირაბი, რომელიც გადიოდა ქვის ნაგებობების ქვეშ, დააფიქსირა მოწითალო ფენა, რომელიც სავსე იყო კერამიკის ფრაგმენტებით. ს. მარისადმი მიწერილ წერილში, ექ. თაყაიშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „იქ ისეთი ნაშთები უნდა აღმოჩნდეს, როგორც ვანში აღმოაჩინა სტოიანოვმა, ეს ადგილიც ვანის ბაზაა" [24, გვ. 14-16; 14, გვ. 121-122]. 1896 წლის 11 ივლისს ექ. თაყაიშვილმა მშენებლობისაგან გადარჩენილ ფართობზე (სიგრძე 7 არშინი (4,97 მ), სიგანე 3/4 არშინი (0,53 მ) დადო თხრილი. თხრილში აღმოჩენილ მასალაზე ინფორმაცია მოგვეპოვება კრ. "ОАК за 1896"-ში ანგარიშის სახით და საველე დღიურში (საფ. № 822). ექ. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი იქნა ვერცხლის ორი კოლხური მონეტა, რკინის დანის ნატეხი, უამრავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც მეცნიერის აზრით, საჯავახოში სამეთუნეო სახელოსნოს არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. მასალა ჩაბარებული იქნა კავკასიის მუზეუმში [25, გვ. 109; 9, გვ. 104-105; 4, გვ. 32; 5, გვ. 20].

შემდგომ, როდესაც ბ. კუფტინი გასინჯავს ციხესიმაგრე ტელეფისის ლოკალიზაციის საკითხს, იყენებს რა ექ. თაყაიშვილის მოსაზრებას საჯავახოში ნაპოვნი უამრავი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების გამო, იქ სამეთუნეო სახელოსნოს არსებობაზე, გამოთქვამს ვარაუდს, რომ ყველაფერი შესაბამისობაში მოდის აგათიას ცნობასთან, ტელეფისის ციხესიმაგრიდან 7 სტადიაზე მდებარე ხიტროპოლისის (იქ არსებული თიხის ჭურჭლის ბაზრის) შესახებ. სამწუხაროდ, საჯავახოში ნაპოვნი კერამიკა სადღეისოდ დაკარგულია, ამიტომ დათარიღება შეუძლებელია [22, გვ. 7].

ვანი (ვანის რ-ნი) (იხ. რუკა). ექვთიმე თაყაიშვილმა 1896 წლის 13-16 ივლისს, არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ვანში. მონაცემები ამ გათხრების შესახებ დაცულია მეცნიერის საველე დღიურში (საფ. № 822), კრ. "ОАК за 1896"-ის ანგარიშში, მის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (იმერეთი, გურია, ქართლი)" და "Церковь в Ване, в Имеретиея древности" [იხ. 31, გვ. 108-110; 17, გვ. 83-87; 9, გვ. 105; 10, გვ. 78; 12, გვ. 130-131; 23, გვ. 7, 33, 110; 4, გვ. 32; 5, გვ. 20; 32, გვ. 107-108]. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ვანში ჩატარებულ გათხრებსა და მოპოვებულ მასალებს ჩვენ სპეციალურად მივუძღვენით სტატია [15, გვ. 57-61], ამიტომ ამ საკითხს აქ დაწვრილებით აღარ შევეხებით. გავიმეორებთ მხოლოდ, რომ ექ. თაყაიშვილის აზრით, ვანის ნაქალაქარი ანტიკურ ხანას განეკუთვნებოდა, მასზე გადადიოდა დიდი სავაჭრო გზა რომიდან ინდოეთისაკენ. ის თვლიდა, რომ იქ ნაპოვნი ნივთები იყო როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ასევე სხვადასხვა უცხო ქვეყნიდან (ეგვიპტე, საბერძნეთი, რომი) შემოტანილი [6, გვ. 4-5; 9, გვ. 106-107].

ექ. თაყაიშვილი წერდა: „საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი ვანის ქალაქის გათხრა და გამოკვლევა დიდ შუქს მოჰფენს მისირს (ეგვიპტე), ბერძნების, რომაელების და ბიზანტიელების გავლენას საქართველოში. ეს გამოკვლევა მომავალზეა დამოკიდებული... " [6, გვ. 7].

1902 წლის 2 მარტს არქეოლოგიური საზოგადოების სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ მცხეთასთან ახლოს, ნავთობსადენის მშენებლობის დროს ნანახი იქნა არქეოლოგიური ნივთები ძველ სამარხებში. ნივთების უმეტესობა შეისყიდა თბილისელმა მოქალაქემ. ესენი იყო: 1) ოქროს ბეჭედი, სარდიონისთვლიანი, გაურკვეველი გამოსახულებით; 2) სპილენძის საყურე, ოქროს ფუყე ბურთულას ფორმის საკიდით; 3) პატარა, წყვილი, ოქროს საყურე-რგოლი; 4) წყვილი სპილენძის საყურე; 5) ათი ცალი, ბრინჯაოს თავსაბურის საკინძი. ექვსის თავი შემკული იყო თეთრი და ყვითელი მძივით, ერთი - მუშტის ფორმის თავით, ერთი - სამფურცელას გამოსახულებით; 6) ბრინჯაოს ოთხი მომცრო სამაჯური; 7) სპილენძის ორი ბალთა; 8) სპილენძის სამი ზარაკი; 9) სპილენძისა და ბრინჯაოს თხუთმეტი ბეჭედი; 10) სპილენძის ბალთა; 11) ვერცხლის, გატეხილი ბეჭედი, სარდიონისთვლიანი, ფრინველის გამოსახულებით; 12) საკინძის ორი თავი სარდიონის მძივით; 13) ასი ცალი სხვადასხვა მძივი.

ორი ოქროს მონეტა, იქვე ნაპოვნი, შეისყიდა ვინმე ვაჭარმა თბილისში. ერთი კარგად იყო შემონახული, მიეკუთვნებოდა იმპერატორ ავგუსტუსს, მეორეზე გამოსახული იყო ჩიტისთავიანი სახე, ეგვიპტურის მაგვარი. ნაპოვნი იყო კიდევ ვერცხლის ცხრა ერთნაირი მონეტა, რომლებიც მიეკუთვნებოდა ჰერაკლე კეისარსა და მის ვაჟს ჰერაკლეკონსტანტინეს, და დაკარგული იქნა. მიღებული ცნობის გამო არქეოლოგიურმა კომისიამ ექ. თაყაიშვილს დაავალა ამ ადგილის სისტემური გამოკვლევა [26, გვ. 79-80].

მცხეთასთან, მდ. მტკვრის ხეობაში 1902 წლის ივნის-ივლისის თვეში ექ. თაყაიშვილმა გათხარა ორი სამაროვანი (იხ. რუკა). ინფორმაცია აქ ჩატარებული გათხრების შესახებ მოცემულია საველე დღიურში (საფონდო № 821), ანგარიში გამოქვეყნებულია კრ. "Отчет Императорской Археологической Комиссии за 1902 год", და კრ. "Известия Кавказского отделения Императоского Московского Археологического общества"-ში.

"ОАК"-ში გამოქვეყნებული ანგარიში მთავრდება რედაქტორის შენიშვნით: „სამწუხაროდ ექ. თაყაიშვილმა წარმოადგინა მოპოვებული ნივთების საერთო აღწერილობა და არა განსაზღვრული სამარხების მიხედვით. ამიტომ მრავალი ნივთის წარმომავლობა და დანიშნულება გაუგებარია“ [26, გვ. 89]. საველე დღიურის მონაცემების მიხედვით ნაწილობრივ შესაძლებელია განათხარი მასალის კომპლექსებად განხილვა.

"ОАК"-ის მონაცემების მიხედვით I სამაროვანი მდებარეობდა 2,5 ვერსტზე (2,65 კმ) მცხეთის რკინიგზის სადგურიდან მის გაყოლებაზე, ნახევარ ვერსტზე (0,53 კმ) მდ. არმაზისწყალიდან და იგივე დაშორებით მდ. სანჟისხევიდან, რომელიც მდ. მტკვარში ჩაედინება არმაზისწყლისაგან დასავლეთით. რკინიგზიდან მარჯვნივ არის დამრეცი მთა, მარცხნივ კი მტკვრამდე დიდი, მდინარისაკენ ოდნავ დაქანებული მინდორი, რომელზეც გადის გზა მცხეთისაკენ. სამაროვნის ტერიტორია ორ მონაკვეთად იყო შესწავლილი. პირველ მონაკვეთზე, მშენებლების მიერ მონგრეულ მთის ნაწილში (178 x 29 ნაბიჯი) სამი დიდი ნავთობშესანახი ნაგებობისათვის ხელოვნურად შექმნილ მოედანზე აღმოჩნდა სამარხები, რომელიც აღმოსავლეთით შემოზღუდული იყო ქვითა და კირით ნაშენი კედლებით. ნაშენ კედელსა და სამარხებს შორის აღმოჩნდა შვიდი, დიდი ზომის თიხის ჭურჭელი („ამფორა“) ღვინის შესანახად, რომელიც ძალიან ჰგავდა ქვევრებს. ამ კედლების დასავლეთით ნანახი იქნა 25 სამარხი - ქვაყუთი. ექ. თაყაიშვილმა გამოკითხვით გაიგო, რომ ამ ადგილზე იქნა ნაპოვნი ტერ-ასატუროვის მიერ შესყიდული ნივთები, ხოლო ნახსენები ოქროსა და ვერცხლის მონეტები ნაპოვნი იყო არა სამარხებში, არამედ ქვის კედელთან და ხმები სხვა უფრო ძვირფას ნივთებზე (მაგ. ოქროს სარტყელზე) ტყუილი აღმოჩნდა. ექ. თაყაიშვილმა ჯერ 4 დანგრეული და გაძარცვული სამარხი გათხარა. ყველაზე აღსანიშნავი, ზომებისა და აღნაგობის მიხედვით იყო აღმოსავლეთით მდებარე ქვაყუთი, რომელიც შედგებოდა ოთხი უზარმაზარი გვერდითი ფილისაგან, სამი დიდი ფილით კი იყო გადახურული. მისი ზომები იყო 1,81 x 0,88 x 0,90 მ. დანარჩენი ქვაყუთები შედგებოდა ფლეთილი ქვებისაგან, სახურავები სამი, იშვიათად ოთხი ფილისაგან. ისინი დამხრობილნი იყვნენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

იმისათვის, რომ დადგენილიყო სამაროვნის ხასიათი, რომელიც მშენებლობის დროს დაინგრა და გაიძარცვა, საჭირო იყო ახალი სამარხების გამოკვლევა. ამიტომ ექ. თაყაიშვილმა ჩამოჭრილი მთის ტერიტორია გააუფთავა ბუჩქნარისაგან და გაატარა რამდენიმე თხრილი მის პერპენდიკულარულად. აღმოჩნდა, რომ სამარხები დამრეცობის გამო შორს მთაში არ შედიოდნენ. აქ იყო 7 სამარხი, ისეთივე აღნაგობისა, როგორიც მუშების მიერ დანგრეული სამარხები ანუ გვერდითი კედლები ფლეთილი ქვებისაგან, ხოლო ზედა - მთლიანი ფილებისგან შედგენილნი. სიგრძე 1,77-დან 1,95 მ-მდე, სიგანე 0,75-დან 0,89 მ-მდე. ერთი სამარხი ბავშვის იყო, ექვსი სამარხი კოლექტიური იყო: ორში - 7 მიცვალებულით, სამში - 5-ით და ერთში - 4-ით. მიცვალებულები უმეტესად გაშოტილ მდგომარეობაში იყვნენ დაკრძალულნი, ზოგჯერ მარჯვენა მხარეს მოხრილ მდგომარეობაში, სახით აღმოსავლეთისაკენ. ბავშვთა ჩონჩხები კოლექტიურ სამარხებში უფროსის ფეხებთან ან წელზე იყვნენ განლაგებული.

მეორე მონაკვეთზე, მცხეთისაკენ მიმავალ გზასთან მდებარე მინდორზე დიდი რაოდენობით სამარხები აღმოჩნდა. ისინიც ქვაყუთები იყო. ამ ნაწილშიც, სამარხებიდან აღმოსავლეთით ქვის კედლის ნაშთები დაფიქსირდა. ექ. თაყაიშვილმა გამოიკვლია 34 სამარხი, აქედან სამი - ბავშვის, ორში - დაკრძალული იყო ერთი ჩონჩხი, ხუთში - 6, ცხრაში - 5, რვაში - 4 და ექვსში - 3 ჩონჩხი. ცხრა ქვაყუთი უკვე გაძარცული იყო. მინდვრის შუაგულში, სადაც ითხრებოდა მომსახურეთათვის სახლის საძირკველი, აღმოჩნდა 4 სამარხი, აქედან 3 ისეთივე ქვაყუთი იყო, როგორიც ადრე ნანახი, მეოთხე კი გამომწვარი თიხის ბრტყელი ფილებით იყო ნაგები, სამ რიგად და გადახურული ბრტყელი, ბოლოჩაზნექილი კრამიტებით. ეს სამარხი, ალბათ ქალს ეკუთვნოდა, ჩონჩხი მჯდომარე პოზაში იქნა დაფიქსირებული. აქ ნაპოვნი იქნა გატეხილი, ნახევარმთვარისებური საკიდი და რამდენიმე მძივი. ყველა ქვაყუთი, რომელიც კი მუშის წერაქვს გადაურჩა, ექ. თაყაიშვილის მიერ ტიფლისის (კავკასიის) მუზეუმში იქნა გადატანილი [26, გვ. 80-87].

საველე დღიურში (საფ. № 821) დაცული მონაცემების მიხედვით კი გათხრების სურათი ასეა წარმოდგენილი, რაც ავსებს ანგარიშის ნაკლოვანებას:

ამ სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 13 აღწერილი. სამარხ № 1-ში აღმოჩნდა ბავშვის ჩონჩხი, ერთი თავის ქალა (ქალის) აღმოჩნდა სამარხ № 13, ორი თავის ქალა - სამარხებში № 4 და № 7, სამი თავის ქალა - სამარხ № 8 და № 11, ოთხი

[illegible]ის ქალა - სამარხ № 6. სხვა რაიმე მონაცემი მიცვალებულთა ჩონჩხის შესახებ [illegible]ურში დაფიქსირებული არ არის. სამარხთა ზომები მერყეობს სიგრძე - 1,42 მ-დან [illegible] მ-მდე, სიგანე 0,60 მ-დან 1,2 მ-მდე. სამარხის დამხრობა მხოლოდ ერთ შემთხვევაში სამარხ № 13-შია დაფიქსირებული – ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ინვენტარის განლაგება მოცემული არ არის. დღიურში მოყვანილი მონაცემებიდან ინვენტარი დაფიქსირებულია 10 სამარხში, სამარხები №№ 2, 3, 9 უინვენტაროა.

სამარხებში შემდეგი სახის ინვენტარია გამოვლენილი:

1. სანელსაცხებლე (სამ. № 1, სამ. № 4 - 2 ც.).
2. საყურე ოქროს, ძვირფასი ქვებით (სამ. № 13 - 2 ც.).
3. მძივები (სამ. №№ 4, 5, 7, 11, 13).
4. საკინძი (სამ. № 1, სამ. № 10 /ძვლის საკინძის თავი/, სამ. № 12 /რკინის/, სამ. № 13 /საკინძი მძივის თავებით 2 ც., რკინის - 2 ც., სპილენძის/).
5. ფიბულა (სამ. № 6 /ფიბულის თავი - 2 ც./, სამ. № 7).
6. საკიდი (სამ. № 7).
7. ზარაკი (სამ. №№ 7; 11).
8. ბეჭედი (სამ. № 4, სამ. № 7, სამ. № 11 - 2 ც., სამ. № 13 /კამეათი - 1 ც./).
9. სარდიონის კამეა პეგასზე ამხედრებული ადამიანის გამოსახულებით (სამ. № 4).
10. ღილი (სამ. № 7).
11. ბრინჯაოს სარტყლის ფრაგმენტები (სამ. № 11).
12. სამაჯური (სამ. № 6, სამ. № 7 - 2 ც., სამ. № 11).
13. ბალთა (სამ. № 1 /რკინის/, სამ. № 13 /სპილენძის/).
14. მონეტები (სამ. № 11).
15. რკინის დაშლილი ნივთები (სამ. № 6, № 8).

შემდეგ ექ. თაყაიშვილმა დაზვერა სანჟისხევის მიდამოები გათხრების ადგილიდან ერთ ვერსტის (1,06 კმ-ის) მოშორებით, და თავად ილია გედევანიშვილის მამულში, რკინიგზასა და მთას შორის ხელუხლებელი სამაროვანი აღმოაჩინა. თავიდან მიწის მფლობელმა ექ. თაყაიშვილს ნება არ დართო ეწარმოებინა გათხრები თავის მამულში. დიდი ოხოვნის შემდეგ მან გაათხრევინა ექვთიმეს რამდენიმე სამარხი, იმ პირობით, რომ განათხარ ადგილს მოასწორებდნენ. "OAK"-ის მონაცემების მიხედვით: II სამაროვანზე 12 სამარხი იქნა გათხრილი, რომლებიც ასევე კოლექტიურ ქვაყუთებს წარმოადგენდნენ. ისინი [illegible]ენი იყო ძირითადად მთლიანი ქვებით და [illegible]ურული კი - სამი ფილით. ისინი ერთმანეთის პარალელურად იყვნენ განლაგებული. ჩონჩხები კარგად იყო შემონახული. სამ სამარხში იყო 8 ჩონჩხი, ხუთში - 7, ორში - 5 და ორში - 4. დამხრობა იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ყველა ქვაყუთი აღნაგობით ერთნაირი იყო. სამარხეულ ინვენტარში იარაღი და მონეტები არ იყო. ნაპოვნი იქნა ორი წითელი, თიხის ქოთანი, ერთი ყურიანი, მეორე - ურნისმაგვარი, სახურავით. სამაგიეროდ, სამარხებში ბევრი იყო სამკაული, განსაკუთრებით ქალის: 1) გულსაკიდი, შემდგარი მძივებისაგან და სხვადასხვა მასალის შუალედებისაგან, ნაპოვნი იყო მიცვალებულის ყელთან. მძივები - 336 ც. - სარდიონის, გიშრის, ძოწის, მინის, სმალტის, ნიჟარების და სხვ.; 2) თავსაბურავის ოქროს ფიბულები, რომლებიც გვერდებზე შემკული იყო მარგალიტებით; 3) ბრინჯაოს საკინძები, მძივებით შემკული თავებით. ისინი ნაპოვნი იქნა თავის ქალებთან; 4) ოქროს, ბრინჯაოსა და სპილენძის საყურეები, ზოგიერთი შემკული მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით; 5) ბრინჯაოს, სპილენძისა და ვერცხლის ბეჭდები. ზოგიერთი მასიური, ზოგი მავთულისებური. რამდენიმე ცალი შემკული სარდიონის თვლებით, რომლებზედაც ამოკაწრული იყო ადამიანების, ფრინველისა და ცხოველების გამოსახულებები; 6) ბრინჯაოს, სპილენძისა და რკინის საკინძები; 7) ბრინჯაოსა და სპილენძის ბალთები; 8) ბრინჯაოს სარტყლების ნაწილები; 9) ბრინჯაოს ზარაკები და ეჟვნები; 10) მინის სანელსაცხებლეები [26, გვ. 87-89].

საველე დღიურში (საფ. № 821) მოცემულია 11 სამარხის აღწერილობა:

სამარხების კონსტრუქცია დაფიქსირებული არ არის. სამარხთა ზომები მერყეობს: სიგრძე 1,70 მ-დან 2,0 მ-მდე, სიგანე 0,72 მ-დან 0,87 მ-მდე. მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მოცემული მიცვალებულის დამხრობა, სამარხ № 1 სამი ჩონჩხი დაკრძალული იყო სახით აღმოსავლეთისაკენ. 3 თავის ქალა აღმოჩენილი იყო სამარხებში №№ 1, 8, 9, 11; 5 თავის ქალა - სამარხებში №№ 3, 7, 10; 7 თავის ქალა - სამარხში № 4. № 8 სამარხში, იქ სადაც 3 თავის ქალა იყო აღმოჩენილი სამივე ბავშვს ეკუთვნოდა.

სამარხეული ინვენტარის განლაგება დღიურში დაფიქსირებული არ არის.

დღიურის მიხედვით სამარხებში გამოვლენილია შემდეგი ინვენტარი (სამ. № 1 უინვენტაროა):

1. თიხის ქოთანი (სამ. № 9).
2. საყურე (სამ. № 4 /ბრინჯაოს/, სამ. №9 - 2 ც., სამ. № 10 - 2 ც).
3. ძეწკვი (სამ. № 4 /სპილენძის/).
4. მძივები (სამ. № 3, სამ. № 5, სამ. № 11 /ნიჟარის/).
5. საკინძი (სამ. № 2 /სპილენძის/, სამ. № 3 /სპილენძის/, სამ. № 4 /გრავირებული/, სამ. № 5 /მძივის თავებიანი - 4 ც./).
6. საკიდი (სამ. № 10 /სპილენძის/).

7. სარტყელი (სამ. № 4 /სპილენძის/, სამ. № 11 /ფრაგმენტები/).

8. ბალთა (სამ. № 6 /რკინის - 1 ც., სპილენძის - 2 ც./, სამ. № 8 /რკინის/, სამ. № 9 - 3 ც.).

9. სამაჯური (სამ. № 3 /ფრაგმენტი/, სამ. № 4 /ვერცხლის - 2 ც./).

10. ბეჭედი (სამ. № 2 /სპილენძის/, სამ. № 3 /სპილენძის - 2 ც./, სამ. № 7 /ბრინჯაოს - 3 ც./, სამ. № 9 /4 ც. ორი – კურდღლისგამოსახულებიანი კამეით/, სამ. № 11 /სარდიონისთვლიანი/).

11. სადგისი (სამ. № 4).

12. საჭრისები (სამ. № 4 /რკინის/).

13. გაურკვეველი დანიშნულების რკინის ნივთის ფრაგმენტები (სამ. № 4, სამ. № 9).

14. სამკაული (ყელსაბამი ?) (სამ. № 9 /სპილენძის/).

საველე დღიურში ექ. თაყაიშვილს განმარტებული აქვს ამ ადგილის ორნაირი დასახელება, ძეგველებისათვის ის სანჟისხევია, მცხეთელებისათვის - მარტაზი.

კრ. "Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества"-ში გამოქვეყნებულ ანგარიშში, ექ. თაყაიშვილი მასალაზე დაყრდნობით იძლევა ამ სამაროვნების თარიღს ახ.წ. I-VIII სს. [28, გვ. 84].

მასალა ჩაბარებული იქნა კავკასიის მუზეუმში. დღეისათვის ამ მასალას ვერ მივაგენით.

1945 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის არმაზისხევის რაზმმა „ნავთსადენთან" გათხარა შენობათა ნანგრევები, სამარხები, ქვევრები, რომლებიც ასევე ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება [2, გვ. 4].

ბ. კუფტინმა ამ სამაროვნის საკინძები თრიალეთში, სოფ. კარიაკში აღმოჩენილი საკინძების ანალოგიურად მიიჩნია და „სასანური ხანით" (ადრე შუასაუკუნეები) დაათარიღა [21, გვ. 22-23].

ბორი (ხარაგაულის რ-ნი) (იხ. რუკა). ბორში ნაპოვნი ნივთების შესახებ ცნობები მოგვეპოვება კრ. "Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества"-ში და კრ. „ძველ საქართველო"-ში გამოქვეყნებული მასალებიდან. 1907 წლის დეკემბერსა და 1908 წლის იანვარ-თებერვალში სოფ. ბორში გლეხებმა და თავადმა მაჭავარიანმა ამერიკული ვაზის ჩასაყრელად მიწის მომზადებისას, გათხარეს სამაროვანი და იპოვნეს უამრავი არქეოლოგიური ნივთი (ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის, მინის). ექ. თაყაიშვილი გაემგზავრა ბორში არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად და უკვე ნანახი ნივთების შესასყიდად, მაგრამ მისი ყოველგვარი ცდა მოლაპარაკებისა თ. მაჭავარიანთან უშედეგოდ დამთავრდა (მან ნივთები პეტერბურგის ერმიტაჟს მიჰყიდა). მეცნიერმა შეძლო მხოლოდ ამ ნივთების დაფიქსირება, რის შესახებაც საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა მოხსენება „ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი სოფ. ბორში, ქუთაისის გუბერნია, შორაპნის მაზრა." ოქროს ნივთებიდან გამოირჩეოდა ოქროს გულსაკიდი, სამაჯურები, ბალთები, ბეჭდები, საყურეები, საკიდები. ზოგიერთი მათგანი შემკული იყო ძვირფასი ქვებით (ლალებით), ბეჭდებში ჩასმულ სარდიონის ქვებზე მითოლოგიური სიუჟეტები იყო გამოსახული. ვერცხლის ნივთებიდან აღსანიშნავი იყო თასები და ხელადები, ორნამენტებით შემკული, ბრინჯაოს ხელადები და თასები, რომელთა ყურებზე ადამიანისა და ცხოველის თავები იყო გამოსახული, მინის ნივთებიდან - ოთხი სანელსაცხებლე, რკინის - ურო, მახვილი, მაკრატლები, სასწორი, ბარი და ლაგამი. აღმოჩნდა თიხის დოქები და მცირე რაოდენობის სხვადასხვა მძივები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბორში ნაპოვნი 15 ვერცხლის მონეტა, რომელთაგანაც 12 მიეკუთვნებოდა რომის იმპერატორ ავგუსტს, 3 - პართიის მეფე გოტარზეს (ახ.წ. 40-51 წწ.). ექ. თაყაიშვილმა შეძლო აქ გამოვლენილი მონეტების იდენტიფიცირება და სამარხების დათარიღება. მეცნიერის თქმით - „როგორც რომაელების ფულები, ისე პართიელ ფულები ეკუთვნიან პირველ საუკუნეს ქრისტეს შემდეგ. ამიტომ თამამად შეგვიძლია მივაწეროთ ბორის სასაფლაოები და მათში აღმოჩენილი ნივთები პირველ საუკუნეს ქრისტეს შემდეგ. უფრო მეორე ნახევარს ამ საუკუნისას, ვიდრე პირველს." ექ. თაყაიშვილი ბორში ნაპოვნი ნივთების განხილვისას შემდეგ დასკვნამდე მიდის: „ნივთები ხელოვნებით გარდა თიხის ჭურჭლებისა, რკინის ნივთების და ზოგიერთი ვერცხლის ჯამისა ეკუთვნიან რომაელთა და ბერძენთა ხელოვნებას.... ეს ნივთები აშკარა საბუთია იმისი, თუ რა აღებ-მიცემობა სუფევდა რომაელთა და ქართველებს შორის პირველ საუკუნეში და შემდეგ, თუ რა შეადგენდა მაშინდელი ქართველების სამკაულს და მორთულობას, ჭურჭელს, იარაღს, თუ ვის მონეტები ტრიალებდნენ საქართველოში და სხვ." [29, გვ. 90-91; 20, გვ. 29-30; 13, 13, გვ. 89].

ბორში შემდგომ ჩატარებულმა გათხრებმა დაადასტურეს მეცნიერის მიერ გამოტანილი დასკვნები [16, გვ. 90-92].

ახალგორის განძი (ახალგორის რ-ნი, მდ. ქსნის ხეობა, სოფ. საძეგური) (იხ. რუკა). ინფორმაცია, „ახალგორის განძში" შემავალი ნივთების, მათი პოვნის, გადარჩენა-შესყიდვის პერიპეტიების შესახებ, ექ. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა კრ. "Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества"-ში. 1908 წლის ზაფ-

ულში ექვთიმე თაყაიშვილი მივლინებული ...ა ქსნის ხეობაში ნაპოვნი ოქროსა და ...ცხლის ნივთების მოსაძებნად და შესას...ად.

სოფ. საძეგური მდებარეობს მდ. ქსნის მარცხენა შენაკადთან მდ. საძეგურისწყალ...ან. მდ. საძეგურისწყლის მარცხენა ნაპირზე, ...ახლებაზე მაღლა დაახლოებით 40 სა...ენჟი (85 მ-ზე) ნაპოვნი იყო განძი. სინამდ...ულეში ეს განძი კი არ იყო, არამედ მდიდ...�ული სამარხი, სადაც მიცვალებულს ჩატა...ნული ჰქონდა ცხენი, ოქროს, ვერცხლის ...და ბრინჯაოს ძვირფასი ნაკეთობანი და თი...ის ჭურჭელი. სამარხი გამოჩნდა წვიმები...ან ჩამორეცხილ თიხის გრუნტში, ქვაყუ...ის გარეშე. გლეხებმა გადათხარეს და მოა...ულეეს ადგილი, მიწა ღრმა დირეში ჩა...ყარეს. გადათხრილი ადგილის ზედა ნაწილი ...ერთ საჟენამდე (2,13 მ) იყო, ქვედა მხარის - ...ამ საჟენამდე (6,39 მ), თვითონ სამარხის ...ზომების გაგება შეუძლებელი იყო. გლეხების ...ბუნებით ყველა ნივთი აღმოჩნდა ზედა მხა...რეს ორ არშინზე (1,42 მ). სამარხის სიღრმე ...ალბათ არ აღემატებოდა ერთ არშინს (0,71 მ). ...გათხრების ადგილზე დათვალიერების დროს ...შეგროვდა ადგილობრივი წარმოების, თეთრი ...და წითელი ფერის თიხის ჭურჭლის ნა...ტეხები, ცხენის ძვლები და რამდენიმე მძივი. ...შენილი იქნა სამკაულის მცირე ნაწილებიც. ...ბა სამარხები ამ ადგილას მიკვლეული არ ...ყო. ექ. თაყაიშვილს გათხრები არ უწარ...მოებია. ნივთები საბოლოოდ შეძენილი იქნა ...კავკასიის მუზეუმისათვის.

1909 წლის ზაფხულში მეცნიერი ისევ გა...ემგზავრა ქსნის ხეობაში, ეხლა უკვე კავ...კასიის მუზეუმის მივლინებით, ისევ მოინა...ხულა საძეგური. აღმოჩნდა, რომ არავითარი ...ძალი ნივთები არ იყო ნაპოვნი. გათხრების ...ადგილი ისევე გამოიყურებოდა. ექვთიმე თა...ყაიშვილმა ჩამოიარა ყველა ეზო, შეაგროვა ...და შეიძინა ყველაფერი, რაც კი ქალებსა და ...ბავშვებს ჰქონდათ, მოინახულა ყველა ახალ...გორელი ვაჭარი, შეაგროვა ყველა ნივთი და ...ჩამოიტანა თბილისში, ექ. თაყაიშვილმა და ...ალ. კაზნაკოვმა ნივთების მეორე პარტიაც ...კავკასიის მუზეუმისათვის შეიძინეს. ექვთიმე ...თაყაიშვილის მეორე მოგზაურობაც მეტად ...ფასეული ნივთების შეძენით დამთავრდა. ...ესენია: ოქროს დიდი, მასიური ხატისუღელი, ...ოქროს ბრტყელი ქამარი, ოქროს ბალთები ...ფასკუნჯების გამოსახულებით, დიდი რაოდე...ნობით ოქროს საკიდები და კილიტები; ვერ...ცხლის ორი თასი, ერთ-ერთი შემკული ...ბასლისებური ფორმებით; ბრინჯაოს ზარა...ები და საკიდები დიდი რაოდენობით; სპი...ლენძის სარწყულის ფრაგმენტები, მძივები ...და სხვა. მასალის შესწავლა და გამოცემა ...დაეკალა საიმპერატორო ერმიტაჟის მცველს, ...ბატონ კარგ მცოდნეს იაკობ სმირნოვს. აღ...ნიშნავია, რომ არც ინვენტარში და არც გათხრების ადგილას არ გვხვდება რკინის ნივთი, ამაზე მეცნიერი შენიშნავს, რომ ეტ-ყობა რკინის დამუშავება ჯერ არ იცოდნენ. არ იქნა ნაპოვნი საბრძოლო იარაღი, არც ცული, არც ისარი, არც მახვილი, არც დანა ან სატევარი. მეცნიერის აზრით, ალბათ ეს ქალის სამარხი იყო. ცხენის არსებობა დაკრ-ძალვის წესში დადგენილია მისი ძვლების დიდი რაოდენობით და ლაგმით. მონეტები ნა-პოვნი არ იყო [30, გვ. 139-147].

ახალგორში ნაპოვნი ნივთები შემდგომში შესწავლილი იქნა იაკ. სმირნოვისა და ოთ. ლორთქიფანიძის მიერ [27; 11, გვ. 28-71].

სამადლო (კასპის რ-ნი) (იხ. რუკა). 1912 წელს თბილისის გუბერნიის სოფ. ქსანთან ნანახი იქნა ოქროს ნივთები. ერთი ნაწილი შეიძინა იტალიის კონსულმა ლ. ვალერიმ, მეორე თბილისის ქართულმა მუზეუმმა (საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი). ექ. თაყაიშვილმა ადგილზე დაათვალიერა ტერიტორია, ნაპოვნი ნივთების ნაწილი ჩამოიტანა თბილისში და გაატარა საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის საინვენტარო წიგნში. ექ. თაყაიშვილის ცნობით: „რკინის კუბო," აღმოჩენილი იქნა რკინიგზის სადგურ ქსანთან მაღალ გორაკზე, სადაც მდებარეობდა ანდრეოლიტის კრამიტ-აგურის ქარხანა, მდ. მტკვრის მარჯვენა სა-ნაპიროზე. კუბო იყო რკინის, რკინის ფეხებ-ზევე. ოქროს ნივთები აღმოჩნდა ამ რკინის კუბოში." ექ. თაყაიშვილმა აგრეთვე ჩამოი-ტანა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტები, რომლებიც ნაპოვნი იყო იმავე სამარხთან (კუბოიანი) (ინვ. № 1420). ნა-წილი ამ ნივთებისა (103 ერთეული) სამად-ლოზე შეაგროვა და იყიდა ექ. თაყაიშვილმა. მან გადაარჩინა როგორც ოქროს ნივთები, ისე „არაძვირფასი მასალის ნივთები." კოლექცია რეგისტრირებულია საისტორიო-საეთნოგრა-ფიო მუზეუმის საინვენტარო წიგნში. მასალა ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სა-ქართველოს სახახელმწიფო მუზეუმში (ინვ. №№ 14-32:68; 14-32:71; 17-32:22-25; 18-32:117; 18-32:13), შ. ამირანაშვილის სახე-ლობის ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში (ინვ. №№ 1412, 1413, 1416, 1420 ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგა-დოების მუზეუმის კატალოგის მიხედვით და №№ 54-13 და 5-14 ყოფილი კავკასიის მუზე-უმის მიხედვით), ქ. სპეტერბურგის ერმი-ტაჟში (აღმოსავლეთის გან-ბა, საინვენტარო წიგნი, შიფრი "ÊÇ" ტომი IV, №№ 5775-5779 და II განყოფილება შიფრი „Z" №№ 459-477) [3, გვ. 53-93; 18, გვ. 9-11, 43; 19, გვ. 44-47].

1966 წელს ჩატარდა არქეოლოგიური გათ-ხრები ამ ტერიტრიაზე და ეს ძეგლი სამად-ლოს ნაქალაქარის სახელწოდებით არის ცნობილი [18; 19].

ამდენად, აკად. ექ. თაყაიშვილის ღვაწლი საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ანტიკური ხანის ძეგლების მიმართ არაერთმნიშვნელოვანია. უპირველეს ყოვლისა, მას ეკუთვნის პატივი იყოს პირველაღმომჩენი და მეცნიერულად შემსწავლელი იმ ძეგლებისა, რომლებიც მომავალში იქცნენ უმნიშვნელოვანეს წყაროდ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში (მაგ. მცხეთა, ვანი). ამავე დროს, მიუხედავად იმ დროისათვის მწირი მონაცემებისა საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ანტიკური ხანის ძეგლების შესახებ ექ. თაყაიშვილმა თავისი ღრმა ერუდიციისა და ფართო განათლების წყალობით, ძირითადად სწორედ განსაზღვრა მის მიერ მოპოვებული მასალის ხასიათი და ქრონოლოგია, რითიც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის ისტორიაში.

ლიტერატურა:

1. **აფაქიძე ა.** ქალაქები და სამოქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.

2. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბ., 1955.

3. **გაგოშიძე ი.** ელინისტური ხანის ძეგლები სამადლოდან, სსმ მოამბე, XXVII-B, თბ., 1967, გვ. 53-93.

4. **გამყრელიძე გ.** საქართველოს არქეოლოგიის განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1991, გვ. 12-45.

5. **გამყრელიძე გ.** ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1996.

6. **თაყაიშვილი ექ.** არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი (იმერეთი, გურია, ქართლი), წიგნი I, წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა, ტიფლისი, 1907.

7. **თაყაიშვილი ექ.** რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968.

8. **კავლელაშვილი ელ.** არმაზციხე-ბაგინეთის გვიანრომაული ხანის კედლის მხატვრობის ნაშთები, მცხეთა XI, თბ., 1996, გვ. 133-147.

9. **ლომთათიძე გ.** ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი. აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი. ცხოვრება და მოღვაწეობა, სტატიების კრებული, თბილისი, 1966, გვ. 100-117.

10. **ლოთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი, თბ., 1973.

11. **ლორთქიფანიძე ოთ.** ახალგორის განძი (დათარიღებისა და ისტორიული ინტერპრეტაციის ცდა), „ძიებანი", № 11, თბ., 2003, გვ. 28-71.

12. **მეგრელიძე ი.** ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1989.

13. **მუმლაძე მ.** არქეოლოგია ქართულ პერიოდიკაში (XIX საუკუნის მეორე ნახევარი - XX საუკუნის დასაწყისი), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2002 (ხელნაწერის უფლებით).

14. **ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა,** გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კვილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ., 1991.

15. **ჩარკვიანი მ.** ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე, ძიებანი, № 10, 2002, გვ. 57-61.

16. **ცქიტიშვილი გ.** ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964, გვ. 71-106.

17. **ხოშტარია ნ.** ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია, ვანი I, თბ., 1972, გვ. 83-87.

18. **Гагошидзе Ю.М.** Самадло, Тб., 1979.

19. **Гагошидзе Ю.М.** Самадло, Тб., 1981.

20. Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. III, под. ред. Л.Г. Лопатинского и Е.С. Такаишвили, 1913. Протоколы Кавказского отделения Моск. Арх. Общества – Протокол № 40, Тифлис, с. 29.

21. **Куфтин Б.А.** Археологические раскопки в Триалети, т. I, Тб., 1941.

22. **Куфтин Б.А.** Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

23. **Лордкипанидзе Г.А.** К истории древней Колхиды, Тб., 1970.

24. Отчетъ Императорской Археологической Комиссии за 1894 год, С.Пб., 1896, с. 14-16.

25. Отчетъ Императорской Археологической Комиссии за 1896 год, С.Пб., 1898, с. 109-112.

26. Отчетъ Императорской Археологической Комиссии за 1902 год, С.Пб., 1904, с. 79-89.

27. **Смирнов Я.И** Ахалгорийский клад, Тифлис, 1934.

28. Такаишвили Е. Краткий отчет о раскопках близ г. Мцхета. Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. I, 1904, Тифлис, с. 79-89.

29. Такаишвили Е. Серебрянпя чаша из с. Бори. Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. I, 1904, Тифлис, с. 90-91.

30. Такаишвили Е. Ксанский, или Садзегурский клад. Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества, вып. IV, 1915, Тифлис, с. 139-147.

31. Такаишвили Е. Церковь в Ване, в Имеретиея древности. Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе, т. II, 1917-1925, Ленинград, 1927, с. 108-110.

32. Уварова П.С. Коллекции Кавказского Музея "Museum Caucasicum," V, Тифлис, 1902.


ხაძეგვრი
ხაბეგლო
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი
ბაღინი

ნინო კიღურაძე

დაკრძალვის რიტუალი ბიჭვინტის სამაროვანზე (ორმოსამარხები)

სამაროვნებზე, დაკრძალვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების დადგენა-შესწავლა არქეოლოგიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. მასში ჩადებული ინფორმაცია წარმოდგენს გარკვეულ იდეოლოგიურ სისტემას, რომელიც იქმნება კონკრეტულ დროსა და სივრცეში [12, გვ. 8, 7]. დასაკრძალავი რიტუალი თვითგანვითარების პროცესში ყალიბდება, დიდხანს ინარჩუნებს თავის ნიშან-თვისებებს, თუმცა საუკუნეთა განმავლობაში გაბატონების ტრანსფორმაციასაც. მასზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს კულტურულ-ისტორიული კავშირები, კონტაქტები გარემომცველ სამყაროსთან. ყოველ ეპოქას მოაქვს ახალი, განსხვავებული ელემენტები, რეალური რწმენა-წარმოდგენები დამახასიათებელი ამა თუ იმ კულტურულ-ეთნიკურ ერთობისათვის.

ცალკეულ შემთხვევაში ლანდშაფტი, გარემომცველი გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ სამარხის ფორმას, რომელიც გარკვეული კონსერვატიზმით, არქაული ნიშნებით გამოირჩევა. როგორც ცნობილია, სამარხთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, კონკრეტული კულტურულ-ისტორიული გარემოს, სოციალური ორგანიზმის ნაწილია. ის უნდა განიხილებოდეს და გაიაზრებოდეს იმ არქეოლოგიურ კომპლექსთან ერთად, რომელიც წარმოდგენილია სამაროვანზე. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული სამარხი უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიურ-ისტორიული ინფორმაციის მატარებელია.

სამაროვნის შესწავლა კულტურული ანთროპოლოგიის პრობლემების გადაწყვეტის საშუალებასაც იძლევა. აქედან გამომდინარე, ყოველი ახალი სამაროვანი იძლევა ფაქტობრივ მასალას, რომელსაც შეუძლია დაადასტუროს არამარტო უკვე ცნობილი მონაცემები, არამედ სამეცნიერო მიმოქცევაში შეიტანოს ახალი ინფორმაცია, დააზუსტოს ცალკეული დეტალები. ყოველ ახალ აღმოჩენას, ზოგ შემთხვევაში კარდინალურად შეუძლია შეცვალოს ადრე მიღებული დასკვნები. ამასთანავე არქეოლოგიური გაგება დასაკრძალავი წეს-ჩვეულებებისა, ანუ მისი ინსტრუმენტალური დონე, ისევე როგორც ცალკეული არტეფაქტები შედარებით უფრო ვიწროა ეთნოლოგიურზე [13, გვ. 61]. არქეოლოგს ჩვეულებრივ თვალს ვერ ადევნებს იმ მოქმედებას, რაც ხდება სიკვდილისა და დაკრძალვის პროცესს შორის. მითუმეტეს მას უჭდეგ, როცა სამარხზე დაიდება საფლავის ქვა ან აღიმართება ძეგლი თუ სხვა საორიენტაციო სიმბოლოები. არქეოლოგის განკარგულებაში რჩება მხოლოდ კონკრეტული ნივთიერი ნარჩენები, სამშენებლო ნაგავი თუ აღაპის ნაშთები.

როგორც ცნობილია, დაკრძალვის წესი შედგება სამი კომპონენტისაგან: სამარხის მოწყობა, დაკრძალვის წესი, ინვენტარი [15, გვ. 149-150]. ამასთანავე ისინი არ იძლევიან რელიგიური რწმენა-წარმოდგენების სრულად აღდგენის საშუალებას; რაც თავის მხრივ უშუალო კავშირშია მიცვალებულის სქესთან, ასაკთან, სიკვდილის მიზეზთან, სოციალურ მდგომარეობასთან. რობერტ ჰერცი წერდა: „სიკვდილი ამ სამყაროში არ ნიშნავს სხეულის სიცოცხლის ბოლოს, არც ბიოლოგიური სიკვდილის ფიქსაციას, ის ნიშნავს დაკრძალვის რიტუალურ აქტს, რომელიც ყოფს წასულებს და დარჩენილებს“ [20, გვ. 45]. სიკვდილი არა მარტო ბიოლოგიური მოვლენაა, რადგან ამასთან დაკავშირებულია ეთნოკულტურული ასპექტები ასახული მრავალფეროვან დაკრძალვის წესში, სამარხეულ ინვენტარსა და გლოვის რიტუალში. წეს-ჩვეულება, რიტუალი - რელიგიური რწმენით ან ტრადიციით დაწესებული, განსაზღვრული მოქმედებაა. ამასავე ასახავს ტერმინი „რიტუალი“, წარმომდგარი ლათინური Ritus-იდან [7; 17; 25].

როგორც დიმიტრი უზნაძე აღნიშნავდა - სიკვდილი აძლევს დასაბამს უკვდავების იდეას, ხოლო სიკვდილი ცხოვრების სიკვდილ-სიცოცხლის დაპირისპირებული ფორმაა [8, გვ. 237-238]. ეს ფილოსოფია ასახულია ბიჭვინტის სამაროვნის ახ.წ. II-IV სს. ორმოსამარხებში დაფიქსირებულ დაკრძალვის წესებში და სამარხეულ ინვენტარში, რომელიც გვიანრომაული ხანის დასაკრძალავი რიტუალის სისტემაში თავსდება.

პიტიუნტი-ბიჭვინტა ახ.წ. II-IV სს. თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე არა მარტო ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის, არამედ საერთოდ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს - რომაულ ციხე-სიმაგრეს, იმპერიის ფორპოსტს წარმოადგენდა. პიტიუნტში დაბანაკებული იყო, როგორც ქვეითი ჯარი (ლეგიონერები), ასევე სასაზღვრო ნაწილები - ფლოტი.

ახ.წ. II ს. მეორე ნახევრიდან საკოჰორტო ხანგრძლივი დანიშნულების ბანაკი კასტელუმი - პიტიუნტი იწყებს თავის არსებობას და საბოლოოდ ამთავრებს ახ.წ. 380 წ. ჰუნების შემოსევის შედეგად. ძირითადად ამ ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება კასტელუმთან დაკავშირებული ბიჭვინტის სამაროვანი, რომლის საერთო ფართობი 3,5 ჰ-ს აღემატება.

უსაფრთხოების თვალსაზრისით სამაროვნისათვის შერჩეულია კასტელუმთან ახლოს, მისგან 250 მ-ში მდებარე ადვილად მისადგომი სწორი ველი. სამარხები კასტელუმის ჩრდილოეთ კარიბჭის მისასვლელი გზის ორივე მხარესაა განლაგებული. ბიჭვინტის სამაროვანზე დადასტურდა სამარხის რამოდენიმე ტიპი: ორმოსამარხი - 218, ორმოსამარხი კირხსნარის გამოყენებით (ე.წ. ხსნარიანი სამარხი) - 128, კრამიტსამარხი - 13, ამფორასამარხი - 65, კერამიკულფილებიანი სამარხი - 1, ზღვიური კონგლომერატით - კვადრებით ნაშენი სამარხი კენოტაფი, კრემაციული, ჭა-სამარხი.

ბიჭვინტის სამაროვანზე დაფიქსირებულ სამარხთა ამგვარი მრავალფეროვნება, სხვადასხვა ტიპის საფლავების თანაარსებობა საერთოდ ახასიათებს რომაული ეპოქის ნეკროპოლებს [17, გვ. 8-34]. ამას განაპირობებდა დემოგრაფიული სიტუაცია და სანიტარული ნორმების დაცვის აუცილებლობა [17, გვ. 8]. ყველაფერი ეს ქალაქის კანონმდებლობით რეგულირდებოდა. ზოგჯერ გამონაკლის შემთხვევაში, ცალკეულ პიროვნებებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის პატივს მიაგებდნენ და ქალაქის საზღვრებში კრძალავდნენ. ბიჭვინტაში ანალოგიური ფაქტი არ არის დადასტურებული.

რომაული ხანის ციხე-ქალაქის გაიდრას (აფრიკა) ირგვლივ განლაგებული იყო თანადროული სამაროვანი. ლეგიონერების სამარხები დადასტურდა ქალაქიდან გამავალი გზის გასწვრივ ორივე მხარეს [9, სურ. 3] ბიჭვინტის სამაროვანზე ასეთი კანონზომიერება არ ფიქსირდება. ჯარისკაცთა სამარხები აღმოჩნდა ნეკროპოლის მთელ ტერიტორიაზე. აქ წარმოდგენილია ლეგიონერების, გადამდგარი ვეტერანი ჯარისკაცების და მათი ოჯახის წევრების, ქალებისა და ბავშვების სამარხები.

სტრატიგრაფიული ჭრილი ძირითადად ერთგვაროვან სურათს იძლევა. სამარხეული ორმოები გაჭრილია კორდოვან, ნეშომპალიან 40 სმ სისქის მოშავო ფერის მიწისა და მის მომდევნო ზღვიურ ქვიშნარ ფენაში, გრუნტული წყლების დონემდე 0,80-1,20 მ სიღრმეზე (ზამთარში წყლის დონე მატულობს, ზაფხულში იკლებს). სავარაუდოა, რომ სამარხების დონეს განაპირობებს ეს გარემოება. სამარხთა უმრავლესობა დაფიქსირდა 0,50-0,75-1 მ სიღრმეზე. გათხრის პროცესში ორმოსამარხების კონტურების ზუსტი დაფიქსირება ნიადაგის თავისებურების გამო ძნელდებოდა. ისინი ძირითადად ოვალური ფორმისაა, თუმცა რამდენიმე სამარხეული ორმო ოთხკუთხა მოყვანილობისაა. სამარხთა უმრავლესობა ინჰუმაციურია, აქ მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში.

ბიჭვინტის სამაროვანი ერთიარუსიანია. მიცვალებულს კრძალავდნენ ცალკე ამოღებულ ორმოში - ინდივიდუალური სამარხები. გამონაკლის წარმოადგენს მრგვალი ფორმის № 268 ორმოსამარხი. მისი დიამეტრი 2,5 მ-ია, ძირში უსისტემოდ განლაგებული ჩონჩხების ძვლების ფრაგმენტები აღმოჩნდა. დაკრძალულთა რაოდენობის გარკვევა ვერ მოხერხდა. № 169 სამარხში ერთი მიცვალებული დასვენებული იყო თავით დასავლეთით, მეორე - აღმოსავლეთისაკენ. № 392 სამარხში ერთი მიცვალებული დაკრძალული იყო თავით სამხრეთით, მეორე (მოზარდი) თავით ჩრდილოეთით - თავშექცევით, ხოლო მესამე - თავით აღმოსავლეთით. ეს სამი სამარხი ე.წ. კოლექტიურ სამარხთა რიცხვს განეკუთვნება. სამ სამარხში №№ 13, 46 და 273 თავის ქალა არ დაფიქსირებულა.

პიტიუნტის სამაროვანი ორასი წლის განმავლობაში არსებობდა. აქ სამარხთა მეორედი გამოყენების ფაქტი არ დასტურდება. თითქმის არ ფიქსირდება სამარხთა დაზიანებაც სამიოდე შემთხვევის გარდა. ასე მაგალითად, № 155 სამარხისათვის ორმოს ამოღების დროს ნაწილობრივ დაზიანდა № 154 სამარხი. № 249 სამარხი დაზიანდა სამარხის გაჭრის დროს. სამარხი № 15 ნაწილობრივ დანგრეული აღმოჩნდა მის ზემოთ № 16 ე.წ. „ხსნარიანი სამარხის" გამართვის გამო. აქედან გამომდინარე საფლავების უმეტესობა სათანადო ზედაპირული ნიშნით, საფლავის ლოდებით და სტელებით უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. როგორც წესი რომაული ხანის სამაროვანზე სამარხის თავზე ქვის სტელას აღმართავდნენ [26, გვ. 9]. საფლავის ქვა მიცვალებულის პერსონალური ან საგვარეულო სახელის, წოდების და სხვა უამრავი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა (მაგ. დაბადების ადგილი, წლოვანება, მისი დამსახურება, ქვეგანაყოფის დასახელება და ა.შ.). ზოგ შემთხვევაში მიცვალებულის პორტრეტიცაა გამოსახული [26, გვ. 43]. საფლავის ქვაზე წარწერა ამ რიტუალის მიხედვით უკვდავების სიმბოლოდ მოიაზრებოდა [25, გვ. 7]. ბიჭვინტის სამაროვანზე in situ მდგომარეობაში არც ერთი სტელა არ დაფიქსირდა. მაგრამ აქ სტელების აღმართვის არსებობის ტრადიციაზე მეტყველებს სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩენილი ფრაგმენტი. შერჩენილია მისი ზედა მარცხენა კუთხე, ჩირაღდნის სტილიზირებული ალის გამოსახულებით. მრავალრიცხოვანი ანალოგიების მიხედვით სტელა ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება. ის დამზადებულია ადგილობრივი კირქვისაგან, რაც მიგვანიშნებს ბიჭვინტაში შესაბამის სახელოსნოს არსებობაზე [5, გვ. 212]. რომაული ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სამარხის სტელები გავრცელებული ჩანს, ეს დასტურდება უკანასკნელ

ნებში სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხის სტელითაც, რომლის ბერძნულ ეპიტაფიაშიც მოხსენებულია ლეგიონერი ორესტე, სტელა IV-V სს. თარიღდება [6]. სავარაუდოა, რომ შემდგომ პერიოდში სტელებს იყენებდნენ მშენებლობის დროს. კერძოდ, კირის გამოსაწვავად. ასეთი კირის გამოსაწვავი ორმოების არსებობა ბიჭვინტის ნაქალაქარზე IV-VI სს. ფენებშიც კირის დადასტურებული. მიცვალებულისათვის ბოლოვის მიგება „პიტიუნტის" მკვიდრთათვის უცილებელი ყოფილა. არსებული რწმენის თანახმად გარდაცვლილთა სულები სხვა განზომილებაში განაგრძობენ არსებობას და თუ დაკრძალვა კანონიკური წესით არ ჩატარდებოდა, სული (manes) ბრუნდებოდა და მრავალ უსამოვნებას შეახვედრებდა მათ, ვინც მიცვალებულზე არ იზრუნებდა. შესაბამისად ქალაქის სასაფლაოს მომვლელი, ზედამხედველი და მესაფლავეები ემსახურებოდნენ.

პიტიუნტის სამაროვანზე აღმოჩენილ სამარხებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ პროვინციულ პატარა ქალაქშიც ჰყოლიათ მესაფლავეები, სამარხეული კირხსნარის დამამზადებლები, ქვის მთლელები და დამარხვის წესების წარმმართველები (zihitinarii-ები). ხოლო რაც შეეხება რომაელ ჯარისკაცებს, ისინი თავისი ხელფასიდან სპეციალურ გადასახადსაც კი იხდიდნენ, ჯერ კიდევ სიცოცხლეში და ე.წ. დამკრძალავი საზოგადოების წევრები ხდებოდნენ. ამ ფულით სამგლოვიარო სუფრა - ქელეხი ეწყობოდა, რათა სულს იმ ქვეყნის გზაზე სწრაფად გამგზავრებაში დახმარებოდნენ. ამიტომ მიცვალებულის დაკრძალვა უკანასკნელ წმინდა მოვალეობად ითვლებოდა insta fasere.

ბერძნულ-რომაული რიტუალის შესაბამისად მიცვალებული სახლში შვიდი დღე იყო დასვენებული, მერვე დღეს გამოსვენების ცერემონიალი სრულდებოდა (calatio). მიცვალებულს, როგორც წესი, თბილი წყლით განბანვის შემდეგ, უსვამდნენ ნელსაცხებლებს, ჩაცმევდნენ ტანსაცმელს და გაშოტილ ფეგომარეობაში აწვენდნენ საკაცეზე (sandapila), ლურსმნებით მოჭედილ ხის ყუთში (capulus) ფეხებით კარისკენ. პირში ან ხელში უდებდნენ მონეტას ე.წ. ქარონის ობოლს, რაც პიტიუნტის სამაროვნის შესწავლითაც დასტურდება. საკაცეზე დასვენებულ ცხედარს წინ მიუძღოდა მისი საბრძოლო ნიშნები (insignia), უკუღმა მიჰქონდათ ბარადი იარაღი, შუბისპირი პირით მიწისკენ, ანადმობრუნებული ფარები (arma versa), შემდგომ მათ სახლში ან ყაზარმაში აბრუნებდნენ. არსებობდა დაკრძალვის სპეციალური სამგლოვიარო ეტიკეტი (moa lugentium), რომელიც სრულდებოდა საფლავზე წარმოთქმული შემდეგი სიტყვებით: sik tibi terra hevis – მსუბუქი იყოს შენთვის მიწა. საფლავში მიცვალებულს ატანდნენ მინის ჭურჭელს, რომელშიც განბანვის წყალი და ნელსაცხებლების ნარევი იყო ჩასხმული. ბიჭვინტის სამაროვანზე ერთ შემთხვევაში მინის კოლბაში დაფიქსირდა ანწლის ნაყოფი, რომელსაც დღემდე ქართული ხალხური მედიცინა მალარიის საწინააღმდეგოდ იყენებს. აგრეთვე, ატანდნენ პირად ნივთებს, ძირითადად სამკაულს.

ბიჭვინტის II-IV სს. სამაროვანზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დაკრძალვის წესების გარეგნული უცვლელობა ტრადიციულ-კონსერვატიულ რეალია-სიტუაციებს ექვემდებარება. მთავარი ფაქტორი ბიჭვინტაში ქრისტიანობის გავრცელებაა, რაც წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. მისი გავლენით იცვლება წარმართული დაკრძალვის წესები, ჯერ მცირდება და მერე სრულიად ქრება ნივთები ქრისტიანულ დოგმათა მოთხოვნების შესაბამისად; ამავე დროს უცვლელი რჩება დამხრობა მხარეების მიხედვით (ორიენტირის სეზონურ ცვლასთან დაკავშირებით). ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე სტრუქტურულ ანთროპოლოგიაში რიტუალის, დაკრძალვის წესისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთკავშირს დიდი ყურადღება ექცევა. ცნობილია, რომ იმპერიის მცხოვრებთათვის ქალაქი წარმოადგენდა საცხოვრისის, სახლის, დასახლების, გარკვეული ადგილის ერთიანობას, რომელიც წმინდა, საკრალურ ურთიერთკავშირში იმყოფებოდა ცისა და მიწის ღვთაებასთან. ეს ანიჭებდა ქალაქს განსაკუთრებულ კულტურულ მნიშვნელობას, ხოლო მისი სასაფლაო გარდასულ მოსახლეობის, წინაპართა უკვდავების სიმბოლოს წარმოადგენდა.

ე.წ. ახალი არქეოლოგიის მოთხოვნილებათა შესაბამისად არ შეიძლება ნივთიერი, მატერიალური კულტურის, სამარხეული ინვენტარის, არტეფაქტების იზოლირებულად შესწავლა. ასე მაგალითად, ინგლისელი მეცნიერი, ჰერინგი ამტკიცებს, რომ ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები და რიტუალი გააზრებული უნდა იქნეს ურბანიზირებული საზოგადოების სოციალურ კონტექსტში, რომელიც ნათესაობრივი ხაზითაა ორგანიზებული. ცხოვრების სხვა სფეროს მსგავსად ადგილობრივი საზოგადოებაც ბერძნულ-რომაული სამყაროდან შემოტანილ ახალ ელემენტებთან შესაძლო ასიმილირების ჭრილში უნდა განვიხილოთ, ცხადია ადგილობრივი ტრადიციული კულტურის ასპექტების გათვალისწინებით. ბიჭვინტის სამაროვნის მიხედვით ჩანს, რომ პიტიუნტის მცხოვრებთა მიერ ადაპტირებულია და შეთვისებული ბერძნული წესჩვეულებები, ამაზე მეტყველებს გრაფიტოები ჭურჭელზე, დაკრძალვის წესი, ბერძნული რელიგიის ზოგიერთი ელემენტი, მაგ. ქარონის კულტი და სხვ. ბიჭვინტის ახ.წ. II-IV

სს. სამაროვანზე მიცვალებულისათვის მონეტის პირში ჩადების, ჩაყოლების ოცდაათი შემთხვევაა დაფიქსირებული.

ბიჭვინტა-პიტიუნტის ანალოგიური რომაელი ლეგიონერების და მათი ოჯახის წევრების სამაროვანი ახ.წ. II-IV სს-სა გამოვლენილია ინგლისში ლანკჰილში, ვინჩესტერთან. ამ სამაროვანს კაპიტალური გამოკვლევა მიუძღვნა ჯ. კლარკმა [8]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ჯ. კლარკს ცალკე თავში აქვს განხილული „გვიან რომაულ-ბრიტანული დაკრძალვის პრაქტიკა“ და „ინჰუმაციური სამარხების დასაკრძალავი ინვენტარი“ [18, გვ. 247-256], „მიცვალებულის დამხრობა“ [18, გვ. 372] და სხვ.

ბიჭვინტის 114 ორმოსამარხი შეიცავდა დასაკრძალავ ინვენტარს.

მიცვალებულები დაკრძალულია ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში. სამარხთა სიღრმეები მიწის ზედაპირიდან მერყეობს 0,40-დან 1 მ-მდე. მიცვალებულები თავით ორიენტირებულია დასავლეთით - 44 სამარხი, აღმოსავლეთით - 10 სამარხი, ჩრდილოეთით - 18 სამარხი, სამხრეთით - 5 სამარხი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - 4 სამარხი, სამხრეთ-დასავლეთით - 5 სამარხი, ჩრდილო-დასავლეთით - 14 სამარხი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - 10 სამარხი (სეზონური გადახრები). ასეთი სურათია ე.წ. „ჯარისკაცთა სამარხებში“ [3, გვ. 55-57], აქ ლანჩების რკინის მოქლონების შემცველი 18 სამარხი გაითხარა. რკნის ლურსმნები (ხის ყუთის მოჭედილობა) 42 სამარხში დაფიქსირდა [4, გვ. 216-219].

რაც შეეხება კიდურების მდგომარეობას მარტო ზედა კიდურების ოცი პოზაა დადასტურებული. ორ შემთხვევაში მიცვალებულს მარჯვენა - მარცხენა ხელის იდაყვ ქვეშ ჰქონდა ამოდებული. ერთ შემთხვევაში ორივე ზედა კიდური მენჯის ძვლების უკანა მხარეს აღმოჩნდა. ორ შემთხვევაში კი ცალ-ცალი ხელი (მარჯვენა და მარცხენა) ამოდებული ჰქონდა მენჯის ძვლის არეში (ტაბ. II_1).

ბიჭვინტის სამაროვანზე რაოდენობრივად წამყვან ჯგუფს ორმოსამარხები წარმოადგენენ, მათი რაოდენობა ნეკროპოლზე 218 აღწევს. როგორც ზემოთ აღინიშნა 218 სამარხიდან 104 სამარხი უინვენტაროა. მიცვალებულები ასვენია ზურგზე გაშოტილ მდგომარეობაში. სამარხის სიღრმეები მიწის ზედაპირიდან მერყეობს 0,30-1,10 მ-მდე. მიცვალებულთა უმრავლესობა დამხრობილია თავი დასავლეთით - 37 სამარხი, აღმოსავლეთი ორიენტაცია - 11 სამარხშია, ჩრდილოეთით - 10 სამარხი, სამხრეთით - 9 სამარხი, სამხრეთ-დასავლეთით - 12 სამარხი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - 6 სამარხი, ჩრდილო-აღმოსავლეთით - 9 სამარხი. დაზიანების გამო გაურკვეველი დარჩა 3 სამარხი. ლურსმნები (კუბოს მოჭედილობა) აღმოჩნდა 18 სამარხში. მათი რაოდენობა ერთიდან შვიდ ცალამდე მერყეობს. ხუთი სამარხი განეკუთვნება ე.წ. ჯარისკაცთა სამარხებს, სადაც აღმოჩნდა რომაელ ლეგიონერთა ფეხსაცმლის რკინის მოჭედილობა მოქლონები, რომელთა რაოდენობა 4 ცალიდან 160 ცალამდე აღწევს. ხუთ სამარხში მიცვალებულთან ერთად დაფიქსირდა ცხენის ჩონჩხი. ისინი, როგორც ჩანს ლეგიონის დამხმარე საკავალერიო შენაერთების ცხენოსანთა ნაწილებში მსახურობდნენ. რაც შეეხება ზედა კიდურების მდგომარეობას სულ 21 პოზაა დაფიქსირებული. ორ სამარხში ქვედა კიდურები მოხრილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ერთში კი მარჯვენა კიდური მარჯვნივ გადახრილი, მუხლში მოხრილი დაფიქსირდა (იხ. ტაბ. II_2).

ინვენტარიან ორმოსამარხებში ქვედა კიდურების განსხვავებული ორი პოზაა დაფიქსირებული. ერთ სამარხში მიცვალებულის ორივე კიდური მოხრილ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ხოლო მეორეში განზე განზიდული მარჯვენა ქვედა კიდური მუხლში მოხრილი დაფიქსირდა.

დასაკრძალავი ინვენტარის კოლექციების შესწავლისას კ. პომიანი [2] ცდილობდა გარკვია აქ წარმოდგენილი საგნების ურთერთკავშირი. სამარხეული ნივთები მან დაუკავშირა: შეწირულობებს, რელიქვიებს, ღირსშესანიშნავ გამოსახულებებს, რომლებიც მისი აზრით, არიან შუამავალნი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ სამყაროს, ხილულსა და უხილავს, პროვანულსა და საკრალურს შორის საიდანაც ისინი (ნივთები) მოვიდნენ [2, გვ. 32]. საგნები, რომლებიც შორეულის, ან არსებულის რეპრეზენტაციაა, შუამავალნი არიან მის მაყურებლისა და გაურკვეველ ბიდან მოსულთა შორის. ამ საგნებს „სემიოფორებს“ უწოდებს - მნიშვნელობის მატარებელს, რათა განასხვაოს ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებულ ნივთებისაგან [21, გვ. 111]. პიტიუნტის ნეკროპოლის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით: მონეტა - 24 სამარხი, სამაჯური - 10 სამარხი, ბეჭედი - 7 სამარხი, საყურე - 4 სამარხი, საკიდი მედალიონი - 6 სამარხი, საქამრე ბალთა-აბზინდა - 16 სამარხი, ბრინჯაოს საკიდი რგოლი - 5 სამარხი, ღილები - 1 სამარხი, მშვილდსაკინძი - 5 სამარხი, ზარაკი - 1 სამარხი, ჯვარი - 1 სამარხი (სამარხის თავზე - რკინაფარის უმბონი - 2 სამარხი, ქინძისთავი - 1 სამარხი, ძვლის თმისასამაგრი - 10 სამარხი, დანა - 7 სამარხი, შუბის პირი - 1 სამარხი, ტახის ეშვი (ავგაროზი) - 1 სამარხი, ნიჟარა - 1 სამარხი, გახვრეტილი - 1 სამარხი, ნემსი - 1 სამარხი, რომაული სანდლების ფეხსაცმლის მოქლონები - 18 სამარხი, ლურსმანი - 42 სამარხი, დოქი - 10 სამარხი, კოჭობი -

სამარხი, ჯამი - 3 სამარხი, ქოთანი - 4 სამარხი, თეფში - 1 სამარხი, მინის ჭურჭელი - 39 სამარხი, მძივები - 36 სამარხი, მინის ნეკა - 1 სამარხი. წარმოდგენილი ნივთების ინვენტარიმენტი ტიპიურია, ანალოგიურია რომაული ხანის ყველა სამაროვნისათვის.

როგორც აღვნიშნეთ უინვენტარო და ინვენტარიან სამარხებში მიცვალებულების ზედა კიდურების ოცდაერთამდე სხვადასხვა პოზა დაფიქსირებული, რაც დამახასიათებელია რომაული ხანის სამაროვნებისათვის. ამ წესით კრძალავდნენ, როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. ზედა კიდურების განლაგებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაშში მრავალი მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი ამ ფაქტს გარკვეულ ეთნოს უკავშირებს, მაგალითად, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში სარმატულ ტომებს [17, გვ. 37, 39], სხვები უარყოფენ ამ მოსაზრებას და თვლიან, რომ ანალოგიური სურათი დამახასიათებელია რომაული სამყაროს ყველა რეგიონისათვის. მეცნიერთა უმრავლესობა კი ამ ფაქტს გარკვეულ რწმენა-წარმოდგენას, მიცვალებულის ეთნიკურ ან სოციალურ წარმომავლობას უკავშირებს. ჩვენი აზრით, ზედა კიდურების დეკომარეობა ადამიანის სიკვდილის მიზეზს უნდა უკავშირდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ამ პოზების მრავალფეროვნება.

ინვენტარიან და უინვენტარო სამარხთა უმრავლესობა ორიენტირებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. იშვიათად გვხვდება ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებაც. მიცვალებულთა დამხრობის ასეთი სიჭრელე დამახასიათებელია სხვაა რომაულ სინქრონულ სამაროვნებისათვის და ამ მხრივ პიტიუნტი გამონაკლისს არ წარმოადგენს. დ. რობინსონი აღნიშნავდა, რომ რომაულ სამყაროში ეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე მიცვალებულებს ადგილობრივ აქ არსებული და მიღებული წესის მიხედვით კრძალავდნენ. მაგალითად, ათენში, სმირნაში, კორინთოში და სხვ. [22]. ბერძნულ ცენტრებში მიცვალებულის დაკრძალვის ერთიანი დამხრობა არ იყო კანონიზირებული. იგივე სურათი მეორდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნეკროპოლებზე [17, გვ. 42-43]. ცალკეულ შემთხვევაში ეურადღება ექცეოდა ლოკალურ გეოგრაფიულ ორიენტირებს (მაგ. მდინარის მდებარეობას, მიცვალებულის სქესს ან გარდაცვალების მიზეზს).

ბიჭვინტის ნაქალაქარზე დაფიქსირებული დაკრძალვის წესები, სამარხეული ინვენტარი, როგორც იყო აღნიშნული პროვინციული ქალაქის მოსახლეობის საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლებს, სამხედრო სამსახურში მყოფ რომაელ ლეგიონერებს, გადადგარ ვეტერანებს, მათი ოჯახის წევრებს და ნათესავებს უკავშირდება. ქალაქის მმართველი ფენების წარმომადგენლების, მდიდარი ვაჭრებისა და სხვათა სამარხები აქ მიკვლეული არ არის.

დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა ახ.წ. I-IV სს. ჯერ არ იყენებდა რომაულ სამყაროსათვის ჩვეულებრივ, ხის ფიცრულ კუბოებს, რკინის ლურსმნებითა და ფირფიტების მოჭედილ ყუთებს. ასევე უცნობია მათთვის ე.წ. სანდლები, რომაული ჩექმები, რომაელთა ლანჩები რკინის მომრგვალებულთავიანი, მოკლე ლურსმნებით იყო მოჭედილი.

ნიშანდობლივია, რომ ყველა რომაულ ბანაკში ლეგიონერთა გასამრჯელო ამ ჩექმების შეძენისა, შეკეთებისა და ლურსმნებით ლანჩის მოჭედვის ხარჯებსაც ითვალისწინებდა. ამასთანავე ყველგან, სადაც რომაელ ლეგიონერებს დააუდგამთ ფეხი დაფიქსირებულია ასეთი სანდლების ნაშთები, დაწყებული ინგლისიდან, ავსტრია-გერმანიით და ჩეხეთ-სლოვაკეთით დამთავრებული. საქართველოს არქეოლოგიურ პრაქტიკაში კი მხოლოდ ახ.წ. II-IV სს. ბიჭვინტის სამაროვანზეა დადასტურებული აღნიშნული ფაქტი. პიტიუნტის სამაროვნის გათხრებისას, მხოლოდ ერთ შემთხვევაში (სამარხი № 425) დადასტურდა მათთან ერთად რკინის დეზების (lolearia romana) აღმოჩენის ფაქტი. რაც ქვეითებთან ერთად დამხმარე მხედართა ნაწილების არსებობაზე მიუთითებს. ისევე როგორც სხვა რომაულ სამაროვნებზეც ბიჭვინტის ნეკროპოლზე საბრძოლო იარაღი იშვიათად გვხვდება. როგორც ცნობილია, მას ლეგიონერები უფრთხილდებოდნენ. ჭირისუფლები ან ყაზარმებში აბარებდნენ ან მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ბიჭვინტის სამაროვანზე მხოლოდ ერთი შუბის პირი და ერთი ყუნწიანი, სამფრთიანი ე.წ. სარმატული, ახ.წ. III ს. დამახასიათებელი ისრისპირი დაფიქსირდა.

პიტიუნტის სამაროვანს თავისი გარკვეული თავისებურებებიც ახასიათებს. კერძოდ, აქ საერთოდ არ გვხვდება რომაული ნეკროპოლებისათვის დამახასიათებელი ჭრაქები [2, გვ. 211-222] და ე.წ. წითელლაკიანი კერამიკული ჭურჭელი. თუმცა მათი ფრაგმენტები დიდი რაოდენობით არის დაფიქსირებული ციხე-ქალაქის კულტურულ ფენებში [1, გვ. 177-210]. თვალში საცემია მინის ჭურჭლის სიუხვე, რომლის ერთი ნაწილი, ჩვენი აზრით, ქალაქის სახელოსნოებშიც შეიძლება იყოს დამზადებული. პიტიუნტის რომაული პროვინცია კაპადოკიის ეს შორეული გარნიზონი ცხოვრების თავისებური წესით ცხოვრობდა. საზოგადოებისა და მის დაკრძალვის წესებს შორის ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთობები არსებულა. დასაკრძალავი ინვენტარის შემცირება და მერე მთლიანი გაქრობა, რიტუალის თანდათანობითი ცვლა

IV ს-ში ახალი იდეოლოგიის, ქრისტიანობის გავრცელებასთან ჩანს დაკავშირებული.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი მთელი რიგი დეტალები მიგვანიშნებენ ბიჭვინტის კასტელიუმის ისტორიაში გარკვეულ გარდამავალ პერიოდის არსებობაზე. ქრისტიანობის ზეგავლენით სამარხეული ინვენტარი III ს-ის ბოლოდან ჯერ მცირდება და ახ.წ. IV ს-ის ბოლოს მთლიანად ქრება. ამ დროიდან მოყოლებული ბიჭვინტაში ქრისტიანული სამარხები ფიქსირდება ეკლესიათა გარშემო. ახ.წ. IV საუკუნიდან კი სხვა ტიპის სამარხები ბიჭვინტაში უკვე აღარ დასტურდება. ბიჭვინტის წარმართული სამაროვანი კარგად თავსდება რომაული აღმოსავლეთ პროვინციების რწმენა-წარმოდგენების კონტექსტში.

ლიტერატურა

1. **ასათიანი ლ.** ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა. დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977.

2. **კიღურაძე ნ.** ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. დიდი პიტიუნტი, II, თბ., 1977.

3. **კიღურაძე ნ.** ლეგიონერის სამარხი (№345) პიტიუნტ-ბიჭვინტიდან, კრებ. იბერია-კოლხეთი, № 1, თბ., 2003.

4. **კიღურაძე ნ.** ლეგიონერთა სამარხები პიტიუნტის სამაროვანზე, კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული XI, 2004.

5. **ლორთქიფანიძე გ.** ბიჭვინთის სამაროვანი, თბ., 1991.

6. **თოდუა თ.** ბერძნულ წარწერიანი სტელა სოხუმიდან, „ძიებანი" № 13-14, თბ., 2004.

7. **ქართული** ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1964.

8. **უზნაძე დ.** ფილოსოფიური საუბრები. ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984.

9. **Боэк Ян.** Римская армия эпохи ранней империи, М., 2001.

10. **Гинзбург К.** Репрезентация смерти: слово, идея, вещь, Литературное обозрение № 33, М., 1998.

11. **Дворецкий И.Х.** Латино-русский словарь, М., 1976.

12. **Клреняко В.А.** Погребальная обрядность, как система, Археология и вопросы атеизма, Грозный, 1977.

13. **Клейн А.С.** Археологические источники, Л., 1978.

14. **Левада Ю.А.** Социальная природа религии, М., 1965.

15. **Массон В.М.** Экономика и социальный строй древних обществ, Л., 1976.

16. **Ждановскаяя А.М.** О погребальном обряде ранней группы захоронений. Ленинохабальского могильника. Археология и вопросы атеизма, Грозный, 1977.

17. **Зубарь В.М.** Некрополь Херсонеса Таврического I-IV вв. н.э., Киев, 1982.

18. **Clarke J.** Pre Roman aand Roman Winchester, part II. The Roman cemetery at zankhill Oxford, 1979.

19. **Ginzburg C.** Représentation le mot indée, la chose Annales ESC, N 6, 1991.

20. **Hertz R.** Mélanges de sociologie relig se et folklore, Paris, 1928.

21. **Pomian K.** Collectionneurs, amateurs et curieux, Paris, 1978.

22. **Robinson D.** Excavations at Olynthus, Baltimore, 1942.

23. **Renfrew C.** The archaeology of Cuet the sanctuary at Phylakopi, London, 1985.

24. **Toynbee J.** Death and Burial in the Roman world, New York, 1971.

25. **Wilkins J.** Approaches to the Study of ritual, 2, London, 1992.

26. **Walker S.** Memorials to the Roman dead, London, 1985.

I



II

ორომოსამარხები ინგენტარიანი - მიცვალებულთა პოზა



უინგენტარო



32 სამარხში მიცვალებულის პოზა გერ დადგინდა

ვახტანგ ნიკოლაიშვილი

დიდი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია (არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით)

უკანასკნელ წლებში მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიებამ გამოავლინა ანტიკური ხანის ძეგლები, რომელთა შესწავლა, ძველ აღმოჩენებთან ერთად, საშუალებას იძლევა მეტნაკლები სიზუსტით აღვადგინოთ დედაქალაქობისდროინდელი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია.

ქართლის ძველ დედაქალაქში და მის შემოგარენში ფართოდ გაშლილი საველე-არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები მნიშვნელოვან მასალებს უკანასკნელ ანტიკური ხანის მცხეთის განსახლების დასადგენად დროსა და სივრცეში. შესაძლებლობა გვეძლევა განვსაზღვროთ დასახლების ტიპი, სამაროვნების, საკულტო და საფორტიფიკაციო ძეგლების განლაგება. ასევე ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ ძველი მცხეთის დემოგრაფიული სიტუაცია.

ახალ აღმოჩენათა შუქზე შეიძლება გარკვეულწილად შეჯამდეს ღართისკარზე და კაციოთავანაზე (არმაზისხევში), წიწამურთან და საკუთრივ მცხეთაში, აგრეთვე მის შემოგარენში ჩატარებული გათხრების და კვლევა-ძიებების შედეგები, შეჯერდეს იგი ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებთან, რაც თავისთავად, ძალიან საინტერესო სურათს იძლევა. სახეზეა ქართული და ზოგი უცხოური წყაროს მონაცემთა სრული იდენტიფიკაცია არქეოლოგიური გათხრების შედეგებთან.

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილი ძეგლები მუხათგვერდთან (მუხათგვერდი II), კაციოთავანაზე (არმაზისხევში), ციხედიდისხევში - „არმაზით კერძი ქალაქის ტერიტორიაზე" [1], ღართისკარზე და წიწამურზე-კამარახევთან, ეკუთვნარება წინაანტიკური და ანტიკური ხანის ძეგლების გენეტიკური კავშირურთიერთობისა და ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენაში. უფრო ნათლად გამოიკვეთა ქალაქის საზღვრები და დაცვის სისტემა (დეკუმანუსი, ნაქულბაქევი, არმაზციხე-ბაგინეთი, კაციოთავანა, ციხედიდისხევი, სარკინე, ღართისკარი, წიწამური, ბებრისციხე, ავჭალისკარი), განსახლება მტკვრისა და არაგვის ხერთვისში და მის შემოგარენში.

ასე მაგალითად: მცხეთის რკინის ფართოფენსების ხანის ძეგლები, გენეტიკურად უკავშირდებიან შემდეგი ეპოქის ადრეანტიკური პერიოდისა და ადრეელინისტური ხანის ძეგლებს. ეს მომენტი ასახულია ძველი მცხეთის მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლებში.

1. მშენებლობაში – რიყის ქვის საფუძველზე თიხა-ალიზით ნაგები კედლები ნარეკვავზე და გვიანელინისტური ხანის სახლების მშენებლობა სამთავროზე, სადაც ქვატეხილის საფუძველზე ალიზის კედლებია ამოყვანილი; ნარეკვავზე – ადრერკინის ხანის ნამოსახლარზე რიყის ქვითა და ძელებით კედლების მშენებლობა და ადრეელინისტური ხანის ღართისკარის სასიმაგრო სისტემის მშენებლობა – რიყის ქვითა და ძელებით ალიზის ზღუდის საფუძველის – საძირკვლის მომზადება.

2. კავშირი დაკრძალვის წესში – მიცვალებულის ქვის სასთუმალზე დასვენება ადრერკინის ხანის ნარეკვავის სამაროვანსა და ადრეანტიკურ-ადრეელინისტური პერიოდის კამარახევის სამაროვანზე. მსგავსება შეინიშნება აგრეთვე ინვენტარში: ბრინჯაოს მთლიანადსხმული, ამოღარული გეომეტრიული ორნამენტით შემკული საკინძები, ყურძნის მტევნის იმიტაციით შემკული ოქროს საყურეები და გველისთავებიანი სამაჯურები (ბრინჯაოსი) – ზემოაღნიშნულ სამარხეულ კომპლექსებში.

3. გრძელი ქურების მშენებლობის ტრადიცია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ხოვლეგორას ნამოსახლარზე კარსნისხევის გვიანანტიკური პერიოდის საწარმოო უბანზე განაგრძობს თავის არსებობას. მსგავსი სურათი დადასტურებულია ადრეელინისტური ხანის ციხიაგორის ნამოსახლარზე.

4. პურის საცხობი ორგანყოფილებიანი თიხა-ალიზით ნაგები ღუმელები, რომლებიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორანამოსახლარებზე დადასტურებული დასახლების ინტერიერის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს – თავს იჩენს გვიანდელ ძეგლებზეც – ციხიაგორას ანტიკური ხანის ნამოსახლარზე, აგრეთვე კარსნისხევის III - IV სს. ნამოსახლარზე.

5. შავად გამომწვარი, შავპრიალა კერამიკის დამზადების ტრადიცია გრძელდება გვიანელინისტურ ხანაში (სამთავრო, ციხიაგორა, ურბნისი, უფლისციხე და სხვა).

უკანასკნელი ხანს მცხეთაში და მის შემოგარენში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ძეგლები, როგორიცაა სამთავროს ძვ.წ. I ს. ნამოსახლარი (ტაძარი); იქვე დადასტურებუ-

ლი ელინისტური ხანის სამშენებლო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი პირონებიანი ქვათლილებით ნაგები სამარხები, რაც აშკარად მიგვითითებს ამ ადგილას საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის არსებობაზე, გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენები, საკუთრივ მცხეთაში, მონასტრის ხევის მარჯვენა სანაპიროზე, ადრეელინისტური ხანის სამაროვნები მუხათგვერდთან, ციხედიდისხევში – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სინქრონული სამაროვნები წიწამურთან, კამარახევზე და მუხრანის ველზე (ნატახტართან) და ბოლოს, საფორტიფიკაციო სისტემები და შიდა დასახლებანი კაციოთავანაზე (არმაზისხევში) და ღართისკარზე მნიშვნელოვან მასალებს წარმოადგენს ანტიკური ხანის ქართლის ქალაქთა (კერძოდ მცხეთის) ტიპოლოგიის, გარეგნული სახის, დაგეგმარებისა და ისტორიული ტოპოგრაფიის დადგენისათვის.

ამ მხრივ, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ახლადაღმოჩენილი ძეგლები ღართისკარი და კაციოთავანა, აგრეთვე, უკანასკნელ წლებში გამოვლენილი ზოგიერთი ნამოსახლარი თუ სამაროვანი.

ღართისკარი (ტაბ. I-V), თანამედროვე მცხეთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. ღრმა, ამჟამად მშრალი ხევი მდ. არაგვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. ჩრდილოეთით, პარალელურად მეორე ხევი უერთდება, მას ბრინჯიღელეს უწოდებენ. მათ შორის მდებარე ტერიტორია (30 ჰა ფართობი) უკავია სასიმაგრო სისტემას, რომელიც დედაქალაქობისდროინდელი მცხეთის ჩრდილოეთი კარიბჭე უნდა ყოფილიყო.

ღართისკარი მტკვრის და არაგვის ხერთვისის ყველაზე ვიწრო ყელს წარმოადგენს და სტრატეგიულად მარჯვე ადგილია მუხრანის ველიდან – მომხდურთაგან თავის დასაცავად. სწორედ ამ მიზნით ჩანს აგებული ქვის საფუძველზე აღმართული 3 მ-მდე სიგანის ალიზით ნაგები კოშკებიანი ზღუდეგალავანი, რომელიც ბრინჯიღელეს მარჯვენა ნაპირს გასდევს ღართისკარის ზედა თხემიდან არაგვამდე. გალავანი გამოვლენილია არაგვის მარცხენა ნაპირზეც. იგი არაგვის ნაპირიდან იწყება და საგურამოს ქედს ებჯინება.

ღართისკარის საფორთიფიკაციო სისტემა წარმოქმნილი ჩანს ძვ.წ. IV-III სს. როდესაც ქართლის სამეფო ყალიბდებოდა. ამაზე მეტყველებს იქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები და წერილობითი წყაროები. სტრაბონი მოგვითხრობს: „ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარეებიდან დაახლოებით სამი დღის ამოსასვლელია, ხოლო ამის შემდეგ არის საცალფეხო გზა მდინარე არაგოსი ვიწრო ხეობაში, დაახლოებით ოთხი დღე (სავალი), ხოლო გზის ბოლო ძნელად ასაღები კედლით არის გამაგრებული“ [9, გვ. 128-129]. სტრაბონის რუსულ თარგმანში „Неприступное укрепление“ – „მიუდგომელი სიმაგრე“ არის ნახმარი [12], რაც თითქოს უფრო კარგად ასახავს ღართისკარზე ჩატარებული გათხრების შედეგად დადასტურებულ სურათს.

ღართისკარის მიდამოებში მომხდარ ბრძოლებს პერიპეტიებს აღწერს ლეონტი მროველი, როდესაც მოგვითხრობს ამაზასპ ფარნავაზის ძის მოღვაწეობაზე. იგი „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით მე-18 მეფეა, ხოლო „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით მე-[illegible] აკად. გიორგი მელიქიშვილის აზრით, მისი ზეობა ძვ.წ. 70-იან წლებშია სავარაუდო [illegible] გვ. 54].

ლეონტი მროველი გადმოგვცემს: „მაშინ ამაზასპ მეფემან განავსნა ციხენი და კარნა მცხეთისანი და ლაშქრითა და იყო სიმრავლე ქვეითთა მცხეთელთა, რომელნი კარნა და ზღუდეს სცვიდეს; მათგან კიდე რომელი გარე მეომრად განვიდოდეს, იყო ოცდაათ ათასი ქუეითი ყოვლადვე. და მაშინ სხვა რომელი ჰყვა მხედარი ათი ათასი და გა-ვიდა ამაზასპ და განაწესნა ქუეითნი ოცი არაგუს იმერ და ამიერ სიმაგრეთა შინა კართასა, ხოლო მხედრითა ლაშქრითა გა-ვიდა ადგილსა, რომელსა ჰქვიან საფურცელი და იპყრა ზურგად **ქალაქი** და ქუეითნი ოცი რომელი დაეყენნეს კართა შინა“ [7].

აღწერილ ეპიზოდში კარგად ჩანს ღართისკარის საფორთიფიკაციო სისტემა ფუნქციონირებისას. როგორც არქეოლოგიური გათხრებისას ირკვევა, სასიმაგრო სისტემა მტრის შემოსევის დროს ინგრეოდა და დრო-ის გარკვეულ მონაკვეთში არსებობას წყვეტდა. ამაზე მეტყველებს ხანძრის შედეგად ჩაშლილი I და II კოშკი და IV კოშკის [illegible] დელში მოქცეული გვიანანტიკური ხანის [illegible] მარხი.

წერილობითი წყაროების მიხედვით, ღართისკარი დედაქალაქობისდროინდელი მცხეთის არსებობის მანძილზე მნიშვნელოვანი პუნქტია და ქალაქის კარიბჭეს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ იგივე ლეონტისეული „ნინოს მოქცევა ქართლის მოქცევაში“ აღწერილი ამბავი [illegible] რიან მეფის შესახებ, როდესაც ახლად [illegible] ქრისტიანებულ მეფეს მცხეთის ჩრდილოეთ მისადგომებთან მიეგება ნანა დედოფალი [illegible] „ყოველი ერი“: „ხოლო ნანა დედოფალი [illegible] ყოველი ერი განვიდა მისაგებად მეფისა. [illegible] მეთუ ასმა პირველ წარწყუმედა და კუალად მოსლვა მშვიდობით, და მიეგებოდეს ქ[illegible]

ბარას და ღართას“ [5]. ქინძარა და საფურცლე ღართისკართან ერთად დღესაც ცოცხალი ტოპონიმებია და ეჭვს არ უნდა იწვევდეს მათი ლოკალიზება ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთ მისადგომებთან.

ყურადღებას იქცევს სიტყვა ღართი-ღართას ეტიმოლოგია ღართისკართან მიმართებაში. ღართი მესხურ მეტყველებაში ტანის საფარის (ნაბადი), აგრეთვე ზოგადად საფარის, თავდაცვის სიმაგრის მნიშვნელობით იხმარებოდა (პავლე ფირფილაშვილის ცნობა).

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ პლინიუს უფროსი თავის „ბუნების ისტორიაში“ მცხეთას „მესხთა ადგილს“ უწოდებს მაშინ გასაგები გახდება ღართისკარის სემანტიკა და მისი მნიშვნელობა ანტიკური ხანის მცხეთის ისტორიისათვის [14; 10, გვ. 156-161]. ღართისკარი ზღუდე-გალავანი თითქმის 0,5 კმ სიგრძეზეა გამოვლენილი. ზღუდეში ყოველი 50-55 მ-ის ინტერვალით ჩადგმულია ოთხკუთხა კოშკები (გარე ზომები – 7x7 მ; შიგა – 4,5x4,5 მ). ისინი ზღუდიდან 1 მ არიან გამოწეული და კონტრფორსის შთაბეჭდილებას ქმნიან. კოშკები (სულ 6 კოშკია გამოვლენილი), სართულშორისი გადახურვის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო, როგორც ზღუდე, ისე კოშკები რიყის ქვის საფუძველზეა ნაგები და ამოყვანილია ალიზით (ზომები: 52x52x12 სმ). ძლიერ დაქანებულ ფერდზე საფეხურებად ამოთხრილია საძირკველი. ამგვარად მოსწორებულ ტერასაზე შექმნილია რიყის საფუძველი (2,30x1,40x3,00 მ), რომელშიც ზოგან გასამაგრებლად ხის ძელებიც ურევია (ხის მორებით შექმნილი საფუძული რიყის ქვებითაა შევსებული). აღნიშნულ საფუძველზე ამოყვანილია ალიზის კედელი. აგურები დაწყობილია ჯაჭვურად და შემტკიცებულია თიხის ხსნარით.

არაგვის მარჯვენა ნაპირზე – ღართისკარის შიდა ტერიტორიაზე, საფორტიფიკაციო სისტემის სინქრონული რამდენიმე საყურადღებო ძეგლი აღმოჩნდა.

ცენტრალურ ნაწილში, ტერასაზე, 100 მ^2 ფართობზე გამოვლინდა ქვა-ალიზით და ძელებით ნაგები სამლოცველო (ტაძარი), რომელიც სამი ნაწილისაგან – „ნავისაგან“ შედგება. სამლოცველოს ზურგიმხარის კედელზე რამდენიმე ალიზით ნაგები საკურთხეველია მიშენებული. იატაკი თიხატკეპნილია და ჩაქცეული. ძელების ნაშთების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ სამლოცველოს ბანურ-გვირგვინოვანი გადახურვა უნდა ჰქონოდა.

თავისი გეგმარებით ღართისკარის სამლოცველო მოგვაგონებს აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის სატაძრო ნაგებობებს (დედოფლის მინდორი, სამადლო), რომელთა ანალოგებიც აღმოსავლეთ-ირანულ სამყაროში გვხვდება [15].

სამლოცველოს იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა თიხის წითლად და ჩალისფრად გამომწვარი ჭურჭელი, განსაკუთრებით თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა. მსგავსი მასალა დადასტურებულია ქართლის ელინისტური ხანის ძეგლებზე (სამადლო, ციხია-გორა, უფლისციხე).

ღართისკარის შიდა ტერიტორიაზე, არაგვის ხიდთან 220 მ^2 ფართობზე აღმოჩნდა ხუროთმოძღვრული კომპლექსი (სასახლე?). შენობების კედლები ამოყვანილია რიყის ქვის ერთრიგა წყობაზე და გადახურულია წითლად შეღებილი ბრტყელი და ღარისებური კრამიტით.

ხუროთმოძღვრული კომპლექსის სიახლოვეს, უშუალოდ არაგვის მარჯვენა სანაპიროზე აღმოჩნდა ზემოაღწერილი ძეგლების დროინდელი წისქვილი (შემორჩენილი ფართობი 26 მ^2). ინტერიერში კედლებიდან 75 სმ-ის დაცილებით განლაგებულია საფქვავი მოწყობილობანი – რიგები, რომლებზედაც ერთდროულად შეიძლებოდა 12 მეწისქვილეს ემუშავა. წისქვილის იატაკზე აღმოჩნდა ორი დიდი ზომის ჭურჭელი – თაღარი. იგი ხორბლის თუ ფქვილის შესანახად ყოფილა განკუთვნილი. იქვე დადასტურდა დამღიანი თიხის გუნდა, რომლითაც, როგორც ჩანს, ფქვილით სავსე თიხის ჭურჭელს ბეჭდავდნენ.

შეიძლება ვივარაუდით, რომ წისქვილი ღართისკარის ზემო ტერასაზე აღმოჩენილი ტაძარ-სამლოცველოს მეურნეობისთვის საჭირო ფქვილს ამზადებდა. ამ ვარაუდს დამაჯერებლობას მატებს კავთისხევის ციხე-გორაზე აღმოჩენილი მსგავსი და სინქრონული წისქვილი, რომელიც სატაძრო მეურნეობის კომქლექსში აღმოჩნდა.

ღართისკარის ზემოაღწერილი საფორტიფიკაციო სისტემა და დასახლება ქართლის დედაქალაქის ჩრდილოეთ კარიბჭეს წარმოადგენს.

არაგვის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ წიწამურის მიდამოებში აღმოჩნდა ძირითადად ანტიკური ხანის მრავალფენიანი ძეგლი: ქვედა ფენები შეიცავს შუაბრინჯაოს პერიოდის გორასამარხსა და კატაკომბური ტიპის საკრძალავს. ზედა ფენები კი უკავია ანტიკური ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანს. ახ.წ. I საუკუნის ფენაში აღმოჩენილ მასალაში გამოირჩევა ტერაკოტული ქანდაკება (სიმაღლე 22 სმ). იგი ჰერმაფროდიტია

და ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ღვთაების - „ანთროპოსის“ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს.

წიწამურის სერის დასავლეთით, გზის პირას გაითხარა გვიანანტიკური ხანის ორფენიანი ნამოსახლარის ნაშთები და ახ.წ. I საუკუნის სამაროვანი, რომელიც ქვევრსამარხებისა და ორმოსამარხებისგან შედგება. ნამოსახლართან ახლოს გამოვლინდა საკულტო მოედანი (3x2 მ), სადაც აღმოჩნდა: ღვთაებათა ქანდაკებებით შემკული ბრინჯაოს საღვინე ჭურჭლის სახელური, ოქროს საყურეები, მინის სანელსაცხებლე და ბრინჯაოს ორნამენტირებული საწესო ჭურჭელი – ბატილუმი (სიგრძე 22 სმ). იგი ღვთისმსახურებისთვის განკუთვნილ ნივთს - რომაულ იმპორტს წარმოადგენს.

მცხეთის შემოგარენში, ნარეკვავზე (ტაბ. VI, VII_2), მდინარე ნარეკვავის სანაპიროზე განლაგებულ ბორცვებზე გამოვლენილია ადრერკინის ხანის (ძვ.წ. VIII-V სს.) ნამოსახლარები. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სახლები წარმოადგენენ ხელოვნურად მოწყობილ ტერასებზე ქვაალიზითა და ხით ნაგებ ბანურსახურავიან ნახევრადმიწურებს (ფართობი საშუალოდ 30-40 $მ^2$). დასტურდება ამ ტიპის შენობათა მყარად ჩამოყალიბებული ინტერიერის დეტალები: პურის საცხობი ღუმელი შენობის მარცხენა კუთხეში და ზურგმხარის კედელზე მიდგმული სამსხვერპლო-საკურთხეველი. შენობებში გვხვდება რქისებურშვერილიანი საკურთხევლები, ხელსაფქვავები, სხვადასხვა დანიშნულების თიხის ნაწარმი, ლითონის ნამგლები, მარცვლეულთა ნაშთები და სხვა. როგორც ირკვევა, განვითარებული ყოფილა ტრადიციული დარგები: მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. ნარეკვავზე და საერთოდ, მცხეთის შემოგარენში დიდი რაოდენობით ძეგლების აღმოჩენა, რომელთა სიმრავლე განსაკუთრებით თვალშისაცემია ძვ. წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის შუა ხანებისთვის, ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას: ამ ეპოქის დემოგრაფიულმა სიტუაციამ მნიშვნელოვნად განაპირობა იმ პროცესების დაჩქარება, რამაც ხელი შეუწყო მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ქალაქის წარმოშობას.

კაცითავანა მდებარეობს არმაზისხევის კანიონის მარჯვენა მხარეს, არმაზიწყლის შესართავთან აღმართულ ზეგან-ბორცვზე, რომელიც მთა-ქართლიდან გამომდინარე, აღმოსავლეთიდან ხელოვნურად განმხოლოებული, ქედის ნაწილს წარმოადგენს (ფართობი 15 ჰა). კაცითავანა შედარებით ადვილად მისასვლელ მხარეს ზღუდე-გალავნით ჩანს დაცული. მის აღმოსავლეთ ნაწილში (400 $მ^2$ ფართობზე) დადასტურდა 6 ურთიერთმონაცვლე ფენა, რომელიც მოიცავს პერიოდს ადრეშუასაუკენეებიდან დაწყებული ადრეელინისტური ხანის ჩათვლით.

იქ მცირე მასშტაბების გათხრები ჩატარდა, რომელმაც დაადასტურა ქვის საფუძველზე აღმართული ალიზით ნაგები კოშკის ნაწილები (ზომები: 6,20x6,40 მ) და ზრუდეგალავნის ნაშთები (23 მ სიგრძეზე). ადრეული სამშენებლო ფენის–კოშკის ქვედაფენა მოპირკეთებული ჩანს კირქვის ქვათლილებით (0,31x0,21 მ). კაცითავანაზე დადასტურდა წითლად მოხატული თიხის ჭურჭელი ე.წ. სამადლოს ტიპისა, რაც ამ ძეგლის ადრეული სამშენებლო პერიოდის თარიღს ადრეელინისტური ხანით განსაზღვრავს.

კაცითავანაზე გამოვლენილი სასიმაგრო სისტემის ნაწილი არსებობას წყვეტს ადრეფეოდალური ხანის საწყის საუკენეებში და თითქოს კარგად ესადაგება „მოქცევაი ქართლისაიში“ დაცულ ცნობას: „მაშინ მცხეთა ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, **არმაზნი** შემცირდებოდეს და კალა განდიდებოდა“. არმაზნი (მრავლობითი ფორმა) აქ შემთხვევით არ უნდა იყოს ნახსენები, ვინაიდან ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „არამედ იყო ქალაქი არმაზი ამათგან (ლაპარაკია ქართლის ანუ არმაზისხევზე - ვ.ნ.), ვიდრე ნაქულბაქევამდე და, ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო აწ არს დაბნები“ [8, გვ. 339].

ციხედიდისხევში, სოფ. ძეგვთან გაითხარა ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. სამარხები მცირე ზომის ფილაქვით ნაგებ ქვასამარხებს წარმოადგენდა. ყველა სამარხში ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული. ისინი ხელფეხმოკეცილი, თავით ძირითადად ჩრდილოეთით მიმართული დაუკრძალავთ. სამარხებში აღმოჩნდა: რკინის ცულები, ბრინჯაოს სამფრთიანი, მასრაგახსნილი ისრისწვერები, ბრინჯაოს მასიური სამაჯურები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები, რკინის რომბისებური მოყვანილობის მასრაგახსნილი და მასრამთლიანი შუბისწვერები და სხვა მასალა მსგავსი და ძირითადად სინქრონულია კამარახევის, მუხათგვერდის, გომარეთის, კავთისხევის, „დაჭრილების“ სამაროვნებზე გამოვლენილი ძეგლებისა.

ციხედიდიდსხევის სამაროვანი კიდევ ერთი ახლადაღმოჩენილი ძეგლია, რომელიც კამარახევის, ღართისკარის, მუხათგვერდის და კაცითავანას სინქრონულ ძეგლებთან ერთად გვაწვდის მნიშვნელოვან მასალებს ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის აღდგენისათვის.

საკუთრივ მცხეთაში, სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთ გალავნის გასწვრივ, (600მ² ფართობზე) 1984-85 წწ. გამოვლინდა 6 ნაგებობა-სახლი და მცირე ქუჩა მათ შორის. ნამოსახლარი მრავალფეროვანია. 1 მ სიმაღლეზე დადასტურდა 4 ურთიერთმონაცვლე ფენა, რომელთაგან უძველესი - I ფენა ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას უნდა მივაკუთვნოთ. აღნიშნულ ფენაში აღმოჩნდა სამეურნეო ორმოები და ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელი ქვევრები, აგრეთვე წერნაქით შეღებილი კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნაწილები. შემდეგი - II ფენა 4 სამშენებლო იარუსით არის წარმოდგენილი. ამ დროის 6 სახლი და მასთან დაკავშირებული კომპლექსები გადაკვეთილია ორხრეშილი მცირე ქუჩით, რომლის სიგანე 3,5-4 მ-ია და გამოვლენილია 14 მ სიგრძეზე. ამ პერიოდის სახლები 1 მ სიმაღლეზე ნაგებია რიყის ქვით და ქვატეხილით თიხაზე, შემდეგ კი კედლები ალიზით ამოუყვანიათ და კრამიტით გადაუხურავთ. თიხატეპნილ იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ჩაქცეული კრამიტისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები. როგორც ჩანს, საცხოვრებელი შენობები ცეცხლმა გაანადგურა. აღნიშნული სახლები მრავალჯერ არის გადაკეთებული და იქ გამოვლენილი მასალების მიხედვით (სამშენებლო, სამეურნეო, სუფრის და სამზარეულო კერამიკა), აგრეთვე მონოლითურად მოხატული თიხის ჭურჭელი ადრეანტიკურ-ადრეული შუა საუკუნეების საწყის საფეხურს (III, IV-V სს.) ეკუთვნის.

ამრიგად, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის გალავანთან აღმოჩნდა გვიანანტიკური – ადრეშუასაუკუნეების მცხეთის ქალაქგეგმარების ამსახველი ნამოსახლარების ერთეული ნიმუში.

სამთავროზე გამოვლენილია დიდი ზომის (ფართობი 100 მ²) ხუროთმოძღვრული კომპლექსი, რომელიც ორი სენაკისაგან შედგება. შენობის ზომები, აგრეთვე საკურთხევლის ნაშთები, წმინდა ნაცარი და შეწირული ირმის რქები საფუძველს იძლევა გამოითქვას ვარაუდი, რომ იგი საკულტო ნაგებობას წარმოადგენდა. ცენტრალური ნაგებობის იატაკზე ჩაქცეული კრამიტყრილი მის ორფერდასახურავიანობაზე მიუთითებს. ხუროთმოძღვრულ კომპლექსში აღმოჩენილი ფასადშეღებილი და მოხატული კერამიკა ე.წ. I საუკუნით თარიღდება, რომელთა შორის გამოიყოფა ადრეული და უფრო გვიანი ნაწილა.

სამთავროს სამხრეთ მონაკვეთზე გავლილ თხრილში დადასტურებული მასალები გვიანანტიკური ხანისაა.

XX საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებულმა გათხრებმა არმაზციხეზე ერთხელ კიდევ დაადასტურა ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მონაცემები იმის შესახებ, რომ არმაზციხე-ბაგინეთი წარმოადგენს ქართლის (იბერიის) სამეფოს მეფეთა საჯდომ რეზიდენციას – შიდაციხეს ან აკროპოლისს (დიონ კასიოსი).

არმაზციხეზე აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით კარგად ჩანს ქართლის (იბერიის) სამეფო კარის იერარქიული სტრუქტურა. გათხრების შედეგად დგინდება ის გაცხოველებული პოლიტიკური, საგაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები, რომელიც ჰქონდა ქართლის (იბერიის) სამეფოს ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ხელს უწყობს საქართველოს ისტორიის თეთრი ფურცლების შევსებას და აუთენტიკური ისტორიის აღდგენას. ახლად აღმოჩენილ წარწერებში ვიგებთ იბერიის დიდი მეფის ამაზასპის, დრაკონტის დედოფლის, მსახურთუფროსის ანიონის და მეფის ეზოისმოძღვრის და მრჩევლის ანაგრანესის სახელებს.

ქართლის დიდი მეფე ამაზასპი უნდა იყოს ქართული წყაროების ამაზასპ II, რომლის სახელი აისახა ირანის შაჰინშაჰ შაპურ I (242-272 წწ.) პერსეპოლისთან აღმოჩენილ წარწერაში – ე.წ. მაზდას ქააბზე. აღნიშნული წარწერა აზუსტებს ქართლის მეფის ამაზასპ II-ის ზეობის ხანას III საუკუნის შუა ხანებით [5].

ამრიგად, უკანასკნელ ოცდახუთწლეულში ჩატარებული გათხრებისა და კვლევა-ძიების შეჯერების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. მოხდა სტრაბონის ცნობის იდენტიფიკაცია ღართისკარ-არაგვის გზის ბოლოს არსებულ მიუდგომელ სიმაგრესთან [9]. ღართისკარის სასიმაგრო სისტემის აღმოჩენამდე წიწამური-ბებრისციხის ხაზზე დადასტურებული კედლების ნაშთები იგულისხმებოდა არაგვისკარად და სტრაბონის ცნობის ადრესატად [1, გვ. 197-198].

2. ქალაქგეგმარების ამსახველი ნამოსახლარების ნიმუშები გამოვლინდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე III-IV, VI სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე (სვეტიცხოველი VI და სვეტიცხოველი VIII) დადასტურდა ქუჩები და მის ორივე მხარეს განლაგებული კვარტლები. გამოკვეთა ამ ეპოქის ქალაქგეგმარების ნაწილები [6, გვ. 34-43].

3. არმაზციხეზე ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიული ძეგლების მიხედვით კიდევ ერთხელ დადასტურდა იქ ქართლის სამეფოს რეზიდენციის არსებობა (ტაბ. IX₁). აღ-

ნიშნული წარწერებიდან ვიგებთ ქართულ წერილობით წყაროებში ასახულ მეფეთა სახელებს (ამაზასპ II), აგრეთვე სხვადასხვა სახელისუფლო იერარქიის წარმომადგენელთა უცნობ სახელებს [5].

4. გარკვეულწილად გაირკვა ქალაქისა და მისი შემოგარენის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა – არმაზციხისა და კარსნისხევის ძეგლების კვლევის საფუძველზე. აღმოჩნდა არმაზციხის „კერამეიკოსი". ამრიგად, სამეფო რეზიდენციასთან გამოვლინდა მეთუნე-ხელოსანთა დასახლება.

5. დადასტურდა წინაანტიკური და ანტიკური ხანის ძეგლების ქრონოლოგიური კავშირურთიერთობის მაგალითები: სამთავროზე, კამარახევსა და ნარეკვავზე აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით, რომელიც აისახა დაკრძალვის წესში – სარეცელზე დაკრძალვა, ინვენტარში – სამკაულის მსგავსება.

6. აღმოჩნდა ახალი ტიპის სამარხები ისტორიული „დიდი მცხეთის" ტერიტორიაზე (ანტიკური ხანის თიხის სარკოფაგი ნიჩბისხევში, ჯარგვალის ტიპის სამარხი წიწამურში და ქვათლილებით ნაგები სამარხი სამთავროზე).

7. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით მცხეთის დედაქალაქობის ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ.წ. IV-III სს.) კარგად გამოიკვეთა ინტენსიური ცხოვრების კვალი (ნატახტარი, კამარახევი, მუხათგვერდი, ციხედიდისხევი, საფურცლე და ღართისკარი).

8. ბოლო წლებში გამოვლენილი ანტიკური ხანის სამაროვნებზე დადასტურდა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სამარხები: მეთუნის სამარხი (ნატახტარი, კამარახევი), მეომრის სამარხი (კამარახევი, ნატახტარი), კულტმსახურის სამარხი (ნატახტარი), სამეფო კარის მწერალ-მდივანბეგის სამარხი (სვეტიცხოველის ეზო).

9. ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე – სვეტიცხოველის ეზოში გამოვლენილ III საუკუნის სამარხ-აკლდამაში დადასტურდა ვერცხლის საწერი ხელსაწყო და ოქროს სამელნე. ხელსაწყოზე ცხრა მუზის გამოსახულებაა სათანადო წარწერებით. მცხეთაში ადრე გამოვლენილ სტილოსებთან და სამელნეებთან ერთად ეს აღმოჩენა ქართლის (იბერიის) სამეფოში მწიგნობრობის დაწინაურებასთან ერთად ქალაქური კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს [2, გვ. 81-123].

10. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეიძლება ვივარაუდით მეფის ოჯახის წარმომადგენელთა განსასვენებელი სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე. ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში (სამარხი-აკლდამა 905) დადასტურებულ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ოქრო-ვერცხლის ნივთებთან ერთად აღმოჩენილი წარწერა: „თირიდატი უფლისწული (ეს ლანგარი) მისი საკუთარია".

11. სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – გორა ნამოსახლარის ძირზე აღმოჩნდა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნის წარმართული ტაძრის (ნამოსახლარის) ნაშთები, რაც მტკვრისა და არაგვის ხერთვისში ამ დროისთვის არსებული დასახლების მაჩვენებელია და მიუთითებს ამ დიდი რაოდენობით გამოვლენილი სამარხების სინქრონული დასახლების არსებობაზე (ტაბ. IX_2).

12. ახალი არქეოლოგიური და ძველი მონაცემების საფეძველზე გამოიკვეთა დიდი მცხეთის გამაგრებული სისტემით შემოსაზღვრული ტერიროტია: ღართისკარი, სავანთის ქედი, გრძელი მინდორი, ციხედიდისხევი, კაცითავანა, არმაზციხე, დევის ნამუხლარი, ავჭალისკარი, წიწამური. იგი ჩაეწერა „დიდი მცხეთის" ცნობილ გეორგაფიულ საზღვრებში: აღმოსავლეთ – რკინიგზის სადგური ზეჰესი, დასავლეთით – ძეგვი, ხეკორძულის ხევი და ნასტაკისი, ჩრდილოეთით – მუხრანის სანახები, სამხრეთით – საწკეპელა-დიდგორის ქედი [11].

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ა.** ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963, გვ. 197-198.

2. **აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე ბ.** სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, VI სამეცნიერო სესია, ანგარიშები, მცხეთა-თბილისი, 2003, გვ. 81-123.

3. **შელიქიშვილი გ.** ქართლის (იბერიის) მეფეთა სიებში არსებული ხარვეზების შესახებ, „მაცნე", № 3, 1978, გვ. 54.

4. **მოქცევაი ქართლისაი.** კრებ.: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიგინაშვილმა, თბ., 1979, გვ. 320-355.

5. **ნიკოლაიშვილი ვ.** ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არმაზციზე-ბაგინეთზე, კრებ. „ძეგლის მეგობარი" № 4(95), თბ., 1996.

6. **ნიკოლაიშვილი ვ.** ქალაქი მცხეთა ახ.წ. III-VI სს. (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), კრებ.: „კავკასიის მაცნე" (სპეციალური გამოცემა 3), თბ., 2004, გვ. 39-43.

7. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 43-55.

8. ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 339.

9. ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 128-129.

10. **Муравьев С.Н.** Заметки по исторической географии Закавказья. Плинии о населении Кавказа, Вестник древней истории,1, 1988, ст.156-161.

11. **Николаишвили В.** историчекая топография стольного города Картли (Иберии) "Мцхета Великой" в свете новых открытий, Международная научная конференция. Археология, этнология, фольклористика Кавказа – Сборник кратких содержании докладов, Ереван, 2003.

12. **Страбон.** География в 17 книгах, изд. "Наука", Л., 1964.

13. **Apakidze A., Kipiani G., Nikolaishvili V.** A rich burial from Mtskheta (Caucasian Iberia), Ancient West and East, volume 3, N 1, Brill, Leiden-Boston, 2004.

14. **Plinius Secundus.** Naturalis Historiae, Libri 137, v. 106, §. 29-30.

15. **Schipman K.** Die Iranische Feurheiligtumer, Berlin, 1971.

I



II

ღართისკარი. გალავანი კოშკებითურთ.
გრაფიკული რეკონსტრუქცია კ. მელითაურისა





ღართისკარი. კოშკი IV. კ. მელითაურის რეკონსტრუქცია



1

ბეგმა და ჭრილები



2

IV

დართისკარი. ხუროთმოძღვრული კომპლექსი. გეგმა



1

წისქვილი. გეგმა



2

დართისკარი. სამლოცველო. გეგმა და ჭრილი



1

კოშკი IV. გეგმა და ჭრილი



2

VI

ნარეკვავი. სახლი №11
რეკონსტრუქცია კ. მელითაურისა



1

სახლი №3





2

გრძელი მინდორი. გეგმა



ნარეკვავი. სახლი №3. რეკონსტრუქცია



VIII

ქაცითავანა, სარკინე და წიწამური. გეგმები



არმაზციხე. სახიმაგრო სისტემა. რეკონსტრუქცია

ჯ. მელითაურისა



1



2

ზურაბ ბრაგვაძე

ყვირილის ხეობა გვიანანტიკურ ხანაში

ყვირილის ხეობა, ანუ ისტორიული არგვეთის საერისთაო, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი რეგიონია. არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ აქ მოსახლე საზოგადოებამ განსაკუთრებულ სიძლიერეს მიაღწია ბრინჯაოსა და ანტიკურ ხანაში, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ყველა პირობა შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი ნაგებ-წყობილების ჩამოყალიბებისათვის. ძვ.წ. VI-III საუკუნეებში ყვირილის ხეობა წარმოადგენდა კოლხეთის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია სკეპტუხიის სახელწოდებით. კოლხეთის სამეფოს სინამდვილეში სკეპტუხიების არსებობის შესახებ გადმოგვცემს სტრაბონი (Strabo. XI.3.2) და სარხისა და ვანის მონაპოვარიც ადასტურებს ამ ცნობის რეალურობას [5, გვ. 65-73]. ანტიკური ხანის მიწურულს, გვიანანტიკურ ხანაში, ყვირილის ხეობა კვლავ იჩენს მძლავრ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელიც კოლხეთის მფლობელობიდან გადადის ქართლის სამეფოს შემადგენლობაში. ეს ვითარება განპირობებული იყო ბევრი გარემოებით. ძვ.წ. III საუკუნეში შექმნილ ქართლის სამეფოს განვითარების მეტი პირობები შეექმნა, ვიდრე კოლხეთს, რომელიც თანდათან მოექცა პონტოს პოლიტიკური ინტერესების სფეროში და გადაიქცა ამ ბრძოლების ერთ-ერთ პოლიგონად, რომელიც მიმდინარეობდა მითრიდატე VI და რომის სახელმწიფოს შორის [1, გვ. 20]. ამ ვითარებით ისარგებლა რომთან შედარებით უკეთეს დამოკიდებულებაში მყოფმა ქართლის სამეფომ და ძვ.წ. I საუკუნის ბოლო ხანებიდან დიდი დროით გაიმყარა პოზიციები კოლხეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, კერძოდ, ყვირილის ხეობაში [10, გვ. 48-61] და ეს უფრო გააძლიერა მის მიერვე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეული, არგვეთის საერისთაო, რომლის შექმნასაც ქართული ისტორიო ტრადიცია მეფე ფარნავაზს მიაწერს [16, გვ. 23] და რომელიც მუდამ საცილო ობიექტი იყო ორ ქართულ სახელმწიფოს შორის [3, ლიტ. იქვე].

ამრიგად, რომაული ეპოქის დასაწყისშივე ყვირილის ხეობის პოლიტიკური ყოველდღიურობა მყარად დაუკავშირდა ქართლის სამეფოს და ამ პერიოდიდან მოყოლებული ამ კულტურულ–პოლიტიკური ცხოვრების ახალი ერა დაიწყო. ეს ვითარება საკმაოდ ცალსახად დასტურდება რეგიონის გვიან ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლითაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყვირილის ხეობის გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია და იგი მთლიანად უკავშირდება ამ მხარეში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობას (ექსპედიციის დამაარსებელი, პირველი ხელმძღვანელი და ძეგლების პირველაღმომჩენი ჯ. ნადირაძე).

გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ყვირილის ხეობაში შესწავლილია ჭიათურა–საჩხერის რაიონების შემდეგ პუნქტებში: იცქისში (საჩხერის რაიონი) - II-III საუკუნეების სამაროვანი, მოდინახეს ციხეზე (საჩხერე) - IV საუკუნის სამაროვანი, რგანში (ჭიათურის რაიონი) - III-IV საუკუნეების სამაროვანი და წინსოფელ-ჯიეთში (ჭიათურის რაიონი) - II-IV საუკუნეების სამაროვანი.

ჩამოთვლილი ძეგლებიდან არქეოლოგიურად ყველაზე ადრე შეისწავლებოდა მოდინახეს სამაროვანი, რომელიც ითხრებოდა 1966-1976 (ჯ. ნადირაძე) და 1995-1996 (გ. მახარაძე) წლებში. სულ აღმოჩენილია 80 სამარხი. მათი ქრონოლოგია ძირითადად IV საუკუნით განისაზღვრება [12, გვ. 43-76]. მოდინახეზე გათხრილია ქვებით შემოზღუდული, ინჰუმაციური ორმოსამარხები (ტაბ. II$_1$). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს №№ 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 13, 17, 18, 29, 36 და 66-ე კომპლექსების მონაცემები, რადგან სწორედ ისინი გამოირჩევა ინვენტარის სიუხვითა და არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებით, რომელთაგან აღსანიშნავია რკინის საბრძოლო იარაღი, კერამიკული ნაწარმის ფართო ასორტიმენტი, ოქროს და ვერცხლის სამკაული, ტორევტიკის ნიმუშები და ოქროს მონეტები [12, გვ. 43-76]. მაგრამ, მაინც ცალკე გამოსაყოფია 36-ე (ახალი ნუმერაციით 22-ე სამარხი; იხ. ზ. ბრაგვაძე, ქ. ჩიგოგიძე, მოდინახეს სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი II, თბ., 2002) და 66-ე სამარხი, რადგან, როგორც ამის დამტკიცებას ქვემოთ შევეცდებით, სწორედ ამ სამარხებში დაკრძალული მიცვალებულები უნდა მიეკუთვნებოდნენ ყვირილის ხეობის III-IV საუკუნეების საზოგადოების ელიტარულ ზედაფენას, ანუ იმ პიროვნებებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ქართლის სამეფოს უშუალო დაქვემდებარებაში და სამეფოს ცენტრალურ

ხელისუფლებას ახორციელებდნენ ქვეყნის პერიფერიაში.

ცნობილია, რომ გვიანანტიკური ხანა მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდია საქართველოს ისტორიაში. ამ დროს საფუძველი ჩაეყარა იმ ეპოქალურ მოვლენებს, რომლებმაც ბევრად განსაზღვრა ქვეყნის შემდგომი განვითარების ბედი. იმ უმთავრესი მოვლენებიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გვიანანტიკური ხანის საქართველოში, მაინც ცალკე აღნიშვნის ღირსია სამი მომენტი: ქრისტიანობის დამკვიდრება სახელმწიფო სარწმუნოებად, საზოგადოებრივი ფენების ჩამოყალიბების შემდგომი გაღრმავება და ხალხთა დიდი მიგრაციები. ერთად ამ სამივე მოვლენამ გამოიწვია კულტურის გარკვეული ტრანსფორმაცია და შემდგომი უნიფიცირება, რამაც, საბოლოო ჯამში, სათავე დაუდო ერთიანი, ზოგადქართული კულტურის შექმნის პროცესს. ასე რომ, გვიანანტიკური ხანა საქართველოს ისტორიაში გვევლინება ერთგვარ გარდამავალ პერიოდად, რაც გულისხმობს იმას, რომ ძველი, ანტიკური ტრადიციების პარალელურად ჩნდება თვისობრივად ახალი, მანამდე უცნობი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები. ყველა ჩამოთვლილი ნიშანთვისება და მათგან გამომდინარე შედეგები მიესადაგება ყვირილის ხეობის საზოგადოების გვიანანტიკური ხანის ისტორიასაც. უკვე ნახსენები არქეოლოგიური კომპლექსების გარდა, ამ ვითარებას ადასტურებს წერილობითი წყაროებიც. ადრე შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში („შუშანიკის წამება") მოხსენიებულია პოლიტიკური ინსტიტუციის წარმომადგენელი, ქვემო ქართლის პიტიახში [17, გვ. 23-37].

გვიანანტიკური ხანის ქართლის სინამდვილეში პიტიახშთა არსებობა დადასტურდა არმაზისხევის ცნობილი გათხრების დროს, როდესაც გამოვლინდა მდიდრული სამარხები, წარწერები და ინსიგნიები, რომლებიც უეჭველად ადასტურებენ ამ დიდმოხელეთა რეალურ არსებობას [11]. მკვლევართა ვარაუდით, პიტიახშთა რანგის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალული ისეთ არქეოლოგიურ ძეგლებზეც, როგორიცაა ახალი ჟინვალი [14], მაგრანეთი [13], ურბნისი [18], ზღუდერი [21], ბორი. პიტიახშები, თავის მხრივ, ემორჩილებოდნენ ქართლის მეფეს და როგორც არქეოლოგიური აღმოჩენები და წერილობითი წყაროები („შუშანიკის წამება") მოწმობენ, მათი მმართველობა ატარებდა მემკვიდრეობით ხასიათს და გადაიცემოდა მამიდან შვილზე. ჩვენ, ბუნებრივია, შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მოდინახეზე დაკრძალულ წარჩინებულ პირთა სახით საქმე გვაქვს სწორედ პიტიახშთა საგვარეულოსთან, მაგრამ ეს მიცვალებულები რაღაც საგამგეო ერთეულის წარმომადგენლები რომ ნამდვილად იყვნენ, ეს ფაქტი, ალბათ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მითუმეტეს, რომ მოდინახეს სამაროვანზე დაკრძალულ მიცვალებულთა შორის აშკარად შეინიშნება მყარი ქონებრივი დიფერენციაცია. მდიდრული სამარხების გვერდით გვხდება ისეთი კომპლექსებიც, რომლებშიც მიცვალებულები საკმაოდ მოკრძალებულად არიან დაკრძალული და მათი საიმქვეყნიოდ გასატანებელი სამარხეული ინვენტარიც ერთობ სადა და უბრალოა. ესაა ძირითადად თიხის ჭურჭელი და ნახევრადძვირფასი ქვის (გიშერი, აქატი, სარდიონი) მძივები. ეს ვითარება თვალნათლივ აჩვენებს, რომ ამ არქეოლოგიურ ძეგლს საქმე გვაქვს საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. უკვე აღინიშნა, რომ ინვენტარის სიმდიდრის მხრივ ყველაზე გამორჩეულია № 36(22) და № 66 სამარხები და სწორედ აქ არის დადასტურებული წარჩინებულობის უმთავრესი ინსიგნიები ოქროთი შემკული რკინის სატევარი (სამარხი 36(22)) (ტაბ. I_2) და დიადემა (სამარხი 66) (ტაბ. I_1).

სამეცნიერო ლიტერატურაში დიადემის დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა და დღემდე არ არსებობს ერთიანი აზრი ამ ნივთის ფუნქციის განსაზღვრის შესახებ. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ დიადემა ძველ კოლხეთში გამოიყენებოდა დაკრძალვის რიტუალში [19, გვ. 85-94], ხოლო მეორე შეხედულებით, დიადემა იყო წარჩინებულობის მთავარი დამადასტურებელი ნიშანი, რომელსაც ესა თუ ის ხელისუფალნი ატარებდნენ საზეიმო ცერემონიების დროს [4, გვ. 38-44]. ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა სტრაბონის ცნობები მცირე აზიისა და პონტოს კომანას ტაძრებში დიდი დღესასწაულების დროს მთავარ ქურუმების დიადემით შემკობის შესახებ (Strabo, XII. 3.52). ცხადია, ორივე მოსაზრებას აქვს არსებობის საფუძველი და ორივე მათგანი შეიცავს სიმართლის რაღაც მარცვალს. მითუმეტეს, რომ გვიანანტიკურ ხანაში დიადემას, როგორც ამას არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადჰყოფს, აღარ ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას და როგორც ჩანს, იგი აღარ წარმოადგენდა წარჩინებულობის დამადასტურებელ მთავარ ინსიგნიას. ასეთი ფიქრის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ გვიანანტიკური ხანის ისეთ ეტალონურ ძეგლზე, როგორიც არის არმაზისხევის პიტიახშთა სამაროვანი, წარჩინებულობის მთავარი ინსიგნიები არის ტიხრულად ინკრუსტირებული ყელსაბამი მედალიონები და

საბეჭდავი ბეჭდები. სწორედ ასეთ ვითარებაში, მოდინახეს დიადემა იშვიათ არქეოლოგიურ აღმოჩენათა რიგში განიხილები, რადგან იგი ამ სახის ერთად-ერთი ნივთია III საუკუნის მეორე ნახევრისა და IV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში (sic! და მთელ კავკასიაში). ეს გარემოება კი თავისთავად მიანიშნებს, რომ მისი მფლობელი არ უნდა ყოფილიყო მაშინდელი საზოგადოების რიგითი წევრი და საკმაოდ დაწინაურებული მდგომარეობაც უნდა ჰქონოდა მოპოვებული III-IV საუკუნეების სახელისუფლებო იერარქიაში. ანალოგიურის თქმა შეიძლება 36(22)-ე სამარხის მიცვალებულის მიმართაც, რადგან, როგორც ამას არქეოლოგიური აღმოჩენები (არმაზისხევი) ადასტურებს, ოქროთი შემკული სატევრები მხოლოდ საზოგადოების მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელთა პრეროგატივა იყო. ოქროს ქარქაშიანი და ოქროთი მოჭედილი სატევრები არმაზისხევის პიტიახშთა სამარხების ინვენტარის განუყოფელი ატრიბუტია. აქედან გამომდინარე, მოდინახეს 36(22)-ე სამარხში დაკრძალული პიროვნებაც თავისი რანგით თუ პიტიახშთა სოციალურ-პოლიტიკურ წრეს არ უახლოვდება, არც ძალზე შორს დგას მათგან. მოდინახეს 66-ე სამარხი დროში ოდნავ წინ უსწრებს 36(22)-ე სამარხს. № 66 სამარხი, ჩვენი ვარაუდით, III საუკუნის მეორე ნახევრითა და IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება [7, გვ. 103-106], ხოლო № 36(22) კომპლექსი მასში გამოვლენილი კონსტანტინე I-ის სოლიდებით კარგად თარიღდება IV საუკუნის შუა ხანებით [12, გვ. 43-76]. აქედან კი იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ეს ორი სამარხი III-IV საუკუნეების ფარგლებში მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს და მათში დაკრძალული პიროვნებებიც ერთსა და იმავე დროს არ მოღვაწეობდნენ, რაც სავსებით ლოგიკურია. ე.ი. ჩვენს ხელთ ამჟამად არსებული მონაცემებით, III-IV საუკუნეების ყვირილის ხეობის საზოგადოების სათავეში სწორედ ეს ორი პიროვნება უნდა მდგარიყო. ამ რეალობიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ ისინი იყვნენ ქართლის სამეფო ხელისუფლების მიერ საერისთაო ფუნქციებით აღჭურვილი მოხელეები და სწორედ მათ ხელში იყო თავმოყრილი III-IV საუკუნეების ზემო იმერეთის მართვა-გამგეობის პრიორიტეტი. ეს გარემოება კი თავისთავად უნდა მიანიშნებდეს იმ ვითარებაზე, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი) მოხსენიებული არგვეთის საერისთაო არასდროს არსებობდა იმ სახით, როგორც ამას წარმოაჩენს „ქართლის ცხოვრება". კერძოდ, თავდაპირველ ეტაპზე (ძვ.წ. III საუკუნეში), არგვეთის საერისთაო მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას და იგი ლიხის ქედიდან რიონამდე ვრცელდება (ლეონტი მროველის მიხედვით), ხოლო მოგვიანო ხანაში, ჯუანშერის ვერსიის თანახმად, იგი კიდევ უფრო იზრდება და მას თაკვერიც ემატება [16].

არქეოლოგიურ აღმოჩენებს თუ ვენდობით, არადა თითქმის არანაირი საფუძველი არ არსებობს, რომ არ ვენდოთ, ძველ ქართულ ისტორიკოსთა წარმოდგენები არგვეთის საერისთაოს სიდიადის შესახებ ერთობ გაზვიადებული ჩანს, რადგან ელინისტურ ხანაშიც და გვიანანტიკურ ეპოქაშიც, ისევე როგორც, ადრეულ შუა საუკუნეებში, არგვეთის საერისთაო ასეთი სახით თითქმის არ არსებობდა და ამ ტერიტორიაზე საგულვებელია რამდენიმე შედარებით მცირე ზომის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული [3, გვ. 38-47]. ასეთი მოსაზრების საფუძველს იძლევა ყვირილისა და ძირულის ხეობებში მიკვლეული ბორის [22], კლდეეთისა [9] და სარგვეშის [23] უნიკალური არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც სწორედ გვიანანტიკურ ხანას მიეკუთვნება და რომლებიც აშკარად ადასტურებს ამ პუნქტებში ქართლის სამეფოს დიდმოხელეთა არსებობას. ამრიგად, გვიანანტიკური ხანის ყვირილის ხეობის ზემო წელი უნდა ყოფილიყო ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (შესაძლებელია საერისთაოც). გარკვეულწილად, რაღაც ამდაგვარზე უნდა მიანიშნებდეს ის გარემოებაც, რომ აქ მოგვეპოვება ისეთი პირველხარისხოვანი ძეგლები, როგორიცაა რგანისა და ჯიეთის სამაროვნები, სადაც საქმე გვაქვს რანგით მოდინახესგან განსხვავებულ, მაგრამ საზოგადოების საკმაოდ დაწინაურებული წრის წარმომადგენლებთან (მაგ. რგანის № 15 სამარხი).

აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავდა, რომ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან საზოგადოებაში თანდათან დაწინაურებულ მდგომარეობას იკავებს მხედართა ფენა, რომელიც ამ დროს ცალკე სოციალურ ინსტიტუტად ყალიბდება და მის უმთავრეს საქმეს წარმოადგენს ლაშქრობებში მონაწილეობა, რადგან ხშირი ომიანობის პირობებში თავისთავად იზრდება მოთხოვნილება პროფესიონალ მეომრებზე და შესაბამისად, ლაშქრობებში მონაწილეობაც სწორედ ამ კატეგორიის პრივილეგიად იქცევა [15, გვ. 65].

მეომართა, ანუ მხედართა ფენის არსებობა გამოწვეული იყო დროის მოთხოვნილებით. ამ ვითარებას ერთგვარად მხარს უჭერს „ქართლის ცხოვრების" ცნობებიც ქართლის სამეფოში სამხედრო ზედაფენის არსებობის შესახებ. მოიხსენიება როგორც ქართლის სპასალარი, ასევე - ცალკეული ოლქების

მაღალი სამხედრო პირები (მაგ. კასპის სპასპეტი) [16].

მართალია, ყვირილის ხეობის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუციების შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ „ქართლის ცხოვრების" გადმოცემებისა და არქეოლოგიური სიტუაციის ურთიერთშეჯერება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დიფერენცირებული სამხედრო ფენა არსებობდა გვიანანტიკური ხანის ყვირილის ხეობაშიც და ამ ფაქტის ყველაზე კარგი დადასტურება ჯიეთის, რგანისა და მოდინახეს სამაროვნების იარაღიანი სამარხებია. ამ ძეგლებზე აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის საქართველოში გავრცელებული იარაღის თითქმის ყველა სახეობა - მახვილი, სატევარი, შუბისპირი, ისრისწვერი, ლახტისთავი, ფარის უმბონი. სამხედრო საქმეს უკავშირდება მოდინახეზე და რგანში აღმოჩენილი ბრინჯაოს წინწილებიც, რომლებიც გააზრებულია როგორც მუსიკალური ინსტრუმენტები და რომლებსაც, როგორც ჩანს, იყენებდნენ ჯარის საზეიმო სვლის, ან ბრძოლის დაწყების წინ. საინტერესოა ისიც, რომ წინწილები აღმოჩენილია მხოლოდ მდიდრულ სამარხებში (ორი წყვილი მოდინახეზე, ორი წყვილი რგანში). ყვირილის ხეობის მეომართა ფენის მეთაურად შესაძლებელია მიგვეჩნია რგანის № 15 სამარხში დაკრძალული პიროვნება, რადგან სწორედ მას აღმოაჩნდა რკინის მახვილი, რკინის სატევარი, უმბონი, ისრისპირები და წარჩინებულობის ორი ინსიგნია – ალმადინის თვლებით მოჭედილი ოქროს გულსაკიდი მედალიონი და ომის მფარველი ღვთაების, მარსის გამოსახულებიანი ოქროს ბეჭედი [6, გვ. 91-151] (ტაბ. I_3, I_4, I_5). ე.ი. არქეოლოგიური მასალა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოდინახეს, ჯიეთისა და რგანის სამარხების დიდი ნაწილი მეომართა საკუთრებაა და ამ ფენას სათავეში უდგას შესაძლებელია სპასპეტის უფლებებით აღჭურვილი მხედარი, რომლის საძვალეც სწორედ რგანის № 15 სამარხი უნდა იყოს. აღნიშნული კომპლექსი III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის პირველი ნახევრით არის დათარიღებული [6, გვ. 120] და ის თანადროულია მოდინახეს მდიდრული (№№ 36(22), 66) სამარხებისა. ეს გარემოება კი მიანიშნებს, რომ ამ პერიოდის ყვირილის ხეობაში სახელისუფლებო ფუნქციები მკვეთრად იყო დიფერენცირებული. მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც - საქართველოს სინამდვილეში იარაღიანი სამარხები იმ დროის ასე თუ ისე დიდი ქალაქებიდან თუ დასახლებული პუნქტებიდან (მცხეთა, ზღუდერი, ურბნისი, მაგრანეთი, არაგვისპირი, ახალი ჟინვალი) საკმაოდ მოშორებით, ძირითადად ხეობებში დასტურდება.

მაგალითისთვის აღვნიშნავთ, რომ ყვირილის ხეობის გვიანანტიკური ხანის ყველა სამაროვანზე თვალშისაცემია იარაღის უჩვეულო სიმრავლე. თვით ამ ძეგლების ტოპოგრაფიაც ადასტურებს, რომ ისინი იცავენ უღელტეხილებს, ჰკეტავენ ვიწრო ხეობებს და სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზებს. მაგალითად, მოდინახე იცავს ყვირილისა და ჩიხურის ხეობების ხერთვისს და აქედან გამომდინარე, აკონტროლებს რაჭასა და ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელ გზებს. რგანი კონტროლს უწევს ჭერულას ხეობასა და იქ გამავალ გზას, რომელიც, თავის მხრივ რაჭისკენ და ჩრდილო კავკასიისკენ მიემართება. ეჭვს გარეშეა, რომ ანალოგიური დანიშნულება ექნებოდა არაგვის, ლიახვისა თუ ქსნის ხეობების ამავე პერიოდის დასახლებებსაც.

ყვირილის ხეობის გვიანანტიკური ხანის ყველა არქეოლოგიური ძეგლი ქრონოლოგიურად გადადის იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში ოფიციალურ რელიგიად მკვიდრდება ქრისტიანობა და ამდენად, საინტერესოა იმის გარკვევა, რა მიმართებაშია ეს ძეგლები ქრისტიანულ კულტურასთან. ამ პრობლემის განხილვისას მნიშვნელობა ენიჭება მიცვალებულთა დაკრძალვის წესსა და სამარხეულ ინვენტარს. მოდინახეს, რგანისა და ჯიეთის სამაროვნებზე მიცვალებულები დაკრძალული არიან მარჯვენა, ან მარცხენა გვერდზე, დასავლეთის, ან სამხრეთ–დასავლეთის დამხრობით. ამავე პერიოდის სამარხებშივე გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიცვალებულები წვანან გულაღმა გაშოტილ და ხელებჩამოშვებულ პოზაში. ისიც აღსანიშნავია, რომ ინვენტარის შედგენილობისა და სიმრავლის მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დაკრძალვის პოზას. ზოგიერთ სამარხში, სადაც მიცვალებულები დაკრძალული არიან გაშოტილ და ხელებჩამოშვებულ პოზაში, ინვენტარი უფრო მდიდრულია, ვიდრე ისეთ სამარხებში, სადაც მიცვალებულები დაუკრძალავთ წარმართულ პოზაში. განსაკუთრებით ეს ითქმის, მოდინახეს № 36(22) სამარხის მიმართ, რომლის მიცვალებულიც სწორედ გაშოტილ და ხელებჩაშვებულ მდგომარეობაშია დაკრძალული. არადა, უკვე გვქონდა მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სამარხში დაკრძალული პიროვნება წარმოადგენდა IV საუკუნის შუა ხანების ყვირილის ხეობის საზოგადოების მმართველ მოხელეს. ეს ვითარება სულაც არ არის გასაკვირი, რადგან ამ სამარხში დაკრძალულ პიროვნებას სახელმწიფო სამსახური აიძულებდა ნებსით თუ ნების

საწინააღმდეგოდ ეღიარებინა ის რელიგია, რომელსაც ემსახურებოდა ქართლის სამეფო ხელისუფლება. იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ ის სამარხები, რომლებშიც დადასტურებულია მოკრუნჩხული პოზა, შეიძლება

4. ბრაგვაძე ზ., წერეთელი მ. კოლხურ დიადემებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები V, თბ., 1999.

5. ბრაგვაძე ზ. საირხე-კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიის ცენტრი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები IV, თბ., 1998.

6. ბრაგვაძე ზ. რგანის სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი I, თბ., 2000.

7. ბრაგვაძე ზ., ჩიგოგიძე ქ. მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნის № 66 სამარხი, არქეოლოგიური ჟურნალი I, თბ., 2000.

8. გეორგიკა III, თბ., 1965.

9. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

10. მახარაძე გ., ბრაგვაძე ზ. ძვ.წ. II-I საუკუნეების ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები VIII, თბ., 2001.

11. მცხეთა I, თბ., 1955.

12. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

13. რამიშვილი რ. ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1978.

14. რამიშვილი რ. ახალი ჟინვალის ნამოსახლარი და სამაროვანი 1971-73 წწ. განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბ., 1983.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

16. ქართლის ცხოვრება I, თბ., 1955.

17. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987.

18. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.

19. Лордкипанидзе О.Д. Древняя Колхида, Тб., 1978.

20. Ломоури Н.Ю. Грузино-Римские Взаимоотношения, Тб., 1981.

21. Немсадзе Г.М. Погребение Иберийской Знати Из Згудери, КСИА, 151, М., 1977.

22. Придик Е. Новые Кавказскіе Клады. Мар., СПБ., 1914.

23. G.Tschubinaschvili, Der Fund Von Sargveshi, ИКИАИ, III, Тиф., 1925.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I_1–დიადემა, მოდინახე, სამარხი №66

ტაბ. I_2–სატევარი, მოდინახე, სამარხი №36(22)

ტაბ. I_3–მედალიონი, რგანი, სამარხი №15

ტაბ. I_4–მარსის გამოსახულებიანი ბეჭედი, რგანი, სამარხი №15

ტაბ. I_5–სამარხი №15. რგანი

ტაბ. II_1–სამარხი №11, მოდინახე

ტაბ. II_2–წინწილა, მოდინახე

ტაბ. II_3–ლახტისთავი, რგანი

ტაბ. II_4–სატევარი, მოდინახე

ტაბ. II_5–შუბისპირი, მოდინახე

ტაბ. II_6–ლაგამი, რგანი

I



1



2

3



5

4

II

1

2

3

4

5

6

ნანა მათიაშვილი

საკურთხევლები ვანის ნაქალაქარის სატაძრო კომპლექსიდან

ვანის ნაქალაქარზე, მისი საკულტო ხასიათის გამო, საკურთხევლების აღმოჩენის მრავალი შემთხვევაა დადასტურებული. ნაქალაქარის ყველა უბანზეა აღმოჩენილი მონუმენტური, მონოლითური, მონოლითოიდური, ბინიატურული საკურთხევლები. მათი ერთი ნაწილი, კერძოდ ზედა და ცენტრალურ ტერასებზე გამოვლენილი ნიმუშები გ. ლორთქიფანიძის მიერაა შესწავლილი [3, გვ. 104 და შემდ.]. ქვედა ტერასისი სატაძრო კომპლექსიდან მომდინარე საკურთხევლები კი დღემდე შეუსწავლელია. წარმოდგენილ ნაშრომში ამ უკანასკნელთა ერთი ნაწილის ტიპოლოგიურ დახასიათებასა და დათარიღებასთან ერთად მოცმულია მათი ფუნქციისა და წარმომავლობის განსაზღვრის ცდა.

განსახილველი მასალიდან ერთი, როგორც ჩანს, ტაძრის მთავარი საკურთხეველი ცენტრალური დარბაზის დასავლეთ კუთხესთანაა გამართული. იგი დაბალი პლატფორმისა და საფეხურებად შემაღლებული მისასვლელის გარდა, დედაქანში ამოკვეთილი ღარების სისტემასაც აერთიანებს (იხ. გეგმაზე № 1, ტაბ. I).

პლატფორმა თითქმის კვადრეტულია (2x2,2 $м^2$), კლდოვან ქანშია ჩადგმული. ნაგებობის მხრიდან კედლითა, სამრეთ-დასავლეთი მხრიდან კი კვადრების ერთი რიგითა და დედაქანითაა შემოსაზღვრული. გული შევსებული აქვს რიყის ქვებითა და მიწით, ჩვეულნის მხარეებისაკენ კუთხეებითაა მიმართული (სურ.).

საფეხურები ირიბად დახრილ დედაქანზეა გამართული. საფეხურებს სამხრეთი მხრიდან დადაქანში ჩაჭრილი ღრმა ღარი დაუყვება. ნერილი სადინარია ამოტეხილი უშუალოდ საფეხურებზეც. იგი პლატფორმის ზედა სამხრეთ კუთხიდან იწყება და ირიბად ეშვება ქვედა საფეხურებისკენ, უერთდება უკანასკნელი საფეხურის ქვემოთ ამოკვეთილ ფართო ჩაღრმავებას, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ცენტრალურ დარბაზში გამავალ ფილებით გადახურულ ღართან.

საფეხურების წინ არსებული ფართობი ნანძრისგან იყო გაწითლებულ. ამასთანავე მთელ ამ ფართობზე დანახშირებული ხის ფრაგმენტები, როგორც ჩანს, ჩაღრმავების გადახურვის ნაშთი იქნა დაფიქსირებული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული გადახურვა მუარავდა რა ჩაღრმავებას, ამავე დროს საკურთხევლის ქვედა საფეხურსა და ცენტრალური დარბაზის თირის ფილებით მოგებულ მოედანს შორის ნიველირებულ დონეს ქმნიდა.

განხილული საკურთხეველი ფორმალური ნიშნებით გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ბერძნულ სამყაროში გავრცელებულ მცირე ზომის საფეხურებიან საკურთხევლებთან, მაგრამ მათგან განსხვავებით გამართულია არა ტაძრის შესასვლელის წინ, ღვთაების გამოსახულების პირისპირ, არამედ, როგორც ითქვა ნაგებობასთანაა მიდგმული და განკუთვნილია არა ცერემონიალური კულტმსახურებისათვის, არამედ სისხლიანი მსხვერპლშეწირვისათვის [შეად. 15, გვ. 71].

განსხვავებული რეკონსტრუცია აქვს წარმოდგენილი გ. ყიფიანს. მისი ვარაუდით, სამსხვერპლო ცხრასაფეხურიანი იყო და მასზე ქვის საკურთხევლები იყო მოთავსებული. საფეხურების დამატების გამო მას პლატფორმა და მისი შემომსაზღვრელი დედაქანი ამაღლებული აქვს, ამასთანავე პლატფორმა დასავლეთითა აქვს გადაწეული [1, გვ. 12, ტაბ. XIV_3]. მაგრამ არც რელიეფისა და არც პლატფორმის ამაღლების არავითარი საფუძველი არ არსებობს, რადგან მთელი ფართობი დაფარული იყო ნაგებობის სახურავის ნანგრევით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პლატფორმა და მის ირგლივ არსებულ ფართობის დონე უცვლელად იყო შემორჩენილი.

შემდეგი საკურთხეველი ოთხი მონოლითური ფილით - ორთოსტატებით ყოფილა შედგენილი. ფილები, რომელთაგან ორი შუაზე იყო გატეხილი, ორს კი კიდეები ჰქონდა დაზიამებული, 1985 წ. ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადის გაყოლებაზე დავარდნილი ალიზის კედლის ნანგრევის თავზე, ქვაყრილიან ფენაში იქნა აღმოჩენილი (გეგმაზე № , ტაბ. I).

ყველა ფილა 0,61 მ სიმაღლისა და 0,20-0,25 მ სისქისაა. ორი ფილის სიგრძე 0,57მ-ია, ორისა კი - 0,83 მ. მათგან სამს - ორ მოკლე და ერთ გრძელ ფილას ქვედა კიდეები გამოწეული და პროფილირებული აქვთ, ზედა კიდეებზე კი ლითონის სამაგრებისათვის განკუთვნილი სწორკუთხა ფოსოები აქვთ ამოკვეთილი. ამ გადასაბმელი ფოსოების მიმართულების და ფილების გამოწეული კიდეების პროფილის მიხედვით, გრძელი ფილები მოექცა მოკლე ფილებს შორის და შეიკრა 0,57 მ სიგანისა და 1,25მ სიგრძის ყუთი, რომელსაც სამ მხარეს გამოწეული და პროფილირებული კიდეები შემოუყვება, ერთი კედელი კი სადა აქვს,

რომლითაც, როგორც ჩანს, კედელთან იყო მიდგმული.

აღნიშნული ქვის ყუთი გარკვეულ სიახლოვეს ავლენს ხმელთაშუაზღვისპირულ სამყაროში უძველესი დროიდან გავრცელებულ ე.წ. ყუთ-საკურთხევლებთან, რომელთაგან აღსანიშნავია ლოკრიში (იტალიაში) ადრეიონიური ხანის ტაძრის ცელასა და ათენში, ზევსისა და ათენას ტაძარში აღმოჩენილი ნიმუშები [15, გვ. 50, № 1; გვ. 60, № 1].

ქვის ფილებით შედგენილი ყუთ-საკურთხევლებს, რომელთა ზომები ზოგჯერ რამოდენიმე მეტრს აღწევს, რომაულ სახელს "ფავისასაც" უწოდებენ და ტაძრის შეწირულობათა საგანძურად განსაზღვრავენ [7, "Favisa"].

ქვედა ტერასაზე გამოვლენილი ქვის ფილებით შედგენილი ყუთიც შეიძლება, ანალოგიური დანიშნულების საკურთხევლად განისაზღვროს. ამგვარი ვარაუდის საფუძველს მოყვანილობის გარდა, ქვის ფილების მახლობლად აღმოჩენილი ნივთებიც, მათ შორის ოქროს ფირფიტები და სარიტუალო ჭურჭლის ფრაგმენტებიც იძლევა. რაც შეეხება ტაძარში მისი ლოკალიზაციის საკითხს, ის გარემოება, რომ მისი ნაწილები ტაძრის აღმოსავლეთ კიდეში არსებული "კვადრატული" სათავსოს ნანგრევებში იყო მოქცეული, მისი ამ სათავსოსთან დაკავშირების ვარაუდის საფუძველს იძლევა. სათავსოსაგან, რომლის შიდა ფართობი 5x5 $მ^2$ ფართობს მოიცავს, მხოლოდ კედლების ქვედა რიგის ფრაგმენტები და დედაქანში ამოკვეთილი ბუდეები იყო შემორჩენილი. როგორც ჩანს, მისი თავდაპირველი ნანგრევი თანამედროვე ეპოქაში იქნა განადგურებული. ამგვარი ვარაუდის საფუძველს ნანგრევის თვზე დადასტურებული კირხსნარზე ნაგები კედლების ფრაგმენტები იძლევა.

აღნიშნული ნაგებობა მასთან დაკავშირებული მასალის, კერძოდ პერგამონული წითელლაკიანი სუფრის ჭურჭლისა და როდოსული და "თეთრანგობიანი" ამფორების მიხედვით, ძვ.წ. II-I სს-ით თარიღდება, ამდენად, განხილული საკურთხეველიც აღნიშნულ ხანას მიეკუთვნება.

განხილული საკურთხეველი, ზემოთ დასახელებული პარალელების მიხედვით, ბერძნული ტიპისაა, მისი თავისებურება კედელთან ლოკალიზაციაში ვლინდება. ამდენად, მისი ხმარებაში შემოსვლა ელინისტური სამყაროდან მომდინარე გავლენით შეიძლება აიხსნას.

სატაძრო კომპლექსთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკურთხეველი ტიპოლოგიურად წინაღწერილს უახლოვდება: მასაც თავლია ყუთის მოყვანილობა ჰქონდა (აღებისას დაშალა), მაგრამ შედგენილი იყო ვერტიკალურად მდგარი ალიზის ბლოკებით. მისი სიგრძე ერთ მეტრს ოდანავ აღემატებოდა (ალიზის ორი ბლოკის ზომის იყო), სიგანე ალიზის ერთი ბლოკის შესაბამისი, დაახლოებით 0,5 მ ჰქონდა, შემორჩენილი სიმაღლე 0,3 მ-ს აღწევდა, მაგრამ სავარაუდოა, რომ იგი ალიზის ბლოკის ზომის შესაბამისი სიმაღლის იყო. ყუთის თავზე დავარდნილი იყო ალიზის ბლოკების ნატეხები, რომლებიც, როგორც ჩანს, საკურთხევლის კედლებიდან იყო ჩამოვარდნილი.

საკურთხეველი გამართული იყო ტაძრის აღმოსავლეთით არსებული ღია დერეფნის სასიარულო დონის თავზე, ნაგებობის კედლიდან სამი მეტრის დაშორებით. შევსებული იყო ალიზისნაშალნარევი ნახშირის ნამცეცების შემცველი მიწით, რომელშიც შერეული იყო მცირე ზომის რამოდენიმე რიყის ქვა, კრამიტის, ქვევრის, ამფორისა და ქოთნების კედლების ნატეხები.

ალიზის ბლოკებით შედგენილი ყუთები, ისევე როგორც ორთოსტატებით შედგენილი საკურთხევლები აღმოჩენილია ბერძნული სამყაროს მრავალ პუნქტში, მათ შორის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებშიც. მათ კერა-საკურთხევლებად, ან ფავისებად მიიჩნევენ. ასე მაგალითად, მირმეკიონში აღმოჩენილი ქვის სწორკუთხა ყუთი ვ. გაიდუკევიჩს ცეცხლიან საკურთხევლად აქვს განსაზღვრული [2, გვ. 47, სურ. 49, 50]. ტამანზე, ხრისალისკის რეზიდენციაში გამოვლენილი ალიზის ბლოკებით შედგენილი კონსტრუქციები კი ნ. სოკოლსკის აზრით, წმინდა ნაცრის ფავისებს წარმოადგენდნენ [5, გვ. 101].

ვანში აღმოჩენილი ნიმუში, მასში დამოწმებული ნახშირის ნამცეცებისა და მის ირგვლივ გაწითლებული ფართობის არსებობის გამო, შეიძლება გადასატან კერა-საკურთხევლად განისაზღვროს. კერა-საკურთხევლებს ისევე როგორც ფავისებს, ნაყოფიერების ქალღვთაებათა კულტმსახურებას უკავშირებენ [5, გვ. 100 და იქ მითით. ლიტ.].

ფენა, რომელიც ვანში აღმოჩენილი საკურთხევლის თავზე გადადიოდა, ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. I ს-ის მასალას - წითელლაკიან სუფრის ჭურჭლის, როდოსული და იტალიკური ამფორების ნატეხებს შეიცავდა. აქედან გამომდინარე, განხილული საკურთხევლის ხმარებაში ყოფნის ხანად აღნიშნული პერიოდი - ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი და ძვ.წ. I ს. შეიძლება მივიჩნიოთ.

სატაძრო კომპლექსში განსაკუთრებით ფრაგლად მონოლითური საკურთხევლებია აღმოჩენილი. მათგან ოთხი ცენტრალურ დარბაზში, ერთი საკურთხევლის მცირე ფრაგმენტი კი ნაგებობათა ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადთან, ქვის ფილებთან ერთად იქნა აღმოჩენილი. მისგან მხოლოდ ზედა ნაწილის „რქით" შემკული კუთხეა შემორჩენილი.

ცენტრალურ დარბაზში აღმოჩენილი საკურთხევლები კი სრულადაა მოღწეული. მხოლოდ ხანძრის ზემოქმედების გამო კედლები აქვთ დაბზარული. მათგან ერთი ე.წ. რქებიანი საკურთხეველია, მეორე – გვერდებშეზნექილი, ქვიშის საათის ფორმის, ორი კი სწორკუთხა.

„რქებიანი" საკურთხეველი (07.1.73/951) ორად გატეხილ დანახშირებულ ძელთან ერთად დარბაზის დასავლეთ ნაწილში, კრატერყრილში, იატაკის დონიდან 0,4 მ სიმაღლეზე იქნა აღმოჩენილი. სავარაუდოა, რომ იგი კედლიდან, ან კედლის გასწვრივ არსებული შემაღლებიდან გადმოვარდნის შემდეგ მოხვდა ამ პირობებში (გეგმაზე № 2).

იგი მსხვილმარცვლოვანი მონაცრისფრო ტუფის მონოლითშია გამოკვეთილი, გამოირჩევა დამჯდარი პროპორციებით: მისი საერთო სიმაღლე ოდნავ აღემატება მის სისქეს, სვეტის სიმაღლე კი მისი სისქის თითქმის ნახევარია. მას აქვს მკვეთრად გამოწეული და პროფილირებული კიდეები, ზედაპირზე თასისებური ფოსო აქვს ამოკვეთილ, კუთხეები შემკული აქვს ლილვაკით მოჩარჩოებული პირამიდული „რქებით" (საერთო სიმაღლე 0.52 მ-ია, სისქე - 0,44 მ, სვეტის სიმაღლე 0,20 მ-ია, სისქე - 0,38 მ, ზედა გამოწეული კიდის სიმაღლე 0,15 მ, ქვედასი - 0,17 მ, თასისებური ჩაღრმავების დმ 0,22 მ-ია, სიღრმე - 0,03 მ).

აღნიშნული საკურთხეველი ფორმალური ნიშნებით დიდ მსგავსებას ავლენს ელინისტურ სამყაროში გავრცელებულ რქებიან საკურთხevლებთან, რომელთა ხმარებაში შემოსვლას აღმოსავლური კულტების გავრცელებას უკავშირებენ [15, გვ. 165-166]. აღმოსავლეთში კი ამგვარი საკურთხevლების არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულიდან ვარაუდობენ [13, გვ. 85].

მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზედაპირზე არსებულ თასისებურ ჩაღრავებაში ვლინდება. აღნიშნული დეტალი ბერძნული ნიმუშებისთვის დამახასიათებელი არაა. მცირე ზომის თასისებური ფოსოს მქონე ერთადერთი მცირე ზომის ნიმუში ათენში, თანამედროვე სახლის კედელში აღმოჩნდა ჩაშენებული [12, გვ. 77, № 78]. ერთი კი ჰატრაში აღმოჩენილი. მას ფოსო აკანთოსის ფოთლებით შემკულ ცილინდრულ შემაღლებაზე აქვს ამოკვეთილი [13, ტაბ. VI].

„რქებიან" საკურთხevლებს ქტონიურ მამა-ღვთაებათა კულტმსახურებასთან დაკავშირებულ უსისხლო მსხვერპლშეწირვისათვის განკუთვნილ ცეცხლიან საკურთხevლებად განსაზღვრავენ. ვარაუდობენ, რომ მსხვერპლის დასაწვავად ბერძნები საკურთხevელზე მოთავსებულ ლითონის თასებს იყენებდნენ. ამდენად სავარაუდოა, რომ ცენტრალურ დარბაზში აღმოჩენილი "რქებიანი" საკურთხevელიც ანალოგიური ღვთაების რიტუალთან იყო დაკავშირებული და თასისებური ფოსო, რომელიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბერძნულ და რომაულ საკურთხevლებზე დამოწმებული არაა, ლითონის ჭურჭელის დანაიშნულებას ასრულებდა. მაგრამ ზოგიერთი მონაცემი მისი განსხვავებული დანიშნულების დაშვების საფუძველსაც იძლevა.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნვია ალიზის ნაშალში დადასტურებული დანახშირებული ძელი, რომელიც ფოსოს გასწვრივ იყო დავარდნილი და ფოსოდან ჩამოტეხილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ეს გარემოება კი, რამდენადაც იგი ძელის ფოსოში მოთავსების შესაძლებლობაზე მეტყevელებს, გარკვevულ საფუძველს იძლevა იმისათვის, რომ საკურთხevელი ძელის, ანუ ფალიკური სიმბოლოს სადგარად განისაზღვროს.

„რქებიანი" საკურთხevლის ფალიკურ სიმბოლიკასთან კავშირს მხარს უჭერს მის კუთხეებთან ამოზრდილი რქისებური შვერილები. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ლოკრის ვოტივური ფილაც, რომელზედაც რქებიანი საკურთხevელი პრიაპუსის გამოსახულებით დაბოლოevებულ სვეტთანაა მოთავსevული [6, № 83].

კოლხეთში საკურთხevლის აღნიშნული სახეობის გამოჩენა, ვანის მონაცემების მიხედvით, ელინისტური ხანიდან აღინიშნება, ამდენად, მათი ხმარებაში შემოსvლა ელინიზმის გავრცელებით შეიძლება აიხსნას.

შემდეგი მონოლითური საკურთხevელი (07.1.74/540). დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან, ალიზის კედლის ნანგრevში, იატაკის დონიდან 0,4 მ სიმაღლevზე აღმოჩნდა (გეგმაზე № 5). იგი მსხvილმარცvლოvან მონაცრისფრო Tufis მონოლითშია გამოკvეთილი, მრგvალგანივკvეთიანია, გvერდებშეზნექილი, ორივe ბოლოზე ღრმა კონუსური ფოსოevი აქvს ამოკvეთილი. ზედაპირი გლუvი აქvს, ფოსოevბში წvეტიანი იარაღის კvალი მოსწორebული არაა, რაც გამორიცხvს გ. ყიფიანის vარაუდს საკურთხevლის ხvომას

მოსამზადებელ ჭურჭლად გამოყენების შესაძლებლობის შესახებ [შეად. 1, გვ. 21].

მისი საერთო სიმაღლე 0,36 მ-ია, ზედა დმ - 0,44 მ. ქვედა - 0,36 მ, შევიწროებული ნაწილის - 0,3 მ, ზედა ფოსოს სიღრმე 0,18 მ-ია, დმ - 0,3 მ, ქვედა ფოსოს სიღრმე 0,12 მ, დმ - 0,26 მ.

გვერდებშეზნექილი სადაზედაპირიანი ცილინდრული საკურთხევლების პროტოტიპები, რომლებსაც სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ ქვიშის საათის ფორმისას უწოდებენ, ეგეოსურ სამყაროში ელადური ხანიდან იყო ცნობილი. ისინი რიტუალური საგნების სადგრებადაა განსაზღვრული [15, გვ. 19]. საკურთხევლების აღნიშნული სახეობა განსაკუთრებით ფართოდ ელინისტურ ხანაში ჩანს გავრცელებული. ამ პერიოდიდან ზოგიერთ ნიმუშს ჩაღრმავებებიც უჩნდება. C.G. Yavis-ი მათ სამხვერპლო მრგვალი მაგიდის სადგრებად განსაზღვრავს და პირობითად უწოდებს საკურთხევლებს [15, გვ. 144].

ვანური ნიმუშის საკურთხევლად განსაზღვრის საფუძველს ჟინვალსა და ზღუდერში აღმოჩერილი ვერცხლის თასების მედალიონებზე ფეხაწეული ცხენის, ალბათ, ღვთაების მიწიერი ინკარნაციის წინ გამოსახული ანალოგიური მოყვანილობის საკურთხევლები იძლევა. მათზე ფალიკური სიმბოლოები: გირჩი და ორი ვაშლი თუ კვერცხია გამოსახული [4, გვ. 81].

აღნიშნულის საფუძველზე, ცენტრალურ დარბაზში აღმოჩენილი გვერდებშეზნექილი საკურთხეველი შეიძლება ღვთაების სიმბოლოების სადგრად, ან უსისხლო მსხვერპლის მაგიდად განსაზღვროს.

შემდეგი ორი საკურთხეველიც მონაცრისფრო ტუფის მონოლითშია გამოკვეთილი, ორივე სწორკუთხა კვადრის მოყვანილობისაა, განსხვავება მათ ზომებსა და მათზე ამოკვეთილი ფოსოების რაოდენობაში ვლინდება.

ერთი (07.1.73/952) დარბაზის ცენტრალურ ნაწილში, კრამიტყრილის თავზე, იატაკის დონიდან 0,7 მ სიმაღლეზე იქნა აღმოჩენილი (გეგმაზე № 3). იგი დიდი ზომისაა, მისი სიგრძე 0,9 მ-ია, სიმაღლე - 0,7 მ, სისქე – 0,58 მ. ზედაპირზე თასის ფორმის ერთი წრიული (დმ 0,25 მ-ია) და ერთი ოვალური (დმ 0,24/0,23 მ) ფოსოები აქვს ამოკვეთილი. ვიწრო ვერტიკალური კედლები რუსტირებული აქვს, ფასდი და ზედაპირი - გლუვი. უკანა ვერტიკალურ კედელში 0,35 მ სიმაღლისა და 0,4 მ სიღრმის უძირო ნიშა აქვს გამოჭრილი. ნიშის სიგრძე ზედა ნაწილში 0,45 მ-ია, ქვედა ნაწილში - 0,52 მ. იგი შევსებული იყო ალიზის ნაშალით, რომელშიც შერეული იყო ზრდადაუსრულებელი ქათმის და ბატკნის ძვლები და ბალახოვანი მცენარის გაშავებული ყლორტები. ნიშის კედლები ორგანული ნაშთებისაგან გაშავებული იყო.

მეორე (07.1.73.953) დარბაზის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, იატაკიდან 0,6 მ სიმაღლეზე ვერტიკალურად იყო ჩავარდნილი (გეგმაზე № 4, სურ.). იგი შედარებით მცირე ზომისაა: მისი სიგრძე - 0,68 მ-ია, სიმაღლე - 0,38 მ, სისქე - 0,48 მ. მას ვერტიკალური კედლები რუსტირებული აქვს, ზედაპირი და ფასადი მოსწორებული. ზედაპირზე 0,25 მ დმ-ისა და 0,04 მ სიღრმის ცილინდრული ფოსო აქვს ამოკვეთილი, რომლის წინაც თითქოს საგანგებოდ ამოტეხილი არამკვეთრი სეგმენტისებური ჩაღრმავებაა. ქვედა კედელში კი 0,15 მ სიღრმის კვადრატული ჩაღრმავება აქვს ჩაჭრილი. ეს უკანასკნელი მთლიანად გაშავებული იყო ორგანული, შესაძლოა დანახშირებული ხის ნარჩენებისაგან.

აღნიშნულ საკურთხევლებს უშუალო პარალელი არ ეძებნება. მართალია, ცნობილია ქვის სწორკუთხა ბლოკების სამსხვერპლო მაგიდებად გამოყენების ფაქტები როგორც ბერძნულ, ისე ახლოაღმოსავლურ სამყაროში [15, გვ. 165; 11, გვ. 23], მაგრამ ცენტრალურ დარბაზში აღმოჩენილი ნიმუშებისაგან განსხვავებით, მათზე არც თასისებური და, მითუმეტეს სწორკუთხა ჩაღრმავებები დადასტურებული არაა. ელინისტურ ხანაში მათ დანიშნულებას, შესაძლოა, საკურთხეველზე მოთავსებული ლითონის ჭურჭელი ასრულებდა [11, გვ. 24; 15, გვ. 88; 8, ტაბ. 17, 25].

თასისებური ფოსოების მქონე ქვის ბლოკები დამოწმებულია გვიანხეთურ სამლოცველოებში. მათ უსისხლო მსხვერპლისათვის განკუთვნილ მაგიდებად მიიჩნევენ, ხოლო თასისებურ ფოსოებს რიტუალური სითხის რეზერვუარებად განსაზღვრავენ [14, გვ. 100; 9, გვ. 107].

სავარაუდოა, რომ ქვედა ტერასაზე აღმოჩენილ სწორკუთხა ბლოკებზე დადასტურებული ფოსოებიც სპეციფიკური დანიშნულების სამსხვერპლო სითხის რეზერვუარებად გამოყენებოდა.

რაც შეეხება საკურთხევლების კედლებში გამოკვეთილ სწორკუთხა ფოსოებს, მათ ანალოგიები საერთოდ არ ეძებნებათ. გამორიცხული არაა, რომ დიდი ზომის ბლოკის გვერდით კედელში გამოკვეთილი ნიშისებური ფოსო, რომელშიც ფრინველის ძვლები იქნა აღმოჩენილი, მსხვერპლშეწირვის რიტუალთან იყო დაკავშირებული და

რიტუალის დღემდე უცნობი სახეობის შესასრულებლად გამოიყენებოდა.

რაც შეეხება აღნიშნული საკურთხევლების სათავსოში ლოკალიზაციის საკითხს, აღმოჩენის პირობების მიხედვით, მხოლოდ ამის თქმა შეიძლება, რომ ისინი მოთავსებული იყვნენ არა უშუალოდ იატაკზე, არამედ ფილების გაწვრივ გამართულ ალიზისავე პლატფორმაზე. ქვის საკურთხევლების განლაგების ამგვარი წესი დადასტურებულია ელინისტურ აღმოსავლეთში [10, გვ. 20].

აღნიშნული საკურთხევლები, აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, გვიანელინისტური ხანით თარიღდება. ვანის ნაქალაქარის სხვა უბნებზე აღმოჩენილი ყველაზე ადრეული ნიმუშებიც ელინისტურ ხანას მიეკუთვნებიან. უფრო ადრეული ნიმუშები დღეისათვის კოლხეთის ტერიტორიზე აღმოჩენილი არაა. აღნიშნული გარემოება იმის საფუძველს იძლევა, რომ მათი ხმარებაში შემოსვლა ელინისტური სამყაროდან მომდინარე გავლენასთან იქნეს დაკავშირებული.

ლიტერატურა:

1. ყიფიანი გ. კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები, თბ., 2000.

2. **Гайдукевич В.А**. Античные города Босфора, Мирмекии, Ленинград, 1987.

3. **Лордкипанидзе Г.** Альтари Ванского городища, История и культура античного мира, Москва, 1977.

4. **Мачабели К.** Позднеантичная торевтика Грузии, Тб., 1976.

5. **Сокольский Н.И.** Таманский толос и резиденция Хрисалиска, Москва, 1976.

6. **Biaanchi U.** The Greek Mysteries, Iconogrephy of Religions, XVII, London, 1979.

7. **Daramberg C., Saglio E.** Dictionnaire des antiquités grecques et romaines, 1877-1919, "Favisa".

8. **Deona N.W.** Mobilier Deltion, BCH, 1934, I.

9. **Helenkemper H., Wagner Y.** The God on the Stag, A late Hittite Rockrelef on the River Karasu, AS, XXVII, 1977.

10. **Hopkins C.** Topography and Architecture of Seleucia on the Tiger, Michigan, 1972.

11. **Lehman K.** The Altar Court, Samothrake, IV, 2, N.Y., 1964.

12. **Merit B.D.** The Inscriptions. Hesperia, 1934, III, N 1.

13. **Texidor Y.** The Altars found at Hatra, Sumer, 1965, I.

14. **Ussishkin D.** Hollows, "Cupmarks" and Hettite stone monuments, AS XXV, 1975.

15. **Yavis C.G.** Greek Altars, S.Louis, 1949.

I



1

2

II



1



2



3





4







5



6

ლაშა ძიძიგური

ნაცარგორას ძვ.წ. V-III სს. სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სამეურნეო იარაღის ფუნქციის გარკვევისათვის

ხაშურის რ-ში, ნაცარგორას მრავალფენიან სამაროვანზე (მეორე ქრონოლოგიური ჯგუფი: ძვ.წ. V-III სს.), № 67 სამარხში, სხვადასხვა ნივთებთან ერთად გამოვლენილია რკინის ე.წ. „ბრტყელი ცული" [20, გვ. 22-25; 21, გვ. 40-44; 22, გვ. 69-74] (სამაროვნის დამათარიღებელი: ირანული წარმომავლობის ჩაიდნისებური ჭურჭელი, მსხლისებურტანიანი სამტუჩა ჩალისფერკეციანი ჭურჭელი - რომბული სამკუთხედებით მოხატული. გვიანდელი ხანის კოლხური ყურმილიანი დოქები. ძვ.წ. VI-IV სს. დათარიღებული კოლხური ფიალები) [19, გვ. 74-76].

იარაღს შემორჩენილი აქვს სატარეს ფრაგმენტი, რომელიც ყუის მიმართ 90°-იან კუთხეს ქმნის (ტაბ. I_1). ამდენად, ტარი იარაღზე დამაგრებული უნდა ყოფილიყო იმგვარად, როგორც ეს თოხებს ან ეჩოებს ახასიათებს. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ტერმინი „ბრტყელი ცული" პირობითია, მითუმეტეს თუკი გავითვალისწინებთ, რომ სატარეხვრელიანი ცულების სხვადასხვა სახეობები მრავლადაა დამოწმებული არქეოლოგიაში და მათ პარალელურად „ბრტყელი ცულის" არსებობა, უფრო სწორად, მისი ცულად მიჩნევა და აქედან გამომდინარე – ფუნქცია, გარკვეულ გაუგებრობას იწვევს.

იმისათვის, რომ ნათლად გამოიკვეთოს ასეთი იარაღის ფუნქციონალური დანიშნულება, მიზანშეწონილად მიმაჩნია მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების წარმოჩენა და შესაბამისად (ეპოქების კვალდაკვალ) – ფორმათა ტრანსფორმაცია.

მეცნიერთა დაკვირვებით, ამ იარაღების ყველაზე ადრეული ფორმები მცირე აზიაში, სირიასა და პალესტინაშია დადასტურებული, საიდანაც ისინი აღმოსავლეთ ყურამის ველამდე გავრცელდა (პაკისტანის საზღვარი) და დასავლეთით უკიდურეს წერტილამდე „გააღწია" (ირლანდია) [26, გვ. 62].

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე ამ იარაღის ყველაზე ადრეული ფორმები (სწორი ტანი მხრების გარეშე, ბოლოსკენ ოდნავ გაბრტყელებული) (ტაბ. I_2) ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება მის დასავლეთ მონაკვეთში (საჩხერე, სვანეთი) [9, გვ. 150; 12, გვ. 168, ტაბ. XXVI_3]. გვიანბრინჯაოს ეპოქაში მისი ფორმა გარკვეულად „იხვეწება" და გვერდითი გამონაშვერები, ასე ვთქვათ „მხრები" უკეთდება (რასაც თავისი დანიშნულება უნდა ჰქონოდა) და სამუშაო პირი უფრო ფართო და მრგვალ ფორმას ქმნის. „ბრტყელი ცულების" ტიპოლოგიური დანაწევრება ჩვენში პირველად ბ. კუფტინმა სცადა [16, გვ. 1-176]. იგი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ რომელიმე კულტურული სამყაროსათვის დამახასიათებელ იარაღთა თავისებურებებით, არამედ მან ზოგადად წარმოაჩინა ამ იარაღების განსხვავებული ფორმების ტიპოლოგიური დაყოფის საერთო სურათი, მათი გავრცელების არეალი და დამახასიათებელ თვისებათა მთელი რიგი მომენტები გამოაცალკევა. ამ შემთხვევაში მეცნიერი ხელმძღვანელობდა უკიდურესი დასავლეთის – ინგლისის, ცენტრალურ ევროპაში - ჰალშტატის კულტურის, სამხრეთით – რომის, აღმოსავლეთით – მცირე აზიისა და სხვა ქვეყნების ცალკეულ აღმოჩენებით და ძირითად აქცენტს აქ მოპოვებულ იარაღთა დამახასიათებელ თავისებურებებზე ამახვილებდა. „ბრტყელი ცულების" ტიპოლოგიური დაყოფისას ბ. კუფტინი ეყრდნობოდა იარაღის გვერდითი შვერილების ფორმებს, რის საფუძველზეც მან სამი ძირითადი ტიპი გამოყო.

საინტერესო გამოკვლევა აქვს „ბრტყელი ცულების" შესახებ ო. ჯაფარიძეს [15, გვ. 281-300]. ავტორი საგანგებოდ განიხილავს კოლხურ კულტურაში გავრცელებულ ამ იარაღებს და ძირითადად ორ ტიპს გამოყოფს: გვერდით კბილისმაგვარ შვერილებიანს, რომლებიც კოლხეთის მხოლოდ მთიანი რეგიონებისათვის იყო დამახასიათებელი (რაჭა-ლეჩხუმი) და რომლებიც მკვლევარის აზრით, შესაძლოა ადგილობრივი წარმოებისა ყოფილიყო, და მეორე – მხრებისმაგვარ შვერილიან ცულებს.

შედარებით სრული სახით აქვს წარმოდგენილი „ბრტყელი ცულების„ კლასიფიკაცია დ. ქორიძეს [4, გვ. 5-27]. მან დეტალურად შეისწავლა ძირითადად კოლხეთისათვის და ზოგადად საქართველოსათვის დამახასიათებელი ცულების გენეზისი. ამიტომ მე შევეცდები დ. ქორიძისეული კლასიფიკაცია შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვაჩინო, რადგან ამ იარაღის ფუნქციის გარკვევისათვის აუცილებლად მიმაჩნია მისი ფორმებისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელების არეალის გამოკვეთა.

„ბრტყელი ცულის" დახარისხებისას სახეობების მიხედვით დ. ქორიძე ხელმძღვანელობდა იარაღის საერთო ფორმებითა და მისი კონსტრუქციული და ტექნიკური თავისებურებებით: პირველ სახეობაში მან გააერთიანა ისეთი ცულები, რომელთათვის დამახასიათებელია „სწორკუთხედის ფორმის შედარებით დაბალი, ბოლოსკენ გათხელებული ტარდა-

ბაგები, მხრებისმაგვარი გვერდითი შვერილები (მეტნაკლებად დაქანებული ზემონაწილით), გამოყვანილი (შევიწროებული) ექვსწახნაგა, შედარებით მოკლე გასქელებული წელი და გორდა, მაღალი, ზოგჯერ ასიმეტრიული პირი" (ტაბ. II_1). ასეთი ცულები კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ტერიტორიაზეა გავრცელებული (აჭარა, გურია, სამეგრელო, ქვემო იმერეთი) და ძვ.წ. XII-XI სს. თარიღდება.

მეორე სახეობაში გაერთიანებული „ცულები", რომელთათვისაც დამახასიათებელია „მომაღლო ოთხკუთხა, ზოგჯერ ბოლოსკენ ოდნავ გაგანიერებული ტარდასაგები (ბოლოსკენ თხელდება), კოტისებრი, ზოგჯერ ბალზე მკვეთრად გამოსახული და ბოლოებმომრგვალებული გვერდითი შვერილები (ტაბ. II_2). ასეთი იარაღები მხოლოდ მთიანი კოლხეთისათვის (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი) არის დამახასიათებელი და თარიღდება ძვ.წ. XI-VIII სს. ლეჩხუმის ერთი „ცულის" ტარდასაგების ნაწილი გვირგვინის ფორმას ქმნის (ტაბ. II_{11}).

მესამე სახეობაში ერთიანდება „ბრტყელი ცულების" ის ნაწილი, რომელთათვისაც დამახასიათებელია „სამკაპა ტარდასაგები, ნაპირა შვერილები გვერდითაა განლაგებული და ძირითადად მაღლაა ამართული (ზოგჯერ მკვეთრად) და წვეტით მთავრდება. შუბლი, უმეტესად ოთხკუთხა ან ტრაპეციისმაგვარი (იშვიათად) და ვერტიკალურად აღმართული. ტანი განიერია და წელში გამოყვანილი. პირი – გორდა, უმეტესად სიმეტრიული, ზოგჯერ საკმაოდ მაღალი და ასიმეტრიული" (ტაბ. II_{12}).

ამ სახეობაში გაერთიანებული „ცულები", ცენტრალურ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბიდა და ქვემო ქართლში იყო გავრცელებული და ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება. ვრცელდება ისინი სამხრეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაშიც. როგორც ჩანს, მესამე სახეობაში გაერთიანებული „ცულები" ყველაზე ადრეულია. ამ სახეობაში დ. ქორიძე მის პირველ და მეორე ქვესახეობას გამოყოფს. რადგან ეს ქვესახეობები გარკვეული თავისებურებით ხასიათდება. უფრო მეტიც III სახეობის II ქვესახეობა აღნაგობით რამდენადმე განსხვავდება კიდეც III სახეობისა და მისი I ქვესახეობის „ცულებისაგან". ამრიგად, III სახეობის I ქვესახეობაში გაერთიანებული „ცულები" ერთი ტექნიკური ხერხითაა ნაკეთები – ცალმაგ ყალიბშია ჩამოსხმული, მაშინ როდესაც სხვა სახეობის იარიღები ორმაგ ყალიბში ისხმებოდა, ხოლო ძირითადად მათი განმსაზღვრელი ფორმა – ტანის შუა ნაწილზე „კოტისებური გვერდითი შვერილებია". სამკაპა ტარდასაგები ისეა გამოყვანილი, რომ ნაპირა შვერილი გვერდითაა განშტოებული და მაღლა აღმართული (ტაბ. II_4). ტანი წელში შევიწროებულია. პირი სწრაფად განიერდება და ფართო, შედარებით დაბალი გორდა პირით მთავრდება". ეს იარაღები ძირითადად შიდა და ქვემო ქართლში და დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (ძვ.წ. X-VIII სს.).

III სახეობის II ქვესახეობა, როგორც აღინიშნა, რამდენადმე განსხვავებული ფორმითაა დამზადებული. მათთვის ძირითადად დამახასიათებელია „სქელი, ვიწრო, წელში გამოყვანილი ტანი, განიერი, მაგრამ ოდნავ მორკალული პირი. ტარდასაგები წარმოადგენს მხრებისა და კოტისებური გვერდითი შვერილების კომბინაციას. ისე რომ ოთხკუთხა ტარდასაგები აღჭურვილია საკმაოდ განიერი, ბოლოებმომრგვალებული კოტისებრი შვერილებით" (ტაბ. II_{12}). ასეთი „ცულები" ძირითადად კახეთის ტერიტორიაზე ყოფილა გავრცელებული და ძვ.წ. XI საუკუნით თარიღდება.

„ბრტყელი ცულების„ ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ საკითხი აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მეცნიერთა დიდი ნიწილი მას სახელოსნო-სადურგლო ხუროობასთან დაკავშირებულ იარაღად მიიჩნევს. გარკვეული ნიწილი კი მიწის დასამუშავებელ იარაღად თვლის. ზოგს სამთამადნო სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილ ტყავის დასამუშავებელ იარაღად მიაჩნია. არ გამორიცხავენ ამ იარაღის საბრძოლო თვისებებსაც.

როგორც ირკვევა, „ბრტყელი ცულები" ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მის დასავლეთსა და აღმოსავლეთში მდებარე მეტალურგიულ ცენტრებს თავისებური ფორმებით გამოუჭედავთ და იშვიათია, როდესაც ერთი კუთხისათვის დამახასიათებელი „ცული" სხვა რეგიონში გავრცელებულიყო. განსხვავებულია ეს იარაღები კოლხეთის ბარსა და მთიანეთშიც, იმდენად, რომ მათ შორის გენეტიკური კავშირის მოძებნა თითქმის შეუძლებულია [4, გვ. 13]. ჩემი აზრით, აქ მთავარი ის არის, რომ იარაღებში ძირითადად განსხვავებულია მათი ზედა ნაწილის მოყვანილობა, ე.ი. ტარდასაგები მონაკვეთი, ხოლო სამუშაო პირი ყველას თითქმის ერთნაირად აქვს მორკალული. ხომ არ მიგვანიშნებს ეს გარემოება, რომ „ბრტყელი ცულის" ტარდასაგები ყოველი კუთხისათვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური ტექნიკით მზადდებოდა?

როგორც ჩანს, დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე „ბრტყელი ცული" მასობრივად გვიანბრინჯაოს ხანაში იწყებს გამოჩენას. ეს ის პერიოდია, როდესაც კოლხეთში მიწათმოქმედებასთან დაკავშირებით, რამდენიმე სახეობის თოხია ხმარებაში. მაგარი და მკვრივი ნიადაგების დასამუშავებლად, ძირითადად პირვიწრო თოხები გამოიყენებოდა შე-

დარებით რბილი ნიადაგებისათვის – ფართო სამუშაოპირიანი [12, გვ. 226-230].

პირვიწრო იარაღები ფართოდ იყო გავრცელებული როგორც რომაულ სამყაროში [27, გვ. 35-36], ასევე აღმოსავლეთ ევროპის სკვითურ ხანაში [25, გვ. 73-91]. ბ. კუფტინის აზრით, ვიწრო სამუშაოპირიანი თოხები უმეტესად ქვაბრეშიანი ნიადაგებისათვის იხმარებოდა [12, გვ. 142]. ამ მხრივ განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას სკვითურ დასახლებათა ყორღანებში აღმოჩენილი იარაღები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპის ტყე-ველიან მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა. ასეთი თოხების დამზადების ტექნიკა როგორც სამუშაო პირის, ასევე ტარდაგების თვალსაზრისით ადგილობრივი ბუნებრივი პირობებისა და აქედან გამომდინარე, მიწის დამუშავების ტექნიკის თავისებურებით უნდა ყოფილიყო გაპირობებული, რამდენადაც აქ ვხვდებით, როგორც მასრაგახსნილ, ასევე სატარეხვრელიან და ბრტყელ თოხებს [25, გვ. 84]. ეს უკანასკნელი „პალშტაბის ტიპის" (90°-იანი კუთხით მოხრილი ტარდასაგები იარაღები, რომლებიც გავრცელებული იყო დასავლეთ ევროპის ბრინჯაოს ხანაში) [12, გვ. 143] თოხების სახელით არის ცნობილი და ისევე, როგორც კოლხეთში გავრცელებულ „ბრტყელ ცულებს", არა აქვს სატარე ხვრელი, ახასიათებს ბრტყელი ფორმა, გვერდითი მხარისებური გამონაშვერები და ზოგიერთ მათგანს ზედა ნაწილში დამატებით – გვერდითი შვერილები (ტაბ. II_5). ასეთ იარაღებს სპეციალურად გამოთლილ სატარეს უმაგრებდნენ შესაბამისი ტექნიკით (90°-ით მოხრილი სატარე) (ტაბ. II_6).

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რატომ არ უკეთებდნენ ბრტყელ თოხებს სატარე ხვრელს? ეს ადვილი ასახსნელია, თუკი გავითვალისწინებთ ამგვარი ფორმის თოხების მუშაობის პრინციპს (ძლიერი დარტყმები ბელტებზე, ქვაბრეშიან ნიადაგებზე, ტყე-ველიან და დაფეხვილ მიწაზე). ასეთ შემთხვევაში სატარე ხვრელში ჩამაგრებული ხის ტარი ადვილად მოირყეოდა (შესაძლოა, გადამტყდარიყო კიდეც), რადგან მსგავსი ტიპის იარაღებს აუცილებლად ესაჭიროებოდა ფართო მოდების წერტილი ხის ტარსა და იარაღის ზედაპირს შორის. ასეთ შემთხვევაში იარაღი მჭიდროდ იქნებოდა მიმაგრებული მისივე სიგანისა და გარკვეული სიგრძის ხის სატარეს ქუსლზე სქელი და გამძლე თასმის საშუალებით. რაც შეეხება გვერდით შვერილებს, ისინი თასმის დაცურების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო შექმნილი.

ხომ არ მიგვანიშნებს ეს გარემოება, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავრცელებული „ბრტყელი ცულები" მიწათმოქმედებაში გამოიყენებოდა თოხების სახით მიწის პირველადი დამუშავების დროს?

ქრონოლოგიის მიხედვით გვიანბრინჯაოს ხანის „ბრტყელი ცულების" სახესხვაობებიდან ყველაზე ადრეული ჩანს III სახეობაში გაერთიანებული იარაღები, რომლებიც კომპლექსების მიხედვით ძვ.წ. XIII-XII სს. თარიღდება [1, გვ. 65-70; 2, გვ. 116-140]. იარაღებს არ აქვს გვერდითი შვერილები, სამაგიეროდ, სატარეს ზედა მონაკვეთში ერთგვარი „გვირგვინი" აქვს გამოყვანილი. ასეთ შემთხვევაში ტარის დაგების დროს თასმის გადაკვრა „გვირგვინის" ჭრილებიდან იწყებს გარდიგარდმო და შემდეგ იარაღის შუტანზე გადადის (ტაბ. II_7).

ამ ტიპის იარაღები, შიდა და ქვემო ქართლში იყო გავრცელებული, სადაც უმთავრესად ფართო სამუშაოპირიან თოხებს ხმარობდნენ [12, გვ. 268]. თუკი გავითვალისწინებთ აღნიშნული ტერიტორიის ნიადაგის ხასიათს, შესაძლოა დავუშვათ, რომ მიწათმოქმედებაში აღნიშნულ იარაღებთან ერთად „ბრტყელი ცულიც" გამოიყენებოდა, როგორც მიწის პირველადი დასამუშავებელი იარაღი, ზემოთ აღწერილი ტარდაგების გათვალისწინებით.

ქრონოლოგიურად „ბრტყელი ცული" ძვ.წ. XII-XI სს. იწყებს გამოჩენას უკვე კოლხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მის სამხრეთ-დასავლეთ ნიწილში [17, გვ. 55-65]. დ. ჭარიძის კლასიფიკაციის მიხედვით, ისინი I სახეობაშია გაერთიანებული. ამ იარაღებს გვერდითი მხრებისებური, ოდნავ დახრილი გამონაშვერები აქვთ, ე.ი. თასმის დაცურების დასაბრკოლებლად კოლხეთში „გვირგვინის" მაგივრად მხრები უკეთებიათ (ტაბ. II_8).

ამ პერიოდში აქაც უმთავრესად ფართო სამუშაოპირიანი თოხები გამოიყენებოდა, როგორც მიწის მეორადი დამუშავების, ასევე ისეთი ნიადაგების გასათოხნად, რომელიც პირველად დამუშავებას არ მოითხოვდა [12, გვ. 226]. ამიტომ სავარაუდოა, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე, იქ სადაც ტყე-ველიანი ფართობი ჭარბობდა, ფესვებიანი ნიადაგის დასამუშავებლად „ბრტყელ ცულსაც" გამოიყენებდნენ.

ძვ.წ. XI-VIII სს. კოლხეთის მთიან რეგიონებში ასევე გვერდითშვერილიანი „ბრტყელი ცულები" მზადდება (III სახეობა). მაგრამ ერთი განსხვავებით: თუკი კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთ ნიწილში იარაღებს გვერდითი შვერილები „კოტისებური" აქვს, მთიან ზოლში შვერილები შედარებით გრძელი და ჰორიზონტალურია. მათ პარალელურად კოლხეთის მთიან ზოლში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) რამდენიმე ბრინჯაოს თოხია აღმოჩენილი: [6; 12, გვ. 244] მაღალტანიატი და წელში მოხრილი (სოფ. ორბელი), პირფართო (სოფ. ლეგერო) და ტრაპეციისებური და წელში მოხრილი (სოფ. ლაცარო). სვანეთში აღმოჩენილ თოხებს [7, გვ. 67-70], ფოთლის

მოყვანილობა აქვს და მხრები - ძლიერ დაქანებული. სატარე მილი განივკვეთიანია და მოკლე (ტაბ. II_9). სვანეთის ქვა-ღორღიანი და ხრიოკი ნიადაგებისათვის სწორედ ასეთი ფორმის თოხები უნდა გამოეყენებინათ. ამგვარი თოხებია დადასტურებული აგრეთვე სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც [8, გვ. 12]. ბრინჯაოს თოხების ეს რაოდენობა კოლხეთის მთიანი ზოლის მიწათმოქმედებისათვის არასაკმარისი იქნებოდა, თუკი არ გავითვალისწინებთ მათ პარალელურად „ბრტყელი ცულების" არსებობას, რომლებიც ბარში გავრცელებულ „ბრტყელ ცულებთან" შედარებით გაუმჯობესებულია გვერდითი შვერილების ფორმათა თავისებურებების თვალსაზრისით, რისი საშუალებითაც ხის ტარი იარაღზე მჭიდროდ და ურყევად უნდა დამაგრებულიყო (ტაბ. II_{10}).

განსაკუთრებით საინტერესოა ცენტრალურ ამიერკავკასიაში, კერძოდ შიდა და ქვემო ქართლში, ამასთანავე კახეთში გავრცელებული იარაღები (III სახეობის II ქვესახეობა), რომლებიც სხვა იარაღებთან შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იხმარებოდა (ძვ.წ. XI-X სს., ძვ.წ. X-VIII სს.). ეს ალბათ გასაგებიც უნდა იყოს, რადგან ამ იარაღთა აგების კონსტრუქცია გაცილებით უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ტარდაგების მხრივ. ამ შემთხვევაში იარაღის კომბინირებული ვარიანტი – სატარეს თავზე „ბეკირგვინი" და წელზე გვერდითი გამონაშვერები ტარდაგების ყველაზე უფრო კომპაქტური ვარიანტი იქნებოდა (ტაბ. II_{11}). ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამგვარი ტარდასაგები ბრტყელი იარაღები დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაში დასავლეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე (ლეჩხუმი, ოჯოლის განძი, შიდა ქართლი, ცხინვალის განძი) [4].

დაბოლოს, კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული „ბრტყელი ცულების" შესახებ. ისინი ძირითადად ბაკურციხესა და ქვემო ბაჩხაანშია აღმოჩენილი. მათ რაიმე დამათარიღებული, ინვენტარი არ ახლავს, ამიტომ შეგავსი იარაღების საფუძველზე, რომლებიც ახტალაშია აღმოჩენილი, ეს იარაღები შეიძლება ძვ.წ. XI ს. განეკუთვნოს [4, გვ. 25]. როგორც აღვნიშნეთ, ამ იარაღების ტარდასაგები, მხრებისა და კოტისებური გვერდითი შვერილების კომბინაციას წარმოადგენს, ხოლო ოთხკუთხა ტარდასაგები საკმაოდ განიერი და ბოლომომრგვალებულია, ამიტომ ასეთ იარაღზე ტარი არანაკლებ მჭიდროდ უნდა დამაგრებულიყო (ტაბ. II_{12}). რადგანაც კახეთის ტერიტორიაზე ჯერჯერობით ბრინჯაოს თოხი არ არის აღმოჩენილი, უნდა ვიფარაუდოთ, რომ მიწათმოქმედებაში აღნიშნულ იარაღებს ხმარობდნენ თოხების სახით.

რკინის ფართო ათვისებასთან დაკავშირებით, ბრინჯაოს სხვა იარაღებთან ერთად „ბრტყელი ცულიც" რკინისაგან იჭედება მცირე რაოდენობით და შემდეგ თანდათან ქრება. თუ ჩვენი ვარაუდი მისი ფუნქციის შესახებ სწორია, მაშინ ეს ფაქტი რკინის მასრაგახსნილი თოხის შემოსვლასთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული, რადგან ეს უკანასკნელი გრძელი მასრის საშუალებით მჭიდროდ ჩამოეცმებოდა 90°-იანი კუთხით მოხრილ ხის ტარს და „ბრტყელი ცულის" განვითარებულ ფორმას წარმოადგენდა ტარდაგების თვალსაზრისით. საერთოდ კი, „ბრტყელი ცულების" შესამჩნევი სიმცირე როგორც ბრინჯაოსი და მითუმეტეს – რკინისა, მათ კონკრეტულ სპეციფიკურ დანიშნულებას [3, გვ. 24] უნდა მიგვანიშნებდეს (ვთქვათ ტყე-ველიანი, ფესვებიანი, გუნდაბელტიანი, ქვა-ღორღიანი ნიადაგის დამუშავება, ეჩოებად გამოყენება).

როგორც ჩანს „ბრტყელი ცულების" გარკვეული ნიწილი სპეციფიკური დანიშნულების ე.წ. „პალშტაბის ტიპის" სათოხნ იარაღთა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომელმაც კოლხეთში რკინის ფართო ათვისების შედეგად, რკინის მასრაგახსნილი თოხის სახით გააგრძელა თავისი ფუნქცია. არ უნდა გამოვრიცხოთ ამ იარაღით ხის სამუშაოების შესრულებაც. ასეთი ვარაუდის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს რომაულ სამყაროში გავრცელებული ეგრეთ წოდებული „კომბინირებული იარაღები" ტარის დაგების შესაბამისი ტექნიკით (იხ. ქვემოთ).

როგორც ცნობილია ხის დასამუშავებელ იარაღთაგან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეჩოს („ხის სათლელი იარაღი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი, ნაფოტებს ისვრის მთლელისკენ" /ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი. 1986. გვ. 224/. „ეჩონი ხეთა სათლელთა ეწოდების„ /სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. თბილისი. 1991, გვ. 248/) ენიჭება. ამ იარაღით შეიძლებოდა მრავალი სამუშაოს შესრულება. ხის ნაჭრის გათლა – გაშალაშინება, ღარების ამოკვეთა და ა.შ.

ასეთი ფორმის ეჩოები ფართოდ გამოიყენებოდა როგორც აღმოსავლეთში (სირია, პალესტინა) [26, გვ. 59], ასევე ევროპასა და აფრიკაში (ეგვიპტე) [14, გვ. 7, სურ. 14]. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი გამოვლენილი ეგვიპტეში [24, გვ. 145-146], სადაც სპეციალისტების მიერ სათანადოთაა შემუშავებული მათი ფორმების კლასიფიკაცია (ვიწრო, ბრტყელპირა თავმომრგვალებული, ბრტყელი და ფართო სამუშაოპირიანი ეჩოები) და შესაბამისად მათი ხის მუხლედა სატარეს

დამაგრების (თასმების საშუალებით) ტექნოლოგიური მხარეები (ჰექამის აკლდამაში დამოწმებული ფორმების მიხედვით) (ტაბ. III_1).

განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰქონდა ეჩოს (ცულთან ერთად) საბერძნეთში, სადაც ხის დამუშავების ტექნიკა (ხუროობა) საკმაოდ კარგად იყო განვითარებული [23, გვ. 176]. როგორც ცნობილია, ცულსა და ეჩოს შორის სხვაობა მათი სამუშაო პირის სახელურისადმი მიმართებაში განისაზღვრება: ცულს პირი სახელურის ღერძის სიგრძივად აქვს გამართული, რაც დიდი ძალით დარტყმების (ჩეხვის) პროცესითაა გაპირობებული. ეჩოს პირი ღერძის მიმართ განივადაა შემართული, რაც მუშაობის დროს საკმაოდ მოხერხებულს ხდის ხის გარანდვის პროცესს (გამიხსენოთ „ბრტყელი ცულების„ ტარდაგების ტექნიკა). როგორც ჩანს, ეჩოს ყველაზე მარტივი და გავრცელებული კონფიგურაცია ბრტყელი და სწორი ფორმაა (ბრინჯაოს ასეთი ფორმები მრავლადაა დამოწმებული ჩრდილო შავიზღვისპირეთში) [23, გვ. 176].

ბრინჯაოს ეჩოები კარგადაა წარმოდგენილი მაიკოპის კულტურის ძეგლებზე [18, გვ. 247] (ტაბ. III_2). გვხვდება ისინი ფანტალონის ნახევარკუნძულის ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზეც, რომელთა ტარდაგების ტექნიკა ასევე კარგადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში [23, გვ. 176-177] (ტაბ. III_4). მსგავსი ფორმები დამოწმებულია ოლვიაშიც (ელინისტური ხანა) [23, გვ. 177] (ტაბ. $III_{3,5}$). არ უნდა გამოირიცხოს მუხლედა სატარეზე დამაგრებული ეჩოების თოხებად გამოყენებაც. როგორც აღვნიშნეთ, მსგავსი ტექნიკით გამართული ეჩოსმაგვარი ბრტყელი იარაღები აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე „პალშტაბის ტიპის“ თოხებადაა მიჩნეული.

რომაულ სამყაროში ასეთი ტიპის იარაღები სხვადასხვა სამუშაოებისათვის იყო განკუთვნილი და იმ ტიპის იარაღებშია გაერთიანებული, რომლებიც კომბინირებული სამუშაოებისათვის გამოიყენებოდა (instrumentum mutum): თოხ-წერაქვი, ცულ-წერაქვი და ა.შ. [28, გვ. 326]. ანტიკური რომის მეურნეობაში თოხ-ეჩოები და ცულები მრავალმხრივი სამუშაოებისათვის იყო გამიზნული. ეს ის პერიოდია, როდესაც ტყის გაკაფვა სამიწათმოქმედო ნაკვეთების მოსამზადებლად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილო იტალიის პროვინციებში, მაგალითად ცული ფართოდ გამოიყენებოდა საბაღე მეურნეობაში, როდესაც აუცილებელი იყო გამხმარი ხეების მოკვეთა, ფესვების გადაჭრა, ლატანის დამზადება და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებოა აქ გამოყენებულ იარაღთა ტიპები: 1. სეკურისები (securis) – საშუალო სიგანის ნახევრად ოვალური სამუშაოპირიანი ცული, 2. ცულ-ეჩოები (asciasecuris), 3. დოლაბრები (dolabra) – პატარა ზომის ცულ-თოხები [11, გვ. 116].

ამდენად დასაშვებია ე.წ. „ბრტყელი ცულების“ იმ კომბინირებულ იარაღთა ტიპში გაერთიანება, რომლებითაც შესაძლებელი იყენებოდა როგორც მიწის დამუშავება, ასევე სადურგლო სამუშაოების შესრულება.

ლიტერატურა:

1. **აბრამიშვილი რ.** რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ. XXII-B, თბ., 1961.

2. **აბრამიშვილი რ.** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ. XIX-A, XXII-B, თბ., 1957.

3. **მიქელაძე თ.** კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1994.

4. **ქორიძე დ.** საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ბრტყელი ცულების გენეზისისა და კლასიფიკაციისათვის, სსმმ. XXVIII-B, თბ., 1969.

5. **ქორიძე დ.** კოლხეთის კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

6. **ჩართოლანი შ.** სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977.

7. **ჩართოლანი შ.** ძველი სვანეთი, თბ., 1996.

8. **ჯალაბაძე გ.** მემინდვრეობა სვანეთში, სეშ, თბ., 1970.

9. **ჯაფარიძე ო.** ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1962.

10. **ძიძიგური ლ.** ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ., 1994.

11. **ძიძიგური ლ.** სამხრეთ კავკასიის მიწათმოქმედების ისტორიისათვის, თბ., 2002.

12. **ძიძიგური ლ.** ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა, თბ., 2000.

13. **Городцов В.** Культура бронзовой эпохи в средней России, Отчет Российского исторического Музея за 1914 г., М., 1915.

14. **Древний Восток,** М., 1957.

15. **Джапаридзе О.** Бронзовые топоры Западной Грузии, СА, XVIII, М., 1953.

16. **Куфтин Б.** Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-Аракский энеолит, ССММ. XIII-B, тб., 1943.

17. **Куфтин Б.** Материалы к археологии Колхиды, I, Тб., 1949.

18. **Мунчаев Р.** Кавказ на заре бронзового века, М., 1971.

19. **Наридзе Г.** Итоги исследавания могильника в Нацаргора, ПАИ в 1987, Тб., 1995.

20. **Рамишвили А.** Раскопки в Хашурском р-не в 1986. ПАИ, Тб., 1991.

21. **Рамишвили А.** Раскопки в Нацаргора, ПАИ в 1988, Тб., 1997.

22. **Рамишвили А.** Археологические раскопки в Хашурском р-не, ПАИ в 1987 г., Тб., 1995.

23. **Сокольский Н.** Деревообрабатывающее ремесло в античных государствах Северного Причерноморья, М., 1976.

24. **Чаильд Г.** Древнеиший Восток в свете новых раскопок, М., 1956.

25. **Шрамко Б.** К вопросу о технике земледелия у племен скифского времени в Восточной Европе, СА № 1, М., 1961.

26. **Gordon D.** The chronology of the third cultural periods of tepe-Hissar, Iraq, vol. XIII, London, 1951.

27. **Pla Ballester E.** Instrumentos de trabajo Ibericos en le region Valencia E.E.A.P.J. Vicens vives, Barcelona, 1984.

28. **Ramon Menendes Pidal**. Historia de España. t. II. España Romana (218 A. de I.C. 414 d. de I.C.), España-Calpa, S.A. Madrid, 1955.

I



II



III



ლაშა ჯიქია

სოფელ ორულუს ნამოსახლარი დიხაგუძუბები

სოფელი ორულუ მდებარეობს ქ. ზუგდიდის სამხრეთ-დასავლეთით, 16 კმ-ის დაცილებით, ზღვის დონიდან 10 მეტრის სიმაღლეზე. „ორულუ" მეგრულად ნიშნავს სარჩენს. აქ თურმე ხშირად იმართებოდა ცხენოსანთა დღი და ჩანს სოფელსაც ამის გამო დაერქვა ეს სახელი.

ორულუს ტერიტორია არქეოლოგიურად მეტად საინტერესოა. აქ ნაპოვნია გვიანბრინჯაოს ხანის განძი, რომელიც შედგებოდა ბრინჯაოს: 21 სეგმენტური იარაღის, პატარა ბოდის და ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან [19, გვ. 48], სამწუხაროდ ამ ნივთებს ვერ მივაკვლიეთ (ამ განძს მოიხსენიებს დ. ქორიძე [19, გვ. 48], სადაც აღნიშნულია რომ განძი ზუგდიდის მუზეუმში ინახებოდა. ზუგდიდის მუზეუმის არქეოლოგიური ფონდი 70-იანი წლების მიწურულს შეისწავლეს გ. გელაძემ, ო. პაპუაშვილმა და ა. ტულუშმა. მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში არაფერია ნათქვამი ორულუს ბრინჯაოს განძის შესახებ [6, გვ. 44-49], ისინი სამეურნეო იარაღებში ასახელებენ მხოლოდ ორ ე. წ. სეგმენტურ იარაღს და ბუნებრივია, რომ 21 სეგმენტური იარაღის მუზეუმში არსებობა მათ მხედველობიდან არ გამორჩებოდათ).

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ორულუ შედიოდა ერგეტის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ამიტომაც 1926 წელს აღმოჩენილი 165 ც. კოლხური თეთრი (მათ შორის 12 ცალი MO || ΣO წარწერიანი) ორულუ-ერგეტის განძის სახელით მოიხსენება [6, გვ. 48]. გასარკვევია ვერცხლის ეს მონეტები კონკრეტულად სადაა ნაპოვნი, ორულუში თუ ერგეტაში? ამ მხრივ უდავოდ საყურადღებოა ზუგდიდის მუზეუმის პირველი დირექტორის აკაკი ჭანტურიას სამეცნიერო არქივში დაცული ცნობა, რომ ეს მონეტები უპოვნია ილ. კუკავას და რომ განძი ინახება ზუგდიდის მუზეუმში (აკ. ჭანტურიას არქივში ასევე დაცულია ცნობა, რომ ორულუ-ერგეტაში, მ. პერტაიას ეზოში აკლდამაა, ხოლო დ. გუგუჩიას ეზოში ნაეკლესიარი) [20, გვ. 178].

სოფელ ორულუში ხშირია სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის, უპირატესად კერამიკული ნაწარმის აღმოჩენის ფაქტები. არქეოლოგიურად მაინც უმნიშვნელოვანესია სოფლის სხვადასხვა მხარეს მდებარე ორი ნამოსახლარი ბორცვი, რომელიც ცნობილია „წურწუმიებისა" და „პერტიების" დიხაგუძუბების სახელით [17, გვ. 51; 23, გვ. 34].

დასავლეთ კოლხეთში აღმოჩენილი დიხაგუძუბების უმრავლესობა სხვადასხვა პერიოდის კულტურულ ფენას შეიცავს. სავარაუდოდ ასეა „პერტიების" დიხაგუძუბაზე, ხოლო „წურწუმიების" დიხაგუძუბაზე ეს საცდელი თხრილის გავლებისას დადასტურდა, მაგრამ, ამჯერად მხოლოდ აქ დაფიქსირებულ ანტიკური ხანის არქეოლოგიურ მასალაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

„წურწუმიების" დიხაგუძუბა - ეს ნამოსახლარი, ხელოვნური ბორცვი, მდებარეობს სოფ. ორულუს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი ნახევარსფეროსებრი ფორმისაა; დაახლოებით 5-6 მ სიმაღლის და 0.2 ჰა ფართობის მომცველი. ამჟამად დიხაგუძუბა მთლიანად დაფარულია თხილის პლანტაციით. 1982 წელს იგი მიწის სამუშაოების დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა. იმავე წელს, აქ მცირე მაშტაბის სამუშაოები აწარმოეს არქეოლოგებმა გ. გელაძემ და თ. თოდუამ. საცდელ თხრილში გამოვლინდა ორი კულტურული ფენა. ზედა I ფენა შეიცავს ბათქაშებს, კერამიკულ ნაწარმს (ტაბ. I, II_{1-6}) და რკინის შუბისპირს (ტაბ. II_7).

II კულტურულ ფენაში დიდი რაოდენობით ნახშირისა და ნაცრის ჩანართებთან ერთად გვხვდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმი (ტაბ. IV). გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო საცდელი თხრილი ბორცვის ფუძემდე, გრუნტამდე, ვერ იქნა დაყვანილი, შესაბამისად II ფენის ქვედა დონის სტრატიგრაფია გაურკვეველია. ნივთიერი მასალა ინახება ფოთის მუზეუმში.

„წურწუმიების" დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი მასალა ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებისაგან მასიურად მოწითალო ფერისაა, გამომდინარე აქედან მათი კეცის შედგენილობის და ფერის აღწერისაგან თავს ვიკავებთ.

ადგილობრივი კერამიკა:

1. ქვევრის პირის გვირგვინის ფრაგმენტი (ტაბ. I_1). გვირგვინი ოთხკუთხაგანივკვეთიანია; მისი ზედა და ქვედა გვერდები სწორხაზოვანპროფილიანია; გარეთა ზედაპირი შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი შვეული, გვერდზე გადახრილი ირიბი ღარებით. კეცის სისქე - 1,6 სმ.

2. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ტაბ. I_2). პირის გვირგვინი ისრისპირისებრგანივკვეთიანია, გარეთა ზედაპირი შემკულია დაკბილული იარაღით დატანილი რომბული ბადით, შიდა ზედაპირზე უსისტემოდ მიმართული ღარებია. კეცის სისქე - 1,2 სმ.

3. ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (ტაბ. I_3). პირის გვირგვინი ისრისპირისებრგანივკვეთიანია; პირი გარეთ გადახრილი, შიდა მხარეს ყელს წიბოთი უერთდება, გარეთა კი ყე-

ლისაგან ღარითაა გამოყოფილი, შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი რომბული ბადით, რომელზეც ჩაჭდეული წერტილებია დატანილი; ყელის პროფილი სწორხაზოვანია. კეცის სისქე - 2,2 სმ.

4. ჭურჭლის (დოქის?) კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_4). გარეთა ზედაპირი შემკულია დაკბილული იარაღით გამოყვანილი ტალღისებრი ორნამენტის სარტყლით, რომელიც ღარებს შორისაა მოქცეული. კეცის სისქე - 0,6 სმ (ტაბ. I_4).

5. ჭურჭლის პირ-ყელისა და მხარის ფრაგმენტი (ტაბ. I_5). პირის გვირგვინი მრგვალპროფილიანია, რომლის გარეთა ზედაპირი შემკულია ზიგზაგურად განლაგებული ჩაჭდეული წერტილებით; ყელის პროფილი სწორხაზოვანია, გარეთა ზედაპირზე დატანილია ტალღისებრი ორნამენტი, რომელსაც ქვემოთ უშუალოდ მოსდევს ორ ჰორიზონტალურ ღარებს შორის მოქცეული ირიბი ნაჭდევები. კეცის სისქე - 1,6 სმ.

6. ჭურჭლის პირ-ყელისა და მხარის ფრაგმენტი (ტაბ. I_6). პირი სწორხაზოვანპროფილიანია, გარეთ გადაშლილი, ყელს ტანი მკვეთრად უერთდება, გარეთა ზედაპირი შემკულია პარალელური, ჰორიზონტალური ღარებით. პირის დმ - 18 სმ, კეცის სისქე - 1,3 სმ.

7. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_7). ცენტრალური ნაწილი შემკულია მერიდიანული ქედით. კეცის სისქე - 1,2 სმ.

8. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_8). შიდა და გარეთა ზედაპირზე შემორჩენილია ჩარხის კვალი ვიწრო ჰორიზონტალური ღარები; გარეთა ზედაპირი შემკულია ერთმანეთში ჩაჭდეული წრეების ორნამენტით. კეცის სისქე - 0,8 სმ.

9. ჭურჭლის კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_9). გარეთა ზედაპირი შემკულია დაკბილული იარაღით დატანილი ჰორიზონტალური ღარებით, რომელთა შორის ორ რიგად მოცემულია წიწვოვანი ორნამენტი. კეცის სისქე - 0,8 სმ.

10. ჭურჭლის ყურისა და მხრის ფრაგმენტი (ტაბ. I_{10}). ყური მრგვალგანივკვეთიანია, თანაბრად მორკალული; მხარზე დატანილია ტალღისებრი ორნამენტი. ყურის სიმაღლე - 7 სმ, სიგანე - 2,5 სმ.

11. სასმისის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. I_{11}). ტანის შემორჩენილი ნაწილი სწორხაზოვანპროფილიანია, ქვემოთ გაფართოვებული, შემკულია ტალღისებრი ორნამენტით, ძირთან ორი კონცენტრული ღარია; ძირი ბრტყელია. შემორჩენილი სიმაღლე - 4 სმ.

12. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. I_{12}). მრგვალგანივკვეთიანია, თანაბრად მორკალული, ზემოთ მოხრის ადგილი ოდნავ ჩაზნექილია. ყურის სიმაღლე - 6 სმ, სიგანე - 1,8 სმ.

13. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. I_{13}). მრგვალგანივკვეთიანია, მოხრის ადგილზე უნაგირისებრი დანაძერწია, რომლის ზევით დაკბილული იარაღით დატანილია ორი ჰორიზონტალური ღარი. შემორჩენილი სიმაღლე - 4 სმ.

14. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. I_{14}). ოვალურგანივკვეთიანია, ზემოთ მორკალული. ყურის სიმაღლე - 7 სმ, სიგანე - 2,5 სმ.

15. ჭურჭლის ყურისა და კედლის ფრაგმენტი (ტაბ. I_{15}). ყური ოვალურგანივკვეთიანია, თანაბრად მორკალული, ყურზე დატანილია ნაჭდევი წერტილები. ყურის სიმაღლე - 7,3 სმ, სიგანე - 2,5 სმ.

16. ყურმილიანი დოქის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. I_{16}). ყური ოვალურგანივკვეთიანი; რკალი ოვალურგანივკვეთიანი; ზედაპირი გარიალებულია. სიმაღლე - 7,5 სმ.

17. სასმისის ფეხი (ტაბ. I_{17}). შეზნექილპროფილიანია; ძირი შეზნექილია და გარეთ გამოზიდული. სიმაღლე - 4,5 სმ, ძირის დმ - 4 სმ.

18. სასმისის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. I_{18}). ტანის შემორჩენილი ნაწილი სწორხაზოვანპროფილიანია; ფეხი შეზნექილპროფილიანია; ტანის შემორჩენილი ნაწილის გარეთა ზედაპირი შემკულია პარალელური ღარებით; ძირი ბრტყელია. ძირის დმ - 8 სმ.

19. სასმისის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. I_{19}). ტანის შემორჩენილი ზედა ნაწილი ცილინდრულია, ქვედა კი კონუსური; შემკულია ტალღისებრი ორნამენტით, ძირთან ირიბი ნაჭდევების ორი რიგია; ძირი ბრტყელია. შემორჩენილი სიმაღლე - 8,2 სმ.

20. სასმისის ფრაგმენტი (ტაბ. I_{20}). შეზნექილპროფილიანია; ძირი ბრტყელია. შემორჩენილი სიმაღლე - 11 სმ, ძირის დმ - 6 სმ.

21. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ტაბ. I_{21}). პირი მრგვალპროფილიანია, ყელზე შემორჩენილია ორი ნაჭდევი წერტილი. კეცის სისქე - 1,2 სმ.

22. ჭურჭლის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. I_{22}). ტანის ძირთან გადასვლა სწორხაზოვანია, ტანზე დატანილია ორი ნაჭდევი ღარი, ძირი ბრტყელია. კეცის სისქე - 1,2 სმ.

23. ჯამის ფრაგმენტი (ტაბ. I_{23}). პირი შიგნით გადახრილი, კალთა მომრგვალებული, ძირი ბრტყელია. სიმაღლე - 4 სმ, ძირის დმ - 8 სმ.

24. ჯამის ფრაგმენტი (ტაბ. I_{24}). პირი შიგნით ჩაკეცილი, კალთა ქვემოთკენ ფართოვდებული, ძირი ბრტყელია. სიმაღლე - 4,5 სმ, ძირის დმ - 8 სმ.

იმპორტული კერამიკა:

1. ამფორის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. II_1). ოვალურგანივკვეთიანია, ზემოთ მორკალული. ყურის სიმაღლე - 14 სმ.

2. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. II_2). შეწყვილებულლერწოიანი, ოვალურგანივკვეთიანია, ზემოთ მორკალული. ყურის სიმაღლე - 10 სმ, სიგანე - 4,5 სმ.

3. ამფორის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. II_3). კონუსური ფორმის, ტანი სწორხაზოვანია, ძირი შეწეულია. შემორჩენილი სიმაღლე - 16 სმ, ძირის დმ - 4 სმ.

4. ჭურჭლის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. II_4). შეზნექილპროფილიანია, ძირი მკვეთრად შეწეულია. შემორჩენილი სიმაღლე - 7 სმ, ძირის დმ - 8 სმ.

5. ჭურჭლის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. II_5). კალთა მომრგვალებულია, ძირი გამოყვანილია და შეზნექილი, ზედაპირი სადაა. შემორჩენილი სიმაღლე - 8 სმ, ძირის დმ - 10 სმ.

6. ჭურჭლის ტანისა და ძირის ფრაგმენტი (ტაბ. II_6). კალთა მომრგვალებულია, ძირი გამოყვანილია. შემორჩენილი სიმაღლე - 10 სმ, ძირის დმ - 16 სმ.

ლითონის ნაწარმიდან მხოლოდ ერთი ნივთია მოპოვებული - რკინის შუბისპირი (ტაბ. II_7), ძლიერ დეფორმირებული.

„პერტიების" დიხაგუძუბა - ეს ნამოსახლარი, ხელოვნური ბორცვი, მდებარეობს სოფ. ორულუს ცენტრალურ ნაწილში. იგი წარმოადგენს 2 ჰა-მდე ფართობის, 3-4 მ სიმაღლის, არაწესიერი წრეწირის ფორმის ბორცვს. ცუდად, მაგრამ მაინც შეინიშნება მის გარშემო თხრილის კვალი (შედარებით უკეთ ჩანს ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში). ამჟამად აქ თანამედროვე სასაფლაოა გამართული. საფლავების თხრის დროს ხშირად ადგილი აქვს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების აღმოჩენის ფაქტს. ერთ შემთხვევაში აქ აღმოჩენილი იქნა კარგად დაცული ძვ.წ. VI-IV სს-ის ცილინდრულტანიანი სასმისი (ტაბ. III) - ნაცრისფერკეცციანი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან; ტანის ზედა ნაწილი ცილინდრულია, ქვედა კონუსური და შემკულია ტალღისებრი ორნამენტით, ყელიდან ტანზე და ტანიდან ძირზე გადასვლის ადგილზე დატანილია ორორი პარალელური, ოდნავ ჩაღარული ხაზი; ძირი ბრტყელია, ერთგან გახვრეტილი; ყური ოვალურგანივკვეთიანია, თანაბრად მორკალული, დამაგრებულია ტანის ზედა ნაწილზე; აკლია პირისა და ძირის მცირე ნაწილი. სიმაღლე - 17 სმ, პირის დმ - 6,5 სმ , ძირის დმ - 10 სმ, კეცის სისქე - 0,7 სმ (ინახება ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში).

„წურწუმიების" დიხაგუძუბის I კულტურულ ფენაში მოპოვებული ადგილობრივი კერამიკული ნაწარმი ახლო ანალოგებს პოულობს ადრეანტიკური ხანით დათარიღებული ძეგლებიდან მომდინარე მასალაში. იმპორტული მასალიდან აღსანიშნავია ამფორის ფრაგმენტი, რომლის ანალოგები საქართველოში აღმოჩენილია უპირატესად კოლხეთის ზღვისპირა ნამოსახლარებზე (ბათუმი, ქობულეთი-ფიჭვნარი [13, გვ. 82], ფოთის მიდამოები [12, გვ. 75]). მსგავსი ამფორები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI საუკუნის მიწურულიდან და განსაკუთრებით ძვ.წ. V საუკუნში. ი. ზეესტი მათ ძვ.წ. V ს-ით ათარიღებს [24, გვ. 74, ტაბ. III_9]. შეწყვილებულღეროიანი ყურის და დოქის ფრაგმენტები ძვ.წ. V-IV სს-ში გავრცელებულ ნიმუშებში პოულობს ანალოგებს.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან „წურწუმიების" ბორცვის I კულტურული ფენა თარიღდება ძვ.წ. V-IV სს-ით, ხოლო რაც შეეხება II კულტურულ ფენას, როგორც შესავალში აღინიშნა, მასში მოპოვებული თიხის ნაწარმი ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის კოლხეთში გავრცელებული კერამიკის ტიპიური ნიმუშებია.

ვინაიდან „წურწუმიების" ბორცვი საფუძვლიანად არაა გამოკვლეული, ხოლო „პერტიების" ბორცვს არქეოლოგიური გათხრები საერთოდ არ შეხებია, შესაბამისად ძნელია დასკვნების გამოტანა. მაგრამ ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვებზე ვიზუალური დაკვირვების შედეგად შენიშნულ იქნა რამოდენიმე თავისებურება, რაც ამ რეგიონისათვის კანონზომიერია.

კერძოდ, ამ კანონზომიერებას ქმნის უპირველესად კოლხეთის გეოკლიმატური პირობები. ჭაობიანი ნიადაგის პირობებში აუცილებელი იყო მიწის შემაღლების შექმნა [1, გვ. 341; 9, გვ. 4; 11, გვ. 18; 23, გვ. 34]. ამ ნამოსახლართა დიდი უმრავლესობა წარმოშობილია ვაკე ადგილზე, სამოსახლოს გარშემო შემოვლებული თხრილიდან ამოღებული ნიადაგის მოზვინვით და დროთა განმავლობაში კულტურული ფენების ერთმანეთზე დაშრევების შედეგად [23, გვ. 34].

სოფ. ორულუ მოქცეულია კოლხეთის დაბლობის ინტენსიური დაძირვის ზონაში, შესაბამისად აუცილებელი იყო ხელოვნური თიხაზვინულისაგან გამართული საცხოვრებელის მოწყობა, ამის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენენ „პერტიებისა" და „წურწუმიების" დიხაგუძუბები.

ხელოვნური ბორცვები კოლხეთის ბარის ფარგლებში პირველად ჩნდებიან ადრე და შუა ბრინჯაოს ხანაში [23, გვ. 34]. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, თუ როდის წარმოიქმნენ ისინი.

ამ ტიპის სამოსახლოებს როგორც წესი გარს შემოუყვება თხრილი, რაც ასევე განპირობებული იყო გეოკლიმატური პირობებით (ხშირი წვიმები, ჭაობის წყლები და ა.შ.), ამასთან მას თავდაცვითი და საკომუნიკაციო დანიშნულებაც გააჩნდა [14, გვ. 167]. „პერტიებისა" და „წურწუმიების" გუძუბებს სწორედ ასეთი თხრილი შემოუყვება (მართალია ცუდად, მაგრამ მაინც ჩანს).

არქეოლოგ გ. გრიგოლიას დაკვირვებით ეს თხრილები დაკავშირებული არიან საარხო სისტემით მდორე მდინარეებთან, მიუხედავად

სიშორისა ან თუნდაც დიდი მდინარის სიახლოვისა. მისი აზრით ეს განპირობებულია პრაქტიკული დანიშნულებით, კერძოდ, მდორე მდინარეები უფრო პრაქტიკული იყო ჰიპოკრატესეული, ერთ ხეში ამოღებული ნავის საცურაოდ. ეს მცირე და ნელი დინების მდინარეები ერთმანეთისაგან გამიჯნულია დიდი მდინარეებით და თითოეული მათგანი ბატონობს გარკვეულ რეგიონში. ხობსა და ენგურს შორის მოქცეული მდინარე მუნჩია გვევლინება ასეთად [9, გვ. 6-7]. შესაბამისად ორულუს საარხო სისტემები ალბათ მასთან იქნებოდა დაკავშირებული.

კიდევ ერთი თავისებურება - კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარი ბორცვები ჯგუფებად არიან წარმოდგენილი, ყოველ შემთხვევაში წინარე ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის გამოირჩევა სიდიდით და მას როგორც წესი ცენტრალური ადგილი უკავია [9, გვ. 5; 14, გვ. 137]. ორულუს „პერტიების“ დიხაგუძუბაც გამოკვეთილი ცენტრალური სამოსახლოა. ასევე ტიპიურია, რომ სამოსახლოების ერთმანეთთან დაშორების საშუალო მანძილი 1,5-2 კმ-ია ან არა უმეტეს 3 კილომეტრისა [9, გვ. 6]. „პერტიებისა“ და „წურწუმიების“ გორა ნამოსახლარებიც ერთმანეთთან 2 კმ-თაა დაშორებული. ხშირად, სამოსახლო გორებს გარს აკრავს ხუთ ჰა-მდე ფართობის, თხრილშემოვლებული, წაგრძელებული მოედნები, რომელიც საერთო რელიეფიდან ოდნავაა შემაღლებული და ამასთან დაკავშირებული საარხო სისტემით სამოსახლოსთან [8, გვ. 5]. ანალოგიური სურათი შეინიშნება ჩვენ შემთხვევაშიც.

სამოსახლო ბორცვები, თავისი შიდა სამეურნეო საქმიანობით საკმაოდ კომპაქტური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სამეურნეო მიწა ჭაობის პირობებში ძნელი მოსაპოვებელი იყო, ამდენად აქ მცხოვრებნი იძულებული იყვნენ მცირე ტერიტორიით შემოფარგლულიყვნენ [11, გვ. 20]. სავარაუდოდ, ასეთი სამოსახლოების უმეტესობა დიდი ოჯახებით იყო დასახლებული და დამოუკიდებელ სოციალურ ელემენტს წარმოადგენდა [11, გვ. 22-23], მაგრამ რთული სამუშაოები, როგორიცაა ჭაობის საწრეტი, სამიმოსვლო არხების გაჭრა და ერთიან სისტემად გარდაქმნა მოითხოვდა მათ შეკავშირებას, რომლის მაორგანიზებელ ძალად უმაღლესი ხელისუფლება გამოდიოდა [14, გვ. 136].

არქეოლოგი გ. გამყრელიძე ქალაქ ფასისის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიან ბრინჯაო - ადრერკინის ხანის ნამოსახლარებიდან - ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდევუ, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფულუ, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვებთან შედარებით ფასისი დაწინაურდა და ურბანისტულ ცენტრად ჩამოყალიბდა [5, გვ. 170-171]. ალბათ, ორულუს სამოსახლოებიც ფასისის ურბანისტულ ცენტრთან იყვნენ დაკავშირებული და თავიანთი არსებობის მთელ მანძილზე ლოკალური მნიშვნელობის დასახლებებად რჩებოდნენ.

დიხაგუძუბებზე ცხოვრება ძვ.წ. I ათასწლეულის უკანასკნელ საუკუნეებში წყდება. შავი ზღვის ტრანსგრესიული მოვლენების გავლენით ამ პერიოდიდან კოლხეთის დაბლობის მოსახლეობა დროებით ტოვებს ამ რეგიონს და ბორცვიანი ზოლისაკენ ინაცვლებს [2, გვ. 61]. ბუნებრივია, ეს პროცესი ორულუს დიხაგუძუბებზეც შესაბამისად აისახებოდა.

ლიტერატურა

1. **აფაქიძე ჯ.** კოლხური კულტურის ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის ნამოსახლართა შესწავლისათვის. - სმამ, ტ. 149, თბ., 1994, გვ. 341-345.

2. **ბარამიძე მ.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. III-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ნაშრომი დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1998.

3. **გამყრელიძე გ.** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ., 1982.

4. **გამყრელიძე გ.** კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), თბ., 2002.

5. **გამყრელიძე გ.** ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის. - იბერია-კოლხეთი, № 1, ძიებანი, დამატებანი IX, თბ., 2003, გვ. 170-185.

6. **გელაძე გ., ბაბუაშვილი რ., ტუღუში ა.** ზუგდიდის მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალის შესახებ. - ძმ, თბ., 1980, გვ. 44-49.

7. **გრიგოლია გ.** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები. - არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, თბ., 1971, გვ. 18-20.

8. **გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ.** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის შედეგები. - მსკა, V, თბ., 1973, გვ. 17-37.

9. **გრიგოლია გ.** ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1994.

10. **ვანი.** არქეოლოგიური გათხრები. - ტ. V, თბ., 1981.

11. **ინაძე მ.** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.

12. **კახიძე ა.** აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.

13. **ლორთქიფანიძე ო.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

14. **ლორთქიფანიძე ო.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

15. **მიქელაძე თ.** ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.

16. **მიქელაძე თ.** არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბ., 1978.

17. **ბაბუაშვილი რ.** არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-86 წწ). - ძმ, თბ., 1987, გვ. 51-53.

18. **საქართველოს არქეოლოგია,** თბ., 1959.

19. **ქორიძე დ.** კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965.

20. **ჭანტურია ა.კ.** ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი სამეგრელოში. - თსუ შრომები, ტ. 283, თბ., 1989, გვ. 175-183.

21. **ხოშტარია ნ.** დიხა-გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, სმამ, ტ. V, № 2, თბ., 1944.

22. **ჯიბლაძე ლ.** კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატიგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997.

23. **ჯიბლაძე ლ.** დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა. - ძიებანი, №8, თბ., 2001, გვ. 34-38.

24. **Дундуа Г. Ф.** Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.

25. **Зеест И. Б.** Керамическая тара Боспора. – МИА, 83, М., 1960.

26. **Качарава Д.Д.** Город Гиенос в античную эпоху (Автореферат канд. дисс.), Тб., 1972.

27. **Куфтин Б.А.** Материалы к археологии Колхиды, т. II, Тб., 1950.

28. **Микеладзе Т.К.** К археологии Колхиды, Тб., 1990.

29. **Gamkrelidze G.** Underwater archaeology in the Colchian littoral, Tb., 1990.

30. **Kacharava D.** Greek imports of araic and classical times in Colhis. AA. Berlin, New York, 1995.

ტაბულების აღწერილობა:

ტაბ. I, სურ. 1-24 - „წურწუმიების“ დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის კერამიკული მასალა.

ტაბ. II, სურ. 1-7 - „წურწუმიების“ დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი იმპორტული მასალა და შუბისპირი.

ტაბ. III - „პერტიების“ დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი ძვ. წ. VI-IV სს-ის კოლხური სასმისი.

ტაბ. IV, სურ. 1-15 - „წურწუმიების“ დიხაგუძუბაზე აღმოჩენილი ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრისათვის დამახასიათებელი კერამიკული მასალა.

I



II



III



IV



ვერა ჩიხლაძე

ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები

ჟინვალის სამაროვანზე შესწავლილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამკაულიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყვითელი ფერის მინის მედალიონები და მძივები, რომლებიც ძირითადად III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში გვხვდება.

სოფელი ჟინვალი მდებარეობდა არაგვის ხეობის შუა წელზე, მთისა და ბარის საზღვარზე. ისტორიულად და გეოგრაფიულად იგი წარმოადგენდა ქართლის სამეფოს ჭიშკარს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზაზე. ამჟამად, ხეობის ის ნაწილი, სადაც მდებარეობდა სოფელი ჟინვალი, წარმოადგენს ჟინვალის წყალსაცავს, „ჟინვალის ზღვას."

ჟინვალის სამაროვანზე გაითხარა 5450 $მ^2$ ფართობი. გამოვლინდა და შესწავლილი იქნა 558 სამარხი, ნამოსახლარის ნაშთები, სამეურნეო დანიშნულების ორმოები და მარნები. ორმოებში აღმოჩენილი მასალა ძვ.წ. I-ახ.წ. IV სს-ით თარიღდება, ნამოსახლარის ნაშთები და მარნები ახ.წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევრით, ხოლო სამარხები - ძვ.წ. I-ახ.წ. VIII სს-ის მასალების შემცველია.

სამაროვნისათვის დამახასიათებელია სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება, რაც შეიძლება აიხსნას იქ დაკრძალულთა სოციალური ან რელიგიური სხვადასხვაობით, ან დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით.

ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებულია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კერამიკა, მაღალხარისხოვანი მინის ჭურჭელი, რკინის საბრძოლო და სამეურნეო იარაღი, ვერცხლის მონეტები (პართული, რომაული და სასანური), მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთ-სამკაული, ბეჭდები - ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, რკინისა და მინის (637 ც.), რომელთაგან 147 გემიანია, ხოლო ოთხ მათგანზე ბერძნული წარწერაა ამოკვეთილი; მძივები, სტილოსები (4 ც.), ავგაროზები, ამულეტები, თილისმები და მრავალი სხვა [2, გვ. 5-6].

სამაროვნის მრავალრიცხოვანი ინვენტარი საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ჟინვალელთა ყოფა-ცხოვრებას თითქმის მთელი ათასწლეულის მანძილზე. ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებულ მასალებში კარგად აისახა ის ცვლილებანი, რაც ქართლში ქრისტიანობის ჩასახვასა და გავრცელებას მოყვა.

ჟინვალის სამაროვნისა და ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა ვისაუბროთ იმაზე, რომ I-IV სს. ჟინვალი წარმოადგენდა ქალაქური ტიპის დასახლებას, რაზედაც მიუთითებს ქალაქურ ყოფასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალების სიუხვე სამარხეულ კომპლექსებში.

ჟინვალის სამაროვანზე ძვ.წ. I - ახ.წ. VIII სს. დათარიღებულ სამარხებში 16000-მდე მძივია დადასტურებული. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მძივებია აღმოჩენილი III ს-ის ბოლოსა და IV ს-ის დასაწყისით დათარიღებულ სამარხებში. გვხვდება ყველა მასალის, ფერისა და ფორმის მძივები, რაც კ შესაბამისი ხანის სამაროვნებზეა დადასტურებული. ჩვენ აქ განვიხილავთ მხოლოდ ყვითელი ფერის მინისაგან დამზადებულ მედალიონებსა და მძივებს.

III-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა შვიდი ცალი ყვითელი ფერის სხვადასხვაა გამოსახულებიანი მინის მედალიონი და 28 ცალი მძივი გორგონას გამოსახულებით. ყველა მათგანი დამზადებულია შტამპური წესით. თითოეული გამოსახულება ძალიან დახვეწილია და თავისთავად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს [3, გვ. 92-102].

ქვემოთ ვაქვეყნებთ აღნიშნული მედალიონების აღწერილობას.

მედალიონი (09-XXV-76-6) (ტაბ. III), ყვითელი მინისა, მრგვალ-ბრტყელი, კონუსისებურსაკიდიანი, ერთი მხარე გლუვია, ხოლო მეორე მხარეს შტამპური წესით გორგონაა გამოსახული (ყველა გამოსახულება მედალიონზე შტამპური წესით არის დამზადებული). დმ - 2,2 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,6 სმ. აღმოჩნდა № 28 ორმოსამარხში მძივებთან ერთად ყელის არეში.

მედალიონი (09-XXV-76-113) (ტაბ. II), ყვითელი მინისა, მრგვალბრტყელი, კონუსისებრსაკიდიანი. ერთ მხარეს გამოსახულია ნიკე ორმხრივ ცხენებშებმულ ეტლზე ამხედრებული, რომელსაც მარჯვენა ხელში ხელისუფლების გამომსახველი სფერო უჭირავს. სივრცეში ნახევარმთვარეა გამოსახული. დმ-2 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,5 სმ; აღმოჩნდა № 54 ორმოსამარხში მძივებთან ერთად ყელის არეში.

მედალიონი (09-XXV-76-146) (ტაბ. I), ყვითელი მინისა, მრგვალბრტყელი, კონუსისებრსაკიდიანი. ერთ მხარეს ფაფარაშლილი, მოღრიალე ლომია გამოსახული. დმ-1,9 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,5 სმ; აღმოჩნდა №66 ორმოსამარხში ყვითელი ფერის მინის გამოსახულებიან მძივებთან ერთად.

მედალიონი (09-XXV-76-277) (ტაბ. I), ყვითელი მინისა, მრგვალ-ბრტყელი, კონუსისებრსაკიდიანი. ერთ მხარეს ფაფარაშლილი

მოღრიალე ლომი და სივრცეში ნახევარმთვარეა გამოსახული. დმ-2,4 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,8 სმ; აღმოჩნდა სამაროვნის ფართობზე, დაშლილი სამარხიდან.

მედალიონი (09-XXV-78-112) (ტაბ. I), ყვითელი მინისა. მრგვალ-ბრტყელი, კონუსებრსაკიდიანი. ერთ მხარეს ლომი, სივრცეში ნახევარმთვარე და ვარსკვლავია გამოსახული. დმ-2 სმ; სიგრძე საკიდითურთ-2,4 სმ; აღმოჩნდა № 198 ქვამიწაყრილიან ორმოსამარხში მრავალრიცხოვან მინის მძივებთან ერთად.

მედალიონი (09-XXV-79-157) (ტაბ. I), ყვითელი მინისა. მრგვალ-ბრტყელი, კონუსებრსაკიდიანი. ერთ მხარეს ლომი, სივრცეში კი ნახევარმთვარე და ვარსკვლავია გამოსახული. დმ-2,3 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,6 სმ; აღმოჩნდა № 259 ორმოსამარხში ყვითელი ფერის მინის მძივებთან ერთად.

მედალიონი (09-XXV-79-158) (ტაბ. I), ყვითელი მინისა. მრგვალ-ბრტყელი, კონუსებრსაკიდიანი. ერთ მხარეს ლომი, სივრცეში კი ნახევარმთვარეა გამოსახული. დმ-2,2 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 2,5 სმ; აღმოჩნდა №259 ორმოსამარხში ყვითელი ფერის მინის მძივებთან ერთად.

მძივები (09-XXV-76-146) (ტაბ. I), ყვითელი მინისა, 30 ც.; მრგვალ-ბრტყელი, ყუნწიანი. ერთ მხარეს გორგონაა გამოსახული. ყველა მძივი წუნდებული ჩამონასხმია. დმ-0,8-1,2 სმ; სიგრძე საკიდითურთ - 1,7 სმ; აღმოჩნდა № 66 ორმოსამარხში მრავალრიცხოვან მძივებთან და მედალიონთან ერთად.

მსგავსი შტამპური წესით დამზადებული მინის მედალიონები და მძივები სინქრონულ სამაროვნებზე საქართველოში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩენილია მედალიონები ეგვიპტური ფაიანსისა სხვადასხვა გამოსახულებებით, რომლებსაც ელინისტური ხანით ათარიღებენ [5], შუა აზიაში ფეოდალურ ხანაში გავრცელებული ჩანს მინის სხვადასხვა გამოსახულებიანი მედალიონები, რომლებსაც კედლის მოსართავად იყენებდნენ [4]. სირიაში, ქ. ქტეზიფონის 1981-33 წწ. გათხრებისას გამოვლინდა მედალიონი დამზადებული ლურჯი ფერის მინისაგან, რომელზედაც ურინველის, ჩიტის, გამოსახულებაა დაშტამპული [9, გვ. 43]. იგი სასანური პერიოდითაა დათარიღებული. აღნიშნული მედალიონი თავისი ზომებითა და ფორმით ახლოს დგას ჟინვალურ მედალიონებთან. ჟინვალის მედალიონების მსგავსი, ოღონდ ლურჯი ფერისა, ლომის გამოსახულებით პროფილში, მარჯვნივ თავს ზემოთ ვარსკვლავითა და ნახევარმთვარით. აღმოჩენილია სირიაში და თარიღდება IV-V სს-ით [6], იგი ინახება ბერლინის მუზეუმში. მკვლევართა აზრით, ამგვარ მედალიონებს-ავგაროზებს, უნდა დაეცვა პიროვნება ეშმაკისა, ბოროტი თვალისა და ავადმყოფობისაგან [8].

ჟინვალის მინის მედალიონებზე სასანურ სიუჟეტებთან ერთად გვხვდება რომაული სიუჟეტებიც ნიკესა და გორგონას სახით. სირიაში აღმოჩენილ მედალიონებზე კი მხოლოდ სასანური სიუჟეტებია დაშტამპული. ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილი გორგონას გამოსახულებიანი მძივების უმრავლესობა წუნდებული ჩამონასხამია. წუნი შეინიშნება ყვითელი ფერის მინის მძივებშიც. რაც გვაძლევს იმისა თქმის უფლებას, რომ ეს მძივები და მედალიონები შესაძლოა ადგილობრივ იყოს დამზადებული. რაც შეეხება გამოსახულებისა და დამზადების ტექნიკის მსგავსებას, ეს ვითარება შეიძლება აიხსნას იმ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირებით, რომელიც ჰქონდა ქართლის სამეფოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

ჟინვალის მინის მედალიონები და მძივები შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე მარგო ლორთქიფანიძემ. მისი აზრით, ჟინვალის მედალიონები ე.წ. ბერძნულ-ეგვიპტური მაგიური ინტალიოების ზუსტ პირებს წარმოადგენენ. ყველა მათგანი აპოტროპიული ხასიათის ავგაროზია. ამ მოსაზრების გამოთქმისას იგი ეყრდნობა ანალოგიურ გამოსახულებებთან დაკავშირებით დელატ-დერშენის განსაზღვრას [7, გვ. 230].

ჟინვალის ყველა საკიდი-ავგაროზი ერთიდაიგივე სახელოსნოდან გამოსული ნივთია. ისინი ერთი შაბლონის მიხედვით არის დამზადებული. მათი იმპორტულ მასალად მიჩნევა არ შეიძლება იმის გამო, რომ გორგონას თავის გამოსახულებიანი მძივების უმრავლესობა წუნდებული ჩამონასხმია. ხოლო წუნდებული ნივთის შემოტანა გაუმართლებელი იქნებოდა, რადნგანაც ეს ნივთები ავი თვალისაგან დასაცავ მაგიად იყვნენ განკუთვნილნი. ამგვარად, „ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული ავგაროზი-საკიდები იბერიის ტერიტორიაზე არსებულ სახელოსნოშია დამზადებული უცხო შაბლონების მიხედვით“ [1, გვ. 27-28].

ლიტერატურა:

1. **ლორთქიფანიძე მ.** ჟინვალის გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები. ხელნაწერი. 1989-95 წწ. ინახება ქ. თბილისში აკც-ს მ. ლორთქიფანიძის სახ. კლასიკური არქეოლოგიის კაბინეტში.

2. **ჩიხლაძე ვ.** არაგვის ხეობა პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში. ი.მ.კ. დისერტაცია. 1999, გვ. 5.

3. **ჩიხლაძე ვ.** ჟინვალის სამაროვანი, კრ. არქეოლოგიური ძიებანი II, III, თბ., 1982, გვ. 92-102.

4. **Абдуразаков А.А., Безбородов М.А., Заднепровский Ю.А.** Стеклоделие Средней Азии в древности и средневековье, Ташкент, 1963.

5. **Алексеева Е.М.** Античные бусы Северного Причерноморья. Свод арх. источ. КИ-I, М., 1975; КИ-II, М., 1978; КИ-III, М., 1980.

6. **Dalton O.M.** Britisch Museum, London, 1901.

7. **Delatte-Derchain,** Lesintaille mayine greco-egyptiennes, Paris, 1964, p. 230.

8. **Keller O.** Antike fauna, I, Leipzig, 1909.

9. **Syria,** Paris, 1935, p. 43.

I


144
143
147
148
149
150
137
136
141
140
139
138
135
145
142
146
0
5 sm
0 1 2
09-XXV-76 სამარხი № 66

II






212
207
172
188
190
197
202
203
211
196
200
210
199
193
195
213
209
208
198
191
201
204
206
205
174
187


09-XXV- -28
1
3
4
2
5
6
0
5

დოდო ლეკაშვილი

ქარვის მძივები მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში

„დიდი მცხეთის“ გვიანანტიკური ხანის სამარხებში უამრავი სხვადასხვა მასალისაგან (სარდიონი, გრანატი, გიშერი, ქარვა, აქატი, ქალცედონი, მალაქიტი, ზურმუხტი, ლაზურიტი, მთის ბროლი, ტალკი, ერთფერი და მრავალფერი მინა, პასტა, თიხა, ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო) დამზადებული მძივები და ფიგურული საკიდები აღმოჩნდა. მათგან ყურადღებას იქცევს ქარვის მძივები, რომელიც ასობით გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 11 მათგანში დადასტურდა - სულ 56 ცალი და არ გვხვდება ყველა სამაროვანზე.

ქარვის მძივები მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით - სფეროსებრი, მოგრძო, ოვალურ-ქედიანი, სამკუთხა, ცილინდრისებრი, შვინდის ნაყოფისებრი, მსხლისებრი, ვაშლის ნაყოფისებრი, ნიჟარისებრი, გირისებრი, ძაღლის (მგლის) და კუს თავის სკულპტურულ გამოსახულებებიანი, რომელთაც პარალელი არ ეძებნებათ. უმრავლესობა მომრგვალო ან გვერდებშემოჩორკნილია და აქვთ ვიწრო, ცალი ან ორივე მხრიდან გაბურღული საძაფე არხი. ისინი უფრო ხშირად გვხვდება დედაკაცთა და მოზარდთა სამარხებში გიშრის მძივებთან ერთად - ყელზე ან მაჯაზე ასხმული. მცხეთაში, 1975-85 წწ. გათხრილი სამაროვნებიდან ქარვა მხოლოდ სამთავროს, კარსნისხევის და სვეტიცხოველის V სამაროვნებზე დადასტურდა.

ქარვა ორგანული ნაერთების მინერალთა კლასს განეკუთვნება და წარმოადგენს პალეოგენური ხანის წიწვოვან მცენარეთა განამარხებულ ფისს. იგი ამორფულია და გვხვდება ნაღვენთი, წვეთისებრი და ლინზისებრი წარმონაქმნების სახით - ყვითელი, წითელი და თეთრი ფერისა. აქვთ კარგი დიელექტრული თვისებები. სახელწოდება მიიღო სპარსული „ქაჰრუბასაგან“, რაც „ჩალის მიმტაცებელს“ ნიშნავს. ქარვების ჯგუფში გაერთიანებულია 30 სახესხვაობა. მათი საბადოები თხელი ზღვის აუზებშია, სადაც არის ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატი და წიწვოვან-ფოთლოვანი მცენარეები. ქარვის ქიმიური ფორმულაა $C_{10}N_{16}O$ [27, გვ. 183; 9, გვ. 191]. ხშირად ქარვაში გაქვავებულია მწერები (ბუზი, ხოჭო, ჭიანჭველა), ფოთლები და სხვა, რასაც ს.ს. ორბელიანიც აღნიშნავს. მისთვის მხოლოდ ყვითელი ქარვაა ცნობილი, რომელიც ლიტვის ზღვაში მოიპოვება [11, გვ. 366].

ქარვის დამაელექტროებელი და სამკურნალო თვისებები ძველთაგანვე იყო ცნობილი. პლინიუსი მოგვითხრობს, რომ ერთი ცალი მძივი უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ერთი მონა. მას, მოპოვებასა და მინარევებისაგან გაწმენდის შემდეგ, ზეთში ხარშვით ელვარებას აძლევდნენ და უფრო მიმზიდველს ხდიდნენ [23, გვ. 326-329], ხოლო მისი მაგიური თვისებები ხალხში ფართოდ იყო გავრცელებული [28, გვ. 294] და მრავლად ამზადებდნენ მისგან წამლებს თუ ამულეტებს.

ქარვა საქართველოში უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა. იგი ამკობს თრიალეთის შუაბრინჯაოს ხანის № 17 ყორღანში აღმოჩენილ ოქროს თასს და გვხვდება ბრინჯაო-რკინის ხანის სამარხებშიც [14, გვ. 123, 183]. მათი რაოდენობა მატულობს ანტიკურ ხანაში - მრავლადაა ბრილის ძ.წ. VI–IV სს. სამარხები [6, გვ. 47]. ფიჭვნარის ძ.წ. V ს-ის სამაროვნის ქარვის ოთხწახნაგა მძივები იმეორებენ სარდიონის მძივთა ფორმებს [21, გვ. 49]. ვანის ნაქალაქარზე კი მხოლოდ № 11 სამარხშია აღმოჩენილი - 9 ცალი, მათგან ერთი სფეროსებრია, 8 - ბრტყელი, ძ.წ. V ს. [4, გვ. 98]. დასავლეთ საქართველოში ისინი დადასტურდა ნიგვზიანის [22, გვ. 36], მუხურჩას [18, გვ. 60-71], მერხეულის [3], გუადიხუს [26, გვ. 75], წითელი შუქურის [26, გვ. 190] სამაროვნებზე. ელინისტურ ხანაში მათი რიცხვი ძლიერ შემცირებულია, რაც გალების შემოსევის შედეგად „ქარვის გზის“ ჩაკეტვას უკავშირდება [25, გვ. 233]. აღმოსავლეთ საქართველოში, კავთისხევში, „დაჭრილების“ სამაროვნის № 24 ქვევრსამარხში (ძ.წ. IV–III სს.) 5 ცალი ქარვის მძივია [10, გვ. 38]. ისინი არ აღმოჩენილა კამარახევის [16], მუხათგვერდი II [2] ელინისტური ხანის სამაროვნებზე და სამთავროს ქვევრსამარხებში [5].

რომაულ ხანაში ქარვა კვლავ პოპულარული ხდება. იგი დადასტურდა არმაზისხევის № 3 ქვაყუთში, 2 ც. III ს-ის მეორე ნახევარი [1, გვ. 59]. სამთავროს ჩრდილოეთის უბანზე ასობით სამარხიდან კი მხოლოდ 16 სამარხში - აქედან ერთი სკარაბეოიდია, ერთიც - ხელის აპოთროპული გამოსახულება [20, გვ. 131]. ახალი ჟინვალის № 1 სამარხის (დედა-შვილი) მძივი ცილინდრისებრია, № 28 სამარხისა კი - დაბრტყელებული, 1 ც. [12, გვ. 84, 107]. ქუშანაანთგორის № 4 სამარხში 4 ცალია, III ს-ის II ნახევარი [13, გვ. 44], ჭერემის № 2 ქვაყუთში - 1 ცალი, - სფეროსებრი, № 11 ქვაყუთში - 1 ცალი. III ს.

№13 ქვაყუთში - 6 მძივსაკიდია III ს. მეორე ნახევარი [8, გვ. 84, 98, 102], კლდეეთში №2 ქალის სამარხში - 15 ცალი, № 1-ში კი 4 ცალი II ს. [7, გვ. 56].

ქარვის მძივების რაოდენობა მატულობს III-IV საუკუნეების სამარხებში, დახვეწილია ფორმები, შეინიშნება ფიგურული მძივების და საკიდების სიმრავლე. ადრეფეოდალურ ხანაში კი უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და გარდა მძივებისა, იგი გამოიყენება საკინძების, ბეჭდების, საყურეების შესამკობად.

ჩრდილო კავკასიაში, პაშკოვსკის და ბორისოვსკის სამაროვნებზე (IV-V სს.) ქარვის მძივებს პირველი ადგილი უჭირავს. იგი წითელი ფერისაა, დაფარულია ყვითელი ქერქით, მკვეთრად გამოირჩევა რომაული ხანის ყვითელი, გამჭვირვალე ქარვისაგან და რუმენიტის სახესხვაობას წარმოადგენს. მსგავსი მძივები აღმოჩენილია ზემო ყუბანში, ყაბარდო-ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთში, ყირიმში, დაღესტანში, წებელდაში [19, გვ. 50].

მცხეთის სამაროვნებზე აღმოჩნილი ყველა მძივი წითელი ფერისაა, დაფარულია ყვითელი ქერქით და გადანატეხში მუქ წითლად კრისტალიზებულია. მინერალოგიური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ იგი რუმენიტის სახესხვაობაა, განსხვავდება ბალტიისპირული სუკცინიტისაგან-ყვითელი ქარვისგან და შესაძლოა ჩვენში შემოჰქონდათ ბირმის ცნობილი საბადოებიდან [9, გვ. 75].

ქარვის საბადო ცნობილია ჩრდ. აზერბაიჯანში (შაუმიანის რ-ნის, ყარაჩაის ხეობა, ზემო აგჯეჯანდის, აპტ-ალპური ასაკისა). ადრე, ლიტერატურაში იგი განსაზღვრული იყო კოპალიტის სახესხვაობით, შემდგომი ანალიზებით კი დადგენილია, რომ იგი რუმენიტია [27, გვ. 17-27]. საბადოს გამოყენებაზე ისტორიული ცნობა არ არსებობს [9, გვ. 74-75], მაგრამ შესაძლოა იგი ცნობილი იყო ძველადაც. თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, შახდაღის და მროვდაღის მთიანეთში მოიპოვება აქატი, ქალცედონი, იასპი, სარდიონი, მთის ბროლი და ვარაუდობენ მათ ადგილობრივ დამზადებას [29, გვ. 181]. ქარვის მძივები აღმოჩენილია სომხეთის [30] და აზერბაიჯანის [29, გვ. 151] გვიანანტიკური ხანის სამარხებში. ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის სამაროვნებზე ქარვის მძივები მრავლდაა. ძვ.წ. VI-V საუკუნეებით მხოლოდ 1 ცალი მძივი თარიღდება, მათი რიცხვი მატულობს ძვ.წ. I საუკუნიდან და უფრო მეტია III-IVს-ის სამარხებში [17, გვ. 23-ის ცხრილი].

უძველესი ავტორების ცნობით (პლინიუსი, ტაციტი, ჰეროდოტე) ქარვის მძივებს ამზადებდნენ რომში და, მრავალ სახელოსნო ცენტრებში, სადაც მისი ნედლეული აღწევდა [17, გვ. 23-24]. შესაძლოა ასეთი სახელოსნო არსებობდა ქართლის უძველეს დედაქალაქ მცხეთაშიც, სადაც იგი შემოჰქონდათ ნედლეულის სახით, კერძოდ კი რომელი ქვეყნიდან - ჯერ კიდევ დასადგენია.

ახ.წ. I-III საუკუნეებში, ქართლის სამეფოში იცვლება პოლიტიკური ვითარება 298 წელს ნისიბინის 40-წლიანი საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, ქართლი ფაქტიურად ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. IV ს-ში მდგომარეობა გაუარესდა და იგი იძულებული იყო არჩევანი გაეკეთებინა ურთიერთმოქიშპე ირანსა და რომს შორის. ქართლის მმართველები ორიენტაციას იღებენ რომზე [15, გვ. 568-569], ეს ცვლილებები თვალნათლივ აისახა მატერიალურ კულტურაზე, კერძოდ კი სამკაულზე - იცვლება ფორმა, ნედლეული, იხვეწება დამზადების ტექნოლოგიური ხერხები. III საუკუნიდან, თითქმის ერთდროულად შემოდის ქარვა, მარგალიტი, მარჯანი, მალაქიტი. მრავალრიცხოვანი ხდება გიშრის მძივები, იგი გამოყენებულია ოქროთი და პიროპით გაწყობილი სამაჯურის, ყუთის დეტალების, სკულპტურული გამოსახულებების დასამზადებლად. ფართოვდება მინის ნაწარმი (საწელსაცხებლე, თეფში, სურა, ოქროს და ვერცხლისშუალედიანი, მრავალფერი მინის მძივები). იცვლება მოდა - მასიურად ვრცელდება მშვილდსაკინძები, ბრტყელი სამაჯურები და საყურეები, რკალწიბოიანი ბეჭდები და სხვა.

მცხეთაში თავს იყრის როგორც დასავლეთის ცნობილი ცენტრებიდან, ისე – აღმოსავლეთიდან პირველხარისხოვანი ნაწარმი - ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, სპარსეთის ყურედან, ინდოეთიდან და სხვა. ყოველივე ეს აისახა იდეოლოგიაზეც - ფართოდ გავრცელდა აჰურამაზდას, ანაჰიტას, აინინას, დიონისეს, დემეტრას, ათენას და სხვათა კულტები. „დიდი მცხეთა“ მსხვილი ადმინისტრაციული სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო და მიაღწია კულტურის და ხელოვნების მაღალ დონეს.

1. ქარვის მძივი, სფერული, ღერძზე ოდნავ დაბრტყელებული, ცილინდრულნახვრეტიანი, კარსნისხევი, კრამიტსამარხი № 32, ინვ. №195, 2 ც. ზომები: 1,5-1-0,3 სმ; II-III სს. სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 124, ინვ. №274, 1 ც. III ს. ქვაყუთი № 207, ინვ. №408, 2 ც; III ს. ქვაყუთი № 295, ინვ. №1242, 1 ც. III ს. თიხის ფილასამარხი №151, ინვ. № 1004, 4 ც. ზომები: 1) 1,7-1-0,2 სმ; 2) 1,5-0,6-0,2 სმ; 3) 1,5-1,1-0,3 სმ; III-IV სს., ორმოსამარხი № 533, ინვ. № 1249, 2 ც. III-IV ს. ქვაყუთი № 905, ინვ. № 2730, ზომები: 2,6-1,8 სმ; 1 ც. III ს.

2. ქარვის მძივი, მოგრძო-ოვალური, ქვედაპირი წაკვეთილი აქვს, ზედაპირი – ამობურცული, ქედიანი. კარსნისხევი, კრამიტსამარხი № 37, ინვ. № 93, ზომები: 0,7-0,4-0,15 სმ. 1 ც. II-III სს.

3. ქარვის მძივი, დისკოსებრი, ძლიერ ვიწრო, ცილინდრულნახვრეტიანი, სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 151, ინვ. № 1004, III-IV სს. სვეტიცხოველი V. ქვაყუთი №35, ინვ. № 509, 1 ც. III-IV სს. მრგვალბრტყელი, გვერდებშემოჩორკნილი, დაფარულია ყვითელი ქერქით, გადანატეხში მოწითალო-მოყვითალოა. ერთი სამკუთხაა. ცილინდრულნახვრეტიანი. სამთავრო, კომბინირებული სამარხი № 134, ინვ. № 323, 20 ც. ზომები: 1) 1,1-1,5-0,1 სმ; 2) 0,8-1,6-0,1 სმ; 3) 0,8-1,2-0,2 სმ; 4) 0,6-1,2-0,2 სმ; 5) 0,7-1,2-0,30 სმ; 6) 0,7-1,2-0,25 სმ. ქვაყუთი № 110, ინვ. № 256, 2 ც. IV ს. - I ნახ. სვეტიცხოველი V, ქვაყუთი № 35, ინვ. №509, 1 ც. III-IV სს.

4. ქარვის მძივი, შვინდის ნაყოფისებრი, შუაში სადა, ბოლოებდახრახნული, ცილინდრულნახვრეტიანი. სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 151, ინვ. № 1004, ზომები: 2-1-0,3 სმ.

5. ქარვის მძივი, ცილინდრული, დაღარული, (გოფრირებული). სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 151, ინვ. № 1004, 1 ც. ზომები: 1,2-1,1-0,4 სმ. III-IV სს. ცილინდრული, სადა, სვეტიცხოველი V, სამარხი № 35, ინვ. № 509, 6 ც.

6. ქარვის მძივსაკიდი, მგლის (ძაღლის?) თავის გამოსახულება. ცილინდრული ნახვრეტი შვეულად აქვს. სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 164, ინვ. № 328, 1 ც. ზომები: 0,7-1,4-0,7 სმ. III-IV სს.

7. ქარვის მძივსაკიდი, კუს თავის გამოსახულება (სქემატურია), სამთავრო, ქვაყუთი № 905, ინვ. № 2730, 1 ც. ზომები: 2,6-0,9 სმ. III ს.

8. ქარვის მძივსაკიდი, „ვაშლის“ ნაყოფისებრი, სიგრძივ დაღარული, ყუნწი ტრაპეციისებრია. სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 164, ინვ. № 328, III-IV სს.

9. ქარვის საკიდი, „მსხლისებრი“, ოვალური ყუნწი ნაჭდევით აქვს გამოყოფილი, ტანის ნახევარი გოფრირებულია, ძირში კოპი აზის. სამთავრო, თიხის ფილასამარხი №151, ინვ. № 1004, ზომები: 1,9-1,3-0,3 სმ. III-IV სს.

10. ქარვის საკიდი გირისებრი, დაბრტყელებულია, ოვალური ყუნწი ნაჭდევით აქვს გამოყოფილი. სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 164, ინვ. № 328, 1 ც. ზომები: 2,3-1,4-0,2 სმ. III-IV სს.

11. ქარვის მძივსაკიდი, ნიჟარისებრი, ყუნწი აკლია, ზედაპირგოფრირებული, სამთავრო, თიხის ფილასამარხი № 164, ინვ. №328, 1 ც. ზომები: 1-1-0,2 სმ; III-IV სს.

ლიტერატურა:

1. **აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ.** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა, ტ. I, თბ., 1955.

2. **აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე, ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ღლონტი ნ.** დიდი მცხეთა - 1979, მცხეთა, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 19-219.

3. **ბარამიძე მ.** მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977.

4. **გიგოლაშვილი ე.** მძივსამკაული, ვანი, ტ. VII, თბ., 1983.

5. **თოლორდავა ვ.** დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980.

6. **ლომთათიძე გ.** არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბ., 1945.

7. **ლომთათიძე გ.** კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

8. **მამიაშვილი ნ., ჯავახიშვილი ჭ.** ჭერემის გვიანრომაული ხანის სამაროვანი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბ., 1984.

9. **მგელიაშვილი თ.** საქართველოს გეოარქეოლოგია, თბ., 1991.

10. **ნაკაიძე ნ.** ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.

11. **ორბელიანი სულხან-საბა.** სიტყვის კონა, თბ., 1949.

12. **რამიშვილი რ.** ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-73 წწ. განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბ., 1983.

13. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979.

14. **საქართველოს არქეოლოგია,** თბ., 1959.

15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970.

16. ჯღარკავა თ. კამარახევი, მცხეთა, ტ. VI, თბ., 1982.

17. Алексеева Е.М. Античные бусы Северного Причерноморья, вып. Г-12, СА, М., 1978.

18. Гогадзе Э.М., Панцхава Л.Н., Дариспанишвили М.В. Работы Носири-Мухурчской экспедиции, ᲜᲜᲛᲐᲔ, V.

19. Деопик В.Б. Классификация бус Северного Кавказа IV-V вв., СА, № 3, М., 1959.

20. Иващенко М.М. Самтаврские погребения первых трех веков н.э., მცხეთა, ტ. III, თბ., 1980.

21. Кахидзе А. Восточное Причерноморье в античную эпоху, Батуми, 1981.

22. Микеладзе Т.К., Барамидзе М.В. Колхидский могильник VII-VI вв. до н.э. в с. Нигвзиани, КСИА 151.

23. Плиний Гай Секунд. Естественная история, СПБ, 1819.

24. Савкевич С.С. Янтарь, Л., 1970.

25. Тарн В. Эллинистическая цивилизация, 1949.

26. Трапш М.М. Труды, II, Сухуми, 1969.

27. Трофимов В.С. Янтарь, М., 1974.

28. Ферсман А.Э. Очерки по истории камня, т. I, М., 1954, т. II, 1961.

29. Халилов А. Материальная культура Кавказской Албании, Баку, 1985.

30. Хачатрян Ж. Гарни V, Античный некрополь, Ереван, 1976.

I



ნინო მირიანაშვილი

ახალი არქეოლოგიური მონაცემები ძალისას ნაქალაქარიდან

მუხრანის ველზე სოფ. ძალისის (მცხეთის რ-ი) მიდამოებში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ითხრება ანტიკური ხანის ნაქალაქარი ძალისა, რომელიც ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებში დასახელებული არ არის. ერთადერთი ცნობა მის შესახებ დაცულია ბერძენი გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის ნაშრომში, სადაც იბერიის ქალაქების ჩამოთვლისას მოხსენიებულია ძალისაც [3, გვ. 46].

ნაქალაქარზე მნიშვნელოვანი არქელოგიური ძეგლები გაითხარა: სასახლეები, საცურაო აუზი, აბანოები, საზოგადოებრივი (ადმინისტრაციული სახლი?) ნაგებობა, მოზაიკური იატაკი, აგურით მოგებული ქუჩისა და მოედნის ფრაგმენტები; თიხის მილებით, ნატეხი ქვითა და ტყვიის მილებით ნაგები ორმაგი წყალსადენები, საკანალიზაციო კოლექტორები, სამგანყოფილებიანი სანიტარული კვანძი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ძალისაში კარგად იყო გადაწყვეტილი ეკოლოგიური პრობლემა. ყველა ნაგებობას საკუთარი წყალსადენები და კანალიზაცია (გენ. გეგმა, 8) გააჩნდა, რომლებიც თავს საკანალიზაციო კოლექტორში იყრიდა და ქალაქის ბოლოს, მდინარე ნარეკვავში ჩაედინებოდა.

ხაზგასასმელია, რომ გათბობის სისტემები იყო მოწყობილი არა მხოლოდ აბანოებში, არამედ ზოგიერთ სასახლეშიც.

მოზაიკურ იატაკებზე არსებული გამოსახულებები – დიონისე, არიადნე, პანი, ფრთოსანი ღვთაებები, ქალები მუსიკალური ინსტრუმენტებით (მუზები), დელფინი, თევზები, ფარშევანგი, მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტები შესრულებულია 12 ფერის კენჭებით. მოზაიკურ იატაკებზე არსებულ ხუთ წარწერაში ორჯერ არის მოხსენებული „პრისკე“ (სასახლის ცენტრალურ დარბაზში და აბანოს თბილი განძოფილების იატაკებზე). ცხადია, რომ პრისკე არის დამკვეთი, სახლის პატრონი, ან უკიდურეს შემთხვევაში, მხატვარ-დეკორატორი და არა ხელოსანი, რადგან მოზაიკები დარბაზსა და აბანოში, სადაც მოხსენებულია პრისკე, აშკარად სხვადასხვა ხელოსნის ნახელავია.

მცირე მასშტაბის სამუშაოებია წარმოებული ძალისას აკროპოლისზე, რომელიც 5 მ სიმაღლის ალიზის გალავნით არის შემოზღუდული. აქ გაითხარა აკლდამა, რომელიც ფრიად ორიგინალურია. ქალაქს სამი სინქრონული სამაროვანი ჰქონია. მათ შორის ერთი განსაკუთრებით მდიდრული ინვენტარის შემცველი. ოქროს სამკაულების გარდა სამარხებში აღმოჩნდა ორი ოინოხოია.

2000 წელს ძალისას ნაქალაქარის კონსერვაცია-რესტავრაციისთვის გამოიყო მსოფლიო ბანკის გრანტი. აქ საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა - სასახლისა და აბანოს ცივი განყოფილების (თბილი განყოფილების მოზაიკა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ლაბორატორიაში ინახება) მოზაიკის იატაკებს, აბანოს, საცურაო აუზს, დიდი სასახლის შადრევნიან აუზსა და ჰიპოკაუსტს. შეკეთდა ნაგებობათა საძირკვლები, გაკეთდა საღვარეები, შეკეთდა მოზაიკების გადახურვა.

საკონსერვაციო სამუშაოების წარმოებისას ძეგლი თითქმის მთლიანად გაიწმინდა მცენარეული საფარისგან და შეიქმნა მისი მთლიანობაში აღქმის საშუალება.

ძალისას ნაქალაქარზე დღეისთვის ცხოვრების ხუთი პერიოდი დაფიქსირდა:

I - 1975 წელს აბანოს გათხრისას საკულტო ოთახის, ატრიუმის და ჰიპოკაუსტიანი დარბაზის ჩრდილოეთით, უშუალოდ მის მიმდებარე ტერიტორიაზე (15 მ x 2-5 მ) გაიწმინდა ძვ.წ. I საუკუნით დათარიღებული ფენა. აღნიშნულ ფართობზე ძირითადად წითლად ანგობირებული და შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები გამოვლინდა (გენგეგმა 9).

II პერიოდში ჩანს აგებული ე.წ. კაზარმული ტიპის ნაგებობა (გენგეგმა 7), რომელსაც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს და შედგება ორ ათეულამდე სხვადასხვა ზომის და დანიშნულების სათავსისგან. როგორც გენგეგმიდანაც ჩანს, იგი საკმაოდ მკაცრი გეგმარებისაა. ამ ნაგებობის დანიშნულების ზუსტად განსაზღვრა არ ხერხდება, რადგან ძეგლი ბოლომდე არ არის გათხრილი. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მოქცეულია მოზაიკურ იატაკიანი აბანოს ქვეშ.

საძირკველი გაკეთებულია წვრილი და საშუალო ზომის რიყის ქვით, რაც მის ადრეულობაზე მიუთითებს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ კომპლექსის გათხრისას იქნა დაფიქსირებული ყველაზე დიდი რაოდენობით მუქი წითელი საღებავით შეღებილი, კარგად გაპრიალებული და ქიმმომრგვალებული კრამიტის ნატეხები.

განხილული ნაგებობიდან აღმოსავლეთით, მისგან საკმაოდ დაშორებით, მდებარეობს ე.წ. სასახლე (გენგეგმა 1). მისი საძირკველი, ისევე როგორც აღწერილი ნაგებობებისა, გაკეთებულია წვრილი და საშუალო ზომის რიყის ქვით. სასახლის ფართობია 1722 მ^2, გარდა საცხოვრებელი ოთახებისა, გაიწმინდა გალერეა-დერეფანი, რომელიც საცხოვრებელ ოთა-

ხებსა და ატრიუმს შორის მდებარეობს. ატრიუმის ფართობია 367 მ^2, მას პერიმეტრზე 24 სვეტი ამშვენებდა. შემორჩენილია სვეტის ძირები - ბაზები 5 ც., რომლებიც გრანიტისგანაა გამოკვეთილი.

სასახლის ჩრდილო-დასავლეთი კუთხის ოთახის ზღურბლზე გატარებულია ორმაგი წყალსადენი (გენგეგმა, 10), რომელიც აბანოს ამარაგებდა წყლით. № 10 ოთახის წინ, დერეფანში, გაიწმინდა სამარხი, რომელიც II-III სს. არის. სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილის საძირკვლებზე დაშენებულია მოზაიკურიატაკიანი კომპლექსის დარბაზები. მოზაიკურიატაკიანი კომპლექსი ზედმიწევნით ზუსტად თარიღდება III საუკუნით [8, გვ. 63].

პერისტილური სასახლის გათხრებისას გამოვლენილი კერამიკა იდენტურია ე.წ. დიდი სასახლის გათხრებისას მოპოვებული კერამიკისა.

აღსანიშნავია, რომ არც ერთ ამ ძეგლზე არ დადასტურებულა დაბალკედლიანი მრგვალი ჭრაქები, რომლებიც დიდი რაოდენობით ვრცელდება ძალისაში ახ.წ. III საუკუნის შუა ხანებიდან.

სასახლე (გენგეგმა, 3), პირობითად ის დიდ სასახლედ იწოდება და ოცდაათამდე სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების ოთახისგან შედგება. მათ შორისაა აფსიდიანი ოთახი, ატრიუმი, რომელსაც შადრევნიანი აუზი ამშვენებს, სამგანყოფილებიანი სანიტარული კვანძი და, რაც მთავარია, სრულიად უნიკალური ჰიპოკაუსტი. გათბობის არსებული, საკმაოდ ორიგინალურად მოწყობილი სისტემის შესწავლის საფუძველზე უეჭველი ხდება, რომ ნაგებობა თბებოდა არა მხოლოდ იატაკიდან, არამედ კედლებიდანაც.

სასახლის გათხრისას აღმოჩნდა: წითლად ნაპრიალები თიხის ჭურჭლის ნატეხები, წითლად შეღებილი და ქიმჩასწორებული კრამიტის ნატეხები, კაპიტელის ნატეხები ცხოველების, ნადირობის სცენების გამოსახულებებით და არამეული წარწერებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასახლის რიგ სათავსებში იატაკები და ზღურბლები თეძმის ტუფით იყო მოპირკეთებული. ტუფითა და ქვიშაქვის ფილებით იყო მოგებული ატრიუმი, ხოლო აუზი გაცილებით მაგარი ჯიშის ქვის ფილებით არის აგებული. ატრიუმის ფართობია 69,6 მ^2. აუზის ფართობია 28,5 მ^2.

კიდევ ერთი სასახლე (გენგეგმა, 4^3), რომელიც შემდგომ აბანოს შემადგენლობაში აღმოჩნდა, შედგებოდა რამდენიმე დარბაზისგან (დიდი დარბაზის სარდაფში ჰიპოკაუსტია მოწყობილი), სატაძრო თუ საკულტო ოთახისა და ატრიუმისგან, რომელსაც დაბალბორდურებიანი კვადრატული შადრევნიანი აუზი ამშვენებს.

საკულტო ოთახის და ატრიუმის იატაკი მოგებულია თეძმის ტუფისა და ქვიშაქვის ფილებით. დიდი დარბაზის იატაკი კი, რომელიც ჰიპოკაუსტის ჭერს წარმოადგენს, ისევე როგორც დიდ სასახლეში, გამართულია დიდი ზომის 0,6 მ x 0,6 მ თიხის ფილებით, ზემოდან კი 0-10 _ 0-12 მ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარია დასხმული. იატაკი ორივე შემთხვევაში მუქი შინდისფერი იყო.

ნაქალაქარზე დაფიქსირებული II პერიოდი ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებს მოიცავს.

III პერიოდი ნაქალაქარზე III-IV სს-ით არის წარმოდგენილი. ამ პერიოდშია აგებული მოზაიკურ იატაკებიანი კომპლექსი (გენ.გეგმა, 2), აბანო (გენ.გეგმა, 4) და აუზი (გენ.გეგმა 5). ეს ნაგებობები ხანგრძლივად არსებობდნენ. დაფიქსირებულია მათი არაერთგზის შეკეთება-გადაკეთების კვალი. მოზაიკის იატაკებიანი სასახლე (გენ. გეგმა, 2) აგებულია III საუკუნეში. ამავე საუკუნის 30-70-იან წლებში კეთდება მოზაიკური იატაკები [8, გვ. 63]. კრამიტყრილში ქრება წითლად შეღებილი და ქიმმომრგვალებული კრამიტები. ჩნდება ზემოთ ნახსენები ჭრაქები.

ისევ აბანოს შესახებ (გენ.გეგმა, 4). აბანოს მშენებლობისას მის შემადგენლობაში აღმოჩნდა უკვე არსებული სასახლის დიდი ნაწილი. აბანოს კალორიფერების ნაწილი კვადრატული აგურებით არის შეცვლილი. კრამიტები გაუხეშებულია; გამქრალია ანგობი. აბანოს დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ლუთერიუმის, ჩაფების, სწორკიდეებიანი ჯამების და სამტუჩა დოქის ნატეხები. ცეცხლფარეშის ოთახში დიდი რაოდენობით ჭრაქები დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ წყალსადენი, რომელიც აბანოს ამარაგებს წყლით, ჩადგმულია პერისტილური სასახლის ერთ-ერთი ოთახის ზღურბლზე (გენ.გეგმა, 10).

ამავე პერიოდისაა საცურაო აუზიც (გენ.გეგმა. 5). მისი მშენებლობისას დაზიანებულია დიდი სასახლის მკვებავი წყალსადენის ნაწილი. აუზის აღმოსავლეთი აფსიდა უშუალოდ არის მიდგმული დიდი სასახლის ყრუ კედელზე, რაც იმის დასტურია, რომ აუზის მშენებლობისას დიდი სასახლე უკვე აღარ ფუნქციონირებს.

აბანოს თავდაპირველი სახის აღსადგენად საჭირო გახდა სატაძრო ოთახის სამხრეთ კედელში არსებული ჩანაშენების მოხსნა. აღმოჩნდა, რომ აქ არსებულა გასასვლელი, რომელიც ზუსტად არის ორიენტირებული აუზის ჩრდილოეთი აფსიდისკენ, რომელზეც, რომელიღაც ეტაპზე, მიშენებულია აუზში ჩასასვლელი კიბე. სავარაუდოა, რომ ეს ორი ნაგებობა გარკვეულ პერიოდში ერთ კომპლექსში უნდა ყოფილიყო გაერთიანებული. თუ რომელია ეს პერიოდი, პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება არქეოლოგიური გათხრების განახლების, აკროპოლისის შესწავლის შემდეგ, რადგან ეს კიბე აშენებულია კვადრებისგან, რომლებსაც რკინის გადასაბ-

მელებისთვის ფოსოები აქვს ამოკვეთილი, რომლებიც მხოლოდ აკროპოლისზე გათხრილ აკლდამაზე და დიდი სასახლის აუზის ფილებზე გვხვდებოდა.

IV პერიოდს (III-IV სს.) ნაქალაქარზე წარმოადგენს ე.წ. ადმინისტრაციული ნაგებობა (გენ.გეგმა, 6) და აკლდამა. სრულიად განსხვავებული გეგმარებისაა ე.წ. ადმინისტრაციული შენობა. ის 9 სხვადასხვა ზომისა და ფორმის დარბაზისგან შედგება. მისი ფართობია 703-7 $მ^2$. ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი სწორია. სამხრეთით ოთახებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოხაზულობის კედლები აქვს. მაგალითად, №№ 2, 4, 6 და 9 ოთახებს სწორი კედლები, № 3 და № 7 ოთახებს კი მორკალური აფსიდები, ხოლო ცენტრალურ დარბაზს - № 5, წახნაგოვანი აფსიდა აქვს. ადმინისტრაციული შენობის გვიანი ხანით დათარიღების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ მისი მშენებლობის ტექნიკა საკმაოდ განსხვავდება სხვა ნაგებობებზე დადასტურებულისგან და რომ ამ ნაგებობის გამართვისას გამოყენებულია სხვა ნაგებობებიდან აღებული დეტალები: კაპიტელის და კარნიზის ნატეხები, საცურაო აუზის კედლებიდან მონგრეული შელესილობის ფრაგმენტები და მოსაპირკეთებელი კვადრები, აგურები და კრამიტის ნატეხები. გათხრებისას გამოვლენილია აგრეთვე გვიანდელი ხანის კრამიტები და კერამიკა (ძირითადად ყელწიბოიანი მაღალი ხელადები და სფერულმუცლიანი ქოთნები).

აკლდამა, რომელიც გამონაკლისის გარეშე აგებულია მეორადი გამოყენების კვადრებითა და არქიტექტურული დეტალებით, მასში გამოვლენილი ინვენტარის მიხედვით V საუკუნით თარიღდება. გვიანდელი ჩანს და V პერიოდს განეკუთვნება აბანოს ჩრდილოეთით მდებარე ნაგებობათა ცუდად შემონახული ნაშთები და მოზაიკის იატაკებზე გამართული მარანი. ამავე პერიოდის ცუდად შემონახული ნაშთები გაითხარა დიდი სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ამდენად, დღეისთვის არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დასკვნათ, რომ ძალისას ნაქალაქარზე ყველაზე ძველი ფენა განეკუთვნება ძვ.წ. I საუკუნეს. ამ დასახლების მცხოვრებნი საუკეთესო ნახელავ თიხის ჭურჭელს იყენებდნენ.

II ეტაპით ანუ I-II საუკუნეებით იწყება ქალაქობის ხანა და სწორედ ეს ქალაქია პტოლემაიოსისეული ძალისა.

I საუკუნეში შენდება არქიტექტურულად ორგად გაფორმებული შენობები, რომელთაგან ძირითადად ე.წ. სასახლეები შემორჩა. გათხარ ნაგებობათა შორის ყველაზე ხანგაზმული უნდა იყოს ყაზარმული ტიპის ნაგებობა და პერისტილური სასახლე. ყაზარმული ტიპის ნაგებობა ბოლომდე არ არის გათხრილი. მასზე კატეგორიული მსჯელობა მხოლოდ ძეგლის ბოლომდე გათხრის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

გაცილებით მასშტაბურია პერისტილური სასახლე. მისი სინქრონული უნდა იყოს ე.წ. დიდი სასახლე და სასახლე, რომელიც მოგვიანებით აბანოს შემადგენლობაში შედის. ამრიგად, II ეტაპის სამივე სასახლისთვის დამახასიათებელია მშვენივრად მოწყობილი ატრიუმები, შადრევნიანი აუზები და, რაც მთავარია, უმაღლეს ტექნიკურ დონეზე მოწყობილი გათბობის სისტემები, რასაც ვერაფრით ვერ ვიტყვით, I ეტაპის ნაგებობებზე.

III ეტაპზე, რომელიც III-IV სს. მოიცავს, სასახლეებს უკვე საკუთარი აბანოები აქვს. ამავე პერიოდში ჩანს აგებული საცურაო აუზიც.

IV ეტაპი მოიცავს V-VII სს. ამ დროს შენდება სხვადასხვა მოხაზულობის აფსიდების მქონე, საკმაოდ ორიგინალური გეგმარების ნაგებობა, რომელიც ადმინისტრაციული სახლი უნდა ყოფილიყო. V საუკუნეში უნდა იყოს აგებული აკროპოლისზე მიკვლეული აკლდამა.

ძალისა ინგრევა მურვან-ყრუს შემოსევისას. ნგრევა იმდენად ძლიერია, რომ ნაქალაქარზე 0,5-0,7 მ სისქის ნაცარ-ნახშირის და სამშენებლო მასალის შემცველი ფენა წარმოიქმნება და საბოლოოდ წყდება საქალაქო ცხოვრება.

V პერიოდის ძალისა არის მურვანყრუს შემოსევის შემდეგ წარმოქმნილი დასახლება, რომელიც ნაქალაქარის ტერიტორიას ემთხვევა. ის ფაქტი, რომ ამ ტერიტორიაზე დღესაც არსებობს სოფელი ძალისი, მიუთითებს იმაზე, რომ ამ ადგილებში ცხოვრება უწყვეტლივ მიმდინარეობდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქმშენებლობის აღმავლობა ძალისაში ახ.წ. I საუკუნეში იწყება და ამისთვის ცხადია, გარკვეული მასტიმულირებელი წინაპირობა არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ ფაქტი, რომ I საუკუნე კავკასიაში იბერიის ჰეგემონობის ხანაა [7, გვ. 338-339] და ქვეყნის ძლიერება მართლაც ქმნიდა ხელსაყრელ ფონს ქალაქმშენებლობის აყვავებისთვის (გარდა გამოვლენილი ძეგლებისა, ჯერ კიდევ გასათხრელია ქალაქის დედაციხე _ აკროპოლისი, სადაც ძირითადად საზოგადოებრივი ნაგებობების არსებობაა სავარაუდო და სამაროვანი). ძალისას შემთხვევა სრულიად განსაკუთრებულია და იქ დაფიქსირებული დემოგრაფიული ბუმი რაღაც ძალზედ მნიშვნელოვანი და, რაც განსაკუთრებით არის აღსანიშნავი, ლოკალური, კონკრეტული მოვლენის გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ.

ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეფე ადერკმა თავის შვილებს ბარტომსა და ქართამს გაუყო „ყოველი ქვეყანა თვისის". ქართამს რგებია „მუხნარით კერძი ქალაქი"-

მტკვრის სამხრეთით ქართლი და კლარჯეთი [5, გვ. 43]. ამავე ცნობით, ქართლის გაყოფა I საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა [5, გვ. 35]. თუ ძალისას „მუხნარით კერძ ქალაქად" მივიჩნევთ, რაც სავსებით ლოგიკურია, მაშინ იგი მართლაც სპასპეტის რეზიდენციად, ხოლო ორმეფობის ხანაში, ქვეყნის ერთ-ერთ დედაქალაქად გვევლინება [1, გვ. 24]. არსებული ვერსიის თანახმად, ძალისა, როგორც ქალაქი, არსებობას IV საუკუნეში წყვეტს და იგი მოსახლეობამ გადაწვა და მიატოვა [1, გვ. 15].

III პერიოდში ხდება ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რასაც ძალისაში აუცილებლად მოყვებოდა ცხოვრების წესის შეცვლა. შესაძლოა აკროპოლისზე მართლაც დაენგრიათ წარმართული ტაძარი და სწორედ ამ დანგრეული ტაძრის არქიტექტურული დეტალებით უნდა იყოს აგებული აკლდამა.

რაც შეეხება ძალისას დანგრევას, ეს ხდება მურვან-ყრუს შემოსევისას, VIII საუკუნის 30-იან წლებში. ძალისას დღეისთვის გათხრილი ნაწილი მისი ცენტრალური, ელიტური უბანი უნდა იყოს, რომელიც აუგიათ არქიტექტურული წესების დაცვით. თვალსაჩინოა ფუფუნებით ცხოვრების კვალი და რომაული კულტურის გავლენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქის აღშენებლობა ძირითადად I-V სს. მოდის, რომაული გავლენა სრულიად ბუნებრივია, რადგან ამ პერიოდში რომი, რომელმაც კარგად იცოდა კავკასიის და კერძოდ, საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა, გარდამავალი წარმატებით ცდილობდა მის დაქვემდებარებას. რომის გავლენა ქართლის სამეფოზე დასტურდება ძირითადად პომპეუსის შემოსევის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ინტენსიური სამონეტო მიმოქცევა, ვრცელდება რომაული გლიპტიკური მასალა, იტალიკური ბრინჯაოს ჭურჭელი და სხვ. ძალისას მაგალითზე თვალნათლივ ჩანს რომაული არქიტექტურის გავლენა სასახლეების, აბანოების, საცურაო აუზისა და გათბობის სისტემების მოწყობაში. ასევე ნიშანდობლივია ტყვიის მილებით შედგენილი წყალსადენის არსებობის ფაქტიც. რომაული კულტურის გავლენის საუკეთესო მაჩვენებელია სასახლისა და აბანოს იატაკების მოზაიკებით დამშვენება. ანალოგიები აქაც რომის პროვინციებშია დადასტურებული. მიუხედავად იმისა, რომ I-II სს-ში რომს არ შესწევდა ძალა იბერიის დასამორჩილებლად და მხოლოდ მოკავშირეობით კმაყოფილდებოდა, მცირე რომაული გარნიზონის იბერიაში (ძალისში) დგომა გამორიცხული არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ ამ ფაქტის არსებობას არც ისტორიული წყაროები უარყოფენ [6, გვ. 5]. თუ დავუშვებთ, რომ ძალისა მართლაც იყო სპასპეტის რეზიდენცია, მაშინ აქ გათხრილი ე.წ. ყაზარმული ტიპის ნაგებობა შესაძლოა მართლაც რომაული გარნიზონის სადგომად ყოფილიყო აგებული.

აღნიშნულ პერიოდში იბერია მნიშვნელოვნად გაძლიერდა. წარმატებული ლაშქრობები დიდძალი სიმდიდრის დაგროვებისა და ტყვეების (უფასო მუშახელის) მოპოვების საშუალებას იძლეოდა. ეს ყველაფერი კარგად აისახება ძალისაზე. მისი დიდებული ნაგებობები სწორედ იაფი მუშახელის, ტყვეების ნახელავი უნდა იყოს, რომლის ყოლაც სპასპეტისთვის პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

ანტონინე პიუსის (138-161 წ.წ.) დროს იბერიასა და რომს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდა. მან სცნო იბერიის ტერიტორიული პრეტენზიები. ისტორიული ფაქტია, რომ რომის ერთ-ერთ ტაძარში მეფე ფარსმანის ქანდაკება იდგმება.

III საუკუნეში სასანიდების ძლიერი სახელმწიფოს წარმოშობამ საგრძნობლად შეცვალა იბერიის გარემოცვა. 30-40-იან წლებში ქართლი მის შემადგენლობაში მყოფ ქვეყნად განიხილებოდა, თუმცა ამაზასპის დროს ის ისევ ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყანაა.

ნისიბინის ზავით (289 წ.) კი იბერიაზე ისევ რომის პროტექტორატი ვრცელდება. მომდევნო პერიოდიც საკმაოდ ცვალებადია. IV საუკუნის დასაწყისში სასანიანთა ირანის გაძლიერებას ქართლში მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება მოყვა. თუმცა, რომის იმპერიის ცენტრის აღმოსავლეთით გადმონაცვლებას რომის (ბიზანტიის) პოზიციების გამაგრება მოჰყვა. ქართლი ისევ რომზეა ორიენტირებული. შედეგი - ქრისტიანობა და მისი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაა, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა ცხოვრების მრავალ სფეროში.

ამრიგად, ნასტაკისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ქართლის სამეფოს (იბერიის) ერთ-ერთი ქალაქი და მოგვცა საშუალება ახლებურად დაგვენახა ანტიკური ხანის ქალაქური ცხოვრების მრავალი ასპექტი, მათ შორის სახელმწიფოებრივი მოწყობისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობების საკითხები.

ლიტერატურა:

1. **ბოხოჩაძე ალ.** ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქების ზოგიერთი საკითხი (ძალისა), საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II, თბ., 1978.

2. **გგასალია ჯ.** ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, 19[illegible].

3. **კლავდიოს პტოლემაიოსი.** გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოსცა და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის," თბ., 1955.

4. **ლომოური ნ.** შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თსუ შრომები, 1964, ტ. 107,

5. **ქართლის ცხოვრება,** ტ. I, თბ., 1955.

6. **Гвасалия Дж.** Из исторической географии Картли, автореферат, 1971.

7. **Меликишвили Г.** К истории древней Грузии, Тб., 1959.

8. **Odiŝeli M. D.** Spatanti Ke und frühchristliche Mosaike in Georgien, Wien, 1995.

9. **Tacitus C.** Annales, IV.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. ნაქალაქარის გენ.გეგმა.

ტაბ. II, 1. პერისტალური სასახლე და წყალგაყვანილობა.

ტაბ. II, 2. საცურაო აუზი – გათხრების პროცესი.

ტაბ. III, 1. ე.წ. დიდი სასახლე. ატრიუმი აუზითა და შადრევნით.

ტაბ. III, 2. ე.წ. ადმინისტრაციული სახლი.

I


1. პერისტილური სასახლე
2. მოზაიკის ოატაკიანი სასახლე და მცირე აბანო
3. დიდი სასახლე
4. დიდი აბანო
5. საცურაო აუზი
6. ადმინისტრაციული კომპლექსი
7. ქაზარმული ტიპის ნაგებობა
8. წყალგაყვანილობა
1
2
3
4
5
6
7
8

II





1



2

ვახტანგ ლიჩელი

მესხეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარები (ოძრხე, ზადენი, ოკამის გორა)

საქართველოს უძველესი ქალაქების კვლევას საფუძველი ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა ჩაუყარა. მისი გამოკვლევა, რომელიც 1850 წელს გამოიცა თბილისში საქართველოში ძველად და იმჟამად არსებული ქალაქების შესახებ, მრავალი ათეული წლის მანძილზე სამაგიდო წიგნი იყო და თავისი გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ამ ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი იმ ხანისათვის ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროები და ისტორიული ინფორმაცია საქართველოს უძველესი ქალაქებისა და სამოსახლოების შესახებ. ამ ღვაწლის დაფასების ორიგინალური იდეა ჰქონდა აკად. ოთ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც, სამწუხაროდ არ დასცალდა მისი განხორციელება.

წინამდებარე თემა მიზნად ისახავს ერთად მოუყაროს თავი სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ანტიკური ხანის ქალაქების, აგრეთვე იმ სამოსახლოების შესახებ დაგროვილ ინფორმაციას, რომელთა ადმინისტრაციული ან პოლიტიკურ – ეკონომიკური დატვირთვის პრობლემები ჯერ კიდევ შეუსწავლელია. მსგავსი სამუშაო ჯერ არ ჩატარებულა, თუმცა როგორც წერილობითი წყაროების, ისე არქეოლოგიური და ხუროთმოძღვრული ნაშთების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ საჭიროა მათი ერთიან სისტემაში მოქცევა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ აწყურის არქეოლოგიური კვლევის დაწყებამდე სამცხე – ჯავახეთის ტერიტორიაზე ანტიკური ხანის ქალაქების კვლევას არ ჰქონდა გეგემაზომიერი ხასიათი და მათი შესწავლა ხდებოდა შემთხვევიდან შემთხვევამდე, იმის შესაბამისად, თუ რამდენად ხდებოდა საჭირო ამ ხანის ფენების გამოკვლევა სხვა, ძირითადად ბრინჯაოს ხანის ძეგლების გათხრების დროს. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ანტიკური ხანის ქალაქები სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუსწავლელია. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო დღემდე დაგროვილი მასალის ერთად თავმოყრა და იმისა დადგენა თუ რა ეტაპზეა რეალურად საქართველოს ამ უმდიდრესი მხარის კვლევა პალეოურბანიზაციის თვალსაზრისით და რა პერსპექტივები არსებობს სწორი მეცნიერული მენეჯმენტის შემთხვევაში.

ამ თემაში საუბარი იქნება სამცხე-ჯავახეთის სამი დასახლების – ოძრხის, ზადენისა და ოკამის გორის – შესახებ, რომლებიც მეტ-ნაკლებად მოექცა მკვლევართა ყურადღების ცენტრში.

ოძრხე. ოძრხე იმ ძეგლთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის მიკვლევასა და შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძველი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის კვლევისათვის. მიუხედავად ამისა, ეს ქალაქი ჯერ კიდევ საბოლოოდ არაა ლოკალიზებული, თუმცაღა ამისი არაერთი მცდელობა იყო.

ოძრხის ლოკალიზაციის საკითხი ოდითგანვე ყურადღებას იქცევდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამ თემას ძველი საქალაქო ცხოვრების პირველი ქართველი მკვლევარი პლატონ იოსელიანი [6, გვ. 58] შეეხო და მისი ადგილმდებარეობა ოძრხის წყლის მიმდებარე ტერიტორიით განსაზღვრა. იგი წერდა: „ოძრხე. ზემო ქართლში მდებარეობს, მდ. ოძრხეზე, რომელიც ახალციხისწყალს ერთვის. დაარსებულია საქართველოს ისტორიის უადრეს ხანაში. იყო ერისთავის რეზიდენცია და მთავარი ქალაქი ოლქისა, რომლისაგანაც მიიღო კიდეც სახელი ოძრხე. საქართველოს გაყოფის შემდგომ, ალექსანდრე მეფის გარადაცვალებას რომ მოჰყვა 1446 წელს, გავერანდა და მალევე თურქების ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდა, რომელთაც დაანგრიეს ციხე და ქალაქი. ამჟამად, პატარა სოფელში, რომელსაც კვლავ ოძრხე ჰქვია, მუსულმანობაა ფეხმოკიდებული. ქრისტიანული ეკლესია გადაქცეულია მეჩეთად, [7, გვ. 58]. პ. იოსელიანის კვალდაკვალ იგივე აზრი გამოთქვეს ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯიქიამ [13, გვ. 162], ლ. ჭილაშვილმა [10].

გაცილებით კონკრეტულად ამ ქალაქის ლოკალიზაცია სცადა ლ. ჭილაშვილმა, რომლის მიხედვითაც ოძრხე მდებარეობდა კურორტ აბასთუმნის დასაწყისში, მდინარეების ოძრხისწყლისა და კურცხანას შესართავის ჩრდილოეთით. ამ ადგილას ორი ძეგლი მდებარეობს, რომელიც თავისთავად იქცევს ყურადღებას. ესენია ე.წ. თამარის ციხე და XIV საუკუნის ეკლესია. გარდა ამისა, გადმოცემით, მიწის სამუშაოების დროს აქვე უპოვიათ რკინის იარაღი და კერამიკის ფრაგმენტები. ყოველივე ამის საფუძველზე ლ. ჭილაშვილმა თამარის ციხე ოძრხის ციხედ, ხოლო მდინარისპირა მცირე დავაკება ქალაქის ტერიტორიად მიიჩნია [9].

ვიდრე უშუალოდ წერილობით წყაროებსა და გეოგრაფიულ გარემოს შეეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი პუბლიკაციის შესახებ, რომელიც ასევე ოძრხის ლოკალიზაციის საკითხს ეხება.

ეს არის სამცხე-ჯავახეთის ცნობილი მკვლევარის დ. ბერძენიშვილის ნაშრომი, რომელიც ავტორის მიერ ჩატარებულ დაზვერვებსა და არსებული წყაროების მიმოხილვას ეყრდნობა [1, გვ. 7]. ნაშრომში პირველადაა თავმოყრილი სრულად ყველა სახის მასალა, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრისათვისაა საჭირო. შესაბამისად, გაკეთებულია დასკვნა, რომლის მიხედვით ძველი ოძრხე მდებარეობდა თანამედროვე კურორტ აბასთუმანსა და მონასტრის მიდამოებში.

ოძრხის შესაძლო ლოკალიზაციის საკითხი კვლავ დიდ ინტერესს იწვევს, ამიტომ თავს უფლებას მივცემ კიდევ ერთხელ შეეხო ამ საკითხს.

უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება, არის „მოქცევაი ქართლისაის" ცნობა, რომლის მიხედვითაც ოძრხე უკვე ძვ.წ. IV საუკუნეში არსებობდა ისეთ ქალაქთა თანადროულად, როგორიცაა ურბნისი და უფლისციხე: „ციხენი მათნი ციხეი დიდი სარკინისაი, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისაი" [14, გვ. 81].

„ქართლის ცხოვრების" ვახუშტისეულ ვერსიაში მინიშნებულია არა მხოლოდ ქალაქის ადგილმდებარეობის, არამედ ოძრხესთან გააზრებული ერთი ნიუანსის შესახებ, რომელიც ასევე გარკვეულ მნიშვნელობას იძენს: „ოცხის წყალი ... გამოდის ფერსათს და მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ – სამხრეთ შუა, ამ ოცხის წყალს ერთვის, ვაშლობს, ჰანტოვანის ხევი, გამომდინარე ფერსათისა და მოდის ჩრდილოდამ სამხრეთით. ამ ხევის ზეით, მთის ძირში, არს ოძრხე, რომელ აღაშენა ოძრახოს ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თვისი. ხოლო აწ არს ოხერ და ციხე შემუსვრილი. მეორედ ამის ქვეით, სამხრით არს მთის კალთას წყაროდ გამომდინარი, ფრიად დიდი და ცხელი, მდუღარის მსგავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. ამასზედა არს შენი აბანო, და ბანაობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალთაგან" [2, გვ. 664].

შემდეგი წერილობითი წყარო, რომელიც ასევე იქცევს ყურადღებას, არის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", რომელიც, როგორც ცნობილია, თურქების მიერაა შედგენილი XVI საუკუნის მიწურულს. აქ მითითებულია, რომ არსებობს "სოფ. ოცხის ციხის რაბათი. წმინდა უბნითა და კურდღელთუბან და ყანუბარ სათესველებით".

სხვა წყაროთაგან უნდა დავასახელოთ, აგრეთვე, „ცხოვრება მეფეთაის" მითითება იმის შესახებ, რომ ოძრხის ზემოთ, ანუ ჩრდილოეთით იწყება „იწრონი რკინის ხევისანი" [15, გვ. 38]. ოცხის წყლის ხეობა სოფ. აბასთუმნის ზემოთ მართლაც ძალზე ვიწროა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო გაჩნდა ასეთი მითითებაც წყაროში. ამავე კონტექსტში უნდა ითქვას ისიც, რომ სოფ. აბასთუმნის შემდგომ ანუ ჩრდილოეთით, პრაქტიკულად არაა თუნდაც მეტ-ნაკლებად გაშლილი ადგილი, სადაც სამოსახლო შეიძლებოდა განვითარებულიყო, მით უფრო ქალაქი (თუნდაც მემატიანის მიერ ამ სტატუსით გააზრებული!), რომელიც საერისთაოს ცენტრს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია, რომ წყაროები ოძრხეს „ქალაქად" მოიხსენიებენ და არა რომელიმე მთავრის რეზიდენციად, რომელიც ნებისმიერ რელიეფზე განლაგებული ნებისმიერი მოცულობის სტრუქტურა შეიძლებოდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია ისიც, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი ელინისტური ხანის ანუ ძვ.წ. IV–I საუკუნეების ქართული ქალაქების როგორც სტრუქტურა, ისე დაგეგმარების ზოგადი პრინციპები და ფუნქციური დეტერმინაციის ვარიანტები [4; აქვე იხ. დანარჩენი ლიტერატურაც], რაც, პრაქტიკულად, სრულიად გამორიცხავს ელინისტური ხანის ქალაქ ოძრხის სოფ. აბასთუმნის ჩრდილოეთით არსებობის შესაძლებლობას. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ამ ვარაუდისა არის ის, რომ დღეისათვის ცნობილი ელინისტური ხანის საერისთაოს ყველა ცენტრი განლაგებულია განვითარების პერსპექტივის მქონე რელიეფზე, ანუ ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოლიფუნქციური სამოსახლოს შექმნის პერსპექტივას, მით უფრო, რომ ყველა ასეთი სამოსახლო სხვა ფუნქციებთან ერთად ატარებს სავაჭრო-საკომუნიკაციო პუნქტის დატვირთვას. ოძრხის შემთხვევაში – მით უმეტეს – ეს სრულიად აშკარაა, რადგან იგი (ნებისმიერი ლოკალიზაციის შემთხვევაში!) ძევს სწორედ იმ მაგისტრალზე, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებიდან ჩანს ათვისებული, როგორც ამიერკავკასიის სამხრეთი რეგიონებიდან კოლხეთსა და საზოგადოდ, შავიზღვისპირეთისაკენ მიმართული გზა [17, გვ. 147-153; 18, გვ. 101-107]. ამ შემთხვევაში ლოგიკურად დგება საკითხი იმ სივრცის შესახებ, სადაც რთული რელიეფის (უღელტეხილის)

გადასავლელად საჭირო ინფრასტრუქტურა უნდა განვითარებულიყო, რადგან მეფის წყაროს მწვერვალამდე სხვა დასახლებული პუნქტი აღარაა და მისი გადალახვის შემდეგაც საკმაო გზაა გასავლელი მაღალმთიან ზონაში, სადაც ერთის მხრივ ქვაბლიანიდან მომავალი რამოდენიმე გზა იყრიდა თავს, ხოლო მეორეს მხრივ, ოძრხიდან დაწყებული მთავარი გზა კოლხეთის სხვადასხვა ხეობაში (მდინარეების სუფსის, ყუმურის, სულორის, კორის წყლის ხეობები) ნაწილდებოდა [1, გვ. 36-38].

გასათვალისწინებელია აგრეთვე იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც საქართველოს ელინისტური ხანის ყველა ქალაქს აქვს საინჟინრო-სანიტარული ნაგებობებისა და საზოგადოებრივი შენობების სახით.

ბუნებრივია, რომ ისეთი რთული საკითხის გადასჭრელად, როგორიც ისტორიული პუნქტის ლოკალიზაციაა, გარდა წერილობითი წყაროებისა და ბუნებრივი გარემოსი, გასათვალისწინებელია თუნდაც ძალზე მცირე, მაგრამ მაინც რაღაცა გარკვეული მატერიალური ნაშთები, რომლებიც ასევე იდენტიფიცირებული შეიძლება იყოს ამა თუ იმ პუნქტთან, ამ შემთხვევაში, ოძრხე/ოცხესთან.

ამ მიზნით მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე, კერძოდ პარკის ზონაში, მდინარის პირას. სუსტი ჰუმუსური ფენის ქვეშ (სიმძლავრე 10 სმ) გამოჩნდა ასევე სუსტი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა შავკეციანი ქვევრების ფრაგმენტებს.

ეს ფრაგმენტები ანალოგიურია კოლხეთში (ვანი, სიმაგრე) აღმოჩენილი იმ ქვევრებისა, რომლებიც ძვ.წ. VI-IV საუკუნეებს განეკუთვნება [7, გვ. 14-25]. შესაბამისად, აბასთუმნის ქვევრებიც ამავე ასაკით უნდა განისაზღვროს. უფრო გვიანდელი, ანუ ელინისტური (წერილობითი წყაროების ოძრხის შესაბამისი) ხანის ნაშთები აქ არ აღმოჩენილა.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, რომ კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე ორმოცამდე საფლავი უნახავთ. აგრეთვე ის, რომ აქვე „ორასამდე ქვითკირის ნასახლარები ეტყობა“. ის რეალური არქეოლოგიურ ფონი, ანუ შემთხვევა, როდესაც ამავე ტერიტორიაზე ელინისტური ხანის ფენები არ დასტურდება („ქვითკირის ნამოსახლარები“ კი მხოლოდდამხოლოდ შუასაუკუნეებზე შეიძლება მიანიშნებდეს), გვაფიქრებინებს ელინისტური ანუ „ფარნავაზის ხანის“ ოცხე/ოძრხის კურორტ აბასთუმნის გარეთ ძიების აუცილებლობას.

ჩემის აზრით, საქალაქო ცხოვრების გაშლისა და აღორძინებისათვის საუკეთესო ადგილი მთელს აბასთუმნის ხეობაში, სადაც გარდა სამეურნეო და სავაჭრო აქტივობისა, სტრატეგიული მომენტიც კარგად შეიძლებოდა ყოფილიყო გააზრებული, არის სოფ. აბასთუმნის ტერიტორია, მით უფრო, რომ აქ ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი გარკვეული ნაშთებიც მოიპოვება

პირველ რიგში ესაა, ჩემის აზრით, ციხის ნაშთები სოფ. აბასთუმნის ტერიტორიაზე. იგი მდებარეობს მდინარე ოცხისწყლის მარჯვენა ნაპირზე არსებული ბორცვის წვერზე. ბორცვი პატარა ყელითაა გამოყოფილი მაღალი მთის თხემისაგან, რომელსაც ჩრდილო-სამხრეთი მიმართულება აქვს.

ბორცვის წვერზე შემორჩენილი კედლები და ციხე ორიენტირებულია ბორცვის კონფიგურაციის შესაბამისად. მისი ფართობია 62x23 მეტრზე. ციხეს აქვს ორი კოშკი, რომელთაგან ერთში-აღმოსავლეთ კოშკში – ეკლესიაა გამართული. კედლებს აშკარად ეტყობა გადაკეთების კვალი. კედლები ძირითადად აგებულია ნაგლეჯი ქვით, კირხსნარზე. ამ ციხისაგან მოშორებით, ჩრდილოეთით, დაახლობით 800-1000 მეტრის მანძილზე შემორჩენილია შედარებით მომცრო ნაგებობის ნაშთები, რომელსაც მოსახლეობა „მელნისს“ უწოდებს.

ჩემს მიერ 1981 წელს აქ ჩატარებული დაზვერვების შედეგად გამოვლენილია ძალზე მცირე რაოდენობის არქეოლოგიური მასალა. თუმცა ასეთ პირობებში, როდესაც არ არსებობს თუნდაც მეტ-ნაკლები მასშტაბის მქონე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მონაპოვარიც კი, ყველა ნატეხს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება.

პირველ რიგში ეს ეხება ერთ ჩალისფერკეციან ფრაგმენტს, რომელიც წერნაქით წითლადაა შეღებილი. იგი საკმაოდ გავრცელებული კერამიკული ფორმის-დოქის ფრაგმენტია და აღმოსავლეთ საქართველოში (მაგ. კაზრეთი) დადასტურებული ანალოგიების მიხედვით, ქართლის კერამიკის IV ჯგუფს ანუ ძვ.წ. II–I საუკუნის პირველ ნახევარს განეკუთვნება [20, გვ. 135].

ციხის სამხრეთით, ბორცვის ფერდობის დავაკებაზე, წყალსადენის მშენებლობის დროს გამოვლენილია ნაგლეჯი ქვით აშენებული ორრიგიანი წყობის ნაშთი, რომლის ძირში ასევე აიკრიფა ჩალისფერკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები. საყურადღებოა, რომ ასეთივე წყობითაა აგებული აწყურის ძვ.წ. V-I საუკუნის შენობები [6, გვ. 5-7; 21, გვ. 249-257] რაც შეეხება კერამიკულ ფრაგმენ-

ტებს, ზოგადად, ისინიც ანტიკურ ხანას განეკუთვნება.

1969 წელს სოფ. აბასთუმანში მძივები უნახავთ, ძალზე ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ანტიკური ხანისა უნდა იყოს (აღწერილობის მიხედვით). ყოველ შემთხვევაში, მძივები იმისი დასტური ნამდვილადაა, რომ აქ სამარხთან (სამაროვანთან ?) შეიძლება გვქონდეს საქმე. ეს კი, როგორც ცნობილია, სამოსახლოს თანამდევი არქეოლოგიური ფაქტია.

1964 წელს აბასთუმნის ტყეში (ამაზე უფრო კონკრეტული მითითება არ არსებობს, სამწუხაროდ) ასევე ვერცხლის მონეტა უპოვიათ (თუმცა რა პერიოდისა, ამისი განსაზღვრა შეუძლებელია).

1968 წელს ამავე სოფელში მონღოლური ვერცხლის მონეტების განძიც აღმოჩენილა. განძში შედიოდა: I ტიპის ყაანური (XIII საუკუნის 60-იანი წლები) – 3 ცალი, II ტიპის ყაანური (XIII საუკუნის 60-70-იანი წლები) – 61 ცალი; ქართულ-ჰულაგუიდური (XIII საუკუნის 80-იანი წლები) – 8 ცალი (ერთი ასეთივე ინსტიტუტის კოლექციაშიც იყო); ამდენად, ყველა 73 დირჰემი თბილისში მოჭრილი მონღოლური მონეტა, ხოლო განძი, როგორც ირ. ჯალაღანია ფიქრობს, XIII საუკუნის 80-იან წლებშია ჩაფლული.

იმ მატერიალური ნაშთებიდან, რომელიც დღემდეა შემორჩენილი, უაღრესად საყურადღებოა რამოდენიმე ეკლესიის ნაშთი, რომლებიც მდინარეების კურცხანასა და ოძრხისწყლის შესართავთანაა შემორჩენილი. ესაა სატაძრო კომპლექსი, რომელიც შედგება ოთხი ეკლესიისა, სატრაპეზოსა და წყლის აუზისაგან. ამ მონასტრის შესახებ ცნობები „დროებაში" დაბეჭდილა, ხოლო დ. ბერძენიშვილის ნაშრომში იგი რუსუდანის მონასტრის სახელითაა გამოქვეყნებული (3).

ეს ძეგლი საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩანს. უნებლიედ ჩნდება სურვილი იმისა, რომ გავიაზროთ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" მოხსენიებული ოცხის ციხის წმინდა უბანი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, აგრეთვე, ცნობილი ისტორიული ფაქტი: 1205 წელს, როდესაც თამარმა ქართველთა ლაშქარი ბასიანს გაისტუმრა საბრძოლველად, იგი ვარძიიდან ოცხეში გამოემართა, ხოლო როცა მოიწია ოცხეს, მხურვალედ ილოცვიდა გამარჯვებისათვის. დ. ბერძენიშვილის მიხედვით, სავარაუდოდ, ამ მონასტრიდან ზარზმაში გადატანილი ორი წარწერიანი ქვის ჩუქურთმებისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მონასტერი უკვე IX-X საუკუნეებში უნდა არსებულიყო. ამ მიდამოებში (ანუ ქალაქ ოცხის მიდამოებში) სხვა ეკლესია-მონასტერი ამ დროის ან თამარის მოღვაწეობის ხანისა, არა ჩანს.

ამდენად, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თამარი თავისი ამალით (ქართლის კათალიკოსი თევდორე, იოანე შავთელი, „ევლოგი სალოსად წოდებული" და ბერ-მონაზონნი) სწორედ ამ მცირე მონასტერში ატარებდნენ ლოცვაში დღესა და ღამეს, ვიდრე არ ემცნო ევლოგს გამარჯვება და ვიდრე არ მოვიდა გამარჯვების მახარობელი მაცნე.

ეს ფაქტები მაფიქრებინებს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" მოხსენიებული ქალაქ ოცხის ერთი ნაწილი („წმინდა უბანი") ამ ნაშთებს უნდა შეესაბამებოდეს. ამდენად, შესაძლებელი ჩანს, რომ მოხდეს ოძრხის ერთი ნაწილის - „წმინდა უბნის" ლოკალიზება – იგი მდებარეობს ზემოხსენებული მდინარეების – კურცხანასა და ოძრხის-წყლის შესართავთან.

რაც შეეხება ამავე წყაროში მოხსენიებულ ორ სხვა ტოპონიმს, როგორც ს. ჯიქია მართებულად მიუთითებდა [14, გვ. 162], „ყანუბარ" სათესველი უნდა იყოს იგივე „ყანობილი", რომელიც „ყანუბარის" დისიმილირებულ ფორმას წარმოადგენს.

მეორე სათესველი – „კურდღელათუბანი" ვერ იდენტიფიცირდება, რადგან ასეთი ტოპონიმი დღეს აღარ არსებობს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ოცხესთან უშუალოდაა დაკავშირებული თერმული წყლების არსებობა. კურორტ აბასთუმნის ტერიტორიაზე შემონახულია და დღემდე ფუნქციონირებს 1888 წელს რომანოვების მიერ აგებული აბანო, რომელიც მთლიანად წერილობით წყაროებში მოხსენიებული წყლებით მარაგდება. ესაა რუსეთის იმპერიაში იმ დროისათვის საუკეთესო საკაპტაჟო მოწყობილობა, რომლის მოქმედება სამი სხვადასხვა წყაროთია უზრუნველყოფილი. ამ აბანოს სამხრეთით შემორჩენილია რუსების მიერ XIX საუკუნეშივე აგებული ყაზარმებიც, რომლებიც ასევე თერმული წყლებით მარაგდებოდა.

იმისი არქეოლოგიური დასტური, რომ შუასაუკუნეებშივე აბანოებში იყო კონცენტრირებული ვახუშტის მიერ „საკურნებლად„ მოხსენიებული „წყაროდ გამომდინარი, ფრიად დიდი და ცხელი" წყალი, შეიძლება იყოს თიხის მილების ერთი რიგი, რომელიც თანამედროვე აბანოს სამხრეთ-აღმოსავლეთით გაჭრილ მცირე ზომის თხრილში აღმოჩნდა. ესაა XI-XII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი თიხის მილები, რომელთა ანალოგიური მილებიც საკმაოდ კარგადაა ცნობილი (მაგ. ნადარბაზევი). მილები მიემართება დღევანდელი კურორტის გარეთ, სამხრეთით,

მდინარეთა შესართავისა და სოფელ აბასთუმნისაკენ.

ამდენად, როგორც წერილობითი წყაროების, ისე მატერიალური კულტურის ძეგლების მიხედვით ისახება ამ რეგიონისათვის საკმაოდ დიდი არეალი, რომელიც მეტ-ნაკლებად შეესაბამება ანტიკური ხანის ქალაქ ოცხე/ოძრხის ტერიტორიას. თუმცა, ასეთ პუნქტად დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ჩემის აზრით, უნდა ვივარაუდოთ სოფ. აბასთუმნის ტერიტორია, რომელიც ამ ხეობაში სამოსახლოდ ყველაზე მოხერხებული ადგილია და რაც მთავარია, აქვე არის აღმოჩენილი როგორც ელინისტური, ისე მოგვიანო ხანის არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა. ამასთან, სრულიად უდავოა ისიც, რომ სწორედ ბუნებრივი მდებარეობიდან გამომდინარე, საუკუნეთა მანძილზე ქალაქის ტერიტორია იცვლებოდა და მაქსიმალურად იყენებდა იმ ლანდშაფტურ შესაძლებლობებს, რომელიც აქ არსებობდა. სწორედ ამის გამო, ანტიკური და შუასაუკუნეების ოცხე/ოძრხის ტერიტორია ერთმანეთს, შესაძლოა, არც დაემთხვეს. ამიტომ, დ. ბერძენიშვილის მიერ მდინარეთა ხერთვისში მიკვლეული ნაშთები შესაძლოა მართლაც შეესაბამებოდეს ოძრხეს, მაგრამ მხოლოდ შუასაუკუნეების ქალაქის ნაწილს.

ზადენ-გორა. ზადენ-გორა, როგორც დასახლებული პუნქტი, პირველად იხსენიება „ქც"-ის ჩანართში, რომელშიც მოთხრობილია ანდრია მოციქულის სამცხეში მოსვლის შესახებ: ანდრია „წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის – ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თვით ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს. ხოლო ვითარცა შთავლო ხევი ოძრხისა და მოვიდა საზღუართა სამცხისათა, დაივანა სოფელსა, რომელსა ეწოდების ზადენ-გორა. მიხედნა მოციქულმან და იხილნა კაცნი მის ადგილისანი რამეთუ უზორვიდეს კერპთა ყრუთა, და ილოცა მოციქულმან წმიდისა მის ხატისა მიმართ. და ყოველნი იგი კერპნი დაემხუნეს და შეიმუსრნეს. ხოლო წმინდა მოციქული წარმოემართა და მოიწია აწყვერს".

ვიდრე უშუალოდ ზადენ-გორაზე არსებულ სიტუაციას შევაფასებდეთ, საჭიროა აღინიშნოს, რომ: 1. ტერმინი „კერპნი" გაგებული უნდა იქნას ისევე, როგორც გაცისა და გაიმის ან არმაზის „კერპი", ანუ გამოსახულება ანუ ქანდაკება. სხვა ინტერპრეტაცია, ალბათ, აქ უადგილო იქნება; 2. თვით ტოპონიმი „ზადენ-გორა" გულისხმობს ზადენის კულტის დომინანტს ანუ უპირველესად, ზადენის „კერპის" ანუ ზადენის ქანდაკების არსებობას.

ზადენ-გორა, ბუნებრივია, იდენტიფიცირებულია თანამედროვე სოფ. ბენარასთან, რომლის ცენტრალურ ნაწილში წამომართულია ზადენის გორა.

ამ კულტმა და ადგილმა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის ყურადღება მიიქცია [12, გვ. 110-111]. იგი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ მესხეთსა და მცხეთაში შემოინახა სახელწოდება „ზადენი", პირველ შემთხვევაში სოფლის, ხოლო მეორეში კი – გორისა და ეკლესიის სახით. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამავე ადგლზე დადასტურებულია ტოპონიმი „ნაეკლესიარები" [10, გვ 127], რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ადგილის, როგორც საკულტო მნიშვნელობის ცენტრის (თუმცა შესაძლოა, მცირის) ფუნქციას.

სოფელი ზადენი ანუ დღევანდელი ბენარა, არაერთხელ მოიხსენიება წერილობით წყაროებში, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ზემოთმოყვანილი თხრობა ანდრია მოციქულის სამცხეში მოსვლის შესახებ.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით სპეციალური ლიტერატურა ასეთ კომენტარს იძლევა: ეს პუნქტი ახლაც ცნობილი ნასოფლარია სოფ. ბენარის მახლობლად. XVI საუკუნეში კი, გორა და ზადენი ორი სოფელი ყოფილა ერთმანეთის მეზობლად. ოძრხის ხევის ზადენი უდავოდ მიუთითებს იქ არსებულ წარმართებულ საკულტო ცენტრზე. მართლაც, ბენარას ზადენი მცხეთის ზადენის კულტთან ერთად წარმოადგემდა მნიშვნელოვან წარმართულ ღვთაებას, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა ძველ ქართულ პანთეონში. ბუნებრივია, რომ თხრობაში ანდრია მოციქულის შესახებ ნათლად იკვეთება ტენდენცია იმისა, რომ ქრისტიანობის ყოვლისშემძლე როლი მკვეთრად იყოს გამოყოფილი. ამიტომაც, მართებულად მიუთითებს დ. ბერძენიშვილი, რომ ანდრია მოციქულის ერთ-ერთი მიზანი წარმართული ღვთაებების დამხობა იყო. შეიძლება იმისი დამატებაც, რომ ანალოგიურად ვითარდება სიუჟეტი აწყვერში, სადაც ანდრია პირველწოდებული აპოლონისა და არტემიდეს კულტებს ანადგურებს მათთვის აგებული ტაძრის დამხობითა და განადგურებით.

შეიძლებოდა თუ არა ამ თხრობაში ასახულიყო რამდენადმე რეალური სიტუაცია მაინც ან თუ სხვაგვარად დავაყენებთ საკითხს, არსებობს თუ არა ამ თხრობის ადეკვატური არქეოლოგიური მასალა, რაც ამ თხრობას I საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით რეალობასთან დააახლოებდა?

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სოფ. ბენარაში, ზადენის გორაზე შემორჩენილი ნაშთები და აქ ჩატარებული მცირე გათხრების შედეგები.

1980 წელს დაზვერვითი სამუშაოების წარმოების პარალელურად, მცირე მასშტაბის გათხრითი სამუშაოები ჩატარდა უშუალოდ ზადენის გორის წვერზე.

ზადენის გორის წვერზე დღესაც კარგად გაირჩევა მსხვილი ლოდებით ნაგები შენობების ნაშთები, რომლებიც მიმოფანტულია ბორცვის წვერიდან სამხრეთ ფერდობამდე. ყველა შენობას აქვს სხვადასხვა ზომის ასევე ქვის ლოდებით შემოსაზღვრული ეზო, ხოლო ეზოებს შორის დატოვებული ფართობები ქმნიან ქუჩების შთაბეჭდილებას. ნამოსახლარის ყველაზე აქცენტირებული ნაწილია ბორცვის წვერი, რომელიც საგანგებოდ შერჩეული მეგალითებითაა შემოფარგლული. აშკარაა, რომ მოსახლეობას ამ ადგილისათვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭენული. სამწუხროდ, შეუძლებელია იმ ქრონოლოგიური მონაკვეთის განსაზღვრა, რომელსაც ამ იდეის ფორმირება განეკუთვნება, რადგან სავარაუდებელია, რომ ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ათვისებული ეს ტერიტორია (ბორცვის სამხრეთ ნაწილში კრომლეხია მიკვლეული) შუასაუკუნეების ჩათვლით საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენებოდა.

ბორცვის წვერზე, მეგალითებით შემოზღუდულ ფართობზე, გაიჭრა მცირე ზომის საცდელი შურფი, რომელიც მიზნად ისახავდა მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოჩენილი თლილი ქვის რაობის გარკვევას. იგი ქვაჯვარის ბაზისის შთაბეჭდილებას ტოვებდა და ასეც იყო შეფასებული [2].

ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ ფარავდა თლილ ქვას, გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

ბაზალტის ელიფსოიდურ ლოდში, რომელიც ვერტიკალურად იყო დაყენებული, ამოკვეთილი იყო ფოსო, რომლის სიგრძე 0,29, ხოლო სიგანე კი – 0,40 მეტრის ტოლია. ლოდის გარშემო დადასტურდა ქვის კონსტრუქცია, რომელსაც შემდეგი სახე ჰქონდა: უშუალოდ ლოდს აღმოსავლეთიდან შემოწყობილი ჰქონდა ორი ქვა, რომელთა აღმოსავლეთით, თავის მხრივ, გამოიკვეთა მეტნაკლებად დამუშავებული ორი ერთმანეთზე დადებული ქვა. მათ მარცხნივ, ჭრილის კუთხეში დამუშავებული ქვის ნაწილი ჩანს. ლოდს სამხრეთიდან ორი ქვა აქვს შემოდგმული, ხოლო დასავლეთის მხარე საგულდაგულოდაა გამართული – სიგანეზე ჩალაგებული სამი მოგრძო ქვა (სიგრძე 0,75 მ) დასრულებულია თლილი სვეტის დოლით(?), რომლის დიამეტრიც 0,25 მეტრია (ტაბ. 1). სვეტის წინ, დასავლეთით, გაიწმინდა ნაცრის ფენა, რომელშიც აქა-იქ ნაცრისფერკციანი ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები იყო მიმობნეული. სამწუხაროდ, ამ ფრაგმენტების მიხედვით რაიმე კონკრეტული მსჯელობა თარიღის შესახებ შეუძლებელია.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ძეგლის გაწმენდის შემდეგ დადგა საკითხი მისი დანიშნულების გარკვევის თაობაზე. ისიც სრულიად ლოგიკურია, რომ ამ ლოდში ამოკვეთილი ფოსოს გამო იგი ქვაჯვარის ბაზისად იქნა გააზრებული. მაგრამ თუ ამ კონსტრუქციას უფრო დეტალურად გავაანალიზებთ, მივალთ განსხვავებულ დასკვნამდე.

კერძოდ, თავიდანვე თვალშისაცემია ერთი პრინციპულად მნიშვნელოვანი ფაქტი – ნებისმიერი, თუნდაც მცირე ზომის ქვაჯვარის ბაზისში ჩასამაგრებლად აუცილებელია იმ სიღრმის ფოსოს არსებობა, რომელიც კონსტრუქციის ზედა ნაწილის მყარად ჩამაგრებას ანუ მთლიანი კონსტრუქციის მდგრადობას უზრუნველყოფს. ზადენის გორის ლოდის ფოსოს სიღრმე არის დაახლოებით 5 სმ, ხოლო ფართობი, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის 0,29X0,40 მ-ზე. ეს, ცხადია, სრულიად გამორიცხავს იმას, რომ ასეთ ფოსოში ქვაჯვარი ჩამაგრდეს.

მეორე და ასევე მნიშვნელოვანი ფაქტი გახლავთ ის, რომ ლოდის გარშემო გამართულია სპეციალური მცირე ნაგებობა. ერთი შეხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ქვები ლოდის შესამაგრებლადაა გამოყენებული. ასეთი დაშვების შემთხვევაში, სრულიად გაუგებარი და აუხსნელია, თუ რატომ არის მის დასავლეთ ნაწილში ჩადგმული სვეტი, რომელსაც არავითარი კონსტრუქციული ანუ გამმაგრებელი ფუნქცია არა აქვს. ასევე აუხსნელი რჩება ისიც, თუ რატომ მოხვდა სწორედ ამ სვეტთან ანუ კონსტრუქციის დასასრულთან ნაცრის ფენა. ამდენად, თუ დავუშვებთ, რომ აქ ქვაჯვარი იდგა, ვაწყდებით ფაქტობრივ წინააღმდეგობებს.

მაგრამ არსებობს ამ ფაქტების ახსნის სხვა გზაც. კერძოდ, თუ დავუშვებთ, რომ ეს ფოსო წარმოადგენდა ქანდაკების პოსტამენტს, რომელსაც ორმაგი დატვირთვა (პოსტამენტი-საკურთხეველი) ჰქონდა, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება. კერძოდ:

1. წმინდა ნაცრის არსებობა საკურთხეველთან ჩვეულებრივი, გავრცელებული მოვლენაა და სწორედ ამ რეგიონში, სოფ. აწყურში არის დადასტურებული ძვ.წ. V-IV საუკუნეებში.

2. საკურთხეველი დასრულებულია კარგად გათლილი ქვის სვეტის დოლით, რო-

მელიც არქიტექტურულად ჰკრავს კონსტრუქციას.

3. ლოდის ფოსოს ზომები თითქმის ემთხვევა ვანის კარიბჭეზე მიდგმული პოსტამენტის ფოსოს ზომებს [4, ტაბ. 99-106], ხოლო ის, რომ ვანის კარიბჭესთან ქანდაკება იდგა, არავითარ ეჭვს არ ჰბადებს [6].

4. განსხვავებით ქვაჯვარისაგან, ქანდაკებას შეიძლება ჰქონდეს ისეთი ფართო და მყარი ძირი, რომელიც არ საჭიროებს ღრმა ფოსოს ანუ ამ კონსტრუქციის (ლოდის) ფოსოს სიღრმე სრულიად საკმარისი შეიძლება იყოს.

5. ამასთან, ქვაჯვარებს, უმეტეს შემთხვევაში, კარგად გათლილი სწორკუთხა ბაზისები აქვს და არა ელიფსოიდური და შემდგომ შემოშენებული.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ზადენის გორის წვერზე ჩვენს მიერ გამოვლენილი კონსტრუქცია, შესაძლოა, წარმოადგენდა სწორედ იმ კერპის - ქანდაკების პოსტამენტს, რომელიც იგულისხმება თხრობაში ანდრია მოციქულის სოფელ ზადენში მოსვლისას, ანუ თვით ზადენის ქანდაკების პოსტამენტს. თუმცა დაბეჯითებით ამის მტკიცებას გარკვეული სირთულეები ახლავს. ცხადია, დამატებით გათხრას ამ მონაკვეთზე შეიძლებოდა მოეცა საკითხის სრულად გადაჭრისათვის საჭირო მასალა, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ამ ადგილზე ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიდგა სატელევიზიო ანძა, რომელმაც გაანადგურა ეს უნიკალური ძეგლი. საინტერესოა, რომ სოფელ ბენარადან, ისევე, როგორც სოფელ აბასთუმნიდან, ახალციხის მუზეუმში შესულია რამოდენიმე არქეოლოგიური ნივთი, რომლებიც, შესაძლოა, მოციქულის მოღვაწეობის ხანისა იყოს. კერძოდ:

1. 1965 წელს კოლმეურნეობის ბოსელის მშენებლობის დროს ბენარაში უპოვიათ მონეტა.

2. 1965 წელსვე აქვე აღმოჩენილა სანაყი.

რა თქმა უნდა, ზემოთმოყვანილი დაუთარიღებელი მასალა ბევრი ვერაფრის მიმანიშნებელია, მაგრამ იმის დასტურად კი გამოდგება, რომ სოფ. ზადენი მართლაც არსებობდა და ეს ხეობაც მართლაც ინტენსიურად იყო ათვისებული სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში.

ოკამის გორა. ოკამის გორა მდებარეობს ახალქალაქის რაიონში, სოფ. ოკამის სამხრეთ-დასავლეთით, 3 კმ-ის მოშორებით. გორის სიმაღლე ზღვის დონიდან არის 1740 მეტრი.

გორის თხემზე შემოვლებულია მშრალი წყობით აშენებული საფორტიფიკაციო სისტემა, რომელიც - როგორც პუბლიკაციის ავტორები თვლიან - ციკლოპური წყობით ნაგები სასიმაგრო კედელია (გალავანი). კედელს ალაგ-ალაგ კონტრფორსები აქვს და მთლიანად იმეორებს გორის კონფიგურაციას [13, გვ. 140-142].

1974 წელს გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გაივლო საკონტროლო თხრილი, რომელშიც ქრონოლოგიურად არეული მასალა აღმოჩნდა (აქ მიაკვლიეს როგორც მტკვარ-არაქსის, ისე გვიანბრინჯაოს, ელინისტურ და შუასაუკუნეების კერამიკულ ფრაგმენტებს).

მეორე თხრილი გაივლო გორის ცენტრლურ ნაწილში. აქ აღმოჩნდა ურარტული ტიპის წითელკეციანი ჭურჭელი და შავლაკიანი კერამიკის ნატეხები. სამწუხაროდ, ამ „შავლაკიანი" ჭურჭლის ნახვა არ მოხერხდა. საფიქრებელია, რომ ეს უნდა იყოს შავად ნაპრიალები ქართული კერამიკა, რომელიც ზოგადად ელინისტურ (უფრო კი, გვიან ელინისტურ) ხანას განეკუთვნება. გაიწმინდა აგრეთვე, გალავნის ნაწილი. გამოვლენილია შესასვლელი და შვიდი კონტრფორსი. გალავნის გარე პირი დიდი ზომის ქვებითაა ნაგები (სიგანე 0,4-0,6 მეტრი). შიდა მხარეს შედარებით მცირე ზომის ქვები გამოუყენებიათ. კედლის სისქე სხვადასხვაგვარია. იგი მერყეობს 3 და 5,5 მეტრს შორის. კონტრფორსები კედლის სიბრტყიდან გამოსულია დაახლოებით 1,6-1,8 მეტრით, ხოლო სიგანე რიგ შემთხვევებში 5,7 მეტრს აღწევს.

ძეგლის გამთხრელები თვლიან, რომ ოკამის გორა დიდი ქალაქური დასახლების ციტადელს წარმოადგენდა.

ოკამის ნამოსახლარის იდენტიფიცირება ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ რომელიმე დასახლებულ პუნქტთან არ ხერხდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საფორტიფიკაციო სისტემა. მაგრამ იმის გამო, რომ უშუალოდ მის თარიღთან დაკავშირებით პუბლიკაციაში არაფერია მითითებული, ძნელდება რაიმე დასკვნის გაკეთება. თვით ის ფაქტიც, რომ კედელი აგებულია არა გათლილი კვადრებით, არამედ სწორედ ციკლოპური ნაგებობებისათვის დამახასიათებელი ტექნიკით, თითქოს უკვე იძლევა გარკვეულ ქრონოლოგიურ ზღვარს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქართულ არქეოლოგიაში ჯერ-ჯერობით უცნობია ელინისტური ხანის სასიმაგრო სისტემათა ხასიათი სამხრეთ საქართველოში. ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას ისაა, რომ ამგვარი კონტრფორსები აღმოსავლური საფორტიფიკაციო ტრადიციის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს [17].

ამდენად, აპრიორულად იმისი მტკიცება, რომ ოკამის სასიმაგრო სისტემა მაინცადამაინც ელინისტურზე ადრეული ხანისაა, არაა გამართლებული. ამ თვალსაზრისით, ალბათ, უპრიანი იქნებოდა 1974 წელს ექსპედიციის მიერ გათხრილი კედლის ფრაგმენტის ხელახალი გაწმენდა და შესაძლო სამშენებლო ფენის ძიება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უშუალოდ კედლის მიმდებარე ფართობში სტრატიგრაფიის დადგენა.

ლიტერატურა:

1. **ბერაძე თ.** ვანის რაიონის ისტორიული გეოგრაფიიდან, ვანი III, თბ., 1977, გვ. 28-42.

2. **ბერძენიშვილი დ.** ოძრხევი. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი Academia, N 3, 2002, გვ. 7. აქვე შევნიშნავთ, რომ ჯერჯერობით არ ვეხებით ოძრხის ფრიქსოპოლის/იდეესასთან იდენტიფიკაციის საკითხს.

3. **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., გვ. 664.

4. **ვანი I,** თბ., 1972, ტაბ. 99-106.

5. **ლიჩელი ვ.** კოლხეთისა და იბერიის კულტურის საკითხები, თბ., 2001, გვ. 50-52.

6. **ლიჩელი ვ.** სამცხის ანტიკური ქალაქები (სოსანგეთი-აწყური), ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, სამეცნიერო კონფერენციის მოკლე შინაარსები, თბილისი, 1999, გვ. 5-7.

7. **ლორთქიფანიძე ოთ., გიგოლაშვილი ე., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ჭყონია ა.** კოლხური კერამიკა ვანიდან. ვანი V, თბ., 1981, გვ. 14-25.

8. **მაისურაძე ი.** მასალები სამცხის ტოპონიმიკიდან, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 17, თბ., 1963, გვ. 136-148.

9. **ქართლის ცხოვრება,** ტ. I, 1955, გვ. 39.

10. **Чубинишвили Т., Татишвили Т., Гамбашидзе О.** Археологические разведки в Южных районах Грузии, Советская Археология, № 4, 1957, с. 127.

11. **ჭილაშვილი ლ.** ქალაქები ფეოდალური ხანის საქართველოში, თბ., 1968.

12. **ჯავახიშვილი ი.** ქართველი ერის ისტორია, თბ., 1951, ტ. I, გვ. 110-111.

13. **ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა.** მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981, გვ. 140-142.

14. **ჯიქია ს.** გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1958, გვ. 162.

15. **ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.** ტ. I, თბ., 1964, გვ. 81.

16. **„ცხოვრებაი მეფეთა“**, გვ. 38.

17. საფორტიფიაციო სისტემების განვითარების შესახებ იხ. McNicoll A. The development of urban defences in Hellinistic Asia Minor. In: Men, Settlement and Urbanizm, London, 1972, p.789; Winter F.A. Greek fortifications. London, 1971, p.7.

18. **Джалагания И.** Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб., 1979, с. 125.

19. **Иоселиани П.** Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлис, 1850, с. 58.

20. **Licheli V.** Black-glazed pottery in Transcaucasia. Its Diffusion route. In: Proceedings of the first international Conference on the Archaeology and History of the Black Sea, Amsterdam, 1997, 147-153.

21. **Licheli V.** Tha Black sea – Vani – Samtskhe: the spreading route of Black – glazed pottery. La Mer Noire – Zone de contacts. Actes du VIIe Symposium de Vani-1994. Paris, 1999, p.101-107.

22. **Licheli V.** Caucasian Iberia in the Post-Achaemenid Period. The Chronology of the principal monuments. In: The Roial palace Institution in the first Millenium B.C. Monographs of the Danish Insitute at Athens, vol. 4, 2001, p. 249-257.

22. **Нариманишвили Г.** Керамика Картли в VI-I веках до н.э., Тб., 1991, с. 135.

ტაბულების აღწერილობა:

1. ზადენის გორა. პოსტამენტის გეგმა და ჭრილი.
2. ზადენის გორა. პოსტამენტი.

I



II



გიორგი დუნდუა

სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში (ზოგადი მიმოხილვა)

თუ ერთმანეთს შევუდარებთ კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ I-IV საუკუნეების რომაულ მონეტებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ პირველში ეს მონეტები გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, ვიდრე მეორეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ დასავლეთ საქართველოში რომაული პერიოდის ხუთი განძია მიკვლეული (გერზეულის, სეფიეთის, ეკის და ბიჭვინტის ორი განძი). აქედან გამომდინარე, კოლხეთის ნუმიზმატიკის შესწავლას რომაულ ხანაში გაცილებით მეტი და სოლიდური ნაშრომი ეძღვნება, ვიდრე იბერიის მასალას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სფერო უყურადღებოდაა მიტოვებული. ასე მაგ., არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ყველა სამონეტი კომპლექსი იბერიის ტერიტორიიდან თითქმის პუბლიცირებულია და, ზოგიერთ შემთხვევაში, თეორიულადაც განზოგადებული. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. გოლენკოს დამსახურება [11, გვ. 47-73], მაგრამ, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოდან მომდინარე I-IV სს-ის რომაული მონეტები გარკვეულწილად **ერთფეროვანია**, ეფექტურობის მომენტი, ცხადია, შედარებით ნაკლებია.

ჩემი სტატიის მიზანია ზოგად შტრიხებში მიმოვიხილოთ იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი I-IV სს. რომაული მონეტები. რადგან ეს მასალა საკმაოდ ვრცელია, ძირითადი აქცენტი მაინც სტატისტიკურ მონაცემებზეა გადატანილი, თუმცა ზოგიერთ დასკვნაზე მაინც შევჩერდებით, რამდენადაც ამის საშუალებას კრებულის მოცულობა მოგვცემს.

გარდა ამისა, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ჩემთვის ამოსავალი მასალა იბერიის ტერიტორიაზე გვიანანტიკური ხანის რომაული მონეტების ცირკულაციის შესასწავლად, არის **მაინცდამაინც** მცხეთიდან, ზღუდრიდან, აღაიანი-ნასტაკისისა და ერწო-თიანეთიდან მომდინარე სამონეტო კომპლექსები, რაც თითქმის ადეკვატურად ასახავს სამონეტო მიმოქცევის სურათს ამ რეგიონში I-IV სს-ში.

ახ.წ. I ს-ის დასაწყისიდან იბერიის სამონეტო ბაზარი ერთფეროვანი ხდება. წამყვან ადგილს საბოლოოდ იკავებს გალიის ზარაფხანაში (ლუგდუნუმი? თანამედროვე ლიონი) ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ-ში ავგუსტუსის სახელით მოჭრილი დენარები გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებით [10, გვ. 41-42, აქვეა სათანადო ლიტერატურა] და ე.წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) პართული დრაქმები. პირველი ჯგუფის მონეტები მცხეთა-ნასტაკის-აღაიანის საზღვრებში 160 ცალის რაოდენობითაა აღმოჩენილი (მცხეთა - 132, აღაიანი - 18, ნასტაკისი - 10), ხოლო მეორე - 102 ცალის (მცხეთა - 91, ნასტაკისი - 9, აღაიანი - 2). გარდა ამისა, ერთეული ცალებითაა მოძიებული ტიბერიუსის (14-37 წწ.) და კალიგულას (37-41 წწ.) მონეტები (აქვე შევნიშნავთ, რომ აქ და ქვემოთ მოტანილი ციფრები არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად ზუსტი).

ტიბერიუსის ორი დენარი ნაპოვნია მცხეთაში, ერთიც - აღაიანში. სამივეს ემისიის ცენტრია გალიის რომელიღაც ზარაფხანა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ იბერიის სამონეტო ბაზარზე გამოჩნდა რომაული აურეუსი (ტიბერიუსი, გალიის ზარაფხანა, აღმოჩენილია მცხეთაში) [17, გვ. 171], რომელიც I ს-ის მეორე ნახევრიდან, ავგუსტუსის დენარებთან ერთად, **ფულადი მიმოქცევის ძირითად საშუალებად იქცა მთელს რეგიონში** (ლიტერატურაში დაცული ცნობის თანახმად, კიდევ ერთი აურეუსი შესაბამისი პერიოდისა, კერძოდ, ავგუსტუსისა, აღმოჩენილია მცხეთაში 1902 წ. ნავთსადენის გაყვანის სამუშაოების დროს [22, I, 40, № 32]). უაღრესად საინტერესოა აგრეთვე კალიგულას სახელით 37-38 წლებში კესარიაში მოჭრილი დრაქმის აღმოჩენა აღაიანში (სამარხი № 2, 1977 წ.). რომაული ხანის კესარიული მონეტების გავრცელების სფერო ამიერკავკასიაში დასავლეთ საქართველოა [4, გვ. 3-12, აქვეა სათანადო ლიტერატურა], ამდენად ეს შემთხვევა რამდენადმე მოულოდნელია.

როგორც ზემოთმოყვანილი სტატისტიკა მომწმობს, ავგუსტუსის დენარები I-II საუკუნეებში იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია. ამ მონეტების ემისია, როგორც ვარაუდობენ, წარმოებდა ძალიან ფართო მასშტაბით და განსაკუთრებული ინტენსიურობით ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებში, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ესპანეთის, გერმანიის, ბალკანეთის, მახლობელი აღმოსავლეთისა და სამხრეთ ინდოეთის აღმოჩენები [10, გვ. 42]. სამეცნიერო ლიტერატურაში ავგუსტუსის დენარების ასეთი პოპულარობა იმითაა ახსნილი, რომ ნერონის მიერ 64 წელს ჩატარებული სამონეტო რეფორმის შემდეგ, რომაული დენარის წონა შემცირდა და სინჯი გაუარესდა. ამის გამო „ბარბაროსული" პერიფერია მათ აღარ ღებულობდა. რომაელ ვაჭრებს ამიტომ პროვინციებში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ავგუსტუსისა და ტიბერიუსის დენარები [10, გვ. 43]. ამიერკავკასიაში მათი შემოსვლის გზა კარგად აქვს მოხა-

ზული კ. გოლენკოს. მისი აზრით, ვინაიდან ეს მონეტები პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში და, ამავე დროს, ფართოდ მიმოიქცეოდა სომხეთში, უნდა გამოირიცხოს მათი შემოსვლის საზღვაო გზა. როგორც ავტორი ვარაუდობს, ავგუსტუსის დენარები ამიერკავკასიაში შემოდიოდა არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ევფრატის ზემო წელიდან, მესოპოტამიის საზღვრებიდან. ამ მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ამიერკავკასიაში მომწმობს, რომ მათი ერთი ნაწილი მდ. არაქსის ზემო და შუა დინების საშუალებით აღწევდა აღბანეთს, ხოლო მეორე ნაკადი მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ და მდ. მტკვრის არტერიით იბერიაში ილექებოდა [10, გვ. 43].

უაღრესად საინტერესოა და სათანადოდ არგუმენტირებული კ. გოლენკოს მსჯელობა, რომელიც მიზნად ავგუსტუსის დენარების ამიერკავკასიაში და, კერძოდ, იბერიაში მასობრივად შემოსვლისა და ცირკულაციის ხანგრძლივობის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას ისახავს. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად ხაზებში იგი დღესაც მისაღებია, აღაიანისა და ნასტაკისის მასალებზე დაყრდნობით, ავტორის თვალსაზრისში ზოგიერთი კორექტივის შეტანა აუცილებლად გვეჩვენება. ასე მაგ., კ. გოლენკოს მიაჩნია, რომ იბერიაში და, საერთოდ, ამიერკავკასიაში ავგუსტუსის დენარების ფართო ნაკადად შემოსვლა დაიწყო მხოლოდ და მხოლოდ ნერონის 64 წლის რეფორმის შემდეგ. „ავგუსტუსის დენარების მასობრივი გავრცელება ამიერკავკასიაში უნდა მიეკუთვნოს პერიოდს არა უადრესს ფლავიუსების მმართველობისა“ - წერდა კ. გოლენკო [10, გვ. 46]. სხვა სიტყვებით, I ს-ის 60-70 წწ. ამ მოსაზრებას იგი შემდეგნაირად ასაბუთებდა: 1. 1951 წელს მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად აღმოჩენილ მავზოლეუმში სხვა ინვენტართან ერთად იყო აგრეთვე 63 მონეტა: ა) ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი - 5 ც.; ბ) პართული დარქმები: არტაბან II (ძვ.წ. 88-77 წწ.) - 1, სინათრუკის (ძვ.წ. 77-70 წწ.) - 1, ფრაატ III (ძვ.წ. 70-57 წწ.) - 1, ოროდ II (ძვ.წ. 57-38/7 წწ.) - 47 და ფრაატ IV (38/7-3/2 წწ.) - 1; გ) 4 რომაული აურეუსი: ტიბერიუსის (14-37 წწ.), ნერონის (54-68 წწ.), ვიტელიუსის (69 წ.) და ვესპასიანეს (69-79 წწ.); დ) პოლემონ II-ის (49-63 წწ.) დრაქმა - 2; ე) შესანიშნავად დაცული ავგუსტუსის დენარი [16, გვ. 172]. ვინაიდან აღაიანისა და ნასტაკისის არქეოლოგიურ გათხრებამდე ეს იყო ყველაზე ადრეული სამონეტო კომპლექსი, სადაც კი ავგუსტუსის დენარი აღმოჩნდა, კ. გოლენკო თვლიდა, რომ „... 1951 წლის აღმოჩენა მიეკუთვნება იბერიაში ავგუსტუსის დენარების შემოსავლის დასაწყის პერიოდს“ [10, გვ. 46]. ხოლო სხვა ადგილას პირდაპირ წერდა, რომ მცხეთის მავზოლეუმში ავგუსტუსის დენარის ერთადერთი ცალის პოვნა ადასტურებს იმას, რომ იგი პირველია, რომელმაც კავკასიაში შემოაღწია. სამარხის თარიღი ვესპასიანეს (69-79 წწ.) ხანას მიეკუთვნება [11, გვ. 53].

მე არ შევუდგები კ. გოლენკოს ყველა არგუმენტის განხილვას. შეეჩერდები მხოლოდ მცხეთის მავზოლეუმის სამონეტო კომპლექსის გარშემო. აღაიანისა და ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებულმა ნუმიზმატიკურმა მასალამ, ჩემი აზრით, ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ავგუსტუსის დენარების შემოსვლა იბერიაში წინ უსწრებდა 64 წლის ნერონის რეფორმას და, მით უმეტეს, ფლავიუსების ეპოქას. მოგვყავს ეს სამონეტო კომპლექსები: 1. აღაიანი - 1975 წ., სამარხი № 28 - ფრაატ IV (ძვ.წ. 38/7-3/2 წწ.) დრაქმა. ავგუსტუსის დენარი; 2. აღაიანი, 1977 წ., სამარხი № 2 - ოროდ II (ძვ.წ. 57-38/7 წწ.) დრაქმა. ავგუსტუსის დენარი - 2 ც. კალიგულას (37-41 წწ.) კესარიული დრაქმა; 3. სამარხი № 5 – ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ტიპის ქართული მინაბაძი. სინათრუკის (ძვ.წ. 77-70 წწ.) დრაქმა - 2 ც. ფრაატ III (ძვ.წ. 70-57 წწ.) დრაქმა - 2 ც. ოროდ II - 9 ც. ფრაატ IV - 1. ავგუსტუსის დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 14-12 წწ. ავგუსტუსის დენარი გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებით (ე.ი. ჩვენთვის საინტერესო სამონეტო ტიპი) - 9 ც. და ტიბერიუსის (14-37 წწ.) დენარი - 1; სამარხი, გვიანდელი მონეტის მიხედვით, უფრო ადრეულია, ვიდრე მცხეთის მავზოლეუმი. გარდა ამისა, ავგუსტუსისა და ტიბერიუსის მონეტები **არასოდეს არ აღმოჩენილა ერთად გვიანდელ სამარხებში.** ასე რომ, აღაიანის №5 სამარხის სამონეტო კომპლექსის ადრეული ხასიათი, სრულებით აშკარაა; 4. ნასტაკისი, 1979 წ., სამარხი № 39(63) - რომის რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 118 წ., ავგუსტუსის დენარი ძვ.წ. 19-16 წლებისა. რომაული დენარი, დათარიღებული ძვ.წ. 19-12 წწ. ფრაატ IV დრაქმა - 2 ც. ავგუსტუსის დენარი გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებით - 2 ც. ამ სამონეტო კომპლექსის ადრეული ხასიათი კიდევ უფრო აშკარაა.

ამრიგად, დღეს უკვე აღარ შეიძლება საუბარი იმის შესახებ, რომ მცხეთის მავზოლეუმში აღმოჩენილი ცალი ყველაზე ადრეულია კავკასიაში შემოსულ ავგუსტუსის დენარებს შორის, ისევე როგორც თითქოს მათი ფართო ცირკულაცია მხოლოდ ფლავიუსების ეპოქიდან იწყებოდეს. აღაიანისა და ნასტაკისის მასალა ცხადყოფს, რომ ავგუსტუსის დენარების შემოსვლას ამიერკავკასიაში 64 წლის

რეფორმამდე გაცილებით ადრე ჰქონდა ადგილი.

ამავე დროს, როგორც მცხეთის, ასევე აღაიან-ნასტაკისის ზემოთაჩამოთვლილი სამონეტო კომპლექსები, კიდევ ერთხელ ადასტურებს ადრე გამოთქმულ დაკვირვებას, რომ ავგუსტუსის დენარების მიმოქცევა წინ უსწრებდა ე.წ. გოტარზეს დრაქმების შემოსვლას იბერიაში [10, გვ. 46]. **არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ის ფაქტი, რომ არც ერთ ადრეულ სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში არ შედის თუნდაც ერთი ე.წ. გოტარზეს დრაქმა.**

რაც შეეხება ავგუსტუსის დენარების მიმოქცევის გვიანდელ თარიღს - III ს-ის შუა ხანები - აქ მე კ. გოლენკოსთან სადავო არაფერი მაქვს, თუმცა ერთეული ცალები გვხვდება III ს. მეორე ნახევრით (დასასრულითაც კი) დათარიღებულ სამარხებში (მცხეთა, ცხინვალი, მაგრანეთი) [11, გვ. 53]. მაგრამ ეს არ იძლევა არავითარ საფუძველს, რომ მათი ცირკულაცია IV და, მითუმეტეს, V საუკუნეში ვივარაუდოთ [19, გვ. 66; 20, გვ. 87]. სრული გაუგებრობაა აგრეთვე დ. კაპანაძის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ავგუსტუსის დენარებისა და ე.წ. გოტარზეს დრაქმების აღმოჩენა გვიანდელ კომპლექსებში, მათ ადგილობრივ ემისიაზე მიუთითებდეს [17, გვ. 68]. დ. კაპანაძის ამ შეხედულების კრიტიკა მოცემულია კ. გოლენკოს ნაშრომებში [იხ. მაგ., 10, გვ. 47], ამიტომ ამ საკითხზე მე აღარ შევჩერდები.

ამრიგად, ახ.წ. I ს-ის დასაწყისიდან (და არა I ს-ის მეორე ნახევრიდან, როგორც ამას კ. გოლენკო ვარაუდობდა) III ს-ის შუა ხანებამდე იბერიის ეკონომიკაში ავგუსტუსის დენარების წამყვანი როლი სრულებით უდავოა.

როგორც ჩანს, ამ მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III ს-ის შუა ხანებიდან გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი. სამწუხაროდ, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ვინაიდან ისინი ჯერჯერობით არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ კომპლექსებში, მათი ემისიის თარიღის დადგენა ჭირს [11, გვ. 53-54]. მასალის სიმცირის გამო, ასევე ძნელია ავგუსტუსის დენარების მინაბაძების მოჭრის ცენტრის ლოკალიზაცია.

დასასრულ ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ახ.წ. I ს-ის მასალა, ჯერჯერობით, გაცილებით მეტია აღმოჩენილი საკუთრივ მცხეთასა და მის შემოგარენში, ვიდრე აღაიანსა და ნასტაკისში. განსაკუთრებით ეს ითქმის აღაიანის მასალაზე, სადაც აშკარად ძვ.წ. I ს-ის მონეტებს უკავია პრევალირებული ადგილი. შესაძლოა, ეს ფაქტი როგორღაც მიუთითებდეს მცხეთის განსაკუთრებულ დაწინაურებაზე მაინდამაინც ახ.წ. I ს-ში.

ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იბერიის სამონეტო ცირკულაციაში აქტიურად ერთვება ე.წ. გოტარზეს დრაქმები, რომელიც ავგუსტუსის დენარებთან ერთად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა იბერიის სამონეტო ბაზრის ძირითად ფულად ერთეულს (მარტო მცხეთა-ნასტაკის-აღაიანის ფარგლებში აღმოჩენილია 102 ერთეულის რაოდენობით, მცხეთაში - 91, აღაიანში - 2, ნასტაკისში - 9).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მცხეთის ტერიტორიაზე ბოსფორის მეფის კოტის I (45-62 წწ.) სპილენძის მონეტისა და პოლემონ II (49-63 წწ.) დრაქმის პოვნის ფაქტი. არც ერთი და არც მეორე აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, სადაც გვიანელინისტურ და რომაულ ხანაში არსებობდა ერთიანი შინაგანი ფულადი ბაზარი, რომელსაც ერთი ცენტრიდან მომდინარე (ალბათ, ასეთი რეგიონი მესოპოტამია და მისი მიმდებარე რაიონებია) იდენტური მონეტები ემსახურებოდა [11, გვ. 52, სქ. 33], გავრცელებული არ არის. მეტიც: სპილენძის მონეტებს იბერიის ეკონომიკაში თითქმის არ ჰქონიათ არავითარი ხვედრითი წონა. მით უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ მცხეთის აღმოჩენა არ არის ერთადერთი ამიერკავკასიის საზღვრებში. ასე მაგ., 1. 1947 წელს თბილისში შემთხვევით იპოვნეს ორი ბოსფორული სპილენძის მონეტა. ერთი ეკუთვნის მითრიდატე III (39-45 წწ.), ხოლო მეორე - დედამისს, ჰიპეპრიას [18, გვ. 148, №1]; 2. 1931 წ. სოფ. არტაშარში (კამარლინის რნი, სომხეთი) აღმოჩნდა რისკუპორიდ II (80-91 წწ.) სპილენძის მონეტა [18, გვ. 149, № 3]; 3. იმავე 1931 წ. სომხეთში, სოფ. ხორძიბარში შემთხვევით იპოვნეს სავრომატ I (93-123 წწ.) სპილენძის მონეტა [18, გვ. 149, № 4]. ჩემი აზრით, ბოსფორის მონეტების შემოსვლის გზა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ისევე როგორც პონტოს მეფის პოლემონ II დრაქმებისა, დასავლეთ საქართველოზე გადის [შდრ. 10, გვ. 23].

I ს-ის მეორე ნახევრის დანარჩენი მონეტები (ერთის გარდა) აღმოჩენილია **მხოლოდ და მხოლოდ მცხეთაში** და რომაულ აურეუსებს (14) და დენარებს (3) წარმოადგენს. მათი ემისია ეკუთვნის შემდეგ იმპერატორებს: 1. ნერონი (54-68 წწ.) - 6, აურეუსი, რომის ზარაფხანა; 2. გალბა (68-69 წ.) - 1, აურეუსი, რომის ზარაფხანა; 3. ვიტელიუსი (69 წ.) - 1, აურეუსი, რომი; 4. ვესპასიანე (69-79 წწ.) - 3, აურეუსი, რომი - 2, ლუგდუნუმი - 1; 5. ტიტუსი (79-81 წწ.) - 4, აურეუსი, მოჭრილი რომში ვესპასიანეს დროს; 6. დომიციანე (81-96 წწ.) - აურეუსი, 1, მოჭრილი რომში ვესპასიანეს დროს, დენარი - 3, ასევე რომის ზარაფხანა; მცხე-

თის გარდა, შესაბამისი პერიოდის, კერძოდ, დომიციანეს აურეუსი, მოჭრილი 77-78 წლებში რომში ვესპასიანეს დროს, აღმოჩენილია ზღუდერში (ქარელის რ-ნი) [12, გვ. 164, № 34].

ამრიგად, რომაული აურეუსების აქტიური როლი იბერიის სამონეტო ცირკულაციაში I ს-ის მეორე ნახევარში სავსებით დადასტურებული ფაქტია.

მთელი II ს-ის მანძილზე იბერიის სამონეტო ბაზარი, ავგუსტუსის დენარებთან და გოტარზეს დრაქმებთან ერთად, რომაული აურეუსებით საზრდოობს. მცხეთის რაიონში აღმოჩენილი II ს-ის ნუმიზმატიკური მასალის სია დიფერენცირებული იმპერატორების მიხედვით, ასე გამოიყურება: 1. ტრაიანე (98-117 წწ.), აურეუსი - 2, დენარი - 3, რომის ზარაფხანა. აღსანიშნავია ტრაიანეს კესარიული ნახევარდრაქმის აღმოჩენა მცხეთის 905-ე სამარხში, რაც სავსებით უპრეცენდენტოა [2, გვ. 20-21]; 2. ადრიანე (117-138 წწ.), აურეუსი - 8, დენარი - 3, რომის ზარაფხანა; 3. ანტინოეს სპილენძის მედალი (დაახლოებით 130 წ.), მოჭრილი ბითინიაში - 1; 4. ანტონინე პიუსი (136-161 წწ.), აურეუსი - 2, დენარი - 2, ოთხივე რომის ზარაფხანას მიეკუთვნება; 5. ფაუსტინა უფროსი (ანტონინე პიუსის დროს), აურეუსი - 2, დენარი - 1, რომის ზარაფხანა; 6. ფაუსტინა უმცროსი (ანტონინე პიუსის დროს), აურეუსი - 1, დენარი - 2, რომის ზარაფხანა; 7. მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.), აურეუსი - 2, რომის ზარაფხანა; 8. კომოდუსი (180-192 წწ.), აურეუსი - 1, რომის ზარაფხანა? სულ აურეუსი - 18, დენარი - 11, სპილენძის მედალიონი - 1. ამავე დროს, საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის მონეტები დაახლოებით თანაბრადაა წარმოდგენილი.

გარდა ამისა, II ს-ის 4 აურეუსი და ერთი დენარი აღმოჩენილია აგრეთვე ზღუდერში: 1. ფაუსტინა უფროსი, დენარი, მოჭრილი 141 წელს, რომის ზარაფხანაში ანტონინე პიუსის დროს. აურეუსი, მოჭრილი 141 წ. რომის ზარაფხანაში ანტონინე პიუსის დროს; 2. ანტონინე პიუსი, აურეუსი მოჭრილი 150-151 წლებში რომის ზარაფხანაში; 3. მარკუს ავრელიუსი და კომოდუსი, აურეუსი მოჭრილი 175-176 წლებში რომის ზარაფხანაში; 4. კომოდუსი, აურეუსი მოჭრილი 190 წელს რომის ზარაფხანაში.

ორივე პუნქტიდან მეცნიერების განკარგულებაშია II საუკუნის 22 აურეუსი, 13 დენარი და 1 სპილენძის მედალიონი.

ამრიგად, რომაული აურეუსების საკმაოდ ინტენსიური ცირკულაცია იბერიის ტერიტორიაზე უცილობელი ფაქტია.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად მიუღებელია ლიტერატურაში, მართალია ფრთხილ ფორმებში, გამოთქმული მოსაზრება, თითქოს ყოფილი სსრკ ტერიტორიაზე და, კერძოდ, იბერიაში აღმოჩენილი აურეუსები განძს წარმოადგენს და არა მიმოქცევის საშუალებას, რომ თითქოს ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულად საიუველირო წარმოებაში [15, გვ. 146-147]. ამის საწინააღმდეგოდ მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აურეუსები კონცენტრირებულია კომპლექსებში ვერცხლის მონეტებთან ერთად, რომელთა ფულადი ფუნქცია სრულებით უდავოა [შდრ. 11, გვ. 51, 55]. საქართველოს ტერიტორიაზე რომაული ოქროს მონეტების აღმოჩენათა სიმრავლე ადასტურებს, რომ ის იყო გადახდის კანონიერი საშუალება არა მარტო დედაქალაქის ბაზარზე, არამედ მთელს სახელმწიფოში [შდრ. 11, გვ. 55].

გარდა რომაული აურეუსებისა, იბერიაში შემოდის აგრეთვე II ს-ის დენარებიც. საქმე ისაა, რომ პერიფერიის ბაზარი, მართალია შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ მაინც ღებულობს რომაული ვერცხლის მონეტებს, რომელთა ემისია 64 წლის რეფორმის შემდგომ განხორციელდა. ეს აიხსნება, ალბათ, დენარების ნაკლებობით. მაგრამ არის ქრონოლოგიური ტეხილი, რომლის შემდგომ გამოშვებულ ვერცხლის მონეტებს პერიფერია უგულვებელყოფს. მე ვეთანხმები კ. გოლენკოს მოსაზრებას, რომ ასეთი ქრონოლოგიური ზღვარი II-III სს-ის მიჯნაა [11, გვ. 54].

კ. გოლენკო გამოთქვამს უაღრესად საინტერესო დაკვირვებას აურეუსების ცირკულაციასთან დაკავშირებითაც. ავტორი იძლევა ქრონოლოგიურ სიას ამიერკავკასიაში აღმოჩენილი რომაული აურეუსებისას და ღებულობს შემდეგ შკალას: I საუკუნის ოქროს მონეტები რეგიონში ნაპოვნია 17 ც. რაოდენობით, II ს-ის - 20 და III ს-ის პირველი მესამედის - 25. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს აურეუსების შემოსვლის ინტენსიურობა თანაბარია, მაგრამ კ. გოლენკოს თქმით, თუ მათ შემდგომ ქრონოლოგიურ დანაწევრებას მოვახდენთ, დავრწმუნდებით, რომ ეს შთაბეჭდილება მცდარია. I ს-ის 17 ეგზემპლარიდან მხოლოდ 2 ეკუთვნის საუკუნის პირველ ნახევარს. დანარჩენი - ნერონ-ფლავიუსების პერიოდს. II ს-ის პირველი ნახევარი (ტრაიანე-ანტონინე პიუსი) წარმოდგენილია 15 ეგზემპლარით, მეორე ნახევარი (მარკუს ავრელიუსი-კომოდუსი) - მხოლოდ 5. მთლიანობაში - წერს კ. გოლენკო – რომაული ოქროს მონეტების ძირითადი მასა მიეკუთვნება ნერონ-მარკუს ავრელიუსის ეპოქას. გარდა ამისა, მისი დაკვირვებით, ვინაიდან ყველა მნიშვნელოვანი კომპლექსი, სადაც კი აურეუსები აღმოჩნდა, უმცროსი მონეტის მიხედვით გვიანდელია, თუმცა არ გადის II ს-ის ქრონოლოგიურ ჩარჩოებიდან, გვაიძულებს

ვიფიქროთ, რომ ეს აურეუსები მოგვიანო ხანებშია შემოტანილი [11, გვ. 56].

III ს-ის მასალა ასე ნაწილდება: 193-235 წწ. პერიოდი - 11 ეგზ.; 238-260 წწ. - 5; ადრეული სამარხებისაგან განსხვავებით III ს-ის კომპლექსები, კ. გოლენკოს აზრით, უფრო კომპაქტურია. ისინი, როგორც წესი, არ შეიცავს იმ აურეუსებს, რომელთა ემისია სეპტიმიუს და ალექსანდრე სევერუსების ეპოქაზე ადრე განხორციელდა (193-211, 222-235 წწ.). მათ შორის ყველაზე ხშირია ელაგაბალუსისა (218-222 წწ.) და ფილიპე უფროსის (244-249 წწ.) სახელით მოჭრილი ოქროს მონეტების აღმოჩენა. უფრო გვიანდელი აურეუსები ერთეული ცალებითაა ცნობილი [11, გვ. 57].

გადავამოწმოთ კ. გოლენკოს ეს შკალა იბერიის აღმოჩენების საფუძველზე, ვინაიდან ავტორის წერილის გამოსვლის შემდეგ მოძიებული იქნა დამატებითი მასალა.

I ს-ის პირველი ნახევრის აურეუსების რაოდენობა კვლავ 2 ცალით განისაზღვრება (ავგუსტუსი, ტიბერიუსი); I ს-ის მეორე ნახევრის - 14 (ნერონი - 4, გალბა - 1, ვიტელიუსი - 1, ვესპასიანე - 2, ტიტუსი - 4, დომიციანე - 2); II ს-ის პირველი ნახევარი წარმოდგენილია 13 ეგზემპლარით: (ტრაიანე - 2, ადრიანე - 7, ანტონინე პიუსის აურეუსი, მოჭრილი 149-150 წწ. - 1, ფაუსტინა უფროსი, მოჭრის წელი 141-142, მისივე აურეუსი, მოჭრილი 141 წლის შემდეგ); II ს-ის მეორე ნახევარი - 9, აქედან 5 აღმოჩენილია მცხეთაში და 4 ზღუდერში.

ეს მასალა იმპერატორების მიხედვით ასე ნაწილდება: ანტონინე პიუსი (მოჭრილი 150-151 და 155-156 წწ.) - 2, ფაუსტინა უმცროსის - 1, მარკუს ავრელიუსის - 3, კომოდუსის - 2, ელაგაბალუსისა და გეტასი (დათარიღებული 198-199 წწ.) - 1.

შევუდაროთ ერთმანეთს კ. გოლენკოს მონაცემები ამიერკავკასიის მასშტაბით და საკუთრივ იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების რიცხვი.

თარიღი	ამიერკავ-კასია	იბერია
I ს-ის I ნახევარი	2	2
I ს-ის II ნახევარი	15	14
II ს-ის I ნახევარი	15	13
II ს-ის II ნახევარი	5	9
სულ	37	38

ამრიგად, უცვლელია მხოლოდ I ს-ის მეორე ნახევრის აურეუსთა რაოდენობა. სხვა ეპოქათა მასალის რიცხვის ზრდა მაინცდამაინც იბერიის ტერიტორიისათვის სავსებით ნათელია. ეს კი მათ ფართო მიმოქცევაზე მიუთითებს აღნიშნულ რეგიონში.

ერთადერთი რაშიაც ვერ დავეთანხმებით კ. გოლენკოს არის მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ I-II სს-ის რომაული ოქროს მონეტები გვიანაა შამოსული იბერიის საზღვრებში. ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თუნდაც მცხეთის 1951 წ. მავზოლეუმის კომპლექსი, სადაც ყველაზე გვიანდელი მონეტა ვესპასიანეს აურეუსია. ის, რომ ოქროს მონეტა შეიძლება შეგვხვდეს არა სინქრონულ სამარხებში, თითქმის არაფერს ამტკიცებს, ვინაიდან ოქრო, დამოუკიდებლად ემისიის დროისა, დიდხანს მონაწილეობს სამონეტო ცირკულაციაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მცხეთაში ნაპოვნია კიდევ რამდენიმე ვერცხლისა და სპილენძის მონეტა, რომელთა ზუსტი ატრიბუცია არ ხერხდება. მათ (და აგრეთვე სხვა ერთეულ ცალებს) მე გვერდს ვუვლი როგორც ადგილის სიმცირის, ასევე იმის გამოც, რომ ამ უკანასკნელებს არ შეუძლიათ რაიმე არსებითი კორექტივის შეტანა **იბერიის** ფულად მეურნეობაში.

„დიდი მცხეთის" მიდამოებში აღმოჩენილი III ს-ის ნუმიზმატიკური მასალის სია იმპერატორებისა და ნომინალების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) აურეუსი - 2, კესარიული დრაქმა - 1, სპილენძი - 2; 2. გორდიანე პიუსი (238-244 წწ.), აურეუსი - 2; 3. ფილიპე უფროსი (244-249 წწ.), აურეუსი - 1; 4. ფილიპე უმცროსი (247-249 წ.), აურეუსი - 1; 5. ტრაიანე დეციუსი (249-251 წწ.), აურეუსი - 1; 6. ვალერიანე (254-260 წწ.), აურეუსი - 1; 7. სასანიანთა ირანი, შაპურ I-ის (238-269 წწ.) დრაქმა - 2; 8. კარინუსის (283-285 წწ.) სპილენძის მონეტა - 1.

ამრიგად, მცხეთაში აღმოჩენილია III ს-ის 8 აურეუსი, ვერცხლისა და სპილენძის სამსამი მონეტა, სულ - 14. აქედან უმეტესობა საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

თუ მცხეთის საზღვრებში აღმოჩენილი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომაული ოქროს მონეტების შემოსვლა იბერიის ტერიტორიაზე თითქოს ძალიან იკვეცება, მაგრამ ეს ასე არაა. ასე მაგ., ზღუდერში მოძიებულია III ს-ის პირველი ნახევრის 7 აურეუსი [12, გვ. 165-166, №№ 40-46] (იხ. ცხრილი).

იბერიის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შემთხვევით კიდევაა მიკვლეული III ს-ის პირველი ნახევრის რამდენიმე აურეუსი: 1. 201-206 წწ. მოჭრილი იმპერატორ კარაკალას ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოფ. რუისში [3, გვ. 77-78, 90; შდრ. 17, გვ. 173]; 2. მისივე

აურეუსი იყო აგრეთვე ხოვლეში შემთხვევით მიკვლეულ სამარხში 2004 წ.; 3. XX ს-ის 30-იან წლებში სოფ. ნიჩბისში უპოვნიათ ალექსანდრე სევერუსის აურეუსი [17, გვ. 173].

რომაული აურეუსები აღმოაჩინა ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამაც: 1. 1977 წ. ჟინვალის რაიონში მიკვლეულ იქნა 198-209 წწ. დათარიღებული იულია დომნას მონეტა; 2. ქუშანაანთგორის სამარხებში აღმოჩნდა: ა) ალექსანდრე სევერუსის ოქროს მონეტა, მოჭრილი 225 წ. რომში; ბ) გორდიანე III - 2 ც.; გ) კარუსის (282-283 წწ.) აურეუსი, მოჭრილი ანტიოქიის ზარაფხანაში და დ) დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) - 1 [8, გვ. 99]; 3. სოფ. არაგვისპირის (ჟინვალის რ-ნი) № 13 სამარხში იყო იმპერატორ ვალერიანეს (254-260 წწ.) ოქროს მონეტაც.

დაბოლოს, XX ს-ის დასაწყისში გორის მიდამოებში მიწის სამუშაოებისას უპოვნიათ იმპერატორ კარინუსის (283-285 წწ.) აურეუსი [17, გვ. 174]. 1979 წ. კი არქეოლოგიური გათხრების დროს, ოკამის (კასპის რ-ნი) № 1 აკლდამაში აღმოჩნდა ალექსანდრიაში მოჭრილი დიოკლეტიანეს ოქროს მონეტა.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი III ს-ის რომაული აურეუსების შემაჯამებელი ცხრილი ასეთი სახისაა (იხ. ცხრილი).

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში III ს-ის 27 აურეუსია ნაპოვნი. აქედან პირველ ნახევარს მიეკუვნება 20, მეორეს - მხოლოდ 7. ჯერჯერობით, მეცნიერების განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, რომაული ოქროს მონეტის შემოსვლის ინტენსიურობა იბერიის ტერიტორიაზე კლებულობს მხოლოდ III ს-ის მეორე ნახევრიდან. ეს უშუალო კავშირში უნდა იყოს იმპერიის კრიზისთან საზოგადოდ, რომლის ერთ-ერთი გარეგნული გამოვლენაც ფულადი მეურნეობის კრიზისში გამოიხატება [დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. 25, გვ. 180].

ფულადი მეურნეობის კრიზისის არსი რომის სახელმწიფოში მოკლედ შეიძლება ასე გადმოიცეს: დროთა განმავლობაში კატასტროფიულად ეცემა ვერცხლის მონეტების (დენარებისა და ანტონინიანის) ღირებულება, რის კომპენსირებას ხელისუფლება ცდილობს ახალი ემისიებით. ჩნდება ახალი ფულადი საანგარიშო ერთეული - follis-ი („ტომარა" ე.ი. ფულით სავსე ტომარა). პარალელურად, ცხადია, იჭრება ოქროს მონეტებიც. მაგრამ მათ შორის იმდენად დიდი სხვაობა იყო, რომ პრაქტიკულად აურეუსის გადაცვლა ანტონინიანზე შეუძლებელი შეიქნა. ასეთ ვითარებაში აურეუსების წონა და ემისია კლებულობს. ასე მაგ., უკვე მარკუს ავრელიუსის დროს ოქროს მონეტების ემისია იკვეცება. კიდევ უფრო მცირდება მისი მასშტაბები კომოდუსს-ალექსანდრე სევერუსის დროს, ხოლო გორდიანების ეპოქაში აურეუსები თითქმის იშვიათობად იქცა. სწორედ ამას უნდა გამოეწვია ოქროს მონეტების შემოსვლის საგრძნობი შეკვეცა იბერიაში, ხოლო ამ უკანასკნელს რომაული ოქროს მონეტების იმიტაციების ემისია საქართველოში [11, გვ. 57].

იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინაბაძების კვლევა, მასალის სიმცირის გამო, დღესდღეობით არ შეიძლება გასცდეს იმ სამუშაოს ფარგლებს, რაც ასე კვალიფიციურად ჩაატარა კ. გოლენკომ, მით უფრო, რომ ჩემი ნაშრომის ხასიათი არ ითხოვს ამას. შევეცდები მოკლედ გადმოვცე ავტორის პოზიცია ამ უაღრესად საინტერესო ნუმიზმატიკურ ფენომენთან დაკავშირებით: 1. კ. გოლენკომ ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძები, წინააღმდეგ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებისა [15, გვ. 146-147], ადგილობრივაა მოჭრილი. ამ დებულების სასარგებლოდ მან წამოაყენა უძლიერესი არგუმენტი: საქართველოში აღმოჩენილი 11 მინაბაძიდან 7 ერთიდაიგივე სიქითაა მოჭრილი [11, გვ. 50]. მე კიდევ დავუმატებ ერთ საბუთს: 1974 წ. ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დუშეთის რ-ნის სოფ. ჟინვალის არაგვისპირის სამაროვნის № 13 სამარხში აღმოაჩინა იმპერატორ ვალერიანეს (254-260 წწ.) ოქროს მონეტა, რომლის აღწერილობა ასეთია: შუბლი - ვალერიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში მარჯვნივ. გარშემო: IMP C P LIC VALERIANYS AYG. რკალი წერტილოვანი. ზურგი - ორცხენიან ეტლზე (ბიგაზე) მჯდომი მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორია მათრახს უჭერს ცხენებს. გარშემო: VICTORIAE, ხაზს ქვემოთ: AYGG. იმავე სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ვალერიანეს ზემოთაღწერილი აურეუსის ზუსტი იმიტაცია ოდნავ დამახინჯებული იმპერატორისა და მარცხნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორიას გამოსახულებით. შუბლის ლეგენდას ასეთი სახე აქვს: IΩCqLICVAL... PIHT(?) // AYG, ზურგისას - IIIC⊥OOdIE VΛCC. ერთიდაიმავე სამარხში ორიგინალისა და მისი ასლის პოვნა კიდევ ერთი ძლიერი საბუთია რომაული აურეუსების იმიტაციების იბერიული წარმოშობის თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ამ კატეგორიის მონეტათა იურიდიულმა ბუნებამ. მე ეჭვი მეპარება, რომ მათ ემისიას სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებდა; 2. კ. გოლენკოს ყველაზე დიდი დამსახურება მინაბაძების შესწავლის საქმეში ისაა, რომ მან საქართველოში აღმოჩენილ ყველა ცალს მოუძებნა პროტოტიპი, გამოავლინა, ხშირ შემთხვევაში, მათი ჰიბრიდული ხასიათი, დაამტკიცა, რომ მათი გარკვეული

ნაწილის ემისია წარმოებდა არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მონეტის მიხედვით [11, გვ. 68-72] და საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა იმიტაციების მოჭრის შესაძლებლობა 250/260-285 წწ. [11, გვ. 58]. შესაძლებელია, ეს ქრონოლოგიური ჩარჩო მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ ერთი უდავოა: მინაბაძების ემისია III ს-ის მეორე ნახევარში სავსებით დადასტურებული ფაქტია სამარხეული კომპლექსებით [საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების მინაბაძებისა და მათთან თანმხლები სხვა მონეტების სია იხ. 20, დანართი II, №№ 1-10].

შემდეგ კ. გოლენკო ცდილობს გაარკვიოს საქართველოში რომაული აურეუსების შემოსვლის შეწყვეტისა და მინაბაძების გენეზისის პოლიტიკური ასპექტები, რის გამოც მოკლედ მიმოიხილავს III ს-ის რომის ისტორიას [დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. 14, გვ. 84 შმდ.]: 258-268 წწ. რომის სახელმწიფო თითქმის დაღუპვის პირასაა მისული, დაკარგულია აღმოსავლეთი, სისტემატური ომები მიმდინარეობს მცირე აზიაში, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ამიერკავკასიასთან სავაჭრო კონტაქტებს როგორც შიდა რაიონების, ასევე შავი ზღვის საშუალებით. 252-260 წლებზე მოდის სასანიდთა ტრიუმფი და იმპერატორ ვალერიანეს დატყვევება. 10 წლის მანძილზე რომაული აზია წარმოადგენს პალმირასა და ირანის მეტოქეობის ასპარეზს. ისიცაა აღსანიშნავი, რომ 255 წლიდან შავ ზღვაზე გოთები გაბატონდნენ [11, გვ. 58-59]. ყველაფერი ეს, ცხადია, ხელს უშლიდა რომის იმპერიის ტრადიციულ ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) მიმართულებას.

პოლიტიკურ და სამხედრო ვითარების სტაბილიზაციას ადგილი ჰქონდა III ს-ის 70-იან წლებში: დამარცხებული იქნა გოთები, დანგრეული - პალმირა. 275 წლის შემდეგ მოჭრილი რამდენიმე აურეუსის აღმოჩენა ამიერკავკასიაში, თითქოს მოწმობს ძველი ტრადიციების აღდგენას, მაგრამ, არსებული მასალების მიხედვით, ძველი მასშტაბებით ეს კავშირურთიერთობა აღარ განახლებულა თვით IV საუკუნეშიც კი, როდესაც კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) რეფორმის შემდეგ სოლიდი გახდა ძირითადი ერთეული იმპერიაში. მეტიც: კ. გოლენკოს მიაჩნია, რომ ახალმა ფულადმა ერთეულმა ვერ დაიკავა რომაული აურეუსების ადგილი ამიერკავკასიაში. ისინი აქედან სასანურმა ვერცხლის მონეტებმა გამოდევნეს [11, გვ. 59].

IV ს-ის მიმართ, ჯერჯერობით, ეს დებულება მართებული არაა, მაგრამ შემდგომი პერიოდისათვის სწორია, თუმცა იგი უმეტესწილად პოლიტიკური მოტივებით იყო გაპირობებული, ვიდრე ეკონომიკური, კერძოდ, სასანიდთა პოლიტიკური წარმატებებით ამიერკავკასიაში.

IV ს-ში სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა იბერიაში კატასტროფულად მცირდება [შდრ. 11, გვ. 59]. ასე მაგ., მცხეთა-აღაიანის მიდამოებში აღმოჩენილია IV ს-ის ორი სოლიდი (კონსტანტინე I-ის, ნიკომედიის ზარაფხანა; კონსტანციუს II-ის - 337-361 წწ., ანტიოქიის ზარაფხანა) და ერთი სილიკვა (ვალენტის - 364-378 წწ., ანტიოქია).

გარდა ამისა, შემიძლია კიდევ ორი შემთხვევითი აღმოჩენა დავასახელო აღმოსავლეთ საქართველოდან: 1. კონსტანციუს ქლორის (292-306 წწ.) ოქროს მონეტა ნაპოვნია ახალქალაქის რაიონში და 2. ლისის ტბის მიდამოებში (თბილისი) 1963 წ. აღმოჩნდა კონსტანციუს II-ის სპილენძის მონეტა, მოჭრილი კონსტანტინეპოლის ზარაფხანაში. მონეტა მპოვნელმა დაიტოვა.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ აღაიანის სამარხში კონსტანტინე I-ის სოლიდთან ერთად აღმოჩნდა ნუმერიანეს (282-284 წწ.) აურეუსის მინაბაძი [6, გვ. 90; 21, გვ. 269-270]. ოქროზე პერიფერიის მოთხოვნილება, უნდა ვიფიქროთ, ვერ კმაყოფილდება IV ს-ის სოლიდებით [11, გვ. 58].

ასევე მცირე რაოდენობითაა ნაპოვნი მცხეთის მიდამოებში V ს-ის ნუმიზმატიკური მასალა: თეოდოს II-ის (408-450 წწ.) კონსტანტინეპოლში მოჭრილი სოლიდი, ლეონ I-ის (457-474 წწ.) ვერცხლის მონეტების 5 მინაბაძი და 6 სასანური დრაქმა: ვარაჰრან V (421-439 წწ.) - 1; 2. იეზდიგერდ II (439-457 წწ.) - 3; ფეროზი (459-484 წწ.) - 1 და ვალაში (484-488 წწ.) - 1. მონეტების რიცხვის მკვეთრი ზრდა მცხეთის ტერიტორიაზე შეიმჩნევა V ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისში (კავად I-ის - 488-531 წწ. - დრაქმები) [დაწვრილებით სასანური მონეტების საქართველოში მიმოქცევის შესახებ იხ. 13, გვ. 8-35; 9, გვ. 156-158; 24; საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური მონეტების შესახებ იხ. 1]. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ V ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში სამონეტო მიმოქცევა თითქმის ჩაკვდა, რომ შესაძლებელია, ზოგიერთ რაიონში საერთოდ შეწყდა მოჭრილი ფულის ცირკულაცია და მის სუროგატად სხვა საზომი გამოიყენებოდა [11, გვ. 59]. V ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სასანური დრაქმების საკმაოდ ინტენსიური ცირკულაცია არ იწვევს არავითარ ეჭვს. ამაზე, ზემოთ ჩამოთვლილი მცხეთის აღმოჩენების გარდა, მიუთითებს თუნდაც 1970 წ. ბოლნისის რაიონში გამოვლენილი განძის გადარჩენილი ნაწილი, რომელიც 29 მონეტისაგან შედგება და ყველა მათგანი ფეროზის (459-484 წწ.) სახელითაა მოჭრილი [9, გვ. 150].

ამრიგად, მე მიმოვიხილე სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში. მაგრამ სურათი სრული არ იქნება, თუ სქემატურად მაინც არ შევეხებით კიდევ ერთ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიულად კოლხეთია, ხოლო პოლიტიკურად გვიანანტიკურ ხანაში დაკავშირებულია იბერიასთან [23; 7, გვ. 76, 156]. ესაა ისტორიული არგვეთის ტერიტორია (თანამედროვე თერჯოლის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები).

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და პოლიტიკური სტატუსის გამო, არგვეთის სამონეტო ბაზარი ერთგვარ ეკლექტიკურ ხასიათს ატარებდა. აქ პარალელურად მიმოიქცეოდა ოთხი კატეგორიის მონეტები. საერთო საიმპერიო დენარები, პართული დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძები და კესარიული ვერცხლი [10, გვ. 39]. დაბოლოს მათ მიემატა აგრეთვე IV ს-ის რომაული ოქრო.

რეგიონის კიდევ ერთ ეკონომიკურ სპეციფიკას უნდა გაესვა ხაზი: აქ გადადიოდა მთავარი სავაჭრო არტერია, რომელიც კოლხეთს იბერიასთან აკავშირებდა, შესაბამისად, შავი ზღვის აუზის ქვეყნებს - აღმოსავლეთთან (ქალაქი ფაზისი, მდ. რიონის საშუალებით შორაპანი, სურამის უღელტეხილი და მდ. მტკვრის საშუალებით კასპიის ზღვა) [5; 10, გვ. 38]. ამრიგად, უკვე თეორიულად აქ სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უნდა ყოფილიყო ის მონეტები, რომლებიც მიმოიქცეოდა როგორც იბერიაში, ასევე კოლხეთში. ვიძლევით მათ შემაჯამებელ სიას და აქვე დავძენთ, რომ ეს მასალა არაერთჯერაა პუბლიცირებული [იხ. მაგ., 10, დანართი I, №№ 29, 30, 35, 69, 70, 71, 72, 73, 73[a], 83, 85, 86, 87, 88, 88[a], 100, 102. აქვეა სათანადო ბიბლიოგრაფია]: 1. ავგუსტუსის დენარები, მოჭრილი გალიის (ლუგდუნუმი?) ზარაფხანაში ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ. - 56 ცალი (კლდეეთში - 16, ბორი - 29, მდ. ყვირილას აუზი - 10, სოფ. კიცხი - 1); 2. ტიბერიუსის (14-37 წწ.) დენარი - 1 (სოფ. ჯუღელი, ზესტაფონის რ-ნი); 3. კალიგულას (37-41 წწ.) დენარი - 1 (ბორი); 4. ე.წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) დრაქმები - 19 (კლდეეთი - 8, ბორი - 9, ზესტაფონი - 1, ილემი - 1); 5. პოლემონ II-ის (49-63 წწ.) დრაქმა, მოჭრილი 57/58 წწ. - 1; 6. ნერონის (54-68 წწ.) - 1 (ბორი); 7. ნერვას (96-98 წწ.) კესარიული დიდრაქმა - 3 (კლდეეთი); 8. ტრაიანეს (98-117 წწ.) კესარიული დიდრაქმა - 1 (ბორი); 9. ადრიანეს (117-138 წწ.) კესარიული დიდრაქმა - 2 (კლდეეთი), ჰემიდრაქმა - 2 (ბორი); 10. ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) კესარიული დიდრაქმა - 2 (კლდეეთი); 11. ფაუსტინა უმცროსის დენარი - 1 (ბორი); 12. იულია დომნას (193-217 წწ.) დენარი - 1; 13. ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძი - 16 (კლდეეთი - 13, ბორი - 2, ილემი - 1).

არგვეთში აღმოჩენილი მეხუთე კატეგორიის მონეტები, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, IV ს-ის ოქროს მონეტებია. ისინი მოიძიეს საჩხერის რაიონში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს მონეტები ეკუთვნის: 1. კონსტანტინე I-ს (306-337 წწ.) - 2 ცალი (1 მოჭრილია სისციაში, 1-იც კონსტანტინეპოლში) და 2. კონსტანციუს II ს-ს (337-361 წწ.) - 4 (ყველა ანტიოქიის ზარაფხანისა) [7, გვ. 72-74].

ამრიგად, არსრული მონაცემებით, არგვეთის ტერიტორიაზე სულ აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის დაახლოებით 112 მონეტა. საუკუნეების მიხედვით ისინი ასე ნაწილდება: I საუკუნე - 81 ეგზემპლარი, II - 25, IV - 6.

ცხადზე ცხადია, რომ არგვეთის ტერიტორიაზე მიკვლეული ავგუსტუსის დენარები და გოტარზეს დრაქმები იბერიიდან შემოდიოდა, ხოლო კესარიული მონეტები - კოლხეთიდან. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სამონეტო მიმოქცევა ინტენსიურად არგვეთის ტერიტორიაზე მაინცდამაინც I-II საუკუნეებში იკვეთება განსაკუთრებული სიმკვეთრით და ისიც მაინცდამაინც ბორი-კლდეეთი-შორაპნის მიდამოებში. გ. ცქიტიშვილის მოსაზრების თანახმად, ბორში III ს-ში უქმდება ერისთავების რეზიდენცია [23, გვ. 16]. ამასთან ხომ არ უნდა იყოს დაკავშირებული IV ს-ის ოქროს მონეტების აღმოჩენის ფაქტი უკვე საჩხერეში? რა თქმა უნდა, არგვეთის პოლიტიკური ცენტრების გადანაცვლების საკითხი ასე მცირერიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალით ვერ გადაწყდება, მაგრამ მისი გათვალისწინება სხვა მონაცემებთან ერთად, ვფიქრობ, საკითხის კვლევას წინ წასწევს.

ლიტერატურა:

1. **აბრამიშვილი თ.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1965.

2. **აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ.** მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905, მცხეთა, XI, თბ., 1996.

3. **დუნდუა გ.** საქართველოს მიწა-წყალზე ნაპოვნი იშვიათი რომაული მონეტა, ძეგლის მეგობარი, № 13, თბ., 1967.

4. **დუნდუა გ.** საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან) თბ., 1979.

5. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავიზღვისპირეთისაკენ მიმავა-

ლი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ, სმამ, XIX, 1973.

6. **მაკალათია ს.** არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფ. საკობიანოში, დაბლაგომში და ალაიანში, სსმმ, ტ. XI-B, 1941.

7. **ნადირაძე ჯ.** ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

8. **რამიშვილი რ.** ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979.

9. **Абрамишвили Т. А., Цоцелия М.В.** Клад сасанидских драхм из Болниси, "Нумизматический сборник," Тб., 1977.

10. **Голенко К.В.** Денежное обращение Колхиды в римское время, Л., 1964.

11. **Голенко К.В.** Заметки об обращении римской монеты в Закавказье, ВДИ, № 4, 1971.

12. **Голенко К.В., Капанадзе Д.Г.** Монеты, найденные в селении Згудери (Грузинская ССР) в 1964-1965 гг., ВДИ, №1, 1968.

13. **Джалагениа Ир.Л.** Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб., 1979.

14. **Дьяков В.Н.** Социальная и политическая борьба в Римской империи в середине III в., ВДИ, № 1, 1961.

15. **Казаманова Л.Н., Кропоткин В.В.** Подражания римским золотим монетам II-III вв., ВДИ, № 1, 1964.

16. **Капанадзе Д.Г.** Монетные находки Мцхетской экспедиции, ВДИ, № 1, 1955.

17. **Капанадзе Д.Г.** Ауреусы Армазского некрополя, СА, № 3, 1957.

18. **Капанадзе Д.Г.** К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным, ПИСП, 1959.

19. **Капанадзе Д.Г.** О продолжительности обращения денариев Августа и драхмы Готарза в древней Иберии, СА, № 4, 1962.

20. **Капанадзе Д.Г.** Новые находки подражений римским ауреусам в Грузии, ВДИ, № 4, 1970.

21. **Макалатия С.И.** Археологические находки в селения Даблагоми и Агаяни, СА, № V, 1940.

22. **Пахомов Е.А.** Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I-IX, 1926-1966.

23. **Цкитишвили Г.Г.** Из исторической географии Картлийского (Иберийского) царства античной эпохи (автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук), Тб., 1965.

24. **Цоцелия М.В.** Из истории взаимоотношении Картли с сасанидским Ираном (по памятникам материальной культуры), Тб., 1975.

25. **Mattingly H.** Roman Coins, L., 1960.

ტაბულის აღწერილობა:

1. ავგუსტუსის დენარი - ძვ.წ. 2 - ახ.წ. 4 წწ.
2. გოტარზეს დრაქმა - 40/1-51 წწ.
3. ტიბერიუსის დენარი - 14-37 წწ.
4. ფაუსტინა უმცროსის აურეუსი, მოჭრილი ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) დროს.
5. კომოდუსის აურეუსი (180-192 წწ.).
5. კომოდუსის აურეუსი (180-192 წწ.).
6. სეპტიმიუს სევერუსის აურეუსი (193-211 წწ.).
7. სეპტიმიუს სევერუსის აურეუსი (193-211 წწ.).
8. იულია დომნას აურეუსი (193-217 წწ.).
9. კარაკალას აურეუსი (211-217 წწ.).
10. გორდიანე III პიუსის აურეუსი (238-244).
11. გორდიანე III პიუსის აურეუსი (238-244).
12. ვალერიანეს აურეუსი (253-260 წწ.).
13. ვალერიანეს აურეუსი (253-260 წწ.).
14. კონსტანტინე I სოლიდი (306-337 წწ.).

№№	იმპერატორი	მოჭრის თარიღი	ზარაფხანა	რაოდენობა	სულ
1	კარაკალა (211-217 წწ.)	204 წ.	რომი	1	1
2	ელაგაბალუსი (218-222 წწ.)	218-219 218-219 220-222	რომი აღმოსავლთის ზარაფხანა რომი	1 1 1	3
3	ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.)	226 228	რომი რომი	1 1	2
4	გორდიანე პიუსი (238-244 წწ.)	240	რომი	1	1
					7

№	იმპერატორი	რაოდე-ნობა	აღმოჩენის ადგილი	საერთო რაოდენობა
1	სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.)	2	მცხეთა	27
2	იულია დომნა (+217 წ.)	1	ჟინვალი	
3	კარაკალა (211-217 წწ.)	3	ზღუდერი, რუისი, ხოვლე	
4	ელაგაბალუსი (218-222 წწ.)	3	ზღუდერი	
5	ალექსანდრე სევერუსი (222-235წწ.)	4	ზღუდერი (2), ნიჩბისი (1), ქუშანაანთგორა (1)	
6	გორდიანე პიუსი (238-244 წწ.)	5	მცხეთა (2), ზღუდერი (1), ქუშანაანთგორა (2)	
7	ფილიპე უფროსი (244-249 წწ.)	1	მცხეთა	
8	ფილიპე უმცროსი (249 წ.)	1	მცხეთა	
9	ტრაინე დეციუსი (251-253 წწ.)	1	მცხეთა	
10	ვალერიანე (254-260 წწ.)	2	მცხეთა, არაგვისპირი	
11	კარუსი (282-283 წწ.)	1	ქუშანაანთგორა	
12	კარინუსი (283-285 წწ.)	1	გორი	
13	დიოკლეტიანე (284-305 წწ.)	2	ქუშანაანთგორა, ოკამი	

I

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

12

13

14

გელა გაშყრელიძე

ნაოსნობის ისტორიისათვის ანტიკური პერიოდის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

შავმა ზღვამ დიდი როლი ითამაშა კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია ცნობილი. კერძოდ, აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი-ბობოყვათი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და სხვ. [9, გვ. 6-48].

ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი გარკვეულ როლს ასრულებდნენ უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და ქალაქებთან - მილეთთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, სინოპთან, ამისოსთან, ხერსონესთან, ჰერაკლეასთან, ფანაგორიასთან, რომთან (ოსტია). შემდგომ კონსტანტინეპოლთან, გენუასთან, ვენეციასთან და ა.შ. [9, გვ. 45-46].

ზღვისპირა ქალაქებში, ვაჭრობის გარდა, ხელოსნობის სხვადასხვა დარგები – მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა იყო განვითარებული. აქ ალბათ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას - ზღვაოსნობას, ნავთმშენებლობას, მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და, რაც მთავარია, საზღვაო ვაჭრობას ეჭირა. ანტიკურ ხანაში კოლხეთის სანაპიროზე გარკვეული საკონტაქტო რეგიონი შეიქმნა ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვაჭრობა, ისევე, როგორც მთელ ანტიკურ სამყაროში, ძირითადად საზღვაო-სამდინარო გზებით ხორციელდებოდა (იხ. სურ. 7).

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია კოლხეთის შესახებ გადმოგვცემს - ისინი გამოირჩევიან „... თავისი სიმდიდრის სიუხვით, ასევე ქვეშევრდომთა სიმრავლით, მიწა-წყლის სიდიდით და მოსავლიანობით...“ „... მცხოვრებლები დაცურავენ, რამდენადაც შესაძლებელია და ვაჭრობაში დიდ სარგებელს ნახულობენ“ (III, 5). მდ. რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სამდინარო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომზე მდებარე ქალაქი ფასისი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები ზღვაში გადიოდნენ კაბოტაჟური ცურვისათვის.

გეომორფოლოგების მიხედვით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო. ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოსულიყვნენ. ამ გემებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო ნავებში იტვირთებოდა და პალიასტომის გავლით რიონზე ან ფიჩორზე აღმა აგრძელებდნენ სვლას. წერილობითი წყაროები მიგვანიშნებენ - „იქ ხომ ერთი ტბა (პალიასტომი - გ.გ.) არის“... „დიდი სატვირთო ხომალდები ზღვის ნაპირას, ფასისის შესართავთან მიაცურეს ქალაქის (ფასისის - გ.გ.) მახლობლად...“ (აგათია III,5).

შავი ზღვა ხმელეთშიდა ზღვაა. ის ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუაზღვაში. ბოსფორის უვიწროესი სიგანე მხოლოდ 700 მ-ა, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადვილია. ვის ხელშიაც ეს სრუტე იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. ანტიკური ხანის კოლხეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა საზღვაო და სამდინარო (მდ. რიონ-ყვირილას სატრანზიტო გზა) კომუნიკაციების განვითარება, რაც ზეგავლენას ახდენდა მაშინდელი კოლხეთის კონტაქტებზე გარე სამყაროსთან.

ზღვა დიდ გავლენას ახდენს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაზე და შესაბამისად აქაურ აგროკლიმატურ სიტუაციაზე, სამეურნეო ყოფაზე. ზღვა აქ თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

კოლხეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ზღვის ნაპირის გეომორფოლოგიურმა შეცვლამ ითამაშა. კერძოდ, გეომორფოლოგების ვარაუდით ახალშავზღვურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე ისევ იწყება ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა და შეწყვიტა არსებობა. კოლხეთის ზღვისპირეთში სკილაქს კარიანდელის, არიანეს, პომპონიუს მელას, სტრაბონის, კლავდიოს პტოლემაიოსის, პროკოპი კესარიელის მიხედვით, მთელი რიგი ნაქალაქარებია მოხსენიებული. ქალაქების წყალში დაძირვამ ზღვისპირეთში ეკონომიკური დონის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავთსაყუდელების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე. ძველი საქართველოს ზღვასთან ახლო მდებარე

რეგიონებში მცხოვრებლებს საზღვაო ბრძოლების გამოცდილებაც ჰქონდათ. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში.

ქსენოფონტი გადმოგვცემს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. 401 წელს ბერძენთა ჯარს საომარი ოპერაციების დროს ერთ-ერთმა ქართველურმა მოსახლეობამ - მოსინიკებმა ე.წ. საზღვაო სადესანტო მხედრობა მიაშველეს. კერძოდ: "... გამოგიგზავნოთ ნავები და მებრძოლები, რომელნიც თქვენთან ერთად იომებენ...", "... ისინი (მოსინიკები - გ.გ.) მოვიდნენ მთლიანი მორისაგან გამოთლილი სამასამდე ნავით. ყველა ამ ნავში სამ-სამი მებრძოლი იჯდა; ორი ამათგანი იარაღს ისხამდა და ნაპირზე გადმოდიოდა, ხოლო ერთი კი რჩებოდა ნავში;" "... ნაპირზე გადმოსულები (დესანტირებულები) დაეწყვნენ ამგვარად: დაიყვნენ ასეულებად ცალკეული დანაყოფების მსგავსად, მწყობრად", "...ყველას ხელში ეჭირა სუროს ფოთლის ნაირი ფარი, ... შუბი." "...მათ ემოსათ მკვრივი ტილოს ქიტონები, ... თავზე ტყავის მუზარადები ეხურათ" ... "მათ ჰქონდათ აგრეთვე რკინის ორლესული საბრძოლო ცულები; როცა მწყობრად დაეწყვნენ ერთ-ერთმა მათგანმა სიმღერა წამოიწყო, სხვებმა (ამ სიმღერას) ტაქტს ფეხი აუწყეს და გაემართნენ საბრძოლველად" (იხ. ანაბასისი V, IV, 9-14; 4). ჰიპოკრატეც აღნიშნავს, რომ მდ. რიონის (ფასისის) ქვემო წელზე ადგილობრივი მცხოვრებლები "დაცურავენ აღმა-დაღმა მთლიანი მორისაგან გამოთლილი ნავებით, რადგან აქ არხები ბევრია" (ჰაერთა, წყალთა... 15).

სტრაბონი მოგვითხრობს, რომ კავკასიონის გასწვრივ ზღვასთან, კოლხეთში მცხოვრებნი - "... ზღვაზე ყაჩაღობენ, აქვთ მომცრო, ვიწრო და მსუბუქი ნავები, რომლებშიც დაახლოებით ოცდახუთი მებრძოლი ეტევა, ... ბერძნები მათ კამარებს უწოდებენ." "...ესენი კამარებისაგან (ნავებისაგან - გ.გ.) ფლოტილიებს ჰქმნიან და თავს ესხმიან სატვირთო ხომალდებს, ... ქალაქებს და ამგვარად აკონტროლებენ ზღვას" (იხ. სტრაბონი XI, II, 12).

ტაციტუსის ცნობით: "...კამარებს უწოდებენ დაბალ გვერდებიან, ფართო ძირიან (სპეციალურ სამხედრო ნავებს - გ.გ.); ისინი ბრინჯაოს ანდა რკინის სამაჯურების გარეშე არიან შეკრული; როცა ზღვა ღელავს, ტალღების სიდიდის მიხედვით ნავებს ფიცრებით სიმაღლეს უმატებენ, ვიდრე სახურავის თაღივით (კამარასავით) არ გადაიხურება... (ნავებს) ორივე მხარეს ერთნაირი ცხვირები და ერთნაირი ნიჩბები აქვთ" (ანალები, III, 47; 1). ნავ-კამარები ძირითადად ბრძოლის დროს მოძრაობდნენ ნიჩბების საშუალებით, ხოლო აფრას გრძელ მანძილზე გადაადგილების დროს იყენებდნენ. ამ ტიპის ნავები გამოირჩეოდნენ კარგი სანავიგაციო თავისებურებებით და ნაპირთან სწრაფი მიდგომის უნარით, რაც ნაპირზე სამხედრო დესანტირებისას ფრიად მოხერხებული უნდა ყოფილიყო.

კოლხების სამხედრო ფლოტილიის შესახებ ცნობა მოიპოვება, აგრეთვე, ძვ.წ. III ს. ავტორ აპოლონიოს როდოსელთანაც (იხ. არგონავტიკა, II, 1090; IV, 235). აქვე აღსანიშნავია, რომ სოფ. ყოღოთოში აღმოჩენილ ძვ.წ. III ს. ბრინჯაოს ინტალიოზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში, ინვ. № 696) გამოსახულია ნიჩბებიანი კატარღა (სურ. 1), რომელიც შესაძლოა ნავ-კამარა იყოს. აგრეთვე, ალბათ კოლხური კატარღაა (სურ. 2) გამოხატული ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. II ს. ფენაში აღმოჩენილ თიხის საწაფებზე [3, გვ. 140].

სურ. 1

კოლხეთში მოიპოვება "გემთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან იზრდება მრავალრიცხოვანი ტყეები..." ამუშავებენ დიდძალ - სელს, კანაფს, ცვილს და ფისს" (იხ. სტრაბონი XI, II, 17). მნიშვნელოვანია ისიც, რომ სტრაბონი შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს "კოლხეთის ზღვას" უწოდებს (იხ. სტრაბონი, XI, I, 6; 7, გვ. 19-48, 65-111), რითაც ხაზს უსვამს ძველი საქართველოს ამ რეგიონის მნიშვნელობას საზღვაო საქმის ცოდნის თვალთახედვით.

პონტოს სამეფოს სამხედრო საზღვაო ძალები ძირითადად კოლხეთის მოსახლეობისაგან კომპლექტდებოდა (გემების ეკიპაჟები) და ხომალდების ცალკეული ნაწილები, აღჭურვილობაც აქედან მიეწოდებოდათ, კერძოდ - სელის და კანაფის თოკები, აფრები; ხის მასალა და ფისი. სტრაბონი აღნიშნავს, რომ სწორედ კოლხეთიდან მითრიდატე ევპატორს - "...მისდიოდა უმეტესი ნაწილი საზღვაოსანაოსნო ძალებში სამსახურისათვის" (იხ. სტრაბონი XI, II, 18).

ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ანიკეტის ამბოხის ამბავი. ანიკეტი უწინ სამხედრო ფლოტის მეთაური ყოფილა. შესაძლოა, რომ იგი წარმომავლობით ადგილობრივი, კოლხი იყო. მას შემდეგ, რაც პოლემონის სამეფო რომაელებმა პროვინციად აქციეს, ანიკეტმა

ამის გამო პროტესტი განაცხადა, რისთვისაც დასაჯეს და დაატყვევეს. ანიკეტი გაიქცა, მიიმხრო და სათავეში ჩაუდგა პონტოს ადგილობრივ უკმაყოფილო და უპოვარ მცხოვრებლებს. ის ამბოხებულებით სწრაფად შეიჭრა აღმოსავლეთ პონტოში და აიღო ქალაქი ტრაპეზუნტი. აქ, ერთი რომაული კოჰორტა ამოხოცა და ტრაპეზუნტის ნავსადგურში მდგარი ფლოტის ნაწილი ხელთ იგდო, ხოლო ნაწილი დაწვა. მან ტრაპეზუნტის გასწვრივ ზღვაზე კონტროლი დააწესა; სადაც "... ადგილობრივები გაბედულად მოძრაობდნენ სახელდახელოდ აგებული ნავებით, რომლებსაც კამარებს უწოდებენ..." (იხ. ტაციტუსი, ანალები, III, 47). ამის შემდეგ "ანიკეტი მდინარე ხობის (ახლანდელი მდ. ხობი) შესართავში" (ანალები, III, 48) თავისი საზღვაო ფლოტილიით დაბანაკდა.

შავიზღვისპირეთს რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ადგილი ეკავა. შავიზღვისპირეთის საზღვაო-სამდინარო კომუნიკაციები აუცილებელი იყო პართიის მსგავს ძლიერ სახელმწიფოსთან ქიშპობისას. რომაელები ამ ბრძოლებში, ალბათ ადგილობრივი მოსახლეობის საზღვაო გამოცდილებასაც იყენებდნენ.



სურ. 2

როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში კოლხეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ძირითადი ძალა ნიჩბიანი კატარღები იყო. შემდგომ აქ ეტყობა ბერძნული და რომაული [იხ. 10; 13; 11], იმ დროისათვის მოწინავე საზღვაო ტექნიკის გამოყენებაც დაიწყეს და მათი მსგავსი მოზრდილი ხომალდების აგებაც. საერთოდ, ბუნებრივია, რომ საზღვაო საქმის განვითარებას ძველ საქართველოში ხელს უწყობდა მისი შავ ზღვასთან მდებარეობა და სანაპიროზე ფართო სამდინარო ქსელის არსებობა [იხ. 8, გვ. 66, 199; 2].

სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI-I სს-ში ისევე, როგორც მთელ ანტიკურ სამყაროში იგებოდა ნიჩბიანი, აფრიანი და ურნალიანი სამხედრო-საზღვაო ხომალდები. ამ ტიპის ხომალდი შედგებოდა - მაგარი ჯიშის ხის კორპუსისაგან, რომელსაც წყლის დონეზე, ცხვირზე რკინის საძგერებელი ურნალი ჰქონდა; კიჩოს დაბოლოება ზემოთ მორკალული იყო, რომელზედაც მიმაგრებული იყო საჭე; ხომალდის ხერხემალზე, ცენტრში აღმართული იყო ანძა, რომლის ზედა ნაწილზეც მაგრდებოდა სააფრე ლარტყა; კორპუსის ცენტრალურ ნაწილში ვერტიკალურად ჩამაგრებული ხის ჯოხები იყო, რომლებზედაც მაგრდებოდა წყალში ჩაშვებული ნიჩბები (ცალ მხარეს დაახლოებით 15-დან 20-მდე); ხომალდს ჰქონდა სელის აფრა და ბაგირები (იხ. სურ. 3).



სურ. 3

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საავაჭრო ხომალდის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი სახეობა შესაძლოა იყოს უცხოელ მისიონერ-მოგზაურთა (ავიტაბილე, კასტელი, ლამბერტი, შარდენი, გამბა და სხვ.) მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნანახი კარჭაპ-ხომალდები [8; 2]. ერთ-ერთი ამდაგვარი ხის სატვირთო კარჭაპის ნაშთები ქ. ფოთთან ზღვის შელფში, მდ. რიონის მარცხენა შტოდან შვიდას მეტრზე აღმოჩნდა [12, გვ. 101-109]. კარჭაპის სიგრძე 23 მ, მაქსიმალური სიგანე - 6 მ, სიმაღლე 2,3 მ. წყალში მკაფიოდ გაირჩევა ხომალდის თავი, ბოლო და გვერდები (შპანგოუტები). ხომალდის შიდა სათავსი ქვიშა-ლამით არის ამოვსებული. ხომალდის კილი წაბლის ხისაგან არის გაკეთებული, ხოლო შპანგოუტებზე გემის გარსაკრავი ცუდად არის შემონახული (სურ. 4 და 5). ხომალდის აგებაში რკინის ნაჭედი ბრტყელთავიანი ლურსმნებია გამოყენებული. აქ მიკვლეული ხომალდი კონფიგურაციით ზემოთ ნახსენები მისიონერ-მოგზაურთა აღწერილ ხომალდებს წააგავს. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ვერ მოხერხდა წყლიდან ამ კარჭაპის ამოღება.

ადრე შუასაუკუნეებში, კოლხეთში, ნაოსნობის განვითარების შესახებ აგათია აღნიშნავს - "ძლიერნი და მამაცნი არიან ლაზები; ისინი სხვა მეომარ ხალხებზეც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით..." "... მცხოვრებლები ზღვაოსნობენ .." (იხ. აგათია, III, 5).

როგორც ჩანს, ზღვაოსნობა ანტიკური ხანის კოლხეთში მჭიდროდ უკავშირდებოდა ქვეყანაში შექმნილ ისტორიულ ვითარებას. აქ სანაოსნო საშუალებების ტიპები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც მთელ შავიზღვისპირეთში (იხ. სურ. 6). ზღვისა და კოლხეთის დაბლობის ნაოსნობისათვის მომგებიანი ჰიდროგრაფიული პირობების გამო აქ

წყლის ტრანსპორტს ქვეყნის განვითარებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უნდა სჭეროდა.

ლიტერატურა

1. **გამყრელიძე ალ.** ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1973.

2. **კუტალეიშვილი ზ.** ნაოსნობა საქართველოში (ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1987.

3. **ლორთქიფანიძე გ.** სტუმართმოყვარე ფასისელები, კრებ. „მნემე", თბ., 2000, გვ. 140-147.

4. **მიქელაძე თ.** ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967.

5. **ყაუხჩიშვილი თ.** სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

6. **ყაუხჩიშვილი ს.** გეორგიკა, III, ტფ., 1936.

7. **Агбунов М.** Античная лоция Черного морья, М., 1987.

8. **Берадзе Т.** Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.

9. **Гамкрелидзе Г.** К археологии долины Фасиса, Тб., 1992.

10. **Петерс Б.** Морское дело в античных государствах Северного Причерноморья, М., 1982.

11. **Casson L.** The Ancient Mariners, London, 1960.

12. **Gamkrelidze G.** Hydroarchaeology in the Georgian Republic, The International Journal of Nautical Archaeology, London, 1992, N 2, vol. 21, p. 101-109.

13. **Tor Cecil.** Ancient ships, Chicago, 1964.



4

5



ანტიკური ხანის ჩრდილო შავიზღვისპირეთის
ხომალდების გამოსახულებები
ბ. პეტერსის მიხედვით

სურ. 6



სურ. 7

გურამ კვირკველია

ბრინჯაოს ახალი ქანდაკება ვანიდან
(ექსპრეს-ინფორმაცია)

აკადემიკოსი ოთარ ლორთქიფანიძე მის უკანასკნელ ნაშრომში „საქართველოს ძველი ცივილიზაციის სათავეებთან" მრავალ საინტერესო საკითხებთან ერთად განიხილავს ვანში აღმოჩენილ რკინისა და ბრინჯაოს ქანდაკებებს (გამოქვეყნებულია ორი ბრინჯაოსა და ერთი რკინის ფიგურა [იხ. 1, გვ. 33-34; 5, გვ. 115-116]). და გამოთქვამს მეტად საინტერესო მოსაზრებებს მათ სიმბოლიკასთან დაკავშირებით. ის არ გამორიცხავს ადრე გამოთქმულ ვარაუდს მათი „გარდაცვლილი" ღვთაებების დატირების მისტერიასთან კავშირის შესახებ [4, გვ. 123], მაგრამ დასაშვებად მიაჩნია, რომ აქ საქმე გვაქვს ქურუმთა გამოსახულებებთან, რომლებიც „დედამიწას" – მთავარ ღვთაებას შესთხოვდნენ ნაყოფიერ მოსავალს [2, გვ. 212]. არსებითად ამავე მოსაზრებას იზიარებს თავის ბოლო ნაშრომში ნ. მათიაშვილიც, რომლის აზრითაც კოლხეთში მოხდა ქურუმების რეალური მსხვერპლშეწირვის ჩანაცვლება მათი გამოსახულებების შეწირვით [3, გვ. 39]. 2003-2005 წლებში ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დაიწყო ახალი უბნის არქეოლოგიური გათხრები (ნაკვ. 127, 142). ამ სამუშაოების შედეგად გამოვლინდა რამდენიმე სხვადასხვადროინდელი ნაგებობების ნაშთები, არქიტექტურული დეტალები, მათ შორის იონიური კიმატიონით შემკული კარნიზის ნატეხები, კანელირებული ნახევარსვეტების ფრაგმენტები, ორი სამარხი, სამწუხაროდ ორივე გაძარცული და ა.შ. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა 2005 წლის გათხრების შედეგები.

სურ. 1

კლდოვან დედაქანში საგანგებოდ ამოჭრილ ბაქანზე დაფიქსირდა საკულტო ნაგებობა, ორიენტირებული E-W ღერძზე. ნაგებობის კედლები, როგორც ჩანს, უკვე ელინისტური ხანაში დაუშლიათ და სხვა ნაგებობების ასაგებად გამოუყენებიათ, მაგრამ შემორჩენილი ნაშთებისა და თირში ამოკვეთილი ბუდეების მიხედვით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია მისი პირვანდელი სახის წარმოდგენა (სურ. 1). ეს არის ვანის ნაქალაქარისათვის აქამდე უცნობი ნაგებობის ტიპი – ტუფის კვადრებით ამოყვანილი მთლიანი ქვის კედლებით, საფეხურისებრი ცოკოლით და ნახევარსვეტებით ფასადების გაყოლებაზე (დასავლეთი ფასადის გასწვრივ დაფიქსირდა სამი ნახევარსვეტის ბაზისი). ნაგებობის შიგნით, დასავლეთ ნაწილში, ადგილზე შემორჩენილი ქვის ბლოკისა და თირში ამოჭრილი ბუდეების მიხედვით იკითხება სწორკუთხა საკურთხევლის კონტურები. მის უკან, საკურთხეველსა და ნაგებობის დასავლეთ კედელს შორის, აღმოჩნდა წაგრძელებული ფორმის სამსხვერპლო (?) ორმო.

განსაკუთრებით საინტერესოა საკურთხევლის კედლის სამხრეთ კიდესთან, კლდოვან თირში საგანგებოდ ამოჭრილ არაღრმა, მცირე ზომის (30×26 სმ) კვადრატულ ორმოში დაკრძალული, ოქროს ხატისუღლითა და ოქროსავე სამაჯურებით შემკული ბრინჯაოს ქანდაკების აღმოჩენა. ის იწვა პირაღმა, თავით აღმოსავლეთისკენ და, როგორც ჩანს, ქსოვილში იყო გახვეული, რაზედაც მეტყველებს მის მახლობლად, ძირითადად, თავის არეში აღმოჩენილი ქსოვილზე დასაკერებელი ოქროს ყუნწიანი ფირფიტები (სურ. 2).



სურ. 2

ვანის ნაქალაქარისათვის ეს პირველი შემთხვევა როდია. სხვადასხვა დროს აქ აღმოჩენილი იყო სამი რკინის და სამიც ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკება, ყველა საგანგებოდ მორთული ოქროს სამკაულით და დაკრძალული. ექვსივე ადგილობრივი ხელოსნების ნახელავია და გამოსახვითი ხერხების მიხედვით გარკვეულწილად პრიმიტიულ

იერს ატარებს. წლევანდელი ქანდაკება მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდება (სურ. 3).



სურ. 3

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამჯერად ჩვენ საქმე გვაქვს ბერძნული პლასტიკური ხელოვნების შთამბეჭდავ ქმნილებასთან. გამოსახულია ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი, შიშველი, თავისუფლად მდგომი; მარცხენა ხელი იდაყვში მოხრილია და წინ გაშვერილი, მარჯვენა ხელი – ზეაპყრობილი. თავი ოდნავ მარჯვნივ და მაღლაა მოტრიალებული. ყურების ზედა ნაწილი წაწვეტებულია, თავზე ჩანს რქის მორჩები. თავს ამკობს სუროსა თუ ვაზის ფოთლებით მოწნული გვირგვინი, რომელიც კეფაზე ზონარითაა შეკრული. ზურგის მხარეს, ხერხემლის ბოლოს, მოტეხილი კუდის (?) ნარჩენია. მოყვანილი თავისებურებების მიხედვით წინასწარულად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჭაბუკი გამოსახავს დიონისეს წრის რომელიღაც ტყის ღვთაებას.

ფეხის გულებზე შემორჩენილია ამონაშვერები, რომლებითაც ეს ქანდაკება კვარცხლბეკში უნდა ყოფილიყო ჩამაგრებული. მაშასადამე, საქმე გვაქვს ამ ქანდაკების მეორად გამოყენებასთან რომელიღაც ქტონიური ხასიათის ადგილობრივ წეს-ჩვეულებაში.

შემოთავაზებული პუბლიკაცია მხოლოდ წინასწარ ხასიათს ატარებს. როგორც თვითონ ნაგებობა და მასში ახლად აღმოჩენილი ქანდაკება, ასევე ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ყველა შესაბამისი მასალა თავისი არქეოლოგიური კონტექსტითა და სივრცითი განაწილების გათვალისწინებით, მოითხოვს სპეციალურ შესწავლას, რომლის საფუძველზე მომავალში შესაძლო იქნება რაიმე ვარაუდების გამოთქმა.

ლიტერატურა

1. **კაჭარავა დ.** ბრინჯაოს ქანდაკებები ვანიდან. – ძმ, 63, 1983, გვ. 33-34.

2. **ლორთქიფანიძე ოთ.** საქართველოს ძველი ცივილიზაციის სათავეებთან. თბ., 2002.

3. **მათიაშვილი ნ.** ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბ., 2005.

4. **Лордкипанидзе Г.** К истории древней Колхиды. Тб., 1970.

5. **Из архива Н.В. Хоштариа** (О раскопках на вершине холма в 1947-1959 гг.). – ვანი, IV, თბ. 1979, გვ. 115-116.

ანა ჭყონია

ოქრო კოლხეთიდან

XX საუკუნის 60-იანი წლების ვანის ბრწყინვალე აღმოჩენების შემდეგ აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ წამოაყენა მეტად საინტერესო მოსაზრება „ოქრომრავალი" კოლხეთის შესახებ. მისი ვარაუდით, იქნებ სწორედ ოქროს ნივთებმა (და არა მხოლოდ ოქროს მოპოვებამ) გაუთქვეს კოლხეთს მთელ ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი" ქვეყნის სახელი [10, გვ. 39]. დღეს ოქრომჭედლობის ძეგლების შესწავლის შედეგად, რაშიც აკად. ოთ. ლორთქიფანიძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის, დაბეჯითებით შეიძლება საუბარი „კოლხური ოქროს ფენომენზე" (ასეთი შეფასება მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის მოცემული [50, გვ. 198-199, 201]) - კოლხური ოქრომჭედლობის თვითმყოფადი მხატვრულ-სტილისტური ნიშნებისა და გარკვეული მოდელის არსებობაზე; ამასთან ერთად, კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშების კოლხეთის საზღვრებს გარეთ გავრცელებაზეც.

ტრადიციულად, კოლხეთის პოპულარობა მთელ ანტიკურ სივრცეში ოქროს-ლითონის არსებობით და მოპოვებით იყო განპირობებული. საერთოდ, ოქროს განსაკუთრებული როლი ჰქონდა მინიჭებული ყოველ დროს და ყველა ხალხის ისტორიაში. ის ხშირად ყოფილა ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა სხვადასხვა ისტორიული მოვლენისა - ამ ნედლეულით მდიდარი ქვეყნების დალაშქვრის დროს [39, გვ. 206-209; 58, გვ. 203] - დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესში [11, გვ. 198; 21, გვ. 12-13; 22, გვ. 37-38; 36, გვ. 261] და ა.შ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერის დაკვირვებით, ალექსანდრე მაკედონელის მარშრუტი ფაქტიურად ემთხვევა ოქროს საბადოთა მდებარეობას [55, გვ. 1, 20; 38, გვ. 22]. ოქროს განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაშიც. ამდენად, ანტიკურ სამყაროში „ოქრომრავალი" [12, გვ. 293-294] და ახალ დროში „ოქროს კლასიკური ქვეყნის" [5, გვ. 574-575] სახელით ცნობილ კოლხეთს ჰქონდა მიზიდულობის დიდი უნარი და, საფიქრებელია, გარე სამყაროს დაინტერესება კოლხეთით ემყარებოდა საექსპორტო საქონლის - ოქროს არსებობასაც. კოლხეთში ოქროს მოპოვება დადასტურებულია სხვადასხვა სახის წყაროებით - წერილობითი, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ენათმეცნიერული მონაცემებით, რაც არაერთხელ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი [14, გვ. 209-212; 35, გვ. 98-100; 42, გვ. 75-77 და სხვ.]. ამჟამად, მათი განხილვის გარეშე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები - კოლხეთში ოქროს არსებობის - ოქროს მოპოვების წესის და ოქროს საწმისის მითის ახსნის თაობაზე - ობიექტურ პირობებზეა დაფუძნებული და რეალური სურათის ანარეკლია.

კოლხეთის სიმდიდრეს ძვირფასი ლითონებით ახალი დროის არა ერთი მოგზაური თუ მეცნიერი შეეხო: XVI საუკუნის ცნობილი მკვლევარი გ. აგრიკოლა [17, გვ. 10 და შმდ.], XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი [7, გვ. 189], XVIII ს-ის გერმანელი მეცნიერი ი. რაინეგსი [61, გვ. 138], საფრანგეთის მეფის კონსული თბილისში ჟ.ფ. გამბა [2, გვ. 87, 129; 53, გვ. 85], შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფ. დიუბუა დე მონპერე (XIX ს-ის პირველი ნახევარი) [51, გვ. 18] და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ XVI-XX სს. ისტორიოგრაფია ერთგვაროვანია კოლხეთის აღწერასა და მისი ბუნებრივი რესურსების შეფასებაში. უპირველეს ყოვლისა, კოლხეთი გაიგივებულია ოქროთი მდიდარ ქვეყანასთან; რიგ შემთხვევაში კი ყურადღება გამახვილებულია კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და, კონკრეტულად, კოლხეთიდან ოქროს გატანაზე. ერთ-ერთი პირველთაგანი, რომლებმაც მკვეთრად დააყენეს ეს საკითხი, იყვნენ სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების დამაარსებლები ძმები საბატიები. მათ კოლხეთი, თრაკიასთან ერთად, მიიჩნიეს ოქროს მიმწოდებელ წყაროდ ბოსფორის სამეფოსათვის [63, გვ. 102].

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მიღებული მოსაზრებაა კოლხეთის მოქცევა ანტიკური სამყაროს სავაჭრო სისტემაში, მისი ოქროთი სიმდიდრის გამო. სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კუთხით ოქროთი სიმდიდრე გაშუქებულია ფრანგი მეცნიერის ფ. ლენორმანის მიერ. ის თვლის, რომ არგონავტთა ლაშქრობას წინ უსწრებდა ფინიკიელთა ხშირი სტუმრობა კოლხეთში, რომლის მიზეზი ასევე ქვეენის ოქროთი სიმდიდრე უნდა ყოფილიყო [56, გვ. 117] და პირდაპირ მიუთითებს კიდეც, რომ ფინიკიელებს მიჰქონდათ კოლხეთიდან ოქრო [57, გვ. 147]. მართალია, ოქროს გატანის მექანიზმზე - ვაჭრობის ფორმაზე, საუბარი არ არის. ცნობილი მეცნიერი ე. ბაბელონი კოლხეთს მოიხსენიებს იმ ქვეყნებთან ერთად, რომლებიც იყვნენ ოქროს მიმწოდებლები სამონეტო საქმის წარმოებაში [45, გვ. 779-780].

რუსულ ისტორიოგრაფიაში უფრო კონკრეტულად დგას საკითხი კოლხური ოქროს სავაჭრო-სასაქონლო ფუნქციის თაობაზე; სახელდობრ, არა ერთხელ იქნა წამოყენებული იდეა ჩრდილო შავიზღვისპირეთში კოლხეთიდან ოქროს შეტანის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ა. ლაპო-დანილევსკის გამოკვლევა; ავტორმა ოქრო და ვერცხლი კოლხეთიდან მიათვალა საქონელთა იმ სიას, რითაც ვაჭრობდნენ აორსები (აზოვის ზღვის სანაპიროზე მოსახლე ხალხი) - მათ მიწა-წყალზე გადიოდა დიდი სავაჭრო გზა სკვითების ქვეყნის გადაკვეთით აღმოსავლეთისაკენ [33, გვ. 380]. მეორე ნაშრომში, ყუბანის მხარის მასა-

ლების შესწავლისას, ა. ლაპო-დანილევსკი ოქროს წყაროდ ასახელებს ზოგადად ამიერკავკასიას [32, გვ. 15].

ა. ბერტიე-ელაგარდს დამაჯერებლად მიაჩნდა ბოსფორის სამეფოში ოქროს შეტანა კოლხეთიდან (ასევე - თრაკიიდან). მისი აზრით, ბოსფორისათვის ეს წყარო უფრო მოსახერხებელი იყო, ვიდრე ალტაის და ურალის საბადოები [19, გვ. 7].

კითხვა, თუ საიდან შედიოდა ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვირფასი ლითონები - ოქრო და ვერცხლი, მუდამ იყო და არის აქტუალური. ამ საკითხს სათანადო ყურადღება დაუთმო ცნობილმა მეცნიერმა – ს. ჟებელიოვმა, რომელმაც კოლხეთი მიიჩნია ერთ-ერთ რეალურ წყაროდ ბოსფორის ოქროთი მომარაგების საქმეში [26, გვ. 142-143]. ამავე აზრის იყო ბოსფორის სამეფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი – ვ. გაიდუკევიჩი. მან ოქროს მოპოვების ცნობილი ცენტრების გვერდით (ურალი, ჩრდილო ყაზახეთი, ალტაი, თრაკია) დაასახელა კოლხეთიც, საიდანაც შესაძლებელი იყო ოქროს შეტანა ბოსფორში [23, გვ. 118]. ჩრდილო შავიზღვისპირეთის ოქროს მიმწოდებელ წყაროდ ზოგადად ამიერკავკასია მითითებულია ნ. პიატიშევას ნაშრომში [40, გვ. 8].

ამრიგად, კოლხეთი მიჩნეულია ერთ-ერთ (არა ერთადერთ) წყაროდ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ოქროთი უზრუნველყოფის საქმეში (თუმცა, ი. ზესტის მიხედვით, კოლხეთიდან შეტანილ ოქროს არ შეიძლება ეთამაშა არსებითი როლი ბოსფორის ქალაქებისთვის. მართალია, ეს მოსაზრება გამოითქვა გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთის – ძვ.წ. IV-II სს. მიმართ, როდესაც ბოსფორში დიდი ადგილი ეკავა ბიზანტიონში მოჭრილ ოქროს მონეტებს და კოლხურ ოქროზე მოთხოვნილება შეზღუდული იყო) [27, გვ. 164]. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთისათვის ოქროს წყაროების საკითხი ბოლომდე დადგენილი არ არის [43, გვ. 165]. ამ მიმართულებით სპეციალური გამოკვლევებისა და ქიმიური ანალიზების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ XX ს-ის 30-იან წლებში [28, გვ. 186; 29, გვ. 168], მაგრამ, სამწუხაროდ, ეს პრობლემა კვლავ დღის წესრიგში დგას.

ამის გათვალისწინებით, მხოლოდ ვარაუდის სახით შეიძლება საკითხის დასმა კოლხეთიდან ოქროს გატანის შესახებ. მით უფრო, რომ წერილობით წყაროებში არსად ჩანს პირდაპირი მინიშნება კოლხეთის ოქროს საექსპორტო დანიშნულების თაობაზე. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც ამ საკითხზე მსჯელობა საკმაოდ ფრთხილად და აზრობრივლოგიკური კატეგორიის საზღვრებშია წარმართული [5, გვ. 102; 8, გვ. 88; 10, გვ. 39; 15, გვ. 99; 34, გვ. 95]. უტყუარ ფაქტად აღიარებულია მხოლოდ კოლხეთში ოქროს მოპოვება (თანამედროვე დასავლეთევროპულ ისტორიოგრაფიაში ოქროს მოპოვების ცენტრების განხილვისას მითითებულია კოლხეთიც [52, გვ. 67]) და მისი გამოყენება ადგილობრივ ოქრომჭედლობაში - ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე კოლხური ოქრომჭედლობის ჩამოყალიბება, მისი განვითარების მაღალი დონე. ამ თვალსაზრისს კი სათავე მისცა ჯერ კიდევ აკადემიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა [3, გვ. 476; 4, გვ. 5-6].

ჯერჯერობით საკმაოდ მცირე მასალა მოიპოვება ოქრომჭედლობის ძეგლების კოლხეთის საზღვრების გარეთ გატანის შესახებაც. ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრში მოექცა ოქროს საკიდები, აღმოჩენილი ქვემო ვოლგისპირეთში, ე.წ. საზონკინ ბუგორის სამაროვანზე - წარჩინებული სავრომატის სამარხში (სურ. 1) [20, გვ. 147, 151-152, სურ. 8; 44, გვ. 100, სურ. 46]. სამკაულებს აკლია ყურზე (ან საფეთქლებზე) დასამაგრებელი - შესაკიდი „რგოლები"; სხვა დეტალებით კი ისინი დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ვანის ნაქალაქარის № 6 სამარხის ოქროს საყურეებთან - სასაფეთქლეებთან (სურ.2. ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) [15, გვ. 27-30, კატ. № 16, სურ. 8-9].



სურ. 1

საკიდები ასეთი სახისაა: ოთხთვლიან ბაქანზე - „ეტლზე" (ოთხკუთხა ჩარჩო) შემდგარია წყვილი მხედარი, ხოლო ბაქანზე ძეწკვებით შეკიდულია რკოსებური სამკაულები, ცხენები და მხედრები შემკულია ცვარასაგან შედგენილი სამკუთხედების რიგებით (ტანსაცმლის ან ჯავშნის იმიტაცია ?). ფიგურები ფუყეა - მიღებულია ორი ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვით, ხოლო დეტალები ცალკეა დამზადებული ფირფიტისა ან მავთულისაგან და შემდეგ დამაგრებული (დარჩილული). ორ მხედარს საისრე აქვს შეკიდული. გამოსახულებები სქემატურია. პოზა ძირითადად სტატიკურია, თუ არ ჩავთვლით უმნიშვნელოდ წინ გადაწეულ მხედრების ფიგურებს და ცხენების უკანა ფეხების მოხრას, რაც თითქოს წინ მოძრაობას მიანიშნებს (შესაძლებელია აქ მცირე დეფორმაციაც ემატება).

ვანის ოქროს საყურეებთან შედარებისას თვალშისაცემია საერთო კომპოზიცია და შესრულების ტექნიკა; შემადგენელი ელემენტების ერთგვაროვნება: ძირითადად მსგავსია გამოსახულებათა სტრუქტურა და სტილი, დეტალების გადმოცემის მანერა, დეკორატიული ელემენტები, მხედრების ატრიბუტები. მსგავსება იმდენად აშკარაა, რომ სავსებით დასაშვებია მათი განსაზღვრა ოქრო-

მჭედლობის ერთი ცენტრიდან (ერთი სკოლიდან) გამოსულ ნივთებად (ასეთივე მოსაზრება გამოთქმული იყო ადრევე, საზონკინ ბუგორის სამარხის პუბლიკაციის დროს, მხოლოდ ერთი უხეში შეცდომით - საყურეების დამზადების ცენტრად მიჩნეული იყო იბერიის ერთ-ერთი ბერძნული კოლონია (?!) [20, გვ. 153; შდრ. 13, გვ. 98-99].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსებასთან ერთად ვანსა და ვოლგისპირეთში აღმოჩენილი სამკაულების შედარებისას შეიმჩნევა განსხვავებებიც. ასე, მაგალითად: განსხვავებულია მხედრების პოზა, მხედრების თავის ზედა ნაწილის - თმებისა თუ თავსაბურავის გადმოცემის ხერხი (ვანის ნიმუშებზე - ერთიანად დაფარულია ცვარათი, მეორე შემთხვევაში - ცვარა განლაგებულია რიგებად). ვანის ერთ საყურეზე - ცხენების გავაზე მარჯვნივ და მარცხნივ ცვარათი გამოსახულია სვასტიკა, რაც არ არის ვოლგისპირეთში აღმოჩენილ საკიდებზე. ამ უკანასკნელის ცხენების კუდი დაგრეხილი მავთულის საშუალებითაა გადმოცემული, ვანის ცხენებზე - სადა მავთულით. განსხვავებულია სტილიზებული „ეტლის" - ოთხკუთხა ჩარჩოს ბორბლებიც: ვანის საყურეებზე თითოეულ ბორბალზე დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილია ექვსი სოლი, მეორე შემთხვევაში - ბორბლებზე თხუთმეტამდე სოლია. ეს განსხვავებები, საფიქრებელია, ოსტატთა სხვადასხვა ხელწერის შედეგია, ვიდრე ოქრომჭედლობის სხვადასხვა ცენტრების მხატვრული მიმართულებებისა.

სურ. 2

კოლხეთში მხედრებისგამოსახულებიანი საყურეები ჯერჯერობით მხოლოდ ერთი წყვილითაა წარმოდგენილი. ზოგადი მხატვრული ტენდენციით ისინი ერთგვარად ეხმაურებიან ბერძნული ოქრომჭედლობის ე.წ. მდიდარი სტილის ნიმუშებს [49, გვ. 161 და შმდ.]; განეკუთვნებიან რთული შედგენილობის ფიგურულსაკიდიანი საყურეების ტიპს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა კლასიკურ ხანაში და შემდგომ ფართოდ გავრცელდა ელინისტურ სამყაროში (ანტიკურმა მწერლობამ შემოგვინახა საკიდების მიხედვით საყურეთა სხვადასხვა სახელწოდებაც კი (Pollux, V, 16, 97) [46, ტაბ. CIV-CIX; 48, გვ. 63-64; 54, გვ. 162-165, ტაბ. 48A-G; 60, გვ. 445]. მაგრამ ვანის საყურეების დეტალური შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ისინი კოლხური ოქრომჭედლობის ტიპური სამკაულებია [13, გვ. 98 და შმდ.; 15, გვ. 30], ხოლო გარე სამყაროდან შემოსული ზოგადი ხასიათის იმპულსები სავსებით კანონზომიერი მოვლენაა კოლხეთის მაღალი რანგის ხელოვნებისათვის. ვანის საყურეები ორგანულად ერწყმის კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს თავისი მხატვრული სტილითა და ტექნიკური ხერხებით, აგრეთვე, გამოსახულებათა შინაარსით, რაც კოლხების რელიგიური წარმოდგენების ანარეკლია [16, გვ. 101-102; 47, გვ. 122]. გარდა ამისა, ვანის სამკაულების საყურე-რგოლი - გახსნილი, ბოლოებგახვრეტილი, შემკული ვარდულათი და ორნამენტული სარტყლით - დამახასიათებელი, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანია კოლხური საყურეებისათვის და აღიარებულია კოლხური ოქრომჭედლობის კუთვნილებად. ვანის ნიმუშზე საყურე-რგოლი გაყრილია მარყუჟში. აღსანიშნავია, რომ ეს დეტალი შემორჩენილია ვოლგისპირეთში აღმოჩენილ საკიდებზეც, თუმცა, საყურე-რგოლი, როგორც უკვე იყო მითითებული, დაკარგულია.

ამგვარად, საზონკინ ბუგორში წარჩინებული სავრომატისა და ვანში წარჩინებული კოლხის სამარხებში აღმოჩენილი საყურეების შესწავლა – შედარებითი სტრუქტურულ-სტილისტური თუ ტექნიკური ხერხების ანალიზი - მათი წარმომავლობის გარკვევის მყარ საფუძველს იძლევა: შეიძლება უკვე დაბეჯითებით ითქვას, რომ ისინი დამზადებულია ერთი და იმავე საწარმოო ცენტრში და ეს ცენტრი კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

კოლხეთიდან ოქროს სამკაულის გატანის დამადასტურებელი შეიძლება იყოს აგრეთვე საყურე (სასაფეთქლე) რგოლები - განმსაზღვრელი მახასიათებლებით - გახსნილი, გაბრტყელებული ბოლოებით. ასეთი რგოლები, საკიდით თუ საკიდის გარეშე, საქართველოს ფარგლებს გარეთ ცნობილია ჩრდილო კავკასიასა (ზემო რუთხა) [31, გვ. 234, სურ. 35/16-18] და აზერბაიჯანში (მინგეჩაური) [18, გვ. 11-14, ტაბ. 1, 2, 4, 8]. მრავალრიცხოვანი მასალის შესწავლა-შეჯერების შედეგად ირკვევა საყურეების (სასაფეთქლეების) ამ ტიპის კოლხეთში გავრცელების პრიორიტეტი; ამასთან ერთად, საფიქრებელია, ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მათი შეტანა კოლხეთიდან. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მოსაზრება გამოითქვა დაფნარის სამაროვნის (ცენტრალური კოლხეთი) ანალოგიური მასალების შესწავლის დროს [30, გვ. 26]. ხოლო, საერთოდ, ჩრდილო კავკასიაში კოლხეთიდან სამკაულის ზოგიერთი სახეობის ექსპორტის დამადასტურებელ ფაქტად მიჩნეულია ნესტოროვის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს რომბულფირფიტიანი დიადემის ფრაგმენტიც [1, გვ. 33; 9, გვ. 10; 31, გვ. 288-290].

ამრიგად, ჩვენ მიერ დაყენებულია საკითხი კოლხური ოქროს - ერთი მხრივ, ლითონის (ნედლეულის) და მეორე მხრივ - ოქროს ნაკეთობების ექს-

პორტის შესახებ. იმედია, ამ მიმართულებით კვლევა-ძიების გაღრმავება კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ისტორიის ბევრ მნიშვნელოვან მხარეს მოჰფენს შუქს. დღეს კი, მასალის სიმცირის გამო, ჯერჯერობით რთულია და თითქმის შეუძლებელიც ვაჭრობის ფორმებისა და გზების, სავაჭრო-გაცვლითი მექანიზმის მოქმედების განსაზღვრა. მით უფრო, რომ გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდში შემუშავებული თეორიული ასპექტი სავაჭრო ურთიერთობათა პროცესების შესახებ [6]. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები ოქრომჭედლობის ნიმუშების გავრცელების ხასიათისა თუ გზების დადგენის სხვა სირთულეებიც (მაგალითად, ოქროს ნივთების როლი დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროში; ომიანობის დროს - ოქროს ნივთები, როგორც ნადავლის ერთ-ერთი წყარო და სხვა)- მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, სავაჭრო კონტაქტების არსებობა გამოსარიცხი არ არის.

და კიდევ ერთი გარემოება. ოქრომჭედელთა საქმიანობის კონსერვატული და უნივერსალური ხასიათი (გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ფართო დიაპაზონის გათვალისწინებით) კოლხეთისათვის შორეული პარალელების მოშველიების საშუალებას იძლევა. მაგალითად, ცნობილი ფაქტია ოქრომჭედლის ხშირი გადაადგილება-მოგზაურობა (ამის ანარეკლი იხ. Od., III, 425 და შმდ. [24, გვ. 52]) და აქედან გამომდინარე, ოქრომჭედლისა და ვაჭრის ფუნქციების გაიგივება (ფირფიტებზე პილოსიდან ოქრომჭედლის სახელწოდება „Ku-ru-so-wo" მიჩნეულია ერთდროულად როგორც ვაჭრად, ისე ხელოსნად [52, გვ. 92]. საერთოდ კი, ოქრომჭედლის სახელოსნოში, როგორც ჩანს, სრულდებოდა სავაჭრო ოპერაციებიც და ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მიეთითოს ვეტიების სახლის ცნობილი ფრესკა - „ოქრომჭედელთა სახელოსნო" [25; 41, გვ. 213; 59, ტაბ. VI,2]. ბუნებრივია, ეს მოვლენებიც გასათვალისწინებელია ძველი კოლხეთისათვის, როგორც ოქროს მოპოვებისა და ოქრომჭედლობის ერთ-ერთი დაწინაურებული ცენტრისთვის.

ლიტერატურა

1. **გაგოშიძე ი.** ითხვისის სამარხი. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXV-B, თბ., 1968, გვ. 31-45.

2. **გამბა ჟ.ფ.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ტ. I, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987.

3. **თაყაიშვილი ეკ.** არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

4. **თაყაიშვილი ეკ.** არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფილისი, 1907.

5. **ინაძე მ.** სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962, გვ. 81-126.

6. **კვირკველია გ.** სავაჭრო ურთიერთობანი შავიზღვისპირეთში ადრეანტიკურ ხანაში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

7. **ლამბერტი ა.** სამეგრელოს აღწერა, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი, თბ., 1938.

8. **ლორთქიფანიძე ოთ.** ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

9. **ლორთქიფანიძე ოთ.** ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები), ვანი, I, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1972, გვ. 7-42.

10. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972.

11. **ლორთქიფანიძე ოთ.** ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.

12. **ურუშაძე აკ.** ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964.

13. **ჭყონია ა.** ადრეანტიკური ხანის ოქროს საყურეები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი III, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1977, გვ. 81-100.

14. **ჭყონია ა.** ოქროს მხატვრული დამუშავება ძველ ვანში, ვანი II, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1976, გვ. 205-214.

15. **ჭყონია ა.** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI, არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1981.

16. **ჭყონია ა.** რელიგიური ასპექტი კოლხურ ოქრომჭედლობაში, ძიებანი, დამატებანი IV, თბ., 2001, გვ. 97-105.

17. **Агрикола Г.** О месторождениях и рудниках в старое и новое время. М., 1972.

18. **Асланов Г.М., Голубкина Т.И., Садыхзаде Ш.Г.** Каталог золотых и серебряных предметов из археологических раскопок Азербайджана. Баку, 1966.

19. **Бертье-Делагард А.** Относительная стоимость монетных металлов на Боспоре и Борисфене в половине IV века до Р.Х. – Нумизматический сборник. Т. I. М. 1911.

20. **Берхин-Засецкая И.П., Маловицкая Л.Я.** Богатое савроматское погребение в Астраханской области. - Советская археология, 1965, №3, с. 143-153.

21. **Блаватский В.Д., Кошеленко Г.А., Кругликова И.Т.** Полис и миграции греков. – Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1979, с. 7-29.

22. **Брашинский И.Б., Щеглов А.Н.** Некоторые проблемы греческой колонизации. – Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья. Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1979, с. 29-46.

23. **Гайдукевич В.Ф.** Боспорское царство. М. – Л., 1949.

24. **Гомер.** Одиссея. Перевод В.А. Жуковского. М., 1958.

25. Древнеримская живопись. Альбом. Составитель альбома и автор вступительной статьи А. Чубова. Л.-М., s.a.

26. Жебелев С.А. Основные линии экономического развития Боспорского государства. – Северное Причерноморье. М.-Л., 1953, с. 116-158.

27. Зеест И.Б. Экономические связи Боспорских городов. – Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху. М., 1959, с. 152-168.

28. Зограф А.Н. Золотые монеты Кавказа. – Известия Гос. академии истории материальной культуры. Вып. 110. М.– Л., 1935, с. 178-192.

29. Иессен А.А., Пассек Т.С. Золото Кавказа. - Известия Гос. академии истории материальной культуры. Вып. 110. М.–Л., 1935, с. 162-178.

30. Кигурадзе Н.Ш. Дапнарский могильник. Тб., 1976.

31. Крупнов Е.И. Древняя история Северного Кавказа. М., 1960.

32. Лаппо-Данилевский А.С. Древности кургана Карагодеуашх, как материал для бытовой истории Прикубанского края в IV-III вв. до н.э. – Материалы по археологии России. 13. СПб., 1894, с. 1-120.

33. Лаппо-Данилевский А.С. Скифские древности. Записки Русского археологического общества. IV. СПб., 1887, с. 352-543.

34. Лордкипанидзе Г.А. К истории древней Колхиды. Тб., 1970.

35. Лордкипанидзе О. Древняя Колхида. Миф и археология.Тб., 1979.

36. Лордкипанидзе О. Наследие древней Грузии. Тб., 1989.

37. Лордкипанидзе О.Д., Микеладзе Т.К. Восточное Причерноморье (Колхида) VII-V вв. до н.э.: античные письменные источники и археология. - Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тб., 1990, с. 171-194.

38. Максимов М.М. Очерк о золоте. М., 1988.

39. Меликишвили Г.А. К истории древней Грузии. Тб. 1959.

40. Пятышева Н.В. Ювелирные изделия Херсонеса. М., 1956.

41. Сергеенко М.Е. Помпеи. М.-Л., 1949.

42. Чкониа А.М. К изучению колхидского златокузнечества. – Краткие сообщения Института археологии. Вып. 151. М., 1977, с. 75-77.

43. Шелов Д.Б. Ремесленное производство. – Археология СССР. Античные государства Северного Причерноморья. М., 1984, с. 162-173.

44. Яценко И.В. Искусство эпохи раннего железа. – Произведения искусства в новых находках советских археологов. М., 1977, с. 43-103.

45. Babelon E. Traité de monnais grecques et romains. T. I. Paris, 1901.

46. Becatti G. Oreficerie antiche. Roma, 1955.

47. Čkonia A.M. Le culte de la Grande Déesse dans l'orfèvrerie colchidienne. – Religions du Pont-Euxin. Actes du VIIIe Symposium de Vani. Paris, 1999, p. 114-128.

48. Coche de la Ferté E. Les bijoux antiques. Paris, 1956.

49. Deppert-Lippitz B. Griechischer Goldschmuck. Mainz am Rhein, 1985.

50. Deppert-Lippitz B. Interralations between Greek jewellery of the 6th and 5th centuries B.C. and gold finds from the Black Sea region. – Sur les traces des Argonautes. Actes du 6e Symposium de Vani. Paris, 1996.

51. Dubois de Montpéreux F. Voyage autour du Caucase. T. II. Paris, 1839.

52. Eluère Ch. Les secrets de l'or antique. Paris, 1990.

53. Gamba J.F. Voyage dans la Russie méridionale etc., fait 1820 à 1824. T. I. Paris, 1826.

54. Higgins R.A. Greek and Roman Jewellery. London, 1980 (Second edition).

55. Hoffmann H., Davidson P.F. Greek Gold. Jewelry from the Age of Alexander. Mainz am Rhein, 1965.

56. Lenormant F. Les premières civilisations. Études d'histoire et d'archéoligie. T. I. Paris, 1874.

57. Lenormant F. Manuel d'histoire ancienne de l'Orient. Paris, 1889.

58. Maxwell-Hyslop K.K. Western Asiatic Jewellery, c. 3000-612 B.C. London, 1971.

59. Nuovi scavi di Pompei. Casa dei Vettii. Appendice ai dipinti murali, Napoli, s.a.

60. Pottier E. Inaures. – Ch. Daremberg, E. Saglio. Dictionnaire des antiquités grecques et romaines. Fasc. 25. Paris, 1898, p. 445-446.

61. Reineggs I. Allgemeine historisch-topographische Berschreibung des Kaukasus. II. Hildesheim – St. Petersburg, 1797.

62. Ronchaud L. de. Aurum. – Ch. Daremberg, E. Saglio. Dictionnaire des antiquités grecques et romaines. T. I, I partie. Paris, 1877, p. 574-575.

63. Sabatier J. et L. Production de l'or, de l'argent et du cuivre chez les anciens et hôtels monétaires des empires romain et byzantin. St.-Pétersbourg, Paris, Londres, 1850.

გელა გამყრელიძის წიგნზე „კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი)“ გამომცემლობა „ლოგოსი“, თბ. 2002, 264 გვ.

ძველი საქართველოს შავიზღვისპირეთის, კოლხეთის, ისტორია-კულტურის შესწავლას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული წიგნი მიეძღვნა ისტ. მეცნ. დოქტორის გელა გამყრელიძის ნაშრომის – „კოლხეთი (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი)“ – სახით. წიგნი ავტორის მიერ ჩატარებული 30 წლიანი ნაყოფიერი საველე-პრაქტიკული და თეორიული მუშაობის შედეგების შეჯამებას წარმოადგენს.

წინამდებარე წიგნში ავტორის მიერ განხილულია დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის – ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის, მითოლოგიის, არქიტექტურის და წერილობითი წყაროთმცოდნეობის ზოგიერთი საკითხი. წიგნი, ჩვენი აზრით, წარმატებული ცდაა კონკრეტული არქეოლოგიური მონაცემებით, ძველი კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების რეკონსტრუქციისა.

პირველი ნაწილი ეძღვნება კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესზე ბიოგეოგარემოს (resp. გეოგრაფიული გარემოს) და საგარეო ფაქტორის როლის შეფასებას. ავტორი ძირითადად იზიარებს გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეთა აზრს, რომლის თანახმადაც ბიოგეოგარემო გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე – ადამიანის ზნე-ხასიათზე, შესახედაობაზე, კვებაზე, ინტელექტზე, დემოგრაფიაზე, სულიერ წყობაზე, ქვეყნის მმართველობის ფორმაზე და სხვ. ავტორი, საქართველოს ისტორიოგრაფიაში პირველად, კოლხეთის მაგალითზე განიხილავს ამ საკითხს. მისი აზრით, პირველ რიგში სწორედ ბიოგეოგარემომ შეასრულა წამყვანი როლი კოლხეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში, საზოგადოების იარარქიულად სტრატიფიცირებაში და სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებაში. ავტორის დაკვირვებით გამორჩეულად მომგებიანი ბუნებრივი გარემო არსებობდა კოლხეთის ცენტრში, მდ. რიონის (ფასისის) ხეობაში, რასაც წერილობითი და არქეოლოგიური წყაროებიც ადასტურებს.

აქვეა განხილული ბიოგეოგარემოსთან კონტექსტში საგარეო ფაქტორის მნიშვნელობა კოლხეთის ისტორიის განვითარებაში. აქ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია საბერძნეთთან, პონტოს სამეფოსთან, რომთან და იბერიასთან კოლხეთის ურთიერთობების განხილვაზე. ამ ურთიერთობების შესწავლის საფუძველზე ავტორი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ საგარეო ფაქტორი მთავარ, ზოგჯერ გადამწყვეტ, როლს ასრულებდა კოლხეთის კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესში. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორის მოსაზრებები და დაკვირვებები გასათვალისწინებელია კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების შემდგომი დამუშავების დროს, რადგან ეს დაკვირვებები და მოსაზრებები ემყარება დღესდღეობით არსებული არქეოლოგიური მასალის ღრმა ცოდნას და წარმოადგენს წერილობით წყაროებთან ერთად მისი ახლებური გააზრების ნაყოფს.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ავტორის დებულება, რომ შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება ვერ მოახერხა ვერც მითრიდატე ევპატორმა, ვერც არისტარქემ და ვერც მითრიდატე პერგამონელმა. ზღვისპირა კოლხეთისათვის კი პონტოს სამეფო და შემდეგ რომი გარკვეული კონტროლის გაწევას ახერხებდნენ. იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპასია, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. შიდა კოლხეთში დაინგრა და გაიძარცვა „ვანის“ მდიდარი ქალაქი.

საყურადღებოა აგრეთვე ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ანტიკურ ქვეყნებსა და იბერიის სამეფოს შორის კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV ს. მიწურულიდან განვითარდა ბუფერული, პოლისური ტიპის ქალაქები – დიოსკურია, გიენოსი, ფასისი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა.

წიგნში ცალკე მონაკვეთი ეძღვნება ქალაქ ფასისის (resp. ფოთის) ტოპოარქეოლოგიას. მასში სრულად არის წარმოდგენილი ყველა წერილობითი წყარო და არქეოლოგიური მონაცემი. განხილულია ფასისის ლოკალიზაციის შესახებ ყველა მოსაზრება. აქვე წარმოდგენილია ავტორის ხელმძღვანელობით ჩატარებული ჰიდროარქეოლოგიური კვლევის ახალი შედეგები. გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრება, რომ პალიასტომის ტბაში აღმოჩენილი „ნატეხების“ ნამოსახლარის სახით საქმე გვაქვს პროკოფი კესარიე-

ლის და აგათიას თხზულებებში აღწერილი ფასისის ნაშთებთან. საქართველოში ჰიდროარქეოლოგიური კვლევა-ძიება სრულიად ახალი არქეოლოგიური მიმართულებაა. კოლხეთის სანაპიროს ისტორიის კვლევისას ჰიდროარქეოლოგია დაგვეხმარება ისეთი პირველხარისხოვანი პრობლემების გადაჭრაში, როგორიცაა ქალაქების ფასისის და დიოსკურიის ლოკალიზაცია; კოლხეთის კონტაქტები ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან და სხვ.

წიგნის ცალკე მონაკვეთში განხილულია ქალაქ ფასისში ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი. ავტორის მიერ არქეოლოგიურად შესწავლილ „ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩნდა ნავთობის ნარჩენებიანი ამფორები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფოთფასისში ნავთობი ცნობილი სატრანზიტო გზით კასპიის ზღვის სანაპიროდან ხვდებოდა.

ბ-ნ გ. გამყრელიძე ყურადღებას უთმობს კოლხეთის არქიტექტურის, ხის ძელებიანი ნაგებობების, შესწავლას ავტორის მიერ არქეოლოგიურად გათხრილი „ადეიშვილების გორის" მონაცემების მიხედვით, აქ წარმოდგენილია კოლხურ-მოსინიკური ძელურ-ბათქაშიანი კოშკის რეკუნსტრუირების ცდა, ქსენოფონტეს „ანაბასისთან" კონტექსტში.

წიგნში ვრცელი მსჯელობაა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ანთროპომორფული თიხის ქანდაკების შესახებ. ავტორის აზრით, მოცემული ქანდაკება ასახავს დიონისეს ტიპის ადგილობრივ ღვთაებას, რომელთანაც ასიმილირდა ანტიკური სამყაროდან გავრცელებული დიონისეს კულტი.

ფრიად საყურადღებოა, აგრეთვე, ავტორის მოსაზრება კოლხი მედეას შესახებ, რომელიც განხილულია ქ. სოხუმის ყურეში აღმოჩენილ ბარელიეფთან კონტექსტში. ავტორის მიერ მოტანილი არგუმენტების საფუძველზე ხელში ყუთით მდგომარე ასული მედეას ალეგორიულ სახეს წარმოადგენს.

წიგნში განხილულია ავტორის მიერ გათხრილი სოფ. მთისძირის ადეიშვილების გორის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ერთი კერამიკული ნივთის დანიშნულების საკითხი. პარალელური მონაცემების მიხედვით ის გაგებულია როგორც რიტუალური სანათის სადგარი.

საგანგებო თავი ეძღვნება პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში მოხსენიებულ პუნქტ - „მუხირისის" შესწავლის საკითხს. ქართულ ისტორიაგრაფიაში მის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ავტორის მოსაზრებით „მუხირისი" ლოკალიზდება სოფ. მთისძირის ნამოსახლართან (ავტორის მიერ არქეოლოგიურად შესწავლილი ნამოსახლარი). არგუმენტებად მოტანილია: პირველი - პროკოპი კესარიელის და აგათიას თხზულებებში „მუხირისის" შესახებ ცნობების თანხვედრა მთისძირის ისტორიულ-გეოგრაფიულ მონაცემებთან; მეორე – სოფ. მთისძირის ადრეული შუა საუკუნეების ნაგებობის და არქეოლოგიური მასალის ხასიათი; მესამე – ტოპონიმ „მუხირისის" სოფ. მთისძირთან დადასტურება. ამ მოსაზრების გამოთქმისას ავტორი სრულიადაც არ არის კატეგორიული და პრობლემას საბოლოოდ გადაჭრილად არ მიიჩნევს.

წიგნში წარმოდგენილ ქართულ ენოვან სამეცნიერო სტატიებს ერთვის რეზიუმეები ინგლისურ ენაზე.

ბ-ნ გ. გამყრელიძე წიგნში წარმოგვიდგენს აგრეთვე წინა წლებში – დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში და საფრანგეთში გამომავალ სამეცნიერო კრებულებში და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების ასლებს. ეს სტატიები ძირითადად შეეხება ტოპოარქეოლოგიას, ჰიდროარქეოლოგიას და არქეოლოგიურად აღმოჩენილი გამოსახულებების იკონოგრაფიას. საერთოდ ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის, კერძოდ, იბერია-კოლხეთის ძველი სამოსახლოების ტიპოლოგიურ-ფუნქციონალური კლასიფიკაციის, ტოპოარქეოლოგიის და ბიოგეოგარემოს გავლენაზე საზოგადოების განვითარებაში, საქართველოს არქეოლოგიის ისტორიაზე და სხვა საკითხების შესახებ ავტორს გამოქვეყნებული აქვს ხუთი წიგნი და სამოცდაათამდე სამეცნიერო სტატია.

ამრიგად, ნაშრომის მოკლე მიმოხილვამ დაგვანახა, რომ მკვლევარის მიერ მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ძველი კოლხეთის ისტორიის რიგი საკითხების შესახებ.

მისასალმებელია, რომ გამომცემლობა „ლოგოსის" საშუალებით ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა წიგნი, რომელიც საინტერესოდ დაწერილ, ორიგინალურ, ფრიად მნიშვნელოვან გამოკვლევათა კრებულს წარმოადგენს.

პროფ. გიორგი დუნდუა

SUMMARIES

Marine Pirtskhalava

TOWARDS THE TYPOLOGY OF SPEARS FROM CLASSICAL PERIOD GEORGIAN ARCHAEOLOGICAL MATERIAL

(p.p. 7-18)

The paper presents the typology of spears discovered in Georgia. The study has shown that throughout the Classical period the spear was the principal weapon in Georgia. In comparison with other weapons, the spear comes first numerically among archaeological finds. This is corroborated by the evidence of Herodotus, Xenophon and Strabo. The spear has been found at many points of Georgia: Sukhumi and its environs, Eshera, Vani, Pereti, Gori, Dablagomi, Chkhorotsqu, Dzevri, Itkhvisi, Modinakhe, Beshtasheni, Gomareti, Enageti, Santa, Qanchaeti, Kamarakhevi, Natsargora, Varsimaantkari, Zhinvali, Kldeeti, Uplistsikhe, etc. In terms of the characteristic features of the spearheads from the archaeological sites just listed five principal types are known, of which the most numerous are the so-called spears with elongated rhomboid heads. Next come spears with narrow heads, characteristic of the 6th–3rd cent. B.C. Elongated rhomboid-headed spears continue to coexist with this form, being in evidence along with round-shouldered spearheads, throughout the Classical period. It is noteworthy that the three types are known from the pre-Classical period. Examples of curvilinear spearheads occur in the 6th–3rd cent. B.C. It should be noted that in West-Georgian archaeological complexes, a warrior has several, different type spears placed in his grave, while in Eastern Georgia the warrior is equipped with a single spear - rarely two.

Tinatin Chanishvili

ON THE TYPOLOGY AND CHRONOLOGY OF MINIATURE BELLS ACCORDING TO EAST GEORGIAN ARCHAEOLOGICAL MATERIAL

(p.p. 19-29)

Miniature bells – an item of the grave goods of Classical-period archaeological complexes of Eastern Georgia – constitute significant artifacts of adornment or cultic and ritual purpose. Changes of individual elements of bells permit their chronological differentiation. Accordingly, four principal groups (conical, cylindrical, semielliptic, hemispherical) have been identified. On the basis of a typological analysis of bells, a chronological diagram has been worked out in the paper, covering the 8th–1st centuries B.C. Bells originally appear to have formed part of the horse harness; however, from the beginning they occur in wealthy and ritual burials. In the 6th–5th cent. B.C. bells already have ceremonial or cultic-ritual purpose. The most diverse and numerous bells are characteristic of 4th–3rd cent. East-Georgian archaeological sites.

Sulkhan Kharabadze

BURIALS FROM THE AREA OF V. KVEDA TSIKHESULORI

(p.p. 30-38)

A jar burial and a *dergi* burial have been discovered on "Napurala" hill, in "Kechinara" locality, in the area of v. Kveda Tsikhesulori, some 150-200 m within the Vani ancient city site, Vani district.

From the north-west "Kechinara" borders on the Akhvledianebis gora (see situational plan, pl. I). This was an outskirts of the city site of Vani throughout its existence.

The jar burial (pl. I, N 1). The burial jar was placed horizontally, with its neck towards the west. The burial goods are represental by a coin (Colchian hemidrachma); ornaments of silver, bronze and glass; imported and local pottery.

The dergi burial (pl. I, N 2). A dergi was used as burial, placed in the ground vertically, with the mouth upward. Grave goods are represented by bronze and glass ornaments.

On the basis of parallel materials, the burials are dated to the 3rd cent. B.C.

Mariam Saginashvili

ROMAN-PERIOD "STAMPED" TETRAHEDRAL GLASS VESSEL FROM MTSKHETA

(p.p. 39-47)

"Stamped" tetrahedral bottles are studied in the paper. The bases of the bottles are adorned with various relief ornaments. The bottles are made by the technique of blowing in a mould. They differ from one another in the quality of glass and in color, proportions and sizes, handles and, which is most important, in the ornaments on the bases. They were made at different workshops.

Tetrahedral bottles were made by two techniques: blowing in a mould and free blowing. Both techniques were used frequently, both types of vessels surviving in large numbers. However, bottles blown in a mould predominate. As to their places of manufacture, they are divided into two groups: the Mediterranean group, to which bottles blown in Syria, Egypt and Cyprus are assigned, and the Western-Roman group, uniting bottles made in European provinces (Gaul, the Rhineland, etc.).

A study of the tetrahedral bottles from Mtskheta has shown that the first (1) vessel is of Syrian provenance and is datable to the 1st –2nd cent. A.D. As to the other bottles, they must have been manufactured in West-European workshops. Of these the fifth (5) and sixth (6) bottles have been dated to the 2nd cent. A.D., while bottles 2-4, 7-9 to the 2nd –first half of the 3rd cent. A.D.

Ketevan Ramishvili

ON THE REPRESENTATION OF A BIRD DISCOVERED IN THE ARAGVI VALLEY

(p.p.48-56)

On the territory of Georgia various small zoomorphic fugures have been brought to light by archaeologists. Such representations were found in particular abundance in the Aragvi basin. Notable among the miniature figures discovered in the Aragvi valley is a bronze pendant-figure found at the burial-ground of v. Nedzikhi. The representation of the bird, presented in the present paper, is dated to the 2nd century A.D., being manufactured by the casting technique. The figure must have been of ritual purpose. The image is generally of decorative character. The paper presents both preceding analogies and synchronous examples.

On the basis of a comparison with the cited archaeological material and reference to relevant ethnographic material, the author concludes that semantically, the given bird figure is linked to the sun worship.

Elene Gigolashvili

A SILVER VESSEL FROM SAIRKHE

(p.p. 57-64)

A wealthy grave (N 13), dated to the first half of the 5th cent. B.C., was excavated on the Sairkhe city site. The paper discusses one interesting specimen – silver cup – from the diverse grave goods of the burial.

The cup is tall-necked, with mouth everted, and spherical body. It is adorned with the so-called ova, bosses, palmettes, lotus flowers. Figures of a bull and lion are engraved on the neck.

As a result of an analysis of the Sairkhe cup the author suggests that the vessel was imported into Colchis as a result of trade contacts: it may have been a political gift too. The vessel belongs to monuments of the "Greco-Persian" art cycle and was probably manufactured to the west of Asia Minor. The vessel may have been made by a local master exposed to the influence of Eastern Greek and Iranian art.

Dimitri Akhvlediani

THE SPREAD OF FOREIGN MANUFACTURE ON THE TERRITORY OF COLCHIS IN THE 5TH–2ND CENT. B.C.

(p.p. 65-71)

It proved impracticable to cover all the foreign material brought to light on the territory of Colchis in a single paper. Therefore, the author has limited his discussion only to ceramic stamps, ceramic containers and foreign coins.

The diffusion of foreign wares on Colchian territory in the 5th –2nd cent. B.C. May be divided into three phases. Phase one covers the 5th - first half of the 4th cent. B.C., phase two, the second half of the 4th cent. B.C. and the early 3rd cent. B.C. and phase thrae the 2nd cent. B.C.

Mediterranean wares dominate in the first phase; the south Black Sea area in the second, and again the Mediterranean in the third. In phase one Pichvnari emerges as the principal trading centre, in phase two – Phasis (import in this period reaching its peak), and Dioscurias in phase three.

Temur Todua

AN IRON SAW AND SPADES FROM THE DEDOPLIS GORA SETTLEMENT SITE

(p.p. 72-75)

A fragment of an iron saw, found on Dedoplis gora, belongs to the so-called bow-saw type, dated to the 1st cent. A.D. The iron spades are represented by varieties: triangular and rounded-bladed spades, respectively of *pala* and *bipalium* types. They are datable to the 1st cent. B.C.-1st cent. A.D.

Maia Charkviani

ARCHAEOLOGICAL SITES OF THE CLASSICAL PERIOD DISCOVERED BY EKVTIME TAQAISHVILI

(p.p. 76-84)

The paper highlights the contribution made by Ekvtime Taqaishvili to the study of Georgia's archaeological sites of the Classical period. The scholar recorded the following Classical sites on the territory of Georgia: Mtskheta–Bagineti, Armaziskhevi and Sanjiskhevi; Sajavakho, Vani, Bori, Akhalgori, Samadlo (see map).

Taqaishvili's contribution to bringing to light Classical period sites on Georgian territory is manifold. In the first place, he is credited with being the first discoverer and student of the sites that in the future turned into a major source in the study of the history of Georgia's material culture (e.g. Mtskheta, Vani). At the same time, notwithstanding the meager evidence on Classical period sites on Georgia's territory, thanks to his profound erudition, Taqaishvili basically defined the character and chronology of the material he had discovered, making an invaluable contribution to the history of Georgian archaeology.

Nino Kighuradze

BURIAL RITE AT BICHVINTA CEMETERY (SO-CALLED PIT BURIALS)

(p.p. 85-92)

The paper discusses 114 pit burials with grave goods and 104 without such, discovered at the Pitiunt-Bichvinta cemetery and dated to the 2nd-4th cent.

The burial custom and rite are studied, being analogous to the rite prevalent in provinces of the Late Roman Empire.

Some local peculiarities were recorded at Bichvinta cemetery. For example, such principal elements (of grave goods) as lamps and red-glazed pottery – characteristic of Roman period necropoleis – are absent here. The burials must have belonged to representatives of the middle and low strata of the town - probably to Roman legionaries - veterans and members of their families.

Vakhtang Nikolaishvili

HISTORICAL TOPOGRAPHY OF ANCIENT MTSKHETA

(p.p. 93-108)

Some years ago in the territory of "Greater Mtskheta" archaeological monuments of the Classical period, revealing the historical topography of the ancient capital and its environs, were discovered.

The excavations of the area, conducted by the Mtskheta Archaeological Expedition, are carried out in Ghartiskari, Katsitavana(Armaziskhevi) and within the confines of Mtskheta itself, i.e. not far from Strabo's "Sisamura=Tsisamuri and "Armozike=Armaztsikhe.

Numerous monuments of the Classical period have been found in Mtskheta and its environs: at Samtavro Temple of the 1st c. B.C. and some burials built of well-hewn stone slabs with so-called "swallow's tail" have been revealed, attesting to the existence of certain public building there: cultural layers of the Hellenistic and Roman times have been unearthed within the confines of Mtskheta itself, on the left bank of the river Monastriskari; cemeteries of the early Hellenistic period have been discovered in Mukhatgverdi, Tsikhedidiskhevi and

defensive structures and settlements were found in Katsitavana(Armaziskhevi) and Ghartiskari.

Most interesting among the archaeological discoveries of Mtskheta are the newly revealed monuments from Ghartiskari and Katsitavana. The archaeological monuments of Ghartiskari are represented by the defensive structure and settlements. Ghartiskari is situated in the territory located between the Kura and the Aragvi rivers. According to Strabo, here was located the final part of the road which began in the northern regions, then it ran along the banks of the Aragvi and led to the ancient capital of Iberia (Kartli). Mud walls of the defensive structures (about 3m. wide), resting on stone foundations., ran from west to east along the Brindzighele gorge and then on both banks of the river Aragvi. Numerous towers of quadrangular shape, with built-in buttresses, have also been revealed. In the territory of the defensive structures a temple built of mud-bricks, stones and wooden blocks, as well as some other architectural complexes and a mill have been brought to light.

The mill was obviously used by the priests of the temple of the Sun for baking bread. On the basis of an analysis of the archaeological data and building technology the monuments must be dated to Hellenistic times.

Besides Strabo's information about the existence of the northern gates of the ancient capital near Ghartiskari, there are some indications of it in Georgian literary sources too: "Moktsevai Kartlisai=The Conversion of Kartli" and "Kartlis Tskhovreba=History of Kartli". The author of the Georgian written sources mentions such toponyms as "Gharta", "Kindzara" and "Sapurtsle", which survive to our days. It should be noted that the toponym "Gharta" denotes a fortified place in the Meskhian dialect, it is also well known that the name of the ancient capital of Iberia-Mtskheta is connected with the ethnicon - Meskhi.

According to Plinius Secundus, Mtskheta is a place, were the Meskhians live. (Plinius Secundus, Naturalis historiae, libri, 137.1-6.29-30.)

The main urban centre...of Iberia is Armastis (Armaztsikhe), the East place, where the Meskhians live (Mtskheta near the river Iber).

Katsitavana is situated in Armaziskhevi on the top of a hill, on the east it is fortified by an enclosure and a tower of quadrangular shape built of well-hewn stone slabs (0.31x0.21m), though its upper part is not extant, it was undoubtedly erected by the red-painted pottery and so, the monuments must be dated to the early Hellenistic period.

Katsitavana is mentioned in "Moktsevai Kartlisai" under the name of "Armasi", which attests to the existence of a fortified settlement on the spot in ancient times.

Thus, we may assume that Ghartiskari and Katsitavana, together with Sarkine-Grdzeli Mindori, Tsitsamuri=Sisamura, Armaztsikhe=Armoztsikhe, Avchaliskari-Devisnamukhli formed a united system of the ancient capital of Iberia.

Zurab Bragvadze

THE QVIRILA VALLEY IN THE LATE CLASSICAL PERIOD

(p.p. 109-116)

The Qvirila valley constituted an important part of the administrative unit of Argveti. Here burial grounds have been brought to light at Itskisi (2nd -3rd cent.), Modinakhe (4th cent.), Rgani (3rd 4th cent.) and Tsinsopel-Jieti (2nd –4th cent.).

Of the burials uncovered at the Modinakhe cemetery special interest attaches to complexes 36 and 66. On the basis of an analysis of the grave goods, the author suggests that these burials may have belonged to representatives of the ruling stratum of the Qvirila valley of the Late Classical period, for the goods discovered here – the diadem from burial 66, and the gilt dagger from burial 36 – belong to insignia of authority. This is supported by the data of the

Rgani and Jieti cemeteries, where most of the complexes contain weapons. It may be conjectured that the persons buried here were distinguished warriors.

The majority of the Late Classical period graves excavated in the Qvirila valley are dated to the 4th cent. A study of the burial custom and the grave goods leads the author to the conclusion that here we are dealing with burials of the so-called pagan-Christian shade.

Nana Matiashvili

ALTARS FROM THE LOWER TERRACE OF THE VANI CITY SITE

(p.p. 109-116)

The paper deals with the altars brought to light in the temple complex excavated on the lower terrace of the Vani city site. One altar, set at the western corner of the central hall of the temple, apart from a bothros-type platform and four steps, has grooves cut in the bedrock and on the steps. On the basis of the latter, it is defined as a bloody sacrificial altar connected with the taurobolia ritual performed at festivals of Cybele.

The next altar, found in the ruins to the east of the temple, is of stone, in the shape of a cist. On the basis of parallels attested in the Hellenistic world, it is assumed to have been designed for storing the temple's treasure. One more altar is built of adobe blocks, in the shape of a box. On the basis of Mediterranean parallels, it is defined as a portable hearth-altar. Of the other specimens, brought to light in the temple, note should be taken of four different altars found in the central hall. They have sacrificial hollows cut on the surface. The cited altars are dated to the 2nd–1st cent. B.C., i.e. to the period of the functioning of the temple.

Lasha Dzidziguri

TOWARDS THE FUNCTION OF A TOOL DISCOVERED AT THE NATSARGORA 5TH–3RD CENT. B.C. CEMETERY

(p.p. 117-123)

An attempt is made in the paper to determine the function of an interesting tool, discovered on the territory of Georgia, namely the functional purpose of the so-called flat axe.

On the basis of certain parallels and, in particular the so-called flat axe brought to light at Natsargora cemetery (the tool has preserved a detail for fixing the handle, directed 90^0 to the edge of the tool) it is suggested that the so-called flat axe must have performed the function of a hoe, and in a number of cases of an adze.

Lasha Jikia

TWO SETTLEMENT SITES IN THE VILLAGE OF ORULU

(p.p. 124-132)

The paper discusses the archaeological material of the Classical period discovered on two former settlement mounds ("Tsurtsumiebi" and "Pertiebi"), situated in v. Orulu, Western Colchis. It is suggested that these settlements were linked with the urbanistic centre of Phasis. Life on these mounds ceased in the closing centuries of the ancient era.

Vera Chikhladze

THE GLASS MEDALLIONS AND BEADS BROUGHT TO LIGHT AT THE ZHINVALI CEMETERY

(p.p. 133-141)

Of the numerous and varied adornments, studied at the Zhinvali cemetery, particular attention is attracted by yellow glass medallions and beads, which largely occur in burial complexes dated to the 3rd–4th cent.

The medallions are made by the stamping technique, with various subjects depicted on them: gorgoneion on one, Nike standing in a chariot, a lion with its mane ruffled on the third, and on the remaining four again a lion, a crescent and a star. All the others bear a representation of a gorgoneion.

No similar stamped glass medallions and beads have been found at other synchronous cemeteries in Georgia. They were probably manufactured in workshops on the territory of Iberia.

Dodo Lekishvili

AMBER BEADS IN LATE CLASSICAL BURIALS OF MTSKHETA

(p.p. 142-147)

Numerous beads and figure pendants, made of various materials (sard, garnet, jet, amber, agate, chalcedony, malachite, emerald, lazurite, mountain crystal, talcum, mono- and polychrome glass, paste, clay, gold, silver, bronze), were discovered in the Late classical period burials of Mtskheta. Of these attention is claimed by amber beads which, among hundreds of excavated burials, were attested only in 11 burials – 56 beads in all, and not at all cemeteries.

According to ancient authors (Pliny, Tacitus, Herodotus), beads were made in Rome and at many artisan centres where amber raw material reached. Such a workshop may have existed in Mtskheta, the ancient capital of Mtskheta, where it was imported as raw material – from which particular country has still to be determined.

It is noteworthy that there existed a deposit of amber close to the Kingdom of Kartli; in northern Azerbaijan – that of Aptian-Alpine age in Upper Agjejand, Qarachai valley, Shaumyan district).

Nino Mirianashvili

THE ANCIENT CITY SITE OF DZALISA (NEW ARCHAEOLOGICAL DATA)

(p.p. 148-152)

On both banks of the river Narekvavi, in Mukhrani valley, Mtskheta district, the Nastakisi Archaeological Expedition carried on excavations with a view to uncovering the Dzalisa city site of Classical times. It is not mentioned in Georgian written sources. The only author to refer to it is Claudius Ptolemy.

The excavations on the territory of the ancient city site revealed palaces, swimming-pool, baths, an administration building, mosaic floor, fragments of streets and squares, water-pipe system, sewage collectors.

On the basis of the archaeological material coming to light, the Dzalisa city site is dated to the 1st–7th cent., while the period of the city's heyday is the 1st–4th cent. Dzalisa was the residence of the *spaspeti* (commander-in-chief) of the Kingdom of Kartli, and in the period of diarchy – one of the capitals of the Kingdom.

Vakhtang Licheli

ANCIENT SETTLEMENTS OF MESKHETI (5TH CENT. B.C. – 1ST CENT. A.D.)

(p.p. 153-160)

Of the sites excavated on the territory of Southern Georgia – Meskheti only one (Atskquri city site) belongs to the first mill. B.C. But there are narrations in Georgian Historical chronicles (11th – 16th cent.) about the 1st mill. B.C. settlements, having special importance for the history of Meskheti and Georgia: Odzrkhe (located on the territory of modern village Abastumani), Zadeni-gora (where pedestal of the sculpture of pagan period god Zadeni was revealed) and Okamis Gora.

George Dundua

COIN CIRCULATION IN IBERIA IN THE 1ST–4TH CENTURIES (GENERAL REVIEW)

(p.p. 161-169)

From the 1st century A.D. the coin market of Iberia (Eastern Georgia) turns monotonous. Finally, the denarii of Augustus (27 B.C.-14 A.D.) assume a leading role here: they were struck by some mint in Gaul (Lugdunum – modern Lyons) in 2 B.C.- 4 A.D. and the so-called Gotarze (40/1-51). Up to two hundred coins of the former group have been found within Iberia's boundaries and over 100 of the latter. Coins of both categories circulated in the region up to the mid. 3rd century.

From the second half of the 1st century Roman aureuses enter the coin circulation of Iberia, becoming from the 2nd century, the principal component of the Iberian coin market, along with Augustan denarii and Gotarze's drachms. 14 Roman gold coins of the second half of the 1st century have been discovered within Eastern Georgia, and 22 specimens of the 2nd century. As to aureuses of the 3rd century, 27 specimens of these have been brought to light in the region, of which 20 date from the first half of the century, and 7 from its second half.

According to scholarly evidence, the intensity of the entry of Roman gold coins on Iberian territory diminishes only from the second half of the 3rd century. This must have been directly related to the crisis of the Empire in general, one of its external manifestations being reflected in the crisis of the monetary economy. The reduced entry of aureuses led to the emission of local imitations.

The scale of coin circulation in Iberia drops catastrophically in the 4th century. Only 3 gold coins of this period have been found.

In the present paper, the author discusses also the question of coin circulation in the 1st–4th cent. on the territory of historical Argveti (modern Terjola, Kharagouli, Zestaponi, Chiatura and Sachkhere districts), which is geographically Colchis but politically linked to Iberia. One of the eristavates of Kartli was here. Hence the coin market of Argveti was of eclectic nature: coins found both in Eastern and Western Georgia were in circulation here.

According to incomplete data, in all 112 coins have been discovered on the territory of the region. Of these, 81 specimens date from the 1st century, 25 from the 2nd , and 6 from the 4th cent. The coins of the 1st cent. are represented largely by Augustan denarii and Gotarze drachms. They were beyond doubt imported from Iberia, for coins of this category did not circulate in Colchis. Instead, 2nd cent. Caesarean didrachms and drachms – also beyond doubt – came into the region from the central districts of Colchis, for they had practically no share in the money economy of Eastern Georgia.

Six 4th cent. solids – 2 of Constantine I (306-337), and 4 of Constantine II (337-362) – may have entered Argveti both from Iberia and Colchi.

Gela Gamkrelidze

TOWARDS THE HISTORY OF NAVIGATION OF THE CLASSICAL PERIOD EASTERN BLACK SEA LITTORAL

(p.p. 170-180)

The Black Sea played a major role in the socioeconomic, development of Colchian society. According to the written and archaeological sources, a whole number of ancient city sites and settlements have been brought to light, namely, Apsarus (near Gonio), Tsikhisdziri-Boboqvati, Kobuleti-Pichvnari, Ureki, Phasis (near Poti), Anaklia, Pichori, Gyenos (near Ochamchire), Dioscurias-Sebastopolis (near Sukhumi), Eshera, Pitiunt (near Bichvinta), and others.

Apart from trade, various handicrafts were developed in the coastal cities - pottery, smithcraft, carpentry, weaving. Activities connected with the sea must have held a special place: navigation, boat-building, fishing, extracting sea salt and, which is most important, sea trade. A definite contact region was created in Classical times on the littoral of Colchis between the Classical world and Colchis. Trade in the eastern Black Sea area, as in the entire ancient world, was largely conducted through sea and river routes (see fig. 7).

Evidence on the naval flotilla of the Colchians is found also with the 3rd cent. B.C. author Apollonius Rhodius. It should be noted here that a bronze intaglio (preserved in the glyptics room of the State Museum of Georgia, N 696) depicts an oared boat (fig. 1), which may probably be a Colchian boat (fig. 2), is also depicted on clay weights discovered in a 2nd cent. B.C. layer on the Vani city site.

Colchis has "all ship-building timber, for numerous forests grow here..." plenty of "flax, hemp, wax and tar" is produced (see Strabo XI, II, 17). It is also significant that Strabo calls the eastern part of the Black Sea the "Sea of Colchis" (see Strabo, XI, I, 6). By this he probably stresses the importance of this region of ancient Georgia from the point of view of expertise in sea-faring.

Oared boats appear to have been the principal force of the Colchian navy in the Classical period. Subsequently, Greek and Roman naval technology – advanced for that time – seems to have come into use, with the building of similar, fairly large vessels. In general, the development of sea-faring in ancient Georgia was facilitated by its situation near the Black Sea and the existence of a wide network of rivers on shore.

Navigation in the Colchis of the Classical period appears to have been closely linked with the historical situation obtaining in the country. The types of navigation facilities here were approximately the same as in the entire Black Sea area (see fig. 6). Thanks to the sea and the advantageous hydrographic conditions of the Colchian Lowland for navigation, water transport must have held a leading place in the development of the country.

Guram Kvirkvelia

NEW BRONZE FIGURINE FROM VANI

Express-information

(p.p. 181-186)

In 2003-2005 a new cult building was found on the upper terrace of the Vani site. It differs by a number of details from previously studied constructions. Of special interest is a bronze figurine found in 2005 inside this cult building. Pointed ears, horn-like protrusions, a wreath composed of ivy (or vine) leaves evince its connections with the Dionysiac circle. The figurine seems to have been re-used for some local chtonic ritual.

Anna Chqonia

GOLD FROM COLCHIS

(p.p.187-188)

Abundance of gold became the reason of popularity of Colchis throughout the Classical world. Historiography of the 19th-20th cent. emphasized the problem of export of golden ore from Colchis. According to the Academician Otar Lordkipanidze, not solely the mining of gold, but also the manufacturing of exquisite specimens of golden jewellery accounted for the fame of Colchis as a country "rich in gold". This, in turn, must have been the result of the export of the Colchian jewellery.

The present paper deals with gold pendants unearthed in a mound of the so-called Sazonkin Bugor, region of lower stream of the Volga river, which reveal striking similarity to the golden earrings discovered in burial N 6 of the Vani city-site and dated to the first half of the 4th cent. B.C. (Fig. 1-2). The structural-stylistic and technical analysis of the belongings of both noble Sarmatian and noble Colchian backed the conjecture that pendants as well as earrings were manufactured at the same workshop which should be located somewhere on the territory of Colchis.

Thus, the problem of Colchian export of gold – as metall as well as manufactured articles once more comes into light. The thorough research undertaken in the cited direction will probably clarify many questions of the trading-economic history of Colchis.

Address: Centre for Archaeological Studies
14, D. Uznadze str.
Tbilisi, 0102,
GEORGIA